

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



სტუდენტთა საგეგნიერო შრომების ქრეფული

№8

2015

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2014 წლის 22 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

2014 წლის 22 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“

თავმჯდომარე: პროფ. პაატა ქურდაძე

წევრები: პროფ. ნოდარ მირაზანაშვილი, ასოც. პროფ. ციური ბაქრაძე

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“

თავმჯდომარე: პროფ. ნელი გოგინაშვილი

წევრები: ასოც. პროფ. თინათინ იოსებიძე, ასოც. პროფ. ლელა ალექსიძე, ასოც. პროფ. გიორგი მძინარაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“

თავმჯდომარე: პროფ. მანანა ნანიტაშვილი

წევრები: პროფ. თამარ მაკასარაშვილი, ასოც. პროფ. მაია აზმაიფარაშვილი, ასოც. პროფ. ლია ბიბილაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“

თავმჯდომარე: პროფ. მალხაზ ლომსაძე

წევრი: პროფ. კლარა ელჩიბეგაშვილი

სექცია „ლიტერატურა“

თავმჯდომარე: პროფ. მარინე ცერცვაძე

წევრი: ასოც. პროფ. ქეთევან ბარბაქაძე

სექცია „ლინგვისტიკა“

თავმჯდომარე: პროფ. გიორგი გოგოლაშვილი

წევრები: პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი, პროფ. მარიამ კობერიძე

სექცია „უცხო ენა და ლიტერატურა“

თავმჯდომარე: პროფ. ზურაბ ჩხიკვაძე

წევრები: პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი, პროფ. ლელა მახვილაძე

სექცია „ისტორია“

თავმჯდომარე: პროფ. ვაჟა ჩოჩია

წევრები: პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი, ასოც. პროფ. დავით ჩოჩიშვილი, ასოც. პროფ. იოსებ ალიმზარაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

- ბარნოვი ნინო – განსაზღვრების სწავლება დაწყებით კლასებში – 6
- მარნაძე ნინო – ოჯახის გავლენა ბავშვის აღზრდაზე – 9
- მძინარაშვილი ნაირა – ქართული ლიტერატურის სწავლების პრობლემურ სიტუაციათა ანალიზი – 13
- ცერაძე ლიკა – სიტყვათა განლაგება წინადადებაში და მისი სწავლება დაწყებით კლასებში – 15

ზ უ ს ტ ი და საზუნებისმეტყველო მეცნიერებები

- ბალიაშვილი ნინო – კვადრატული ფესვის ამოღება ნებისმიერი სიზუსტით – 18
- ბესტავაშვილი მარინა, ბესტავაშვილი ელენა – იკებანას ხელოვნება იაპონიაში – 23
- ელიაშვილი ელიკო – სიცოცხლის ფესვი – 25
- თამლიანი გიორგი – შერჩევის სახეები და შერჩევის ცდომილება – 29
- თომაშვილი რევაზ – თავისუფალ ჭიდაობაში ტაქტიკური ანალიზატორების როლი და მათი სრულყოფა – 33
- თომაშვილი რევაზ, ოქუაშვილი ანი – ქართული ჭიდაობის ტექნიკის ელემენტები თავისუფალი ჭიდაობის სექციაში – 35
- იორამაშვილი ნათია, ხუციშვილი მარინა – კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით – 37
- პაპიაშვილი დათო – პროცესორი, მისი შემადგენლობა და სწორად შერჩევა – 40
- სარქისიანი ნინო, სარქისიანი მარიამ – ვირუსული დაავადება C ჰეპატიტი და მისი სტატისტიკა შიდა ქართლში – 43
- ტერუნაშვილი მერი – ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების ხარისხისა და მიმართულების გაზომვის კერძო მაგალითი – 47
- ლონდაძე ლაშა – ფეხბურთის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ – 52
- ლონდაძე ნინო, ჯოლბორდი ქეთინო – ბერდვოჩინგი საქართველოში – 54

ბ ი ზ ნ ე ს ი და მ ა რ თ ვ ა

- კობერიძე სოფიკო, მელაძე მზია, მაყიშვილი ანა – ბიზნესის როლი საზოგადოების განვითარებაში – 56
- მარკოზაშვილი ქეთევან, ტერმაკოზაშვილი თამარ – მიგრაციული პროცესების თავისებურებანი საქართველოში – 58
- მეცხვარიშვილი ავთანდილ, შავლოხაშვილი მზია – ბიზნეს-გარემოს განვითარება საქართველოში თანამედროვე ეტაპზე – 60
- ოქროპირიძე მარიამ, აჩელაშვილი ლელა, მაისურაძე თეონა – ანაკლიის პორტის, როგორც ბიზნესის ობიექტის 30-წლიანი ისტორია – 63
- ჟორჯოლიანი ნინო, ბალიაშვილი ნაილი – რეკლამის ფსიქოლოგიური ასპექტები – 25-ე კადრის ეფექტი – 66
- ჟორჯოლიანი ნინო, ცერცვაძე რუსუდან – სადაზღვევო მომსახურება საქართველოში – 69
- რაზმაძე მარიამ, ღვინიაშვილი ნინო – ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი უარყოფითი მხარეები – 70

ტლაშაძე მარიამ – უმუშევრობა საქართველოში – 73

ფოლადაშვილი თეონა, თურაზაშვილი ქეთევან, ხაჩიძე მეგი – ქართული ფულის ისტორია – 77

შოშიაშვილი ნონა, მთიულიშვილი მარიამ – ბუნებრივი მონოპოლია და მასზე ზემოქმედების მექანიზმები – 80

ცერცვაძე რუსუდან – საყოველთაო დაზღვევა – 84

ცერცვაძე რუსუდან, კოვზირიძე დავითი – რეკლამა წარმატებულ კომპანიათა საქმიანობაში – 89

ჯულაბაშვილი ნატო – საქართველოს ტურიზმის ევოლუცია და განვითარების პერსპექტივები – 92

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ქერდიყოშვილი თამარ – პირადი უფლებები – 99

ქართული ენა

კვალნიძე მარიამ – იმერული ლექსიკა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მიხედვით – 105

ონიანი ნინო – ერთი არაქართული სიტყვის კვალდაკვალ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში – 107

ოქროპირიძე მარიამ – გოდერძი ჩოხელის თხზულებათა ენისა და სტილის საკითხები – 110

ტერტერაშვილი ნათია, საზანდრიშვილი ნათელა – მეტსახელების სტრუქტურა (სოფელ ხელთუბნის მასალების მიხედვით) – 112

ქართული ლიტერატურა

ტერტერაშვილი ნათია, საზანდრიშვილი ნათელა – ქართულ-უცხოური (ფრანგული და ამერიკული) რამდენიმე ზღაპრის ტიპოლოგიური ანალიზისათვის – 114

ქელესაშვილი მარიამი – ტოტალიტარული გლობალიზაცია და ალევორიული სიმბოლიკა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ – 117

ცაციაშვილი ანი – სიმონ ბერეჟიანი და ემიგრანტული მწერლობა – 120

ხანიშვილი ევა – მითის მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – 122

უცხო ენა და ლიტერატურა

გელაშვილი თამარ, ტატიაშვილი რუსუდან – გრაალისა და გრაალის მცველის სიმბოლოური მნიშვნელობა დასავლეთევროპულსა და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში – 125

თარაშვილი ეველინა, შავლობაშვილი თეონა – ერნესტ ჰემინგუეის ნოველა „კატა წვიმაში“ და მისი თარგმანები ქართულ ენაზე – 129

თინკაშვილი ანა – მ. ი. ლერმონტოვის თარგმანები საქართველოში (რუსულ ენაზე) – 133

მარნაძე ნინო – ივანე მაჩაბლის თარგმანები – 136

ნაფიშვილი თამარ – კავკასიური ფოლკლორული მოტივები მ. ი. ლერმონტოვის შემოქმედებაში (რუსულ ენაზე) – 138

ღვინიაშვილი ხატია, ყულიაშვილი მერი – ახალი ცნობები მ. ი. ლერმონტოვის წინაპრების შესახებ (რუსულ ენაზე) – 140

ისტორია

არხოშაშვილი მარიამ – რობერტ კერ პორტერის ცნობები ჩრდილო კავკასიელი ხალხების, ჩერქეზების შესახებ – 143

ბუჭუხიშვილი ნინო – ქართველი ბაგრატიონები უკანასკნელ სეფიანთა კარზე (გიორგი XI) – 147

გაგუა სალომე – 1924 წლის აჯანყება და სამეგრელო – 150

გალაშვილი ინგა – სოლომონ ლიონიძე - დიპლომატი – 155

გიორგიშვილი ნიკოლოზ, წიკლაური რომანი – საქართველოს მთიანეთის პრობლემები და მათი გადაჭრის აუცილებლობა – 159

დანიელოვი ნანი – გვიანანტიკური და ქრისტიანული სამარხები და დაკრძალვის წესი შიდა ქართლში (ძვ. წ. V- ახ. წ. V-სს-ში) – 162

კვირიკაძე ანა – დედოფალი მარიამ დადიანი – 168

მახათაძე თინათინ – ტოპონიმ „ხაშურის“ წარმომავლობისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის – 173

მოსიაშვილი მადონა – „თურქი მესხების“ საკითხი, პრობლემატიკა და პერსპექტივები – 176

ტატიშვილი ნინო – რაფიელ დანიბეგაშვილი - მოგზაური და დიპლომატი – 180

ფარჯიანი მეგი – ხარის კულტი სვანეთში – 183

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

განსაზღვრების სწავლება დაწყებით კლასებში

ნინო ბარნოვი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე**, პროფესორი

ქართულ ენაში წინადადებაში შემავალ სრულმნიშვნელოვან სიტყვას ან სიტყვათა შენაერთს წინადადების წევრი ეწოდება (3, გვ. 58). წევრებს ფუნქციის მიხედვით ყოფენ ორ ჯგუფად: მთავარ და არამთავარ წევრებად. წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატება, ხოლო უბრალო დამატება, გარემოება და განსაზღვრება წინადადების არამთავარი წევრებია. ჩვენი ნაშრომის მიზანია გამოვკვეთოთ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ განსაზღვრება დაწყებით კლასებში. პირველ რიგში მოსწავლეებს ვაწვდით ტერმინის ანალიზს, რომ იგი დამკვიდრებულია ლათინური „დეფინიტიოს“ მიხედვით, შემდეგ კი განვმარტავთ, რომ „განსაზღვრება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც ახლავს არსებითი სახელით, ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით“ (4, გვ. 187). დავუსახელებ წინადადებებს და დავაკვირებ, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში ზედსართავი სახელითაა გადმოცემული, ზოგჯერ კი მასთან გათანაბრებული მეტყველების ნაწილით. აქვე გავახსენებ ზედსართავ სახელს: „სიტყვა, რომელიც დაერთვის არსებით სახელს და განმარტავს, თუ როგორია არსებითი სახელით გამოხატული საგანი, ზედსართავი სახელია“ (2, გვ. 117). მაგ.: „ლამაზი ფრთები გამაღეს მთებმა“. „ცივი წყალი გადაასხა“ (7, გვ. 191). აქვე გავახსენებ ზედსართავი სახელის კითხვებს, დავასახელებინებ სათანადო სიტყვის შემცველ წინადადებებს: „ყვითელი ფოთლები ყველგან მუხლამდე ეყარა“. „თეიმურაზმა ლასლასით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა“. „შენი ამბავი, ეხლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“. „ეს ამბავი არ ეამა მეფეს“. „სოფელი ბავშვები ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ“ და სხვა. გავავლებ პარალელს ზედსართავსა (ან მასთან გათანაბრებული მეტყველების ნაწილს) და განსაზღვრებას შორის, რომ ერთი და იგივე სიტყვა მორფოლოგიურად ზედსართავი სახელია (ან მასთან გათანაბრებული - სიტყვა), ხოლო სინტაქსურად - განსაზღვრებაა. „ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირების ხერხით მოსწავლეები უკვე აითვისებენ ახალ მასალას“ (6, გვ. 78). რადგან „იგი გულისხმობს მოსწავლეთა გარკვეულ ცოდნას შესწავლილი მასალის ირგვლივ, რომლის საშუალებითაც ხდება ახლის, უცნობის მიკვლევა, აღმოჩენა. ამ ხერხის გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად ითვისებენ ახალ მასალას“ (5, გვ. 197).

„განსაზღვრება შინაარსის მიხედვით მრავალფეროვანია. იგი სხვადასხვა ნიშნით ახასიათებს სახელით გადმოცემულ წევრს, რომელიც შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, სახელით გამოხატული გარემოება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. განსაზღვრების ზოგადი ნიშანი ერთია – ყველა სახის განსაზღვრება მსაზღვრელია.“ (3, გვ. 141). მაგ.: „**მთის** ნიავეი ეჭურჩულებოდა **დიდ** ჭადარს.“ „**მინდვრის** ყვავილების **ლამაზი** თაიგული მთართვეს პოეტს“.

განსაზღვრება ორგვარია: **ატრიბუტული** და **სუბსტანტიური**

ატრიბუტი და სუბსტანტივი ლათინური ტერმინებია. პირველი მიუთითებს საგნის ნიშან-თვისებაზე, მეორე კი – თვით საგანზე.

ატრიბუტულია განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ზედსართავი სახელით ან მასთან გათანაბრებული სხვა მეტყველების ნაწილით: რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღეობითა და ზოგიერთი არსებითი სახელით.

მაგ.: **ბნელ** ხევზე მოჰყეფს მდინარე.

დამალული ჭირი ძალიან ძნელია.

მესამედი ქონება უფროს **მმას** ერგო.

შემკრთალი ბელურები ღობეზე აფრინდნენ.

ნაასალი მაღლი გიორგისა არა სცხებოდა.

რომელი ხის ქვეშ იცინიან ასე ვარდები?

დავასახელებ აგრეთვე ისეთ წინადადებებს, სადაც ატრიბუტული განსაზღვრება გადმოცემულია ფუძეგაორკეცებული ან ნაირფუძიანი ზედსართავი სახელით. მაგ.: „მე თქვენს ბაიებს წითელ -

წითელ წინდებს მოუქსოვ“. „ფართო ფანჯრებიდან მომწვანო-მოყვითალო თვალებით იმხირებოდა ზაფხულის შუადღე“ (7, გვ. 193).

„ხშირია ატრიბუტულ განსაზღვრებად რთული სახელები, რომლებიც არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან, ან სხვადასხვა ტიპის სახელთა შეერთებისაგან არიან წარმომდგარნი“ (4, გვ. 191). მაგ.: „სახეგაფითრებულ შიშველებდა გუგუა...“

ატრიბუტულ განსაზღვრებად საკმაოდ ხშირად გვევლინება რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, უფრო იშვიათად, წილობითი. ამავე ფუნქციით ზოგჯერ დასტურდება მდე თანდებულობის რიცხვითი სახელი, რომელიც მიახლოებით აღნიშნავს რაოდენობას. ქართულში რიცხვითი სახელით გამოხატული ატრიბუტული განსაზღვრების საზღვრული ყოველთვის მხოლოდ რიცხვში დაისმის. მაგ: გუშინ **ცხრა კალმახი** დავიჭირე.

ატრიბუტული განსაზღვრება გადმოიცემა თითქმის ყველა ნაცვალსახელით. უფრო ხშირად გვხვდება ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. მაგ: დაჭრილმა მხოლოდ **რამდენიმე** ნაბიჯი გადადგა.

ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩათვლილია აგრეთვე ნათესაური ან თავაზიანი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც იყენებენ მიმართვის დროსაც. მაგ: **ბატონი** გიორგი წამოდგა და გაემართა კარისაკენ.

სუბსტანტიური განსაზღვრება გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან ამავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილით.

მაგ.: რკინის კაცის თვალში ცრემლი **დიდსულოვნების** შვილია.

დედამიწის სარკე არის ზეცა.

მოსწავლეებს დავაკვირებთ მაგალითებზე და ვაჩვენებთ, რომ სუბსტანტიური განსაზღვრება მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია: აღნიშნავს კუთვნილებას (მეზობლის ბავშვი), მასალას ან ნივთიერებას (ოქროს საათი), დანიშნულებას (წიგნის მაღაზია), საგანს, რომელიც ეკუთვნის საზღვრულით აღნიშნულ სახელს (სახლის მეპატრონე), წარმომავლობას (მთის წყარო), პროფესიას (კბილის ექიმი), სხეულის ნაწილს (ქათმის ბარკალი) და ა.შ.

ახალ ქართულში განსაზღვრება ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულ წევრს, ე.ი. პრეპოზიციური განსაზღვრებაა: „დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა.“ უფრო იშვიათად განსაზღვრება შეიძლება მოსდევდეს საზღვრულ წევრს, მაშინ იგი პოსტპოზიციური იქნება. მაგ.: „ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა“

ამის მიხედვით განსაზღვრება და მისი საზღვრულის წყობა ორგვარია: პირდაპირი და შებრუნებული.

განსაზღვრება ზოგჯერ გათიშულია საზღვრული წევრისაგან სხვა სიტყვით ან სიტყვებით:

სიყვარულისას დაწვწავ გვირგვინსა.

წინადადებაში განსაზღვრება შეიძლება იყოს განმარტოებულები, ე.ი. მისი საზღვრული წევრი გამოტოვებულია. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა საზღვრულის გამეორება არ სურთ და მას სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე. განმარტოებული შეიძლება იყოს სუბსტანტიური განსაზღვრება:

ქალაქის ამბავს სოფელში ჩაიტანს, სოფლისას - ქალაქში.

საზღვრულ წევრს შეიძლება ერთდროულად ახლდეს რამდენიმე ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება: **ბნელი, თბილი და წყნარი** ღამე იყო.

ყოველივე ზემოთქმულისა შემდეგ ვიწყებ მსჯელობას მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

განსაზღვრება ახლავს საზღვრულ წევრს - არსებით სახელს და მასთან ერთად ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულს. განსაზღვრება საზღვრულ წევრთან ამყარებს სინტაქსურ ურთიერთობას ბრუნვასა და რიცხვში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია:

- 1) ატრიბუტულია განსაზღვრება თუ სუბსტანტიური;
- 2) პირდაპირია წყობა თუ ინვერსიული;
- 3) ატრიბუტული განსაზღვრება ბოლოხმოვნია თუ ბოლოთანხმოვნია;
- 4) მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან თუ გაუთიშავი;
- 5) საზღვრული წევრი რომელ მრავლობითშია და ა.შ.

ატრიბუტული განსაზღვრება ყოველთვის ითანხმებს ბრუნვაში საზღვრულ წევრს - ე.ი. ასეთი განსაზღვრება შეთანხმებულია. პირდაპირი წყობის დროს ეს შეთანხმება შეიძლება იყოს **სრული (დიდმა კაცმა), ნაწილობრივი (დიდი კაცის) და არასრული - ნულოვანი. (დიდ კაცს).** ხოლო შებრუნებული რიგის შემთხვევაში განსაზღვრება წარმოდგენილია იმავე ნიშნით, რითაც საზღვრული (ბავშვი ლამაზი, ბავშვმა ლამაზმა, ბავშვს ლამაზს).

ატრიბუტული განსაზღვრება თავის საზღვრულ წევრს ეთანხმება ნართანიან მრავლობითშიც: მთა
ნი მალაღნი დგანან და ელიან.

თუ ატრიბუტული განსაზღვრება გადმოცემულია კუთვნილებითი ნაცვალსახელით, იგი
დაბოლოებიანი და მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმათაგან ნაწარმოები სახელებით,
მაშინ მას მიცემითში სრული დაბოლოება იქნება:

ჩემს მეგობარს, დროებითს მთავრობას, ჩვეულებრივ მოვლენას...

თუ ატრიბუტული განსაზღვრება გათიშულია, იგი ყოველთვის წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნით,
მნიშვნელობა არ აქვს ფუძის დაბოლოებას და წყობას:

დიდი დაადეს ლაშები.

ცივმა დაჰბერა ნიაგმა.

მამასადამე, ატრიბუტული განსაზღვრება ყოველთვის შეთანხმებულია.

ვაკვირვებ მოსწავლეებს აგრეთვე მართული ან მართულ-შეთანხმებულ სუბსტანტიურ
განსაზღვრებაზე.

როცა წყვილში შედის სუბსტანტიური განსაზღვრება და საზღვრული, წყობა პირდაპირია და
გაუთიშავი, მაშინ სუბსტანტიური განსაზღვრება მართულია ნათესაობით ბრუნვაში:

ტყის ჰაერმა პავლე გამოაცოცხლა.

თუ სუბსტანტიური განსაზღვრება მოსდევს თავის საზღვრულ წევრს, მაშინ ის მართულ-
შეთანხმებულია:

გამოჩნდა რკალი ახალი **მთვარისა**.

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი.

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც მოსდევს საზღვრულს, თანამედროვე ქართულში
შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტური და სინტაქსური ხასიათის
საჭიროებით. სუბსტანტიური განსაზღვრება მართულ-შეთანხმებულია პრეპოზიციული წყობის
შემთხვევაშიც, თუ განსაზღვრება გათიშულია საზღვრული წევრისაგან ან განმარტოებულია.

მაგ.: **სიყვარულისას** დაეწნავ გვირგვინს.

განმარტოებულ განსაზღვრებას ორმაგი ბრუნვის ნიშანი აქვს. იგი საზღვრულის სინტაქსურ
ფუნქციასაც ასრულებს. მაგ.: ხმაღს აშველებენ ფარებსა **მტრისას** - დაიკვირენ ძვირადა.

განმარტოებული განსაზღვრება ირთავს თანდებულსაც, რომელიც ნაგულისხმევ საზღვრულს უნდა
დართოდა; მაგ.: ხან ერთის ჯიბეში ვიყავი, ხან - **მეორისაში**.

ამგვარად, განსაზღვრება ქართულში, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს შეთანხმებული, მართული,
მართულ-შეთანხმებული. ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ შეთანხმებული ისევე, როგორც ევროპულ
ენებში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოსწავლეთა ცოდნის განსამტკიცებლად მიეცემათ სხვადასხვა
სახის საშინაო დავალებები, როგორცაა მაგალითად მხატვრული ლიტერატურიდან სხვადასხვა სახის
განსაზღვრების შემცველი წინადადებების ამოწერა და სხვა.

„ხშირად ერევათ ერთმანეთში მიცემითში დასმული განსაზღვრება და ვითარების გარემოება.
აღრევას იწვევს კითხვების ფორმის მიხედვით დამთხვევა. მაგ.: „და ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ა დ მასზე მეურმე“
მ წ უ ხ ა რ ს სიმღერას დაჰლულუნებდა“. აქ წინადადების ორ წევრს გარეგნულად ერთი და იგივე
კითხვა „როგორ“ დაესმის. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი წყვილის ცალია. თუ იგი შედის წყვილში
არსებით სახელთან - განსაზღვრებაა, ხოლო თუ უკავშირდება ზმნას, ან ნაზმნარ სიტყვას - ვითარების
გარემოებაა“ (1, გვ. 263).

ლიტერატურა:

1. თალაკვაძე მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთმცოდნეობა, თბ., 1989.
2. რამიშვილი ვ., ქართული ენის გრამატიკისა და მართლწერის დაწყობითი კურსის სწავლებისა და
მეტყველების განვითარების საკითხები, თბ., 1999.
3. ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის სინტაქსი, ქუთ., 2002.
4. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.
5. მალაქელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდთმცოდნეობა, თბ., 2004.
6. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1999.
7. ოსავა ნ., ქართული ენა - პრაქტიკუმი სინტაქსში, თბ., 2003.

ოჯახის გავლენა ბავშვის აღზრდაზე

ნინო მარნაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე**, ასოცირებული პროფესორი

აღზრდა, ეს არის ყოველი ეპოქისათვის აქტუალური თემა. ბავშვი ჩნდება და განვითარებას იწყებს ოჯახში, რომელიც მისი პირველი საარსებო გარემოა. ამ გარემოს ძვირფასი ადამიანები - დედა, მამა, დამა და სხვა ადამიანები ქმნიან, რომელთა ურთიერთობის ხასიათი, კულტურის დონე, იდეალები, მისწრაფებები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფორმირებაზე.

ნიკო ნიკოლაძე (1873) ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ადამიანში ემოციების, შეხედულებების, მორალის, მსოფლმხედველობის, მრწამსისა და სხვათა ჩამოყალიბების მთავარი საშუალება ოჯახური აღზრდაა (გვ. 383). ჯონ ლოკს (2009) კი ოჯახი მიაჩნდა სხვათა უზნეობისაგან თავდაცვის მთავარ გარანტიად. მშობლებისაგან მოითხოვდა კეთილზნეობის მაგალითი ყოფილიყვნენ შვილებისათვის. (3; გვ. 246)

ოჯახი, როგორც გარემოსთვის არის დამახასიათებელი, გავლენას ახდენს ბავშვზე. არცერთ მშობელს უნდა, რომ შვილი ცუდი გამოუვიდეს, მაგრამ ოჯახში დამკვიდრებული ატმოსფერო, შეიძლება, სწორედ აქეთ უბიძგებდეს ბავშვს და პირიქით, ძალზე ხელმოკლე ოჯახშიც კი, სადაც დედ-მამა და სხვები უმწიკვლო ფსიქოლოგიის ადამიანები არიან, მოზარდებს უარყოფითი მიდრეკილებები არ უვითარდებათ. ეს ოჯახური გარემოს გავლენის ძლიერებაზე მეტყველებს.

ოჯახის გავლენა მოზარდის განვითარებაში ამით არ ამოიწურება. აქ საკუთრივ აღზრდის მომენტიც თვალნათლივ იკვეთება, რაც გულისხმობს ოჯახის წევრთა მიზანმიმართულ, საგანგებო საუბრებს ავკარგიანობაზე, სასურველ და მიუღებელ ქცევაზე, დამაჯერებელი მაგალითების მოშველიებას ამ დროს და სხვა.

საუკეთესო შედეგები ბავშვის აღზრდაში იმ შემთხვევაში მიიღწევა, როცა მშობელთა საადმზრდელო საუბრებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ შეესაბამება ოჯახური გარემო, მასში დამკვიდრებული ცხოვრების წესი (2: გვ. 344).

ოჯახს საგრძნობი წვლილი შეაქვს აღზრდის ხუთივე ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში.

1. გონებრივი აღზრდა. უკვე პატარები უამრავ შეკითხვას უსვამენ მშობლებს. ყველაფერი აინტერესებთ, რასაც გარშემო ხედავენ. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოზარდებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის გარემომცველი სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე, მათ თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე, ამდიდრებს მათ ლექსიკას ახალ-ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით. (2: გვ. 345).

2. ზნეობრივი აღზრდა. ჰენრიხ პესტალოცი ოჯახს ზნეობის სკოლას უწოდებდა. მშობლები ბავშვებს არიგებენ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ შინ და გარეთ, რას მოუწონებენ და რისთვის დაძრახავენ. ოღონდ აღმზრდელობითი ზომები ეფექტურია მაშინ, თუ უფროსებიც ისე იქცევიან, როგორც აღსაზრდელებისაგან მოითხოვენ ამას. თუ ზნეობრივ მოთხოვნებს რეალური ქცევა არ შეესაბამება, ეს ცინიზმსა და გაორებას იწვევს აღსაზრდელებში. (2: გვ. 346-47).

3. შრომითი აღზრდა. შრომითი აღზრდაც, რა თქმა უნდა, ოჯახში იწყება. მისი მიზანია შრომა შეაყვაროს და მოთხოვნილებად უქციოს მოზარდს. მითუმეტეს, რომ ბავშვები მცირე ასაკშივე ავლენენ შრომაში მონაწილეობის სურვილს: საქმეში ერევიან უფროსებს, ართმევენ მათ სამუშაო იარაღებს, რათა თვითონვე გააგრძელონ მშობლების წამოწყებული საქმე. ბავშვის შრომით აღზრდას ცუდ სამსახურს უწევს მშობელი, რომელიც ამ დროს თავიდან იშორებს ბავშვს. მხოლოდ ყოველდღიური ზომიერი შრომით შეიძლება შრომის სიყვარული ჩავუნერგოთ მოზარდს.

4. ესთეტიკური განვითარება. ესთეტიკურ განვითარებაზე ოჯახში ბევრი რამ ახდენს გავლენას. მშობლებმა პირველ რიგში, გაწონასწორებული სიყვარული და სითბო უნდა გამოავლინონ შვილებთან ურთიერთობაში. მართალია, ყველა მშობელი პედაგოგი არ არის და ის თეორიულ დონეზე ვერ აიყვანს ცოდნას, მაგრამ თავისი ზნეობრივი და ლამაზი ქცევით შვილებს მისცემს კარგ მაგალითს, აზიარებს პატიოსნებას, კეთილ და მზრუნველ დამოკიდებულების ელემენტებს ადამიანებთან, ბუნებასთან, ცხოველებთან, სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სილამაზის აღქმა მოზარდთა მიერ, რასაც შეიცავს ოჯახის წევრთა გულთბილი დამოკიდებულება, უმცროს-უფროსობის წესი, სტუმარ-მასპინძლობა და სხვა.

5. ფიზიკური აღზრდა. ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მის დაბადებამდე იწყება. მომავალი დედა ერიდება გაცივებასა და ინფექციებს (მედიკამენტების მიღებას), გადაღლასა და ნერვიულობას, რადგან ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ნაყოფზე.

ახალშობილს კი ტრადიციისამებრ უვლიან. იციან, როგორ უნდა ასაზრდოონ, რა სიხშირით აბანაონ, აძინონ და ა.შ.

მოზარდის ჯანმრთელობაზე, სწორ კვებაზე, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვასა და ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა შემდგომშიც გრძელდება ოჯახში.

განვიხილოთ აღზრდის ავტორიტეტული და ავტორიტარული სტილი.

<p>ავტორიტეტული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს ოჯახში; • მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ; • უხსნიან ბავშვებს, თუ რატომ არის ზოგიერთი საქციელი მისაღები და ზოგიც მიუღებელი; • უზრუნველყოფენ ოჯახის წესების თანმიმდევრულად გატარებას; • ბავშვებს საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რთავენ; • დროთა განმავლობაში უფრო ნაკლებად ზღუდავენ ბავშვებს, რომლებიც თანდათანობით უფრო დამოუკიდებელნი არიან. 	<p>როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს ბავშვი ხშირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბედნიერია; • თავის თავში დარწმუნებულია; • ცნობისმოყვარეა; • დამოუკიდებელია; • საკუთარი თავის კონტროლის კარგი უნარი გააჩნია; • პატივს სცემს სხვა ადამიანების მოთხოვნებს; • მოტივირებული და წარმატებულია სკოლაში.
<p>ავტორიტარული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნაკლებ სითბოს იჩენენ ბავშვების მიმართ, ვიდრე ავტორიტეტული მშობლები; • მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ; • ქცევის წესების დაწესების დროს არ ითვალისწინებენ ბავშვების მოთხოვნილებებს; • სჯერათ, რომ ბავშვები მათ წესებს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ; • არ რთავენ ბავშვებს ოჯახურ დისკუსიებში. 	<p>როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს ბავშვი ხშირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • უბედურია; • მღელვარე/ მშფოთვარეა; • თავის თავში არ არის დარწმუნებული; • იშვიათად იჩენს ინიციატივას; • დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე; • სუსტი სოციალური უნარ-ჩვევები გააჩნია; • ადამიანებთან ურთიერთობის დროს მიმართავს ძალადობას.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ავტორიტეტული აღზრდის სტილი უფრო ეფექტურია, ვიდრე ავტორიტარული. მშობლები, რომლებიც აღზრდის ამ სტილს იყენებენ, მოსიყვარულე და უსაფრთხო გარემოს ქმნიან სახლში. შესაბამისად ავტორიტეტული მშობლების ბავშვები ბედნიერნი, ენერგიულნი და დამოუკიდებლები არიან. ადვილად იძენენ მეგობრებს, კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან და მზრუნველობით ეკიდებიან სხვა ადამიანის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, მოტივირებულები არიან წარმატებებს მიაღწიონ სკოლაში და შესაბამისად, ხშირად მაღალ შედეგებს აღწევენ. (4: გვ. 51-53)

საოჯახო აღზრდას, სამწუხაროდ, მხოლოდ პოზიტიური მხარე როდი გააჩნია, მის შედარებით გავრცელებულ სახეს ნეგატიური ფორმა წარმოადგენს. ბავშვმა, რომელმაც სრულიად ვერ მიიღო მშობლიური სიყვარული, ხშირად იზრდება უხეში, ბოროტი, გულგრილი სხვათა განცდების მიმართ, არ არის კომუნიკაბელური, ან კიდევ ჩაკეტილი, უკარება და ზედმეტად მორცხვი ხდება. გ. თავზიშვილი (1979) აღნიშნავდა, რომ არის შემთხვევები, როცა ნალოლიავებ და ნაპატიებ „პატარა ადამიანში“ ადრე ვითარდება ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის, უდარდებლობის, ნებიერობისა და პატივმოყვარეობის მონაცემები. ამდენად ზომიერების დაცვაა საჭირო. (5: გვ. 218).

განვიხილოთ თავის ნებაზე მიშვებული და ნაკლებად მზრუნველი აღზრდის სტილი.

<p>თავის ნებაზე მიშვებული:</p> <ul style="list-style-type: none"> ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს სახლში; იშვიათად სჯიან ცუდ საქციელს; უფლებას აძლევენ ბავშვებს ბევრი გადაწყვეტილება თვითონვე მიიღონ (მაგალითად, იმის შესახებ, თუ რა ჭამონ, როდის დაიძინონ). 	<p>როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს, ბავშვი ხშირად:</p> <ul style="list-style-type: none"> ეგოისტია; არ არის მოტივირებული; დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე; ითხოვს სხვების ყურადღებას; გაუგონარი და ურჩია.
<p>ნაკლებად მზრუნველი:</p> <ul style="list-style-type: none"> ძალიან ცოტა ემოციურ მხარდაჭერას უწევს ბავშვებს; ძალიან დაბალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ; ნაკლებ ინტერესს ავლენენ ბავშვების ცხოვრების მიმართ; ძირითადად საკუთარი პრობლემებით არიან დაინტერესებულნი. 	<p>როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს, ბავშვი ხშირად:</p> <ul style="list-style-type: none"> მომთხოვნია; არ გააჩნია საკუთარი თავის კონტროლი; ვერ უმკლავდება იმედგაცრუებას; არ გააჩნია გრძელვადიანი მიზნები.

თუ ოჯახში არ არის ჰარმონია, თუ ბავშვი განიცდის არაზნეობრივი გარემოცვის გავლენას, აგრესიას, მის მიმართ უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას, ასეთ ოჯახში ხშირია გართულებები ბავშვის განვითარებაში. ნეგატიური შედეგების გამოწვევის მიზეზებია:

1. არაერთიანი მოთხოვნა:

ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ არაერთიანი მოთხოვნა. როდესაც ოჯახის ერთი წევრი ბავშვს რაღაცას უკრძალავს, მეორე ნებას რთავს, ერთი უწყობს, მეორე – ეფერება, ამიტომ ერთი მშობლით ნაწყენი შვილი მეორეს აფარებს თავს.

2. მოუცლელი:

სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს აკლია მშობლის მზრუნველობა, სისტემატური ზემოქმედება, რაც გამოწვეულია მშობლების მოუცლელიობით. ცხადია, მშობლის არ ყოფნაში ბავშვზე ვიღაც ზრუნავს, ბებიები, პაპები ან ძიძა. ა. ზახაროვი (1974) აღნიშნავდა, რომ როგორი ორგანიზებულიც არ უნდა იყოს ბავშვის მოვლა, რომელშიც ცოტას მონაწილეობენ მშობლები, ვერანაირი აღმზრდელობითი კომპენსირება ვერ შეცვლის დედის და მამის განსაკუთრებულ როლს შვილის აღზრდაში. (6: გვ. 208). ოჯახის წევრები და ახლობლები მხოლოდ უნდა ეხმარებოდნენ მშობლებს შვილების აღზრდაში. მთელი ამ ფუნქციის მათზე დაკისრება შეცდომაა, საქმე შვილის გაზრდა კი არაა, არამედ მისი აღზრდა და ამ საქმეში მშობელი შეუცვლელია.

მოუცლელი ორგანია: ნამდვილი მოუცლელია, როცა ორივე მშობელი მუშაობს და იძულებულნი არიან მათ არყოფნისას შვილი სხვებს ჩააბარონ. მშობლიური სითბო და სიყვარული ასეთ ბავშვსაც აკლია, მაგრამ ის მაინც იძულებითაა გამოწვეული. სამაგიეროდ ზოგჯერ მოუცლელის როლში გამოდის მშობელი, რომელსაც მშვენივრად შეუძლია დღის უდიდესი ნაწილი შვილთან გაატაროს და მის აღზრდაზე იზრუნოს. ბავშვი მომვლელთან ჰყავს, მაგრამ ჰყავს კი მას ისეთი აღმზრდელი, როგორც მშობელი უნდა იყოს? ერთი რამ ცხადია მშობლის როლს შვილის აღზრდაში ვერავინ შეცვლის და მოდად ქცეული ბავშვის აღზრდის საქმის ძიძისთვის გადაბარება ხშირად ბავშვის მომავალს პრობლემებს უქმნის.

3. მშობლების გაყრის შედეგი:

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მშობლების გაყრის შემთხვევაში ბავშვები ხშირად ნერვოზულები ხდებიან. განსაკუთრებით ბიჭები განიცდიან უმამოდ დარჩენას. შ. ნადირაშვილი (2000) მიუთითებდა, რომ შვილის აღზრდა მშობელთა სისტემური, უწყვეტი კონტაქტის გარეშე უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ამის შესახებ ბევრი მშობელი ფიქრობს. თანაც, რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ეს, მით უფრო უარესია (7: გვ. 27).

როგორც მკვლევრები მიუთითებენ, თუ შვილი გარემოცულია სისტემური მზრუნველობითა და სიყვარულით, მაშინ მშობლიური სიყვარულის ასეთი გამოვლენა ბავშვში იწვევს საკუთარი მე-ს ღირებულების განცდას. როცა ბავშვები ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ დედასთან და მამასთან ერთად, ისინი ბევრ რამეში ბაძავენ მათ, ღებულობენ მათგან მაგალითს. ასეთ ოჯახებში ბავშვები გაუცნობიერებლად ემსგავსებიან საყვარელ მშობლებს და შედეგად თავად ხდებიან მოსიყვარულენი.

4. აპოლოგია აღზრდაში:

ძალიან ცუდია, როცა ბავშვის სიყვარულით „დაბრმავებული“ მშობლები აზვიადებენ ბავშვის ნიჭსა და უნარს. ისეთ თვისებებს მიაწერენ მას, რაც მას არ გააჩნია, თანაც ყველაფერი ეს ხდება შვილის თანდასწრებით, თანდათანობით კი ბავშვს, მართლაც, უყალიბდება გადაჭარბებული შეხედულება საკუთარ თავზე, ხდება პრეტენზიული და, როცა სინამდვილეში ეს არ მართლდება, მოსდის კონფლიქტი, უჭირს შეეგუოს იმ სოციალურ გარემოს, სადაც მის უნარ-ჩვევებს სწორად აფასებენ. ო. რულიე (1997) ამბობდა, რომ: ბავშვი, რომელსაც დასაწყისში ყოველივე ამის სჯერა, თანდათანობით იქცევა, თავმომწონე, თავდაჯერებულ პრანჭიად ან უსირცხვილო, გონებაშეზღუდულ მკვებარად, რომელიც იმდენად სასაცილოა თავის თავზე შეხედულებაში, რამდენადაც უსიამოვნო საკუთარ თავდაჯერულობასა და ბაქიაობაში (8: გვ. 215).

ზოგჯერ მშობელი შეგნებულად უფითარებს ბავშვს მიუღებელ ჩვევას, რომელიც შემდეგ ხასიათის თვისებად იქცევა. გ. ვეიმერი (1968) ამბობდა, რომ მახსენდება დედა, რომელსაც უხაროდა, როცა მისი პირმო პაწია ხელებით სცემდა ლოყაზე მასაც და გარეშეებსაც. ის ამაში ხედავდა ბავშვის ცნობიერებაში თავისი ძალის შეგნების გაღვიძების ნიშანს და სიამაყით ფიქრობდა, რომ მისი ბიჭი თავს არავის დააჩაგვრინებდა და, მართლაც, ის არავის აჩაგვრინებდა თავს, ექვსი წლისა ის სცემდა და ეჯიკავებოდა დედას, როცა სურვილს არ უსრულებდა (9: გვ. 344).

5. ბავშვის განებივრება:

ხშირია, როცა მშობელი ყოველგვარ საოჯახო საქმეს თვითონ აკეთებს, რადგან შვილები ეცოდება არ დაილაღონ, სიბერის დროს კი ეს შვილები ეგოისტურად ექცევიან, მოსამსახურედ ჰყავთ მშობლები და უმნიშვნელო პროტესტზე შეურაცხყოფასაც კი აყენებენ, ისინი თვლიან, რომ ასე უნდა მოექცნენ ავადმყოფ და უძლურ მშობლებს, რადგან მოხუცი მშობლები „სიცოცხლეს უმწარებენ“ შვილებს. აი ასეთი მწარე სიბერე ერგება მას, ვინც შვილებს სათანადოდ ვერ აღზრდის, ვერ ასწავლის ავისა და კარგის გარჩევას, არ აღზრდის რელიგიურად. აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს ყოველთვის ასეთი შედეგი მოჰყვება. როგორც ვხედავთ გადაჭარბებული ზრუნვა და განებივრება ფსიქიკურად ამახინჯებს ბავშვს.

ამდენად, ზოგადად შეეცხეთ ოჯახის გავლენას ბავშვის აღზრდაზე როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგებით სხვადასხვა კონტექსტში. ისინი, რა თქმა უნდა, მიზეზთა სრული ჩამონათვალი არ არის. აღზრდა ყველაზე რთული პროცესია, შეცდომის დაშვება კი ყოველთვის ნეგატიური შედეგით მთავრდება. მართალია, ვისაც შვილი ჰყავს, ყველა მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი აღმზრდელი როდია. აღზრდა ყველაზე უფრო მრავალმხრივი, რთული და საპასუხისმგებლოა, ვიდრე ადამიანის მიერ ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

ლიტერატურა:

1. ნიკოლაძე ნ., „ახალგაზრდობის აღზრდა“, ჟურნალი, „კრებული“, №5-6, 1873.
2. მალაზონია შ., „პედაგოგიკა“, თბ., 2001.
3. ხუხუა გ., „პედაგოგიკა“, თბ., 2009.
4. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., „განვითარებისა და სწავლის თეორიები“, 2011.
5. თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, ტ. 3, თბ., 1979.
6. ზახაროვი ა., ოჯახური აღზრდის დეფექტები, ლენინგრადი, 1974.
7. ნადირაშვილი შ., სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები, 2000.
8. რულიე ო., ბავშვის აღზრდა, მოსკოვი, 1997.
9. ვეიმერი გ., ოჯახური აღზრდა, მოსკოვი, 1968.

ქართული ლიტერატურის სწავლების პრობლემურ სიტუაციათა ანალიზი

ნაირა მძინარაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ნელი ჭამპურიძე, პროფესორი

თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქტიური, უნდა იყოს. სწავლების ტრადიციული მეთოდები სასწავლო პროცესის ცენტრალურ ფიგურად მასწავლებელს გულისხმობს. მასწავლებელი არის ცოდნის ძირითადი წყარო, ის სვამს ამოცანებს, წყვეტს პრობლემებს, აკეთებს დასკვნებს და ყველაფერს მზა სახით აწვდის მოსწავლეს. ინტერაქტიური მეთოდიკა კი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ცენტრში იმყოფება და აქტიურად მონაწილეობს ყველა სასწავლო მოქმედებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდიკა ემსახურება ბავშვის შინაგანი ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას.

მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურის პრობლემურ სწავლებას. უპირველეს ყოვლისა, ამ დროს ხდება ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების, სინამდვილის მხატვრული ასახვის, მხატვრული ნაწარმოების ანალიზის ხერხების შემოქმედებითი შეთვისება, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოსწავლეების ესთეტიკურ აღზრდაში, აგრეთვე ეთიკისა და მორალის იმ ძირითადი ნორმების ფორმებში, რის საშუალებასაც იძლევა ლიტერატურის კურსი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ლოგიკური ხერხებითა და მეთოდებით ოპერირების ჩვევების აღზრდა სინამდვილის მხატვრული ასახვის ხერხებთან კავშირში და ბოლოს, დიალექტიკური აზროვნების ცალკეული საგნებისათვის. „დღეს მშობლიური ენის პრაქტიკულ, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სწავლებას ალტერნატივა არ აქვს“. [მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, 2006: 4]

ლიტერატურული სასწავლო პრობლემის ერთი დამახასიათებელი არსებითი ნიშანი, როგორც ამ საგნის მეცნიერი მეთოდისტები მიუთითებენ, ისაა, რომ ლიტერატურული პრობლემა არა მარტო ამოიხსნება და გადაიჭრება, არამედ განიცდება კიდევ. ამ მომენტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ განცდა ინდივიდუალურია, მოსწავლეთა მიერ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება არაერთმნიშვნელოვანი იყოს. ლიტერატურის სპეციფიკა, მხატვრული სახის მრავალპლანიანობა, აზრთა და ასოციაციათა განსხვავებულ მიმდინარეობას განაპირობებს. „მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიმართულებებია: ზეპირმეტყველება, მოსმენა, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება, ამ მიმართულებათა დაუფლებით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ეფექტურად გამოიყენონ მშობლიური ენა ნაირგვარი საკომუნიკაციო და შემოქმედებითი მიზნის შესაბამისად“ [მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, 2006: 6]. ლიტერატურული ტექსტის სუბიექტური, ინდივიდუალური აღქმის შესაძლებლობა ძალიან ხშირად ხდება მიზეზი პრობლემური სიტუაციის წარმოქმნისა.

ზოგადად ლიტერატურისათვის შეიძლება გამოვეყოთ პრობლემურ სიტუაციათა ორი განსახილველი ჯგუფი:

- პრობლემური სიტუაციის წარმოქმნა დაკავშირებულია მასალის სუბიექტურ აღქმასთან;
- პრობლემური სიტუაციის შექმნა განპირობებულია წინააღმდეგობის აღმოჩენით შესასწავლ მოვლენაში.

როდესაც ვითვალისწინებთ ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მკვლევართა რეკომენდაციებს, ლიტერატურის სწავლებისათვის პრობლემურ სიტუაციათა წარმოქმნის შემდეგ ჯგუფებს გამოვეყოფთ:

- პრობლემური სიტუაციები, რომლებიც უკავშირდება სახეებისა და ხასიათების ანალიზს;
- პრობლემური სიტუაციები, რომლებიც ნაწარმოების იდეურ-მხატვრული პრობლემატიკით საზრდოობენ;

თითოეულ გამოყოფილ ჯგუფში თავს იყრის კონკრეტული პრობლემური სიტუაციები, რომლებიც წინ წამოსწევენ მხატვრული ნაწარმოების ამა თუ იმ ასპექტს.

პირველი ჯგუფისათვის ყველაზე დამახასიათებელია ისეთი პრობლემური სიტუაციები, რომლებიც იქმნება:

- ა) წინააღმდეგობით პერსონაჟის ლოგიკასა და მოქმედებას შორის;
- ბ) სახეთა განსხვავებული ინტერპრეტაციით;

გ) ერთი და იმავე პრობლემის განსხვავებული განცდით;

დ) სხვადასხვა ნაწარმოების გმირების შეპირისპირებით.

მეორე ჯგუფისათვის შესაძლებელია რამდენიმე გავრცელებული პრობლემური სიტუაციის გამოყოფა:

- ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კონცეფციის განსხვავებული გააზრება და წარმოქმნილი წინააღმდეგობის დასაბუთებული ამოხსნა;
- ნაწარმოების დაკავშირება ეპოქასთან: მხატვრული ტექსტის პრობლემის შედარება-შეპირისპირება იმ საკითხებთან, რომლებიც აღელვებდათ ადამიანებს კონკრეტულ ისტორიულ დროში;
- მწერლის შემოქმედების დანიშნულების განსაზღვრა, მისი ესთეტიკური პოზიციის გამოკვეთა სხვა შემოქმედთან შეპირისპირებით.

მხატვრულ ნაწარმოებთან ტექსტუალური დამუშავების დიდაქტიკური და მეთოდური საკითხების შესწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ისტორიულად ის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომელთა საფუძველზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების კვლადაკვალ თანდათან ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა საკითხავი ლიტერატურული ტექსტის პედაგოგიკური თვალსაზრისით მოდიფიკაციის საკითხი.

იმ შინაგანი ფაქტორებიდან, რომელთა გავლენითაც, ჩვენი აზრით, თავდაპირველადვე ერთგვარი გეგმაზომიერი შინაარსი უნდა მისცემოდა საკითხავი ლიტერატურული ტექსტის პედაგოგიზაციას, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ სკოლა. სკოლა, – აღნიშნავდა კ. კეკელიძე, – წარმოადგენდა „ისეთ დაწესებულებას, რომელიც მონასტრებ-ეკლესიებთან, სამღველმთავრო კათედრებთან თუ სრულიად განცალკევებით, მუდამ აღვივებდა კულტურის ნაპერწკალს.“ უძველესი წერილობითი ცნობები ქართული სკოლისა და მისი საქმიანობის შესახებ განეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს. ამის გამო ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ლიტერატურული მასალის, მათ შორის საბავშვო საკითხავი მასალების ტექსტობრივი დამუშავების დიდაქტიკური და მეთოდური ცოდნის ჩასახვისა და განვითარების გზა დავიწყოთ ამ საუკუნით. ასეთი სკოლის ჩამოყალიბება უსათუოდ გულისხმობს თვით კოლხეთის ტერიტორიაზე ქართული ტომების ჯეროვან ეკონომიკურსა და კულტურულ განვითარებას, რომლის საფუძველზე უნდა შექმნილიყო პირობები IV საუკუნეში კოლხეთში რიტორიკული სკოლის დაარსებისათვის. კოლხეთში, – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – „ელინური სწავლა-განათლებისათვის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩენილა.“

კოლხეთის რიტორიკული სკოლის ისტორიასთან დაკავშირებით, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა შინაარსის სასწავლო-საგანმანათლებლო ამოცანები იდგა ამ სკოლის წინაშე, რა საგნები ისწავლებოდა, როგორ იყო აგებული პედაგოგიკური პროცესი ამა თუ იმ საგნის სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა.

ამასთან საყურადღებოა ის, რომ იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, იოანე ზოსიმესა და მიქაელ მოდრეკილის წერილობით თხზულებებში შემონახული დიდაქტიკური და მეთოდური ხასიათის ზოგადი მითითებანი საკითხავი მასალის გაცნობა-შესწავლის შესახებ უთუოდ შორდება საერთოდ ტექსტზე მუშაობის ვიწრო პრაქტიკულ მიზანდასახულობას. ასე რომ, ქართული მწერლობის განვითარების პირველი პერიოდის მეორე ნახევარში გამოყენებული სწავლების პრაქტიკა მთავარ ყურადღებას აქცევს არა მარტო ამა თუ იმ ტექსტის შინაარსის გაგება-ათვისებას, არამედ ისეთ წმინდა სასწავლო-საგანმანათლებლო საკითხებსაც, როგორცაა: საკითხავ ლიტერატურულ მასალაში ასახული ძირითადი ამბისადმი მკითხველთა წინასწარ მომზადებული, ერთგვარი ცნობიერი დამოკიდებულება, გასაცნობი მასალის იდეურ-შინაარსობრივი თავისებურებების გარკვეული მსოფლმხედველობრივ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამოყენება, დაუცხრომელი ზრუნვა მკითხველთა ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის და სხვა. ტექსტზე მუშაობის ასეთი მოთხოვნა უდავოდ ხელს უწყობდა მკითხველთა სათანადო სასწავლო-საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: ქართული ენის სიყვარულის აღზრდას. ლოგიკური აზროვნების სრულყოფას და სხვა.

XIX საუკუნის ბოლოს დიდი ქართველი პედაგოგი შენიშნავდა: „ზურგი უნდა ვაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნისას. ხოლო ამ გვარს ცოდნას იძლევა ესრედ წოდებული რეალური სისტემა განათლებისა“ [გოგებაშვილი, 1990:72].

დღეს ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში ძირითადად გამოიყენება ინტერაქტიული სწავლება. ინტერაქტიული სწავლების დროს (ჯგუფებში, წყვილებში, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ პროექტებზე მუშაობისას) ხშირად ერთმანეთის გვერდით გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგიები: ბლუმის ტაქსონომია, ვენის დიაგრამა, გონებრივი იერიში, პაუზებით კითხვა, აზრობრივი რუკა, ურთიერთსწავლება, მოთელვა, დისკუსია, კითხვა როლებში, სამსაფეხურიანი ინტერვიუ და სხვა. ზემოთ დასახელებული მეთოდების, ხერხების, სტრატეგიების გამოყენება ქართული ლიტერატურის სწავლებისას იწვევს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარებას. ინტერაქტიული სწავლების დროს ხდება თითოეული მოსწავლის პიროვნული „მე“-ს განვითარება. ჯგუფური მუშაობის შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციის დატვირთვა.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურის სწავლება კრიტიკული აზროვნების, კონკრეტული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების, ამოცანების გადაწყვეტისადმი კონსტრუქციული მიდგომის უნარებისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდას.

ლიტერატურა:

1. მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2006.
2. ი. გოგებაშვილი, ტ. II, თბ., 1990.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სასწავლო გეგმა, თბ., 2008.
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008.
5. ვებ გვერდი, <http://www.ascd.org>

სიტყვათა განლაგება წინადადებაში და მისი სწავლება დაწყებით კლასებში

ლიკა ცერაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მზია ზანგალაძე, პროფესორი

სიტყვათა განლაგების მიხედვით ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ მხრივ, ჩვეულებრივ, ენათა ორ წყებას გამოყოფენ: ენები, რომლებშიც სიტყვათა განლაგება თავისუფალია და ენები, რომელთაც მყარი განლაგება ახასიათებთ.

სიტყვათა რიგი ზოგ ენაში თავისუფალია, ზოგში - არა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მდიდარია ენა სიტყვის მიმოსახრელი აფიქსებით, ე.ი. ისეთი თავსართ-ბოლოსართებით, რომელთა მეშვეობითაც მყარდება ურთიერთკავშირი სიტყვებს შორის. უაფიქსო ან აფიქსებით ღარიბ ენებში სიტყვის ფუნქციას განსაზღვრავს მისი ადგილი წინადადებაში. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, სიტყვათა რიგი თავისუფალი ვერ იქნება; აფიქსებით მდიდარ ენებში კი სიტყვათა შორის სინტაქსურ კავშირს აფიქსები ამყარებენ და რიგს ამ მხრივ ნაკლები მნიშვნელობა აქვს - სიტყვათა გადაადგილება თავისუფლად შეიძლება. ეს თავისუფლება ფართოდ გამოიყენება სტილისტიკური მიზნებისათვის.

ამრიგად, **სიტყვათა განლაგებას ამა თუ იმ ენაში განსაზღვრავს გრამატიკული ან სტილისტიკური ფუნქციები.**

ქართული ენა, როგორც ვიცით, მდიდარია თავსართ-ბოლოსართებით. წინადადების წევრთა შორის გრამატიკული კავშირი ემყარება, ერთი მხრივ, ქართული ზმნის მრავალპირიანობასა და მდიდარ მორფოლოგიურ სტრუქტურას, მეორე მხრივ კი - სახელთა ბრუნების მკაფიო სისტემას, ხოლო სიტყვათა განლაგება თავისუფალია და ერთ მტკიცე წესს არ მისდევს. მიუხედავად ამისა, სრულ თავისუფლებაზე ლაპარაკი მაინც შეუძლებელია. ჯერ ერთი, არაიშვიათად სიტყვათა განლაგებით წინადადების აზრი ძირითადად უცვლელი რჩება, შეინიშნება სხვაობა აზრობრივი ნიუანსების მხრივ. ლოგიკური მახვილი სხვა სიტყვაზე გადადის, ირღვევა სტილის ბუნებრიობა და სხვა.

„სიტყვათა რიგის დაცვას წინადადებაში მოსწავლე (ზეპირ მეტყველებაში) პრაქტიკულად მოსამზადებელი კლასიდანვე ეჩვევა მასწავლებლის გონივრული ხელმძღვანელობით. II კლასიდან კი მას სისტემატური ყურადღება ექცევა როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში. ამის საფუძველს იძლევა მეტყველების ნაწილებისა და წინადადების წევრების ნაწილობრივ შესწავლა. ამ საფეხურზე მოსწავლემ რამდენადმე იცის - რომელი სიტყვა რომელ სიტყვას უნდა მოსდევდეს და ხსნიდეს წინადადებაში. ეს საკმაო „თეორეული“ საფუძველია იმისა, რომ მიღებული ცოდნის ბაზაზე მივცეთ II კლასის მოსწავლეებს მარტივ წინადადებაში სიტყვათა სწორად დალაგების ელემენტარული ჩვევა“ [2, 98]. მოსწავლეებს ვუსახელებთ წინადადებას, რომელიც გარკვეული რიგითაა დალაგებული. მაგ: „პატარა ნინო ბოსტანს უვლის.“ დავაკვირვებთ ამ წინადადებაზე, ვაანალიზებთ, რომ თუ სიტყვა „პატარას“ ადგილს შევუცვლით, სხვა აზრს მივიღებთ. მაგ.: „ნინო პატარა ბოსტანს უვლის.“ კიდევ რომ ადგილი

შეუცვალთ სიტყვა „პატარას“, აზრი ბუნდოვანი გახდება; მაგ.: „ნინო ბოსტანს პატარა უვლის.“ ამ წინადადებაზე დაკვირვებით მოსწავლეები მიხვდებიან, რომ აუცილებელია, წინადადებაში სიტყვები გარკვეული რიგით დავალაგოთ. ამ ცოდნის განმტკიცების მიზნით შეგვიძლია მივცეთ დავალაგებად წინადადებები, რომლებშიც სიტყვები იქნება არეული და ვთხოვთ, ეს სიტყვები ისე დავალაგოთ, რომ გამართული წინადადებები მიიღონ. მაგ.:

1. ფოთლები მწვანე შრიალებს. (მწვანე ფოთლები შრიალებს)
2. სწრაფად მდინარე მიდის. (მდინარე სწრაფად მიდის)
3. მთა თეთრწვეტა მაღალი მოჩანს. (მაღალი თეთრწვეტა მთა მოჩანს)
4. მკრთალად მთვარე ღრუბლებში ანათებს. (მთვარე ღრუბლებში მკრთალად ანათებს)

ამ მცირე დაკვირვებიდან ერთი საგულისხმოდ დასკვნა გამომდინარეობს:

ქართულში წინადადების მთავარი წევრები უფრო ადვილად იცვლიან ადგილებს, ვიდრე არამთავარი წევრები.

გვაქვს ერთგვარი შეზღუდვა, ე.ი. სიტყვათა რამდენიმე მყარი წყობა გარკვეული შემთხვევებისათვის. მაგალითად, განსაზღვრება ახალ ქართულში ჩვეულებრივ საზღვრული წევრის წინ დგას. რასაც პრეპოზიციური წყობა ჰქვია. მოსწავლეებს დავასახელებინებთ სათანადო წინადადებებს და გავანალიზებინებთ, რომ სტილისტურად შედარებით გამართულია, მაგრამ გვხვდება შემთხვევები იშვიათად, ისიც პოეზიაში, როცა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ანუ პოსტპოზიციური წყობაა. ზედსართავი სახელი არსებითს საზღვრავს, ამიტომ მას **მსაზღვრელი** ჰქვია, არსებითს კი - **საზღვრული**. მაგ: **ლამაზი ბავშვი**. აქ მსაზღვრელია ლამაზი, საზღვრული - ბავშვი. „განსაზღვრებისა და საზღვრულის იმ წყობას, რომელიც გაბატონებულია და ჩვეულებრივი თანამედროვე ქართულში, პირდაპირი ჰქვია, ხოლო იმ წყობას, რომელიც იშვიათად იხმარება - ინვერსიული ანუ შებრუნებული“ [1, 198]. ვასახელებინებ მოსწავლეებს სათანადო მაგალითებს და გამოგვაქვს ერთად დასკვნა, რომ განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული წევრის წყობა ორგვარია: პირდაპირი და ინვერსიული. დავაკვირებ მოსწავლეებს, რომ განსაზღვრება - პრეპოზიციური თუ პოსტპოზიციური, ჩვეულებრივ, უშუალოდ ეკვრის საზღვრულ წევრს. როგორცაა: „**მარინეს ძმა დაულაღავი მონადირე იყო**“; „**ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა**“; „**ფოთლებიდან წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა**“. შემდეგ ვასახელებ წინადადებას -, „მთათ რომ შეხედა მაღალთა, დაიქვითინა მწარედა“ და ვაძებნინებ მოსწავლეს ჯერ მსაზღვრელსა და შემდეგ საზღვრულ სიტყვებს, ვაკვირებ და ვანალიზებინებ, თუ წინადადების რა ადგილზეა თითოეული მოქცეული. აქვე ვაკეთებინებ დასკვნას, რომ მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია.

„წინადადებაში ზოგჯერ წარმოდგენილია განსაზღვრება, საზღვრული წევრი კი გამოტოვებულია, მაგრამ ტექსტის მიხედვით ადვილად იგულისხმება“ [1, 202]. სათანადო მაგალითს მასწავლებელი უსახელებს („წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს“) და თვითონვე სათანადოდ აანალიზებს, რათა მოსწავლეებს შესაძლებელია გაუჭირდეთ და დიდი დრო დაიკარგოს.

„წინადადებაში განსაზღვრება შეიძლება იყოს განმარტოებულად, ე.ი. მისი საზღვრული წევრი გამოტოვებულია. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა საზღვრულის განმეორება არ სურთ და მას სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე. განმარტოებული შეიძლება იყოს სუბსტანტიური განსაზღვრება“ [3, 144]. მაგ. „შე უბედურის დღისავ“.

ხდება მოსწავლეთა დაკვირვება იმ შემთხვევაზეც, როცა საზღვრულ წევრს ორი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს, სადაც ორგვარი წყობაა:

1. ორ ატრიბუტულ განსაზღვრებათაგან ერთი უსწრებს საზღვრულს, მეორე კი მოსდევს **„ნელად მოღელავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა“**;

2. ორივე ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრული წევრის წინაა, პრეპოზიციურია.

ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებიდან ირკვევა, რომ წყობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა პრეპოზიციური წყობა გვაქვს, მაშინ მსაზღვრელი თითქმის უბრუნველია, მხოლოდ რამდენიმე ბრუნვაში აქვს ნიშანი (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში) შერჩენილი. მაგრამ, თუ გათიშულია ანდა წყობა შებრუნებულია, მაშინ მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს. მაგ.: სახლი პატარა, სახლმა პატარამ, სახლს პატარას და ა.შ.

ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმდებარებით გადმოცემული - მეორე ადგილზე. მაგ. „**დათვმა ორი პატარა ბოკვერი გამოიყვანა**“; „**ერთი გამძლარი სვავი კლდის თავზე იჯდა**“; „**ჩვენი პატარა მდინარე მრისხანედ აბურცდა**“ [5, 202].

წინადადება, როგორც ვიცით, მოდალობისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებისათვის წინადადებაში. ის, რაც ერთი ტიპისათვის

ბუნებრივია და ჩვეულებრივი, მეორისათვის შეიძლება სრულიად უჩვეულო იყოს. თვით ერთი ტიპის წინადადებაში, მაგალითად, მარტივ თხრობით წინადადებაში არ შეიძლება სიტყვათა განლაგების საკითხი ერთნაირად იდგეს უქვემდებარო ან ერთ, ორ და სამპირიან ზმნათა შემცველ წინადადებაში. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია კლასში ცალ-ცალკე იქნეს განხილული სხვადასხვა ტიპის წინადადებებში სიტყვათა განლაგება.

მაგალითად ავიღოთ მარტივი თხრობითი წინადადება. **„ერთხელ პატარა ვანომ ჩიტი დაიჭირა“**. ამ წინადადებაში სულ ხუთი წევრია: ქვემდებარე (ვანომ), შემასმენელი (დაიჭირა), პირდაპირი დამატება (ჩიტი), განსაზღვრება (პატარა) და დროის გარემოება (ერთხელ). როგორც ვხედავთ, შემასმენელი წინადადების ბოლოშია მოქცეული, უშუალოდ მის წინ მოთავსებულია დამატება, შემდეგ - ქვემდებარე, რომელსაც წინ უძღვის მსაზღვრელი სიტყვა ანუ განსაზღვრება, ხოლო წინადადების თავში დგას დროის გარემოება. ეს არის ამ ტიპის წინადადებისათვის ყველაზე ბუნებრივი წყობა. ეს ბუნებრიობა შეიძლება შევცვალოთ უმნიშვნელოდ, თუ დროის გარემოებას გადმოვიტანთ ქვემდებარის შემდეგ: **„პატარა ვანომ ერთხელ ჩიტი დაიჭირა.“**

ხოლო თუ იმავე სიტყვას (**„ერთხელ“**) წინადადების ბოლოში მოვაქცევთ, მაშინ კი ფრაზის ბუნებრიობა დაირღვევა. მაგ: **„პატარა ვანომ ჩიტი დაიჭირა ერთხელ“**.

შინაარსის ასეთივე თვალსაჩინო ცვლილებას გამოიწვევს განსაზღვრების ადგილის შეცვლა, მაგ: **„ერთხელ ვანომ პატარა ჩიტი დაიჭირა“**. აქ უკვე ჩიტია პატარა და არა ვანო. სრულ უაზრობას მივიღებთ, თუ ქვემდებარესა და მის განსაზღვრებას გავთიშავთ სხვა სიტყვით (**ერთხელ**). მაგ: **„პატარა ერთხელ ვანომ ჩიტი დაიჭირა“**. ასევე სხვადასხვაგვარ შედეგს მოგვცემს წინადადების სხვა წევრთა ადგილის შეცვლაც.

დაწყებით კლასებში აუცილებელია, მოსწავლეები დავაკვიროთ უქვემდებარო წინადადებაში სიტყვათა განლაგებაზეც, სადაც შემასმენელს შეიძლება ახლდეს გარემოების სხვადასხვა სახე, იშვიათად უბრალო დამატებაც. ამ ტიპის წინადადებაში შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოშია, ხოლო გარემოება მის წინ დგას. მაგ. საშინლად ციოდა; თანდათან დაბნელდა; ოთახში ცხელოდა. აქვე დავძენთ, რომ შესაძლებელია, ორი ან მასზე მეტი სხვადასხვა სახის გარემოებაც გვქონდეს ერთდროულად. დავუწერ დაფაზე ადგილისა და ვითარების გარემოების შემცველ წინადადებას მაგ., „ტყეში თანდათან ჩამობნელდა“ და ვაჩვენებ, რომ შემასმენლის წინ ვითარების გარემოება დადგება, ხოლო ადგილის გარემოება თავში მოექცევა. გარემოება იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს შემასმენლის შემდეგაც, მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი განლაგება უფრო ბუნებრივია.

მოსწავლეებს ვასწავლი აგრეთვე უბრალო დამატებისა და გარემოების ადგილს სახელზმნის შემცველ წინადადებაშიც, რომ უბრალო დამატება და გარემოება, ცალკე თუ მიმყოლი სიტყვებითურთ სახელზმნის წინ დგას. ვუსახელებ წინადადებას („ლოუკა ძლიერ გამბედავი ბავშვი არის“; „შიშნულით შეწუხებული მგლები ყმუოდნენ“ [5, 94] და ვამსჯელებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გარემოება და უბრალო დამატება სახელზმნით გადმოცემულ წევრს ზოგჯერ ერთდროულად ახლავს. ამ შემთხვევაში სახელზმნის წინ ჩვეულებრივ გარემოება დგას, ხოლო ამ უკანასკნელის წინ – უბრალო დამატება. მაგ., „ღრუბლებისაგან სანახევროდ დაფარული მზე მცხრალად აშუქებდა“.

დავუსახელებ წინადადებებს მაგ. „ამ კლდესაც ხ ა ვ ე რ დ ი ვ ი თ მ წ ვ ა ნ ე ხავსი გადაჰკვრია“; **„ყ უ რ ძ ნ ი თ ს ა ვ ს ე** გოდრები ლამაზად გამოიყურებოდნენ“ და დავაკვირებ, რომ უბრალო დამატება და გარემოება ჩვეულებრივ უსწრებს სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ ზედსართავსაც და ზმნიზედასაც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სათანადო წინადადებებზე დაყრდნობით ვანალიზებინებ სიტყვათა განლაგებას ერთპირიანი ზმნების შემცველ წინადადებებში. მაგ., ქვემდებარე-შემასმენელი: „დედამიწა განათდა“. შემასმენელი-ქვემდებარე: „დადგა ზამთარი; ადგილის გარემოება-ქვემდებარე-შემასმენელი: „ტყეში ერთი მუხა იდგა“; ქვემდებარე-ადგ. გარემოება-შემასმენელი; „გუდამაყრელები მთაში მიდიოდნენ“; ვითარების გარემოება-ქვემდებარე-შემასმენელი: „ყველაზე უფრო მკაფიოდ ელიკოს ხმა ისმოდა“ და სხვა. ასევე ვმუშაობ და თვალნათელს ვხდი ორ და სამპირიანი ზმნების შემცველ წინადადებებში სიტყვათა განლაგებას.

როგორც ცნობილია, ქართული წინადადების ღერძი შემასმენელია. გრამატიკულად, აზრობრივად და ინტონაციურად ის წარმართავს მთელ წინადადებას. ზმნა-შემასმენლის პირიანობაზე არის დამოკიდებული მთავარ წევრთა რაოდენობა წინადადებაში: თუ ზმნა-შემასმენელი ერთპირიანია, წინადადებაში ორი მთავარი წევრი იქნება - ქვემდებარე და შემასმენელი; ზმნის ორპირიანობის შემთხვევაში მთავარი წევრები იქნება ქვემდებარე, შემასმენელი და პირდაპირი ან ირიბი დამატება; სამპირიანთან კი ორივე სახის დამატება არის დაკავშირებული და წინადადების მთავარ წევრთა რაოდენობა ოთხამდე იზრდება. მარტივ წინადადებაში შეუძლებელია, ოთხზე მეტი მთავარი წევრი იყოს.

როგორც მთავარ, ისე არამთავარ წევრებს, განსაზღვრების გარდა, უშუალო სინტაქსური კავშირი აქვთ შემასმენელთან. ბუნებრივია, რომ შემასმენლის პოზიციას არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი განლაგებისათვის.

„მართალია, ქართულში არა გვაქვს სიტყვათა ისე მკაცრად განსაზღვრული რიგი, როგორც სხვა ენებში (მაგ: ინგლისური), მაგრამ სიტყვათა ნებისმიერი რიგიც დაუშვებელია. მთავარია, აზრი იყოს ნათელი და დაცული იქნეს ენის ნორმები.“ [4, 302].

„წინადადებაში სიტყვათა რიგის დაცვის ამოცანა დაწყებით კლასში არ წყდება. სიტყვათა რიგის დაცვა დამოკიდებულია არა მხოლოდ გრამატიკული მასალის, გრამატიკული კატეგორიების ცოდნაზე, არამედ მოსწავლის საერთო აზროვნების კულტურაზე, მის საერთო განვითარებაზე. ამიტომ სიტყვათა რიგის დაცვას სისტემატური ზრუნვა ესაჭიროება მაღალ კლასებშიც, როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე წერით მეტყველებაში“ [2, 99].

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
2. რამიშვილი ვ., ქართული ენის გრამატიკის და მართლწერის დაწყებითი კურსის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხები, თბ., 1979.
3. ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთ., 1992.
4. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 2004.
5. ოსაძე ნ., ქართული ენა (პრაქტიკუმი სინტაქსში), თბ., 2003.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კვადრატული ფესვის ამოღება ნებისმიერი სიზუსტით

ნინო ბალიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე**, პროფესორი

ვთქვათ, მოცემულია ნამდვილ რიცხვთა $\{X_n\} \quad n=1,4$ მიმდევრობა. დავიწყით შემდეგი განსაზღვრებით:

განსაზღვრება 1. ვიტყვი, რომ ნამდვილ რიცხვთა $\{X_n\}$ მიმდევრობა კრებადია X ნამდვილი რიცხვისაკენ, თუ ნებისმიერი $\varepsilon > 0$ რიცხვისათვის არსებობს ისეთი ნატურალური $N = N(\varepsilon)$ რიცხვი, რომ დაწყებული $n > N$ რიცხვიდან სრულდება უტოლობა:

$$|X_n - X| < \varepsilon \quad n < N$$

X ნამდვილ რიცხვს $\{X_n\}$ მიმდევრობის ზღვარი ეწოდება და ასე წერენ $X_n \rightarrow X$, ან $\lim_{n \rightarrow \infty} X_n = X$

განსაზღვრება: $\{X_n\}$ მიმდევრობას ეწოდება ფუნდამენტური, თუ ნებისმიერი $\varepsilon > 0$ რიცხვისათვის არსებობს ნატურალური რიცხვი $N = N(\varepsilon)$ ისეთი, რომ ადგილი აქვს

$$|X_m - X_n| < \varepsilon \text{ უტოლობას, როცა } m > N \text{ და } n > N.$$

თეორემა. ყოველი კრებადი $\{X_n\}$ მიმდევრობა ფუნდამენტურია. შებრუნებული წინადადება არ არის საზოგადოდ სამართლიანი.

მაგალითი 1. ავიღოთ რაციონალურ რიცხვთა M სიმრავლე და განვიხილოთ რაციონალურ რიცხვთა მიმდევრობა

$$X_n = \left(1 + \frac{1}{n}\right)^n.$$

$$X_1 = \left(1 + \frac{1}{1}\right)^1 = 2 \quad X_2 = \left(1 + \frac{1}{2}\right)^2 \quad X_3 = \left(1 + \frac{1}{3}\right)^3 \dots$$

ცხადია, რომ მიმდევრობის ყოველი წევრი რაციონალური რიცხვია და ცნობილია, რომ

$$\lim_{n \rightarrow \infty} \left(1 + \frac{1}{n}\right)^n = e \text{ (ნებურის რიცხვი)}$$

e - ირაციონალური რიცხვია.

რადგან $\left(1 + \frac{1}{n}\right)^n$ რიცხვთა მიმდევრობა კრებადია e რიცხვისაკენ, ამიტომ $\left(1 + \frac{1}{n}\right)^n$ რიცხვთა მიმდევრობა ფუნდამენტურია.

ამგვარად $\left(1 + \frac{1}{n}\right)^n$ მიმდევრობა ფუნდამენტურია, მაგრამ M სიმრავლეში კრებადი არ არის.

მაგალითი:

წესი: მოცემულია X რიცხვიდან რომ ამოვიღოთ არითმეტიკული ფესვი $\frac{1}{10^n}$ სიზუსტით, ამისათვის X რიცხვი უნდა გავამრავლოთ 10^{2n} -ზე და $X \times 10^{2n}$ -დან ამოვიღოთ არითმეტიკული ფესვი მთელი სიზუსტით და ეს მიღებული რიცხვი გავყოთ 10^n -ზე.

ავიღოთ ირაციონალური რიცხვი $\sqrt{2}$. ჯერ ამოვიღოთ ფესვი მთელი სიზუსტით $1 < \sqrt{2} < 2$.

მერე ამოვიღოთ $\sqrt{2}$ -დან $\frac{1}{10}$ -ის სიზუსტით, ამიტომ ჯერ 2 გავამრავლოთ 10^2 -ზე, მივიღებთ 200 და 200-დან ამოვიღოთ ფესვი. ამისათვის მარჯვნიდან მარცხნივ დავყოთ ორ-ორად 2'00

ამოვიღოთ 2-დან ფესვი, ეს ტოლი იქნება 1-ის და ვწერთ $\sqrt{2'00} = 1$. მერე ვიღებთ 1-ის კვადრატს და ვაკლებთ 2-ს 1^2 -ს.

$$\sqrt{2'00} = 1$$

$$\begin{array}{r} - \\ 1^2 \\ \hline 1 \end{array}$$

შემდეგ ჩამოვიტანთ შემდეგ ორ ციფრს

$$\sqrt{2'00} = 1$$

$$\begin{array}{r} - \\ 1^2 \\ \hline 100 \end{array}$$

მარცხნიდან 1-ს ვამრავლებთ 2-ზე.

$$\sqrt{2'00} = 1$$

$$\begin{array}{r} - \\ 1^2 \\ \hline 100 \end{array}$$

მერე 2-ს მიუწეროთ რიცხვს 4 და მიღებულ რიცხვს 24-ს ვამრავლებთ 4-ზე და ვაკლებთ 100-ს.

$$\sqrt{2'00} = 1$$

$$\begin{array}{r} - \\ 1^2 \\ \hline 100 \\ 24 \left| \begin{array}{l} 100 \\ - \\ 96 \end{array} \right. \\ 4 \left| \begin{array}{l} 100 \\ - \\ 96 \end{array} \right. \end{array}$$

რიცხვ 4-იანს მივუწერთ 1-ს და მიღებულ რიცხვს 14-ს გავყოფთ 10-ზე. მივიღებთ 1,4.

ე.ი $\sqrt{2}$ -დან $\frac{1}{10}$ სიზუსტით იქნება 1,4.

$$X1 = 1,4 < \sqrt{2} < 2$$

$$X2 = 1,4 < \sqrt{2} < 1,5$$

$$X3 = 1,4 < \sqrt{2} < 1,42$$

ვაჩვენოთ ახლა, თუ როგორ უნდა ამოვიღოთ კვადრატული ფესვი უცხრილოდ.

ერთნიშნა რიცხვების კვადრატები უნდა გვახსოვდეს; მაშინ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\sqrt{36} = 6 ; \quad \sqrt{49} = 7 ; \quad \sqrt{64} = 8 ; \quad \sqrt{81} = 9.$$

ვთქვათ, ისევ საძიებელია $\sqrt{6084}$. რადგანაც $100 = 10^2 < 6084 < 10000 = 100^2$;

ამიტომ $10 < \sqrt{6084} < 100$.

მაშასადამე, $\sqrt{6084}$ არის ორნიშნა რიცხვი. ამ რიცხვის ათეულებისა და ერთეულების რიცხვი აღვნიშნოთ შესაბამისად X და y -ით, მაშინ $\sqrt{6084} = 10x + y$, საიდანაც

$$6084 = (10x + y)^2 = 100x^2 + 20xy + y^2 \quad (1)$$

(1) ტოლობის მარჯვენა ნაწილი გვიჩვენებს, რომ რიცხვი 6084 უნდა შეიცავდეს x^2 ასეულს მაინც. მაგრამ, 6084 შეიცავს 60 ასეულს; ამიტომ $x^2 \leq 60$.

ამრიგად, x ისეთი მთელი რიცხვია, რომლის კვადრატი არ აღემატება 60-ს. ამიტომ x უნდა იყოს ერთ-ერთი შემდეგი რიცხვებიდან: 7, 6, 5, 4, 3, 2, 1. ადვილად მისახვედრია, რომ $x = 7$, ე.ი. საძიებელი რიცხვის ათეულების რიცხვი ყოველთვის უდრის უდიდეს მთელ ფესვს ფესვქვეშა რიცხვს ასეულების რიცხვიდან.

თუ x -ის მნიშვნელობას შევიტანთ (1) ტოლობაში, მივიღებთ

$$6084 = 4900 + 2 \times 7y \times 10 + y^2$$

აქედან

$$6084 - 4900 = 1184 = 2 \times 7y \times 10 + y^2,$$

საიდანაც ჩანს, რომ 1184 შეიცავს $2 \times 7y$ ათეულს მაინც, მაგრამ 1184 შეიცავს 118 ათეულს. ამიტომ $2 \times 7y \leq 118$.

აქედან $y \leq \frac{118}{2 \times 7} \approx 8$

ამრიგად, საძიებელი რიცხვის ერთეულების რიცხვი ტოლია ან ნაკლებია იმ მთელ რიცხვზე, რომელიც მიიღება პირველი ნაშთის ათეულების რიცხვის გაყოფით გაორკეცებული ფესვის ათეულების რიცხვზე. თუ ეს განაყოფი 9-ზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ y -თვის უნდა ავიღოთ 9 ან 9-ზე ნაკლები.

y -თვის გვაქვს მნიშვნელობა, რომელიც 8-ს არ აღემატება; მაშასადამე, y -ს ექნება ერთ-ერთი მნიშვნელობა შემდეგი რიცხვებიდან:

$$8; 9; 7; 6; 5; 4; 3; 2; 1.$$

შევამოწმოთ ახლა, თუ რომელიმე მნიშვნელობაა ასადები y -თვის ვსინჯოთ ჯერ 8. ჩავსვათ (2) ტოლობაში y -ის ნაცვლად 8, გვექნება $2 \times 56 \times 10 + 64 = 1184$.

ამიტომ, y -ის მნიშვნელობა იქნება 8. ამრიგად, საძიებელი რიცხვის ათეულების რიცხვია 7, ერთეულების რიცხვი კი 8; მაშასადამე, $\sqrt{6084} = 78$.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ მთელი რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოღების შემდეგი წესი:

1. მოცემული მთელი რიცხვიდან კვადრატული ფესვი რომ ვიპოვოთ, უნდა დავყოთ იგი მუხლებად: მარჯვნიდან მარცხნივ ორ-ორი ციფრით თითო მუხლში. უკანასკნელ მუხლში შეიძლება იყოს ერთი ციფრიც. ეს უკანასკნელი მუხლი იქნება პირველი მუხლი მარცხნიდან მარჯვნივ.

2. პირველი მუხლით გამოსახული რიცხვიდან ამოვიღოთ კვადრატული ფესვი, მივიღებთ ფესვის პირველ ციფრს.

3. ფესვის მეორე ციფრის მოსაძებნად პირველ მუხლს გამოვაცლოთ ფესვის პირველი ციფრის კვადრატი, ნაშთს მივუწეროთ მეორე მუხლი და მიღებული რიცხვის ათეულების რაოდენობა გავყოთ ფესვის პირველ გაორკეცებულ ციფრზე. განაყოფის მთელი ნაწილი შეიძლება იყოს ფესვის მეორე ციფრი, რაც უნდა შევამოწმოთ.

4. ეს შემოწმება ასე უნდა ჩავატაროთ: ვერტიკალური ხაზის გარეთ (ნაშთიდან მარცხნივ) ვწერთ ფესვის გაორკეცებულ წინათ მოძებნილ რიცხვს და მას მარჯვნიდან მივუწერთ გამოსაცდელ ციფრს. ამ გზით მიღებულ რიცხვს გავამრავლებთ გამოსაცდელ ციფრზე. თუ ნამრავლი ნაშთს აღემატება, მაშინ გამოსაცდელი ციფრი უვარგისია და უნდა ვსინჯოთ შემდეგი, ნაკლები ციფრი. ამავე გზით ვიპოვიოთ ფესვის შემდეგ ციფრს.

5. თუ რომელიმე მუხლის ჩამოტანის შემდეგ მიღებული რიცხვის ათეულების რიცხვი გამოყოფე ნაკლები აღმოჩნდება. ე.ი. ნაკლები იქნება ფესვის გაორკეცებულ მოძებნილ ნაწილზე, მაშინ ფესვში უნდა ჩავწეროთ 0, ჩამოვიტანოთ შემდეგი მუხლი და განვაგრძოთ მოქმედება ჩვეულებრივად.

მაგალითი 1. ვიპოვოთ $\sqrt{7921}$ ფესვქვეშა რიცხვი დავყოთ მუხლებად შემდეგ გამოვიყენოთ ზემოთ მოყვანილი წესი. გვაქვს:

$$\sqrt{79'21} = 89$$

$$\begin{array}{r} 64 \\ 169 \overline{) 1521} \\ \underline{\dots 9} \overline{) 1521} \\ 0 \end{array}$$

მაგალითი 2. ვიპოვოთ $\sqrt{47133241}$, გვაქვს:

$$\begin{array}{r} \sqrt{4'71'332'41} = 2171 \\ 4 \\ \underline{41 \overline{) 71}} \\ \dots 1 \overline{) 41} \\ 427 \overline{) 303'2} \\ \dots 7 \overline{) 2989} \\ 4341 \overline{) 434'1} \\ \dots\dots\dots 1 \overline{) 4341} \\ 0 \end{array}$$

ფესვის მოძებნის პროცესის განხილვიდან ჩანს, რომ ფესვი შეიცავს იმდენ ციფრს, რამდენი მუხლიც არის ფესვქვეშ. თუ ფესვქვეშა რიცხვში ციფრთა რიცხვი ლუწია, მაშინ ფესვში ციფრთა რიცხვი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ფესვქვეშა რიცხვში. თუ ფესვქვეშა რიცხვში ციფრთა რიცხვი კენტია, მაშინ ციფრთა რიცხვი ფესვში უდრის იმ რიცხვის ნახევარს, რომელსაც მივიღებთ, როცა ფესვქვეშა რიცხვის ციფრთა რიცხვს გავადიდებთ ერთით მიახლოებითი კვადრატული ფესვები სიზუსტით 1-მდე.

თუ a რაიმე დადებითი რიცხვია, რომელიც კვადრატს არ წარმოადგენს, მაშინ მთელ დადებით K რიცხვს ეწოდება \sqrt{a} რიცხვის მნიშვნელობა სიზუსტით 1-მდე ნაკლებობით, $K+1$ რიცხვს კი \sqrt{a} რიცხვის მნიშვნელობა სიზუსტით 1-მდე მეტობით, თუ $K^2 < a < (k + 1)^2$.

თეორემა 10. რომ ვიპოვოთ \sqrt{a} სიზუსტით 1-მდე ნაკლებობით ან მეტობით, საკმარისია ვიპოვოთ კვადრატული ფესვის მნიშვნელობა სიზუსტით 1-მდე a რიცხვის მთელი ნაწილიდან.

დამტკიცება. ვთქვათ, N არის a რიცხვის მთელი ნაწილი. მაშინ $a = N + \beta$. სადაც β ერთზე ნაკლები დადებითი რიცხვია. დავუშვათ, რომ K არის \sqrt{N} რიცხვის მნიშვნელობა სიზუსტით 1-მდე ნაკლებობით, მაშინ $K^2 \leq N < (k + 1)^2$. აქ გამორიცხული არ არის შემთხვევა, როცა N წარმოადგენს ზუსტ კვადრატს. ცხადია, რომ $(k + 1)^2 - K^2 = 2k + 1 \geq 1$; ტოლობას ადგილი ექნება, როცა $K = 0$. შემდეგ, რადგანაც β ერთზე ნაკლები დადებითი რიცხვია,

$$\text{ამიტომ } K^2 < N + \beta < (k + 1)^2$$

თეორემა დამტკიცებულია. ფესვის მიახლოებითი მნიშვნელობა ჩაიწერება ასე: $\sqrt{21} \approx 4$ (ნაკლებობით), $\sqrt{21} \approx 5$ (მეტობით).

მიახლოებითი კვადრატული ფესვი გამოითვლება იმგვარადვე, როგორც ზუსტი კვადრატული ფესვი. ვუჩვენოთ ეს მაგალითზე. ვთქვათ საძიებელია რიცხვიდან 1867 კვადრატული ფესვი. გამოთვლა ვაწარმოოთ იმავე წესით, როგორც წინა პარაგრაფში.

$$\sqrt{18,67} = 43$$

16
 83 | 26'7
 ..3 | 249

18

როგორც ვხედავთ, თუ ვიგულისხმებთ განაყოფს სამის ტოლად და გამყოფს სამზე გავამრავლებთ (მასზე 3 ერთეულის მიწერის შემდეგ), ვღებულობთ რიცხვს, რომელიც გასაყოფზე ნაკლებია. თუ ავიღებთ რიცხვს 4, მივიღებთ რიცხვს, რომელიც გასაყოფზე მეტია. ეს სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ 1867 არ წარმოადგენს ზუსტ კვადრატს. ერთდროულად ვიპოვეთ მიახლოებითი კვადრატული ფესვები 1867-დან; ესენია 43 და 44. მართლაც,

$$43^2 = 1849, \quad 44^2 = 1936.$$

და

$$1849 < 1867 < 1936.$$

მიახლოებით ფესვი ნაკლებობით წარმოადგენს კვადრატულ ფესვს უდიდესი მთელი კვადრატიდან, რომელიც ნაკლებია ფესვექვეშა რიცხვზე. ამოვიღოთ კვადრატული ფესვი სიზუსტით 1-მდე შემდეგი რიცხვებიდან:

1. $\sqrt{4250}$, $\sqrt{2440}$, $\sqrt{2193}$, $\sqrt{3813}$.

2. $\sqrt{3917}$, $\sqrt{4025}$, $\sqrt{4321}$, $\sqrt{2964}$.

რიცხვიდან მიახლოებითი კვადრატული ფესვის ამოღება სიზუსტით ფესვი $\frac{1}{10^n}$ -მდე ვთქვათ, მოცემულია რაიმე დადებითი A რიცხვი. მიახლოებითი კვადრატული ფესვი A რიცხვიდან სიზუსტით $\frac{1}{10^n}$ -მდე ეწოდება ისეთ ორ დადებით რაციონალურ r_1 და r_2 რიცხვს, რომელთა სხვაობაა $\frac{1}{10^n}$ და რომელთა კვადრატებს შორის მოთავსდება A რიცხვი. თუ r_1, r_2 , მაშინ r_1 -ს ეწოდება A რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა ნაკლებობით $\frac{1}{10^n}$ - მდე, ხოლო r_2 - ს ეწოდება A რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა მეტობით $\frac{1}{10^n}$ - მდე. მაგალითად $\sqrt{3}$ რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა ნაკლებობით $\frac{1}{10^3}$ -მდე არის 1, 732, მეტობით კი - 1, 733.

წესი. მოცემულია რიცხვიდან $\frac{1}{10^n}$ -მდე სიზუსტით კვადრატული ფესვის ამოსაღებად საჭიროა მოცემული რიცხვი გავამრავლოთ 10^{2n} - ზე და ნამრავლიდან სიზუსტით 1-მდე ამოღებული კვადრატული ფესვი გავყოთ 10^n - ზე.

მაგალითი. ვთქვათ, საჭიროა ამოვიღოთ კვადრატული ფესვი 7-დან სიზუსტით $\frac{1}{100}$ -მდე. წესის თანახმად, $\sqrt{7'00'00} = 264$.

$$\begin{array}{r} 4 \\ \hline 46 \mid 30'0 \\ 6.. \mid 276 \\ \hline 524 \mid 2'40'0 \\ 4.... \mid 2096 \\ \hline 304 \end{array}$$

ამრიგად, კვადრატული ფესვი 70000-დან სიზუსტით 1-მდე არის ნაკლებობით 264, ხოლო მეტობით - 265, მაშასადამე

$$\sqrt{7} \approx \frac{264}{100} = 2, 64 \text{ (ნაკლებობით } \frac{1}{100} \text{ -მდე), ხოლო}$$

$$\sqrt{7} \approx 2, 65 \text{ (მეტობით } \frac{1}{100} \text{ - მდე).}$$

განსაზღვრა. ყოველ უსასრულო არაპერიოდულ ათწილადს ირაციონალური რიცხვი ეწოდება. მოცემულია ირაციონალური რიცხვი, ეს იმას, რომ მოცემულია რაიმე წესი, რომლის საშუალებითაც შეიძლება დავასახელოთ ამ რიცხვის ნებისმიერი ათწილადი ნიშანი.

თუ მოცემულია რაციონალური ან ირაციონალური რიცხვის გამომსახველი ათწილადში. შევჩერდებით რომელიმე ათობით ნიშანზე, მივიღებთ მოცემული რიცხვის მიახლოებით მნიშვნელობას ნაკლებობით 0,1-მდე; 0,01-მდე; ნიშანს 1-ით გავადიდებთ, მივიღებთ მოცემული რიცხვის მიახლოებით

მნიშვნელობას იმავე სიზუსტით, მაგრამ უკვე მეტობით. მაგალითად, $\frac{2}{3}$ -ის, ხოლო იმავე რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა მეტობით 0, 01-1-ის სიზუსტით იქნება 0, 67.

ორი ირაციონალური რიცხვი ტოლია, თუ ორივე უსასრულო ათწილადს, რომლებიც ამ რიცხვებს წარმოადგენს, შესაბამისად ერთნაირი ციფრები აქვთ.

ორი ირაციონალური რიცხვიდან ისაა მეტი, რომელსაც აქვს მეტი მთელი ნაწილი ან, თუ მთელი ნაწილები ტოლია, მაშინ ის, რომელიც შეიცავს მეათედების მეტ რიცხვს, თუ მეათედებიც ტოლია, მაშინ ის, რომელიც შეიცავს მეასედების მეტ რიცხვს და ა.შ.

თუ a რაიმე ირაციონალური რიცხვია a მისი მიახლოებითი მნიშვნელობაა ნაკლებობით, b მისი მიახლოებითი მნიშვნელობა მეტობით, მაშინ $a < a < b$. ირაციონალური რიცხვი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

ლიტერატურა:

1. ვლ. ჭელიძე, ნ. ლომჯარია, გ. ხახუბია, მათემატიკა აბიტურიენტებისათვის, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1972.

2. ვლ. ჭელიძე, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1964.

იკებანას ხელოვნება იაპონიაში

მარინა ბესტავაშვილი, ელენა ბესტავაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: თინათინ იოსებიძე, ასოცირებული პროფესორი

ყვავილები საქართველოში უხსოვარი დროიდან უყვართ და პატივს სცემენ. აქტიურად გამოიყენება როგორც სამკურნალო, ისე დეკორატიული დანიშნულებით. ყვავილებს ფართოდ იყენებენ ბაღების, სკვერებისა და პარკების გასალამაზებლად. ისინი ხომ უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებენ. ყვავილების გარეშე არ ჩაივლის არც ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული თუ ღონისძიება. ისეთი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების აღსანიშნავად და სასაჩუქრედ იყენებენ ყვავილებს, როგორცაა: დაბადების დღე, ქორწილი და სხვა. ასევე არსებობს პანაშვიდებზე სამგლოვიარო გვირგვინის მიტანის ტრადიცია. საკმაოდ წარმატებული და სარფიანია ყვავილებით ვაჭრობა. ქალაქებში მრავლად შეხვდებით ყვავილთა სალონებსა და მაღაზიებს, ასევე ქუჩებში – ღია დახლებს. ყვავილების გაფორმების ხელოვნება უმაღლეს დონეზეა აყვანილი რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი იაპონიაში და მას იკებანა ეწოდება.

იკებანა (იაპონურად „ცოცხალი ყვავილი“) - ყვავილების დაწყობის იაპონური ხელოვნება. ხელოვნების ეს სახეობა ინდური წარმოშობისაა და იაპონიაში ჩინეთიდან ბუდიზმთან ერთად შეაღწია. იაპონიაში იკებანას კულტურა ფართოდ გავრცელდა და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში საპატიო ადგილიც მოიპოვა. რელიგიური რიტუალების დროს, ყვავილები თავდაპირველად შესაწირი იყო ბუდასა და ღმერთებისთვის, ასევე – მიცვალებულთა სულებისათვის. ტოკონომა არის იაპონური სახლებისთვის დამახასიათებელი გამოყოფილი ადგილი, სადაც თავსდება იკებანა, კალიგრაფიული ნაწერი ან რაიმე ხელოვნების ნიმუში. ტოკონომა ადრე ითვლებოდა ადგილად, სადაც ღმერთები ბინადრობდნენ. რაც შეეხება ჩაის ცერემონიას, მისი სრულყოფა მოხდა მურომაჩის და მომოიამას პერიოდში, ხოლო ყვავილების შეწირვა კი მასზე დიდი ხნით ადრე ხდებოდა. სწორედ იაპონიაში და არა ინდოეთსა და ჩინეთში, იკებანა ბუდასადმი მიძღვნილი სიმბოლური რიტუალური წეს-ჩვეულებიდან ხელოვნების განსაკუთრებულ სახეობად იქცა, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო მოიცვა. იგი ხელოვნების ფორმაა, რომელშიც ბუნება და ადამიანი, მისი ხასიათი ერწყმის ერთმანეთს. იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ მცენარეთა სილამაზე მხოლოდ მათ მრავალფეროვან ყვავილებშია, იკებანა ხაზს უსვამს მათ სხვა დეტალებს, როგორცაა ღერო, ფოთლები და მათი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ იკებანა შემოქმედებითი ხასიათისაა, მას გარკვეული წესები აქვს. ძირითადი წესია ის, რომ მისი შემადგენელი ყველა ელემენტი ორგანული უნდა იყოს, იქნება ეს ტოტები, ფოთლები, ბალახი თუ ყვავილები. ასევე, კომპოზიცია უნდა შეიცავდეს ყვავილების მინიმალურ რაოდენობას

დეროებსა და ფოთლებს შორის. სისადავე, როგორც ორიგინალობის ნიშანი და ერთეული, როგორც მთელის შემადგენელი ნაწილი - აი, ეს გახლავთ იკებანას შემქმნელ ხელოვანთა კრედი. ამ მხრივ მათი შემოქმედება წააგავს ჰაიკუს - იაპონურ ლექსთაწყობას და ჰაიკუსთვის დამახასიათებელი სიღრმითა და სრულყოფილებით გამოირჩევა. ეს იაპონური ხელოვნების ნიმუშები ეყრდნობა სამკუთხედს, რომელიც 3 ტოტიტაა გამოსახული. ითვლება, რომ ისინი გამოსახავენ ზეცას, მიწას და ადამიანს. ზოგი თვლის, რომ ისინი მზის, მთვარის, სიყვარულისა და მიწის გამომსახველია. იკებანა, რომელიც ასევე ცნობილია სახელით კადო, რაც ნიშნავს ყვავილების გზას, ასევე გამოიყენება მედიტაციის საშუალებად სხვადასხვა დროის, სეზონის თუ ცვლილებების გარდამავალ ეტაპზე. მისი რელიგიური წარმომავლობა და ძლიერი კავშირი ბუნებრივ ციკლთან: დაბადება, გაზრდა, დაბერება და ხელახლად მოვლინება, იკებანას ღრმა სულიერ რეზონანსს აძლევს.

მცენარეული მასალის - ტოტების, ყვავილებისა და ბალახის არანაირი იკებანაში მკაცრად არის დაცული. იკებანას მასალა შეიძლება იყოს ახლად მოჭრილი ტოტები, მცოცავი მცენარეები, ფოთლები, ბალახი, კენკრა, ხილი, თესლი და ყვავილები, დამჭკნარი და გამხმარი მცენარეები. ფაქტიურად იკებანაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ბუნებრივი მასალა. ამ უკანასკნელთან ერთად თანამედროვე ეპოქაში ასევე გამოიყენება მინა, მეტალი და პლასტმასი. როგორც იაპონიის ერთ-ერთმა ტრადიციულმა ხელოვნებამ, იკებანამ შეიძინა სიმბოლური და დეკორატიული დატვირთვა და ბუნებრივი, ეფემერული ყვავილებითა და ტოტებით დროის სივრცე გახდა ამ ქმნილების განუყრელი ნაწილი. იკებანასთვის არსებითად მნიშვნელოვანია: ურთიერთკავშირი მასალებს შორის, მისადაგების სტილი, სათავსოს ზომა, ფორმა, მოცულობა, ფერი და აგებულება, და ამასთან მისი განთავსების ადგილი და დრო. მისი სტილური თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად აისახება ძირითადი კონსტრუქციული საფუძვლის - „ტოტების“ შეხამებაში. უმთავრესად ეს გახლავთ სამი ელემენტი, თუმცა გვხვდება სხვაც - ორიდან ცხრამდე. კონტინერიც ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია კომპოზიციისა და ამიტომ ბევრ სხვადასხვაგვარი სტილის ქოთანს იყენებენ თავიანთი შემოქმედებისათვის.

იკებანას ისტორია დაახლოებით 500 წლის წინ დაიწყო. მისი უძველესი სკოლა იყო იკენობო, რომლის წარმოშობაც დაკავშირებულია როკაკუდოს ტაძრის ერთ-ერთ მღვდელთან. იგი ძალიან გაწაფული იყო ყვავილების ხელოვნებაში და ტბასთან ახლოს ცხოვრობდა (ტბა-იკენობო). როკაკუდოს ტაძარი 587 წელს იქნა აშენებული პრინც შოტოკუს მიერ. არსებობს თქმულება, რომ პრინცი ეძებდა მასალას შიტენოს ტაძრის ასაშენებლად. ერთ დღეს იგი საბანაოდ წავიდა და თავისი ბუდისტური ამულეტი ხეზე დაკიდა. როდესაც დაბრუნდა, ვერაფრით შეძლო მისი ჩამოხსნა. იმავე დამეს პრინცს ბუდა დაესიზმრა, რომელმაც სწორედ იმ კედართან მიუთითა ტაძრის აშენება.

იკებანაზე ვარჯიშისას აუცილებელია სიჩუმე. ეს არის დრო, როცა ხალხი ეჩვევა ბუნების იმ ნაწილის პატივისცემას, აღქმას, რომელსაც თავისი დაკავებული სიცოცხლის განმავლობაში ვერც კი ამჩნევს. ადამიანი ხდება უფრო მომთმენი და სწავლობს სილამაზის დანახვას ხელოვნების ყველა ფორმაში. ეს ასევე არის დრო, როცა ადამიანი გრძნობს ბუნებასთან სიახლოვეს და ადუნებს, ასვენებს გონებას, სხეულსა და სულს.

XV საუკუნის დასაწყისში იკებანა იმდენად გავრცელდა, რომ ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ მდიდრებისთვის, არამედ ჩვეულებრივი ხალხისთვისაც. თავიდან იგი ძალიან მარტივი იყო და მხოლოდ რამდენიმე ყვავილს და მარადმწვანე ტოტს შეიცავდა. მის პირველ ფორმას კუაგე ეწოდება. დროთა განმავლობაში იკებანა განვითარდა. იგი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი ფესტივალებში და გამოფენები რეგულარულად ტარდებოდა. თანამედროვე იაპონიაში იკებანას ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სფეროა და აღიქმება, როგორც ეროვნული თავისებურება და როგორც მსოფლიოში აღიარებული დახვეწილი მხატვრული გემოვნების სიმბოლო. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელებს ნებისმიერი საქმე სრულყოფილებამდე მიჰყავთ, მათთვის მიუღებელია დილეტანტიზმი და ყოველი მათგანი თავისი დარგის პროფესიონალია. უცხოელები იკებანას ხელოვნებას მსუბუქ და იოლ საქმედ აღიქვამენ, რასაც სამწუხაროდ, ძალზე ხშირად იაპონიის საზღვრებს გარეთ ფსევდო ხელოვნებამდე მივყავართ. დასავლეთში იკებანას მოცალოების ჟამს სასიამოვნო გასართობად მიიჩნევენ, იაპონიაში კი იგი სერიოზული შემეცნების საგანი და ხანგრძლივი, შრომატევადი სწავლების ობიექტია. რიტუალის სიწმინდის აღქმა არა მარტო ეროვნული კულტურული ტრადიციის უცილობელი ელემენტია, არამედ სამყაროს სრულყოფილების მოდელი.

იკებანას თავისებურება მისი სტილის თავისებურებაშია. აისახება გეომეტრიულ ფიგურებშიც, რომლებსაც იგი წარმოქმნის. იკებანას სტრუქტურა განსაზღვრავს მის სტილს, სკოლასა და კომპოზიციის ფორმას. იკებანას ხელოვნების ისტორია იწყება დიდებული სადღესასწაულო სტილის შექმნით, რომელსაც „რიკას“ უწოდებენ.

„ნაგეირეს“ სტილი ეფუძნება მცენარეების დაკომპლექტების უმარტივეს პრინციპს, როდესაც მათ თითქოს სახელდახელოდ ათავსებენ ლარნაკში. მაგრამ სწორედ ამ მოჩვენებით ბუნებრიობასა და სისადავეშია ჩადებული იკებანას „ნაგეირეს“ მხატვრული სახის შექმნის სირთულე.

სტილი „სეიკა“ პრინციპულად განსხვავდება „ნაგეირეს“ სტილისგან იმით, რომ ამ შემთხვევაში ჭურჭელი (ლარნაკი) კი არ ასრულებს ძლიერი ღეროს როლს, არამედ განასახიერებს დედამიწის სასიცოცხლო ძალებს. „სეიკას“ სტილში „სინათლის გარემო“ მუდამ მოთავსებულია კომპოზიციის უკან, მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში. ეს გარემოება განაპირობებს სამი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტის განლაგებას: ყოველი მათგანი მიმართულია სინათლის წყაროსკენ ისევე, როგორც ეს ბუნებაშია.

„მორიბანას“ სტილისთვის დამახასიათებელია მცენარეთა ისეთი განლაგება, რომლის დროსაც ისინი არ ეხებიან ჭურჭლის ნაპირს და უშუალოდ წყალზე არიან დამაგრებული. ამ შემთხვევაში ჭურჭელი მცენარეთა ფესვების როლს ასრულებს და არა ღეროსი და ტანისა, როგორც ეს ნიშანდობლივია „ნაგეირეს“ და „სეიკას“ სტილისთვის. ასეთი ჭურჭელი-ფესვი შესაძლებლობას იძლევა, მასში მოთავსდეს საკმაოდ მაღალი მცენარე, რომელიც, ერთი შეხედვით, სადაცაა გადაიზნიქება, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითია - იგი მყარად დგას. „მორიბანას“ სტილის შესაქმნელად იყენებენ კენძანს - მძიმე მეტალის სადგარს აქეთ-იქით ამოძრავილი ნემსებით, რომელთა შორისაც მაგრდება ტოტი, მსხვილი ფოთლები და ღეროები.

ამრიგად, იკებანას ხუთასწლიანი ისტორია ფართო სპექტრით გამოირჩევა. არსებობდა მოკრძალებული სახლის დეკორაციებიდან დაწყებული უზარმაზარი პეიზაჟებითა და სკულპტურული ნამუშევრებით დამთავრებული. ისინი მთლიანად ავსებენ საგამოფენო დარბაზებს. დღეს მრავალრიცხოვან თანამედროვე სახეობებთან ერთად, იკებანა აგრძელებს ტრადიციული ფორმების შესწავლას და განვითარებას. იგი თავისი ნაზი, მოსიყვარულე, მეგობრული გზავნილით და თავისი უჩვეულო სილამაზით ჩვენს აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 104.
2. ი. ხმალამე, დეკორატიული მცენარეები, „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://web-japan.org/>
2. <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90>
3. <http://www.marao.ge/hobi/mcenareebi/179-ikebana-yvavilebis-aranzhireba.html>

სიცოცხლის ფესვი

ელიკო ელიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ნელი გოგინაშვილი, პროფესორი

ეკოლუციური განვითარების პერიოდში გარემოსთან შეგუებისას უმაღლეს მცენარეებს ჩამოუყალიბდა ორგანოთა ორი ჯგუფი: ვეგეტატიური და გენერაციული. ვეგეტატიურია ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცენარის ზრდა-განვითარებას. ეს ორგანოებია: ფესვი, ღერო, ფოთოლი. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფესვი (Radix), რომელიც მცენარეთა ცხოვრებაში ორმაგ ფუნქციას ასრულებს: მცენარეს ამაგრებს სუბსტრატზე და იქიდან შთანთქავს წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ მარილებს, რითაც ხელს უწყობს მცენარეში პლანეტარული მასშტაბის რეაქციას ანუ ფოტოსინთეზის პროცესს. ამ უკანასკნელს კი უნდა უმაღლოდეს სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.

გარდა აღნიშნულისა, ფესვს აქვს სამარაგო ნივთიერებების წარმოქმნისა და დაგროვების უნარი. ამასთან, ფესვი ხასიათდება მეტამორფოზის დიდი შესაძლებლობებით, რისი შედეგაცაა მასაზრდოვებელი, მისაკიდი, საჰაერო, სასუნთქი, საბჯენი ფესვების და მისაწოვრების წარმოქმნა.

ცხოველებისაგან მცენარის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია გადაადგილების შეუძლებლობა. მაგრამ ბუნებაში ვხვდებით ხეთა ისეთ ფესვებს, რომელთა მეშვეობითაც ხეებს თითქოს ფეხი აუდგამთ და მიდიანო. „მიაბიჯებენ“ წიფლები, რცხილები, ფიჭვები, ზოგჯერ მთელ ტყეს აუკრავს ფეხი და „სამოგზაუროდ“ უქნია პირი.

რა აძლევს ასეთ უცნაურ ფორმას ხეთა ფესვებს?



ზომიერი კლიმატის ქვეყნებში უმეტესად ეროზია. ეროზიულობის მიზეზები სხვადასხვა ბუნებრივ ზონებსა და სარტყელებში სხვადასხვაა. თუ მთაში ჭარბი ნალექებისაგან შეიძლება გამოირეცხოს ნიადაგის საფარი და გაშიშვლდეს მცენარეთა ფესვები, უდაბურ ადგილებში, პირიქით, უწყლობისა და მოჭარბებული ხვატისაგან ირღვევა ნიადაგი და ჰაერში გამოკიდებული რჩება მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოები.

რა თქმა უნდა, „მოსიარულე“ ხეები ჩვენი, ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდგება მიწაზე ბუნების ეს მშვენიერა და დაიცავს ტყის და სხვა მცენარეებს ნიადაგის შემდგომი გამორეცხვისაგან.

ეგზოტიკური ბუნების მქონე ტროპიკულ ქვეყნებში ვხვდებით ხეებს, რომლებსაც მიწის ზემოთ მოზარდი ფესვები აქვთ. ასეთია, მაგალითად, ზოგიერთი ფიკუსი - ტროპიკებისათვის ესოდენ დამახასიათებელი მცენარე. თავდაპირველად ასეთი ფიკუსი ხეს სრულიადაც არ წააგავს. იგი ჯერ სხვა ხის ტოტებზე იწყებს განვითარებას. მასპინძელი მცენარიდან ფიკუსი მიწისკენ უშვებს ფესვების მთელ სისტემას. ყოველი ფესვი ისარივით ერჭობა ნიადაგში, დროთა განმავლობაში იზრდება, მსხვილდება და ძლიერდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ეს უცნაური წარმონაქმნი თვითონვე არ დაემსგავსება ცალკეულ ხეს. მასპინძელი მცენარე კი, რომლის ტოტებიდანაც მიწაზე დაეშვა ფიკუსის ფესვები, ადრე თუ გვიან იღუპება. მიზეზი მოზინადრის მახრჩობელა ფესვებია. დაღუპული მცენარის ადგილას კი გალადებული ფიკუსი - მახრჩობელა არხეინად აგრძელებს არსებობას. აგრესორი მცენარე ამ დროს ერთმანეთში გადახლართული ფესვებისა და ტოტების მთელ ტევრს ქმნის.

ყველაზე დიდი ფიკუსი - მახრჩობელას ტოტები სიგრძით 50-60 მეტრს აღწევს. ასეთი მცენარის ვარჯს შეუძლია, თავის ჩრდილში მოაქციოს ათი ათასამდე კმ² ფართობი. მსგავსი ხეები იზრდება ცეილონსა და ინდოეთში. ინდოეთში აღწერილი ერთ-ერთი გიგანტური ფიკუსი 1300 მსხვილ და 3000 წვრილ ფესვზე დგას; ხალხური გადმოცემით, ამ გოლიათის მიერ შექმნილ დაჩრდილულ ფანჩატურში 600-700 მეომარი ისვენებდა.

ერთ-ერთი უდიდესი საოცრებაა მცენარე ჟენშენის (*Panax ginseng* C.A.Mey) ფესვი. ამ მცენარეს სახელი კ. ლინეიმ უწოდა 1753 წელს, მკურნალი ღმერთის, ასკლეპიოსის ქალიშვილის, „ყველაფრის განმკურნავი“ პანაცეას მიხედვით. ჟენშენი ჩინური სიტყვაა და ნიშნავს „ადამიანი-ფესვი“.



ჟენშენის მოყვითალო ფერის წვნიანი და დატოტვილი ფესვებიდან ადვილად გამოსარჩევია დიდი, კარგად განვითარებული ადამიანის სხეულის მსგავსი ფესვები, რაც საფუძვლად დაედო ამ მცენარის სახელწოდებას „ადამიანი-ფესვი“. მას „სიცოცხლის ფესვსაც“ უწოდებენ.

ჩინეთსა და კორეაში ჟენშენს თვლიდნენ ყოვლისშემძლე საშუალებად. ის ველურად იზრდება მანჯურიასში, კორეაში, უსურის ტაიგაში - ღრმა, მიუვალ ხეობებში, სადაც მხოლოდ ყველაზე საშიში მხეცები - ვეფხვები და ავაზები ბინადრობენ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა თვეების განმავლობაში დიდი ხეტიალისა და გაჭირვების შემდეგ ნანახი ერთი ფესვის გულისთვის, იქვე ტყეში ერთ მძებნელს მოუკლავს მეორე. ამიტომ ჟენშენის ფესვი ძვირად ფასობდა: თითის სიმსხო ერთი ფესვის ფასი 2000 ვერცხლის მანეთს უდრიდა ან ჟენშენის ფესვი იყიდებოდა ორმაგი წონის ოქროზე. ძველად ჟენშენის წამლად დამზადების საიდუმლოებას სასტიკად ინახავდნენ და ჩინეთის მეფის გვარეულობა და სასულიერო პირები ჟენშენის ძებნის უფლებას არავის აძლევდნენ.

ჟენშენის ფესვებთან ერთად განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა ძირტკბილას (*Glycyrriza glabra*), კატაბალახას (*Valeriana officinalis*), ბაბუაწვერას (*Taraxacum officinale* Nigg), კავკასიური ხარისპირას (*Helleborus caucasicus* A.), კოთხუჯის (*Acorus Calamus* L.), კულმუხოს (*Inula helenium* L.), სტაფილოს (*Daucus carota* L.) ფესვები; ხახვის (*Allium cepa* L.), ნიორის (*Allium sativum* L.) და სხვა მცენარის ფესვები თუ ფესვის სახეცვლილებები.



ფესვის ზრდის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება მცენარის სხვა ვეგეტატიური ორგანოების (ღერო, ყლორტი, ფოთოლი) ზრდის პირობებისაგან. მოზარდ ფესვს უხდება, ნიადაგის მაგარ ფენებში გაიკვლიოს გზა. ნიადაგთან ურთიერთმოქმედების პროცესში ფესვი იცვლის ზრდის ტემპებსა და მიმართულებას. ქვიშნარ ნიადაგში ფესვი ტენის მოსაპოვებლად ღრმად ჩადის და კარგად იტოტება. მეჩხერ ტყეებში ფესვები ისეთი მერქნიანი ქსეროფიტებისა, როგორცაა: ჭალის მუხა, ბროწეული, კვეის ხე, ველური თუთა და სხვა, აღწევენ დიდ სიღრმეს. ჭადრის ფესვები იზრდებიან როგორც სიღრმეზე, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. 100-200 წლის ჭადრებს კიროვაბადის ერთ-ერთ ქუჩაზე, რომელიც მთლიანად დაფარული იყო ასფალტით, ჟანგბადის და წყლის ძებნაში ჰორიზონტალური მიმართულებით ისე განუვითარდათ ფესვები, რომ დაიკავეს 200 მეტრი მანძილი და ისე მოედნენ წყალსადენის აუზს, რომ თითქმის მთლიანად შეაჩერეს წყლის დინება. ზოგჯერ ქუჩების მოასფალტების დროს მთელ ფართობს მცენარის ღერომდე ფარავენ და მხედველობაში არ იღებენ ფესვების მოთხოვნილებას ჟანგბადისა და წყლისადმი, თუმცა ხეები ეგუებიან ამ უარყოფით ფაქტორსაც და სუბსტრატის ზემოთ ივითარებენ ბრტყელ, ძლიერად ნაზარდ ფესვებს.

ნიადაგის სხვადასხვა პირობებისადმი მცენარის შეგუებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფესვთა სისტემის პლასტიკურობას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ფიჭვის სახეობები. ფიჭვები უკეთესად

ვითარდებიან მსუბუქ ქვიშნარ ნიადაგებზე. ასეთ პირობებში მათი ფესვები აღწევენ დიდ სიღრმეს (ამ დროს ჰორიზონტალურად ზრდადი ფესვები წარმოიქმნება მცირე რაოდენობით), ამ მხრივ ცნობილია ჩვენი ქვეყნის მაღალმთიანი რაიონის კლდეებზე მოზარდი ჩვეულებრივი სოსნოვსკის ფიჭვი (*Pinus Sosnovsky*), კავკასიური ფიჭვი (*Pinus Caucasicus*). ზოგჯერ ფიჭვის ცალკეული, მსხვილი ეგზემპლარები ისე მტკიცედ არიან შეზრდილი კლდეებთან თავიანთი გვერდითი სქელი ფესვებით, რომ ფიჭვის ამწეთი აზიდვისას შეიძლება ორი სართულისოდენა კლდის აწევა.

ფიჭვის სახეობებს შორის განსაკუთრებით პლასტიკურია ჩვეულებრივი ევროპული ფიჭვი. ამ ფიჭვს შეუძლია გაიზარდოს ჭაობებში და ასეთ პირობებში მხოლოდ ჰორიზონტალური ფესვები უვითარდება.

ხე-მცენარეების სხვადასხვა ჯიშს ერთსა და იმავე პირობებში აქვთ ფესვების განსხვავებული ტიპები. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ტაიგის ტყეებში ერთად მოზარდი ფიჭვები და ნაძვები. ფიჭვი ივითარებს ღრმა ფესვთა სისტემას, ნაძვს კი ძირითადად უვითარდება ჰორიზონტალური ფესვები ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. ამ მიზეზის გამო ტყის ხანძრებისაგან, ქარებისაგან ყველაზე მეტად ნაძვი ზიანდება. ძლიერი ქარიშხლის დროს ნაძვი იქცევა, ფიჭვი კი მაგრად დგას თავის ღრმად მოზარდ ფესვთა სისტემაზე, როგორც საიმედო ღუზაზე. ტყის ხანძრების შემდეგ ფიჭვი აღდგება ხანძრისაგან გადარჩენილი ღრმად მდებარე ფესვებისაგან. ნაძვი კი იწვის მთლიანად, ფესვთა სისტემასთან ერთად.

ზოგიერთი მცენარე: მაცვალი, ლედვი, აკაკი, ცალკეულ შემთხვევაში წიფელი, ისე როგორც ფიჭვი, თავისუფლად იზრდება და ვითარდება კლდეებზე. ასეთ მცენარეებს კლდის მცენარეებს უწოდებენ. ეს მცენარეები ფესვთა სისტემის განსაკუთრებული თვისებებისა და ტურგორული წნევის მეოხებით ზრდის პროცესში ხეთქვენ კლდეებს. ფესვის წვერიდან გამოყოფენ სხვადასხვა მჟავებს და თანდათანობით ხსნიან სუბსტრატს.



უდაბნოს მცენარეების ფესვები არამარტო ღრმად ჩადიან ნიადაგში, არამედ ბევრ მათგანს ნიადაგში ორ-სამ იარუსიანი ფესვები უვითარდება. კერძოდ, საქსაულის ფესვები ღრმად ჩადის ნიადაგში და 6-7 მეტრის სიღრმეში წარმოშობს დატოტვის მეორე იარუსს დიდი რაოდენობის გვერდითი ფესვებით. ასევე ძლიერი ფესვთა სისტემა უვითარდებათ უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს ბალახოვან მცენარეებს. ასე მაგალითად, ცერცვეკალას მიწისზედა ნაწილი 50-60 სმ-ია, ფესვები კი ჩადის 15-20 მ სიღრმეზე.

ფესვთა სისტემის სიმძლავრეზე მსჯელობა არ შეიძლება მხოლოდ სიღრმეში მათი გავრცელების ხარისხის მიხედვით. მერქნიან ჯიშებში გვერდითი ფესვების გავრცელების რადიუსი მნიშვნელოვნად აღემატება ხის ვარჯის პროექციის რადიუსს კულტურის პირობებში ფესვების ძირითადი მასა ვრცელდება 2-3 მ სიღრმეზე, მაშინ, როდესაც ჰორიზონტალური მიმართულებით ისინი იზრდებიან ვარჯის წრის გარეთ, საგრძნობლად შორს და ზოგჯერ აღწევენ 10-18 მ სიღრმეს. ვაზის ფესვები ნიადაგში ჩადის 5-7 მ სიღრმეში. ჰორიზონტალური მიმართულებით კი გვერდითი ფესვების მიერ დაკავებული ნიადაგის დიამეტრი უდრის 2-4 მეტრს.

გვერდითი ფესვის დიდი მასის განვითარება ფესვის ბუსუსებით საკმაოდ ადიდებს ფესვთა სისტემის შემწვრ ზედაპირს, რაც, ბუნებრივია, დადებით გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

მოგვეყავს რამდენიმე მაგალითი, რომელიც წარმოადგენს გვაძლევს მცენარის ფესვთა სისტემის განვითარების სიმძლიერეზე. თუ ერთი მცენარის (მაგ.: ხორბლის, ან შვრიის, ან ქერის) ყველა ფესვს დავაწყობთ სწორ ხაზზე ერთიმეორის მიყოლებით, 20 კმ სიგრძეს დაიკავებს, გოგრა - 25 კმ-ს. ამასთან,

გამოთვლილია, რომ მცენარის ფესვების ჯამი 24 საათის განმავლობაში გადიდა 5 კმ-ით. ჭვავის ფესვთა სისტემის საერთო ზედაპირი მიწისზედა ნაწილის საერთო ზედაპირს 130-ჯერ აღემატება.

ბუნებრივ პირობებში - სტეპებსა და ველებში ბალახოვანი მცენარეების სხვადასხვა სახეობის ფესვები განლაგებული არიან იარუსებად და მჭიდროდ ქსელავენ მთელ სისტემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- მცენარეთა ფესვები მათი მაღალი პლასტიკურობის გამო უარყოფით გარემოს ფაქტორებსაც კი ეგუებიან და თვით სალ კლდეებსაც არ ემორჩილებიან;
- დაუშვებელია გამწვანების მიზნით გაზონებში თუ შენობებთან ახლოს დარგული ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების ირგვლივ მოასფალტება ან სხვა მასალით დაფარვა, ფესვებსაც ხომ ესაჭიროებათ სუნთქვა;
- მძლავრად განვითარებული ჰორიზონტალური ფესვთა სისტემის მქონე მცენარეები უნდა განლაგდეს შენობებიდან გარკვეულ მანძილზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შენობების დაზიანება-დაშლა;
- ხელოვნური ტყის გაშენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა სახის მცენარეთა ფესვების განვითარების თავისებურებანი (ჰორიზონტალური, ვერტიკალური), რაც თავის მხრივ შეასუსტებს ძლიერი ქარების, ეროზიული თუ სხვა უარყოფითი პროცესების ზეგავლენას გარემოზე.

და ბოლოს, ბუნების დიდი მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა, მსგავსად სხვა არსებებისა თუ „უენპიროებისა“, ფესვებსაც ალაპარაკებს: „ნუ გეშინია, არა ვართ გველები. ამ მაღალ მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავენებთ. არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნული, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთ დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არარა. ერთს დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, მუძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელყელობდა. ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ“...

ლიტერატურა:

1. გეგეჭკორი ა., ბუნება შემოქმედი, „მერიდიანი“, თბილისი, 1997.
2. გორგაძე პ., კაჭარავა მ., ლულუნიშვილი დ., ბოტანიკა, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.
3. ერისთავი ლ., ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები), „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2005.
4. კემპბელი ნ., რისი ჯ., ბიოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
5. ტუტაიუვი ვ., ბოტანიკა, მცენარეთა ანატომია და მორფოლოგია, განათლება, თბილისი, 1984.

შერჩევის სახეები და შერჩევის ცდომილება

გიორგი თამლიანი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე**, ასოცირებული პროფესორი

ჩვენ ხშირად გვესმის შემდეგი ტიპის განცხადებები და მტკიცებულებები: „სამომხმარებლო საქონელზე ფასების ინდექსი გასული თვის განმავლობაში გაიზარდა 8%-ით“, „პაციენტთა 98%-ს, რომელიც იმყოფება კლინიკურ გამოკვლევაზე, არ განუცდია რაიმე გვერდითი ეფექტი მკერდის კიბოს ახალი პრეპარატისაგან“ და სხვა. ჩვენ სწორად უნდა გავაანალიზოთ და მივცეთ შესაბამისი ინტერპრეტაცია ყოველ მონაცემს. ხშირია შემთხვევები, როცა იმისათვის, რომ მიმდინარე მოვლენებს მიეცეს გონივრული შეფასება, საჭიროა გადავამუშაოთ მონაცემების საკმარის დიდი რაოდენობა. მთავრობა და მეცნიერ-მკვლევრები ხარჯავენ მილიონობით დოლარს, რათა მოაგროვონ მონაცემები.

მონაცემების ქვეშ იგულისხმება ობიექტთა რაიმე სიმრავლის რაოდენობრივ ან თვისებრივ მახასიათებელთა დაკვირვებული მნიშვნელობების ერთობლიობა. ამ ერთობლიობის ყოველ წევრს დაკვირვება, მონაცემი ანუ მონაცემი წერტილი ეწოდება.

იგი შეიძლება იყოს ფიზიკური გაზომვის შედეგი (მაგალითად, წონა ან სიმაღლე), პასუხი კითხვაზე (კი ან არა) ან რაიმე ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციის შედეგი. ყველა შესაძლო დაკვირვებათა სიმრავლე შეადგენს სტატისტიკურ პოპულაციას. ამგვარად, გვაქვს შემდეგი განსაზღვრება:

სტატისტიკური პოპულაცია არის კონკრეტული მახასიათებლის ყველა შესაძლო მნიშვნელობის ერთობლიობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურ პოპულაციაზე საუბრისას არ იგულისხმება, რომ ყველა შესაძლო მნიშვნელობა, მართლაც, დაკვირვებულია. პოპულაცია შეიძლება იყოს რეალური (როგორც, მაგალითად, 2005 წლის ზაფხულში ფოთის ნავსადგურში შემოსული გემებიდან გადმოტვირთული ხორბლის წონათა ერთობლიობა), ისე წარმოსახვითი ანუ კონცეპტუალური (ვთქვათ, გარკვეული ცხოველის გარკვეულ პირობებში სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაძლო მნიშვნელობანი).

პოპულაციის საპირისპიროდ შერჩევა ანუ ამოკრეფა მხოლოდ ზოგიერთ დაკვირვებულ მნიშვნელობას შეიცავს.

შერჩევა ანუ ამოკრეფა არის დაკვირვებათა ერთობლიობა, რომელიც შეადგენს პოპულაციის მხოლოდ რაიმე ნაწილს.

სტატისტიკური კვლევის საბოლოო მიზანი პოპულაციის შესწავლაა. იმ შემთხვევაში, როცა პოპულაცია სრულადაა მოცემული, ამბობენ, რომ ხელთა გვაქვს სრული აღწერის შედეგები. მაგრამ პრობლემა სწორედ ისაა, რომ ხშირად სრული აღწერა შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია და მკვლევარის განკარგულებაში მხოლოდ შერჩევაა.

პოპულაციის სრულ აღწერას ჩვენ შერჩევის გამოყოფას და მის შესწავლას ვამჯობინებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ნაწილის დაკვირვება უფრო იაფია, ვიდრე მთელისა, თუმცა ხარჯების ეკონომიის გარდა შერჩევის უპირატესობას სხვა მოტივებიც განაპირობებს.

ინფორმაციის დროულად მოპოვება მხოლოდ შერჩევის მეშვეობით შეიძლება, მაგალითად, პოლიტიკური ხასიათის გამოკითხვისას, როცა საჭიროა განისაზღვროს, ვისკენ იხრება ამომრჩეველთა სიმპათიები, დროის ფაქტორი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. საქმე ისაა, რომ ამომრჩეველთა ნება ხშირად თვით არჩევნებამდეც კი მერყეობს და ამიტომ ყოველი გამოკითხვა (თუ ის სწრაფად ტარდება) მხოლოდ იმ მოკლე პერიოდს ასახავს, როცა ის შედგა. აქ სრული აღწერის ჩატარება კიდევ რომ იყოს შესაძლებელი, მისი შედეგები ვერ იქნებოდა ადეკვატური საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო იმ ხნის განმავლობაში, რაც სრულ აღწერას სჭირდება. ზუსტად ასევე მუშაობს დროის ფაქტორი მარკეტინგულ გამოკვლევებშიც. არასოდეს არაა იმის საშუალება, რომ რაიმე ახალი პროდუქტის ან მომსახურების ახალი სახეობის თაობაზე მოსახლეობის 100%-ს შეექმნას აზრი. თუკი შერჩევამ ცხადი სურათი დახატა, ეს საკმაო საფუძვლად ითვლება დასკვნების გამოსატანად.

თუ პოპულაცია დიდი მოცულობისაა, ელემენტარული ერთეულიდან ინფორმაციის აღება, ძალზე იაფიც რომ იყოს, სრულ აღწერას აზრი მაინც არ ექნება და შერჩევით უნდა დავკმაყოფილდეთ. ასეთივე დასკვნებამდე მივალთ, თუ პოპულაციის ერთეულების უმეტესობა მიუღწევადია. გასათვალისწინებელია არა მარტო ფიზიკური მიუღწევადობა: შესაძლოა ერთეულის გამოკვლევა იმდენად ძვირი იყოს, რომ შესაბამისი ელემენტარული ერთეული მიუღწევადად ჩავთვალოთ.

ზოგჯერ თვით დაკვირვების აქტიც კი სპობს ელემენტარულ ერთეულს. ასანთის კოლოფის ხარისხზე ყველაზე უფრო საიმედო დასკვნას მაშინ გამოვიტანთ, თუკი ყოველი ღერის ხარისხში დავრწმუნდებით, მაგრამ შედეგად ცარიელი კოლოფი დავგრჩება. ასევე არავინ ამოწმებს ყოველ საავტომობილო ძრავას გაანგარიშებული სამუშაო ვადის ტოლფასი დატვირთვის მიხედვით. ამიტომ მსგავს სიტუაციებში მივმართავთ შერჩევას. შერჩევა შეიძლება იყოს განმეორებითი (დაბრუნებითი) და განმეორების გარეშე (დაბრუნების გარეშე). ჩვეულებრივ, ხორციელდება განმეორების გარეშე შერჩევები, სწორედ განმეორებითი შერჩევების დროს წარმოებს სამართლიანი გამოთვლები და კეთდება სტატისტიკური დასკვნები.

შერჩევა საკმაოდ ზუსტად უნდა ასახავდეს გენერალური ერთობლიობის ყველა ობიექტის განსაკუთრებულობებს, ანუ შერჩევა უნდა იყოს **რეპრეზენტატიული** (წარმომადგენლობითი).

სისტემური შემთხვევითი შერჩევა. თუ პოპულაციის ერთეულები გადანომრილია, შემთხვევითი რიცხვების დიდი რაოდენობის ამოწერის ან კომპიუტერული გენერაციის მაგივრად შეგვიძლია ავირჩიოთ შემთხვევითი ციფრი და, ამ ნომრიანი ერთეულიდან დაწყებული, ავირჩიოთ ყოველი მე-10 ერთეული. ეს იქნება ე.წ. სისტემატური შერჩევა.

ამრიგად, სისტემატური შერჩევა მიიღება ერთი ერთეულის შემთხვევითი შერჩევით და დანარჩენების როლში ამ ერთეულიდან გარკვეული ბიჯით დაშორებული ნომრების მქონე ერთეულების გამოყოფით მანამ, სანამ ერთეულების საჭირო რაოდენობა არ დაგროვდება. თუ ბიჯი არის k , პირველი ელემენტი ამოიღება შემთხვევით $1, 2, \dots, k$ ნომრიანი ერთეულებიდან და თუ მისი ნომერია a , მაშინ სისტემატური შერჩევაა $ca, a+k, \dots, a+nk$, სადაც n შერჩევის მოცულობაა.

არსებობს შერჩევის სხვა მეთოდებიც, რომლებიც, ერთი მხრივ, ამარტივებენ შერჩევის პროცედურას, მეორე მხრივ კი ზრდიან მოპოვებულ ინფორმაციას.

განშრევებული შემთხვევითი შერჩევა. ზოგჯერ ჩვენი ამოცანაა უზრუნველყოთ პოპულაციის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობა. ამისათვის გამოყოფა ისე უნდა მოხერხდეს, რომ ამ ჯგუფების პროპორციები შემთხვევაში ისეთივე იყოს, როგორც – პოპულაციაში. პოპულაციის თითოეულ ჯგუფს შერეოს უწოდებენ, ხოლო მიღებულ შერჩევას – განშრევებულ შერჩევას.

განშრევებას მაშინ მიმართავენ, როდესაც პოპულაცია არაერთგვაროვანია. არსებობს სხვა მიზეზიც, რის გამოც განშრევება სასურველია. კერძოდ, ხანდახან უფრო მოხერხებულია შერჩევათა მიღება რაიმე ტერიტორიის სხვადასხვა რაიონისათვის (ხანდახან განშრევებულ შერჩევას რაიონირებულ შერჩევასაც უწოდებენ). ადამიანების პოპულაციის განშრევება შეიძლება მოხდეს სქესის, ასაკის, პროფესიული კუთვნილების ან სამუშაოს ტიპის მიხედვით და ა. შ. განშრევება ისე უნდა მოეწყოს, რომ შრეები თანაუკვეთი გამოვიდნენ. როგორც კი პოპულაცია შრეებად დაიყოფა, ჩვენ შეგვიძლია თითოეულ შრეში მარტივი შემთხვევითი შერჩევა მოვაწყოთ.

კლასტერული შემთხვევითი შერჩევა. შემთხვევითი შერჩევის კიდევ ერთი ფორმა გამოიყენება უპირატესად მომხმარებელთა აზრის გამოკითხვისას, როდესაც უფრო ეკონომიურია, მაგალითად, რომ გამომკითხველმა ქალაქის შემთხვევით არჩეულ უბანში 50 ოჯახი კარდაკარ დაიაროს, ვიდრე ქალაქის მასშტაბით 50 შემთხვევით არჩეულ ოჯახს ესტუმროს.

თუ პოპულაციას დაგყოფთ თანაუკვეთ ნაწილებად – კლასტერებად (ვთქვათ, ქალაქის მცხოვრებლებს გეოგრაფიული სიახლოვის მიხედვით უბნებად დავყოფთ), მაშინ შემთხვევითი შერჩევა შეიძლება ჯერ კლასტერის ან კლასტერების შემთხვევით შერჩევაში მდგომარეობდეს, ხოლო შემდეგ თითოეული შერჩეული კლასტერის სრულ აღწერაში. ამგვარ შერჩევას კლასტერული შერჩევა ეწოდება (ზოგჯერ კლასტერს ბუდეს უწოდებენ, ხოლო კლასტერულ შერჩევას – ბუდობრივ შერჩევას).

სისტემატური შერჩევა კლასტერულის კერძო შემთხვევაა. თუ k არის სისტემატური შერჩევის ბიჯი და პოპულაციის ყველა $N=mk$ ერთეული გადანომრილია, მაშინ გვაქვს k კლასტერი, რომლებიც შესაბამისად შემდეგ ნომრებს შეესაბამება.

$$[1, k+1, \dots, (m-1)k+1], \dots, [k, 2k, \dots, mk]$$

და სისტემატური შერჩევა ნიშნავს კლასტერებიდან ერთ-ერთის შემთხვევით შერჩევას და მის სრულ აღწერას.

კლასტერული შერჩევა ეკონომიურია, მაგრამ მას ხშირად თან სდევს ჩანაცვლება, ვინაიდან სოციალური გამოკვლევისას მეზობლობის პრინციპით შედგენილ კლასტერში შეიძლება ერთგვაროვანი შედეგები მივიღოთ და ამით პოპულაციის ადეკვატური სურათი არ გამოვიდეს, ვინაიდან განსხვავებული დაკვირვება სწორედ იმ კლასტერში დარჩეს, რომელიც არ არჩეულა.

ამრიგად, შერჩევითი გამოკვლევის უპირატესობას პოპულაციის სრულ აღწერასთან შედარებით შემდეგი გარემოებები განაპირობებენ: ხარჯების ეკონომია (კერძოდ, ერთეულთა გამანადგურებელი დაკვირვების შემთხვევაში), დროის ეკონომია, პოპულაციის ზოგი ერთეულის მიუღწევადობა (რაც გამორიცხავს სრულ აღწერას), სიზუსტე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შერჩევას შეიძლება ახლდეს ცდომილება, რაც გამოიხატება წარმომადგენლობითი შერჩევიდან ყოველგვარ გადახრაში. არსებობს შემთხვევითი ცდომილება, რომელიც ცალკეულ ერთეულებს ახასიათებს, სისტემატური ცდომილება (ჩანაცვლება), რომელიც შერჩევის მეთოდს შეიძლება ახლდეს თან. ცდომილება რომ ნაკლები იყოს, გასათვალისწინებელია შესასწავლი პოპულაციისა და ჩვენთვის მისაწვდომი ანუ სამუშაო პოპულაციის სავარაუდო განსხვავება.


ზოგჯერ შერჩევას ხელს უშლის შერჩევის ცდომილება, შერჩევის შემთხვევითი ცდომილება. შერჩევის შემთხვევითი ცდომილება ეს ის განსხვავებაა შერჩევასა და პოპულაციას შორის, რომელიც განაპირობებს მხოლოდ შერჩევაში მონაწილე კონკრეტული ელემენტარული ერთეულები. ასეთ შემთხვევაში შემთხვევითი ცდომილებიდან თავის დაღწევის მთავარი საშუალებაა შერჩევის მოცულობის გაზრდა.

შერჩევის სისტემატური ცდომილება, ანუ ჩანაცვლება, ესაა ტენდენცია არჩეულ იქნას გარკვეული კერძო თვისებების მქონე ელემენტარული ერთეულები. ამგვარი ცდომილება, ცხადია, ცუდი დაგეგმვის შედეგია.


ცდომილების კიდევ ერთი წყაროა გაზომვის ან გამოკითხვის ცდომილება, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს, როგორც სრული აღწერის, ისე შერჩევითი გამოკვლევის დროს. ამგვარი ცდომილების თავიდან აცილება განსაკუთრებული ზომების მიღებას საჭიროებს გამზომი ხელსაწყოების მოწესიგებიდან და გაზომვათა ერთგვაროვნების პირობების მიღწევიდან დაწყებული, გამოკითხვის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებამდე.

დაბოლოს, წარსული და მიმდინარე მონაცემებისა და პირობების შესწავლით სტატისტიკოსები ცდილობენ ამ ინფორმაციის საფუძველზე გააკეთონ პროგნოზი (იწინასწარმეტყველონ, რა იქნება მომავალში). იმისათვის, რომ უკეთ შევიქმნათ წარმოდგენა შერჩევაზე და შერჩევის ცდომილობაზე განვიხილოთ მაგალითი. 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წინასწარ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე დაიდო შემდეგი მონაცემები:


I. გამოკითხვა „ქართული ოცნების“ დაკვეთით:




II. გამოკითხვა ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით:



III. ეგზიტპოლების მონაცემები:



არჩევნების შედეგები:



კვლევის 100%-ით სანდო შედეგი არ არსებობს: ყოველთვის გვექნება გარკვეული აცდენა რეალურ სურათთან. მთავარია, გამოკითხვისას რესპონდენტები, მართლაც, რეპრეზენტატიულად შეირჩნენ. მაგალითად, თუ ინტერნეტ-ფორუმის გამოკითხვებით გამოვლენილ პოლიტიკოსთა რეიტინგებს ენდობით, დიდი ალბათობით, შეცდებით. სტატისტიკურად, ვთქვათ, რომელიმე ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიის გამოკითხვაც არასანდოა. მას ძირითადად საზოგადოების სპეციფიკური ჯგუფი – ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები უყურებენ. შესაბამისად, შედეგები მთელი პოპულაციის მოსაზრებას ვერ ასახავს. ზოგჯერ კვლევა გაყალბებას ექვემდებარება. მით უმეტეს, რთულია კვლევის შედეგს ენდოთ, როდესაც ის თქვენს სუბიექტურ ხედვებს არ ეთანხმება. საქმე ისაა, რომ გარემომცველი ადამიანები, ჯგუფები და ჩვენ მიერ მათი აღქმა, ხშირად, შესაძლოა, რეალურ სურათს სულაც არ ემთხვეოდეს. ამიტომ, სჯობს, შეძლებისდაგვარად, ობიექტური კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელოთ: რეპრეზენტატიულობის იდეა, სწორი შერჩევის საფუძველზე, გარკვეული ცდომილების ფარგლებში მუშაობს. ნდობის კრიტერიუმად კი, შეგვიძლია, თვითონ ორგანიზაციის რეპუტაცია გამოვიყენოთ.

ლიტერატურა:

1. ო. ფურთუხია, ზ. ციგროშვილი, ე. მანჯგალაძე, ალბათობა და მათემატიკური სტატისტიკა, თსუ, თბილისი, 2009.
2. ნ. ლაზრიევა, მ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 2000.

თავისუფალ ჭიდაობაში ტაქტიკური ანალიზატორების როლი და მათი სრულყოფა

რევაზ თომაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **გიორგი მძინარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი
მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

მოგეხსენებათ, საერთაშორისო არენაზე აღიარებულია ჭიდაობის ოთხი სახეობა: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუდო და ჭიდაობა სამბო, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეჯიბრის წესებით, ჩაცმულობით, ილეთებით, ამავდროულად, აქვთ ბევრი მსგავსება ტექნიკურ, ტაქტიკურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ მომზადებაში.

თავისუფალი ჭიდაობა ამ ჭიდაობის სახეობებს შორის, გამოირჩევა ილეთების დიდი მოცულობითა და მრავალფეროვნებით, ზუსტად რომ ვთქვათ, თავისუფალი ჭიდაობა ყველა სპორტის სახეობებს შორის ყველაზე მეტ ტექნიკურ მოქმედებას მოიცავს – ეს არის ილეთები, როგორც დგომში, ასევე ჩოქბჯენში.

დიდი სპორტი და ამ სპორტში სპორტსმენის ჩამოყალიბების პროცესი, შესაძლებელია პირველ რიგში ანალიზატორების სისტემების განვითარებითა და სრულყოფით.

იმის მერე, როდესაც მოხდება ტექნიკური მოქმედების ათვისება უნარის დონეზე, მისი სრულყოფა და ჩვევაში გადასვლა ხდება კუნთოვანი შეგრძნების ამალღების ხარჯზე. სამომრათო ჩვევის ფორმირების ამ ეტაპზე აუცილებელია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ტაქტილური ანალიზატორის განვითარებას.

როგორც არის ცნობილი, ანალიზატორების მუშაობაში არსებობს ურთიერთკავშირი, რომელიც სრულდება და კონტროლირდება ცენტრალური ნერვული სისტემით. მაგალითად, მხედველობის ან სმენის დაკარგვის შედეგად, ხდება სხვა ანალიზატორების მგრძობიარობის ამალღება და ამით ხდება დაკარგული გრძნობის გარკვეულწილად კომპენსირება. მაგალითად, ყრუ-მუნჯი და ბრმა მოჭიდავეები, რომლებიც იყენებენ სასწავლო-საწვრთნო პროცესში გარკვეულ თავისებურ საშუალებებსა და მეთოდებს, პირველ ეტაპზე რთული ილეთების შესწავლის დროსაც არ უთმობენ ჯანმრთელ სპორტსმენებსაც.

თუ სწავლების პერიოდში აუცილებელია ილეთების შესახებ ფართო ინფორმაციის მოპოვების გზით სიარული, მაშინ ტექნიკური მოქმედებების სრულყოფის ეტაპზე აუცილებელია ამ ილეთების შესახებ ინფორმაციის შევიწროების გზით მოხდეს გათვითცნობიერება, მოხდეს გამლიზიანებლების მიზანმიმართული მიმართვა და მოსწავლეთა ყურადღების აქცენტირება კუნთოვან რეცეფციაზე. ამგვარად, მხედველობის გამოთიშვით იზრდება ჭიდაობაში კუნთების მგრძობიარობა. მეტად გამოკვეთილად ეს მჟღავნდება ყრუ-მუნჯ მოჭიდავეებზე. როგორც ცნობილია, მათ დარღვეული აქვთ ვესტიბულარული აპარატისა და მოძრაობის კოორდინაციის ფუნქციები. ახვეული თვალებით ასეთი მოჭიდავეები ვერ ახდენენ ორიენტაციას სივრცეში, ერღვევით სიარული და ა.შ. მაგრამ შეხვედრაში, მოწინააღმდეგესთან უშუალო კონტაქტში, ასეთი მოჭიდავეები საოცარი სიზუსტით ახდენენ ძალებისა და შესაძლებლობების დოზირებას, არეგულირებენ მოვლებების სიმაღლეს და ეს მაჩვენებლები ბევრად დიდია, ვიდრე ის, რომლებიც არის მიღებული გახელილი თვალებით. იმაზე, თუ რა დადებითი ეფექტი მოაქვს ვარჯიშს (ჭიდაობას) ახვეული თვალებით, ცნობილი ბულგარელი მეცნიერი, მწვრთნელი რ. პეტროვი წერს: „ილეთების შესწავლა და სრულყოფა, მხედველობითი კონტროლის არსებობისას და მის გარეშე, რამოდენიმე გამორების შედეგად შეიძლება საგრძნობლად გაუმჯობესდეს ათვისების პროცესი სწავლების ტრადიციულ სისტემასთან შედარებით“.

კარგი შედეგები არის მიღებული ამ მეთოდის გამოყენებით შესისხლხორცებული შეცდომების გამოსწორებისათვის. არასწორი ფორმით (შეცდომებით) უმაღლეს დონეზე ავტომატიზირებული მოძრაობა ძნელად ექვემდებარება გამოსწორებას მისი იმ დონის შესრულებამდე, მაგრამ სწორი სტრუქტურით. მხედველობის გამოთიშვით ამ პრობლემატური საკითხის გადაჭრა ხდება მეტად არსებითი, ინგრევა ჩვეულებრივი რეაქცია (რეფლექსი) ვითარებაზე, რაც სპორტსმენს აძლევს საშუალებას მეტად ხარისხიანად მოახდინოს კუნთების მგრძობიარობის დიფერენციაცია და დიდი ხარისხით გაიაზროს საკუთარი სხეულის მოძრაობა. ამის შედეგად ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ მოძრაობა შესრულდეს შეცდომის გარეშე.

თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური მოქმედებების სწავლებასა და სრულყოფის სისტემის რაციონალური აგებისათვის, რომელიც ემყარება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შესასწავლი და სრულყოფილების დონეზე ასაყვანი მოძრაობის შესახებ ფართო ინფორმაციის მოდინებით, ჩვენ მგრძობიარე ანალიზატორების, კერძოდ ტაქტილური ანალიზატორის განვითარების სხვადასხვა საშუალებათა შორის, ვიყენებდით ჭიდაობაში მეთოდს მხედველობითი ანალიზატორის გათიშვით.

ამ მეთოდს ჩვენ ვიყენებდით მოძრაობის ფორმირების ეტაპზე სამომრათო უნარის დონემდე. მომეცადინეთა მომზადების მატებასთან ერთად იზრდება მსგავსი დავალებების მოცულობა და ინტენსიურობა.

შეხვედრები მსგავსი დავალებებით, სადაც ხდებოდა მხედველობითი ანალიზატორის გამოთიშვა ტარდებოდა სხვადასხვა მოწინააღმდეგეებთან.

ჭიდაობის დრო - დავალებებით, სადაც ხდებოდა მხედველობითი ანალიზატორის გამოთიშვა, იზრდებოდა მოჭიდავეთა მეცადინეობის ზრდასთან ერთად. პირველი მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენდა 1-1,5 წუთს. შემდეგ დროის მოცულობა იზრდებოდა და აღწევდა 3-4 წუთს. ვარჯიშზე მოჭიდავეები ატარებდნენ ორ-ორ შეხვედრას სხვადასხვა მოწინააღმდეგეებთან.

მსგავსი მიდგომის გამოყენებამ საგრძნობლად აამალა ტექნიკური მოქმედებების შესრულების ეფექტურობა სასწავლო-საწვრთნო და საწვრთნო შეხვედრებში და შეჯიბრებებზეც.

ლიტერატურა:

1. Новиков А. А., Юшков О. П., Техническое мастерство борца и органы чувств. В кн. «На борцовском ковре», М., ФиС, 1969, с 50-61.
2. Юшков О. П., Оленник В. Г., Методы обучения технике борьбы. В ежедн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1971, с. 64-69.

3. ჩახნაშვილი შ., სპორტული წვრთნის ფიზიოლოგიური საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984.
4. ჩახნაშვილი შ., ადამიანის ფიზიოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983.
5. Матвеев Л. П., Новиков А. Д., Теория и методика физического воспитания, Том 1, М., ФиС, 1976, 303 с.

ქართული ჭიდაობის ტექნიკის ელემენტები თავისუფალი ჭიდაობის სექციაში

რევაზ თომაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ანი ოქუაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს, რომლის მოსახლეობა შეადგენს 4 მილიონ ადამიანს, ოთხი ჭიდაობის ჯამურ ჩათვლაში შეუძლია დიდი კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოში ნებისმიერ ქვეყანას ევროპის, მსოფლიოს პირველობებსა და ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე.

ამ საოცარი, პროგნოზირებადი შედეგის საფუძველი არის უძველესი დროიდან ხალხში პოპულარული ნაციონალური ჭიდაობა, რომელიც, ერთი მხრივ, ბავშვობიდან გვაძლევს ორთაბრძოლის გარკვეულ ჩვევებს და, მეორე მხრივ, ამაღლებს ნებელობით თვისებებს - ბრძოლის უნარს, სწრაფვას გამარჯვებისკენ.

1945 წლამდე ყოფილ საბჭოთა კავშირში თავისუფალი ჭიდაობა ჯერ არ იყო მიღებული, როგორც ოფიციალური სპორტის სახეობა, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეების შედეგები არ იყო შესამჩნევი. ერთგზის კავშირის ჩემპიონი იყო შალვა ჩიხლაძე, აბსოლუტური ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი – კონსტანტინე კობერიძე. საბჭოთა კავშირის პირველივე ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში ჩემპიონები გახდნენ საქართველოს წარმომადგენლები - საქართველოს ფალავნები: არსენ მეკოკიშვილი (რომელიც ბრწყინვალედ გამოდიოდა თერთმეტი წლის მანძილზე - 1956 წლამდე), დავით ციმაკურიძე (სტაბილური უცვლელი შედეგით ჭიდაობდა 1954 წლამდე), ვანარშაკ მაჩკალიანი (1951 წლამდე) და ვასო ილურიძე, რომელიც ცვალებადი შედეგით ასპარეზობდა 1954 წლამდე.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შემდგომ შედეგებს აკმაყოფილებდა მათი რიგების მუდმივი შევსება ნაციონალური ჭიდაობის წარმომადგენლებით. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ეს ღირსშესანიშნავი წარმომადგენლები ქრონოლოგიური რიგითობით: ნიკოლოზ მუზაშვილი (50-54 წელი), ვახტანგი ბალავაძე (51-58 წელი), სერგო გაბარაევი (53-56 წელი), გიორგი სხირტლაძე (53-59 წელი), მირიან ცალქალამანიძე (54-57 წელი), ვლადიმერ არსენიანი (56-60 წელი), შემდეგ ესტაფეტას აიტაცებს ბრწყინვალე მოჭიდავეების პლეადა: ვლადიმერ რუბაშვილი (60-63 წელი), შოთა ლომიძე (62-71 წელი), ზაურ შეყრილაძე (61-70 წელი), ზარბეგ ბერიაშვილი (62-70 წელი), გურამ საღარაძე (63-68 წელი), ტარიელ ალიბეგაშვილი (65-71 წელი), ანდრეი ცხოვრებოვი (65-75 წელი), ლევან თედიაშვილი (69-80 წელი).

ორმოცი წლის მანძილზე ქართველ მოჭიდავეთა შედეგები არ იყო ერთფეროვანი, კარგი შედეგი შეიმჩნევა 1964 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში მსოფლიო პირველობაზე ტოკიოში რვა წონითი კატეგორიიდან შვიდი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო. იმის მერე, რაც 1964 წელს ძიუდო ოლიმპიური სპორტის სახეობა გახდა, ნაციონალური ჭიდაობის წარმომადგენლებმა შეწყვიტეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რიგების შევსება. მიუხედავად ამისა, ძველი პლეადა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა კლასს. ძიუდოში გამოჩნდნენ ისეთი გამოჩენილი ტალანტები, როგორებიც არიან: გ. ონაშვილი, გ. გოგოლაური, რ. ნიჟარაძე, თ. ხუბულური, შ. ხაზარელი, შ. ჩოჩიშვილი, რ. ხარშილაძე და მრავალი სხვა. ადვილია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეეძლოთ ამ სპორტსმენებს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დონის ამაღლება, მაგრამ ეს არ მოხდა. ამავდროულად, ქართველმა მოჭიდავეებმა: ლევან თედიაშვილმა, სოსო მაღალაშვილმა, გენადი

გიორგაძემ, რომლებიც მანამდე ასპარეზობდნენ თავისუფალ ჭიდაობაში, შეძლეს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ჭიდაობა სამბოში.

ჩვენი უძლიერესი ფალავნების ბრწყინვალე წარმატებები, პირველ რიგში, შეიძლება აიხსნას მათ საჭიდაო არსენალში მრავალფეროვანი, რთულადკოორდინირებული ილეთების არსებობით. რთულად კოორდინირებული, სანახაობრივად ლამაზი ილეთები კი მათ შეჰქონდათ თავისუფალ ჭიდაობაში, ჭიდაობა მიუდოსა და სამბოში - ქართული ნაციონალური ჭიდაობიდან. საერთაშორისო არენაზე აღიარებულია, როგორც ვიცით, ჭიდაობის ოთხი სახეობა: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭიდაობა მიუდო, ჭიდაობა სამბო. ყველა სახეობაში ტარდება ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები და ჭიდაობა სამბოს გარდა, ყველა ჩამოთვლილი სახეობა შეტანილია ოლიმპიურ პროგრამაში.

ჭიდაობის ჩამოთვლილი წესები, ჩაცმულობა, რა თქმა უნდა, განსხვავდება, მაგრამ მათ აქვთ ბევრი საერთო - მათ არსენალში შედის ბევრი ერთი და იმავე დგომის ტექნიკური მოქმედება და ამ ილეთების დიდ პროცენტულ რაოდენობას წარმოადგენს ჩვენი ქართული ჭიდაობის ილეთები.

მიუხედავად იმისა, რომ გავიდა დრო, საერთო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დონე ამაღლდა, ჭიდაობამ გარკვეულწილად დაკარგა თავისი სანახაობრიობა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, მსაჯთა საერთაშორისო კოლეგია, ჭიდაობის სპეციალისტები დღითიდღე ფიქრობენ ამ პრობლემის გამოსწორებაზე. ეს ხშირად გამოიხატება ჭიდაობის წესების ცვლილებებით. ჭიდაობა მიუდოში გარკვეულწილად მოხდა ამ მიზნის დარეგულირება, ზოგიერთი ილეთის ამოღებით მიუდოდან. თავისუფალ ჭიდაობაში საერთო მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩვენ გავაკეთეთ საშეჯიბრო მოღვაწეობის ანალიზი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. სულ ჩატარდა 2000-ზე მეტი შეხვედრის ანალიზი. ანალიზისათვის ჩვენ ვიყენებდით სტენოგრაფირების მეთოდს.

დგომის ტექნიკური მოქმედებების ანალიზის მიზნით გამოყოფილი იყო სამი ძირითადი საკვალიფიკაციო ჯგუფი: გადაყვანები, გდებები, წაქცევები. ცალკე ვაანალიზებდით ერთი და ორი ფეხის მოვლებით გდებებს.

ანალიზიდან ჩანს, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დგომის ტექნიკური მოქმედებებიდან მოჭიდავეები ყველაზე ხშირად იყენებენ გადაყვანებს და გდებებს ერთი და ორი ფეხის მოვლებით და ამ ილეთების რაოდენობა შეადგენს ყველა ასაკში 60-70% ილეთების საერთო რაოდენობისას. რაც შეეხება რთულადკოორდინირებულ - მრავალფეროვან ილეთებს, მათი პროცენტული რაოდენობა მცირეა. მოგახსენებთ, რომ თავისუფალი ჭიდაობა მოითვლის 1000-ზე მეტ ილეთს.

გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ბაზაზე, თავისუფალი ჭიდაობის განყოფილებაში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, ჩვენ სასწავლო მასალა გავანაწილეთ კომბინირებული - კონცენტრული მეთოდის პრინციპით. არჩეული მიდგომა ითვალისწინებდა თავისუფალ ჭიდაობაში არსებული ტექნიკური მოქმედებების ოპტიმალურ მოცულობას და რაციონალურ თანამიმდევრობას.

მუშაობაში ვითვალისწინებდით შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

1. როგორი უნდა იყოს თავისუფალ ჭიდაობაში შესასწავლი ტექნიკური მოქმედებების მოცულობა და თანამიმდევრობა;

2. სად, რა რაოდენობით და თანამიმდევრობით იქნება წარმოდგენილი ქართული ჭიდაობის ილეთები მოცემულ შესასწავლ ილეთებში;

3. დრო ან ინტერვალი, რომელიც იქნება სასურველი ილეთების სწავლებისა და სრულყოფისთვის;

4. როდის შეიძლება ერთი და ორი ფეხის მოვლების შემდეგ გადაყვანებისა და გდებების შესწავლა;

5. კონტრტექნიკური მოქმედებებისა და დაცვების შესწავლისა და სრულყოფის ეტაპი და თავისებურებები;

6. დაგეგმილი პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნა, ეფექტური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება;

7. ილეთის მომზადების ტაქტიკის შესწავლა - დინამიური სიტუაციის შექმნა სასურველი ტექნიკური მოქმედების შესრულებისათვის.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ილეთების განაწილების მოცულობასა და თანამიმდევრობაში არის თექვსმეტი ტექნიკური მოქმედება, დაყოფილი სამ ძირითად ჯგუფად.

პირველ - გადაყვანების ჯგუფს შეადგენს ილეთები, რომლებიც არის დაკავშირებული ხელის, კისრის, სხეულის - ხელით სხვადასხვა მოვლებით.

ჩვენი საკითხის მიზნიდან გამომდინარე, შესასწავლი ტექნიკური ილეთების მეორე ჯგუფი წარმოვადგინეთ ქართული ეროვნული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედების სახით. ამ ჯგუფს შეადგენს ისეთი ილეთები, როგორცაა: სარმები, ცერულები, კაურები, ამოსმულები, ჩახვეულები. ეს ილეთებია ფეხის მოქმედებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენს ჯგუფს: ზურგის შეტრიალებით, მოხრით,

გაზნეჭვით, ბიძგით, გრეხვით. მესამე საკლასიფიკაციო ჯგუფს წარმოადგენს ილეთები გდებების, წაქცევებისა და ბიძგითი გდებების კატეგორიიდან. ეს ილეთები მოითხოვს სპორტსმენებისაგან ფეხების მოქმედებების ფლობის მაღალ დონეს, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაღალი ფიზიკური მომზადების ფონზე. მოჭიდავე უნდა იყოს: სწრაფი, მოქნილი, მოხერხებული და ფიზიკურად ძლიერი. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი მნიშვნელობა ამ ილეთების შესრულებისთვის აქვს ფეხების სიგრძეს. თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც აღვნიშნეთ, დიდი რაოდენობით გამოიყენება ილეთები ერთი და ორი ფეხის მოვლების შემდეგ ჩოქბჯენში გადაყვანები და გდებები, ეს მოვლებები კი სრულდება ხელების საშუალებით. მოჭიდავე, რომელმაც იცის და წარმატებით იყენებს ქართული ჭიდაობის ილეთებს, ძირითადად ეს არის ილეთები ფეხების გამოყენებით, ყოველთვის არის სახიფათო მოწინააღმდეგეებისათვის და ატარებს ლამაზ ჭიდაობას. ახალ ისტორიაშიც შეიძლება ბევრი კარგი მაგალითის წარმოდგენა.

ქართული ჭიდაობის ილეთების ეფექტური შესწავლისთვის ჩვენ ვიყენებით ლიტერატურას ქართულ ჭიდაობაზე, ვაანალიზებდით ქართული ჭიდაობის, ძიუდოსა და სამბოს ცალკეულ შეხვედრებს და შეჯიბრებს, გავდიოდით კონსულტაციებს სპეციალისტებთან. ფართოდ ვიყენებდით სასწავლო პროცესში სხვადასხვა დავალებებსა და ცვალებად პირობებს, სპეციფიკურ მეთოდებს.

ჩატარებულმა მუშაობამ კარგი შედეგი მოგვცა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შეძლეს არა მარტო ქართული ჭიდაობის ილეთების შესწავლა და შესრულება ვარჯიშზე, არამედ წარმატებით იყენებდნენ ამ ილეთებს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე. ამავდროულად მათი არსენალი მოიცავდა თავისუფალი ჭიდაობის დომინანტ ილეთებს, შეიძლება ითქვას, რომ სპორტსმენებში გათანაბრდა ამ ილეთების მხრივ დაინტერესება და შესრულების ეფექტურობა.

მუშაობა მიმდინარეობდა 11 თვის მანძილზე. ჩვენი აზრით, ჩატარებულმა კვლევამ დადებითი შედეგი გამოიღო. დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, ილეთების სწორად შერჩევას, განაწილებასა და შესწავლას. თუ ეს პროცესი რაციონალურად არის წარმოდგენილი, მას დადებითი შედეგი მოაქვს.

ლიტერატურა:

1. Мартиросов Э. Г., Новиков А. А., Моргунов Ю. А., Волков В. П., Зависимость атакующих действий от морфологических особенностей борцов. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1972, с. 51-53.
2. Зубайраев С. П., Ратишвили Г. Г., Исследование основных технических приёмов борьбы самбо с использованием вектординамографического метода. Материалы ЦНИИФК, 1963.
3. Алиханов И. И., Частные методики обучения сложным приёмам. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979, с. 41-47.
4. Алиханов И. И., Техника и тактика вольной борьбы. М., ФиС, 1986, 304 с.
5. ი. თომაშვილი, ქართული ჭიდაობა (ტექნიკა, ტაქტიკა და მეთოდები), „სახელგამი“, თბილისი, 1957.

კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით

ნათია იორამაშვილი, მარინა ხუციშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე**, პროფესორი

პრაქტიკული ამოცანა: ჩვენ გვსურს შევამოწმოთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ გორის უნივერსიტეტში გამოცდების დადებითად ჩაბარების საშუალო რიცხვი ქალებისათვის უფრო მეტია, ვიდრე ვაჟებისათვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის χ^2 კრიტერიუმის გამოყენებით ჯერ შევამოწმოთ ჩვენი H_0 სიდიდე, რომლის სინშირული განაწილება მოყვანილია ქვემოთ, $\alpha=0,05$ მნიშვნელობის დონით, არის თუ არა ნორმალურად განაწილებული.

კლასების საზღვრები	სიხშირე
89,5 - 104,5	24
104,5 - 119,5	62
119,5 - 134,5	72
134,5 - 149,5	26
149,5 - 164,5	12
164,5 - 179,5	4

H₀ ჰიპოთეზა - სიდიდე განაწილებულია ნორმალურად

H₁ ჰიპოთეზა - სიდიდე არ არის განაწილებული ნორმალურად

ნაბიჯი 1. ვიპოვოთ სიდიდის საშუალო და შესწორებული სტანდარტული გადახრა. ვისარგებლოთ შემდეგი ცხრილით:

საზღვრები	სიხშირე f_i	შუა წერტილები x_i	$f_i \cdot x_i$	$f_i \cdot x_i^2$
89,5 - 104,5	24	97	2328	225816
104,5 - 119,5	62	112	6944	777728
119,5 - 134,5	72	127	9144	1161288
134,5 - 149,5	26	142	3692	524264
149,5 - 164,5	12	157	1884	295788
164,5 - 179,5	4	172	688	118336

$$\sum(f_i \cdot x_i) = 24680$$

$$\bar{x} = \frac{24680}{200} = 123,4$$

$$\sum(f_i \cdot x_i^2) = 3103220$$

$$S' = 1 / n - 1 \sqrt{\sum_{i=1}^n f_i x_i^2 - \left(\sum_{i=1}^n f_i x_i\right)^2 / n} = \frac{1}{199} \sqrt{3103220 - \frac{(24680)^2}{200}} = 17,03$$

გამოვთვალოთ კლასების საზღვრებში მოხვედრის ალბათობები, მისი ნორმალურად განაწილებულობის დაშვების შემთხვევაში. მაგალითად:

$$P[\xi < 104,5] = P\left[\frac{\xi - 123,4}{17,03} < \frac{104 - 123,4}{17,03}\right] = P[z < -1,11] = 0,1335$$

ანალოგიურად გამოითვლება

$$P[104,5 \leq \xi \leq 119,5] = 0,2755$$

$$P[119,5 \leq \xi \leq 134,5] = 0,3332$$

$$P[134,5 \leq \xi \leq 149,5] = 0,1948$$

შემდეგში ვიპოვოთ მოსალოდნელ სიხშირეთა მნიშვნელობები, რისთვისაც ზემოთ მიღებული

ალბათობები გავამრავლოთ 200-ზე. მოსალოდნელი სიხშირეებია:

$$e_1 = 200 \cdot 0,1335 = 26,7 \quad e_2 = 200 \cdot 0,2755 = 55,1 \quad e_3 = 200 \cdot 0,3332 = 66,64$$

$$e_4 = 200 \cdot 0,1948 = 38,96 \quad e_5 = 200 \cdot 0,055 = 11 \quad e_6 = 200 \cdot 0,008 = 1,6$$

შენიშვნა: ვინაიდან უკანასკნელი კატეგორიის მოსალოდნელი სიხშირე ნაკლებია 5-ზე, ის უნდა გაერთიანდეს წინა კატეგორიასთან და საბოლოოდ გვექნება სიხშირეთა განაწილების შემდეგი ცხრილი:

η	24	62	72	26	16
e	26,7	55,1	66,64	38,96	12,6

$$[a] \ 16=12+4, \ 12,6=11+1,6]$$

კრიტერიუმის მნიშვნელობა იქნება:

$$\chi^2 = \sum_{i=1}^5 \frac{(-e)^2}{e} = \frac{(24-26,7)^2}{26,7} + \frac{(62-55,1)^2}{55,1} + \frac{(72-66,64)^2}{66,64} + \frac{(26-38,96)^2}{38,96} + \frac{(16-12,6)^2}{12,6} = 6,797$$

$$df = (5-1)(2-1) = 4, \quad \chi^2_{n-1, \alpha} = \chi^2_{4; 0,05} = 9,488$$

ვინაიდან, $6,797 < 9,488$ ე.ი. H_0 ჰიპოთეზის უარყოფის საფუძველი არა გვაქვს. ე.ი. ξ განაწილებულია ნორმალურად.

შევუდგეთ შემდეგ ეტაპს: შემთხვევით შევარჩევთ ჩვენს უნივერსიტეტში 50 ქალსა და 50 ვაჟს და ვაწარმოებთ გამოკითხვას, თუ ვინ ჩააბარა დადებითად გამოცდა და ვინ არა.

გამოკითხვის შედეგად მივიღეთ შემდეგი ცხრილები:

X ქალების დადებითად ჩაბარების ცხრილი

6	11	11	8	15
6	14	8	12	18
6	9	5	6	9
6	9	18	7	6
15	6	11	5	5
9	9	5	5	8
8	9	6	11	6
7	7	5	10	7
10	7	10	8	11
9	5	11	5	8

Y ვაჟების დადებითად ჩაბარების ცხრილი

6	8	11	13	8
7	5	13	14	6
6	5	5	7	6
10	7	6	5	5
16	10	7	8	5
7	5	5	6	5
9	18	13	7	10
11	4	6	8	7
14	12	5	8	5
7	8	5	7	10

ჩვენი ამოცანაა შევამოწმოთ:

- I. H_0 ჰიპოთეზა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: გორის უნივერსიტეტში გამოცდების დადებითად ჩაბარების საშუალო რიცხვი ქალებისათვის (μ_1) უფრო მეტია ვიდრე ვაჟებისათვის (μ_2).
- II. ავაგოთ 95% ნდობის ინტერვალი $\mu_1 - \mu_2$ -სთვის. ჰიპოთეზის შემოწმებისათვის შემოვიღოთ შემდეგი სტატისტიკური კრიტერიუმი:

$$z = \frac{\bar{x} - \bar{y} - (\mu_1 - \mu_2)}{\sqrt{\frac{S_1^2}{n} + \frac{S_2^2}{n}}}$$

ვიპოვოთ კრიტიკული წერტილები $z_{0,025}$. ცხრილის მიხედვით ეს კრიტიკული წერტილებია $z_{0,025} = \pm 1,96$ ამის შემდეგ გამოვთვალოთ სტატისტიკურ-კრიტერიუმის მნიშვნელობა: $Z_r = \frac{\bar{x} - \bar{y}}{\sqrt{\frac{S_1^2}{n} + \frac{S_2^2}{n}}}$

$$= \frac{8,6 - 7,9}{\sqrt{\frac{(3,3)^2 + (3,3)^2}{50}}} = \frac{7}{33} \quad \text{ვინაიდან, } Z_r = \frac{7}{33} < 1,96 \quad (z \text{ კრიტერიუმზე}), \text{ ამიტომ } H_0 \text{ ჰიპოთეზის უარყოფის}$$

საფუძველი არ არსებობს.

ავაგოთ 95% ნდობის ინტერვალი $\mu_1 - \mu_2$ -სთვის. ნდობის ინტერვალი გამოითვლება ასეთი

$$\text{ფორმულით: } \left(\bar{x} - \bar{y} - Z\alpha / 2 \sqrt{\frac{S_1^2}{n} + \frac{S_2^2}{n}}, \bar{x} - \bar{y} + Z\alpha / 2 \sqrt{\frac{S_1^2}{n} + \frac{S_2^2}{n}} \right)$$

ჩვენს შემთხვევაში $\bar{x} = \sum_{i=1}^{50} x / 50 = 8,6$, ხოლო $\bar{y} = \sum_{i=1}^{50} y / 50 = 7,9$

$$S_1^2 = \frac{1}{50-1} \sum_{i=1}^{50} (x - 8,6)^2 = (3,3)^2$$

$$S_2^2 = \frac{1}{50-1} \sum_{i=1}^{50} (y - 7,9)^2 = (3,3)^2$$

ამრიგად, ნდობის ინტერვალი იქნება $(-0,59; 1,98)$

დასკვნა: I. მონაცემები განაწილებულია ნორმალურად.

II. ქალების დადებითად ჩაბარების საშუალო რიცხვი მეტია ვაჟებისაზე, $\mu_1 > \mu_2$.

III. 95% ნდობის ინტერვალით $\mu_1 - \mu_2$ მოთავსდება ამ ინტერვალში.

ლიტერატურა:

1. ნ. ლაზრიევა, მ. მანია, ა. ტორონჯაძე, თ. ტორონჯაძე, თ. შერვაშიძე, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ფონდი „ევრაზია“, თბილისი, 2000.
2. თ. ფურთუხია, ალბათობა და სტატისტიკა მაგალითებსა და ამოცანებში, თსუ, 2011.

პროცესორი, მისი შემადგენლობა და სწორად შერჩევა

დათო პაპიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტიაშვილი**, პროფესორი

დღევანდელ სამყაროში კომპიუტერი განუყოფელი და ყველაზე ხშირად მოსახმარი ნივთია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სწორად შერჩევა. ხშირ შემთხვევაში მყიდველი „ბრმად“ ენდობა გამყიდველს და ზარალდება ამით. აქედან გამომდინარე, საჭიროა ვიცოდეთ გარკვეული ინფორმაცია ჩვენი კომპიუტერის, განსაკუთრებით, პროცესორის შესახებ.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში აქტუალური თემა იყო „ეგრეთ წოდებული პენტიუმ 5-ის ფლობა“. არ მეგონა, ამ თემაზე კიდევ თუ საუბრობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეა. საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელ შემთხვევას შევხვდი. მოკლედ რომ დავიწყოთ, მაღაზიაში, თუ გინდათ, კომპიუტერული ფირმა ვუწოდოთ, რაღაც საქმეზე შევიარე. რა თქმა უნდა მყიდველ-გამყიდველ-დამთვალეირებლიანად ყველანი შეკრებილიყვნენ და შესანიშნავი საუბარი მოვისმინე. სიტუაცია შემდეგია: სახეგაბრწყინებული კლიენტი, რომელმაც, როგორც ჩანს, ახლახან შეიძინა კომპიუტერი, კმაყოფილი კითხულობს: „ეს პენტიუმ 5-ია უკვე, არა?“ იმავენიარად გახარებული გამყიდველი პასუხობს: „დიახ, ქალბატონო, ეს ძალიან მაგარი კომპიუტერია, ასე ვთქვათ, პენტიუმ 5“ .. ახლა ამ ადამიანს წესით ძალიან უნდა გაუხარდეს, რადგან პროცესორი, რომელსაც იგი გადმოცემით ფლობს, მართლაც ტექნოლოგიის მიღწევაა ან როგორც მინიმუმ, ჩვენმა გამყიდველმა ააწყო სადღაც მალულად და იმდენად თავმდაბალია, რომ ვერ ამხელს და ასე ჩუმად თუ შემოეყიდება ხოლმე. ორივე კმაყოფილია, პრობლემებიც არანაირი სიტუაცია საინტერესო, სასაცილო და დამაფიქრებელია, თუმცა რა არის ამაში უცნაური? მოდით განვიხილოთ დეტალურად და უფრო გასაგებად.



AMD მთელი გულით ცდილობდა, ყურადღება მეც მომაქციეთო, არავინ აირჩია კითხვაზე – „რა კომპიუტერი გაქვს?“ სხვა პასუხი არ იყო, გარდა „პენტიუმისა“ .. მოგვიანებით სახელს რიცხვიც მიემატა მის საცნობად, მარტივად რომ ვთქვა, პენტიუმ 4 არის პროცესორის სახელი, თუმცა ამ კითხვაზე ვინჩესტერი რომ გვეპასუხა, არც ეს იქნებოდა იდეალურად სწორი პასუხი.. ახლა ცუდი და ვიღაცისთვის გულის დამწყვეტი ამბავი: ინტელმა გამოუშვა რა პენტიუმების ბოლო ვერსია პენტიუმ 4, მარტივი სტატისტიკით გამოჩნდა, რომ ტექნოლოგია საოცარი სისწრაფით მიდიოდა წინ. ასე რომ

გაგრძელებულიყო, ახლა მინიმუმ პენტიუმ 32-თან გვექნებოდა საქმე. იგივე ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევდა, ერთ ბირთვში ორი მოთავსებულიყო. შედეგად სამყაროს პირველი core duo მოევიდნა.



ეს იყო 2004–2005 წელს. საქართველოში ეს, რა თქმა უნდა, მოგვიანებით გავიგეთ. Core duo იყო ძლიერი, ვიდრე პენტიუმი და ორბირთვიანთა შთამომავალი. აქ ის სიტუაციაა, შვილი რომ მამას ჯობდა და მაინც მამის სახელს ემახდნენ. ამიტომ core სხვა ოჯახში გადავიდა, დაიწყო 4 და 8 ბირთვის ტექნოლოგია. i5-ის და i7-ის პროცესორებით გადატრიალდა ტექნოლოგია, გამოვიდა AMD უკეთესი და უკეთესი. მოკლედ, წავედით წინ.

დამზადდა პროცესორები, დაიწყო მათი გაყიდვა ერთი ყუთი ჩვენც შეგვხვდა. აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინოო და საქართველოში გამოუშვეს, თუმცა მისი სიხარული მალევე დამთავრდა. აქ არავის უთქვამს: ჩემი კომპიუტერი არის core duo, პასუხი იყო პენტიუმ 5. იმავე სახელით სარგებლობს დღეს i5, i7 და სხვა მრავალი. სასიამოვნო მოსასმენიგაა და რა იცის ინტელმა, რომ ასე ველით, თორემ მადლია ამისთვის რაღაც 1 მილიონი P5 არა მგონია, გვაწყენინოს. იმედია, ვინმე მიაწვდენს ხმას, მაშინ კი თამამად შეეძლება მფლობელს, განაცხადოს, თუ რა უღვეს სახლში.

ამ ყველაფრით იმის თქმა მიხდა, რომ პენტიუმმა ორ ბირთვთანთან ერთად და ცოტა ადრეც შეწყვიტა ამ პროცესორის გამოშვება და მისი სახელიც აქ დამთავრდა. ასე რომ, ჩვენს კეისში, თუ ის ახლახან შევიძინეთ, ნამდვილად არ დევს პენტიუმი და უცებ რომ აღმოჩნდეს, რომ დევს, ძალიან ცუდია იმიტომ, რომ დღეს ის ნამდვილად არ არის საშუალო პროცესორი, ძლიერზე არაფერს ვამბობ, თუ, რა თქმა უნდა, ასევე მოულოდნელად პენტიუმ 32 არ აღმოჩნდება. ასე რომ, ყველა იმ ადამიანმა, ვინც კომპიუტერს ფლობს, უნდა იცოდეს გარკვეული რამ თავისი კომპიუტერის პროცესორის შესახებ. ასევე ახსოვდეს, რომ პენტიუმ 5 არ არსებობს, არც არასდროს არსებულა და არც იარსებებს. ტექნოლოგია გაცილებით მაღლაა, ვიდრე P5 იქნებოდა. ეს ყველაფერი კი თავიდან აგვაცილებს ისეთ არასასურველ შემთხვევებს, როგორც მოყვანილ მაგალითში ვნახეთ. ამისათვის კი განვიხილოთ პროცესორი და მისი ძირითადი მახასიათებლები.

CPU – ეს არის აბრევიატურა, რომელიც იმიფრება ასე Central Processor Unit – იგივე ცენტრალური პროცესორი. CPU არის კომპიუტერის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი, რომელიც ასრულებს ყველაზე მთავარ ოპერაციებს, ფაქტიურად ის არის კომპიუტერის ტვინი, რომელიც ასრულებს რეგისტრებს.

პროცესორში არის 6 ძირითადი რეგისტრი:

1. აკუმულატორი – (cache) მაშინ როცა ALU (ALU არის პროცესორის ელემენტი, რომელიც ასრულებს რიცხვებზე არითმეტიკულ ოპერაციებს: დაჯამება გაყოფა, გამრავლება და ა.შ.) გამოთვლას ატარებს, ვთქვათ, I “სიტყვაზე” (32 ბიტანი) ამ დროს II “სიტყვა” აკუმულატორში „ელოდება“ - ანუ დროებით დამმახსოვრებელი რეგისტრში;

2. ბრძანებათა მთვლელი – აკონტროლებს ყველა ბრძანებას (და მიმდევრობას), რომელიც მიმართულია შიდასალტიდან დამუშავებაზე;

3. მეხსიერების მისამართის რეგისტრი – ის უთითებს მეხსიერების (ქეში) იმ უჯრედს რომელიც პროცესორმა უნდა გამოიყენოს;

4. ბრძანებების რეგისტრი – მისი დანიშნულებაა ის, რომ მიმდინარე შესასრულებელი ბრძანება შეინახოს;

5. მდგომარეობის რეგისტრი – ეს რეგისტრი იმისთვისაა, რომ პროგრამის შესრულების დროს შემოწმებები ჩაატაროს და შედეგები შეინახოს (ერთ-ერთი ყველაზე რთული აგებულების რეგისტრი);

6. ALU-ს საბუფერო რეგისტრი – ესეც დამმახსოვრებელი მოწყობილობის როლს ასრულებს (ინახავს მართო ერთ სიტყვას 32/64bit).

7. თანამედროვე პროცესორებში არის ასევე ზოგადი დანიშნულების რეგისტრები, რომლებიც იმეორებენ ერთ-ერთი სხვა რეგ-ის ფუნქციას!

პროცესორს ასევე გააჩნია ტაქტური სიხშირე - Clock rate, რომელიც იზომება ჰერცებით hz. ტაქტური სიხშირე - ეს არის ციკლების რაოდენობა წამში. ციკლებში იგულისხმება აი ის გადართვა ზევით რომ დაეწერე 0-დან 1-ში, ან პირიქით. რაც უფრო მეტი გადართვის ანუ ციკლის შესრულება შეუძლია პროცესორს წამში, მით მეტია მისი ტაქტური სიხშირე ანუ მით მეტპერციანია, თუმცა ჰერციანი პროცესორები აღარ არსებობს, ამჟამად უკვე პროცესორების ტაქტური სიხშირე რამდენიმე ასეულ მეგაჰერცს Mhz და რამდენიმე გიგაჰერცს აღწევს Ghz. (კილოჰერცი - 1 000 ჰერცია, მეგაჰერცი 1 000 000 ჰერცი ხოლო გიგაჰერცი 1 000 000 000 - მილიარდი ჰერცი). რაც უფრო მეტპერციანია პროცესორი, მით უფრო სწრაფია იგი.

უნდა ვიცოდეთ, რომ პროცესორს აქვს ორი სიხშირე. ეს არის ბაზისური სიხშირე და ტაქტური სიხშირე (ტაქტური სიხშირით იცნობს ყველა პროცესორს, ანუ რამდენ გიგა თუ მეგაჰერციანია, სწორედ ტაქტური სიხშირეა ეგ), ბაზისური სიხშირე - ეს არის ინტელისთვის იგივე FSB (Front Side Bus) და ახალ პროცესორებში BCLK (Baseclock) ხოლო AMD შემთხვევაში ეს არის HT (HyperTransport). ტაქტური სიხშირე ბაზისური სიხშირის პროცესორის მამრავლზე Multiplier გამრავლებით მიიღება და ბაზისური სიხშირე ყოველთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ტაქტური სიხშირე. ზოგჯერ ბაზისური სიხშირე 20-ჯერ და მეტჯერ ნაკლებიც კი შეიძლება იყოს ტაქტურ სიხშირეზე. თუ რამდენი იქნება ბაზისური სიხშირე და რამდენი მამრავლი, ამას მწარმოებელი განსაზღვრავს თავისი სურვილის მიხედვით. თუ, მაგალითად, პროცესორს აქვს ბაზისური სიხშირე 333, ხოლო მამრავლი 9, მაშინ პროცესორის ტაქტური სიხშირე გამოვა $333 \times 9 = 3000 \text{ Mhz}$ (intel core 2 duo E8400). ხოლო თუ პროცესორის ბაზისური სიხშირე არის 100, ხოლო მამრავლი 34, მაშინ პროცესორის ტაქტური სიხშირე გამოვა $100 \times 34 = 3400 \text{ mhz}$ (i7 2600). პროცესორის აჩქარება (overclocking) სწორედ ამ მონაცემების შეცვლით ხდება, ან ბაზისური სიხშირის გაზრდით ან მამრავლის მატებით თუ ამის საშუალებას მწარმოებელი გვაძლევს, რადგან ხშირად მამრავლი ჩაკეტილია და მხოლოდ ბაზისური სიხშირის გაზრდით შეიძლება აჩქარება, ზოგჯერ მამრავლი ღია (unlocked multiplier) და აჩქარება მხოლოდ მამრავლის მატებით შეიძლება. ბაზისური სიხშირის მატება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე მხოლოდ მამრავლის მატება, მაგრამ ხშირად უფრო ეფექტური, ანუ თუ ბაზისურ სიხშირეს გაზრდი, რეალურად პროცესორი უფრო მძლავრი გახდება ვიდრე მხოლოდ მამრავლის მატებით. თუმცა, მაგალითად, ინტელის ახალი პროცესორები ბაზისური სიხშირის მატებას ვერ იტანენ და ფაქტიურად ერთადერთი საშუალება მხოლოდ მამრავლის მატება რჩება.

არსებობს ტექნოლოგია Turbo boost, რომელსაც იყენებს Intel-ის და უკვე AMD-ს პროცესორები და მისი აზრია დატვირთვაზე (ანუ მიძიმე სამუშაოს შესრულებისას) პროცესორის ავტომატური აჩქარება - ტაქტური სიხშირის მატება მამრავლის მატების გზით. იმის მიხედვით, თუ რამდენი ბირთვია დატვირთული, სხვადასხვა პროცესორი სხვადასხვა სიხშირემდე მატულობს. ზოგჯერ შეიძლება მოიმატოს 1 მამრავლით სიხშირემ, ან 5 მამრავლითაც. ეს პრაქტიკაში გამოიხატება ტაქტური სიხშირის 100mhz მატებით ან 500mhz მატებით შესაბამისად. ასევე AMD-მ მოახდინა თავის ახალ პროცესორებში Turbo core ტექნოლოგიის დანერგვა, რომლის არსიც ზუსტად იგივეა, რაც Turbo boost. პროცესორის ტაქტური სიხშირე ავტომატურად მატულობს დატვირთვაზე. თუ რამდენით მოიმატებს სიხშირე ეს ბაზისურ სიხშირესა და მწარმოებლის სურვილზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, ბაზისური სიხშირე 100mhz-ია, მამრავლის 1 ერთეულით მატებით ტაქტური სიხშირეც 100mhz-ით იზრდება, ხოლო თუ ბაზისური სიხშირე 133mhz-ია, მაშინ მამრავლის 1 ერთეულით მატებით ტაქტური სიხშირე 133mhz-ით იზრდება. იმავე შემთხვევაში 2 ერთეულით მატებისას ტაქტური სიხშირე 2-ჯერ 133 ანუ 266mhz-ით მოიმატებს და ა.შ.

ასევე საყურადღებოა, რომ ბაზისურ სიხშირეზე მიბმულია ოპერატიული მეხსიერებაც (რომელსაც ასევე გააჩნია თავისი მამრავლი) და ბაზისური სიხშირის გაზრდასთან ერთად ავტომატურად მოიმატებს ოპერატიული მეხსიერების სიხშირე, გვინდა ჩვენ ეს თუ არა. ერთადერთი ვარიანტი, როცა ოპერატიულის სიხშირე არ მატულობს, ეს არის მამრავლის მომატებით პროცესორის აჩქარება, შესაძლებელია ცალკე ოპერატიული მეხსიერების სიხშირის გაზრდა პროცესორის სიხშირის გაზრდის გარეშე, ამისთვის ოპერატიულის მამრავლი უნდა გავზარდოთ.

ბირთვები - ყველამ ვიცით, რომ პროცესორს აქვს ბირთვები. თითო ბირთვი - ეს ფაქტიურად არის ALU და FPU პლუს L1 და L2 დონის ქემ - მეხსიერება, ხოლო L3 დონის ქემ - მეხსიერება ბირთვებს, როგორც წესი, საერთო აქვთ. დღეისათვის არსებობს 1, 2, 3, 4, 6, 8 და 12 ბირთვიანი პროცესორიც

(8 და 12 მხოლოდ სერვერულ პროცესორებზე არსებობს ჯერჯერობით). ექსპერიმენტულ 48 და 100 და ა.შ. ბირთვიან პროცესორებზე არ მაქვს საუბარი

4 ბირთვიანი პროცესორის კრისტალი (Die) ჩანს 4 ბირთვი (core), რომლებშიც არ ჩანს L1 და L2 ქემ - მეხსიერება. სამაგიეროდ, ჩანს, რომ L3 დონის მეხსიერება განაწილებულია. ასევე ზევით ჩანს ინტეგრირებული მეხსიერების კონტროლერი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრი ბირთვი არ ნიშნავს, რომ პროცესორის სიხშირე ორმაგდება და ოთხმაგდება. თუ გვაქვს 2 ბირთვიანი პროცესორი, რომელიც მუშაობს 3000Mhz სიხშირეზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორივე ერთად 6000mhz სიხშირეზე მუშაობს! ანალოგიას გავავლებ მანქანასთან. ვთქვათ, გვაქვს ორი მანქანა, რომლებიც თითო 100 კმ საათში სიჩქარით დადის, ორივე ერთად რომ დავძრათ, 200 კმ საათში სიჩქარით არ ივლიან. უბრალოდ, ორივე ერთად ორჯერ მეტ ადამიანს გადაიყვანს, სწორედ მასეა პროცესორშიც. ორი ბირთვი 3000Mhz სიჩქარეზე მომუშავე ორჯერ მეტ მონაცემს დაამუშავებს 3000mhz სისწრაფით და არა 6000Mhz სისწრაფით.

1. პროცესორის ყიდვისას შეგიძლიათ გაითვალისწინოთ:
2. მისი ტექტური სიხშირე;
3. მისი ქემ მეხსიერების ზომა;
4. ბირთვების რაოდენობა;
5. ნანომეტრული ტექნოლოგია;
6. ვინ აწარმოებს მას;
7. ფასი.

უნდა გაითვალისწინოთ, რისთვის გჭირდებათ პროცესორი, რადგან უმეტეს თამაშებში დღეისათვის რეალურად 4 ბირთვზე მეტი არ დაგჭირდებათ არქიტექტურა და სხვა დეტალები ყიდვისას ნამდვილად არ ჩანს და რეალურად თუ გინდათ იცოდეთ, რა შეუძლია პროცესორს და რომელი უკეთესია, სჯობს ნახოთ მიმოხილვები და რევიუები სხვა პროცესორებთან შედარებით, რათა გაიგოთ, კონკრეტულ თამაშებსა და პროგრამებში რომელი პროცესორი აჩვენებს უკეთეს შედეგს. პროცესორების და კომპიუტერის სხვა ნაწილების შედარება არის უამრავ საიტზე, ერთ-ერთი საინტერესო საიტია <http://www.cpubenchmark.net/>.

ლიტერატურა:

1. Ful.ge
2. <http://www.overclockers.ge/index.php?/topic/12210-რა-არის-კომპიუტერი-და-რისგან-შედგება-ის/>
3. <http://www.youtube.com/watch?v=Cg-mvrG-K-E>
4. <http://www.youtube.com/watch?v=qm67wbB5GmI>
5. <http://www.cpubenchmark.net/>

ვირუსული დაავადება C ჰეპატიტი და მისი სტატისტიკა შიდა ქართლში

ნინო სარქისიანი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

მარიამ სარქისიანი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: თინათინ იოსებიძე, ასოცირებული პროფესორი

ბუნებაში არსებობს უმცირესი ზომის ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც ვირუსები ეწოდებათ. (ლათ. სიტყვაა და „ვირუსი“ ნიშნავს შხამს). ისინი იწვევენ მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანისთვის საშიშ, ზოგჯერ სასიკვდილო დაავადებებს. ვირუსი, დედამიწაზე სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან განსხვავებით, არაუჯრედული აგებულებისაა. მათ არა აქვთ პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, მიტოქონდრიები, ცილების მასინთეზირებელი რიბოსომები. ისინი მოკლებულნი არიან

ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელ ისეთ სპეციფიკურ თვისებებსაც, როგორცაა ნივთიერებათა და ენერჯის ცვლა, მაგრამ მათ აქვთ გამრავლების უნარი. სწორედ ამ უნარს და მასთან დაკავშირებულ მემკვიდრეობასა და ცვალებადობას ისინი ცოცხალ უჯრედში მოხვედრისას იძენენ.


პროკარიოტული და ეუკარიოტული უჯრედებისგან განსხვავებით ვირუსს აქვს მხოლოდ ერთი ტიპის ნუკლეინის მჟავა. ყველა ვირუსს, რომელიც ემაგრება მცენარეს, გააჩნია მხოლოდ რნმ, ვირუსებს კი, რომლებიც იწვევენ ცხოველთა დაავადებას, გააჩნიათ ან რნმ, ან დნმ, თუმცა ვირუსებში ორივეს ფუნქცია ერთი და იგივეა.

ვირუსები იმდენად მცირე ზომისანი არიან, რომ მათი დანახვა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპითაა შესაძლებელი, მაგრამ მისგან გამოწვეულია მრავალი საშიში დაავადება: ყბაყურა, გრიპი, პოლიომიელიტი, წითელა, ყვავილი. უკანასკნელ წლებში გავრცელდა მეტად საშიში დაავადებები: შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი და C ჰეპატიტი. ჩვენ განვიხილავთ ამათგან C ჰეპატიტს.

ჰეპატიტი (ბერძნული სიტყვაა *hepar*, ნათარგმნი ბერძნულიდან *hepatos* „ღვიძლი“) ღვიძლის ანთებითი დაავადების საერთო სახელწოდებაა. ჰეპატიტი შეიძლება გამოიწვიოს: მიკრობის ტოქსინმა, ამებიაზმა, ალკოჰოლმა, შხამიანი სოკოთი, დარიშხანით, დიქლორეთანით ან სხვა ქიმიური ნივთიერებით მოწამვლამ, ზოგიერთმა წამალმა და ა.შ. ჰეპატიტი შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული.

C ჰეპატიტი მკვლევარებმა გასული საუკუნის მიწურულს, 1989 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ როდიდან დაიწყო მისი გავრცელება არავინ იცის.

საქართველოში C ჰეპატიტი დიაგნოსტირდება 90-იანი წლებიდან, მაგრამ სავარაუდოდ მისი გავრცელება ბევრად უფრო ადრე დაიწყო და, სწორედ იმიტომ, რომ არ ხდებოდა ვირუსის დიაგნოსტირება, გახდა მიზეზი მისი ფართო გავრცელებისა.



დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 3% C ჰეპატიტის ვირუსით არის ინფიცირებული. მხოლოდ საქართველოში ინფიცირების მაჩვენებელი ზრდასრული მოსახლეობის 6,7% -ს შეადგენს.

ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსები ანბანური ნომენკლატურით აღინიშნება: A; B; C; D; E; G და სხვ. ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულ დაავადებებს იწვევენ, რომელთაც ძირითადი პათოლოგია ღვიძლის ქსოვილის ანთება აერთიანებს.

C ჰეპატიტი ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა. მისი გამომწვევია რნმ ვირუსი, რომელიც უპირატესად ღვიძლს აზიანებს. ბუნებრივად მიმდინარეობის დროს დაავადება (20-30%) 6 თვის შემდეგ სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ქრონიკულ ხასიათს იძენს. ინფექციის წყაროს წარმოადგენს ადამიანი – მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებული.

C ჰეპატიტით ადამიანი ინფიცირდება:

- ნემსის შემთხვევით ჩხვლეტისას;
- საერთო სამართებლის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას;
- სხეულის სხვადასხვა ნაწილში სამკაულის ჩამაგრების, ე.წ. პირსინგის დროს;
- სისხლმდენი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის ხმარებისას;
- სხვა ადამიანის მიერ კბენის დროს;
- სქესობრივი კონტაქტისას, რომელსაც თან სდევს სისხლდენა;
- დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების ხმარებისას.

C ჰეპატიტის გადაცემის გზებიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად ავადდებიან:

- ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები;
- შეუღოწმებელი სისხლის და სისხლის პროდუქტების გადასხმის შემთხვევაში;
- ცუდად გასტერილებული სამედიცინო ინსტრუმენტებით მანიპულაციის დროს;

- C ჰეპატიტი დაავადების რისკი მაღალია არა მარტო ინტრავენური ნარკომანიის დროს, არამედ კოკაინის შესუნთქვისას. კოკაინი აღინიშნება ლორწოვან გარსს და ხშირად იწვევს სისხლდენას. ასეთი პირის მიერ შესასუნთქ ტუბს კი ვირუსი მეორე ადამიანის ცხვირის ლორწოვანსა და შესაბამისად სისხლში გადააქვს.

სისხლის თვალთ უხილავ რაოდენობას შეიძლება შეიცავდეს ორგანიზმში არსებული სითხეებიც: ნერწყვი, ცრემლი, შარდი, სპერმა. ამიტომ სრული უსაფრთხოებისათვის, სასურველია სიფრთხილე ინფიცირებულ ადამიანთან.

დაავადების კლინიკური სურათი


C ჰეპატიტის საინკუბაციო პერიოდი (ინფიცირებიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენამდე) უხშირესად 20-80 დღეა. ვირუსით შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანი დაინფიცირდეს. სიმპტომები იშვიათად ვლინდება. ამ დროს აღინიშნება: საერთო სისუსტე, დისკომფორტი მარჯვენა ფერდქვეშ. ღვიძლის ფუნქციათა მრავალფეროვნების გამო, სიმპტომებს გამოვლინების ფართო სპექტრი ახასიათებს: კანისა და ლორწოვანი გარსის გაყვითლება; დადლილობის შეგრძნება; კუნთებისა და სახსრების ტკივილი; ცხელება, ოფლიანობა; გულისრევა, ზოგჯერ ღებინება; უმადობა, ცხიმოანი საკვების შეძულება; ქავილი; წონაში კლება; გონების დაბინდვა; კონცენტრაციის უნარის დაქვეითება; ართრიტები.

აღნიშნული ჩივილები ზოგადად ღვიძლის დაავადებებს ახასიათებს. ვირუსის დიაგნოსტიკა და დადასტურება ლაბორატორიული მონაცემებით ხდება. დაავადება ნელა პროგრესირებს, ამიტომ დიაგნოსტიკა წლების განმავლობაში ვერ ხერხდება. ის შესაძლოა ადამიანის რაიმე სხვა მიზნით გამოკვლევის დროს გამოვლინდეს. დაავადება შესაძლოა უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს. რაც უფრო ხანდაზმულია დაინფიცირებული ადამიანი, დაავადება მით მძიმედ მიმდინარეობს და მკურნალობაც ნაკლებ ეფექტურია. ახალშობილებსა და ბავშვებში კი სიმპტომები სუსტად ვლინდება.

სიტუაციის სიმწვავედან გამომდინარე ვაწარმოეთ კვლევა. კვლევის მიზანი იყო შიდა ქართლში ვირუსის გავრცელების სტატისტიკა, რისთვისაც მივმართეთ გორში, ბესიკის ქუჩა #3/6-ში არსებულ არასამთავრობო დაწესებულებას - „ნაბიჯი მომავლისაკენ“ და ვესაუბრეთ ექიმ-ტოქსიკოლოგს - ქალბატონ ქეთევან ბიძინაშვილს. დაწესებულება სთავაზობს პაციენტს შემდეგ მომსახურებებს: 1) კონსულტირებას აივ/შიდსის B, C ჰეპატიტების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილების და მკურნალობის, ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების საკითხებზე (პირისპირ სატელეფონო); 2) ანონიმური ტესტირება აივ-ზე, B, C ჰეპატიტებზე და სიფილისზე; 3) თერაპევტის, დერმატო-ვენეროლოგის, გინეკოლოგის, იურისტის, ფსიქოლოგის დახმარებას; 4) სოციალური მუშაკები პროექტის კონსულტანტები დაგეხმარებიან ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში; 5) ჰიგიენური და ბავშვის მოვლის საშუალებები, ორსულობის ტესტები და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები საჩუქრად; 6) დასაქმების შესაძლებლობას.

აღნიშნული ცენტრიდან მოვიპოვეთ 2012-2013 წლის ვირუსული დაავადებებით ინფიცირებულ ადამიანთა სტატისტიკა შიდა ქართლში.

2012 წლის მონაცემები: სულ გაკეთდა 271 ტესტირება, აქედან 43 ქალია. დაფიქსირებულია: C ჰეპატიტის - 121; B ჰეპატიტის - 10; აივ/დადებითის - 1; სიფილისის - 8 შემთხვევა.



2013 წლის მონაცემები: სულ გაკეთდა 658 ტესტირება, აქედან 66 ქალია. დაფიქსირებულია: C ჰეპატიტის - 249; B ჰეპატიტის - 27; აივ/დადებითის - 5; სიფილისის - 29 შემთხვევა.

როგორც ვხედავთ, გამოკვლევულ პაციენტთა უმრავლესობა მამაკაცია, ვირუსის სიხშირით კი C ჰეპატიტი დომინირებს.

ჰეპატიტის გავრცელებით საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ჩვენს ქვეყანაში C ჰეპატიტით დაავადებულთა რიცხვმა 200000-ს გადააჭარბა. 2004 წელს ჩატარებული კვლევებით - ქვეყნის მოსახლეობის 6,7% ამ ვირუსის მატარებელი იყო. მას შემდეგ კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ ზოგადი ვითარება ცხადყოფს, რომ სურათი მხოლოდ უარესობისკენ თუ შეიცვლებოდა.

მკურნალობა ძვირადღირებული და ხანგრძლივი (24-48 კვირა) პროცესია. სამკურნალო პრეპარატების სიძვირის (გენოტიპისა და სირთულის გათვალისწინებით, 6.000-დან 15.000 დოლარამდე ჯდება) გამო პაციენტთა უმრავლესობა მკურნალობაზე უარს ამბობს.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში როგორც გამოკვლევის, ასევე მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო აფინანსებს. მეტიც, ამის აუცილებლობას პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც მიხვდნენ და სასიკვდილოდ განწირულ უფულო მოქალაქეებს არც ყაზახეთსა და უკრაინაში იმეტებს ხელისუფლება. საქართველოში კი მხოლოდ პირველადი, 15- ლარიანი ანალიზია უფასო და ისიც ვერ იძლევა ზუსტ პასუხს, ხართ თუ არა ვირუსის მატარებელი. ექიმები ამბობენ, რომ დღეს C ჰეპატიტით ინფიცირებულთა მხოლოდ 10% მკურნალობს. დანარჩენ 90%-ს კი, ფაქტობრივად, სიკვდილი ელის.

მწვავე ჰეპატიტი C 20-40% მკურნალობის გარეშე თვითგამოჯანმრთელებით სრულდება, ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღემატება. მის სამკურნალოდ გამოიყენება 2 პრეპარატის – რეკომბინატული ალფა ინტერფერონისა (გენური ინჟინერიით მიღებული პრეპარატი) და რიბავირინის კომბინაცია.

დღეისათვის C ჰეპატიტის მართვა შესაძლებელია, დროული და სათანადო მკურნალობის შედეგად გართულებები აღარ ვითარდება. მკურნალობა აფერხებს დაავადების გართულებას და უზრუნველყოფს ორგანიზმიდან ვირუსის გამოდევნას.

პროფილაქტიკა და რეკომენდაციები

დაავადების გადატანის შემდეგ იმუნიტეტის გამომუშავება არ ხდება, ე.ი. გამოჯანმრთელების შემდეგ ამ ვირუსით ხელახალი ინფიცირება შესაძლებელია, რადგან ვირუსი იმუნიტეტს არ ტოვებს, ვერც მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა ხერხდება. ვირუსისაგან თავდაცვის მიზნით საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა - უარის თქმა ნარკოტიკებზე, მხოლოდ საკუთარი ჯაგრისის ხმარება, მაკრატილის, პინცეტისა და სხვა ნივთების გამოყენება; აუცილებელია სიფრთხილე სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმისას. სამედიცინო და კოსმეტოლოგიური მანიპულაციები სტერილური იარაღებით ჩატარდეს.

C ჰეპატიტით დაავადებულმა ადამიანმა:

- უნდა შეინარჩუნოს ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- შეწყვიტოს თამბაქოს მოხმარება;
- დიეტა აუცილებელი არაა, მთავარია სრულფასოვანი კვება;
- კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლი;
- მოერიდოს ცხიმიან ხორცს (მაგ. ღორის და ცხვრის);
- შეწყვიტოს მედიკამენტების თვითნებური მიღება;
- აუცილებელია მკურნალი ექიმის მეთვალყურეობა;
- რეკომენდებულია C ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანთა ვაქცინაცია A და B ჰეპატიტის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთ ავადმყოფებში A და B ჰეპატიტი გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს.

ამრიგად, C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულია მხოლოდ ახალი შემთხვევების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ინფიცირებულთა ჯამური რაოდენობის მოწოდებისგან სამინისტრომ თავი შეიკავა. როგორც მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, 2006-2012 წლებში საქართველოში დაფიქსირდა C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირების 12 743 ახალი შემთხვევა, რომელთაგან ყველაზე დიდი ოდენობა 2511 ახალი შემთხვევა ფიქსირდება 2011 წელს, ხოლო 2011 წელს შიდა ქართლში კი C ჰეპატიტის 121 შემთხვევა დაფიქსირდა.

მხოლოდ ახალი შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოწოდება მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღემდე არ არსებობს ოფიციალური მონაცემები საქართველოში აღნიშნული ვირუსით ინფიცირებულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. გ. გოგიჩაძე, გ. ქიქავა, ლ. გოგიჩაიშვილი, მ. ნიკურაძე, სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები ნაწ. პირველი, თბ., 1977.

2. ი. აივაზიშვილი, ზოგადი ბიოლოგია, 2011.
3. www.aidscenter.ge
4. www.ncdc.ge
5. www.tbgeo.ge

ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების ხარისხისა და მიმართულების გაზომვის კერძო მაგალითი


მერი ტერუნაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე**, ასოცირებული პროფესორი


მრავალი პრობლემის კვლევისას, როდესაც შეისწავლება კავშირი ორ (ან რამდენიმე) მახასიათებელს შორის, საქმე გვაქვს ისეთ მონაცემებთან, რომლებიც წარმოადგენს ამ მახასიათებლების ერთდროულად დაკვირვებულ მნიშვნელობათა სიმრავლეს. მაგალითად, ვიკვლევთ საკითხს დამოკიდებულია თუ არა გამოცდების ჩაბარების ხარისხი სქესზე, ოჯახურ მდგომარეობაზე ან სხვა ფაქტორზე. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში უნდა გაგვაჩნდეს მონაცემები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიდიდის (მახასიათებლის) შესახებ. უამრავი ასეთი ტიპის მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება: არის თუ არა კავშირი აქციის დახურვასა და გახსნის ფასებს შორის? ფინანსურ მენეჯერს აინტერესებს შეისწავლოს კავშირი ცალკეული აქტივისა და ბაზრის ამონაგებებს შორის და ა. შ. ყველა პრობლემაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გვქონდეს ამოცანაში მონაწილე ყველა სიდიდისა თუ მახასიათებლის ერთდროულად დაკვირვებული მნიშვნელობანი. ამისათვის კი გამოიყენება კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ორ ცვლადს შორის სიმძლავრის საზომს. ე.ი. კორელაციის კოეფიციენტი რიცხვია, უგანზომილებო სიდიდეა.

ხშირ შემთხვევაში მკვლევარი დაინტერესებულია დაადგინოს ორ სიდიდეს შორის კავშირი არსებობს თუ არა. ამ მიზნით დამკვირვებელი ატარებს დაკვირვებას და მიღებულ მონაცემებს აწყვილებს ერთმანეთთან. ამა თუ იმ ორ მახასიათებელს (ან ორ მაჩვენებელს) შორის კავშირის შესწავლის მიზნით ამ მახასიათებლების დაკვირვებული მნიშვნელობების სიმრავლე წარმოვადგინოთ წყვილების სიმრავლის სახით: $(x_1; y_1), (x_2; y_2), \dots, (x_n; y_n)$. ამ მონაცემების მიხედვით აგებენ ე. წ. გაბნევის დიაგრამას. x და y სიდიდეებს შორის შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე განსხვავებული ტიპის დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულების გარკვევა (იდენტიფიცირება) შესაძლებელია საკოორდინატო სისტემაზე წერტილების განლაგების სტრუქტურაზე დაყრდნობით:


1. დადებითი წრფივი კავშირი არსებობს (გვაქვს) იმ შემთხვევაში, როდესაც წერტილები დაახლოებით კონცენტრირებულია აღმავალი სწორი ხაზის ირგვლივ და ერთდროულად ორივე x და y სიდიდის მნიშვნელობები ზრდადია. ასეთი კავშირი გვაქვს მაშინ, როდესაც x სიდიდის ზრდასთან ერთად იზრდება y სიდიდეც.




2. უარყოფითი წრფივი კავშირი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც წერტილები დაახლოებით კონცენტრირებულია დაღმავალი სწორი ხაზის ირგვლივ. ასეთი კავშირი გვაქვს მაშინ, როდესაც x სიდიდის ზრდასთან ერთად კლებულობს y სიდიდე და პირიქით.



3. არაწრფივი კავშირი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც წერტილები დაახლოებით კონცენტრირებულია არაწრფივი (მრუდი) ხაზის (წირის) ირგვლივ. ეს დამოკიდებულება აღიწერება შესაბამისი წირის ბუნებით.



4. არ არის კავშირი იმ შემთხვევაში, როდესაც წერტილები უწესრიგოდაა მიმოფანტული, ანუ არ ჩანს რომ ისინი რაიმე წირის ირგვლივ კონცენტრირებული.



წირს, რომელიც აღწერს კავშირს (დამოკიდებულებას) x და y სიდიდეების მნიშვნელობებს შორის მისადაგების წირი ეწოდება. ამ წირის პოვნის საკითხებს სწავლობს მათემატიკური სტატისტიკის ნაწილი, რომელსაც რეგრესიული ანალიზი ეწოდება. წირის მოსაძებნად იყენებენ ე. წ. უმცირეს კვადრატთა

მეთოდს, რომლის თანახმადაც იძებნება ისეთი წირი $y = f(x)$, რომ გამოსახულება $\sum_{i=1}^n [y_i - f(x_i)]^2$

აღწევს თავის მინიმუმს.

თუ სიდიდეებს შორის გვაქვს წრფივი კავშირი, მაშინ მისადაგების წირი წრფივი ფუნქციაა, ანუ $y(x) = ax + b$, სადაც

$$a = \frac{n \left(\sum_{i=1}^n x_i y_i \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n y_i \right)}{n \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2} \quad \text{და} \quad b = \frac{\left(\sum_{i=1}^n y_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i y_i \right)}{n \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2}.$$

ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ x და y სიდიდეებს შორის წრფივი რეგრესიული კავშირია და $y(x) = ax + b$ წრფეს უწოდებენ რეგრესიის წრფის განტოლებას (ხოლო ამ ფორმულით გამოთვლილ $y_i = y(x_i) = ax_i + b$ მნიშვნელობას პროგნოზი ეწოდება).

შეფასების სტანდარტული შეცდომა ეწოდება სიდიდეს:


$$S_{\text{shof}} = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^n (y_i - y'_i)^2}{n-2}}$$

იგი წარმოადგენს დამოკიდებული ცვლადის დაკვირვებული მნიშვნელობების სტანდარტულ გადახრას საპროგნოზო მნიშვნელობებისაგან.

განვიხილოთ ამოცანა: გამოვთვალოთ კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 6 შემთხვევით შერჩეული პროფესორ-მასწავლებელთა ასაკისა და არტერიული წნევის მონაცემების მიხედვით. ავაგოთ ასაკსა და არტერიულ წნევას შორის დამოკიდებულების გაზნვის დიაგრამა. მონაცემების ცხრილია:

პერსონა	ასაკი, x	წნევა, y
A	65	130
B	56	150
C	46	120
D	37	105
E	71	150
F	59	140

მოვნიშნოთ თითოეული წერტილი გრაფიკზე:



სტატისტიკაში იყენებენ ე. წ. კორელაციის კოეფიციენტს, რათა გაზომონ ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების ხარისხი. შერჩევითი კორელაციის კოეფიციენტი მოიცემა შემდეგი თანაფარდობით:

$$r = \frac{n \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i y_i \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n y_i \right)}{\sqrt{\left[n \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2 \right] \cdot \left[n \cdot \left(\sum_{i=1}^n y_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n y_i \right)^2 \right]}}$$

გავაკეთოთ ცხრილი:

პერსონა	ასაკი, x	წნევა, y	xy	x^2	y^2
A	65	130	8,450	4,225	16,900
B	56	150	8,400	3,136	22,500
C	46	120	5,520	2,116	14,400
D	37	105	3,885	1,369	11,025
E	71	150	10,650	5,041	22,500
F	59	140	8,260	3,481	19,600
$n = 6$	$\sum x = 334$	$\sum y = 795$	$\sum xy = 45.165$	$\sum x^2 = 19.368$	$\sum y^2 = 106.925$

მიღებული მნიშვნელობები შევიტანოთ კორელაციის კოეფიციენტის ფორმულაში და გამოვთვალოთ r :

$$r = \frac{6 \cdot 45,165 - 334 \cdot 795}{\sqrt{(6 \cdot 19,368 - 334^2) \cdot (6 \cdot 106,925 - 795^2)}} = \frac{5,460}{\sqrt{4,652 \cdot 9,525}} = \frac{5,460}{\sqrt{44310,300}} = \frac{5,460}{6,657} = 0,82$$

კორელაციის კოეფიციენტის მიღებული მნიშვნელობა გვეუბნება, რომ ადამიანის ასაკსა და არტერიულ წნევას შორის არსებობს მკაცრად დადებითი წრფივი დამოკიდებულება.

ახლა დავწეროთ რეგრესიის წრფის განტოლება და გავაკეთოთ 50 წლის ასაკის ადამიანის არტერიული წნევის პროგნოზი.

პირველ რიგში გამოვთვალოთ რეგრესიის წრფის კოეფიციენტები:

$$a = \frac{n \left(\sum_{i=1}^n x_i y_i \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n y_i \right)}{n \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2} = \frac{6 \cdot 45.165 - 334 \cdot 795}{6 \cdot 19.368 - 334^2} = \frac{5.460}{4.652} = 1.174$$

და

$$b = \frac{\left(\sum_{i=1}^n y_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right) \cdot \left(\sum_{i=1}^n x_i y_i \right)}{n \left(\sum_{i=1}^n x_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2} = \frac{795 \cdot 19.368 - 334 \cdot 45.165}{6 \cdot 19.368 - 334^2} = \frac{312.450}{4.652} = 67.165$$

ამიტომ რეგრესიის წრფის განტოლება იქნება:

$$y = 1.174x + 67.165 .$$

გავაკეთოთ პროგნოზი:

$$y = 1.174 \cdot 50 + 67.165 = 58.7 + 67.165 = 125.865 \approx 126 .$$

მაშასადამე, უნივერსიტეტის 50 წლის პროფესორ-მასწავლებლის სავარაუდო არტერიული წნევა იქნება 126.

იმ შემთხვევაში, როცა კორელაციის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ნულისაგან, y –ის საუკეთესო პროგნოზია y –ის მნიშვნელობების საშუალო.

ლიტერატურა:

1. ო. ფურთუხია, ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები, თბილისი, 2012.
2. ნ. ლაზრივა, მ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 2000.

ფეხბურთის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ

ლაშა ღონღაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი**, პროფესორი

დღემდე არსებული წყაროები ფეხბურთის წარმოშობის ზუსტი თარიღისა და ადგილის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული შეხედულებები, რომლებითაც სპორტის ისტორიის სპეციალისტები ლიტერატურულ და სხვა მასალებზე დაყრდნობით ცდილობენ შექმნან გარკვეული წარმოდგენა ფეხბურთის თამაშის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

ბურთით თამაშის შესახებ ისტორიული ცნობა, რომელიც რაღაცით გვაგონებს დღევანდელ ფეხბურთს, დაფიქსირებულია 180 წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძნულ ლექსიკონში, სადაც განმარტებულია, რომ მოთამაშეები იყოფოდნენ ორ გუნდად. ორივე გუნდი ცდილობდა, ბურთი დაეფიქსირებინა მოწინააღმდეგის მოედანზე. თავისი ხასიათით ეს თამაში ძალიან ჰგავდა თანამედროვე რაგბის, იმ განსხვავებით, რომ მაშინ ხელით თამაში აკრძალული იყო. ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ რომელი ანტიკური თამაში შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი ფეხბურთის წინაპრად, შეუძლებელია, მაგრამ ბევრი სპეციალისტი ასეთად ძველ რომაულ თამაშს – „გარპასტუმ“-ს მიიჩნევს.

„გარპასტუმ“ იულიუს ცეზარის ლეგიონერების გასართობ საშუალებას წარმოადგენდა. იგი ამავე დროს სამხედრო მომზადების ელემენტებს შეიცავდა.

თამაშის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: საჭირო იყო ბურთის ორ დგარს შორის გატარება ნებისმიერი ხერხით. როგორც ცნობილია რომაელები ბევრს იბრძოდნენ, მათი ჯარები სხვადასხვა დროს თამაშობდნენ გერმანიაში საფრანგეთში, ინგლისსა და ესპანეთში. ადგილობრივმა მოსახლეობამ დროთა განმავლობაში გადაიღო და აითვისა ეს თამაში. ამ გზით იკიდებდა ფეხს ევროპაში და ვითარდებოდა თამაში, რომელიც გარკვეულწილად თანამედროვე ფეხბურთის შორეულ წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს.

V საუკუნეში ეს თამაში მივიწყებული იქნა და მხოლოდ აქა-იქ შემორჩა. ასე მაგალითად, ქალაქ ფლორენციაში ერთ-ერთ მოედანზე იმართებოდა შეხვედრები გუნდებს შორის, რომელთა შემადგენლობა 27 მოთამაშით იყო განსაზღვრული, ხოლო მოედანი 50მX100მ ფართობს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მონაწილეებს სხვადასხვა ფერის ტანსაცმელი ეცვათ. ამ თამაშს „დჰივო დელ კაღიოს“ უწოდებდნენ.

შუა საუკუნეების ნორმანდიაში გავრცელებული იყო თამაში „ლა-სულის“ სახელწოდებით, რომელიც ძალიან ჰგავდა ფეხბურთს. თამაშობდნენ ტყავის ბურთით, რომელიც გაბერილი იყო ან ჰაერით, ან დატენილი ნაჭრებით.

ინგლისელ სპორტის ისტორიის მკვლევართა აზრით, ბურთის ფეხით თამაში ბრიტანეთის კუნძულებზე ცნობილი იყო ჯერ კიდევ IX საუკუნეში.

ინგლისში ფეხბურთის თამაშის შემდგომ განვითარებას ხელი შეუშალა 1313 წელს, 1349 წელს და 1369 წელს ინგლისის მეფეების: ედუარდ II-ის, ედუარდ III-ის და კარლოს V-ის ბრძანებებმა ფეხბურთის თამაშის აკრძალვის შესახებ.

ფეხბურთის ისტორიის ახალი ეტაპი XIX საუკუნეში იწყება, განსაკუთრებით კი მეორე ნახევრიდან. თავდაპირველად ბურთის ფეხით თამაში გავრცელებას იწყებს ინგლისის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. პირველი ცდა თამაშის ერთიანი წესების შესაქმნელად ეკუთვნოდა კემბრიჯის საფეხბურთო კლუბს. თამაშის პირველი 13 პარაგრაფიდან შემდგარი წესები გამოიცა 1863 წლის 13 დეკემბერს, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება თანამედროვე ფეხბურთის თამაშის წესებისაგან. 1882 წელს გაერთიანდა ოთხი დამოუკიდებელი საფეხბურთო კავშირი: ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ირლანდია. ამავე წელს მიღებული იქნა თამაშის ერთიანი წესები.

მსაჯი მოედანზე პირველად გამოჩნდა 1880-1881 წლებიდან, ხოლო 1891 წლიდან მას დაემატა ორი დამხმარე მსაჯი. 1871 წელს დაარსდა ინგლისის თასის გათამაშება, რომელიც დღემდე ტარდება. პირველი საერთაშორისო მატჩი ჩატარდა 1873 წელს ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ფეხბურთი გავრცელებას იწყებს ევროპაში, 1875 წლიდან ჰოლანდიაში, 1877 წლიდან დანიაში, 1882 წლიდან შვეიცარიაში, 1890 წელს - ჩეხეთში, 1894 წლიდან ავსტრიაში. მსოფლიოში ფეხბურთის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შექმნა (ფიფა), მის პარალელურად 1954 წლიდან ფუნქციონირებს ევროპის საფეხბურთო კავშირი - უეფა.

1900 წელს ფეხბურთი შეტანილი იქნა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. პირველი შეჯიბრება კი ოლიმპიურ თამაშებზე იწყება 1908 წლიდან.

1930 წლიდან ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

უეფას ეგიდით 4 წელიწადში ერთხელ ტარდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონატი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონატთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშება.

ფეხბურთი საქართველოში.

ფეხბურთის თამაში ჩვენში XIX საუკუნის მიწურულში ჩაისახა, კერძოდ, ფოთში, ბათუმსა და თბილისში.

პირველი ოფიციალური გუნდები საქართველოში ჩნდება 1907 წლიდან. პირველი საერთაშორისო მატჩი იმართება თბილისში 1912 წელს. თბილისის „შევარდენი“ შეხვდა ბაქოს ნავთობზე მომუშავე ინგლისური კლუბის ფეხბურთელებს, მატჩი მოიგეს ინგლისელებმა ანგარიშით 4 : 2.

ამავე გუნდების მეორე შეხვედრაში რევანში აიღეს თბილისელებმა, გოლების ავტორები იყვნენ გაგუა და მაიერი.

1927 წელს დაიწყო 3000 მაყურებელზე გათვალისწინებული დინამოს სტადიონის მშენებლობა, რომელიც მწყობრში ჩადგა 1936 წელს.

1936 წლიდან დასაბამი მიეცა საქართველოს თასის გათამაშებას.

ამავე წლიდან საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს თბილისის „დინამო“, რომელიც 1964 და 1978 წლებში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვერცხლის მედლები მოიპოვა 1939, 1940, 1951, 1953 და 1977 წლებში. ორჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს – 1976 და 1979 წლებში.

1981 წლის 13 მაისს კი თბილისის „დინამო“ დაეუფლა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. 1960 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი გახდა ევროპის ჩემპიონი, გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი. 1980 წელს კი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა გელა კეტაშვილი. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ: ბორის პაიჭაძე, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, რამაზ ურუშაძე, სერგო კოტრიკაძე, რევაზ მოძუაშვილი, თენგიზ სულაქველიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტნები იყვნენ ალექსანდრე ჩივაძე და მურთაზ ხურცილავა. 1992 წლის ივლისში, ციურხში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დადგენილების საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიიღეს საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობაში.

1994 წელს ქართულ ფეხბურთს შეუსრულდა 100 წელი.

ლიტერატურა:

1. ციბაძე ა., ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 1991.
2. ძაგანია გ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 2004.
3. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში, საქართველოს საინფორმაციო კომპანია, თბილისი, 2004.
4. რატაიანი თ., ჯაში თ., ფეხბურთი, გამომცემლობა „ქართული წიგნის სახლი“, თბილისი, 2008.

ბერდვოჩინგი საქართველოში

ნინო ღონღაძე, ქეთინო ჯოღბორდი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გია ედიშერაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

რა არის ბერდვოჩინგი?

ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსებისადმი მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ განაპირობა ბუნებრივი ლანდშაფტების დეგრადაცია, გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება და უამრავი სხვა ნეგატიური მოვლენა. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკის განვითარების ისეთი მიმართულებების და პრინციპების განსაზღვრა და გატარება, რომლებიც არა მხოლოდ ნაკლებად დააზიანებს ბუნებას, არამედ მის დაცვას და განვითარებას შეუწყობს ხელს. „ეკოლოგიური“ ეკონომიკის ერთ-ერთი ასეთი დარგია ეკოტურიზმი, რომლის განვითარების და საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს მიმართ სათუთი დამოკიდებულება და გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირება. ეკოტურიზმი შედარებით ახალი მოვლენაა ქართული ტურიზმის ინდუსტრიაში და დროთა განმავლობაში უნდა იქცეს მის ერთ-ერთ მძლავრ სეგმენტად, რასაც ხელს უწყობს საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება და უნიკალურობა. ეკოტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის „ბუნების შეცნობის“ ძალზე პოპულარულ ნაწილს ან მიმართულებას წარმოადგენს სწორედ ბერდვოჩინგი, რომელიც მილიონობით ადამიანს იზიდავს მთელ მსოფლიოში და ხელს უწყობს ფრინველების შესახებ ცოდნის პოპულარიზაციას და მათი დაცვის პრობლემების გადაჭრას.

„ბერდვოჩინგი“ (Birdwatching) ინგლისური სიტყვაა და ფრინველებზე დაკვირვებას ნიშნავს. თანამედროვე მსოფლიოში ფრინველებით დაინტერესება იმდენად დიდია, რომ იგი ჩამოყალიბდა ტურიზმის ცალკე სახეობად. ფრინველებზე დაკვირვება, როგორც ერთ-ერთი ტურისტული შეთავაზება, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ბერდვოჩინგები შეისწავლიან ფრინველებს დეტალურად მათი თავშეყრის ადგილებზე, იკვლევენ ფრინველების კვებას, ბუდეების შენებას ან მიგრაციას. ბერდვოჩინგობით დაინტერესებულთა შორის შუახნის ტურისტები ჭარბობენ მეტწილად. მათ უნდათ ნახონ ისეთი უნიკალური სახეობის ფრინველები, რომლებიც მათ ქვეყანაში არ მოიძებნება. ბერდვოჩინგების მოსაზიდად, პირველ რიგში, საჭიროა შეირჩეს ფრინველების მრავალფეროვნებით გამორჩეული ადგილი და შესწავლილ იქნეს, თუ რა დროს და რომელი სახეობის ფრინველების ნახვა არის შესაძლებელი ამ ტერიტორიაზე.

ბერდვოჩინგი საქართველოში

ტურიზმის ეს მიმართულება შედარებით ახალია საქართველოსთვის და მისი პოტენციალიდან გამომდინარე, არ არის კარგად განვითარებული. თუმცა ეს ხელს არ უშლის ბერდვოჩინგებს, რომ ესტუმრონ საქართველოს თავიანთი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საქართველო მათთვის მისაზიდი ქვეყანაა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ევროპასთან ახლოა და იაფი ჯდება მგზავრობა, აქ ყველა პირობაა შექმნილი ბერდვოჩინგებისთვის, რომ მათი სიცოცხლე და მოგზაურობა იყოს დაცული. პრობლემას მხოლოდ ის ქმნის, რომ საქართველოში ცოტაა ისეთი ფირმა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, ამიტომაც დღეს არსებული ფირმები ვერ აკმაყოფილებენ ბერდვოჩინგების მოთხოვნებს,

თუნდაც იმით, რომ არ ჰყავთ გამოცდილი გამყოლები, რომლებიც მიაწვდიან ტურისტებს ინფორმაციას სხვადასხვა სახეობის ფრინველების შესახებ. თუ ჩვენში ფრინველებზე დაკვირვება უფრო მასშტაბური გახდება, მომავალ სეზონზე უფრო მეტი ბერდვოჩერი ჩამოვა საქართველოში. ეს კი შემოსავლის წყარო იქნება. ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების ტურიზმი ასევე მოიცავს ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებას, რადგანაც ბერდვოჩერები სხვა ტურისტული აქტივობებითაც არიან დაკავებული.

ბერდვოჩინგი საქართველოს რეგიონებში

საქართველოში ფრინველების დაახლოებით 350-ზე მეტი სახეობაა. ფრინველების მრავალფეროვნება გამოიწვია ქვეყნის ისტორიულმა, კლიმატურმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ. უმრავლესობა ამ ფრინველების სახეობიდან შეიძლება ვნახოთ ასევე ევროპის რეგიონებშიც, მაგ: საქართველოში არის მწყრის და კაკის ისეთი სახეობები, რომლებიც მშობლიურია ასევე ევროპისთვისაც. თუმცა ზოგიერთი სახეობის ფრინველი არ მოიძებნება ევროპაში. საქართველოში ფრინველებს აკვირდებიან შემდეგ ძირითად რეგიონებში: ხევი-ყაზბეგის რაიონი, სამხრეთ საქართველო-ჯავახეთის ზეგნის ტბები, ივრის ზეგანი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობი და ვაშლოვანის ნაკრძალი. პერსპექტივაშია დიდმაღალის მასივი - აბასთუმნის თავზე და კვერნაკის ქედი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერდვოჩინგის განვითარება შესაძლებელია საქართველოს ყველა რეგიონში, თუმცა არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საქართველოში ფრინველები ჩერდებიან აგვისტოს ბოლოდან ნოემბრამდე ძალის მოსაკრებად, რათა გაფრინდნენ თბილ ქვეყნებში.

ბერდვოჩინგი შავი ზღვის სანაპიროზე

შავი ზღვის სანაპირო მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800 000-ზე მეტი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. ამის გამოც ეს ადგილები მსოფლიოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების თვალსაზრისით მესამეა. შავი ზღვის სანაპირო შემოდგომით კარგი დასაკვირვებელია, რადგან სწორედ ამ გზით მიფრინავენ ფრინველები დასავლეთისკენ, თურქეთში ან უფრო ქვემოთ, აფრიკაში. ფრინველების რიცხვი აქ დიდია ზამთრის პერიოდში, რადგან აქაა ფრინველების გამოსაზამთრებელი ადგილი. ყველაზე მრავალრიცხოვანია წყლის ფრინველები, აქედან შეგვიძლია ვნახოთ, მაგალითად, ყანჩა, სხვა ფრინველებიდან: ჩვამა, ივეოსი, ბატი, სხვადასხვა სახეობის იხვი და ა.შ. ვიზიტისთვის შესანიშნავია სექტემბერ-ოქტომბერი. ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმს აჭარაში დიდი პოტენციალი გააჩნია. ბათუმის შემოგარენი, კერძოდ კი სოფლები ჩაისუბანი და სახალვაშო წარმოადგენს ფრინველთა მიგრაციის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ვიწრო დერეფანს. ტურიზმის ამ სახეობის განვითარებისათვის აქტიურად ზრუნავს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, რომელიც 2013 წლის ფრინველთა ფესტივალის ორგანიზატორია (3-8 სექტემბერი). ფრინველების ფესტივალი პირველად გასულ წელს ჩატარდა და იგი ამ რეგიონის ერთ-ერთ საინტერესო სანახაობად იქცა. წელს, ფესტივალი გაიმართება კრაზანაჭამიას მიგრაციის კულმინაციის პერიოდში, როცა დღიურად 170.000-ზე მეტი კრაზანაჭამიას დაფიქსირება შესაძლებელია. აღნიშნული ღონისძიებით მოხდება ბათუმის, როგორც ფრინველებზე დაკვირვების ახალი და მზარდი დანიშნულების ადგილის მნიშვნელობის ხაზგასმა. 2008 წელს ბათუმში დაარსდა ბელგიური არასამთავრობო ორგანიზაცია BRC (Batumi Raptor Count). ეს ორგანიზაცია აკვირდება იმ მტაცებელ გადამფრენ ფრინველებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადაიფრენენ, აწარმოებს მათ აღრიცხვას, ავლენს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ფრინველებთან დაკავშირებულ პრობლემებს და ცდილობს ამ პრობლემების მოგვარებას კონსერვაციის გზით. BRC ხელს უწყობს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას. ორგანიზაცია ცდილობს, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება პოპულარული გახადოს საქართველოში, სწორედ ამიტომ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სტუდენტურ გაცვლით ღონისძიებებს.

ბერდვოჩინგი ყაზბეგში

რელიეფი არის უსწორმასწორო და ძნელად მისადგომი, ძნელად სასიარულო და საცოცი, ესაა ენდემური ფრინველების გავრცელების ადგილი, ისეთების, როგორებიცაა: კავკასიური შურთხი და კავკასიური როჭო, კავკასიური ყარანა. სხვა ფრინველებიდან მრავლადაა წითელისკარტა და ყვითელისკარტა მალრანი, მთის არწივი, შვეარდენი და სხვა. ვიზიტისთვის ხელსაყრელია აპრილი-სექტემბერი.

ბერდვოჩინგი ჯავახეთის ზეგნის ტბებზე

ჯავახეთის ზეგნის ტბები და მათი შემოგარენი სავსეა სხვადასხვა სახეობის ფრინველებით. ეს ადგილები კარგ საშუალებას აძლევს ბერდვოჩერებს, დააკვირდნენ იხვს, წეროს, თოლიას, ბოლოქანქარას, გარიელს (შეტანილია წითელ წიგნში) და ა.შ. ამ ტერიტორიაზე მდებარე სოფლები

შეიძლება იყოს ყველაზე ხელსაყრელი ადგილი ლაკლაკისა და ყარყატისთვის, სადაც მათ შეუძლიათ ბუდე გაიკეთონ. ვიზიტისთვის ხელსაყრელია ივნისი - აგვისტო.

ბერდვოჩინგი კვერნაკის ქედზე და დიდმაღალის მასივზე (პერსპექტივაში)

ბერდვოჩინგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შიდა ქართლში კვერნაკის ქედი. აქ დაფიქსირებულია ფრინველების სულ ცოტა 138 სახეობა, აქედან 87 სახეობის ბუდობა იქნა დადასტურებული, 41 სახეობა შეიძლება შეგვხვდეს მიგრაციების დროს. ბერდვოჩინგისთვის რაიონი საინტერესოა პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში, თუმცა ყველაზე მიმზიდველი პერიოდია დაახლოებით მარტის ბოლოდან ივნისის ბოლომდე. ამ პერიოდში შესაძლოა დაკვირვება ფრინველთა მაქსიმალურ რაოდენობაზე. რაც შეეხება დიდმაღალის მასივს, აქ ბერდვოჩინგს შეუძლიათ ნახონ კასპიური შურთხი.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, საქართველოში ტურიზმის განვითარებას ამ კუთხით დიდი პერსპექტივა აქვს. ბერდვოჩინგის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, საქართველოს გახდის უფრო პოპულარულს მსოფლიო მასშტაბით, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ლიტერატურა:

1. გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
2. A Birdwatching Guide to Georgia, 2005.
3. Caucasus Environment, 2007.

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

ბიზნესის როლი საზოგადოების განვითარებაში

სოფიკო კობერიძე, მზია მელაძე, ანა მაყიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე**, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ვისაუბროთ ღირსეულ ბიზნესზე, იმ ბიზნესზე, რომელიც უდევს საფუძვლად ნამდვილ ცივილიზებულ ეკონომიკას და ითვალისწინებს კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების კეთილი ნებითა და სურვილით პრაქტიკული რეალიზება გაუკეთდეს ბიზნესკულტურის განუყოფელ ნაწილს - კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც ზოგადი განსაზღვრებით გულისხმობს კომერციული წარმატების მიღწევას ეთნიკური პრინციპების დაცვით; სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების ხელშეწყობით; შრომით ურთიერთობებში მუშაკებთან თავისი წვლილის შეტანით; საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებით და ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლებით. თუმცა, აუცილებელია კომპანიები მოქმედების პროცესში ავლენდნენ სოციალური პასუხისმგებლობის მრავალსაფეხურიანობას მისი თანმიმდევრობის დაცვით, რაც არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის საფუძველი. საზოგადოების განვითარებაში, ბიზნესს თუ რა როლი აკისრია, ამ საკითხებზე დისკუსია წლების მანძილზე მიმდინარეობს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც, სადაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება ნელ-ნელა თავის ადგილს იმკვიდრებს საზოგადოების ცნობიერებაში და ბიზნესპრაქტიკაში. აღნიშნულს შესაძლებელია საფუძვლად დავედოთ საქართველოში „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“, სოციოლოგიური სააგენტოს „ეისითის“ მიერ ერთობლივად, თბილისში 200 კომპანიის მენეჯერთა გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის შედეგებით განისაზღვრა საზოგადოების მოლოდინი. მენეჯერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოება ბიზნესისაგან ერთი მხრივ მოელის მისი უშუალო ფუნქციების ხარისხიანად

შესრულებას (გადასახადების გადახდას, მეტ სამუშაო ადგილს, ხარისხიან პროდუქციას და მომსახურებას, მისაღებ ფასებს, ფართო ასორტიმენტს, საქველმოქმედო პროგრამების განხორციელებას, სტაბილურ ბიზნესგარემოს, ქართული წარმოების აღორძინებას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას), და მეორე მხრივ, მოითხოვს, რომ ბიზნესმა წვლილი შეიტანოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში და გარემოს დაცვაში. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ საზოგადოების 62% - მოითხოვს სოციალური, ხოლო 61% ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ბიზნესსექტორის ჩართულობას.

ასევე გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების 94% „საზოგადოებრივი მიზნების“ მიღწევაზე და ქვეყნის განვითარების საქმეში პასუხისმგებლობას ძირითადად ანაწილებენ სახელმწიფოს/სამთავრობო სტრუქტურებსა და თავად ბიზნესს შორის. ამასთან, საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას და ჩართულობას გადაწყვეტ ფაქტორად მიიჩნევენ და აღიარებენ, რომ ამ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კომპანიათა 71% და საზოგადოების 88%.

საზოგადოებაში ბიზნესის როლი და ფუნქციები მნიშვნელოვანია მოსახლეობის მოლოდინებში და ბიზნესმენტა ხედვაში. საინტერესოა მათი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით: „ბიზნესის როლი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში“. მოსახლეობის ხედვა ასეთია: 37% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს; მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს - 35 %. უმნიშვნელო როლს ასრულებს - 28 % და მხოლოდ 1 % ამბობს რომ არ იცის.

ბიზნესმენტა ხედვა: მნიშვნელოვან როლს თამაშობს 71%. მეტ-ნაკლებად 19% და უმნიშვნელო როლს ასრულებს მხოლოდ 10%.

საქართველოში ფაქტიურად „საზოგადოებრივი მიზნების“ მიღწევაზე, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე ზრუნავს სახელმწიფო 63%-ით, ბიზნესი - 37%-ით, საზოგადოება - 21%-ით, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ხარისხი, აღნიშნულ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით -39 %-ს შეადგენს.

მენეჯერთა გამოკითხვის შედეგებით ასევე დგინდება ცალკეულ პრობლემებზე პასუხისმგებლობის დონე. კერძოდ, კვლევაში მონაწილე კომპანიის მენეჯერთა 92%-ისათვის მნიშვნელოვანია, 7%-ისათვის - მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები ზრუნავდნენ გარემოს დაცვაზე, საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია 2%. მენეჯერთა 86% მნიშვნელოვნად, 9% მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნია კომპანიების მონაწილეობა სოციალური პრობლემების დამლევადი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში კომპანიების როლს მნიშვნელოვნად აფასებს გამოკითხულ მენეჯერთა 8%-ისათვის, ხოლო მათი წილი, ვისთვისაც ამ მიმართულებით ბიზნესის პასუხისმგებლობა უმნიშვნელოა, მხოლოდ 3%-ია. ბიზნესაქმიანობის ზედმიწევნით ხარისხიანად განხორციელება თუ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაა. გამოკითხული კომპანიის მენეჯერების ბიზნეს ფუნქციად მოიაზრებენ აგრეთვე საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებაში, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაში და გარემოს დაცვაში ნებაცოფლობითი წერილის შეტანას. ამ თვალსაზრისით კომპანიები საკუთარ თავს სახელმწიფოს შემდეგ საკმაოდ ქმედით ინსტიტუტად მოიაზრებენ. რაც შეეხება თვისობრივი მონაცემების მიხედვით გამოვლენილ საზოგადოებრივ აზრს, კომპანიის მენეჯერები შეფასებას უკეთებენ და აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ამგვარი მოთხოვნები არაადეკვატური და გადაჭარბებულია, რადგან მოსახლეობა ვერ აცნობიერებს ბიზნესის როლს საზოგადოების განვითარებაში, მას განიხილავს მხოლოდ, როგორც „ფულის წყაროს“ და ბიზნესსფეროს წარმომადგენლებისაგან მხოლოდ დახმარების და სარგებელს ელის. მენეჯერთა აზრით, ბიზნესისადმი საზოგადოების ამგვარი ხედვის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და ბიზნესის საზოგადოებრივი როლის შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ბიზნესს არ უნდა განიხილავდეს, როგორც მხოლოდ ფულის წყარო, არამედ უნდა იცნობდეს ბიზნესს და მის ფუნქციებს, ანუ აუცილებელია საზოგადოებაში ბიზნესისადმი ცოდნის გამყარებით შესაძლებელი გახდეს არსებული ძველი სტერეოტიპების დამსხვრევა.

ლიტერატურა:

1. გ.ერქომანიშვილი-„მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში: მდგომარეობა პერსპექტივები“-ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,სამეცნიერო შრომების კრებული.თბ.2009 წელი
2. www.wikipedia.org
3. www.nplg.ge/.../library.exe?..
4. www.media.ge/ge/portal/articles/48710/
5. www.atsu.edu/ge/sadoqtoro%20disertacia/disertacia_gogishvili.pdf

მიგრაციული პროცესების თავისებურებანი საქართველოში

ქეთევან მარკოზაშვილი, თამარ ტერმაკოზაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: ნანული ქოქაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მიგრაციული პროცესების თვალსაზრისით საქართველო წინააღმდეგობრივ ქვეყანას წარმოადგენს. იგი ვერ თავსდება დემოგრაფიული გასვლის კონცეფციის საყოველთაოდ აღიარებულ მოდელში. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული განვითარებისა და მიგრაციული გადასვლის ფაზები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც სხვადასხვა მომენტებითაა განპირობებული, მათგან უწინარესად ისტორიული მოვლენებია აღსანიშნავი, რომლებმაც ქვეყნის ეთნიკური და კულტურული აჭრელება გამოიწვია.

XIX საუკუნეში ათეულ ათასობით სხვადასხვა ეროვნების და აღმსარებლობის ადამიანი ჩამოსახლდა საქართველოს მრავალ კუთხეში. გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული დამანგრეველი პროცესების გამო მიგრაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა.

შრომითი მიგრაცია განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: მიმღებ ქვეყნებში არსებული მოთხოვნით მუშახელზე, რომელსაც ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს, და ემიგრანტების მშობლიურ ქვეყნებში მუშახელის ჭარბი ოდენობით და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით. შესაბამისად, მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია ან არასრულად არის დასაქმებული, ან რომელსაც დაბალი ანაზღაურება აქვს, ცდილობს წავიდეს იმ ქვეყნებში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურების მიღების მეტი პერსპექტივაა. ხოლო მიმღებ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, მეწარმეები უპირატესობას სწორედ იმიგრანტ მუშახელს ანიჭებენ, როგორც წესი, იმიგრანტები მზად არიან შეასრულონ იმ ტიპის სამუშაო, რომლის შესრულებაც ადგილობრივ მუშახელს არ სურს; გარდა ამისა, ისინი თანხმდებიან უფრო დაბალ ანაზღაურებაზე და არ აპროტესტებენ ცუდ სამუშაო პირობებს. ამრიგად, შრომითი ემიგრაცია აკმაყოფილებს როგორც მიმღებ ქვეყნებს, ასევე მიგრაციის ქვეყნებს – პირველ შემთხვევაში ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნას მუშახელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ქვეყნები თავისუფლდებიან ჭარბი მუშახელისგან, და იღებენ საკმაოდ მნიშვნელოვან ფულად დახმარებას ემიგრანტებისგან.

ევროპის ქვეყნების უმეტესობა შრომით ემიგრანტებს თვლის შრომის ბაზარზე მოთხოვნილების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად. როგორც დონორი ასევე რეციფიენტი ქვეყნისათვის შრომით მიგრაციას მოაქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები: დადებითი შედეგია, შრომითი ემიგრანტები თავისი ფულადი გზავნილებით მატერიალურად ეხმარებიან თავის ოჯახებს და ფულადი გზავნილები აქ დარჩენილი ოჯახის ბიუჯეტს საარსებო მინიმუმამდე ავსებს. უარყოფითი შედეგია, შრომითი ემიგრაციის შედეგად ქვეყნიდან გადის ახალგაზრდა, ენერგიული, ინიციატივიანი მოსახლეობა, რომლის გარკვეული ნაწილი უკან აღარ ბრუნდება. რეციფიენტი ქვეყნისათვის დადებითი შედეგია, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, უარყოფითი შედეგია, უარესდება კრიმინოგენური სიტუაცია.

რაც შეეხება მიგრაციის ეფექტიანობას, გამოკითხულთა 31,2%-მა საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით გადაჭრა კვებისა და ჩაცმის პრობლემა, 24,6 %-მა საბინაო პირობები, 13,1% ჯანმრთელობის პრობლემა, 4,9-მ% დაიწყო ბიზნესი, 8,2 % შეიძინა ავტომობილი, არავითარი პრობლემა არ გადაუჭრია 18%-ს.

შრომითი ემიგრაციის თემა საქართველოში ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ქვეყანაში არ არსებობს შრომითი ემიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა. ზოგიერთი გამოკვლევებით, შრომით ემიგრაციაში საქართველოდან წასულია 400 ათასამდე ადამიანი. თავდაპირველად მიგრაციის ვექტორი მიმართული იყო რუსეთისა და თურქეთისაკენ. დღეისათვის ის მიმართულია მაღალანაზღაურებადი დასავლეთის ქვეყნებისა და აშშ შრომის ბაზრისაკენ. როგორც 2002 წელს საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო აღწერამ უჩვენა, 1989 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდა, რაც, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, გამოწვეულია მეტწილად მოსახლეობის ემიგრაციით, ამ საკითხმა რასაკვირველია ქართველ მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მიგრაციული ნაკადების ზუსტი გაზომვა აღრიცხვიანობის ჯერჯერობით უაღრესად მოძველებული და არასრულყოფილი სისტემის გამო, გაკეთდა შეფასებითი გაანგარიშებები მიგრაციის უარყოფითი საღლოს სიდიდის თაობაზე. ეს რიცხვი 620 ათასიდან 2.1 მლნ-მდე მერყეობს. [3, გვ. 27-28; 35-36; 4, გვ. 52-55; 5,

გვ. 98] გაეროს ექსპერტების შეფასებით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1995–2000 წლებში საშუალოდ 80 ათასის ფარგლებში მერყეობდა. [6, გვ. 200].

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მეცნიერთა მიერ დაზუსტებული მონაცემებით გარე მიგრაციის სალდოს სიდიდე დაახლოებით არის – 6%, ანუ ქვეყანაში შემოდის მიგრანტთა საერთო რაოდენობის 47% და გადის 53 %. მათგან 57,1% მამაკაცია, დანარჩენი ქალი. [1, გვ. 9] მიგრანტთა დაახლოებით 80 % 50 წლამდე ასაკის მოსახლეობას უჭირავს. ამ სიდიდეში ნახევარზე მეტი 40 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის [1, გვ. 10].

ემიგრაციაში უფრო მეტი მამაკაცები მიდიან ვიდრე ქალები. საერთოდ ემიგრირებული მოსახლეობის რაოდენობაში 58,9% მამაკაცებს უჭირავთ, ქალებს 41,1%. ემიგრირებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა 25–49 წლების ასაკზე მოდის. ამ ასაკობრივ მონაკვეთში, რომელიც სხვათა შორის სიცოცხლის ყველაზე აქტიურ პერიოდს მოიცავს, მამაკაცები მნიშვნელოვნად აჭარბებენ ქალებს, შეფასება ასეთია: – 62,2% 37,8%- ზე. რაც შეეხება გარე მიგრაციის უარყოფით სალდოს, იგი ყველაზე მაღალი 30 წლამდე ასაკის მიგრანტებშია და 13,8%-ს შეადგენს. 30–49 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგი 2–ჯერ ნაკლებია. 50–59 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი ჩამოსულები ჭარბობენ გასულებს. [1, გვ. 10].

ქვემოთ მოტანილია ემიგრირებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, რომელშიც დიდი რაოდენობით 20–34 წლის ახალგაზრდები არიან გასული მოცემული ქვეყნიდან, რომელთა შორის მამაკაცებს მეტი ხვედრითი წილი უკავია. ახლა განვიხილოთ საკითხი განათლების კუთხით. გარე მიგრაციის ყველაზე დიდი უარყოფითი სალდო სამეცნიერო ხარისხის მქონე მიგრანტებს აქვთ. ასევე მაღალია ხსენებული მაჩვენებელი საშუალო ზოგადი და უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანებში. დადებითი სალდო გვაქვს სპეციალური განათლების მქონე მიგრანტებთან.

საშუალო პროფესიული და საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირებს ყველაზე მეტი 47,1% უჭირავს, უმაღლეს დამთავრებულებს 25,9%, უმნიშვნელო წილი აქვთ მეცნიერებს 0,4%, გაუნათლებლები კი 4,1 %-ს შეადგენენ.

ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში მიდის ძირითადად არასახარბიელო ეკონომიკური პირობების გამო, მნიშვნელოვანია რომელი სახელმწიფოსკენ არის მიმართული მიგრაციის ნაკადი.

ცხრილი №1 ემიგრანტების სტრუქტურა ქვეყნების და სქესის მიხედვით

ქვეყნის დასახელება	სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
საბერძნეთი	16,3	44,4	56,6
გერმანია	4,3	47,5	52,5
ევროპის ქვეყნები	3,9	62,2	34,8
ისრაელი	1,7	51,0	49,0
თურქეთი	1,3	46,2	53,8
რუსეთი	64,4	63,5	36,5
უკრაინა	1,8	67,4	32,6
დსთ– დანარჩენი სახელმწიფოები	1,8	59,3	40,7
დანარჩენი მსოფ. სახელმწიფოები	4,5	51,1	48,9
სულ	100,0	58,7	41,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ევროპის ქვეყნები დაახლოებით 24,5% არის ემიგრირებული. ყველაზე მეტი მოდის საბერძნეთზე 16,3% და ევროპაში ჩასულების 66,8%. აღსანიშნავია, რომ აქ ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას. ისინი 55,6%-ს შეადგენენ. ევროპის ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანია, სადაც წასულთა რაოდენობა 4,3%-ია. მდებარეობით წარმომადგენლების წილი აქაც ჭარბობს მამაკაცების წილს და 55,5 %-ს შეადგენს. პირველი ადგილი ქვეყნებს შორის მყარად უჭირავს რუსეთს და შეადგენს 64,4 %-ს. იქ ჩასულ მამაკაცების რაოდენობა მკვეთრად ჭარბობს ქალების რაოდენობას და შეადგენს 63,5 %-ს.

ევროპაში როგორც ჩანს, ძირითადად მომსახურების სფეროს ისეთ სექტორებში შოულობენ სამუშაოს საქართველოს მოქალაქეები, სადაც ქალებიც ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. უკრაინაში მამაკაცების რაოდენობა აჭარბებს ქალების რაოდენობას და 67,4%-ს უტოლდება. საერთოდ კი ემიგრანტთა რაოდენობაში მამაკაცების წილი არის 58,7%, ხოლო ქალებისა შესაბამისად 41,3 %.

საქართველო მიგრაციული პროცესების მხრივ არაერთგვაროვანი და რთული ქვეყანაა, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ გვაქვს საფუძველი დავამტკიცოთ,

რომ ბევრი ქართველისთვის ემიგრაცია მათი და მათი ოჯახების გადარჩენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, რომ, ჩვენი ვარაუდით, უახლოეს პერიოდში არ უნდა ველოდოთ საქართველოდან ემიგრაციის ოდენობის შემცირებას. საქართველოდან ემიგრანტების ოდენობა საზღვარგარეთ ყოველწლიურად იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული ემიგრაციული ქსელები სულ უფრო და უფრო ფართოვდება, რაც ხელს უწყობს საქართველოდან ემიგრაციის ზრდას. ქვეყანაში არსებული სურათი შეესატყვისება კრიზისულ პერიოდში მყოფი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სპეციფიკას მწვავე სოციალური და მატერიალური პირობები აიძულებენ მოსახლეობის ახალგაზრდა განათლებულ და აქტიურ ნაწილს, რომ იყვნენ ემიგრანტები.

დღეისათვის საქართველოდან ემიგრაციის სურვილი ჯერ კიდევ მაღალია, ემიგრაციის პიკმა საქართველოში მიაღწია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში. ეროვნული კატასტროფის ტოლფასად მიგვაჩნია ის შედეგები, რომლებიც სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იქნა მიღებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ ის ფაქტი, რომ სტუდენტთა 7,4 % –ს სურს საქართველოდან წასვლა მუდმივად, ხოლო 58,5 დროებით. მუდმივად წამსვლელთა პოტენციალი 7,4 %-ი უტოლდება 325 ათას მცხოვრებს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე მიგვაჩნია გადაუდებელ საჭიროებად სათანადო სამეცნიერო პროექტების განხორციელება სანდო ინფორმაციის მოპოვებისა და ყოვლისმომცველი ანალიზის გაკეთებისათვის მოსალოდნელი უარყოფითი და ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის საშიში მოვლენების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გამონახვის მიზნით.

ლიტერატურა:

1. მიგრაციის სტატისტიკა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2002.
2. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ტომი III ნაწილი II მოსახლეობის მიგრაცია, თბილისი, 2004.
3. გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში მისი სოციალურ პოლიტიკური შედეგები, თბილისი, 1997.
4. გუგუშვილი თ., საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1998.
5. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2011.

ბიზნეს-გარემოს განვითარება საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

ავთანდილ მეცხვარიშვილი, მზია შავლობაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი

ბიზნესის განვითარების გარემო პირობებს მიეკუთვნება: ბიზნესის თავისუფლება და მისი გრძელვადიანი მოტივაცია; ეკონომიკური პოტენციალი და სტიმულები; სოციალური უზრუნველყოფა; სამართლებრივი გარანტიები; პოლიტიკური სტაბილიზაცია და სხვა;

ბიზნეს-გარემო იყოფა მიკრო და მაკრო გარემოდ. ელემენტები, რომლებიც ორგანულად ეკუთვნისან მოცემულ ფირმას და ექვემდებარებიან შიდა კონტროლს, წარმოადგენენ სისტემის შიდა გარემოს. ხოლო ის ელემენტები, რომლებიც ორგანულად არ ეკუთვნისან მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარებიან მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საკმაოდ დიდი ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე (და ამის გამო მათი გათვალისწინება ბიზნესის ფუნქციონირებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია), აყალიბებენ სისტემის გარე გარემოს. მიკროგარემოში შედის ისეთი ფაქტორები, როგორცაა:

- ფირმის განყოფილებები, რომლებიც მოიცავენ წარმოებას, ეკონომიკურ სამსახურს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ბუღალტერიას, მარკეტინგის სამსახურს, საკადრო სამსახურს და სხვა.

- მიმწოდებლები: სხვა ფირმები და ბიზნესმენები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემულ ფირმას რესურსებით;

- მომხმარებლები რომლებსაც ყოფენ ხუთ ტიპად: სამომხმარებლო საქონლის ბაზარი, საწარმოო დანიშნულების საქონლის ბაზარი, საშუამავლო ბაზარი, ეროვნული ბაზარი, საერთაშორისო ბაზარი;

- შუამავლები, რომლებიც ეხმარებიან ფირმას ბიზნესის განხორციელებაში, პარტნიორების მოძებნაში, სარეკლამო ღონისძიებების ჩატარებაში, და საფინანსო ოპერაციების შესრულებაში;

- კონკურენტები, რომლებიც უბიძგებენ ფირმას მუშაობის გაუმჯობესებისაკენ და ამავდროულად ზღუდავენ მის განვითარებას;

- საკონტაქტო აუდიტორია, რომელმაც ასევე შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეუწყოს ფირმის საქმიანობას.

ბიზნესის მაკროგარემო აერთიანებს გაცილებით ფართო სპექტრის ძალებს. მაკროგარემოს შემადგენელი კომპონენტებია:

- ეკონომიკური გარემო, რომელიც მოიცავს ქვეყნის საწარმოო პოტენციალს, ფულად-საკრედიტო სისტემას და მექანიზმს, მოსახლეობის შემოსავლებს.

- ბუნებრივი გარემო, რომელიც უშუალოდ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მასში ცენტრალური ადგილი უკავია ენერგეტიკულ რესურსებს.

- დემოგრაფიული გარემო, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობას, შობადობისა და მოკვდაობის ტენდენციებს, მიგრაციულ პროცესებს, განათლების დონესა და სხვა;

- კულტურული გარემო, რომელიც მოიცავს ადამიანთა ცალკეული ჯგუფების წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს.

- მეცნიერულ-ტექნიკური გარემო, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ბიზნესის განვითარებაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ სახეს განსაზღვრავს ელექტრონიკა, რობოტეხნიკა, ბიოტექნოლოგია და ინფორმატიკა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს მიაღწია საერთაშორისო ბიზნესმა. ეს განაპირობა იმან, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის განვითარებისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი ეროვნული ჩარჩოები და დაიწყო საერთაშორისო ფირმების ქსელის ჩამოყალიბება, უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში ეკონომიკურ და სოციალური განვითარების მეგატენდენციების, ისეთ მიმართულებების გათვალისწინებას, როგორცაა მოწინავე ქვეყნების გადასვლა ინდუსტრიული ეპოქიდან ინფორმაციის ეპოქაზე, ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებიდან მსოფლიო ეკონომიკის განზომილებებზე. შეიქმნა გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ საწარმო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, რაც უტოლდება რიგი სახელმწიფოების ანალოგიურ მახასიათებლებს. ასზე მეტ ტრანსნაციონალურ კორპორაციას მსოფლიოს მასშტაბით ფილიალები აქვს მრავალ ქვეყანაში. ბევრი ამერიკული კორპორაცია მოგების 70%-ს იღებს საზღვარგარეთიდან. ეკონომიკა, კულტურა, შრომითი და მატერიალური რესურსების რაოდენობა და ხარისხი, კანონები, სახელმწიფო დაწესებულებები, პოლიტიკური სტაბილურობა, ტექნოლოგიური განვითარების დონე განასხვავებს ქვეყნებს ერთმანეთისაგან. როდესაც ფირმა იწყებს ბიზნესს საშინაო ბაზრის საზღვრებს გარეთ, შესაბამისი პროცედურები უნდა შესრულდეს საერთაშორისო გარემოს გათვალისწინებით, ადსანიშნავია, რომ საერთაშორისო გარემოს ფაქტორების ანალიზი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ბიზნეს-გარემო არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებენ ფირმაზე, ან შეძლებისდაგვარად ფირმა ზემოქმედებს მათზე. სწორედ ამიტომ, საწარმომ სისტემატურად უნდა ჩაატაროს ანალიზი, რათა დაადგინოს ის საშუალებანი, რომელსაც გარე-სამყარო სთავაზობს. თუ ანალიზი უგულებელყოფილი იქნება, მაშინ ნაკლები შანსი აქვს ბიზნესს, რომ წარმატებით განვითარდეს, ამიტომ ფირმის, როგორც საქმიანი ორგანიზაციის სიღრმისეული და ყოველმხრივი შემეცნების კარგი საშუალებაა სისტემური მიდგომა. ფირმის ძირითადი მიზანი გარე გარემოს ზემოქმედებაზე არის ის, რომ გაარკვიოს რომელ საქონელზე და მომსახურებაზეა მოთხოვნა და მოძებნონ მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსები. ასევე საყურადღებოა რომ განასხვავებენ დახურულ და ღია სისტემას. დახურული სისტემის მოქმედება არ არის დამოკიდებული სისტემის გარეთ მყოფ გარემოზე. ხოლო ღია სისტემის ფუნქციონირება მჭიდრო ურთიერთკავშირშია გარემოსთან. ურთიერთ გაცვლის შედეგად, ფირმა და გარემო მუდმივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ბიზნესის თავისებურებანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის განვითარებული გარემო. ნებისმიერი ფირმის საქმიანობის რეგლამენტაციას ახდენს სამართალი, რომელიც აისახება საკანონმდებლო ბაზაში.

ამდენად ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს ბიზნესს, და მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას. პოლიტიკა ბიზნეს-გარემოს განვითარების ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვანს წარმოადგენს საქართველოში. ერთის მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს. დღეისთვის მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწეობა ქმნის ბიზნესის წარმატებული გაძლიერების ადმინისტრაციულ გარანტიებს. პოლიტიკოსები ბიზნესის მხარდაჭერას ლობიზმის გზით ახდენენ. ლობიზმში (ინგ. სიტყვაა და კულუარებს ნიშნავს) იგულისხმება ცალკეული დარგების, ფირმების, სოციალური ჯგუფების მხარდასაჭერად მიმართული სახელმწიფო ორგანოების, სასამართლო, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო ორგანოების მოქმედება. ლობისტები არიან ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მხარდაჭერას. ეკონომიკური პროგრესი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა. ამიტომაც არის, რომ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები არ ხდებიან პოლიტიკური გადატრიალებების, რევოლუციების და სხვა პოლიტიკური კატაკლიზმების მსხვერპლნი. აღნიშნული ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ბიზნესის პროგრესზე და პირიქით.

ერთ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, ამ პერიოდის განმავლობაში რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ საქართველო ბიზნესის კეთების კუთხით საინტერესო ქვეყანა იქნება. ასევე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში პრემიერს ხშირად უთქვამს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს-გარემო იქნება ისეთივე თავისუფალი, როგორც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. გამოკითხვების შედეგად გაირკვა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არსებული ბიზნეს-გარემო ბაზარზე არსებული კომპანიებისთვის ასეთია:

კომპანია „ნიკორა“-ში ბოლო ერთ წელიწადში აღინიშნება ჯარიმების შემცირების ფაქტი, ასევე სხვადასხვა პროცენტულობით შემცირდა ადმინისტრაციული ჯარიმები. მაგალითად სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის, სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობისათვის დაწესებული ჯარიმების ოდენობა. აღნიშნულ კომპანიაში გარემო სტაბილურია მუშაობისთვის. კომპანია დაგეგმილი სტრატეგიის მიხედვით განაგრძობს განვითარებას - ფართოვდება სავაჭრო ქსელი, იზრდება პროდუქციის ასორტიმენტი და ხდება ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. „ელიტ ელექტრონიქსში“ ბოლო ერთი წელი მზარდია და დადებითად ფასდება ის გარემო, რომელიც შეიქმნა გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული. მათი ბიზნესის მზარდობა 35%-ი პროცენტია. ციფრული ტექნიკისა და აქსესუარების მაღაზიათა ქსელ „მობი“-ში ასევე ერთი წლის განმავლობაში ბიზნეს გარემო შეცვლილია დადებითად, რადგან უფრო გაფართოვდნენ და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალი პროდუქცია და ახალი ბრენდებია შეტანილი მაღაზიათა ქსელში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომპანია „ბარამზომ“ წარმომადგენლის ცნობით იმის გამო, რომ 2013 წელს კომპანიის უძრავ ქონებას დაედო ყადაღა პროდუქციის წარმოებას შესაბამისად შემცირებულია. ჰიპერმარკეტების ქსელ „ფრესკო“-ში აცხადებენ, რომ საქართველოში თავისუფალი ბიზნეს-გარემოა. 2 წელია რაც „ფრესკო“ დაარსდა და უკვე 2 ჰიპერმარკეტი გახსნეს, ასევე ამ წელს იგეგმება მესამე ობიექტის გახსნა. კომპანია „იფქლში“ დიდი ძვრები ან ცვლილებები არ არის ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თუმცა 5%-იანი ზრდა ფიქსირდება.

როგორც ვხედავთ, ბიზნესი მუდმივ კავშირშია გარემოსთან, ამიტომ ბიზნესმენი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობდეს მათდამი ადაპტირებას. ეკონომიკის აღმავლობისთვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, მას კი სჭირდება შესაბამისი, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. აღსანიშნავია ის, რომ ბიზნეს-გარემოს ფორმირება საქართველოს უხდება იმ დროს, როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება მეტად არასტაბილურია. ბიზნეს-გარემოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივი გარანტიების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობას.

საქართველოში ბიზნეს-გარემოზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტები: ომის განახლების საშიშროება, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალური კრიზისი, საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, საგარეო ვალი და ა.შ. ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა. ასევე ქვეყნის ბიზნეს-გარემოზე უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი როლი აკისრია ბიზნეს-გარემოს შექმნაში ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას. რაც უფრო მაღალია პოლიტიკური არასტაბილურობა, მით უფრო არახელსაყრელია ქვეყანაში ბიზნეს-გარემო.

საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: საჭიროა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა; ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება საჭიროა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე; საჭიროა სახელმწიფო ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და ასევე ხელს უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკროეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. თ. შენგელია, თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები (ნაწ. 1), თბ., 2007.
2. გ. შუბლაძე, ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2000.
3. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
4. www.ifc.org/wps/.../Georgia_BEE_Survey2012_GE.pdf?
5. www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=7311

ანაკლიის პორტის, როგორც ბიზნესის ობიექტის 30-წლიანი ისტორია

მარიამ ოქროპირიძე, ლელა აჩელაშვილი, თეონა მასისურაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ანაკლიისა თუ ლაზიკას პორტთან დაკავშირებით ბოლო წლებში იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საბოლოოდ პორტის მშენებლობა მაინც გადაწყდა. ხელისუფლება თანამშრომლობს კომპანიასთან, რომელმაც ანაკლიაში პორტის მშენებლობის სურვილი საკუთარი ინიციატივით გამოთქვა, ტენდერისა თუ საკონკურსო პირობების გამოცხადების გარეშე. ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, აშშ-ის კომპანია „კონტი ჯგუფმა“ ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი წარმოადგინა, რომლის პრეზიდენტი კურტ კონტი ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა მიიღო. პროექტის თანახმად, ანაკლიაში 100 მილიონი ტონა ტვირთის გამტარობის პორტი გეგმდება. ამერიკული დელეგაცია 2013 წლის დეკემბერში შეხვდა პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სხვა წევრებს. წინასწარი გათვლებით, პორტის გარდა ანაკლიაში დაგეგმილია ლოგისტიკური და სამრეწველო ზონის განვითარება, აგრეთვე, საერთაშორისო აეროპორტისა და თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობა. ცნობილი ხდება, რომ მთავრობა ანაკლიის პორტის ზუსტ სტრატეგიას მას შემდეგ მიიღებს, რაც საპარტნიორო ფონდის დაკვეთით, იაპონური კომპანია სანაპირო ზოლის ფსკერის რელიეფის შესწავლას დაასრულებს.

მოქმედმა ხელისუფლებამ მთავრობაში მოსვლისთანავე თქვა უარი ლაზიკის პროექტზე, რადგან მასში ვერანაირ ეკონომიკურ პოტენციალს ვერ ხედავდა. შემდეგ ხელისუფლების მიერ გაჩნდა განცხადებები ანაკლიის პორტის მიზანშეწონილობის შესახებ. მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებას შორის დავა მიმდინარეობდა, იყო თუ არა ლაზიკის შეჩერებული პროექტი სწორედ ის ანაკლიის პროექტი, რომელსაც ახლა უკვე მწვანე შუქი აქვს ანთებული. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, წინა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ლაზიკის პროექტი მხოლოდ ოთხ სატვირთო გემზე იყო გათვლილი და გულისხმობდა ანაკლიის მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების დატბორვას და მათ განსახლებას, ხოლო მთავრობის მხარდაჭერილი პროექტი პორტის სულ სხვა ადგილას აგებას ითვალისწინებდა. აქ არც მოსახლეობის განსახლება გახდებოდა საჭირო და პორტსაც მეტი გამტარუნარიანობა ექნებოდა - ლაპარაკია 34 სატვირთო გემზე და დაახლოებით 20-მდე დამხმარე საპორტო გემზე. მინისტრის ცნობით, მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტი ჯერ კიდევ 2001 წელს იყო შექმნილი.

ეკონომიკის სამინისტროში არსებული დოკუმენტური ინფორმაციით, ანაკლიის პორტის პროექტი ჯერ კიდევ საბჭოთა დროს 1986 წელს არსებობდა, ხოლო 2001 წელს ინჟინერმა სპარტაკ ესაკიამ პორტის ახალი პროექტი შექმნა. სამინისტროში ამბობენ, რომ შევარდნაძის ხელისუფლება ანაკლიის პორტის მშენებლობით არ იყო დაინტერესებული. ჩნდება კითხვა: ვის ინტერესში შედიოდა 2001 წელს ანაკლიაში პორტის აგება? უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი თემურ ქარჩავა ამბობს, რომ სპარტაკ ესაკიამ სწორედ მისი იდეის განსახორციელებლად შექმნა ანაკლიის პორტის პროექტი და პორტის მშენებლობის კონცეფციას ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაეცნო.

ბიზნესმენის გათვლით, დღეს საქართველოში მოქმედი ყველა პორტი და საზღვაო ტერმინალი ბათუმში, ფოთში, ყულევსა და სუფსაში, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის სამუშაოების შემდეგ შეძლებენ წელიწადში 45-51 მილიონი ტონა მოცულობის მშრალი ტვირთის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-გაგზავნას. ხოლო ახალი პორტი ანაკლიაში, რომელიც 3 ათას ჰექტარზე მეტს დაიკავებს, წელიწადში 60-70 მილიონი ტონა მოცულობის ტვირთს გადაამუშავებს, ხოლო პერსპექტივაში - 180-200 მილიონ ტონასაც. პროექტი ითვალისწინებს 32 ნავმისადგომის აგებას 12.3 კმ-ის საერთო სიგრძით. ბიზნესმენის ცნობით, ანაკლიაში მოლაპარაკებები ორ დღეს მიმდინარეობდა. ამის შემდეგ გაჩნდა პორტის მშენებლობის შესახებ საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება #732 და 2010 წლის 20 იანვრის განკარგულება #45. ეკონომიკის სამინისტრომ პორტის მშენებლობისთვის გამოყო 2100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რისთვისაც თემურ ქარჩავას კომპანია „ანაკლია-პორტმა“ 6.7 მილიონი ლარი გადაიხადა. შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოები, შპს-მ მიიღო სანებართვო დოკუმენტები, საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ კი 220 მილიონი დოლარი შეადგინა. სამშენებლო სამუშაოები შპს „ანაკლია-პორტმა“ 2010 წლის სექტემბერში დაიწყო, რომელიც ეკონომიკის სამინისტროში დადებული ხელშეკრულების დადგენილ ვადაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში დაიწყო მთავრობის მიერ ქალაქ ლაზიკასა და ლაზიკაპორტის მშენებლობის შესახებ საუბარი, რასაც მოყვა დროებით შპს-ს მიერ მშენებლობის შეჩერება. 2011 წლის მარტში კი საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ცალმხრივად გააუქმა შეთანხმება, ჩამოართვა „ანაკლია-პორტს“ ნაყიდი მიწის ნაკვეთი და სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოითხოვდა 100 მილიონი დოლარის საჯარიმო სანქციების დაკისრებას, იმ არგუმენტით, რომ „ანაკლია-პორტი“ მშენებლობის გრაფიკში ვერ ჩაეტია. ამ დროს ხელშეკრულებით გაფორმებული სამშენებლო ვადის ამოწურვამდე 6 თვე რჩებოდა. კომპანიის თანამშრომლები ვარაუდობდნენ კანონის აღსრულებას და სამშენებლო სამუშაოების დამთავრებას 6 თვეში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ანაკლია-პორტს“ ინვესტორებიც ჰყავდა: 5.5 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიციის მოზიდვის გამო ხელშეკრულება გააფორმა კორეულ კომპანია „Giltz Financial Holdings AG“-სთან. კომპანია „სამსუნგმა“ გამოთქვა მზადყოფნა პორტის მშენებლობაში 700 მილიონი დოლარის ჩადების შესახებ. „ექსიმბანეი“ - აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულება - მზად იყო 2 მილიარდი დოლარის კრედიტი გამოეყო ამერიკაში საპორტო აღჭურვილობის შესაძენად. ტვირთბრუნვის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოში საპორტო ტერმინალების ოპერატორებს შორის მესამე, DP World-ი დღესაც თანახმაა პორტის ოპერატორი გახდეს.

კიდევ ერთი საკითხი პორტის ადგილმდებარეობაა. როგორც ირკვევა, ამ ეტაპზე საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით ანაკლიის საზღვაო შეღვის შესწავლა მიმდინარეობს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, პორტი აშენდება იქ, სადაც ამისათვის უკეთესი ადგილი აღმოჩნდება. სამინისტროში ადასტურებენ იმასაც, რომ „კონტი ჯგუფის“ ინვესტორია ქართული მსხვილი ფინანსური ჯგუფი - „თიბისი ჯგუფი“.

„ანაკლიაში პორტის აშენებასთან ერთად, საქართველოს შეუძლია სატრანზიტო ქვეყნის ამბიციებიც დაიბრუნოს“ სატრანსპორტო პოლიტიკა ეკონომიკის განსხვავებული, დამოუკიდებელი მიმართულებაა. უკვე 10 წელიწადია, საქართველო ასეთ პოლიტიკას აღარ წარმართავს. დავიწყებას მიეცა და დღეისთვის საერთოდ არაფეექტურად გამოიყენება ევროკავშირის მიერ დაარსებული პროექტი TRACECA (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი); დავიწყებას მიეცა ასევე ცნება და პრიორიტეტი, რომ ჩვენ ახალი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძი ვართ; სრულიად დაუსაბუთებლად გააუქმეს ტრანსპორტის სამინისტრო, რომელიც უშუალოდ ამ პოლიტიკით იყო დაკავებული და სხვ.

დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატება-წარუმატებლობას დიდწილად განსაზღვრავს მისი მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში, ამისთვის კი აუცილებელია მოქნილი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

საქართველოში ყოველთვის იყო ღრმაწყლიანი პორტის დეფიციტი. საზოგადოდ, ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მიმდინარე, კონკრეტულ მოთხოვნებს უნდა

უსწრებდეს. სწორედ თავისუფალი სიმძლავრეების არსებობა წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს, ახალი ტვირთების მოზიდვის საფუძველს.

დღეისთვის საქართველოს საპორტო პოტენციალი სულ 8 მლნ ტონა - მშრალი და 27 მლნ ტონა თხევადი ტვირთია, საკონტეინერო შესაძლებლობა კი 560 ათას TEU-მდეა (სიტყვასიტყვით - "ოცფუტიანი ეკვივალენტი". TEU-EU-თი იზომება კონტეინერშიიდებისა და ტერმინალების გამტარობა და პირობითად შეესაბამება 6,1 მეტრი სიგრძის სტანდარტულ საზღვაო კონტეინერს).

ეს სიმძლავრეები ნამდვილად არ არის საკმარისი სატრანზიტო ქვეყნის ამბიციის დასაკმაყოფილებლად. "ტრასეკა" სულ სხვა ამოცანას ისახავდა. საპორტო პოტენციალის ამ შესაძლებლობების დაკმაყოფილება თავისუფლად შეუძლია დღევანდელ რკინიგზას, მით უმეტეს, საკონტეინერო გადაზიდვებში აქტიურად მონაწილეობს ავტოტრანსპორტიც.

სახელმწიფო სატრანსპორტო პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს როგორც კერძო პორტების ხელშეწყობა, ასევე ახალი საპორტო შესაძლებლობების შექმნა და ტვირთების მოზიდვა. ამიტომ ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებში ყოველთვის აქტუალური იყო ანაკლიაში პორტის მშენებლობა, რადგან ამ სივრცეში ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობას უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი პერსპექტივაში, აფხაზეთით სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის პირობებში, როცა რუსეთის შავიზღვისპირეთის გადატვირთული პორტებიდან ტვირთების ნაწილობრივ გადმოდინების პირობა შეიქმნება. ანაკლიაში ღრმაწყლიან პორტს დიდი პოტენციალი ექნება, გადაიქცეს რუსეთის სამხრეთ რაიონებისა და საქართველოს მთელი ჩრდილო-დასავლეთის, მათ შორის, აფხაზეთის, აგრეთვე, მეზობელი აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთი ქვეყნის, რაც მთავარია, ჩინეთის მეტად მძლავრ ლოგისტიკურ გამანაწილებელ კვანძად.

ანაკლიის პორტის აშენება მით უმეტეს მნიშვნელოვანია ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის ფონზე, რომლის ექსპლუატაციაში შესვლაც 2016 წლისთვის იგეგმება და, სავარაუდოდ, გამოიწვევს პორტებიდან დღეს არსებული თხევადი და მშრალი ტვირთების ნაწილობრივ გადანაწილებას რკინიგზაზე.

დღეისთვის ანაკლიის პორტის რამდენიმე პროექტი არსებობს. მათ შორის, ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს პორტის მშენებლობას 3 ეტაპად და 9 ნავმისადგომით. პირველ ეტაპზე აიგება 3 საკონტეინერო ტერმინალი (საერთო მოცულობით 0,5 მლნ TEU-მდე), მეორე ეტაპი ითვალისწინებს საკონტეინერო ტერმინალის 1 მლნ TEU-მდე გაფართოებას, ანუ კიდევ 3 ნავმისადგომის აშენებას. პროექტის თანახმად, მესამე ეტაპზე პორტს კიდევ მიემატება 3 ნავმისადგომი, საკონტეინერო ტერმინალების სიმძლავრე კი 2 მლნ TEU-ს მიაღწევს. ეს ექნება წმინდა საკონტეინერო ტერმინალი და მისი კონცეფცია ეყრდნობა რეგიონში საკონტეინერო გადაზიდვების გაზრდის დიდ პერსპექტივას. ეს კონცეფცია ცნობილი ჰოლანდიური კომპანია A.T. Kearney-ის კვლევის საფუძველზე შეიქმნა. ეს კვლევა კი საპარტნიორო ფონდმა დაუკვეთა.

რეალისტური სცენარის მიხედვით, ანაკლიის პორტის მუშაობის პირველ წელს საბაზრო წილის ათვისება ასე მოხდება: უკრაინის ბაზრის 10%, ლიტვის 10%, რუსეთის 10% და საქართველოს საკონტეინერო ბაზრის 58%. ამ გათვლებით 2022 წლისთვის კონტეინერების რაოდენობამ 1 მლნ 300 ათას ერთეულს უნდა გადააჭარბოს. ცხადია, დამატებითი სიმძლავრეების გარეშე ამხელა ტვირთნაკადებს საქართველო ვერ დასძლევს.

ანაკლიის პორტის პროექტი რეალურია და რაც მთავარია, არ გამოიწვევს რკინიგზის გადატვირთვას. სასურველია, პროექტში მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საპარტნიორო ფონდმა, რაც სატრანსპორტო პოლიტიკაში სახელმწიფოს უფრო აქტიურ და ეფექტურ მონაწილეობას განაპირობებდა. მეორე მხრივ, ავტორიტეტული ინვესტორის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება უმსხვილესი საპორტო ოპერატორების გამოყენება, მათ შორის - ჩინეთიდან. აქ ძალიან მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც, ვინაიდან დღეს ჩვენს სუბრეგიონში, ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, ტვირთნაკადების ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს. ამიტომ პროექტის განხორციელება უნდა დაჩქარდეს, მისი გაჭიანურება დაუშვებელია

ლიტერატურა:

1. ეკონომიკური პალიტრა, 2014, 17-23/II
2. ეკონომიკური პალიტრა, 2014, 02/VI
3. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება 2009, 20/X №732
4. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება 2010, 20/I №45

რეკლამის ფსიქოლოგიური ასპექტები – 25-ე კადრის ეფექტი

ნინო ჟორჯოლიანი, ნაილი ბალიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: მაკა სოსანიძე, ასოცირებული პროფესორი

ადამიანი ყველა სიგნალს, რაც მის გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს და იმ ინფორმაციას, რაც მასშია, მთლიანად ვერასდროს აცნობიერებს, თუმცა მის ქცევაზე და მოქმედებაზე ეს ინფორმაცია გავლენას მაინც ახდენს. ადამიანის ფსიქიკური პროცესების შესწავლა ზოგადი ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. რეკლამის ფსიქოლოგია ამ პროცესებს სწავლობს იმ მიზნით, რომ შექმნას ფსიქოლოგიურად და კომერციულად ეფექტური რეკლამა.

რეკლამა თანამედროვე ადამიანს თან სდევს თითქმის ყოველ ნაბიჯზე. ჩვენ გამუდმებით რეკლამის სამყაროში ვიმყოფებით. რეკლამა მტკიცედ დამკვიდრდა საზოგადოებაში და ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ის უკითხავად იჭრება თითოეული ჩვენგანის სახლსა და ცხოვრებაში, ყოველდღე, ყოველ წუთსა და ყოველ წამს. ზოგს ართობს, ზოგს აშინებს, ზოგსაც კი აღიზიანებს. ის მრავალი საუკუნის წინათ დაიბადა და მას შემდეგ საკმაოდ შეიცვალა. დიახ, ეს რეკლამაა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და ბრენდის წარმატების გარანტი. კარგი რეკლამა წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია იმ რთულ გზაზე, რასაც ბაზარზე დამკვიდრება ჰქვია. ჩვენს თანამედროვეობას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ რეკლამის, პრომოუშენის, Pr-ისა და სხვა მსგავსი ტექნიკების ეპოქა. შესაბამისად, კარგი და დახვეწილი რეკლამა დღეს უკვე გასაკვირი აღარ არის, რომელიც არა მხოლოდ ვაჭრობის მამოძრავებელი ძალაა, არამედ კულტურის არატრადიციული, ახალი სახე და ამასთან მძლავრი იარაღია იმ ადამიანების ხელში, ვინც ქმნის და ორგანიზებას უწევს მას - აგრესიულ, მასობრივ იარაღად, რომელიც ადამიანის ფსიქიკაში შესაღწევად დახვეწილ მეთოდებს იყენებს.

ერთი მხრივ, ეს ძალზე საშიშია, რადგან ადამიანებით მანიპულირების შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, პიარტექნოლოგიები ადამიანის ფსიქოლოგიასა და ქცევაზე ზემოქმედების მეცნიერულად ისე კარგად დამუშავებული მეთოდებია, ისე ზუსტი და ქმედითი საშუალებაა, რომ ცოდვაც კია, არ დაფიქრდე იმაზე, როგორ შეიძლება მათი გამოყენება მშვიდობიანი მიზნით ადამიანის დასაპროგრამებლად, რათა მან თავისი საუკეთესო მხარეები წარმოაჩინოს. სხვათაშორის, სპეციალისტები სულ უფრო ხშირად ფიქრობენ ამაზე.

რეკლამა უფრო და უფრო ხშირად ერევა ადამიანის ცხოვრებაში და მას ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე მართავს. ჩვენც, ისევე როგორც სხვა ადამიანები, ვგლობთ ფსიქიკას, ხოლო ფსიქიკა - ჩვენ. ზოგჯერ შეგვიძინებია, რა ხდება ჩვენს თავს, როდესაც მორიგ სარეკლამო ბლოკს ვუყურებთ? თითქოს არ გვიყვარს რეკლამა, უგულვებელვოფთ მას, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო ვზავდებით მასში. ყოველდღიურ ყოფაში იყენებთ იქ მოსმენილ სიტყვებს, ხანდახან მელოდიასაც წავილიდინებთ... რეკლამა "გვაპიპნოზებს".

რეკლამას უძველესი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტელები იყენებდნენ პაპირუსს, რათა დაემზადებინათ გაყიდვების განცხადებები და კედლის პლაკატები. მას შემდეგ, რაც ნახატები ამოძრავდნენ და ფილმის სახე მიიღო, ინტერესი კინოსა და ტელევიზიის მიმართ ლოგიკურად იზრდება. თავის დროზე ადამიანის აღქმის კვლევამ ახალი შესაძლებლობები გამოავლინა და არაცნობიერზე ზემოქმედების საშუალება მისცა.

„ფარული შეტყობინების“ მეთოდი, ოფიციალურად ასე ჰქვია 25-ე კადრს, იგივე სუბლიმინალური (ქვეცნობიერი) რეკლამა, არის ადამიანის ქვეცნობიერზე მოქმედი რეკლამის მეთოდი. ის კადრებს შორის ჩადგმული ფარული რეკლამაა, რეალურად, ეს კადრი არ არის ფარული, ის არსებულია, მაგრამ მხედველობის ინერტულობის გამო ადამიანი ვერ გამოჰყოფს მას. რეკლამის სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა, რომელთა მიზანი პროდუქციის გასაღება იყო ამ მიგნების მიზანმიმართული გამოყენება პირველად 1957 წელს სცადეს. კერძოდ, ჯეიმს ვაიკერი, ამერიკელი მარკეტოლოგი, ნიუ-ჯერსის კინოთეატრებში ფილმის მსვლელობისას, კადრებს შორის „კოკა-კოლასა“ და „პოპ-კორნის“ რეკლამის 25-ე კადრად დემოსტრირებას ახდენდა, რომელიც გახლდათ ერთგვარი მოწოდება: „დალიე კოკა-კოლა, გშია? ჭამე პოპკორნი“, არსებულ ტექსტს მაყურებელი აღიქვამდა, ფილმის მსვლელობისას უადგილო კადრის ჩამატებას ხელი არ შეუშლია. ჩვენების დასრულებისთანავე კი მაყურებლის 90% „კოკა-კოლასა“ და „პოპკორნის“ რიგში ჩადგა.

ცდის ჩატარების შემდეგ ვაიკერმა ექსპერიმენტის შედეგები წარადგინა, რასაც თავისთავად დიდი ხმაური მოჰყვა, მეთოდი ადამიანის მანიპულაციად გამოიყენეს და მისი გამოყენება აკრძალეს. თუმცა ქვეზღურბლოვანმა რეკლამამ პოპულარობა მოიპოვა და დაიჯერეს, რომ მისი გამოყენებით ადამიანის მანიპულირება ადვილად შესაძლებელია. შედეგად ბევრ ქვეყანაში 25-ე კადრი აკრძალეს. ამკრძალავები პიროვნების თავისუფლებას იცავენ და ადამიანის ფსიქიკაზე ნების საწინააღმდეგოდ ზემოქმედების, მისი ცნობიერი კონტროლის შესუსტება-შთაგონებადობისგან ადამიანის დაცვას ცდილობენ.

გადავინაცვლოთ საბჭოთა კავშირში. 1968 წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ზედამხედველობის კომიტეტმა შეიმუშავა პროექტი „მოსახლეობის მასობრივი საინფორმაციო ზეგავლენის“ შესახებ. პროექტს, გრიფით საიდუმლო, სათავეში ედგა რუსი ფიზიკოსი ალექსეი ბელოვი. 25-ე კადრის დებიუტი შედგა საინფორმაციო გამოშვება „ვრემიაში“. მანამდე 1967 წელს ქალაქ გორკის ერთ-ერთ საიდუმლო სამეცნიერო ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა ისეთი ელექტრონული სიგნალის შექმნაზე, რომელიც ეტაპობრივად იმოქმედებდა ადამიანის გონებრივ იმპულსებზე და ზეგავლენას მოახდენდა ადამიანთა ფსიქიკაზე. პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1968 წელს აღნიშნულ პროექტს სათავეში ჩაუდგა ლაბორატორიის სუკის მესამე განყოფილების ბაზაზე შექმნილი სპეციალური ჯგუფი. პირველი ცდები მოსახლეობაზე ქვეყნის ცენტრალურ კინოთეატრებში ჩატარდა. მილიონობით ადამიანი იღებდა დაშიფრულ ინფორმაციას, რომელიც პროპაგანდული შინაარსისა იყო და ადამიანის მეხსიერების სრულ ზომბირებას იწვევდა.

90-იან წლებში 25- კადრის ეფექტმა ფართო გამოყენება ჰპოვა უცხო ენების ათვისებასა და კომპიუტერული სასწავლო პროგრამების შესწავლის საქმეში. კითხვა, რომელიც ყველას გვანტერესებს თუ რატომ ვერ აღიქვამს თვალი 25-ე კადრს? პასუხი ყველასთვის გაუგებარია და მათ უნდობლობას და ეჭვს იწვევს. დადგენილია, რომ ადამიანის ცნობიერება წამში აღიქვამს ჩვეულებრივი სიჩქარით დატრიალებულ 24 კადრს. თუ ქრონომეტრაჟს ოდნავ შევამცირებთ, ერთ წამში 25-ე კადრსაც ჩავტევთ. ამ შემთხვევაში წამის განმავლობაში ადამიანის ხედვის არეში მოხვდება 25-ე კადრი. აღმოჩნდა, რომ 24-ე კადრს ტვინი ჩვეულებრივ იმასხოვრებს, 25-ეში ჩადებულ ინფორმაციას კი ქვეცნობიერი აღიქვამს. ხოლო როგორ მუშაობს ქვეცნობიერი, როდის და როგორ ამოქმედდება, არავინ იცის. ექსპერტები ადასტურებენ მის არსებობას და გვიხსნიან, რომ თვალის ბადურა რეალურად წამში 25 კადრს კი აღიქვამს, მაგრამ რეალურად ტვინს მხოლოდ 24 კადრის გაშიფრვა შეუძლია, ის ერთი კადრი კი ქვეცნობიერში იგზავნება, ილეექება და ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს.

„ფარული შეტყობინების“ მეთოდი ყოველდღიურობაში სასტიკად იკრძალება, ეს მეთოდი ფილმში არსებულ „პროდაქტ პლეისმენტს“ (არაპირადაპირი რეკლამა) ჰგავს, თუმცა 25-ე კადრს აქვს შეზღუდული ეფექტი, ყველაზე ეფექტურად მაშინ მოქმედებს, როდესაც ადამიანს იმ კონკრეტულ წამს მართლაც აქვს ის კონკრეტული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება კონკრეტულ რეკლამირებულ პროდუქტს შეუძლია. 25-ე კადრი შეიძლება შევადაროთ ჰიპნოსს, თუმცა ეს მეთოდი უფრო ეფექტურია და ადამიანი ვერ გრძნობს ამ ზემოქმედებას.

ოფიციალურად კი ეს მეთოდი კიდევ ერთხელ 2007 წელს ჯეიმს ვაიკერის ექსპერიმენტის იუბილეს აღსანიშნავად გამოიყენეს, საერთაშორისო კონფერენციაზე (MARKA2007). იმ დღეს ფილმ „პიკნიკის“ 25-ე კადრი რეკლამას უწევდა გამოგონილ ბრენდ-DELTA-ს, ექსპერიმენტის ჩატარებისას მონაწილეებს სთხოვეს არჩევანი გაეკეთებინათ DELTA-ს და THETA-ს შორის დაახლოებით 90%-მა არჩევანი DELTA-ს სასარგებლოდ გააკეთა.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ 1960-70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ბარნაბა ხაჭაპურიძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები 25-ე კადრის გამოყენებით, რომლებიც ფსიქოლოგიის კათედრასთან არსებულ ლაბორატორიაში ტარდებოდა. ცდის პირები, დროის მცირე მონაკვეთში ეკრანს შესცქეროდნენ, სადაც მხოლოდ თეთრი და რუხი სინათლის ციმციმს ხედავდნენ. ბოლოს, მათ ასარჩევად გეომეტრიულ ფიგურებს აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი სწორედ იმ ფიგურებს ირჩევდნენ, რაც ეკრანზე ისე „ჩანდა“, რომ ცდის პირები მას ვერ აღიქვამდნენ და, მამასადაძე, ვერც აცნობიერებდნენ.

სად იყენებენ 25-ე კადრს? - ტელევიზიებში, ფილმებში, საავადმყოფოებში, არჩევნების რეკლამებში და სხვა.

XX საუკუნის 50-იანი წლების დამლევს დაიწყო ფსიქოტრონული ტექნოლოგიების სტაბილური გამოყენება როგორც სამეცნიერო სფეროში, ისე ბიზნესში. აშშ-ის სპეცსამსახურებმა დაიწყეს მათი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის. 60-იან წლებში მთელი ორგანიზაციები იკვლევდნენ მასაზე ზემოქმედების ხერხებს არა მარტო პოლიტიკური, არამედ ბიზნესის კუთხით. დაიწყეს 25-ე კადრის გამოყენება რეკლამებში, რომლებიც მოგვიანებით აიკრძალა. დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებს, ფსიქიატრებს 25-ე კადრი საცინლად არ ჰყოფნით. მათ მიაჩნიათ, რომ ეს დრომოჭმული ტექნოლოგიაა და

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. სამწუხაროდ, ასე არ არის. ამის დასტურად მოვიყვან ფაქტებს: 1999 წელს ევროსაბჭოს პარლამენტმა აკრძალა ევროსაბჭოს ქვეყნებში ფსიქოტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ელექტრონული მედიით. აქ, პირველ რიგში, 25-ე კადრი მოიაზრებოდა. სწორედ მაშინ, როდესაც ევრო პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, აშშ-მ ამ ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად დიდი თანხა გამოყო და დღემდე მილიარდობით დოლარს ხარჯავს მის განსავითარებლად. ფსიქოტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით სპეცსამსახურებს თავისუფლად შეუძლიათ ათეულობით ათასია დამიანის ზომბირება. სხვათაშორის, აშშ-ში ეს ტექნოლოგიები აკრძალული არ არის. მაუწყებლის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, 57-ე მუხლში, კი პირდაპირ წერია, რომ ქართველ მაუწყებელს აკრძალა ადამიანის ქვეცნობიერზე ფარული ზემოქმედება.

რამდენად ეფექტიანია ეს აკრძალვა ან ვინ უნდა აკონტროლოს ის?

კანონმდებლობა ამის მხოლოდ დეკლარირებას ახდენს. ის, რაც კანონით აკრძალულია, ისჯება. ამ შემთხვევაში კი სასჯელის ზომა არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, საქართველოში ამას არავინ აკონტროლებს. თუმცა ევროპის ქვეყნებში, სადაც ეს ტექნოლოგიები აკრძალა, მათი კონტროლის მექანიზმები არსებობს და იყენებენ კიდევ.

25-ე კადრის გამოყენება ხშირია წინასაარჩევნო რეკლამებში. საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს პოლიტიკური ფიგურებისთვის. ეს იმიტომ, რომ მათი იდეოლოგიის “მომხმარებელი” სწორედ საზოგადოებაა, ის საზოგადოება, რომლის აზრის, რომლის კეთილგანწყობისა და რომლის ნდობის მოპოვებაც ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ეს ხერხიც ეფექტურად გამოიყენება პოლიტიკური ფიგურების მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის. ამ შემთხვევაში ადამიანი თავისდაუნებურად ექცევა გავლენის ქვეშ, რადგან მან შეიძლება აშკარად ვერ შეამჩნიოს ის იდეა, რომელიც 25-ე კადრში იქნება გატარებული, მაგრამ მისი ხილვის შემდეგ ის შთაბეჭდილება დაეუფლება, რაც მანიპულატორის მიზანშია. ეს კი ცნობიერებით მანიპულირების კიდევ ერთ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

თუ ზოგიერთ შემთხვევაში სუბლიმინარული რეკლამის შესახებ მაყურებელმა არაფერი იცის, დღეს ამგვარ მეთოდს უკვე აშკარად მიმართავენ და რეკლამასაც უწევენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი რუსული საიტი გახდომის მსურველებს სთავაზობს „იმკურნალონ“ 25-ე კადრის ანუ ადამიანზე დაჰიპნოზების მეთოდით (მეთოდის სახელწოდებაა SLENDER+). მრავალი დაინტერესებული პირი ეგება ამ ანკესზე და უცხო პირებს შესაძლებლობას აძლევენ ხელი აფათურონ მათ სულებში.

25-ე კადრი შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც, საუბარია „ფარული შეტყობინების“ კეთილად გამოყენებაზეც, მას კლინიკებში ნარკომანიისა და მწვევლების განსაკურნებლად იყენებენ. მეცნიერთა ნაწილი აღიარებს ამ ეფექტს, თუმცა მისი არსებობა (იგულისხმება ფსიქოლოგიური ეფექტი) 1958 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ ოფიციალურად უარყო. ისმის კითხვა არა თუ ვერ დაკონკრეტდნენ ეს მეცნიერები, ბოლოს და ბოლოს არსებობს თუ არა ეს 25-ე კადრი.

მეცნიერებაში მაინც არაფერია დაზუსტებული. ის გვიტოვებს პატარა ინტრიგას და გვამღვეს საშუალებას ჩვენ თვითონ დავფიქრდეთ ამ უცნაურ მოვლენაზე და ჩვენი ძალებით გამოვიტანოთ დასკვნები.

ლიტერატურა:

1. ბ. მდებრიშვილი, ნ. თოდუა, „მარკეტინგის საფუძვლები“, 2009.
2. ი. ფერაძე, „მარკეტინგული კომუნიკაციები“, 2010.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://wordpress.com/>
2. <http://businessnews.ge>
3. <http://www.b2p.ge>
4. <http://mediator.ge>
5. <https://businesscafe.wordpress.com/>
6. <http://4p.com.ge/mtieli/>

სადაზღვევო მომსახურება საქართველოში

ნინო ჟორჟოლიანი, რუსუდან ცერცვაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: ლალი ოსაძე, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა დაზღვევის მნიშვნელობა. სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადასხვა ღონისძიებების (მაგალითად, სავალდებულო დაზღვევა) შედეგად ამ სფეროსადმი ინტერესიც გაიზარდა და შესაბამისად, საინტერესოა როგორია მომსახურების ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს დაზღვევა საქართველოში უფრო და უფრო ვითარდება, მომსახურების ხარისხი არც თუ ისე მაღალია. სადაზღვევო მომსახურება იწყება დაზღვევის ობიექტის რისკის შეფასებით და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებით მთავრდება.

სადაზღვევო მომსახურება მოიცავს სხვადასხვა ხასიათის რისკებისაგან დაცვას, რომელიც შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

1. პირადი დაზღვევა, რომელიც მოიცავს: სიცოცხლის, უბედური შემთხვევისა და სამედიცინო დაზღვევას;
2. ქონებრივი დაზღვევა - ტრანსპორტის, ტვირთის, ფინანსური რისკებისა და საკუთრების;
3. პასუხისმგებლობის დაზღვევა - სამოქალაქო (პასუხისმგებლობის ავტომფლობელების შემთხვევაში); გადამტვირთავის პროფესიული პასუხისმგებლობისა და სხვა.

სადაზღვევო პროდუქტის გავრცელება და მომსახურება შესაძლებელია ძირითადად ორი გზით: 1. კლიენტების ადგილზე მომსახურება; 2. საბროკერო მომსახურება. პირველი გზა კომპანიისგან მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას, საოფისე და მენეჯერის მომსახურების ხარჯების გაწევას, მაგრამ ამ შემთხვევაში გარიგების დადების ალბათობა მაქსიმალურია, რადგან, კლიენტი თავისი სურვილით მიდის კომპანიაში. მეორე შემთხვევაში - საბროკერო მომსახურება გულისხმობს ბაზრის კარგად მცოდნე, გამოცდილი შუამავლის მიერ კორპორატიული კლიენტებისათვის ადგილზე სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზებას და გარიგების დადებას. ეს უკანასკნელი ყველაზე მისაღები გზაა სადაზღვევო პროდუქტების გასაღებისთვის, მაგრამ, მაღალკვალიფიციური კადრების არ არსებობის გამო ეს მეთოდი ჯერ განვითარების სტადიაშია.

სამწუხაროდ, სადაზღვევო კომპანიებს ყველა შავი თვალთ უცქერის, მოსახლეობა ნეგატიურად არის განწყობილი სადაზღვევო მომსახურების მიმართ. ამას ადასტურებს ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. “ეისითის” კვლევის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა ყველაზე მეტად სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით არის უკმაყოფილო. კომპანიამ დედაქალაქის მცხოვრებლებს სხვადასხვა სფეროებში მომსახურების დონე 5-ქულიანი სისტემით შეაფასებინა და თებერვალში დედაქალაქში 400 ადამიანი გამოიკითხა. მომსახურების ხარისხით ფარმაცევტული სფერო ლიდერობს, რომელსაც 4,3 ქულა მიენიჭა. პირველ სამეულში არიან საყოფაცხოვრებო და ტექნიკის მაღაზიები, ასევე საჯარო სამსახურები, რომლებმაც 4,1 ქულა მიიღეს. 4 ქულას მოსახლეობა ბანკებს ანიჭებს. 3,9 ქულას სურსათის მაღაზიებს, ბენზინგასამართ სადგურებს, სატელეკომუნიკაციო კომპანიებს და ავტომომსახურების ცენტრებს. თბილისელებმა 3,7 ქულით ტანსაცმლის მაღაზიები შეაფასეს, 3,4 ქულით მედპუნქტები, ხოლო ყველაზე ნაკლები - 3,2 ქულით სადაზღვევო კომპანიები.

იმას, რომ მოსახლეობის მომსახურების თვალსაზრისით სადაზღვევო სექტორში სახარბიელო მდგომარეობა არ არის, საქართველოს მთავრობაც არ მალავს. ხშირად, მანიპულაციების შედეგად, დაზღვეულმა არ იცის, რას დაფარავს სადაზღვევო კომპანია.

სადაზღვევო მომსახურებით უკმაყოფილების მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, სამედიცინო სფეროში დაზღვევის მაღალმა ჩართულობამ განაპირობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტები იმდენად უკმაყოფილოები არიან მომსახურებით, რომ თავად ანაზღაურებენ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. მოსახლეობის დაბალ სადაზღვევო კულტურას მომსახურების დაბალი დონეც თან ერთვის და შედეგად ორივე მხარე უკმაყოფილოა, მოსახლეობაც და სადაზღვევო კომპანიებიც.

როგორ უნდა განვითარდეს სადაზღვევო მომსახურების ხარისხი? როგორც წესი, მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე არც ისე მაღალია. თუ იარსებებს ძლიერი მედიაციის სამსახური, რომელიც

რაიმე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში დაიცავს მოქალაქის უფლებებს, ეს გარკვეულ პრობლემებს მოხსნის.

გარდა ამისა, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა გააცნობიერონ, რომ თუ ისინი შესაბამის პირობებს და ხარისხიან მომსახურებას არ შესთავაზებენ მოსახლეობას, გაუჭირდებათ კლიენტების მოზიდვა. მითუმეტეს, როცა სახელმწიფოს სავალდებულო დაზღვევაში მათი როლი კიდევ უფრო შემცირდა. შედეგად, კონკურენცია კიდევ უფრო იზრდება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე ბაზარზე წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახდება.

ინტერნეტ-რესურსები

1. <http://www.ambebi.ge/ekonomika/49149-momsakhurebis-khariskhis-reitingshi-bolo-adgilze-sadazghvevo-kompaniebi-arian.html#ixzz2VHd37TCB>
2. http://www.for.ge/view.php?for_id=11120&cat=1
3. <http://www.nplg.gov.ge>

ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი უარყოფითი მხარეები

მარიამ რაზმაძე, ნინო ღვინიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი

ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული მეურნეობის ის ნაწილია, რომელიც მოქმედებს კანონის დარღვევით, ვერ აღირიცხება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ და არ იხდის სახელმწიფო გადასახადებს. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მიზანი ჩარჩო-პირობების ფორმირებაში მდგომარეობს. ის არეგულირებს ურთიერთობებს კერძო ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. წესრიგის პოლიტიკამ აგრეთვე უნდა გაანაწილოს ფუნქციები სახელმწიფოსა და კერძო ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. თუ სახელმწიფო ეკონომიკურ წესრიგის პოლიტიკაში თავისუფალ „ხვრელებს“ გააჩენს, ანდა კერძო ეკონომიკურ აქტივობას საკანონმდებლო ვალისაგან თავისუფალ სივრცეს დაუტოვებს, მაშინ ჩნდება ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის საშიშროება, ანუ ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც გადასახადების დაწესებას და სახელმწიფო სექტორის მხრიდან რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. სადღეისოდ, ძნელი სათქმელია, თუ რა წილი უკავია ჩრდილოვან ეკონომიკას ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში, რომელსაც უდიდესი დანაკარგები მოაქვს ქვეყნისათვის. რაც, პირველ რიგში, აისახება შემოსავლების მეტად უთანაბრო განაწილებაში. მისი არსებობა ასევე იწვევს ეკონომიკური არაეფექტურობის ზრდას, სახელმწიფო შემოსავლების შემცირებას გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, სახელმწიფო უწყებებში კორუფციის სტიმულირებას. ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა უნდა შედიოდეს მთლიან „მშპ“-ში, თუმცა მასში არ ვლინდება. ჩრდილოვანი ეკონომიკის შიდა პროდუქტს მიეკუთვნება:

- ლეგალური საქმიანობა, რომელიც სრულდება ლეგალურად, თუმცა ხდება გადასახადების დამალვა.
- ეკონომიკური აქტივობა, რომელიც არალეგალურად ტარდება და ხდება ფარული მუშაობა.
- არალეგალური აქტივობა (ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ).

ჩრდილოვანი ურთიერთობების წარმოქმნას ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები განაპირობებს. სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს მიეკუთვნება მოსახლეობის ისეთი სოციალური პრობლემები, როგორცაა:

- უმუშევრობა - რომელსაც უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობა შეადგენს 17-20%-ს, ამიტომ უმუშევრებისა და დაბალი ხელფასის მქონე პირებისთვის ჩნდება ეკონომიკური აუცილებლობა დამატებითი საქმიანობისათვის.
- საგადასახადო სისტემა - საგადასახადო პოლიტიკა ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევ ძირითად მიზეზად ითვლება. ფორმებზე მიმართულ გადასახადებსა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს.

➤ კორუფცია - შეიძლება ითქვას, რომ კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკა ერთი მედლის ორი მხარეა. რომელიც თავს იჩენს მაშინ, როდესაც არსებობს კორუფცია და პირიქით.

ჩრდილოვანი პოლიტიკის წარმოქმნის პოლიტიკური მოტივებია:

- პოლიტიკური არასტაბილურობა - ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა სახელმწიფოს ცხოვრებაში პოლიტიკას უკავშირდება. პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე ინტრიგები, დაპირისპირებები, მანიპულაციები, რომლებიც მოსახლეობას ზრუნვითა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით ხდება, ხელს უწყობს ფარული ურთიერთობების წარმოქმნას.
- დაუსჯელობის სინდრომი - საზოგადოდ ქვეყანაში რაც უფრო დაცულია წესრიგი, მით უფრო ეფექტურია შესრულებული სამუშაო, ამიტომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს ჩრდილოვანი ეკონომიკაში საქმიანობისთვის დასჯის საზომი.
- საკუთრების უფლებების დაუცველობა - როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების, ასევე არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენა ჩრდილოვანი საქმიანობაზე მნიშვნელოვანია.
- რეფორმების სტრატეგიის არჩევანში დაშვებული შეცდომები - რეფორმების წარმატების განსახორციელებლად აუცილებელია, როგორც ხელისუფლების, ასევე მოსახლეობის მზადყოფნა. მთავარი პირობა მათ შორის ნდობის არსებობაა. ამის კარგი მაგალითია საქართველოში მიმდინარე რეფორმები 90 - იან წლებში, რომლისთვისაც არც ხელისუფლება და არც მოსახლეობა არ იყო მზად და, შესაბამისად, რეფორმებმა ვერ გაამართლა და გადაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკასა და კორუფციაში.
- სახელმწიფო ვალების ზეწოლა - რომელიც მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო ეკონომიკას, აფერხებს მის წინსვლას და ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას.
- უცხო ქვეყნის ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკა - ეკონომიკური კრიზისის და შესაბამისად, არაფორმალური კავშირების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გარეშე ძლიერი ძალების აგრესიული ქმედებაა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა განისაზღვრება:

1. დასაქმების კვოტის ცვლილებით

დასაქმების დადამავალი ოფიციალური კვოტა, ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდეზე და განვითარებაზე გვაძლევს ინფორმაციას. ვარაუდობენ, რომ დასაქმების კვოტის უმაღლესი დონის შემთხვევაში ჩრდილოვანი ეკონომიკა არ არსებობს. თუმცა ამ ვარაუდს ბევრი ნაკლიც აქვს, რადგან ბევრი ფარულად მომუშავე არ ტოვებს თავის ოფიციალურ სამუშაო ადგილს.

2. შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით

3. ნაღდი ფულის მიმოქცევის მეთოდით.

არალეგალური საქმიანობის დამალვის მიზნით, ტრანზაქციები ჩრდილოვანი ეკონომიკაში მხოლოდ ნაღდი ფულით ივარება. ამ პირობებში ცდილობენ მონეტარული სიდიდეებით, ფულის რაოდენობის მეშვეობით ან მისი ცვლილებებით, განსაზღვრონ ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე. თუ ჩრდილოვანი ეკონომიკა იზრდება, მაშინ სახელმწიფოს ზემოქმედება შეიძლება ძალიან ინტენსიურად მივიჩნიოთ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის აქტივობების გაზრდა შეიძლება ნიშნავდეს, კერძო ეკონომიკური სუბიექტის მხრიდან სახელმწიფოს ზემოქმედების მეტისმეტად მკაცრად აღქმას.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2011 წელს საქართველოში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ 70% შეადგინა, მტკიცება კი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ეკონომიკა მონოპოლიზებული არ იყო და ქვეყანამ კორუფცია დაამარცხა, მათ შემოფოთებას იწვევდა. იგივე მსოფლიო ბანკმა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე 1997 წელს 69%-ით, ხოლო 2007 წელს - 68%-ით განსაზღვრა. ჩატარებული კვლევის მიხედვით 2011 წელს აშშ-დან გამოგზავნილი ნავთობპროდუქტების 98.6%, ალკოჰოლური სასმელების 89.2%, ბრინჯის 87% საქართველოში აღრიცხული არ არის იმპორტად. ასევე, კვლევის შესაბამისად, 2011 წელს აშშ-დან საქართველოში ხორცის 66.5% კონტრაბანდულად შემოვიდა და ქვეყნის ბიუჯეტს მარტო საბაჟოს კუთხით ამ ოპერაციებიდან დღგ-ის სახით დააკლდა მინიმუმ 12 მილიონი დოლარი. საქართველოს ბიუჯეტმა აშშ-სთან საგარეო ვაჭრობის შედეგად 1 მილიარდ ლარზე მეტი იზარალა. კვლევა 2004-12 წლებში საქართველოსა და აშშ-ს შორის საგარეო ვაჭრობაში არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესახებ ეკონომიკის ექსპერტმა - შალვა მექვაბიშვილმა ჩაატარა. მკვლევარმა აშშ-ის სახელმწიფო აღწერის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული საქართველოსთან ექსპორტ-იმპორტის მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე განთავსებულ ანალოგიურ მონაცემებს შეადარა და მნიშვნელოვანი სხვაობა აღმოაჩინა: „2004 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში, აშშ-ის მონაცემებთან შედარებით, ჩრდილში იყო მოქცეული მთლიანი საგარეო ბრუნვის 56.7%, 2005 წელს - 57.5%, 2006 წელს - 49%, 2007 წელს - 38.8%, 2008 წელს - 42%, 2009 წელს - 38%, 2010 წელს - 27.2%, 2011 წელს - 45.5%, 2012 წლის იანვარ-მარტში კი ჩრდილში იყო მოქცეული 46.5%“, - ნათქვამია კვლევაში. კვლევის შესაბამისად, აშშ-ის მონაცემებით, 2004-2012 წლებში საქართველოსთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 276,3 მლნ აშშ

დოლარი შეადგინა, როცა იმავე წლების სავაჭრო ბრუნვა ქართულ მხარეს 2 418,2 მლნ აშშ დოლარით აქვს განსაზღვრული. აღნიშნული მონაცემების შედარებით ჩანს, რომ საქართველომ 1 858,1 მლნ დოლარით, ანუ 56,5%-ით ნაკლები დააფიქსირა, რაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ბიუჯეტმა მარტო გადასახადების სახით აშშ-დან შემოსული საქონლის განუზავებლობის გამო მინიმუმ მილიარდ ლარზე მეტი დაკარგა. აშშ-ის ექსპორტმა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში, ამერიკის მონაცემებით, შეადგინა 3049,3 მილიონი დოლარი, ხოლო იმავე პერიოდში, საქართველოს მონაცემებით, აშშ-ის იმპორტმა საქართველოში შეადგინა 1662,4 მლნ დოლარი. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 1386,9 მილიონი დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 54,5 პროცენტი. ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2000-2003 წლებში 34 პროცენტი შეადგინა. 2004-2012 წლებში, აშშ-ის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში შეადგინა 1267,6 მილიონი დოლარი, ხოლო, საქართველოს მონაცემებით, იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 755,8 მილიონი დოლარი. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 512,2 მილიონი დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 59,6 პროცენტი (ამ პერიოდში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებული პროდუქციის 40,4 პროცენტი აღურიცხავი აღმოჩნდა; ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2000-2003 წლებში 66,5 პროცენტი შეადგინა).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენლის ნათია კუტივაძის განმარტებით: „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ იტალიის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურების ინფორმაციის შედარებისას რეგისტრირებულ საწვავის რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დააფიქსირა. კერძოდ, იტალიის საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, 2009-2011 წლებში საქართველოში 113 მლნ ლიტრი ბენზინი შემოიტანეს, ხოლო საქართველოს შემოსავლების სამსახურს რეგისტრირებული აქვს 63,48 მლნ ლიტრი. ამ ოპერაციებით სახელმწიფო ბიუჯეტმა მხოლოდ დღგ-ისა და აქციზის გადასახადის სახით 24-25 მლნ ლარი დაკარგა, ხოლო ბენზინის შემომტანებმა 49 მლნ ლარზე მეტი მოიგეს (ინფორმაციისთვის: იტალიიდან შემოსულ საწვავს საქართველოში მოხმარებული საწვავის ბაზრის მხოლოდ 4% უჭირავს). იგივე ითქმის დიზელის საწვავზეც. 2009 წელს იტალიის საბაჟო სამსახურს რეგისტრირებული აქვს 4,37 მლნ ლიტრი დიზელი, ხოლო საქართველოს შემოსავლების სამსახურს - 4,23 მლნ ლიტრი; 2010 წელს იტალიაში დარეგისტრირდა 9,49 მლნ ლიტრი დიზელი, ხოლო საქართველოს შემოსავლების სამსახურში - 6,68 მლნ; 2011 წელს იტალიაში - 5,53, ხოლო საქართველოში 5,29 მლნ ლიტრი დიზელი დარეგისტრირდა.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ბულგარეთის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემებში. 2009-2011 წელს ბულგარეთის საბაჟო სამსახურის ინფორმაციის თანახმად, საქართველოში 2747,54 მლნ ლიტრი ბენზინი შემოვიდა და მხოლოდ 318,1 მლნ ლიტრი აღირიცხა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბულგარეთიდან (რომელსაც უკავია საქართველოში მოხმარებული საწვავის ბაზრის 20%-მდე) სახელმწიფო ბიუჯეტმა ბენზინის განუზავებლობის გამო გადასახადების სახით 200 მლნ ლარი დაკარგა, სამაგიეროდ, ამ საწვავის შემომტანებმა ამ სეგმენტში დაახლოებით 425 მლნ ლარი მოიგეს.

2011 წელს აშშ-ში 56 მილიონ 685 ათასი დოლარის ღირებულების მანქანის ზეთი იყიდეს, ქვეყანაში კი მხოლოდ 771 ათასი დოლარის პროდუქციის შემოტანა დაფიქსირდა. მხოლოდ ელიტური კონტრაბანდით საქართველოს ბიუჯეტმა ერთ წელიწადში 5 მლრდ ლარი იზარალა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სწორედ ამ დოკუმენტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით წერდა წლების განმავლობაში, რომ საქართველოში ელიტური კორუფცია ყვაოდა,

კლასიკური გაგებით ჩრდილოვანი ეკონომიკა არის ყველანაირი ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, იხდის თუ არა გადასახადს, რომელიც არ აღირიცხება. ანუ შეიძლება ვიღაც იხდიდეს გადასახადს, მაგრამ ის თუ სტატისტიკურად არ აღირიცხება, ის მაინც მოყვება ჩრდილოვან ეკონომიკაში – ეს საერთაშორისო მეთოდოლოგიით, მაგრამ ადამიანური აღქმით, ჩრდილოვან ეკონომიკას ემახიან იმას, როდესაც საერთოდ არ იხდიან გადასახადებს. დღეისათვის გვაქვს შემთხვევა, როდესაც დამალული კი არ არის, არამედ მისი აღრიცხვა არ ხდება – სახელმწიფო არ არეგულირებს. ჩრდილოვან ეკონომიკას ვხვდებით მომსახურების სფეროშიც. ტაქსების ბიზნესი ცალსახად ჩრდილოვანია; ჩვენამდე ამ პრობლემას განვითარებული ქვეყნებიც წააწყდნენ და ეს შემდეგნაირად დაარეგულირეს; შეიძლება გადასახადი არ გადაახდევინონ, მაგრამ მაინც აძლევენ საბუთს, რათა ეს ადამიანები მინიმუმ ლეგალურ გარემოცვაში მოექცნენ. საქართველოში ეს პრობლემა მხოლოდ ტაქსისტებთან მიმართებაში არაა და პრაქტიკულად, პროფესიული საქმიანობები ყველა ასეთ მდგომარეობაშია. ვიდრე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება და ადამიანებს არ ექნებათ შესაძლებლობა იმისა, რომ პროფესიის მიხედვით დასაქმდნენ, სახელმწიფოც მათ მიმართ ლოიალური უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრების აზრით დაუბეგრავ მინიმუმს

უარყოფითი მხარეებიც გააჩნია: სამართლიანობის პრინციპის დარღვევა; ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ზრდა და დასაქმებულთა მოტივაციის შემცირება. მათი შეფასებით, აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ზრდასაც. მაგალითად, შესაძლებელი ხდება 1 ადამიანის ხელფასი 2 პირზე გაიყოს, მათ შორის ერთი ფიქტიურად იქნება დასაქმებული და რეალურად, ადამიანი დაუბეგრავი მინიმუმითაც ისარგებლებს და 500 ლარზე მეტ ანაზღაურებასაც მიიღებს. „საქართველოში დაუბეგრავი მინიმუმი 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. მიგვაჩნია, რომ მისი არსებობა დადებითი მოვლენაა მცირეშემოსავლიანი მოსახლეობისათვის, მაგრამ ასევე უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული უარყოფითი შედეგების გამოსწორება“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

წინა წლებში მხოლოდ ელიტური კონტრაბანდით საქართველოს ბიუჯეტმა ერთ წელიწადში 5 მლრდ ლარი იზარალა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ანგარიშებში რეგულარულად მიუთითებდა, რომ საქართველოში ელიტური კორუფცია ყვაოდა, მაგრამ ხელისუფლებას არც ერთხელ არ გამოუვლენია კონკრეტული მაგალითი. თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ საწვავისა და სხვადასხვა პროდუქციის არარეალურად დიდი ფასები პირდაპირ კავშირში იყო ელიტურ კორუფციასთან. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის დამარცხება ადმინისტრაციული მეთოდებითა და ლოზუნგებით შეუძლებელია. საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების მეცნიერული ანალიზი და სახელმწიფოს მიერ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ჩრდილოვანი ურთიერთობების აღმოცენებისა და განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს არ შექმნის. ჩრდილოვანი ეკონომიკა არ არის შავი სამუშაოს იდენტური. იგი არ არის დაკავშირებული დაბალ შემოსავალთან და შავ შრომასთან.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი 1, 2010.
2. <http://www.geostat.ge/>
3. www.nbg.ge
4. <http://www.ambebi.ge/politika/32088-soso-ciskarishvili-prezidentma-sakuthari-pasukhimgeblobis-akhali-tharighi-gansazghvra.html#ixzz367DSWcrW>
5. www.netgazeti.ge
6. www.geworld.net/View
7. <http://www.kvirispalitra.ge/politic/14231-qelituri-korufcia-yvavisq.html>

უმუშევრობა საქართველოში

მარიამ ტლაშაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ანზორ აბრალავა, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

უმუშევრობა – ახასიათებს იმ დაუსაქმებელ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც შრომის ბაზარზე წონასწორობის მუდმივი რყევის შედეგად, მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობებს.

უმუშევრობის ძირითადი სახეებია:

1. ფრიქციული;
2. სტრუქტურული;
3. ციკლური.

ფრიქციული უმუშევრობა

პროფესიისა და საქმიანობის სახეების არჩევის „თავისუფლების“ პირობებში გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და კიდევ არსებობს მომუშავეთა კატეგორია – ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. როდესაც ყველა ეს დასახელებული ადამიანი მოძებნის ახალ სამუშაოს ან ძველს დაუბრუნდება დროებით გათავისუფლების შემდეგ, მათ შეცვლიან სამუშაოს სხვა „მძებნელები“ და დროებით გათავისუფლებული

მომუშავეები, რომლებიც მათ ადგილს დაიკავებენ უმუშევართა „საერთო ფონდში“. ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნეველად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც „სტრუქტურული უმუშევრობა“ ეწოდება.

სტრუქტურული უმუშევრობა

დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო.


ციკლური უმუშევრობა

იგი წარმოიშობა დაქვეითების პერიოდში, ე.ი. ეკონომიკური ციკლის იმ ფაზაში, რომელიც საერთო ანუ მთლიანი ხარჯების უკმარისობით ხასიათდება.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს იმას, რომ უმუშევრობა არის უმთავრესი პრობლემა ქართული საზოგადოებისათვის სიღარიბესთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობას. გაზეთ „სოციალურ ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ეხება უმუშევრობით გამოწვეულ პრობლემებს, როგორცაა სიღარიბე. გაზეთში ასახულია აგრეთვე NDI-ის კვლევის შედეგებიც. კვლევის მიხედვით, 2010 წლის ნოემბერში, რესპონდენტთა 25 %-მა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ფული კვების პროდუქტების შესასყიდად, ხოლო 42 %-მა კი განაცხადა, რომ ისინი ყიდულობენ კვების პროდუქტებს, მაგრამ არ რჩებათ ფული ტანსაცმლის საყიდლად. 2012 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევების თანახმად კი რესპონდენტთა უმთავრეს პრობლემად მიიჩნიეს დასაქმება, სიღარიბე და აღნიშნეს, რომ ამ მხრივ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა გაუარესდა.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური პოლიტიკა არ პასუხობს ამ პრობლემას ადეკვატურად. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არ იწვევს უმუშევრობის შემცირებას, უფრო მეტიც, ამის საპირისპიროდ უმუშევრობა იზრდება პარალელურად იმისა, რომ თითქოს გავრცელებული ცნობებით საქართველოში ეკონომიკა განვითარების პროცესშია. უმუშევრობის პრობლემა მრავალგანზომილებიანია, მათ შორის, იგი შეიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: დასაქმების პოლიტიზირებას, ასაკობრივ დისკრიმინაციას, არასწორ საკანონმდებლო ბაზასა და პროფკავშირების ინსტიტუციონალურ სისუსტეს, სტრუქტურულ პრობლემებს, რაც უკავშირდება განათლების პოლიტიკას, ლიბერტარიანული მიდგომების გაბატონებასა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის უარყოფას, გლობალიზაციის გავლენას, ფინანსურ კრიზისს და ა.შ. პრობლემის კომპლექსურობა და ინტენსიურობა ანიჭებს მას უფრო პოლიტიკურ, ვიდრე აკადემიურ ხასიათს. რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები ვერ განხორციელდება, თუკი არ იქნება იმგვარი სოციალური ქმედება, რაც მიმართულია საზოგადოების უფლებების დასაცავად. ამ მხრივ განსაკუთრებულად აქტიური უნდა იყოს ახალგაზრდა თაობა, იმდენად, რამდენადაც ეს სოციალური ჯგუფი ყველაზე მეტად განიცდის ამ პრობლემას და, ამავე დროს, ყველაზე მეტად არის ორიენტირებული სამომავლო პერსპექტივებზე.

2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ამ პერიოდში, უმუშევრობის დონის მაჩვენებელი სქესობრივ ჭრილში, ყოველწლიურად, შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)

საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა 2013 წლის მაისის თვეში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის პროგნოზი 0 პროცენტით განსაზღვრა, 2013 წლის ივნისში კი ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ უარყოფით ნიშნულზეა. არის კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც წელს საქართველოს სტატისტიკის სამსახურს ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია და ეს მაჩვენებელი 2013 წლის უმუშევრობის მასშტაბია. ეკონომისტები თვლიან, რომ უმუშევარი ადამიანი გამოუყენებელი სამუშაო ძალაა და მისი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. შესაბამისად, ისინი ითვლიან ე.წ. გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს, ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. მოკლედ თუ ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომისტთა აზრით, უმუშევრობა მხოლოდ უმუშევარს არ აზარალებს. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. ეს მონაცემი, სხვათა შორის, საქართველოს მაგალითზეც დასტურდება.

გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგადაც. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებადშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხარჯისგან თავი იმთავითვე გაინთავისუფლა და კომპენსაციაზე უარი თქვა. დღეს საქართველოში უმუშევრობის ძირითადი ტვირთი ისევ თავად უმუშევრებს აწევს - მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს.

უმუშევრობაზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. საქართველოში ამ მხრივ პარადოქსული სიტუაციაა, რამაც საერთაშორისო სტატისტიკისა და ანგარიშების მწარმოებლებიც დააბნია: მაგალითად, 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ზოგადად, მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. როგორც ცნობილი გამოცემა „ეკონომისტი“ აღნიშნავს, არსებობს დიდი „შეუსაბამობა“ დამსაქმებლების საჭიროებებსა და იმ უნარ-ჩვევებს შორის, რომლებსაც პოტენციური მუშახელი სთავაზობს. ეს


განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ფასეულობების გადასინჯვა მოხდა და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები „არასათანადო“ აღმოჩნდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. ამ ვარაუდს ადასტურებს მონაცემები უმუშევართა შესახებ საქართველოში (2011-2012 წლის მონაცემები), რომლის თანახმადაც, უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ. გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს, ანუ იმ რესპონდენტთა 40%, რომლებიც უმუშევრად თვლიან თავს, 18-35 წლის ადამიანები არიან. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-დან 55 წლამდე მერყეობს.

ხოლო, რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზით 2014 წელს საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 16.7%-დან 17.3%-მდე მოიმატებს, რასაც არ ეთანხმებიან საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის (საქსტატის) წარმომადგენლები, რომლებიც თვლიან, რომ დასაქმების თვალსაზრისით, ბიზნესსექტორში ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

ასევე ფაქტს, რომ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უმუშევრობაა, ადასტურებს NDI-ის კვლევის შედეგებიც, რომლის პრეზენტაციაც 2013 წლის 18 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა. NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 31% თავს დასაქმებულად, ხოლო 69% დაუსაქმებლად მიიჩნევს.

2013 წლის NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით:



საქართველოში უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები:

- . ფართომასშტაბიანი გლობალიზაციის პროცესი;
- . გარკვეული სახის სფეროებში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- . დასაქმების სააგენტოებისა და სამსახურების არარსებობა;
- . შრომითი ბაზრის მოწყობის არასწორი პოლიტიკა;
- . პროფკავშირების არ არსებობა;
- . მზარდი ურბანიზაცია და სხვა.

პრობლემის გადაჭრამდე საჭიროა:

1. უმუშევრობის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენა
2. მარეგულირებელი პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა
3. გრძელვადიანი, ეფექტიანი სტრატეგია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მიზნად დაისახავს უმუშევრობის დონის გარკვეულ ნიშნულამდე შემცირებას, უნდა განახორციელოს სხვადასხვა დონისპიეზები, კერძოდ:

- ლიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება;
- ხარჯების ეკონომია;
- ინვესტირება დაბალმწარმოებლური დარგებში;
- საფინანსო ბაზრისა და ფინანსური სისტემის

განვითარების ხელშეწყობა;

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
- ინვესტირება განათლების სფეროში;
- კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა;
- უმუშევართა დაზღვევა;
- ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ინფორმაციის მობილურობა შრომის ბაზარზე;

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ:

უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. მთავრობის ვალია გაატაროს საჭირო რეფორმები, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის და, ამ შემთხვევაში, დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ისინი უნდა იყვნენ პატიოსნები და მომთხოვნები როგორც მუშაკის, ასევე დამსაქმებლის როლში.

ლიტერატურა:

1. <http://geostat.ge>
2. <http://intermedia.ge/>
3. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008.
4. <http://cssge.ge/site/>

ქართული ფულის ისტორია

თეონა ფოლადაშვილი, ქეთევან თურაზაშვილი, მეგი ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი სადალაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ფულს ისეთივე დიდი ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეული მუდმივად იცვლებოდა, მას ცალკეულ ქვეყნებში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია.

მონეტის მოჭრა ძირითადად სახელმწიფოს უფლებამოსილებაა. მონეტა არის ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რასაც სახელმწიფო სამონეტო რეგალა ეწოდება. ხელისუფლების ინტერესების, დროისა და პირობების შესაბამისად იცვლებოდა მონეტის გარეგნული მხარე – ზედ აღბეჭდილი მეფეებისა სახელები, წარწერათა შინაარსი, მონეტების ფორმები.

მსოფლიოში პირველი მონეტა მცირე აზიის სახელმწიფოში – ლიდიაში მოიჭრა ძვ. წ. მე-7 საუკუნეში. ამის შემდეგ ვერცხლის მონეტა მოიჭრა კუნძულ ეგინაზე (ეგეოსის ზღვა). ფასეულობის ეს საზომი სწრაფად გავრცელდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში. საქართველოშიც, რომელიც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე კულტურული და ცივილიზებული სამყაროს მნიშვნელოვან მოვლენებში მონაწილეობდა, დაიწყო ფულის მოჭრა. საქართველოში არ არის კუთხე, სადაც შემონახული არ იყოს შორეული წარსულის ნუმისმატიკური ძეგლი – სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული მონეტები. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო იყო კულტურული და ცივილიზებული სამყაროს მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე. ქართული მონეტები კი ზუსტად ასახავენ ჩვენი ქვეყნის წარსულს. ფულის გაჩენამდე ფულის ნიშნების მაგივრად იყენებდნენ სხვადასხვა საგანს – სამეურნეო ან საბრძოლო იარაღს, ტყავ-ბეწვეულს, პირუტყვს, ლითონის ზოდებს. მონეტის შექმნა ეკონომიკის განვითარების საქმეში არის რეკოლუცია.

ქართულ მონეტებზე თარიღები აითვლება სხვადასხვანაირად. ზოგი მმართველობის წლების მიხედვით არის, ზოგან მუსლიმური წელთაღრიცხვაც არის დაფიქსირებული იმიტომ, რომ ერთი პერიოდი არაბები ჭრიდნენ ქართლში ფულს. მუსლიმურ წელთაღრიცხვას ჰიჯრა ჰქვია და აითვლება

იქიდან, მუჰამედი როდესაც გაიქცა მექადან მედინაში. ჩვენი წელი თუ მზეს მიჰყვება, არაბების წელი მიჰყვება მთვარეს.

კოლხეთში, ქრისტეშობიდან მე-6 საუკუნეში, უკვე მიმოქცევაში იყო ვერცხლის მონეტა „კოლხური თეთრი“. სწორედ აქედან იღებს დასაბამს ქართული ფული, რომელსაც 26 საუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთ-ერთი პირველია მსოფლიო მონეტებს შორის. საქართველოში აღმოჩენილი მონეტების თანმიმდევრული ცვალებადობა კი ასახავს ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს.

ქართული მონეტები იცვლებოდა გარეგნულად, იცვლებოდა მათზე წარწერები, თვითონ ლითონიც, ზოგჯერ მოჭრილ ფულზე უცხო სიუჟეტები და უცხო წარწერები ჩნდებოდა, იყო ორენოვანი მონეტები ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული, რაც ნაკარნახევი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნით. ქართული მონეტები ძუნწად მოგვითხრობენ იმ ტრაგედიას, რაც თავს ატყდებოდა ხოლმე საქართველოს გარეშე მტერთაგან.

პირველი ქართული მონეტის აღმოჩენის არეალი ვრცელია. იგი ნაპოვნია ათენში, ტრაპზონიში, ყირიმის ნახევარ კუნძულზე და რა თქმა უნდა ყველაზე მეტი ნიმუში საქართველოშია აღმოჩენილი, განსაკუთრებით ვანის განძი.

ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში, ქალაქ მილეთიდან, რომელიც ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა, გადმოსახლდნენ კოლონილისტები, რომლებმაც დააარსეს ბერძნული ქალაქი ფაზისი, სწორედ ფაზისელმა ბერძნებმა დაიწყეს ფულის მოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე. ამ ფულს მეცნიერები დღესაც „კოლხურ თეთრსაც“ უწოდებენ, იგი ვერცხლისგან დამზადებული ბერძნული მონეტის თანაბარი იყო.

დღეს „კოლხური თეთრის“ რვა ტიპია შემორჩენილი. ყველაზე პოპულარული ტიპია მონეტები ადამიანის და ხარის თავის გამოსახულებით. მიმოქცევაში იყო ასევე მონეტა, რომელზეც გამოსახული იყო ლომის თავი, ზურგზე ფრთოსანი რაში. ამ მონეტის სულ სამი ორიგინალი არსებობს.

ქართულ მონეტებზე გამოსახული უძველესი ქართული კულტი ხარი – დაკავშირებული იყო მთვარის თაყვანისცემასთან, ხოლო ლომი – მზის თაყვანისცემასთან. პირველი ჯვარი მონეტაზე ჩნდება მე-6 საუკუნის მიწურულს, ერისმთავარ სტეფანოზ პირველის ნუმისმატიკურ ძეგლებზე.

როგორ მოხდა ჯვრის სიმბოლო მონეტაზე ისტორიულ წყაროებში წერია. სტეფანოზ პირველის წინამორბედი ერისმთავრები, რომლებიც ჰრიდნენ სასანიდურ მონეტების მიმსგავსებურ ვარიანტს, შუბლის მხარეს გამოსახული იყო შაჰი, ხოლო ზურგის მხარეს საკურთხეველზე ანთებული ცეცხლი და ორი მგელი.

ქართლის ერისმთავრებმა ჯერ შაჰის თავზემთ მოათავსეს ასომთავრული ნიშნები, შემდეგ სტეფანოზ პირველმა მონეტის ზურგის მხრიდან ცეცხლი მოაშორა, მის მაგივრად აღმართა ჯვარი და მონეტის შუბლის მხარეზე ასომთავრულით პირდაპირ დაწერა სრული სახელი „სტეფანოზი“.

მონეტებზე აღბეჭდილი ზედწერილის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თარიღი, რომელიც მონეტის მოჭრის დროზე მიუთითებს. ქართულ მონეტაზე თარიღი აითვლებოდა სხვადასხვანაირად – ზოგი მმართველობის წლების მიხედვით, ზოგი მუსლიმური წელთაღრიცხვით. ქართველების წელი თუ მზეს მოჰყვებოდა, არაბების წელი მოჰყვებოდა მთვარეს.

პირველი ქართული წელთაღრიცხვა – ქორონიკონი დაფიქსირებულია გიორგი მესამის ნუმისმატიკურ ძეგლზე, ეს მონეტა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ პირველად ჩნდება მხედრული დამწერლობის ნიმუში. თარიღის აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ასევე ხმარობდნენ ანბანის ასოებს, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ანტიკური ბაზრის ფასების თანახმად ყველაზე ძვირი მონა ღირდა და მისი ფასი 50-60 დრაქმიდან იწყებოდა, ხარი 10 დრაქმა ღირდა, ამფორა ღვინო - 10-12 დრაქმა, ფეხსაცმელი 8 დრაქმა. შავი მუშის დღიური გასამრჯელო 1 დრაქმა იყო.

მიმოქცევაში იყო როგორც ეროვნული, ასევე დამპყრობელთა მიერ მოჭრილი ფული. ე.წ. საოკუპაციო ფული, რომელიც მე-13 მე-18 საუკუნის პერიოდს მიეკუთვნება. თბილისის ზარაფხანას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, ერთსა და იმავე ზარაფხანაში მონღოლებიც ჰრიდნენ ფულს, ირანში მჯდომი ილხანის სახელით და იმავე ზარაფხანაში დემეტრე მეორე ჰრიდა ფულს.

სეფინებმა კი დაიწყეს უნიფიცირებული მონეტების მოჭრა – აბასები, რომლებსაც ისპაჰანში ჰრიდნენ, აბასები იჭრებოდა თბილისის ტერიტორიაზეც. დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდოდა ბიზანტიური ფული.

საქართველოში მიმოქცეოდა როგორც ალექსანდრე მაკედონელის ოქროს საფასეები, ასევე რომის იმპერიის დინარები და პართიის სამეფოს ვერცხლის დრაქმები. მე-17 მე-18 საუკუნეში შემოვიდა ევროპული მსხვილი ვერცხლის ფული და ოსმალური ძალიან წვრილი ახჩები, რომლებიც ქისაში იყო ჩაყრილი.

რუსეთის მმართველობის პერიოდში შემოდის ქალაქის ფული, ქალაქის ფულში იგულისხმებოდა 0,8 გრამი ოქრო, რომელიც ნაციონალურ სარეზერვო ბანკში ინახებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში კი რუსული ფული ორ კატეგორიად შემოვიდა. ერთი იყო ასიგნაციები, რომელსაც არ გააჩნდა ოქროთი გამაგრება, შემდეგ კი შემოდის ბანკნოტები, რომელიც გამაგრებული იყო ოქროთი.

თბილისში პირველი მონეტა მე-8 საუკუნეში არაბებმა მოჭრეს. თბილისის ზარაფხანაში ფული ინტენსიურად სწორედ ამ პერიოდში მე-8 მე-9 და მე-10 საუკუნეში იჭრებოდა. დემეტრე პირველი, გიორგი მეორე და თამარი ფულს თბილისში ჭრიდნენ.

როდესაც დავით ულუ დავით ნარინთან გაიქცა, ქუთაისში მოჭრა ფული. რუსუდან დედოფალმა, რომელიც ასევე გაიქცა, ცხუმში მოჭრა ფული.

რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში, 1804 წელს, თბილისში ზარაფხანა გაიხსნა, სადაც ქართულ-რუსული ე.წ. გარდამავალი პერიოდის ფული იჭრებოდა. უფრო ძველი ზარაფხანის ადგილი ჯერ არ არის მიკვლეული, თუმცა თბილისის გარდა ზარაფხანა არსებობდა დმანისში, ახალციხეში და კიდევ რამდენიმე დიდ ქალაქში.

დავით კურაპალატის დროს მოჭრილ ვერცხლის მონეტის შუბლზე ვკითხულობთ – „ქრისტე შეიწყალე დავითი“, ზღურბლზე კი გამოსახულია ჯვარი და ქართული წარწერა „კურაპალატი“. სპეციალისტთა აზრით, ეს ერთ-ერთი იშვიათი ქართული მონეტაა, რომელიც ჩართული იყო საერთაშორისო მიმოქცევაში. სულ აღმოჩენილია ოთხი ცალი, ოთხივე საზღვარგარეთ.

ერთი ნაპოვნია 1859 წელს გერმანიის ქალაქ შვანთან. მეორე 1878 წელს სანკტ-პეტერბურგში. მესამე 1900-იან წლებში ესტონეთის ქალაქ მილაში, მეოთხე კი შვედეთში. სწორედ ამ მონეტებით დასტურდება, რომ მე-10-12 საუკუნეებში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან.

ბაგრატ მე-4-ის მონეტა იმ სამონეტო ტიპს მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში მე-10 საუკუნის ბოლოდან მე-11 საუკუნის დასაწყისამდე, საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული დაახლოების პერიოდში იჭრებოდა.

ამ სერიის მონეტებზე საქართველოს მეფეთა სახელთან ერთად აღნიშნულია აგრეთვე მათი ბიზანტიური ტიტულები. ეს მონეტა აღმოჩენილია მთათუშეთში, სოფელ შენაქოში, ერთ-ერთ ნასახლარში. მონეტა ვერცხლისაა, შუბლზე აქვს ასომთავრული წარწერა – „ქრისტე ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი.“ ზურგზე ღვთისმშობლის გამოსახულებაა. ორივე მხარეზე კი ბერძნული წარწერაა „წმინდა ღვთისმშობელი“.

მონეტა მოჭრილია 1040-1060 წლებში. ამ სერიის მონეტები დიდი იშვიათობაა. შენაქოს აღმოჩენამდე ბაგრატ მეოთხის მონეტათაგან ერთი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული, მეორე-სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში.

მოსკოვში დაცული ეგზემპლარი, რომელიც მე-19 საუკუნეში იქნა ნაპოვნი, საქართველოში აღმოჩენილი მონეტები განძის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა შემდეგ ზუბოვის კოლექციაში მოხვედრილა. მეორე ერმიტაჟის ცალი, ისიც მე-10 საუკუნისაა და გენერალ ბარტოლომეის თბილისში შეუძენია.

გიორგი მესამის (1156-1184 წწ.) დროს მოჭრილ სპილენძის მონეტას ქართული და არაბული წარწერები აქვს. მონეტის მეორე მხარეს არაბულად აწერია „მეფე მეფეთა გიორგი, მე დემეტრესი, მესიის მახვილი“. სპილენძის მონეტაზე გამოსახულია გიორგი მესამე, რომელსაც მარჯვენა ხელზე შევარდენი აზის. მონეტა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული.

თამარი: მონეტა მოჭრილია 1187 წელს, სპილენძის ერთ მხარეს არის ქართული წარწერა, მეორე მხარეს არაბული „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევალნი მისნი. განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგმოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი.“

დავით აღმაშენებელი: მონეტა ქართული წარწერით „ქრისტე, ადიდე დავითი, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა.“ ეს უნიკალური მონეტა ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.

მეფე ერეკლე: ერეკლე მეორის მეფობის დროს სამონეტო საქმე ძალიან მაღალ დონეზეა. მეფემ საკუთარი საბადოები აამოქმედა, სადაც პონტოელი ბერძნები ჩამოასახლა და ქართული ლითონის მოპოვება დაიწყო. სპეციალისტები ამბობენ, რომ ვერცხლის თუ სპილენძის ყოველი მონეტა, რომელიც მის დროს იყო მოჭრილი საქართველოს სამხრეთში, ბორჩალოს მხარეში, ლითონისაა და 98%-იანი სისუფთავით გამოირჩევა. ის მყარი ფულის ერთეული იყო. ერეკლე მეორის ნუმისმატიკურ ძეგლზე ჩნდება ბაგრატიონთა ნიშანი ერთთავიანი და ორთავიანი არწივი. ერეკლეს მმართველობისას მოიჭრა „ერეკლეს ჩერვონეცი“, რომლის მხოლოდ ათამდე ორიგინალია დაცული საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

7 უძველესი ქართული მონეტა:

1. გიორგი მესამის დროს მოჭრილი მონეტა - გიორგი მესამის (1156-1184 წწ.) დროს საქართველოში მოჭრილი მონეტა სპილენძისაა. მონეტას ქართული და არაბული წარწერები ამშვენებს. მონეტის მეორე მხარეს არაბულად წერია: „მეფე მეფეთა გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი“. სპილენძის მონეტაზე გამოსახულ გიორგი მესამეს მარჯვენა ხელზე შევარდენი აზის. მონეტა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული.
2. გიორგი მესამე და თამარი - ასევე საინტერესოა 1178 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა. მონეტაზე ვკითხულობთ: „გიორგი. ადიდენ ღმერთმა, მეფეთა მეფე“. „თამარ. ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“.
3. თამარი - მონეტა 1187 წელსაა მოჭრილი - სპილენძის მონეტის ერთ მხარეს კარგად იკითხება თამარის ხელრთვა: „თამარ“ და ქართული წარწერა. მონეტის მეორე მხარეს, ე.წ. „ზურგზე“ არაბულად ვკითხულობთ „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევენი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.
4. თამარ-დავით - მონეტა თამარისა და დავით სოსლანის მეფობის დროს, 1200 წელსაა მოჭრილი. მონეტის ერთ მხარეს კარგად ჩანს თამარისა და დავითის სახელების ინიციალები. მონეტაზე ქართული და ებრაული წარწერებია: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“.
5. გიორგი მეოთხე ლაშა (ლაშა-გიორგი) - მონეტა 1210 წელსაა მოჭრილი და სპილენძისგანაა დამზადებული.
6. გიორგი მეოთხე ლაშა (ლაშა-გიორგი) - მონეტა 1210 წელსაა მოჭრილი და სპილენძისგანაა დამზადებული.
7. რუსუდან - საქართველოში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი თამარ მეფის ასულის, რუსუდან დედოფლის ხანაში მოჭრილი მონეტები. გამორჩეულია ვერცხლის მონეტა, რომელიც 1230 წელსაა მოჭრილი. მონეტის ერთ მხარეს გამოსახულია იესო ქრისტე, სახარებით ხელში. მონეტას ქართული მინაწერი ამშვენებს. „რუსუდან“. „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

1995 წელს მიმოქცევაში გაშვებულ იქნა 1, 2, 5, 10, 20, და 50 თეთრის ღირებულების მონეტები. „თეთრი“, რომელიც ლარის მესამედ ნაწილს ეწოდა, ძველი XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წელს 1 და 2 ლარის ნომინალისა და მოდიფიცირებული 50 თეთრის ღირებულების მონეტები გამოუშვა, რომელიც დღემდე მიმოქცევაშია.

ლიტერატურა:

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, ლ. კანდელაკიშვილი, „თანამედროვე ფული და ფულის მიმოქცევა“, თბ., 2010.
2. რ. კაკულია, გ. ხელაია, „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., 2008.
3. www.mof.ge
4. www.nbg.gov.ge
5. www.statistik.ge

ბუნებრივი მონოპოლია და მასზე ზემოქმედების მექანიზმები

ნონა შოშიაშვილი, მარიამ მთიულიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი

ცნება „მონოპოლია“ ზოგადად, უკავშირდება ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორცაა: არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, დემპინგური ფასები, მომხმარებელთა ინტერესების უგულვებელყოფა, არაკეთილსინდისიერი მეწარმეობა. ყოველივე ეს ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ მონოპოლიის

ამგვარი დახასიათება სწორია მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენადაც არსებობს ეკონომიკის ისეთი სექტორები, სადაც მონოპოლიური მდგომარეობა ბაზრის განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო კონკურენცია კი უფრო ხელისშემშლელი, უარყოფითი ფაქტორია, ვიდრე დადებითი. ბაზარზე მონოპოლია შეიძლება წარმოშვას სხვადასხვა გარემოებამ, რის გამოც მონოპოლია იყოფა სამ ძირითად სახედ: დახურული მონოპოლია; ღია მონოპოლია; ბუნებრივი მონოპოლია. მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე. ბუნებრივ მონოპოლიებს მიეკუთვნება: ელექტროენერგეტიკა, გაზომომარაგება, წყალმომარაგება, სარკინიგზო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაცია, აერონავიგაცია და სხვა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებას კონკურენციის განვითარება და მხარდაჭერა წარმოადგენს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჯანსაღი კონკურენცია ხელს უწყობს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ფასების დარეგულირებასა და კონკურენტული ეკონომიკური გარემოს განვითარებას. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სახესხვაობები, სადაც კონკურენცია ობიექტური გარემოებების გამო არაეფექტური, ან საერთოდ შეუძლებელიცაა. ასეთი მდგომარეობა საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს და მას უნივერსალური ეკონომიკური ხასიათი გააჩნია. ბუნებრივი მონოპოლიის გამონაკლისი მდგომარეობა განპირობებულია მისი განსაკუთრებული ეკონომიკური ხასიათით, რადგან ბუნებრივი მონოპოლია არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთი მეწარმე სუბიექტია. ეკონომიკური თვალსაზრისით, ბუნებრივი მონოპოლია მაშინ არსებობს, როდესაც მასშტაბურობის ეფექტი იმდენად დიდია, რომ ერთ მეწარმეს (მონოპოლიის სუბიექტს) შეუძლია მთელი ბაზარი უფრო ნაკლები დანახარჯებით მოამარაგოს, ვიდრე კონკურენციის პირობებში. ასეთ პირობებს ადგილი აქვს, ეგრეთ წოდებული, საზოგადოებრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებისას. ამ შემთხვევაში, პროდუქციის წარმოების მასშტაბურობის ეფექტის, ანუ ერთეულ პროდუქციაზე ნაკლები დანახარჯისა და, შესაბამისად, ნაკლები ფასის მისაღებად აუცილებელია სუბიექტის ფართომასშტაბიანი საქმიანობა. ასეთ ვითარებაში, კონკურენცია უბრალოდ არარენტაბელურია. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი განაწილდება მრავალ მეწარმეს შორის, მასშტაბურობის ეფექტი მიღწეული არ იქნება და ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯები გაიზრდება, რაც, თავისთავად, პროდუქციაზე ფასების მომატებას გამოიწვევს.

საქართველოს კანონმდებლობა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ ტერმინს „ბუნებრივი მონოპოლია“ შემდეგნაირად განმარტავს: ბუნებრივი მონოპოლია - სასაქონლო ბაზრის მდგომარეობა, როდესაც წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო ეფექტიანია კონკურენციის არარსებობის პირობებში. ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე მოთხოვნილება ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე. ბუნებრივი მონოპოლია სასაქონლო ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობაა. ის ხასიათდება შემდეგი სამართლებრივ-ეკონომიკური მაჩვენებლებით:

- ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობისას.
- არ შეიძლება ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი სხვა საქონლით შეიცვალოს;

- ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე მოთხოვნილება, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბუნებრივი მონოპოლიის გამონაკლისი ხასიათი გულისხმობს ცალკეული სამეწარმეო სფეროს წმინდა საბაზრო, კონკურენტული თვითრეგულირების მექანიზმების გავლენიდან გამოყვანას. რაც შეეხება სამართლებრივ თვალსაზრისს, იგი გულისხმობს, სახელმწიფო რეგულირების გზით, საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის მიზნით, საბაზრო ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების პრინციპის დასაბუთებულ შეზღუდვას.

მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების ფუნქციის შესრულება სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებიდან ყველაზე რაციონალურად დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია. ყველაზე დიდი გამოცდილება ამ მხრივ აშშ-ს გააჩნია, სადაც დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებს ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების ასწლიანი გამოცდილება აქვთ. დამოუკიდებელ რეგულირებას მიმართეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა ბრიტანეთი, უნგრეთი, პოლონეთი, შვედეთი და ა.შ. მსოფლიო გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნა მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის ცალკეული სექტორის განვითარების გზაზე, კერძოდ:

- ამ ღონისძიების განხორციელებით გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები იქმნება ეკონომიკის კონკრეტულ სფეროში პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის. საფუძველი ეყრება დარგის თვითდაფინანსებას.

- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნით, ეკონომიკის კონკრეტული სექტორი თავს იზღვევს პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი ზეწოლისაგან უკეთ იქნება დაზღვეული ტარიფები, აგრეთვე დარგში განსახორციელებელი სხვა ხასიათის მარეგულირებელი ღონისძიებები;

- ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხდება სახელმწიფოს კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები;

- ეკონომიკის შესაბამის დარგებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბებითა და ეფექტური ფუნქციონირებით იქმნება ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები, იზრდება მათგან მეტი დახმარების მიღების შესაძლებლობა.

საქართველომ გაიზიარა რა აღნიშნული ქვეყნების გამოცდილება, ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების ფუნქცია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებს მიანიჭა. საქართველოს კანონმდებლობამ მარეგულირებელი ორგანოების სტატუსი განსაზღვრა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას არ ექვემდებარება. მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა, ცხადია, არ ნიშნავს მის იზოლირებას სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებიდან, ან სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები დასახული ფუნქციების განსახორციელებლად ხშირად თანამშრომლობენ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და სახელმწიფო ორგანოებთან. ამ შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის პრინციპი ასახვას პოულობს იმ გარემოებაში, რომ მარეგულირებელი ორგანო სხვა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობს ე.წ. ჰორიზონტალური ურთიერთობის პრინციპის დაცვით.

ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირება და ხელოვნური მონოპოლიების აღკვეთის კონტროლი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი მოითხოვს რეგულირებას და ამ მიზნით სპეციალიზებული მარეგულირებელი ორგანოს შექმნას, ხოლო მეორე - კონტროლს, რომელიც შეიძლება შეასრულოს სახელმწიფო არასპეციალიზებულმა, მათ შორის, ადმინისტრაციულმა ორგანომ. მარტივად რომ ვთქვათ, ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების უმთავრესი ამოცანაა არაკონკურენტულ გარემოში კონკურენციას ჩაუნაცვლოს ეკონომიკის რეგულირება. ცნობილია, რომ კონკურენტუნარიანი ბაზარი ყველაზე ეფექტურად ანაწილებს რესურსებს, ამიტომ მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობაა, მაქსიმალურად გაიმეოროს კონკურენტუნარიანი ბაზრის პირობები, რეგულირების მეშვეობით. ასეთ ვითარებაში, დაცვა სჭირდება როგორც მომხმარებლებს, ისე ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტებს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ტარიფებისა და მომსახურების ხარისხის სფეროებში. ორივე შემთხვევაში რეგულირება იმგვარად ემსგავსება საბაზრო ქცევებს, თითქოს ადგილი ჰქონდეს კონკურენციას. ზოგადად, შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც მარეგულირებელი ორგანო ცდილობს ბაზრის დარეგულირებას ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში. მარეგულირებელი ორგანოსათვის, ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების მიზნით, მინიჭებული უმთავრესი უფლებამოსილებებია: კანონშემოქმედებითი საქმიანობის უფლებამოსილება, სალიცენზიო უფლებამოსილება, სატარიფო უფლებამოსილება, დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება, კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რომელიც ძირითადად, მოიცავს:

- კონტროლს სალიცენზიო პირობების დაცვასა და შესრულებაზე;
- კონტროლს მარეგულირებლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე.

იმ დროს, როდესაც, ზოგადად, მონოპოლიებს სამთავრობო დაცვისა თუ ძირითადი რესურსების ფლობის გარეშე უჭირთ ბაზარზე დომინანტის სტატუსის შენარჩუნება, ბუნებრივ მონოპოლიებს ნაკლებად ემუქრებათ მონოპოლიური ძალაუფლების შემცირება ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის შედეგად. თეორიულად, ბუნებრივი მონოპოლია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი გახდეს კონკურენტული ბაზრის ნაწილი, როდესაც ბაზარი იზრდება, თუმცა საქართველოს შემთხვევაში, მით უმეტეს, თბილისის ბაზრის თუნდაც პოტენციური ზრდის მასშტაბებიდან გამომდინარე, ეს ნამდვილად შეუძლებელია. ძირითადი განსხვავება მონოპოლიასა და კონკურენტულ ფირმას შორის ფასების საკითხზე გადის. კონკურენტულ ფირმას ფასს ბაზარი განუსაზღვრავს, ხოლო მონოპოლია, ჩვენს შემთხვევაში კი, ბუნებრივი მონოპოლია, ფასს თავად საზღვრავს, ან უარეს შემთხვევაში, ფასს სახელმწიფოსთან ათანხმებს გარკვეული, ყოვლად უაზროდ წარმოქმნილი აბსურდული შუამავლების, ე.წ. მარეგულირებლების საშუალებით.

იმ დროს, როდესაც ბუნებრივი მონოპოლიის მფლობელობის სტატუსზე ვსაუბრობთ, უნდა შევავსოთ სიტუაცია, თუ როგორ უყურებს ესა თუ ის მფლობელობა წარმოების დანახარჯებს. რეალურად, კერძო მფლობელობას მინიმალური დანახარჯების და აქედან გამომდინარე, მოგების წილის გაზრდის სურვილი აქვს და თუ ამას ვერ მოახერხებს და თავის მხრივ, მთავრობა მას ექსკლუზიურ პირობებს არ შეუქმნის, მაშინ ფირმა ბაზარს დატოვებს და ადგილს სხვა ფირმას დაუთმობს. სახელმწიფო მფლობელობის, ან უარეს შემთხვევაში, სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ არსებული ფსევდო კერძო მფლობელობის შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა წარმოების დანახარჯების შემცირება, არსებულ ვითარებაში დაზარალებულები ისევ მომხმარებლები რჩებიან. თუ ბუნებრივი მონოპოლიის მმართველი არის კერძო ფირმა, სახელმწიფო არანაირად არ უნდა ჩაერიოს აღნიშნულ ფირმასა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში. სრულიად თავისუფალი ბაზრის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლების ინტერესთა ჯგუფები და ბუნებრივი მონოპოლიების მმართველები ურთიერთობას თვითონ უფრო ეფექტურად გაარკვევენ.

ანტიმონოპოლიური ქმედებები ძალიან მრავალფეროვანია არ იქნებოდა სასურველი კანონმდებლობაში 40%–იანი წილის მქონე კომპანიის მონოპოლიად დასახელების შესაძლებლობა. მთავარია გაირკვეს არღვევს თუ არა ის მომხმარებლის უფლებებს და ზღუდავს თუ არა კონკურენციას. კომპანიას შეიძლება ჰქონდეს 20% და ზღუდავდეს კონკურენციას და მომხმარებლის არჩევანს, ან პირიქით, ჰქონდეს ბაზრის 70%, მაგრამ არ იყენებდეს მდგომარეობას ბოროტად. მსოფლიოში არსებობენ ლიბერალური ქვეყნები, სადაც არ არსებობს ანტიმონოპოლიური სამსახური, მაგრამ იქ მაინც არსებობს კონკურენტული ბაზარი. ხელისუფლება არ ლობირებს და არ ქმნის ხელოვნურ მონოპოლიებს. საქართველოში სახელმწიფო პირდაპირ ანიჭებდა პრივილეგიებულ მდგომარეობას რიგ კომპანიებს – მაგ. საქართველოს ლატარიის კომპანია, ნავთობპროდუქტების ბაზარი, თბილისის სამარშრუტო ხაზები, სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ რეგიონები გადანაწილებული, საბაჟოზე პრივილეგიები არსებობდა ხორბლის, ასანთის, მარილის, ხორცის და სხვა რიგი პროდუქტების იმპორტიორი კომპანიების. ახალ კომპანიებს კი ექმნებოდათ გარკვეული ბარიერები. ეს იყო მთავარი პრობლემა ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობის პირობებში.

ხშირად ამბობენ, რომ „ბორჯომი“ მონოპოლისტია. თუ განვიხილავთ მინერალური წყლების ბაზარს, „ბორჯომი“ ვერანაირად ვერ იქნება მონოპოლისტი, რადგან მას ძალიან ბევრი შემცველი და კონკურენტი მინერალური წყალი ჰყავს. „ბორჯომს“ აქვს ექსკლუზიური უფლება, საბადოებიდან მხოლოდ მან მოიპოვოს ეს სასარგებლო რესურსი, მაგრამ ამ უფლების დანაწევრება რეალურად შექმნის ბევრად უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე მისი ერთ მფლობელობაში არსებობა. ასევე „საქართველოს რკინიგზაც“ ვერ იქნება მონოპოლისტი მგზავრისთვის, რომელსაც აქვს ალტერნატივები, თუნდა სხვა სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრობის. თუმცა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რკინიგზას უკვე აქვს სტრატეგიული დატვირთვა. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, იზრდება შესაძლებლობებიც და ალტერნატივებიც, მაგ. ინტერნეტის და მობილური ტელეფონების შემოსვლამდე, სატელეკომუნიკაციო კომპანიები ექცეოდნენ რეგულაციის აუცილებლობის ქვეშ, დღეს კი ეს საჭიროება აღარ დგას. საქართველოში არსებობს ბუნებრივი მონოპოლიები – მაგ. გაზგამანაწილებელი, წყალგამანაწილებელი, ელექტროგადამცემი ხაზები, ცენტრალური მაგისტრალები, რომლებიც უნდა იყოს ან ერთი მფლობელის ხელში რეგულაციებით, რადგანაც ბევრი კომპანიის ჩართულობა აქ არაეფექტურია ხარჯების თვალსაზრისით, ან სახელმწიფო უნდა უწევდეს მართვას.

დღეისათვის ბაზარი საქართველოში მონოპოლიურია და სრულყოფილი კონკურენცია არ არსებობს, რადგან ყველა იმ საქონელს, რომელსაც თითქმის ყოველდღიურად მოვიხმართ ერთი და იგივე ფასი აქვს და თანაც ძალიან მაღალი. რეალურად საქართველოს ბაზარი ყველაზე ახლოს ოლიგოპოლიასთანაა. მათი ორგანიზაციული და ფუნქციური ხასიათი განსხვავდება.

ნავთობკომპანიები მომხმარებელს არჩევანის საშუალებას არ უტოვებენ, ამ ქსელში ყველა კომპანია ერთნაირად მაღალ ფასებს და დაბალ ხარისხს გვთავაზობს. ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა ფარმაცევტულ ბაზარზე. აქ მთავარი მოთამაშეები არიან სააფთიაქო ქსელი „ავერსი“, „პე-ეს-პე“ და „ჯი-პი-სი“, საკუთარი სადაზღვევო კომპანიებით. აქ არის რამდენიმე მაგალითი იმისაც, როდესაც მთავარი მოთამაშეები შვილობილ კომპანიებს აარსებენ და მომსახურებას იმავე პირობებით გვთავაზობენ. შეთანხმების საფუძველზე ახდენენ ფასების ფიქსირებას მომხმარებლის წინააღმდეგ და ზღუდავენ კონკურენციას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
2. sabazroekonomiacsb.blogspot.com/

3. www.netgazeti.ge > Home
4. ern.org.ge/4/
5. <http://www.24saati.ge/news/story/1954-demonopolizatsia-mudmivi-protsesi-unda-iyos#sthash.SCckaviN.dpuf>
6. www.gurianews.com/

საყოველთაო დაზღვევა

რუსუდან ცერცვაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: დავით ჭიოტაშვილი, პროფესორი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში სადაზღვევო სისტემამ განვითარების სხვადასხვა ეტაპი გამოიარა.

ბაზარზე ჯანმრთელობის ნებაყოფლობით დაზღვევის მომსახურება ბუნებრივად გაჩნდა და თანდათან ვითარდებოდა. ჯანდაცვის სახელმწიფო უნივერსალური პროგრამები (2006, 2007 წწ.) ითვალისწინებდა საქართველოს მოსახლეობისათვის – თანაბარი, მაგრამ კონკრეტული, შეზღუდული ასორტიმენტის მქონე სამედიცინო მომსახურების პაკეტის (თანა) დაფინანსებას.

პროგრამები არაეფექტური აღმოჩნდა მოსახლეობის უნივერსალური მოცვის ამბიციისა და იმავდროულად დეფიციტური ბიუჯეტის (სახსრები საშუალოდ ყოფნიდა რეალურ შემთხვევათა წლიური რაოდენობის მხოლოდ 20%-ს) გამო. პროგრამების არასრულყოფილებამ განაპირობა, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მათი არსებობის შესახებ.

2006 წლის 1 ივლისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო „სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო დაზღვევის პროგრამის“ განხორციელება. პროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. თავდაპირველად პროგრამა ითვალისწინებდა ყველა იმ უმწეო ოჯახის სამედიცინო მომსახურებას, რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატებოდა 100 000-ს. 2007 წლის 1 იანვრიდან სარეიტინგო ქულის ზედა ზღვარი შეიცვალა და გახდა 70 000. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის ჯანდაცვის პოლისებს გასცემენ შემდეგი კერძო სადაზღვევო კომპანიები:

- „ალდაგი ბი-სი-აი“;
- „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“;
- „სახალხო დაზღვევა“;
- „ირაო“;
- „იმედი L“;
- „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“;
- „აი-სი ჯგუფი“;
- „ვესტი“;
- „ქართუ“.

ამ პროგრამამ უზრუნველყო თბილისისა და იმერეთის რეგიონში აღრიცხული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 196 000 მოქალაქე. უმწეო ოჯახებს დაურიგდათ სახელმწიფო ჯანდაცვის ვაუჩერები და მათ ეს ვაუჩერები უნდა გადაეცვალებათ კერძო სადაზღვევო კომპანიის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისში.

2008 წლის საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საფუძველზე მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით. წლის ბოლოსათვის პოლისი გადაეცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 666 651 ადამიანს.

2009 წლის მონაცემებით ჯანდაცვის პოლისის მქონე ოჯახების რაოდენობა სადაზღვევო კომპანიების მიხედვით:

იმედი L – 67041

ჯი-პი-აი ჰოლდინგი - 66579

სახალხო დაზღვევა - 49573

ირაო - 43675

ალდაგი ბი-სი-აი - 26295

აი-სი ჯგუფი - 16464

არქიმედეს გლობალ ჯორჯია - 11467

ვესტი - 11434

ქართუ - 3972

დაზღვევის პროგრამების განვითარებასთან ერთად 2008 წლიდან ამოქმედდა და წარმატებით ფუნქციონირებს ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური – არაკომერციული, არასამთავრობო და მიუკერძოებელი ორგანო, რომლის ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს სადაზღვევო ურთიერთობის სუბიექტებს დავების არასასამართლო გზით მოგვარებაში.

ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფისათვის, სახელმწიფო სახსრების მართვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სახელმწიფო პროგრამების გარეთ მყოფი მოსახლეობა, რომელიც სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ფორმალურ სექტორში დასაქმებულნი და მათი ოჯახის წევრები: უმეტესობას არ აქვს დაზღვეული ჯანმრთელობა. ამ ჯგუფის მცირე ნაწილი სარგებლობს კორპორატიული ან სახელმწიფო დაწესებულებების ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებით.

არაღარიბი ასაკით პენსიონერები: 60 წელს გადაცილებული მოსახლეობა, მაღალი რისკის ჯგუფი, რომლისთვისაც სახელმწიფოს ინიციატივით 2008 წლის ბოლოს შეიქმნა მომსახურების 4 პროგრამა: ურგენტული, კარდიოქირურგიული, ონკოლოგიური და პირველადი ჯანდაცვის. არაღარიბ ხანდაზმულთათვის განიხილება სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შექმნის შესაძლებლობა.

თვითდასაქმებულნი: ყველაზე პრობლემური და ძნელად მობილიზებადი ჯგუფი. სამედიცინო მომსახურების შესყიდვისას ამ ადამიანებს ფაქტიურად უწევთ ჯიბიდან გადახდა. ისინი ვერ ერთვებიან კორპორატიულ დაზღვევაში და ანტისელექციის გამო ვერ ხვდებიან სადაზღვევო სისტემაში და გარკვეული სირთულეები ექმნებათ სადაზღვევო პროდუქტის განვადებით აღებისას.

თვითდასაქმებულთა სადაზღვევო სისტემაში ინტეგრირების გასაადვილებლად 2009 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი მოდელი. რომელიც ე.წ. „იავი დაზღვევის“ სახელითაა ცნობილი: 3დან 60 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო „იავი სადაზღვევო პაკეტის“ შექმნა 19.80 ლარად (სახელმწიფოს მიერ შექმნილი 60 ლარიანი პაკეტის 33% თანაგადახდით) და ერთი წლის მანძილზე, 8 000 ლარის ფარგლებში ესარგებლა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით და ასევე სამედიცინო დახმარებით უბედური შემთხვევისას. თუმცა, 300 000-დან 500 000-დე დაზღვეულის მოლოდინის მიუხედავად პოლისი მხოლოდ 122 000 მოქალაქემ შეიძინა.

2010 წლის აპრილის მონაცემებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებით დაზღვეულია დაახლოებით 1 104 785 ადამიანი. აქედან სრულად დაფინანსებულია:

o სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა – 954 966

o კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები – 12 083

o მზრუნველობამოკლებული ბავშვები – 3 053

o სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები – 189

o პედაგოგები – 79 494

o თბილისის მერიის ბიუჯეტებით დაზღვეული 70 000–100 000 ქულის მქონე მოსახლეობა – 55 000

ეროვნულმა ბანკმა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა გამოაქვეყნა. ამ ანგარიშის მიხედვით, 2011 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სადაზღვევო სექტორმა 321 147 047 ლარის პრემია მოიზიდა, რაც 40 310 113 ლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2010 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 361 457 160 ლარს.

პირდაპირი დაზღვევით მოზიდული პრემიის ყველაზე დიდი წილი 200 590 584 ლარი მოდის სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე მცირე მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების პასუხისმგებლობის დაზღვევაზე 13 158 ლარი.

2011 წელს დაზღვევის სახეობათა ათეული, მოზიდული პრემიებისა და ბაზარზე მათი წილის მიხედვით ასე გამოიყურება:

1. სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა - 200 590 584 (62,46%)

2. ქონების დაზღვევა - 39 894 180 (12,42%)
3. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 27 790 953 (8,65%)
4. სიცოცხლის დაზღვევა 16 367 003 (5,10%)
5. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა 7 027 574 (2,19%)
6. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 6 099 677 (1,90%)
7. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 5 155 660 (1,61%)
8. სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 3 857 333 (1,20%)
9. ტვირთების გადაზიდვა 3 114 361 (0,97%)
10. სამოგზაურო დაზღვევა 2 980 746 (0,93%)

2012 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი, გაფართოებული პროგრამა განიხილა.

საყოველთაო დაზღვევაზე საუბრისას ბევრს გაახსენდა წინა მთავრობის დროინდელი 5-ლარიანი დაზღვევა (ახალი დაზღვევის პრემიაც 5 ლარია). დაზღვევის მსურველები 1,65 ლარს იხდიდნენ, დანარჩენს სახელმწიფო ფარავდა. ანუ მცირე თანხის გადახდით ყველა ხდებოდა დაზღვეული, აგრეთვე ქვეყანაში უნდა გაზრდილიყო დაზღვევის კულტურა. თუმცა ამ პროგრამამ არ გაამართლა.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 2012 წლის 1 სექტემბერს დამტკიცდა.

ამჯერად 5-ლარიან სადაზღვევო პაკეტს ის მოქალაქეები მიიღებენ, რომლებიც ამ დროისთვის დაზღვეული არ არიან. ეს დაახლოებით 2,2 მლნ ადამიანია. იმავდროულად, შენარჩუნდება 15-ლარიანი სადაზღვევო პაკეტები, რომლითაც ამჟამად 0-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვები, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალები, 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცები, სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მკვეთრად გამოკვეთილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ. მათ მომსახურებას ჩვეულებრივ განაგრძობენ კერძო სადაზღვევო კომპანიები.

ამასთან, დღეისათვის, ასაკის მიუხედავად, სახელმწიფო დაზღვევით უკვე სარგებლობენ შემდეგი კატეგორიის პირები:

- ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ერთეულს;
- 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახები.
- სკოლა-პანსიონებში მცხოვრები (მათ შორის, მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ბავშვები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საადმინისტრაციო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ საჯარო სკოლის აღმზრდელი, სადაც ხორციელდება პანსიონური მომსახურება, სპეციალური ან კორექციული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ან სწავლება;
- იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ახასიათებთ საზოგადოებისთვის მიუღებელი, ნორმიდან გადახრილი ქცევა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემთა ბაზაში.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახები.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები.

საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებამ შესაძლებელია ბაზარზე რამოდენიმე სადაზღვევო კომპანიაც შეიწიროს. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებს მოსალოდნელი რისკები აშინებთ.

სადაზღვევო პროდუქტებს შორის ყველაზე პოპულარული სამედიცინო დაზღვევაა, ამ მომენტში კი დიდი წილი სახელმწიფო დაზღვევას უჭირავს. ამიტომ კერძო მზღვეველებს მოუწევთ შესთავაზონ საზოგადოებას ახალი პაკეტები იმის ზემოთ, რასაც სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს შესთავაზებს.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 3 ეტაპად განხორციელდება.

I ეტაპი დაიწყო 2013 წლის 28 თებერვლიდან და იგი მინიმალურ სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებს, საყოველთაო დაზღვევის პირველი ეტაპი 6-დან 60-წლამდე ასაკის იმ

ადამიანებისთვისაა განსაზღვრული, რომელთაც კერძო თუ სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული დაზღვევა არ აქვთ.

საყოველთაო დაზღვევა პირველ ეტაპზე გეგმიურ ამბოლატორულ მომსახურებას, გადაუდებელ ამოლატორულ და სტაციონალურ მომსახურებას ითვალისწინებს.

გეგმიური ამბულატორია მოიცავს ოჯახის ან უზნის ექიმთან შეუზღუდავ ვიზიტს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ აცრებს და სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე დაავადებათა მართვას, ელექტროკარდიოგრაფიას... გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებისთვის არის გათვალისწინებული ე.წ. პოზიტიური სია, რომელიც მოიცავს ისეთ ურგენტულ მდგომარეობებს, როდესაც სამედიცინო ჩარევის გადადებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის გარდაცვალება, რომელიმე კიდურის ან ორგანოს დაკარგვა. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებისათვის დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტი, რომელიც ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე 15 ათას ლარს მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამბულატორიული მომსახურების მისაღებად მოქალაქეს უფლება აქვს თავად აირჩიოს პროგრამაში მონაწილე პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება, ანუ პოლიკლინიკა, შერჩეული სამედიცინო დაწესებულების შეცვლა კი მას ყოველ ორ თვეში ერთხელ შეეძლება.

პირველ ეტაპს წარმატებულად დასრულებულს უწოდებს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგენკო: მისი განცხადებით პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში დარეგისტრირდა 1 300 000 ადამიანი (დარეგისტრირდა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მან სერვისი მიიღო) და 50 ათასამდე პაციენტმა მიიღო გადაუდებელი სტაციონარული თუ ამბოლატორიული დახმარება. ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ ზოგადად, საზოგადოების მოლოდინი ყოველთვის აღემატება რეალობას და ეს მოლოდინი უფრო გამართლდება 1 ივლისიდან, პროექტის გაფართოების შედეგად.

2013 წლის 1 ივლისიდან კი დაიწყო საყოველთაო დაზღვევის II ეტაპი. პროგრამა გაფართოვდა და მინიმალურიდან გადავიდა საბაზისო პაკეტზე. საბაზისო პაკეტში გათვალისწინებულია მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე, გაფართოვდა პოლიკლინიკისა და ამბულატორიის დონეზე ჩასატარებელი კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები და გეგმიური ქირურგიული ჩარევები.

პროგრამაში შედის გეგმიური ოპერაციები, რომლის წლიური ლიმიტი 15 ათასი ლარია (დაფინანსდება 70%-ით), ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის წლიური ლიმიტი - 12 ათასი ლარი (დაფინანსდება 80%), ორსულთა პატრონაჟი და ფიზიოლოგიური მშობიარობა (500 ლარი), საჭიროების შემთხვევაში საკეისრო კვეთა (800 ლარი). პროგრამით მოსარგებლებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კლინიკების სურვილისამებრ არჩევის საშუალებაც ეძლევათ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ითვალისწინებს თერაპიულ გეგმიურ ჰოსპიტალიზაციას, საზღვარგარეთ მკურნალობას, სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას, პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგიას, სექსუალური დარღვევებისა და უშვილობის მკურნალობას, ასევე ისეთ დაავადებებს როგორც არის აივ-შიდსი, ქრონიკული ჰეპატიტი, თვითდაშავება და სხვა (ამ დაავადებების ნაწილის მკურნალობა სხვა ფონდებიდან ფინანსდება).

სადაზღვევო პროგრამის III ეტაპი კი გულისხმობს საქართველოს აბსოლუტურად ყველა მოსახლის მინიმალური პაკეტით დაზღვევას. თუმცა, იმ ადამიანებისთვის, ვისაც საშუალება აქვს კერძო სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით ისარგებლოს, უმჯობესი იქნება, თუ მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ხარჯზე არ დარჩებიან, რადგან სახელმწიფო გთავაზობს საბაზო დაზღვევას, ეს დაზღვევა არ გაძლევს სიკვდილის უფლებას. რაც შეეხება მაღალტექნოლოგიურ სერვისებს, კვლევებს, წამლებს, ექსტრასერვისებს, ეს ყველაფერი ამ საბაზო პროგრამაში არ შედის. ბიუჯეტს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველას ყველაფერი დაუფაროს და არც არის ეს საჭირო. იმ ადამიანებმა, ვისაც შეუძლია რომ ისარგებლოს, მაგალითად, სამსახურებრივი, კორპორაციული დაზღვევით, ამ მომსახურებით უნდა ისარგებლონ.

2014 წლის სტატისტიკა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მიმღებთა რაოდენობის შესახებ რეგიონების მიხედვით.

1. შიდა ქართლი - საპენსიო ასაკის პირები: 27,776; ექვს წლამდე ასაკის პირები 15,835; პირველი ჯგუფის შშმ პირები 715; შშმ ბავშვები 274; სტუდენტები 4,716
2. ქვემო ქართლი - საპენსიო ასაკის პირები: 49,478; ექვს წლამდე ასაკის პირები 32,662; პირველი ჯგუფის შშმ პირები 1,108; შშმ ბავშვები 459; სტუდენტები 4,402
3. სამცხე-ჯავახეთი - საპენსიო ასაკის პირები: 24,177; ექვს წლამდე ასაკის პირები 12,654; პირველი ჯგუფის შშმ პირები 554; შშმ ბავშვები 174; სტუდენტები 2,392
4. სამეგრელო ზემო სვანეთი - საპენსიო ასაკის პირები: 40,634; ექვს წლამდე ასაკის პირები 14,134; პირველი ჯგუფის შშმ პირები 706; შშმ ბავშვები 256; სტუდენტები 3,658

5. მცხეთა მთიანეთი - საპენსიო ასაკის პირები 10,772; ექვს წლამდე ასაკის პირები 5,099; პირველი ჯგუფის შშმ პირები 142; შშმ ბავშვები 57; სტუდენტები 1,472

6. იმერეთი - საპენსიო ასაკის პირები: 79,070; ექვს წლამდე ასაკის პირები 34,407; პირველი ჯგუფის შშმ პირები 1.802; შშმ ბავშვები 606; სტუდენტები 11.476

7. კახეთი - საპენსიო ასაკის პირები: 31,038; ექვს წლამდე ასაკის პირები 14,197; პირველი ჯგუფის შშმ პირები 551; შშმ ბავშვები 196; სტუდენტები 3,989

8. რაჭა-ლეჩხუმი და ზემო სვანეთი. საპენსიო ასაკის პირები: 3,546; ექვს წლამდე ასაკის პირები 1,292; პირველი ჯგუფის შშმ პირები 50; შშმ ბავშვები 17; სტუდენტები 676

9. გურია - საპენსიო ასაკის პირები: 19,751; ექვს წლამდე ასაკის პირები 6,965; პირველი ჯგუფის შშმ პირები 384; შშმ ბავშვები 155; სტუდენტები 1,930.

სულ ჯამში: საპენსიო ასაკის პირები: 325,616; ექვს წლამდე ასაკის პირები 164,854; პირველი ჯგუფის შშმ პირები 7,608; შშმ ბავშვები 2,745; სტუდენტები 41,602

საყოველთაო ჯანდაცვა - გლობალური ჯანდაცვის უმთავრესი პრიორიტეტი

მიმდინარე წლის აპრილში მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ცენტრალურმა ოფისმა უმასპინძლა მაღალი დონის შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ გაეროს გენერალური მდივანი ბატონი ბან კი-მუნი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ქალბატონი მარგარეტ ჩენი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ბატონი ჯიმ იონგ კიმი და გაეროს წევრი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სააგენტოების 40-მდე მაღალი რანგის წარმომადგენელი. შეხვედრის მთავარი თემა მსოფლიოში 2030 წლისათვის საყოველთაო ჯანდაცვის მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებები იყო. საყოველთაო ჯანდაცვა გლობალური ჯანდაცვის უმთავრესი პრიორიტეტი ჯერ კიდევ 2012 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შემდეგ გახდა. მსოფლიო ბანკის აპრილის შეხვედრაზე მარგარეტ ჩენმა ასევე განაცხადა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა უკვე აღიარებულია მოსახლეობაში სიღარიბის აღმოფხვრისა და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღად.

მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი Lancet თავის პუბლიკაციაში ასევე ყურადღებას ამახვილებს საყოველთაო ჯანდაცვის მნიშვნელობაზე. ამასთან დადგინდა, რომ ჯანდაცვაში ინვესტირებული თითოეული აშშ დოლარიდან ქვეყნებს 9-20 აშშ დოლარის ამონაგები უზრუნველბათ.

ჯანდაცვის სამინისტრო მიესალმება მსოფლიო ბანკის მაღალი დონის შეხვედრას და საყოველთაო ჯანდაცვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

ამასთანავე საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის 1 წლიანი გამოცდილება უკვე შეაფასეს მსოფლიო ბანკის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ექსპერტებმა. რომელიც წარედგინა მედიასა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებს.

ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის ჯანმრთელობა დაზღვეულია სხვადასხვა კერძო სადაზღვევო კომპანიაში. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარნი არიან: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სახლების ბენეფიციარები, სკოლა-პანსიონების ბენეფიციარები, პედაგოგები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის ფინანსური გარანტიების შექმნა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა.

რა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის არსი?

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მიზანია, საშუალება მისცეს ბენეფიციარებს, თავი დაცულად იგრძნონ და თანაგადახდით ან საფასურის გადახდის გარეშე, შეუზღუდავად მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

მსოფლიოში მოსახლეობას უნივერსალურ ჯანდაცვას სულ 32 ქვეყანა სთავაზობს, 33-ე საქართველო გახდა.

ლიტერატურა:

1. <http://transparency.ge/blog/saqoveltao-janmrtelobis-datsvis-sakhelmtsipo-programa-problemebi-da-rekomendatsiebi?page=2>
2. w.tabula.ge/ge/story/56205-sadazghvevo-bazris-mimoxilva
3. <http://commersant.ge/?page=news&id=1425>
4. http://www.for.ge/view.php?for_id=21886&cat=1
5. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115237/>

6. www.moh.gov.ge
7. <http://www.bfm.ge/society/>
8. <http://www.psidiscourse.ge/geo/history.php?id=1%20>
9. <http://netgazeti.ge/>
10. <http://www.nbg.gov.ge/>

რეკლამა წარმატებულ კომპანიათა საქმიანობაში

რუსუდან ცერცვაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
დავითი კოვზირიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

რეკლამა ტელევიზორში, რეკლამა გაზეთში, რეკლამა ქუჩაში... რეკლამა ყველგან! რეკლამა უხეშად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და დღეს უკვე ვერსად დავმალებით მას. ჩვენ, დღეში, უამრავ სარეკლამო განცხადებას ვიღებთ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი იპყრობს ჩვენს ყურადღებას და კიდევ უფრო მცირე ნაწილი გვამახსოვრდება, ისიც ცოტა ხნით. ესაა ფაქტი, რომელიც კარგად იცის ნებისმიერი კომპანიის მენეჯმენტმა, თუმცა ისინი, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ რეკლამაში. მაგრამ, რაც არ უნდა დიდი სარეკლამო ბიუჯეტი ჰქონდეს კომპანიას და რაც არ უნდა მაღალი ხარისხის რეკლამა გააკეთოს, ნებისმიერი რეკლამა მაინც „სტანდარტულ“ ხასიათს ატარებს, ანუ ხაზს უსვამს პროდუქტის ხარისხს, ფასს, პრესტიჟს. თუმცა რეკლამა არაერთხელ გამხდარა კომპანიების წარმატებული საქმიანობის განმაპირობებელი.

დამატებითი დაზღვევის კომპანია „AFLAC“ - 9.7 მილიარდი დოლარის კაპიტალის მქონე ეს სადაზღვევო კომპანია ახლა ყველაზე ცნობილი ფორმა დაზღვევის ინდუსტრიაში. თუმცა, AFLAC-ი ყველასთვის ასეთი აღიარებით როდი სარგებლობდა. სულ რამდენიმე წლის წინ, ამ კომპანიის სახელს ამერიკელთა მხოლოდ 13%-ი იცნობდა. მაგრამ ახლა, არაორდინალური სარეკლამო კამპანიის წყალობით, რომელსაც ყიყინა, თეთრი იხვი წარმართავს, AFLAC -ს, პრაქტიკულად, ყველა ამერიკელი იცნობს.

ადრე, AFLAC-ის რეკლამები სხვა სადაზღვევო კომპანიების რეკლამებს ჰგავდა. ეს იყო თბილი და ბუნდოვანი რეკლამა, სადაც მთავარი მოქმედი პირები – ბედნიერი ოჯახის წევრები – სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ AFLAC-ის სარეკლამო რგოლები არაფრით ჩამოუვარდებოდა კონკურენტებისას, ისინი მაინც დაჩრდილა სხვა ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიების მხიარულმა და ენერგიულმა რეკლამამ.. „ჩვენ მივხვდით, რომ უნდა გვებრძოლა არა მარტო იმ მაყურებლისათვის, რომელიც სადაზღვევო კომპანიათა რეკლამებს უყურებს, არამედ მათთვისაც, ვინც ერთობა პროდუქტებზე გადაღებული სარეკლამო რგოლებით,“ – აცხადებს AFLAC-ის კორპორაციული კომუნიკაციების დირექტორი სპენსერი. ასე რომ, AFLAC-მა დაიწყო უკეთესი გზის ძიება, რათა შეექმნა ბრენდის ცნობადობა, ეფექტურად მიეტანა შეტყობინება მომხმარებელამდე. კომპანიას ჭირდებოდა რადიკალურად განსხვავებული რამ, – რეკლამა, რომელიც სრულიად ახალი სიტყვა იქნებოდა იმ დროისთვის არსებული დაუსრულებელი სარეკლამო აურზაურის ფონზე.

AFLAC-ის სარეკლამო სააგენტოს შემოქმედებითი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა დასძინა, რომ ეს სახელი მისთვის იხვის ყიყინთან ასოცირდებოდა. სწორედ აქედან დაიწყო AFLAC-ის ახალი ისტორიაც. ამ იდეამ დასაბამი მისცა ამერიკული იხვის შექმნას – თეთრი იხვი მკვეთრი ყვითელი ნისკარტითა და ცისფერი გულით, რომელიც, ხმამაღლა ყიყინებს. AFLAC-ის ამ გამოსახულებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და ნაკლებად ცნობადმა კომპანიამაც, თანდათან, აღმასვლა დაიწყო.

AFLAC-ის ახალი სარეკლამო კამპანია რისკიანი იყო. ზოგიერთ კრიტიკოსს აინტერესებდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა მყვირალა იხვი სერიოზულ ბიზნესს, რომლის მიზანი მყიდველთა

ნდობის მოპოვება და დაზღვევის მომსახურების გაყიდვა იყო. თუმცა, ეს შიში არ გამართლდა – იხვი მომხმარებელმა შეიყვარა.

სარეკლამო კომპანია იხვის მონაწილეობით, დაუჯერებლად წარმატებული აღმოჩნდა. მისი წყალობით გაიზარდა AFLAC-ის იმიჯი და გაყიდვები. კომპანიის სახელის ცნობადობის პროცენტულმა მაჩვენებელმა, კამპანიის დაწყებიდან ორ წელიწადში, 13%-დან 91%-მდე აიწია. რაც უფრო შთამბეჭდავია შშ-ში, ათიდან ოთხი ადამიანი AFLAC-ს არამართო სახელით, არამედ საქმიანობითაც იცნობს. AFLAC-ის გაყიდვები, კამპანიის დაწყებიდან, ყოველწლიურად, თითქმის, 30%-ით იზრდებოდა.

რა არის AFLAC-ის კამპანიის წარმატების განმსაზღვრელი? თავდაპირველად უნდა ითქვას ის, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან შეტყობინებას მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული პროდუქტის შესახებ. რეკლამამ, იხვის მონაწილეობით, სიახლე შეიტანა არსებულ სარეკლამო ქაოსში და თავი დაამახსოვრა უკლებლივ ყველას. მაშინ, როდესაც ყველა ერთ გზას მიუყვება, შენ ამ გზას უნდა გადაუხვიო. ამ დროს მოდის ემოცია, რომელიც მყიდველს შეძენისთვის განაწყობს. პატარა მოზაჯგაჯე იხვს მხიარულ ტალღაზე გადავყავართ. სწორედ ეს მოსიარულე და მოლაპარაკე იხვია, ასე წარმატებით რომ ყიდის კომპანიის პროდუქციას.

რაც შეეხება კომპანია „ბენეტონს“, მისი სარეკლამო კამპანიები მუდმივად მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა და დიდი ხნის განმავლობაში განხილვისა და კამათის საგანი ხდება. რეკლამის ამ „სტანდარტულ“ სამყაროში არსებობს ერთი კომპანია, რომელიც საკუთარ სარეკლამო კამპანიაში ლამაზმანების ნაცვლად დასისხლიანებულ, მომაკვდავ ჯარისკაცს, ან შიდსით დაავადებულ ადამიანს გვიჩვენებს, და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს კომპანია უკვე რამდენიმე ათწლეულია, წარმატებით მოღვაწეობს მთელ მსოფლიოში და საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. United Colors of Benetton: ეს ის კომპანიაა, რომელიც უკვე დიდი ხანია მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს თავისი არასტანდარტული მარკეტინგული კამპანიებით და ძალზე ხშირად უკმაყოფილების, პროტესტის და იურიდიული დავების მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1935 წელს ერთ ღარიბ იტალიურ ოჯახში დაიბადა ბიჭი – ლუჩიანო ბენეტონი. მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახი, რომელშიც ოთხი ბავშვი იზრდებოდა, ულუკმაპუროდ დარჩა. თავისი თანატოლების დიდი ნაწილის მსგავსად პატარა ბენეტონებსაც ადრეულ ასაკში მოუწიათ მუშაობის დაწყება. ყველაფერი დაიწყო კაშკაშა ყვითელი სვიტერით, რომელიც ჯულიანა ბენეტონმა მოუქსოვა თავის ძმას, ლუჩანოს, 50-იან წლებში. იმ დროს იტალიაში ღია ფერის ნაქსოვი პროდუქცია არ იყიდებოდა და 18 წლის ლუჩანო გამვლელების ყურადღებას იპყრობდა. 1965 წელს ჩამოყალიბდა „ბენეტონჯგუფი“, რომლის სათავეში იყო მისი დამაარსებელი ლუჩანო ბენეტონი. თავიდანვე ბენეტონებმა აქცენტი გააკეთეს ფერზე.

ბენეტონის კომპანიის წარმატების სამი შემადგენელი იყო: მოდელების განსხვავებული სტილი, ფერი და საშუალო შემოსავლიან მყიდველზე ორიენტირება. ესაა საოჯახო ბიზნესის საუკეთესო მაგალითი. ლუჩანო ბენეტონი თავისი 72% წილით კომპანიის პრეზიდენტიცაა.

რეკლამის მიზანია არა ის, რომ გაყიდოს რაც შეიძლება მეტი, არამედ მან უნდა გააცნოს ყველას კომპანიის შეხედულებები მის ფასეულობებზე, სამოქალაქო პოზიციაზე, ყველასათვის გასაგები ძლიერი სახეების მეშვეობით“, ამბობს ლუჩანო ბენეტონი. პირველი კამპანია გამოჩნდა 1984 წელს. იგი იყო მარტივი, უბრალო და მრავალფეროვანი. პოსტერზე იყო ექვსი ბავშვი და ექვსი მოზრდილი, წარწერით „All the World's Colors!“ („მთელი მსოფლიოს ფერები“). პოსტერზე არ იყო წარმოდგენილი პროდუქცია, ფოტოს კუთხეში იყო მოთავსებული ფირმის ნიშანი „United Colors of Benetton“. რეკლამას პლაკატური ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა კომპანიის სახელის დაფიქსირებას რასობრივი თანასწორობის პროპაგანდის კონტექსტში. კამპანიის წარმატების შემდეგ ბენეტონი განაგრძობდა მისი კორპორაციული მიზნის გასამყარებლად რეკლამებში სხვადასხვა რასის და ფერის პერსონაჟების გამოჩენას, რაც შეესაბამებოდა მის დევიზს „მსოფლიოს ყველა ფერი“. „რეკლამა ინფორმირების ერთ-ერთი მექანიზმია და ბენეტონი შეგნებულად ირჩევს თემებს, რომელიც იგნორირებულია რეკლამის სხვა ავტორების მიერ. კერძოდ ომი და მშვიდობა, შიმშილი, ნგრევა, ავადმყოფობა, სიკვდილი. იმ იდეალიზებულ სამყაროს რომელსაც ჩვენ მივეჩვიეთ რეკლამებში, არაფერი აქვს საერთო ცხოვრებასთან. როდესაც გამოსახულება მაქსიმალურად მიახლოებულია რეალობასთან მაყურებელი განიცდის შოკს. ჩვენ გვინდა ვაიძულოთ ადამიანი წამით მაინც დაფიქრდეს იმ სურათზე, რომელსაც იგი ხედავს“.

1988 წელს ბენეტონმა კვლავ გააკვირვა მსოფლიოს საზოგადოება კულტურების და ლეგენდების აღრევით. გამოჩნდა რეკლამა ნახევრადმიშველი ადამით და ევათი ჯინსებში. ჟანა დ'არკი, მერლინ მონრო, ლეონარდო და ვინჩი და იულიუს კეისარი და კვლავ ყველაფერი საერთო სლოგანით – „ბენეტონის გაერთიანებული სუპერვარსკვლავები“.

1990 წლიდან ბენეტონის ბევრმა რეკლამამ სკანდალი გამოიწვია. მთელი რიგი ქალაქებისა კრძალავდა რეკლამების განთავსებას. სულ უფრო პროვოკაციული ხდება ბენეტონის ფოტოები ომის და

სიკვდილის თემაზე. საინტერესო იყო რეკლამა, რომელზედაც გამოსახული იყო შავკანიანი, თეთრი და აზიური წარმოშობის ბავშვები გამოყოფილი ენებით, იმის საუკეთესო დადასტურება, რომ ყველა რასის ადამიანებს ენა ერთი ფერისა აქვთ.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი უჩვეულო და გამაღიზიანებელი არ არის ამ კომპანიის საქმიანობაში, მაშ რითი დაიმსახურეს იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ოჯახად აღიარებულმა ბენეტონებმა მსოფლიო საზოგადოების უკმაყოფილება? პასუხი ასეთია: კომპანია რატომღაც არ კმაყოფილდება მხოლოდ ტანსაცმლით ვაჭრობით და ცდილობს ხალხი დააფიქროს ისეთ სოციალურ საკითხებზე, როგორცაა რასიზმი, შიდსი, ომი და სხვა. ამისთვის კი სხვებისგან განსხვავებით გეთავაზობს არა „შერბილებულ“ სიმართლეს, არამედ ძალიან რეალისტურ, ცხოვრებისეულ სურათებს, გაღიზიანებას კი ის იწვევს, რომ მსოფლიოს ბენეტონის მოქმედებები მიაჩნია არა საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვად, არამედ კომპანიის სწრაფვად გაზარდოს გაყიდვები და, შესაბამისად, განიხილავს ამ მოქმედებებს „ბინძურ სპეკულაციად“. და, მაინც, რა მიზანი უდევს საფუძვლად ბენეტონის მარკეტინგულ კამპანიებს? არის ეს მართლა მცდელობა დაგვაფიქროს ჩვენს გარშემო არსებულ სილატაკეზე, ავადმყოფობებზე, უბედურებაზე? თუ უბრალოდ გენიალური მარკეტინგული სვლაა, რამაც კომპანიის ყოველი ახალი ნაბიჯის ყურადღების ცენტრში მოქცევა უზრუნველყო? საზოგადოების აზრი კომპანიის მარკეტინგულ კამპანიებთან დაკავშირებით ორად იყოფა. საზოგადოების ერთი ნაწილი პირად შეურაცხყოფად იღებს კომპანიის თითქმის ყველა მოქმედებას. არავინ არ დაობს ფოტოსურათების მხატვრულ ღირებულებაზე. თავისთავად ისინი ფოტოხელოვნების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, ფაქტია, რომ ყველა ფოტოსურათზე ფიგურირებს კომპანიის ლოგო, რაც აღშფოთებას იწვევს ამ ადამიანებში. მიუღებელია, გამოიყენო სხვისი უბედურება იმისთვის, რომ გაყიდო რამდენიმე ძვირადღირებული მაისური – ასეთია საზოგადოების ამ ნაწილის პოზიცია, რომელსაც იგი მყარად იცავს.

რაც შეეხება საზოგადოების მეორე ნაწილს, _ ეს ადამიანები ბენეტონის ყოველ ახალ კამპანიას მოუთმენლად ელიან. მათ მიაჩნიათ, რომ ბენეტონის ფილოსოფია და დამოკიდებულება რეკლამის მიმართ წინ გადადგმული ნაბიჯია სარეკლამო ინდუსტრიაში. ამას ადასტურებს კომპანიის მიერ მიღებული მრავალრიცხოვანი ჯილდოებიც და ის ფაქტიც, რომ ბენეტონის რეკლამებს ხშირად წააწყდებით მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ მუზეუმებში. როგორც თვითონ ლუჩიანო ბენეტონი ამბობს, კომპანიის მიზანია, დააფიქროს ხალხი. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ მეტი, ვიდრე უბრალოდ გავყიდოთ პროდუქტი“. ადამიანები მიეჩვივნენ ყოველდღე ქუჩაში და ტელევიზორში ძალადობის და გაჭირვების სცენების ყურებას, ეს სცენები აღარ იწვევს მათში ემოციებს. დიდ ქალაქებში ადამიანები საკუთარ მეზობლებსაც კი არ იცნობენ, ისინი ცდილობენ გამოეყონ გარესამყაროს და მხოლოდ საკუთარ, მკაცრად შემოფარგლურ სამყაროში უსაფრთხო და წყნარად ცხოვრებაზე ზრუნავენ. იმისთვის, რომ მათი ყურადღება მიიპყრო, საჭიროა განსხვავებულ მიდგომა, ისეთი, რომელიც უბრალოდ ფაქტებს კი არ გადმოსცემს, არამედ ნათლად დაანახებს სიტუაციას, სულის სიღრმემდე შეძრავს და მოქმედების სურვილს გაუჩენს. ბენეტონს სწორედ ასეთი მიდგომა აქვს არჩეული თავისი კამპანიებისთვის. ის იპყრობს ყურადღებას, გვიჩვენებენ, რომ მსოფლიო არ შემოისაზღვრება პატარა ყოველდღიური სამყაროთი და აჩენს სურვილს, ჩავერიოთ და დავეხმაროთ სხვებს. ბენეტონი აცხადებს, რომ ეს არაა განკუთვნილი გაყიდვების გასაზრდელად. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: ბენეტონის ცნობადობა და მასთან ერთად გაყიდვები წლიდან წლამდე სტაბილურად იზრდება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანია თავისი კონკურენტებისგან განსხვავებით, რომლებიც მილიონებს ხარჯავენ ეფექტიანი სარეკლამო კამპანიების შესაქმნელად, არასდროს არ იყენებს კომუნიკაციის ძვირადღირებულ საშუალებებს (მაგ: ტელევიზია). ამასთან, კომპანიის იმიჯით და რეპუტაციით გამოწვეული ყურადღება საერთოდ ზედმეტს ხდის მათი მხრიდან რაიმე დამატებით ძალისხმევას. საკმარისია დაიწყოს ბენეტონის ახალი კამპანია და ის მაშინვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა და მწვავე დისკუსიების საგნად იქცევა.

ბენეტონი მისდევს პრინციპს, რომელიც ნებისმიერი მარკეტინგის და რეკლამის სახელმძღვანელოში საკომუნიკაციო სტრატეგიის წარმატების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპად განიხილება. კერძოდ კი: დაამყარეთ ემოციური კავშირი მომხმარებელთან, ანუ დაანახეთ ის, რაც მასში ემოციებს გამოიწვევს, დააფიქრებს, და შესაბამისად, დიდხანს დარჩება მის მეხსიერებაში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომპანია რადიკალურად განსხვავდება თავისი კონკურენტებისგან, მაშინ ადვილად გასაგები გახდება ხალხის ინტერესი მის მიმართ. ინტერესი კი მოქმედებისკენ უბიძგებს, ხოლო მოქმედება განაპირობებს კომპანიის წარმატებას.

ლიტერატურა:

1. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, „მარკეტინგის საფუძვლები“, მეშვიდე გამოცემა, ქართ. ენაზე, 2006.
2. ი. ფერაძე, „მარკეტინგული კომუნიკაციები“, თბ., 2010.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://businessnews.ge>
2. <http://www.b2p.ge>
3. <http://mediator.ge/>
4. <https://businesscafe.wordpress.com/>
5. <http://4p.com.ge/mtieli/>

საქართველოს ტურიზმის ევოლუცია და განვითარების პერსპექტივები

ნატო ჯულაბაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: გელა შაქარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის და რეგიონის ტურისტული რესურსების წარმოშობის ისტორია ძალზე მნიშვნელოვანია.

ტურიზმის ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ქვეყნის ტურისტული რესურსები წარმოადგენს. ამ მხრივ საქართველო მსოფლიოს ტურისტული ქვეყნების ჩამონათვალში მოწინავე პოზიციებს ფლობს. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ჩათვლითაც რუსეთის და უკრაინის შემდგომ მესამე ადგილს იკავებდა, რის საფუძველსაც, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის ტურისტული რესურსები იძლეოდა. მსოფლიოში იშვიათად ვხვდებით ისეთ ქვეყნებს, სადაც მთელი წლის მანძილზე სრული დატვირთვით შეუძლია ტურიზმის ბიზნეს-ფუნქციონირება. კავკასიონის მთათა სისტემა უნიკალურ პირობებს ქმნის სამთო ტურიზმის მრავალსახეობის განსავითარებლად: სათხილამურო-სპორტულ, მთასვლელთა, ექსტრემალურ, ასევე სათავგადასავლო და სხვა მიმართულებების განვითარებას. სამთო, საკურორტო და რეკრეაციული ზონების გარდა საქართველოს გამოარჩევს შავი ზღვა, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის და წარსულშიც მნიშვნელოვანი იყო, როგორც ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი.

ტურისტული ადგილების აფიშირებისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ისტორია შავი ზღვის შესახებ. საქართველოსთვის კავკასიონის მთათა სისტემა და შავი ზღვა სასიცოცხლო სტრატეგიული რესურსებია არამარტო ტურიზმის ბიზნესისათვის, არამედ სახელმწიფოს არსისა და მისი მნიშვნელობისათვის. გეოპოლიტიკური სივრცის ძირითადი მსაზღვრელები კავკასიონი და შავი ზღვაა. შავ ზღვას ბერძნები ჯერ პონტოს აქსინოსს (არასტუმართმოყვარეს), შემდეგ კი - პონტოს ექსინოსს (სტუმართმოყვარეს) უწოდებდნენ. მე-15 საუკუნიდან თურქებმა ვარადენიზი - შავი ზღვა შეარქვეს.

შავი ზღვის მნიშვნელობა საქართველოსთვის ფასდაუდებელია. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ წარმონაქმნს ქვეყნის ზოგად გეოგრაფიული მდებარეობისათვის, რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო ურთიერთობების ძირითად არტერას.

ატლანტის ოკეანიდან საქართველოს სანაპირომდე 3400 კმ-ია. შავი ზღვის აუზში მდებარე სახელმწიფოებში თურქეთში, ბულგარეთში, რუმინეთში რუსეთსა და უკრაინაში არსებული ტურისტული რესურსები კონკურენციას უწევს საქართველოს, მაგრამ მრავალფეროვნებით და კომპაქტურობით, საქართველოში არსებული ტურისტული რესურსები გაცილებით უკეთეს შესაძლებლობებს ქმნის ტურიზმის ბიზნესის განვითარებისათვის. შავი ზღვა არ გამოირჩევა რთული მოხაზულობით, ამიტომ იგი მოსახერხებელია აგრეთვე ნაოსნობისათვის. მთლიანი სანაპირო ხაზის სიგრძის - 3400 კილომეტრიან ზოლზე საქართველოს სანაპიროზე მოდის - 310 კილომეტრი და ეს შესაძლებლობა ხელსაყრელ პირობას ქმნის საზღვაო-საკრუიზო ტურისტული სახეობის განვითარებისათვის. ხანგრძლივი და რთულია შავი ზღვის განვითარების ისტორია. მცირე აზიაში მიმდინარე ტექტონიკურმა (რაც დაკავშირებულია დედამიწის ქერქის მოძრაობასა და დეფორმაციასთან) პროცესებმა მარმარილოს, აზოვის, არალის, შავი და კასპიის ზღვები ოკეანისგან გამოყო.

შემდგომ პერიოდში შავი ზღვა გამტკნარებული ზღვა-ტბების ნაწილს წარმოადგენდა. ზღვა თანდათან მცირდებოდა, ხოლო მარილიანობა იზრდებოდა. მის ფარგლებში, 8 მილიონი წლის წინ წარმოიქმნა კონტოს ზღვა, რომელიც მოიცავდა შავ და კასპიის ზღვებს (იმ დროისთვის კავკასიონის და ყირიმის მთები კუნძულები იყო). შავი და კასპიის ზღვები ერთმანეთს 1 მილიონი წლის წინ დაშორდნენ.) კასპიის ზღვა მტკნარი დარჩა (იგი სინამდვილეში ტბაა - ზღვისა და ტბის დამახასიათებელი ნიშნით), ხოლო შავი ზღვა რამდენჯერმე შეუერთდა და დაშორდა ხმელთაშუა ზღვას. ისინი საბოლოოდ 8 ათასი წლის წინ შეერთდნენ, მაშინ წარმოიქმნა ბოსფორის სრუტე. (იხ. გამოსახულება N1)

გამოსახულება N1



ხმელთაშუა ზღვიდან მარილიანი წყლის შემოჭრამ მრავალი ცოცხალი ორგანიზმის დაღუპვა გამოიწვია. სწორედ მათი ნარჩენების გახრწნამ შექმნა შავ ზღვაში გოგირდწყალბადის პირველდაწყებითი მარაგი. გოგირდწყალბადი საუკუნეების განმავლობაში გროვდება ზღვის ქვაბულში. შავი ზღვა უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს ჰავის ფორმირებაზე, განსაკუთრებით ნალექების განაწილებასა და მიმდებარე ტერიტორიების ჰაერის ტემპერატურაზე. ბრიზები (დღეღამური პერიოდულობის ქარი) შავი ზღვის სანაპიროდან 100-120 კმ-ის დაშორებითაც კი ქრის.

შავი ზღვა უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა. მისი საშუალებით შესაძლებელია დაუკავშირდეთ მსოფლიოს საზღვაო ქვეყნებს, ცენტრალურ ევროპასა (მდ. დუაით) და რუსეთს (ვოლგა-დონით). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის სანაპირო წყლების რეკრეაციული გამოყენება. ზღვის სანაპირო ზოლში არაერთი მსოფლიოში ცნობილი კურორტია. საქართველოს ფარგლებში, ზღვის კურორტის მახლობლად მდიდარი მცენარეულობით შემოსილი მთებია განლაგებული. ასეთი ვითარება ესთეტიკურ ფონს ქმნის დამსვენებელთათვის. ტურიზმის ბიზნესის განვითარების ევოლუციას საქართველოში კონტინენტურმა ცვლილებებმა დაუდო საფუძველი და მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები ნაყოფიერ ნიადაგს იძლევა ტურიზმის განვითარებისათვის სხვადასხვა სახეობების მიმართულებებით, რაც ამ ბიზნესს ანიჭებს პრიორიტეტულობას და ქვეყნისთვის მიიჩნევა სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებად.

საინტერესოა საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ეტაპები.

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად, იგი მასშტაბურ ხასიათს 20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათას ადგილს შეადგენდა.

შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის რუსეთის და უკრაინის შემდგომ მესამე ადგილს იკავებდა, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80 წლებში, თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. ამასთანავე დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ტურიზმი პოსტსაბჭოთა პერიოდში ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში არ ითვლებოდა ბიზნესის სახეობად და ზოგადად არასაბაზრო ეკონომიკა უარყოფდა საკუთრების უფლებას, ამდენად ტურიზმი მოიაზრებოდა სპორტის, კულტურის, ჯანმრთელობის, ისტორიის და სხვა შემეცნებითი ღონისძიებების

მასობრივ საზოგადოებრივ საქმიანობად, სადაც ტურისტულ საგზურებს ანუ ტურპროდუქტებს მკაცრად დაცული რეგლამენტით ავრცელებდა და ანაწილებდა მხოლოდ პოლიტიკური და პროფესიული კავშირების ორგანიზაციები. ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის. ისევე როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოშიც ჩამოყალიბდა ტურიზმის ბიზნესი და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. ქვეყნის ტრანსფორმირების პერიოდში განადგურდა ათეულობით საკურორტო და სასტუმროთა კომპლექსი, ასევე არამიზნობრივად გასხვისდა სასტუმროები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რის განახლება და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება 2004-07 წლებში განხორციელდა და ამჟამადც მიმდინარეობს.



მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზის გამო საქართველოს სასტუმროთა მშენებლობის ტემპები საგრძნობლად შენედა, (იხ. ცხრილი N2)

საქართველოში სასტუმროების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2005-07 წლები

საქართველოს რეგიონები	სასტუმროების რაოდენობა		
	2005	2006	2007
ქ. თბილისი	91	123	105
აჭარის არ	37	68	75
გურია	9	15	6
იმერეთი	22	34	34
კახეთი	9	14	11
მცხეთა-მთიანეთი	21	19	13
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	10	9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9	13	15
სამცხე-ჯავახეთი	18	68	61
ქვემო ქართლი	2	2	3
შიდა ქართლი	7	8	7
სულ	232	374	339

საქართველოს გააჩნია ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო ამჟამად აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის, თუ ტურისტისთვის. ქვეყანაში 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძურია, რომელიც დღითიდღე თანდათანობით იზრდება.

საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალები და ეროვნული პარკები 2008-2014 წლებში


წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სახელმწიფო ნაკრძალები, ერთეული	15	14	14	16	16	16	17
ნაკრძალების ფართობი, ათასი ჰექტარი	150,9	150,4	150,4	168,7	168,7	168,7	171,7
ეროვნული პარკები, ერთეული	2	2	2	2	2	2	4
ეროვნული პარკების ფართობი, ათასი ჰექტარი	88,0	112,7	120,3	102,3	102,3	102,3	211,1

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, ამჟამად კი 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებშია, რაც ტურიზმის ბიზნესისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

მნიშვნელოვანია საქართველოს ტურიზმის დინამიკის სტატისტიკური ანალიზი.

საქართველოს ტურიზმის განვითარებისთვის არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა და კლიმატი ახასიათებს. ჩვენი ქვეყნის ტურისტული ბაზარი 14 სამოგზაურო სეგმენტადაა დაყოფილი. 2009 წელს უცხოურ ტურისტულ ვებგვერდებზე საქართველო სამოგზაუროდ საფრთხისშემცველ ქვეყანათა სიაში მოხვდა. თუმცა 2010 წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მდგომარეობა შეიცვალა. 2009 წელს - 334 483 ათასი ტურისტი ჩამოვიდა, რაც გასულ წელთან შედარებით 16%-ით მეტია. აჭარის ზღვისპირა კურორტებს დასვენების მიზნით 60 636 სომეხი ტურისტი ეწვია. საქართველოს საზღვაო კურორტებზე იმყოფებოდა თბილისელთა 24,8%, ხოლო ზამთრის კურორტებზე - 19,8%. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2010 წელს კვლევა ჩატარდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. კვლევის მიზანი იყო აღგვეჩერა საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურების ზოგადი დემოგრაფიული პროფილი. კვლევის შედეგად რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. კერძოდ: მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთა გარდა, საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა შორის გერმანელი, ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი მოგზაურები ჭარბობენ. ტურისტთა 30%-ის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა საქმიან და პროფესიულ მიზანს უკავშირდება. მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად ტურისტების საერთო რაოდენობის 25% ჩამოდის, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით კი - 23%. თითოეული ტურისტი საქართველოში საშუალოდ 1502 აშშ დოლარს ხარჯავს, დღიურად - 337 აშშ დოლარს. 2010 წელი - 432 458 ათასი ტურისტი ჩამოვიდა. 2010 წელს საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რიცხვი 2009 წელს შემოსულთა რიცხვს 38 პროცენტით აღემატებოდა. ოფიციალური ინფორმაციით, 2011 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი თურქეთიდან ჩამოვიდა. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე - სომხეთი, მეოთხეზე - რუსეთი, მეხუთე პოზიციაზე კი ირანი გავიდა. ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში სულ 4,428,221 ვიზიტორი შემოვიდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2012 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში საქართველოში 1 299 685 ვიზიტორი შემოვიდა. 2012 წლის 1 მარტიდან რუსეთის მოქალაქეებისთვის მიმოსვლის უვიზო რეჟიმის ცალმხრივად დაწესების შემდეგ, საქართველოში ამ ქვეყნიდან ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. რაც შეეხება საქართველოს შავი ზღვისპირა კურორტებს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის განცხადებით, 2012 წლის იანვარ-მაისში აჭარაში 239 ათას 742 ვიზიტორი იმყოფებოდა, რაც წინა წლის იანვარ-მაისთან შედარებით 61.7 პროცენტით მეტია. 2013 წელს ტურისტების რიცხვი 5,392,303 იყო. ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2008 წლის შემდეგ მზარდია, 2013 წლამდე მისი პროცენტული მაჩვენებელი 6,1%-დან 7,1%-მდე გაიზარდა.


2014 წლის ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით



2014 წელს დაახლოებით 18%-იან ზრდას ელოდებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შარშან 2 822 363-მა ადამიანმა გადმოკვეთა. წლებიდან წელი ხუთი თვის მონაცემი შარშანდელი ვიზიტორების რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მისში, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში, საქართველოში 321 164 სტუმარი შემოვიდა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 57,3 პროცენტით აღემატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წლებიდან წელი მისის მაჩვენებელი შარშანდელ ივლისი-აგვისტოს მაჩვენებელსაც აღემატება. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის მაჩვენებლით, ყველაზე დიდი რაოდენობით ტურისტები თურქეთიდან შემოვიდნენ (+105,2 პროცენტიანი ზრდით) შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (+26,3 პროცენტი), სომხეთი (+38,3 პროცენტი), რუსეთი (+99,2 პროცენტი), უკრაინა (+20,5 პროცენტი) და ირანი (+109 პროცენტი) ზრდის მაჩვენებლებით. ევროპიდან შემოსული ტურისტების რაოდენობამ უკრაინიდან და ირანიდან შემოსული ტურისტების რაოდენობას გადააჭარბა. 2010 წელს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების რამდენიმე რაიონში უცხო ენის შემსწავლელი კურსები ჩატარდა. ამასთან, სერვისის დონის გაუმჯობესებას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებად ასახელებს. რაც შეეხება შიდა ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ტურიზმის დეპარტამენტმა შიდა ტურიზმის შესასწავლად დედაქალაქის მოსახლეობის მაგალითზე კვლევა ჩატარა აღმოჩნდა, რომ თბილისელთა 34% დასასვენებლად სოფლად ან საკუთარ აგარაკზე მიემგზავრება. 24,8% წელიწადში ერთხელ საზღვაო კურორტზე ისვენებს, ხოლო 19,8 პროცენტი - სამთო კურორტზე. თბილისელთა 22 პროცენტი დაინტერესებულია კულტურული ტურებით. განსაკუთრებული დაინტერესებაა მთიან რეგიონებში მოგზაურობაზე მათ შორის პირველ ადგილზეა სვანეთი, მეორეზე - რაჭა, შემდეგ - ხევსურეთი, ყაზბეგი და თუშეთი. თბილისელთა 9,4%-ს სამკურნალო ტურები აინტერესებს, 8,5 პროცენტს - რელიგიურ-პილიგრიმული, შემდეგ ადგილზეა სათავგადასავლო, სპორტული და ბოლოს - ეკოტურიზმი. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო წელს 6 მილიონამდე უცხოელი ვიზიტორის შემოსვლას ვარაუდობს. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ წელს განსაკუთრებულ აქცენტს უკრაინიდან ახალი დამსვენებლების მოზიდვაზე გააკეთებენ, რასაც ყირიმის ტურისტული სეზონის ჩავარდნით გეგმავენ. სტატისტიკის თანახმად, ინტერესი ზღვის გარდა, მთაზეც საკმაოდ დიდია. ბაზრის 86% კი მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორებს უჭირავთ. პირველ ადგილზე ამ მხრივ არის თურქეთი, მეორეზე - სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი. საინტერესოა ტურიზმის მომსახურების ხარისხის ამაღლების და განვითარების პერსპექტივები. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად. საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. მრავალფეროვანი კლიმატური პირობები საქართველოს ანიჭებს ტურიზმის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს. დღეისათვის საქართველოს ტურიზმის სფერო ფრიად პერსპექტიულია წარმატებული ინვესტიციებისათვის. საქართველოში ახალი სახით წარმოჩენილი ტურიზმი ინვესტორს სთავაზობს შესაძლებლობათა ფართო არჩევანს. ტურიზმის სახეობებს შორის ჩვენს

ქვეყანაში პერსპექტიულია კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკოტურიზმი და ა.შ., თუმცა თითქმის ყველა კვლევა ცხადყოფს, რომ მოთხოვნა უმთავრესად კულტურულ ტურიზმზეა და ფირმების 100 პროცენტი ძირითადად ამ სეგმენტზე მუშაობს. საქართველოში ჩატარებული თითქმის ყველა მარკეტინგული კვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ ტურისტები უმეტესწილად ჩამოდის შავიზღვისპირეთში, ზაფხულობით, როდესაც ზღვის სეზონი დგება, ხოლო ზამთარში - სამთო კურორტებზე. თუ ადრე საუკეთესო ზამთრის კურორტად გუდაური იყო მიჩნეული, ახლა უკვე ლაპარაკობენ სამთო-სათხილამურო კურორტების გახსნაზე მესტიაში, ბაკურიანში, გოდერძის უღელტეხილზე და ა.შ. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური ზონები და მთის მასივები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან სამთო სახეობათა ტურიზმის განვითარებისათვის. სამთო ტურიზმისა და ალპინიზმისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება.

ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისის მახლობლად, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.




ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნით, მიუხედავად უამრავი ღირსშესანიშნაობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს, ძალიან ბევრი ძველი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოვლილი, ბევრი კურორტი კი საერთოდ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და კონკურენციას ვერ უწევს აქვე, მეზობლად მდებარე თურქეთს, სადაც ფასები ნაკლებია, ხოლო მომსახურება გაცილებით უკეთესი.

ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ყველაზე ცუდ დღეში ქართველი გიდები არიან. საქართველო უძველესი მართლმადიდებელი ქვეყანაა. ამ ქვეყანაში ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების უნიკალური სტილის ჩამოყალიბება. აქ შეხვდებით ქრისტიანული არქიტექტურის უძველეს ნიმუშებს, უნაკლოდ შერწყმულს მშვენიერ ბუნებასთან. ამიტომ, სპეციალისტთა დასკვნით, საქართველოში თავისუფლად შეიძლება განვითარდეს რელიგიური ტურიზმი. ამ სფეროთი დაინტერესებულმა ქართულმა ტურისტულმა ფირმებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ ცნობილი ტუროპერატორების მიერ ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. ტუროპერატორი უნდა დაეხმაროს პოტენციურ ტურისტს, რომ მან მიიღოს გადაწყვეტილება იმოგზაუროს საქართველოში, ფსიქოლოგიურად მოემზადოს, რათა აქ ჩამოსვლის შემდეგ სრულყოფილად შეიცნოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიანში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრამში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ადერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე. საკურორტო სეზონის მოახლოებასთან და ტურისტების სეგმენტიდან გამომდინარე ჩნდება იმის საჭიროება, რომ ქვეყანას უფრო ბევრი საოჯახო ტიპის სასტუმრო ჰქონდეს. დეპარტამენტში განმარტავენ, რომ ყველა სასტუმროს თავისი მომხმარებელი ჰყავს, თუმცა საკმაოდ მაღალია 4-ვარსკვლავიანი ბრენდსასტუმროების დატვირთვა. 2-3-ვარსკვლავიანი სასტუმროების ნაკლებობას კი საოჯახო სასტუმროები ანაზღაურებს. როგორც წესი, ყველაზე დიდი მოთხოვნა საშუალო კლასის სასტუმროებზეა. ამ სეზონზე მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებს და ამიტომაც ბათუმში რამდენიმე ახალი სასტუმრო იხსნება. მათზე მოთხოვნა კვლავაც მაღალი იქნება, რადგან მოსალოდნელია ვიზიტორების რაოდენობის ზრდა. დარწმუნებული ვართ, ვიზიტორების ნაკადი გაიზრდება და 2014 წელს დაახლოებით 18%-იან ზრდას ველოდებით. ჩვენი ვარაუდით, ამ

პერიოდისთვის 4 თვის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 1,4 მილიონამდე გაიზარდა, რაც განვილი წელთან შედარებით 7%-ით მეტია.

საქართველოში ტურიზმის შემდეგ სახეობებს უცილობლად განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია: **კულტურული ტურიზმი**: არქეოლოგია, ისტორია, სოფლის მეურნეობა, ეთნოგრაფია; **სათავგადასავლო ტურიზმი**: მოგზაურობა, მთების დაღამქვრა, თხილამურებით სრიალი, ცხენებით ჯირითი დაა.შ.; **ეკო-ტურიზმი**: ფრინველებზე დაკვირვება, აქტიური ეკო-ტურები; **აგრო-ტურიზმი**; სპეციალური დაინტერესების ტურიზმი (ღვინის მოყვარულთათვისა და გურმანებისათვის, ფოტოგადაღებებისათვის); **საკურორტო და რეკრეაციული ტურიზმი**; შეკრებები და კონფერენციები.

ტურიზმის ეროვნული სააგენტოს პროგნოზით, 2015 წელს კი საქართველოში 5 მილიონი ტურისტი უნდა შემოვიდეს. დამოუკიდებელი ექსპერტები ამ მონაცემებს და პროგნოზსაც საეჭვოს უწოდებენ.



ქვეყანაში შემოსული ტურისტების რიცხვი სატრანსპორტო საშუალებათა ტიპების მიხედვით

ტრანსპორტის ტიპი	2012: პირველი 8 თვე	2013: პირველი 8 თვე	ცვლილება	ცვლილება (%)
საკაერო	284,273	389,781	105,508	37%
სახმელეთო	2,448,821	3,105,853	657,032	27%
რკინიგზა	47,351	45,741	-1,610	-3%
საზღვაო	42,145	27,143	-15,002	-36%

ლიტერატურა:

1. დავითულიანი ც., ტურიზმის გეოგრაფია, 2008.
2. მეტრეველი მ., ტურიზმი, 2003.
3. ჯულაბაშვილი ი., ტურიზმის განვითარების ფაქტორები, 2006.
4. შუბლაძე ვ., საქართველო და ტურიზმი = Georgia & Tourism: სამაგიდო წიგნი, 2004.
5. კოჭლამაზაშვილი ლ., ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, 2004.
6. ხომერიკი გ., ტურიზმი, 2008.
7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა, 2012.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

პირადი უფლებები

თამარ ქერდიყოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

ადამიანის უფლებები კაცობრიობის ისტორიულ და სოციოკულტურულ განვითარებას ერთგვარად აჯამებს. ის ასწლელულებს ითვლის და ძველთაგანვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეთნიკური, რელიგიური და ფილოსოფიური მსჯელობის ყურადღების ცენტრში დგას.

ადამიანი დაბადებიდანვე ფლობს გარკვეულ უფლებებს იგი თავისუფალი და, ამავე დროს, სოციალური არსებაა. მისთვის საზოგადოებრივი ყოფა უმნიშვნელოვანესია. თავისი არსებობის განხორციელებაში ადამიანი სხვებთან თანაარსებობას საჭიროებს, ურთიერთობები კი წესრიგის გარეშე შეუძლებელია. ყოველი ადამიანი იძულებულია ხანგრძლივი წესრიგის სანაცვლოდ გარკვეული უფლებები დათმოს, რათა სახელმწიფო ხელისუფლებისგან დამყარებული წესრიგით საკუთარი სიცოცხლე, უსაფრთხოება, საკუთრება დაიცვას. უფლებებისა და თავისუფლებების ხარისხი კი ადამიანის ღირსეული ყოფიერების მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე - 7 მუხლში აღიარებულია „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს“

ცნება „ადამიანის უფლებები“ და მთელი ეს სისტემა ბურჟუაზიული რევოლუციების დროინდელია. მაშინ, ადამიანის ბუნებითი და ხელშეუვალი უფლებების საკითხი დაისვა მთელი სიმწვავეით. ადამიანის უფლებები თანდათან ვითარდებოდა. იგი კაცობრიობის ბრძოლის შედეგია. ფორმალურ თანასწორობაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციების იდეოლოგიურ ქვაკუთხედად იქცა და მასთან ერთად ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა მთელი სისტემაც.

1789 წლის 14 ივლისს, ბასტილიის აღებით, საფრანგეთის რევოლუციამ სამყაროს ძველი, მონარქიული რეჟიმების დამხობის შესახებ აუწყა და „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“ საყოველთაოდ გამოაცხადა. კაცობრიობამ ახალ ეპოქაში შეაბიჯა, თუმცა ამისათვის სისხლიანი და მტანჯველი გზა აირჩია. ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იდეა, თავდაპირველად, ეთიკურ - ზნეობრივი, სულიერი, კულტურული და რელიგიური ხასიათის გახლდათ. ადამიანის უფლებათა თანამედროვე სისტემაში ძველი აღქმის 10 მცნების ამოცნობა არცთუ ისე რთულია: „არა კაც ჰკლა“ - სიცოცხლის უფლების ეკვივალენტია. „არა იპარო“ - საკუთრების დაცვად აღიქმება.

იუდაიზმის მცნება: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც თავად არ გენდომება, რომ გაგიკეთონ“. ახალი აღქმის პოსტულატი: „რაც გინდათ, რომ გაგოკეთონ თქვენ ადამიანებმა, ასევე თქვენც გაუკეთეთ“, ან თუნდაც მაჰმადიანური დოგმა: „სანამ საკუთარ თავს იმას არ უსურვენ, რასაც საკუთარ ძმას, ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება მორწმუნე“.

ისტორია ადასტურებს, რომ თავისუფლების შესანარჩუნებლად ყოველ თაობას ბრძოლა სჭირდება, რომ ისტორიის გამოწვევას, დაიცვას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ღირებულებები, ნებისმიერი თაობა ადეკვატურად პასუხობს. ადამიანის უფლებები უნივერსალური სამართლებრივი კატეგორიაა და, აქედან გამომდინარე, ისინი ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ადამიანის უფლებები მოიცავს სამ ასპექტს:

1. ხელისუფლება ადამიანის უფლებებით შეზღუდულ ძალაუფლებას ფლობს;
2. ყველა ადამიანი დამოუკიდებლობის განსაზღვრულ საფეხურზე იმყოფება;
3. თითოეული ადამიანი უფლებამოსილია, დაიცვას საკუთარი უფლებები, მეტიც, ძირითადი უფლებებით იზღუდება კანონმდებელი, აღმასრულებელი ხელისუფლება და თვით სასამართლო ხელისუფლებაც კი.

ადამიანის უფლებები სოციალური რეგულირების სისტემაა, რომელიც მორალურ - ეთიკური პრინციპებისა და ნორმებისაგან შედგება. ასეთ ურთიერთობებს სხვაგვარად „ჰორიზონტალურ ურთიერთობებსაც“ უწოდებენ. უფლებები სამართლებრივ ნორმებშია განმტკიცებული და აწესრიგებს

ადამიანის ურთიერთობას ხელისუფლებასთან, სახელმწიფოსთან. სწორედ ესაა ვერტიკალური ურთიერთობები. [1. გვ. 104, 105, 106, 107]

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ამოქმედდა იმავე წლის 25 ნოემბერს. კონსტიტუციის პრეამბულით გაცხადდა საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება - დაამკვიდრონ თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო. კონსტიტუციის საერთო კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, რომლებიც ცალკეულ მუხლებშია ასახული. სამართლებრივი სახელმწიფო წარმოუდგენელია სახელმწიფოს ძირითადი კანონით - კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლების გარეშე.

მოდერნა ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ შუა საუკუნეებში წარმოიშვა. მე - 20 საუკუნეში კი ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია მოიცავდა ე.წ. ძირითად უფლებათა კატალოგს, ანუ სრულ ნუსხას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებებისა. საუკუნეთა განმავლობაში ძირითადი უფლებების განვითარება არ ყოფილა თანმიმდევრული. გავრცელებული მეცნიერული შეხედულების მიხედვით, ძირითადი უფლებები პირველად ინგლისში 1215 წლის 15 ივნისის ცნობილ დოკუმენტში ჩამოყალიბდა. თუმცა ეს დოკუმენტი ძალიან განსხვავდება თანამედროვე დოკუმენტისაგან, რადგან წარმოადგენს დიდგვაროვანთა ფენის მიერ მეფის ხელისუფლებისაგან მიღებულ, მათი უფლებების დამადასტურებელ საბუთს.

ადამიანის უფლებები არასდროს იყო აბსოლუტურად გარანტირებული. როცა სახელმწიფო ხელისუფლება სუსტდებოდა, ამ დროს ძლიერი იყო ადამიანის უფლებათა მოქმედება და გავლენა, მაგრამ ხელისუფლების გაძლიერებისთანავე ხდებოდა მათი შეზღუდვა და ხშირი უფლებებელყოფა. შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ინგლისში მიღებული ორი დოკუმენტი: act of habeas corpus (1679) და bill of Rights (1689). პირველი მათგანი ადგენდა ადამიანის საპროცესო უფლებებს, თავისუფლების აღკვეთის დრო პირდაპირ მიუთითებდა, რომ ადამიანი დაკავებისთანავე უნდა წარედგინათ მოსამართლისათვის. დოკუმენტის მეღება გამოიწვია რამდენიმე შემთხვევამ, რომლებსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მთელ ინგლისში.

პირველი ყველაზე ცნობილი შემთხვევა მოხდა 1621 წელს ლონდონში. ინგლისელ არისტოკრატთა წრეში. ზღვარგადასული გართობითა და დროსტარებით ცნობილი ქალბატონის ალისა რობინსონის ვილაში მიმდინარეობდა ხმაურიანი საღამო. ვილაში პოლიციელი შევიდა ორდერის გარეშე, მისი გაფრთხილების მიუხედავად ხმაური არ შეწყდა, რის გამოც მან დააპატიმრა ქალბატონი: ალისა რობინსონი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ წარუდგინეს სასამართლოს. სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა ციხეში მის მიმართ სასტიკი მოპყრობის დეტალები. გაირკვა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას საკვებად მხოლოდ მშრალი პური და წყალი ეძლეოდა, ეძინა სველ მიწაზე. ერთხელ კი, შიშველი როზგითაც სცემეს. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის იყო, რომ ქალბატონი ფეხმძიმედ იყო. საზოგადოების პროტესტი იმდენად მწვავე იყო, რომ ალისა უდანაშაულოდ სცნო სასამართლომ. პოლიციელი დააპატიმრეს და ორდენის გარეშე ადამიანის საკუთრებაში შესვლის გამო საპყრობილეში მოათავსეს. მეცნიერ - იურისტთა გაბატონებული შეხედულებით ძირითად უფლებათა აღიარებულ პირველ სრულყოფილ დოკუმენტად ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაცია (virginia bill of rights) ითვლება. ამ დოკუმენტში ნათლად ირეკლება ბუნებითი სამართლისა და განმანათლებლობის იდეები, რომელთა მიხედვითაც, ადამიანი თავისუფალი ინდივიდი, სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარი ფიგურაა.

მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა განმტკიცება მოხდა მონარქთა აბსოლუტურ ბატონობასთან ჯერ კიდევ დიდგვაროვანთა, შემდეგ კი მოსახლეობის ფართო ფენების მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად. გერმანიაში, სადაც 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ფრანკფურტის წმ. პავლეს ტაძარში შეკრებილმა ე.წ. კრებამ ეკლესიაში შეიმუშავა ძირითადი უფლებების ვრცელი კატალოგი, მაგრამ ის პრაქტიკულად მნიშვნელობის გარეშე დარჩა. იმპერიის 1871 წლის კონსტიტუციამ უარი თქვა ძირითად უფლებებზე. მხოლოდ ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციაში აისახა „გერმანელთა ძირითადი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები” 1949 წლის 23 მაისის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში კვლავ განისაზღვრა ძირითად უფლებათა კატალოგი. დღეისათვის ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციები აღიარებენ და უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებს.

უამრავი საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით, ასევე აღიარებულია ადამიანის უფლებების უდიდესი მნიშვნელობა, მათ შორის: გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის შესახებ და აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (osce) დასკვნითი აქტებით (1975, ჰელსინკი)

საქართველოში კი ადამიანის ძირითად უფლებებს მცირე ხნის, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს. პირველი ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, ისევე, როგორც მთლიანად კონსტიტუცია, ადამიანის ძირითად უფლებათა ნაწილიც საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და იმდროინდელ სამართლებრივ სტანდარტებს სრულიად შეესაბამება. კონსტიტუციაში მოცემულია ადამიანის უფლებათა საკმაოდ ვრცელი კატალოგი, კონკრეტულად კი უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობა, პიროვნების ხელშეუხებლობა, მიმოსვლისა და ბინადრობის თავისუფლებები, ბინისა და საცხოვრებლის, მიმოწერის ხელშეუხებლობა, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები, აზრის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება და გაერთიანებათა თავისუფლება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში დადგენილი საპროცესო ძირითადი უფლებები (მუხლები 20-26), რომლებიც დეტალურად აწესრიგებენ სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის საკითხებს. [2. გვ. 18, 26, 27, 28, 30,31.]

მუხლი 14 (საქართველოს კონსტიტუცია) ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ეთნიკური და

სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს კონსტიტუცია: მუხლი 15: 1) სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. 2) სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 16. ყველას აქვს უფლება საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარებისა უფლება.

მუხლი 17: 1) ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. 2) დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. 3) დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

ეს იყო იმ ვრცელი კანონების მცირე მიმოხილვა, რაც კონკრეტულად საქართველოს კონსტიტუციაში წერია [3. მუხლი 14, 15, 16, 17]

კონსტიტუცია კი სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, კონსტიტუცია აყალიბებს სახელმწიფოს სრულყოფილ კონსტრუქციას. კონსტრუქცია კი განსაზღვრავს სახელმწიფოს კონკრეტულ წესრიგს, სახელმწიფოს მიზანს, ხელისუფლების სამართლებრივ ჩარჩოებს და ადამიანის ძირითად უფლებებს [8 გვ. 141]. კერძო სამართლით დაცულია ინდივიდის პიროვნული უფლებები. ეს ისეთი აბსოლუტური უფლებებია, რომლებიც ყველა ადამიანს აქვს და რომელთა მემკვიდრით ხდება მისი ღირსების, პატივისა და ინდივიდუალობის პატივისცემა. კერძო სამართლით დაცული ინდივიდის პიროვნული უფლებები არის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნების პატივისცემისა და მისი ინდივიდუალობის (იდენტობის) გამომხატველია. ეს უფლებები ადამიანის, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სტატუსს განამტკიცებენ.

ამავე დროს, პიროვნული უფლებების მიზანია ადამიანის პიროვნების სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთა. ისინი უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსების, პატივისა და ინდივიდუალობის ხელშეუხებლობას. პიროვნების ინდივიდუალობის დაცვის გამოვლინებაა, მაგალითად, ადამიანის სახელის, გამოსახულების, პირადი ინტიმური სფეროს, აზრის ფორმირებისა და გამოხატვის უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული უფლებები. მიზანშეწონილია ერთგვაროვანი ტერმინოლოგიის გამოყენების მიზნით „პიროვნული უფლებების“ ცნების დამკვიდრება და მისი გამოიჯვნა „არამატერიალური ქონებისა“ თუ „ქონებრივი უფლებებისგან“ . საქართველოს კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში პიროვნული უფლებების გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვნება შეინიშნება და ისინი ნაკლებად თანმიმდევრულად გამოიყენებან..

საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუცია იცნობს „პირადი უფლებების“ ცნებას, რომელსაც კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრისას იყენებს. იურიდიულ ლიტერატურაში იყენებენ ასევე ტერმინს, „პიროვნულ უფლებებს“ ამ ტერმინის უპირატესობა სწორედ „პიროვნების“ ხაზგასმაა. ყველა სხვა ტერმინში სიტყვა „პირადის“ გამოყენება ნაკლებად მკაფიოს ხდის ამ უფლებებს სხვა „პირადი“ ანუ, რეალურად, ნებისმიერი სუბიექტური უფლებისაგან გამიჯვნას. [4. გვ. 97,131, 132, 133]

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტერმინში „კერძო“ მოიაზრება პირის კუთვნილი, ის, რასაც არა აქვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათი, რაც დაკავშირებულია პიროვნების მოქმედებასთან, საკუთრებასთან, ის, რაც თვითონ პიროვნებას ეხება, პირადი პირადია, ის, რაც მხოლოდ ერთ პირს ეხება. ოქსფორდის ლექსიკონის თანახმად, კერძო ცხოვრება არის 1) საჯარო

ინტერესისგან განმარტოებულად ცხოვრება. 2) კერძო ან ფარული ადგილი, კერძო ოთახები. 3) არასაჯარო. 4) კერძო საიდუმლოება, პირადი საქმე ან ურთიერთობები. 5) ინტიმური ურთიერთობები. 6) ადგილის თვითონ არჩევა. პირადი ცხოვრების განსაზღვრისას უნდა გაირკვეს საკითხები: ცხოვრობს პირი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად? ეგუება იმას, რომ თავისი ცხოვრებით არაა კმაყოფილი? მნიშვნელოვანია ცხოვრების სტილის წარმოდგენაც, კერძო და პირადი სფეროები არაა თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით გამიჯნული, რაც ქმნის პირადი ცხოვრების დაუცველად დატოვების საფრთხეს. ამას ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკაც. სწორედ პირადი სფეროს დასაცავად მნიშვნელოვანია ზოგადი პიროვნული უფლების არსისა და როლის დადგენა. [9. მიხეილ ბიჭიას ნაშრომი „პირად უფლებებზე“]

პიროვნულ უფლებას მოიხსენიებენ „უხილავ დაუწერელ ძირითად უფლებად“ რომელსაც სასამართლო სამართალმა უწოდა „დანარჩენი უფლება“ (sonstiges Recht) ან განიხილება ჩარჩო უფლებად.

ზოგადი პიროვნული უფლება შვეიცარიის, ლიხტენშტეინისა და ავსტრიაში სამოქალაქო კანონმდებლობაშია გამყარებული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი თვითონ არ შეიცავს პიროვნული უფლების ინსტიტუტს, თუმცა გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლი იცავს ადამიანის ღირსებას, ხოლო მეორე მუხლი პიროვნების თავისუფალ განვითარებას. საგულისხმოა, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირადი არაქონებრივი ინტერესების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის სრულყოფის გარშემო ვითარდებოდა ორი იდეა: ა) პირადი არაქონებრივი უფლებების სიმრავლის შესახებ თეორია, რომელიც აღიარებდა ყველა ახალ პიროვნულ უფლებას; ბ) ზოგადი პიროვნული უფლებების კონცეფცია, რომლის მიხედვით კანონმდებლობამ უნდა დაიცვას არა ცალკეული პიროვნული უფლება, არამედ ზოგადი პიროვნული უფლება.

საქართველოს კანონმდებლობა სწორედ პირველ თეორიას ეფუძნება. საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ახდენს პიროვნების თავისუფალი განვითარების კონკრეტუზაციას ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის აბსოლუტურ, სრულ დაცვას უზრუნველყოფს. ამასთან კერძო ცხოვრების საიდუმლოება არის დაცული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში. ინფორმაციული კერძო სფერო, რომელიც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინების ფორმაა, გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-18 მუხლში პერსონალური მონაცემების დაცვის სახით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სხვადასხვა მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსით ისევე, როგორც კერძო ცხოვრების სხვა მომენტებიც. საგულისხმოა, რომ საპროცესო კანონმდებლობაც იცავს პირადი სფეროს ცალკეულ ასპექტებს და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილეთა თუ მესამე პირთა საიდუმლოების დაცვაზე. აქ საყურადღებოა ადვოკატსა და კლიენტს, ექიმსა და პაციენტს, ნოტარიუსსა და უბრალო მოქალაქეს შორის არსებული ფიდუციარული ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი პროფესიული საიდუმლოების დაცვა. („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ა“, „ჩ“ პუნქტები და მე-4 მუხლის „ბ“ და „ვ“ პუნქტები, „ ადვოკატთა შესახებ “ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი, მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები.)

სწორედ თვითრეალიზაციის უფლებას იცავს ზოგადი პიროვნული უფლება, ამასთან, პიროვნული უფლების შინაარსი ვრცელდება ეკონომიკურ სფეროზეც. ეკონომიკური ღირებულება აქვს გამოსახულებას, სახელს, სხვა ინდივიდუალურ ნიშნებს, როგორცაა ხმა. აქ აშკარაა, რომ კერძო ცხოვრების ქონებრივი საწყისები არის სამართლებრივად მოწესრიგებული. საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანია უფლების აღიარება და უფლება, არ ხელყო პიროვნება. საქმე, ერთი მხრივ, ეხება ცხოვრებაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივისცემაზე პირის უფლების ცნობას: მერე მხრივ, ადამიანის ინდივიდუალობა უნდა იყოს დაცული. ამდენად, პიროვნულია უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას, თავისი ფიზიკური, სულიერი და გონებრივი არსებობის, ყოფიერების წესს შეეხება. საერთოდ, ზოგადი პიროვნული უფლება პირველსაწყისი უფლებაა, რომლიდანაც სპეციალური სპეციალური პიროვნული უფლებები გამომდინარეობს. განსაკუთრებული პიროვნული უფლებებია სახელის, ავტორობის, პიროვნული მონაცემებისა და პატივის დაცვის უფლებები.

სახელის, პატივის, პერსონალური მონაცემების (და სხვათა) დაცვის უფლებები ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლინებანია, რაც ლოგიკის მოთხოვნებს პასუხობს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად არაა სამართლებრივად დაცული სხვადასხვა განსაკუთრებით პიროვნული გამოვლინება, ისინი მოწესრიგებულია მორალის ნორმებით. ამდენად, როცა არაა პიროვნული უფლებები ყოველმხრივ დაცული და შესაძლებელია ახალი

პიროვნული უფლებების წარმოშობის გამო სამართლებრივი ნორმები უსაზღვროდ გაიზარდოს, საქართველოსთვის აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლებების აღიარება. [9]

სამოქალაქო სამართალში უფლებაუნარიანობის დამკვიდრება დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლებასა და იმის აღიარებასთან, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი მექანიზმით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის მისი უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იგი განსაზღვრული წინაპირობაა კონკრეტული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოსაშობად. ამ გაგებით, უფლებაუნარიანობა შეიძლება პირად უფლებათა რიგს მიეკუთვნოთ და სავსებით ლოგიკურად ჩაითვალოს კანონის მოთხოვნა, რომ ფიზიკურ პირს არ შეიძლება წაერთვას უფლებაუნარიანობა. უფლებაუნარიანობისა და კონკრეტული სამოქალაქო უფლებების თანაფარდობის გარკვევისას, მხედველობაში მისაღება ის გარემოება, რომ უფლებაუნარიანობის შინაარსის მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული სამოქალაქო უფლებისა. [5. გვ. 138]

ძირითადი უფლებები პერსონალურ პრეტენზიას (მოთხოვნას) წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს: ყველას, ვინც ფიქრობს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ დარღვეულია მისი ძირითადი უფლება შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. (მუხლი 89. პუნქტი 1, ქვპ. „ვ“) ეს კი, თავის მხრივ ნიშნავს, რომ ძირითად უფლებებს პატივი უნდა სცენ არა მხოლოდ მათ, ვინც ვალდებულია (საჯარო ხელისუფლება) არამედ, თვით ამ უფლებებით აღჭურვილმა ადამიანებმაც. ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს უფლება თვითნებურად შეაწუხოს ან რაიმე უპირატესობა მიანიჭოს მოქალაქეს.

ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1. თავისუფლების უფლებები: თავისუფლების უფლებების მიზანია, უზრუნველყონ ადამიანისათვის სახელმწიფოსაგან თავისუფალი სფერო. მათ ე.წ. „ნეგატიური სტატუსი აქვთ“.
2. სამოქალაქო უფლებები: ძირითადი უფლებების პირველი კატალოგები თავისუფლების უფლებებთან ერთად შეიცავდა ე.წ. „აქტიურ სტატუსს“.
3. სოციალური უფლებები: სოციალური უფლებების პირველი ფორმულირება მოხდა მე-19 საუკუნეებში. ე.წ. ძმობის სულის გავლენით. ეს უფლებები, რომლებსაც ე.წ. „პოზიტიური სტატუსი“ აქვს, ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდება.

ძირითადი უფლებების უკეთ შესასწავლად მიზანშეწონილია მათი დაჯგუფება დაცული სამართლებრივი სიკეთის მიხედვით.

ა) თავისუფლების უფლებები: ძირითადი უფლებების უმეტესი ნაწილი ე.წ. თავისუფლების უფლებებს წარმოადგენს.

ბ) თანასწორობის უფლებები: თანასწორობის უფლებები წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ სახელმწიფო თანასწორად მოეპყრას თავის მოქალაქეებს.

გ) საპროცესო უფლებები: საპროცესო უფლებები, რომლებსაც „მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც“ უწოდებენ, უპირველესად უზრუნველყოფს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, დაცვის უფლებას, აგრეთვე განსაზღვრავს დაკავებისას დაპატიმრებისას და თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძველებს. [2. გვ. 39, 40, 41, 43, 44, 45.]

საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს; იმავედროულად აღიარებულია ისეთი ძირითადი უფლებებიც, რომლებსაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ფლობენ. ამ დაყოფის მიხედვით პირველი ჯგუფის უფლებებს ეწოდება ადამიანის უფლებები, მეორე ჯგუფისას კი – მოქალაქის უფლებები.

საქართველო აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც ადამიანის ბუნებრივ (ბუნებით) უფლებებს, რომლებიც მას აქვს იმიტომ, რომ ადამიანია. ეს უფლებები ადამიანის დაბადებასთან ერთად წარმოიშობა, ზოგიერთი მათგანი კი ჯერ კიდევ დედის წიაღში მყოფ ნაყოფს აქვს და ამ უფლებების განხორციელება დამოკიდებულია მის დაბადებაზე. შესაბამისად სახელმწიფოს არ შეუძლია წაართვას ან მიანიჭოს ისინი ადამიანს. [2] მაგალითად: სამ თვემდე ჩანასახი ითვლება ემბრიონად, ხოლო სამი თვიდან - ნაყოფად. მათ შორის რაიმე სამართლებრივი განსხვავება არ არსებობს. წესი, რომ „უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე“ ეხება ორივეს.

მართალია, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა დაბადებისთანავე იწყება, მაგრამ სამოქალაქო სამართალი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს; კონსტიტუციური სამართალი ჩასახულ ბავშვს ძირითადი უფლებების სუბიექტად აღიარებს. ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო სამართალშია განმტკიცებული, ოღონდ სხვადასხვა ფორმით.

ძირითადი უფლებები თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის დამცავ უფლებებს, მიმართულს სახელმწიფოს (შესაბამისად სახელმწიფოს ყველა ორგანოსა თუ საჯარო - სახელმწიფოებრივი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებების) მხრიდან მათი (ფიზიკური პირების) ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის წინააღმდეგ. შესაბამისად ძირითადი უფლებები განსაზღვრავს ინდივიდსა და საჯარო ხელისუფლებას შორის ურთიერთობას და ამ პრინციპებთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ სახელმწიფო ყოფილიყო ამ უფლებების მფლობელიც და ადრესატიც. [5. გვ. 62, 132, 133].

ცალკეული ძირითადი უფლებების რიგს კი მიეკუთვნება:

- ადამიანის ღირსება, რომელიც უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა (მუხლი 17);
- პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. (მუხლი 16);
- თვითგამორკვევის უფლება - ეს უფლება მოიცავს ყოველი ინდივიდის უფლებას საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე, საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლებას.

საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლება ნიშნავს თითოეული ინდივიდის თავისუფლებას, თავად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევებისაგან შეიგრძნოს და განსაზღვროს საკუთარი პიროვნება ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, აგრეთვე განსაზღვროს საკუთარი სახელი, სქესი, შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო.

41-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებში არსებულ ინფორმაციაზე საქართველოს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის საკითხს.

- პირადი ცხოვრების უფლება (სფეროთა თეორია) ე.წ. „სფეროთა თეორიის“ საფუძველზე ადამიანს იცავს არასასურველი ჩარევებისაგან ეს უფლება გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით.
- თვითგამოსახვის უფლება - ყოველი ადამიანი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს, როგორ წარსდგეს სხვა პირთა წრის წინაშე.
- სიცოცხლის უფლება - სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს. სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება. იგი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას. [6. მუხლი 2. პ. 1. 2.]
- ფიზიკური ხელშეკრულობის უფლება - არის ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე. იგი სიცოცხლის უფლების მსგავსად, დამცავი უფლებაა და უპირველეს ყოვლისა იცავს ადამიანის სხეულს დაზიანებისაგან.
- ადამიანის თავისუფლება - ეს უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში.
- რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება - მუხლი მე-19 და საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლები დაწვრილებით აღწერენ ამ უფლების შინაარსს [3. მუხლი მე-9 და მუხლი მე-19]
- პირადი ცხოვრების მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები - ეს უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით.
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილია თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობის საფუძველი - საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, „ქონება“ არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. [7. გვ. 38]

- მიმოსვლის თავისუფლება - საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფიზიკურ პირთა მიმოსვლის თავისუფლება.
- ხელოვნების თავისუფლება (მუხლი 23)
- დღესდღეობით კი ყველაზე აქტუალური უფლებაა პრესის თავისუფლება. „პრესის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი მოიცავს ყველა ცნობას ინფორმაციას და აზრს, რომელიც იბეჭდება ან სხვაგვარად ვრცელდება. [2 გვ. 92-დან 251-ის ჩათვლით] [3 მუხლები მე-16, მე-17, მე-20, 21-ე, 23-ე, 25-ე]

თემის დასასრულს განვიხილოთ ის ძირითადი უფლება, რომელიც განგვასხვავებს სხვა ქვეყნებისაგან იმით, რომ საქართველოში არსებობს ბევრი პოლიტიკური პარტია, რაც გამოწვეულია იმ უფლების გაძლიერებით, რომელიცაა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, შეკრებების თავისუფლების უფლებით სარგებლობენ როგორც ფიზიკური პირები, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა, ისე იურიდიული პირები, რაც გამოიხატება სიტყვებში: „ყველას აქვს უფლება“. არსებობს კიდევ მთელი რიგი უფლებებისა

როგორებიცაა: გაერთიანების, არჩევნების, განათლების, შრომის, საკუთრების, სოციალურ ეკონომიკური და კულტურული უფლებები [1. გვ 162]

ადამიანის უფლებათა დაცვა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და დემოკრატიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. დარღვეული უფლებების აღდგენა ადამიანისაგან გარკვეულ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვს. ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა იურიდიული მექანიზმების დახვეწასა და სრულყოფას, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლასაც კი იწვევს. შემდეგ კი ის არის, რომ ყოველი თაობა უფრო მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე წინა თაობები. ადამიანი, რომელმაც არ იცის, თუ რა უფლებები აქვს და როგორ უნდა მოითხოვოს მათი დაცვა-აღდგენა, მოსალოდნელი, უფრო გახდეს უფლებათა დარღვევის მსხვერპლი, ვიდრე ის, ვინც სწვდება შელახული უფლებების არსს, იცის თუ რა უნდა მოიმოქმედოს მათ აღსადგენად: ვის, სად და როდის მიმართოს, როგორ გაუმკლავდეს უსამართლობას. ადამიანის უფლებათა ცოდნა არჩევანის თავისუფლებასაც გულისხმობს, ყველა ადამიანი თვითონ წყვეტს, უღირს დარღვეული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა, თუ არა. საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაზე უარი არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ეს უფლება ჩამოერთვა და აღარ გააჩნია.

ლიტერატურა:

1. გ. ბუროუსი, ზ. რუხაძე, მ. კვაჭაძე, ლ. გაფრინდაშვილი, ლ. იზორია, დემოკრატია და მოქალაქეობა , USAID, 2011.
2. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, ჯისიაი, 2003.
3. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. 24 აგვისტო.
4. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.
5. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997.
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 2006 წლის 9 ივნისის დადგენილებით.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, გამოცემულია 2014 წლის 10 მარტის მდგომარეობით.
8. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, „მერიდიანი“, თბილისი, 2004.
9. მ. ბიჭია, ზოგადი პიროვნული უფლება და პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი ინტელექტუალი, №18, 2012

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა

იმერული ლექსიკა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მიხედვით

მარიამ კვანძიძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე აღიარებულია სიტყვის, გამართული დიალოგების დიდოსტატად. მან შემოიტანა სრულიად ახალი სტილი და მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დღეს ქართული ენის სიმდიდრეა.

დღეს მისი მრავალფეროვანი შემოქმედება ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მის ნააზრევში ასახულია ჰუმანიზმი, ინდივიდუალურობა, უნივერსალიზმი, ადამიანის სულის სიდიადე და სილამაზე. მშობლიური კუთხის სიყვარული მწერლის ყველა ნოველაში, მინიატურაში

ღირსსაცნობია და გამორჩეული. ამჯერად საკვლევად ავიღეთ მწერლის სამტომეულიდან პირველი ტომი, რომელიც საგამომცემლო ჯგუფმა გამოსცა 2012 წელს.

მწერლის თხზულებების ენაში დიდ როლს თამაშობს იმერული დიალექტური ლექსიკა, ასევე არქაული, რომელიც მწერლისთვის მშობლიური გარემოა. გამორჩეულია იმერული გამოთქმები, იმერული ყოფითი რეალობა და მათთან დაკავშირებული ლექსემები, სხვადასხვა ხასიათის ლექსიკა.

სამეურნეო-ყოფითი რეალობისა და მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების შესანიშნავი ჩამონათვალია მოთხრობაში „კერიასათვის“:

- სპილენძის ქვაბში, მთავარი
- მისივე ტაშტი
- ერთი თითბრის ტაშტი
- ერთი თუნუქი სპილენძი
- ექვსი კაბა
- ორი იუბკა პირველისა
- ოთხი კოფთა
- სამი პერანგი
- სამი მისი ამხანაგი და მრავალი სხვა.

ბაწარი - ასეთი ლექსიკური ერთეული რამდენჯერმეა მოხსენიებული მოთხრობაში „ბუმბერაზი“. ქეთევან მოწინიძის „ზემოიმერულ ლექსიკონში“ ასეა ის განმარტებული: ბაწარი- თოკი, ბაწრით საქონელს აბამენ, სარეცხსაც კიდებენ. სულხან - საბასთან კი ასეა განმარტებული - სვილი ღაზლა ქალამნისა.

ჭვირთი - ჭვირთი კი არა მთელი ზვინი მიაქვს, მწერალთან ეს ერთეული აღიქმება, როგორც ტვირთი, თვის ნაწილი, რომელიც იმერული დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

დამსილი, შენ დაუმსებ ოჯახს. როგორც ამ ერთეულიდან ჩანს, ის აღნიშნავს გაღარიბებულ ოჯახს სხვადასხვა ვარიანტით - დავსილი, დამსილი, დოვსილი.

ღელე, ღელეები გველის წიწილებივით იკლაკნებიან. ღელე არის საერთო ლექსიკური ერთეული ქართლურ და იმერულ დიალექტებში. სულხან - საბასთან კი ის ასეა განმარტებული: ღელედ ითქმის ხევი მცირე, ხოლო ღულე მისი უდიდესი ღელე ხმელი თვინიერ ღვართასა, ხოლო ხრამი დიდი და უღრმე და ფრიად კლდოვანი.

შალვარი, შალვარი დამეხა ღობეზე ძრომიალით („მრისხანე ბატონი“). საბასთან ვკითხულობთ - შალვარი ბერძნულია ქართულად ორკეცა როჰნაგი ჰქვია და გარე ამოსაცემელია. შარვალი ბერძნულია, ქართულად საწმერთული ეწოდების.

ჭური („რუმბი“). ამ მოთხრობაში რამდენჯერმეა გამეორებული აღნიშნული სიტყვა, რომელიც იმერულში ახლაც გამოიყენება, როგორც ქვევრის სინონიმი. სულხან-საბა თავის ლექსიკონში ასე განმარტავს: ქვევრი, ჭური ეწოდების ტყბილსა საცავსა, ხოლო ტყბილი და ტკბილი მახლობელ არიან, რამეთუ ერთისა ასოთი განიყოფებიან. ტყბილი ეწოდების წვენსა ყურძნისასა, ხოლო ტკბილი ჩაფლთა და ყოველთა მისთანათა. ჭური ეწოდების საცავსა ტყბილისასა და კვალად ჯაჭავითა და ჯავშნითა, რომელ არს საცავი სხეულისა და სულისა, რომელ არს ყოველსა უტკბოსი. ქვევრი და ყვიბარი, ქოცო ყოველივე ჭური არის.

„დაგვალევიე ერთი ყლანტი. ყლანტი იმერულ დიალექტში სასმელს, კერძოდ, ღვინის შესმას ნიშნავს. სულხან-საბა ასე განმარტავს: ყლანტი-ყლუნტი ერთ უმაღლ ჩანთქმა.

ჩაფი ღვინო დაცალა. ეს ლექსიკური ერთეული საბასთან ნიშნავს: კოკის ნაოთხალს, ანუ მეოთხედ ნაწილს.

ყასაპი აქნის ნაჭერ-ნაჭერ, ასო-ასო დაჭრის („მრისხანე ბატონი“). ასე გადმოგვცემს - ირემი გაატყავა, აყასპა და დაამთო ცეცხლი. სულხან-საბას ლექსიკონში ამ ტერმინს ორი განმარტება აქვს - ყასაპი, კასაპი.

ხარატულა იმერულ ლექსიკონში ასე გადმოგვცემს: ტიკის ნახვრეტებში ჩასმული პატარა, მრგვალი ამოდარული ხის საცობი - პოლორჯიკი. რუმბისთვის კამეჩს დაკლავდნენ, უმაღლ მის ტყავს მოკუპრავდნენ, ამოკერავდნენ და ჩაასხავდნენ ღვინოს შიდ. ჭიპთან უკეთებდნენ ხარატულას, ჩამოსასხმელს თითი ქვიოდა. ხარატულა ქოთნის სარქველს გავს, ხელის მოსაკიდებელი აქვს შუაში, მოხარატებულია. სულხან-საბასთან განმარტებულია სიტყვა ხარატი, რომელიც ჭურჭლის მხეწელია. შესაძლებელია სიტყვა ხარატულაც ამის მიხედვით იყოს დარქმეული.

ხაპი მზადდება თიხისაგან, არის უტარო ჭურჭელი, ძირითადად წყლისთვის გამოიყენება.

ტკბილი არის ყურძნის წვენი, იმერული დიალექტით ტკპილი, რომლითაც ფელამუში - ფელამუში მზადდება. სულხან-საბა ასე განმარტავს - სატკბური, სიტკბო, სიტკბოება, ტკბილი, ტყბილი.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები, მოთხრობები, ნოველები გამოირჩევა ლექსიკასთან დაკავშირებულ ტერმინთა სიუხვით. ეს განსაკუთრებით ეხება სამხიარულოს, ღვინოს, სიყვარულს, რაც ყველასთვის ანგარიშგასაწევია როგორც დიალექტურად, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

მწერლის შემოქმედებითი ენა არსებითად თანამედროვე სალიტერატურო ქართულია, ხოლო დიალექტური გამოთქმები (კერძოდ, იმერული ლექსიკა) სტილური ფუნქციითაა გამოყენებული. მართალია, ასეთი ფორმები სხვა მწერლებთანაც არის, მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძეს ისე აქვს დიალექტური ფორმა შეზავებული სალიტერატურო ენასთან, ისე ოსტატურად იყენებს მათ დიალოგებში, რომ ძნელდება, მათ დიალექტურის როლი მივანიჭოთ. დიალექტური ფორმა ხშირად კარგავს თავის ფუნქციას და სალიტერატუროს ფუნქციით ივსება. მწერლის ენის, სტილის, ლექსიკის შესწავლა კი კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ანტონიმებიდან მაინც უნდა დავასახელოთ რამდენიმე ფორმა, რომელსაც ლექსიკურ - დიალექტური სახე აქვს. გინდა დაგასახლებ, გინდა ავყრი თქვა, უძილობამ და ტატყუნმა გააღვიძა და სხვა.

ნიკო ლორთქიფანიძის მრავალმხრივი შესწავლისას უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ბრწყინვალედ წარმოადგინა ქართული სიტყვა თავისი მრავალმხრივი ნიუანსებით. მისთვის დამახასიათებელი იყო ლაკონიზმი, მკვრივი სიუჟეტი. ხანდახან სიტყვათა ქაოსური განლაგებაც კი აღტაცებას იწვევს, ეს კი ძირითადად დიალოგებში ხდება.

იშვიათად არის გამოყენებული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ასევე მომჭირნედ –სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები.

ლიტერატურა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, 1982.
2. ნ. ლორთქიფანიძე, პროზა, ტომი პირველი, თბ., 2012.
3. ნ. ლემონჯავა, მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.

ერთი არაქართული სიტყვის კვალდაკვალ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში

ნინო ონიანი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი**, პროფესორი

საუკუნეთა განმავლობაში ყიზილბაშების, სპარსელების, არაბების თუ ოსმალების ლაშქრობების ფონზე ქართულ სალიტერატურო ენაში მრავალი არაქართული სიტყვა შემოდის და მკვიდრდება. ქართულ ენაში განსაკუთრებული ინტენსიობით ინერგება აღმოსავლური ენებიდან (ირანიზმები, თურქიზმები, არაბიზმები) მომდინარე სიტყვები. ცნობილია, რომ თეიმურაზის (1589–1663) პოეზია აშკარად ამჟღავნებს სპარსოფილურ ტენდენციებს. პოემა „ლეილმაჯნუნთანში“ იგი წერს:

„სპარსთა ენისა სიტკობიან მასურვა მუსიკობანი,

მძიმეა ენა ქართველთა – ვერ ძალმძის მისებრ თხრობანი, (4; 24) მათ შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მზობანი,

აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი.“

აღბათ, სპარსული ენის სიტკობითი გატაცების დასტური უნდა იყოს მაცხოვრის სახელის მოხსენიება არაბული ჟღერადობით – „ისა“, რომელიც თეიმურაზის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ გვხვდება:

„ჰო მე, რა ცუდათ დამაშრო ზრუნვამან ამ სოფლისამან,

ჰო მე, რაღა ვქნა გარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან, (4; 15)

ჰო ჯოჯოხეთის მლოდნელმან, შიშმან და ზარმან მისამან,

ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამოიხსნას ისამან?“

საყურადღებოა, რომ პოემაში ამ მონოლოგს შირაზის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფალი წარმოსთქვამს.

თეიმურაზ მეფისაგან განსხვავებით მეფე პოეტმა არჩილმა (1649–1713) სპარსოფილური მიმდინარეობის წინააღმდეგ მკვეთრად აღიმაღლა ხმა და ეროვნული, ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად მოგვევლინა. მან ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ახალ მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სპარსოფილურ ტენდენციებს ცხოვრების ყველა სფეროში. აი, რას აცხადებს იგი პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდი სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით! (4; 268)

იესო ქრისტე ვის არ გრწამს, მიკვირს, სხვას ღმერთსა ესავით.
თუ იგ არ შეგწევს, ცუდია, მარტო ვერას ვიქთ ესავით.“

სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის მგომბელი არჩილი იცავდა ქართული ენის სიწმინდეს და ლექსში „სამიჯნურონი“ ასე იწონებდა თავს იმითი, რომ არ იყენებდა ბარბარიზმებს:

„მკითხველ–მთარგმნელნო, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამირთმევია,
ჩემი და ჩემაგიერად, არვისთვის წამირთმევია; (4; 301)

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია.

ვიცი შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირევია.“

არჩილ მეფის ამ სიტყვების შემდეგ კი თეიმურაზისგან განსხვავებით ნამდვილად უცნაურად ჩანს მის მიერ პოემაში – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ – მაცხოვრის არაქართული სახელის გამოყენება:

„შეუზახე: ჩემნო ყმანო, თავნი თქვენნი ისაამეთ,
მოიგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ, (4; 208)

არ ისმინოთ ესე სიტყვა, მიჟამშიგ მეღადამეთ,

მათ რომ შუბი ჩვენთვის სწადის, ბარემ თქვენნი თქვენვე დამეთ.“

პოემის ამ სიტყვებით თეიმურაზ პირველი მიმართავს ქართველ მეომრებს. ამის გათვალისწინებით შეიძლება ამ სიტყვის გამოყენება იმით გაგვემართლებინა, რომ მას სპარსული ენის სიტყვებით მოხიბლული თეიმურაზი წარმოთქვამს, მაგრამ როცა არჩილი რუსთაველსაც ამავე ფორმით მოახსენიებინებს მაცხოვრის სახელს, ამას უკვე ახსნა ვეღარ ეძებნება:

„დავითის ნათესავი ხარ, წართმა გასწავლა სხვისა მან,
ვის ერთი ჰყავდა, წაგვარა პატრონმან ბევრის სხვისამან, (4; 149)

მაგრამ მან შეანანია, უჩვენა ცა რისხვისა მან.

რას მერჩი, რას გადმეკიდე, სამართალი ქნას ისამან.“

კიდევ უფრო უცნაურია მაცხოვრის სახელის არაქართული ფორმით მოხსენიება დავით გურამიშვილის (1705–1792) პოემაში – „დავითიანი“. დავითის პოეზიაში მძიმე განსაცდელში მყოფ ქართველთა უღრმესი სულიერი ტკივილებია ასახული და ღრმა რელიგიური განწყობილებებითაა დატვირთული. როგორც ცნობილი კრიტიკოსი სარგის ცაიშვილი წერს, პოეტი მრავალფეროვან სიმბოლო-ეპითეტებს მიმართავს ქრისტეს შესაფერი გამოსახვისათვის. კერძოდ: ქრისტე – „ნათელი“, უმანკო მტრედი, გვრიტი, უცნაური მზე, მარადი დღე, გამოუთქმელი ნათელი, მესია, ქუხილის ისარი. სწორედ ქრისტიანული სიმბოლიკა აძლევს პოეტს მასალას იმისთვის, რომ ასეთი მშვენიერი სიმბოლო-მეტაფორებით განგვაცდევინოს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების სიდიადე. თუმცა ამ შესაძლებლობათა მიუხედავად გურამიშვილი, ეს უდიდესი ქრისტიანი პოეტი მაცხოვრის სახელს არაქართული ფორმითაც იმოწმებს. დავით გურამიშვილის თხზულებათა სრულ კრებულს (რომელსაც ჩვენ ვიმოწმებთ) დართული აქვს იგ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც ვკითხულობთ: „ისა“– იესო ქრისტე (არაბ–სპარს–თურქ ხალხთა გამოთქმით) ზოგჯერ პოეტი ასეთი ფორმითაც იხსენიებს იესო ქრისტეს. მართლაც, დავითიანის 153–ე სტროფში ვკითხულობთ:

„ვერ გაუმაგრდენენ, ოდესაც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი,
ნება ყვეს თვისთა მერჩოლთა, არვინ ინება რჩოლანი! (1; 84)

გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაჭასთან შექნეს რბოლანი,
ყმაღ წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი!“

ხოლო დავითის შესხმის IX–X სტროფებში ამავე სიტყვას ამ ფორმით ვხვდებით:

„დავით ისამა, მან განისამა,

არამთუ იგი ერთი დაკარგა;
ზობლინით, ებნითა, ჰპოვა ძებნითა,
სამად ერთი მზე მოგვფინა კარგა.
როკვით–სამეზით, ცხონდა სამეზით,
თქვა თუ: დასია ღმერთად არ ვარგა!
სანამდის რეკა, კერპნი გარეკა,
თან განატანა თავიანთ ბარგა.“

ადვილი მისახვედრია, რაოდენ ძლიერია მაჰმადიანურ ქვეყანათა ენობრივი ზეგავლენა იმდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენაზე, როცა თვით უფლის სახელიც კი მისი არაბულ-სპარსულ-თურქული ფორმით გამოიყენება ისეთ ავტორთა თხზულებებში, როგორებიც თეიმურაზი, არჩილი და დავით გურამიშვილი არიან.

მაგრამ რით შეიძლება აიხსნას ამავე სიტყვის ხმარება XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, თანაც ისეთი მოქართულე პოეტის მიერ, როგორიც ანა კალანდაძეა? შესანიშნავი პოეტი ანა კალანდაძე გამოჩენისთანავე კლასიკოსად დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში და ოდენ სახელით მოხსენიების პატივი უმაღლეს მოიპოვა. მისი ნაკლებად ცნობილი მაგრამ შესანიშნავი ლექსი „მო, მომეფერე ჩემო ბებია“ 1945 წლითაა დათარიღებული. ამავე პერიოდშია დაწერილი მისი პოპულარული ლექსებიც: „საქართველოო ლამაზო“ „თუთა“ და სხვები. როგორც პოეტი თავად წერს, ძველი ქართული აცხოველებდა მის პოეტურ ფანტაზიას“ და ალბათ XVII-XVIII საუკუნეთა დიდ წარმომადგენელთა – თეიმურაზის, არჩილის და დავით გურამიშვილის – პოეზია უნდა იყოს წყარო ანას მიერ ქრისტეს სახელის არაქართული ფორმით მოხსენიებისა:

„ვჭკვრეტ სიყვარულით შენს დადარულ სახეს დიდებულს, ერთ დროს ვნებიანს...

შენი ოთახი ჰგავს ბიბლიურ ნოეს კიდობანს და მას ყორნები თავს მევლებიან...

მე ვგრძნობ, ტალღები ამ კიდობანს როგორ არყევენ, ჩემო ბებია!..

რად სევდიანნი შენს სარკმელთან დგანან არყები? კაეშანი დაუფლებიათ?

ისას შემვედრე, გარდამსახე პირჯვარი შენი,

მო, დამიამე, მითხარ, მიაშბე კაეშნით მოცულს და ოზლად შთენილს

დამიყვავე და მომეფერე ჩემო ბებია...

მე შხამი მასვეს... ხედავ, გუნდ-გუნდად ყვავ-ყორნები თავს მევლებიან?

მგლოვობენ ასე!

ვჭკვრეტ სიყვარულით შენს დადარულ სახეს დიდებულს, ოდეს ვნებიანს...

შენი ოთახი ძველ, ბიბლიურ ნოეს კიდობანს შენ არ გაგონებს?

მე რა მაღონებს? გეტყვი ბებია!“

როგორც ჩანს, უფლის არაბული სახელწოდება – ისა – ამავე ფორმითაა გადასული სპარსეთსა და თურქეთში, სხვა მრავალ აღმოსავლურ სიტყვასთან ერთად საქართველოშიც შემოჭრილა და ისეთ ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებშიც უჩენია თავი, როგორც თეიმურაზი, არჩილი და დავით გურამიშვილია. ხოლო ანა კალანდაძის მიერ ამ სიტყვის გამოყენებით, კიდევ ერთხელ დასტურდება მისი ტრფიალება ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში არსებულ ფორმების მიმართ.

ლიტერატურა:

1. გურამიშვილი დავით, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1980.
2. კალანდაძე ანა, თბილისი, 1987.
3. „ჩვენი მწერლობა“, 2009, N9
4. „ჩვენი საუნჯე“, თბილისი, 1960.

გოდერძი ჩოხელის თხზულებათა ენისა და სტილის საკითხები

მარიამ ოქროპირიძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ვიანორ ახალაია, პროფესორი

მწერლის ენისა და სტილის შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რადგან, როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიც იგი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე.ი. თუ შესწავლილია მისი ენა.

მკვლევართა ინტერესს იწვევდა და იწვევს არა მარტო მწერლობის განვითარების ცალკეული პერიოდები, არამედ – საკუთრივ მწერალი თავისი გამორჩეული ინდივიდუალობით. ესა თუ ის მწერალი თავისი წერის სტილით, განსხვავებული მანერით ხდება მკითხველისათვის გამორჩეული და საყვარელი.

გოდერძი ჩოხელი განსაკუთრებული მხატვრული ენის მქონე მწერალია, გამორჩეულია მისი წერის მანერა სტილი, ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მწერლის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურების გამოკვება. მით უფრო, რომ საქმე ერთდროულად ეხება პროზასა და პოეზიას.

გოდერძი ჩოხელის აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათლდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონამორჩილია დედა ენის, მაშინ დედა ენაც ლოცულობს შვილისათვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში“.

...გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, გამარჯვება დიდად განაპირობა დედაენისადმი სწორედ მისმა ასეთმა მიდგომამ (გოგოლაშვილი, 2012:7).

მშობლიური ენისადმი ასეთი ფაქიზი მიდგომა მისი თითოეული ნაწარმოებიდან იგრძნობა, თითოეული მისი სიტყვა მშობლიური ქვეყნისა და საკუთარი ხალხის დიდი სიყვარულით არის ნასაზრდოები. თავად მწერალი თავისი ნაწარმოებების შესახებ წერს:

„ეს ჩემი სულის ლოცვებია

სიმარტოვეში დავწერე

მინდოდა რაღაცით გამეთბეთ“.

და მართლაც ასეა – მწერალი თითოეული თავისი ნაწარმოებით გვეფერება, გვეაღერება, გვაფიქრებს ცხოვრებაზე, მისი თითოეული ნაწარმოები ღრმა ფილოსოფიური შინაარსის შემცველია:

„ჩვენ როცა ვნატრობთ, ნეტავი ჩიტად მაქცია, ერთი გავფრენილიყავიო, მაშინ ადამიანად ყოფნას კი არ გაურბივართ! არა! სწორედ მაშინ უფრო გვიყვარს ადამიანად ყოფნა და ფრენას რომ ვნატრობთ, ამას იმიტომ, რომ ადამიანად ყოფნა გავალამაზოთ, მეტი თავისუფლება მოვიპოვოთ ფრენით“ („თევზის წერილები“, გვ. 163).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ გოდერძი ჩოხელი ბუნების მოვლენების საუცხოო მხატვარია, მან ბუნება აამეტყველა, გაასულიერა, მოქმედ პერსონაჟად აქცია, რომელიც აზროვნებს, ფიქრობს. ამ ნიშნით გოდერძი ჩოხელი ერთგვარ სიახლოვეს ამყარებს ვაჟა-ფშაველასთან, ორივე მწერალი ბუნების მგოსანია. აკი თავად გოდერძი ჩოხელი თავის ლექსში „ტყვია“ ამბობს:

„ვაჟას ნაქონი ტყვია ვარ

ჯერ თოფში გაუსროლელი“.

(„ტყვია“ გვ.77).

გოდერძი ჩოხელის წერის მანერასა და სტილს მნიშვნელოვნად განაპირობებს გუდამაყრის ხეობასა და მის სოფელში, ჩოხში გავრცელებული დიალექტი. გოდერძი ჩოხელი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში წერს: „ჩემს სოფელში მრავალფეროვნად და საინტერესოდ ლაპარაკობენ: მაგალითად, იტყვიან გამახარდაი, გამიხარდია, გამიხარდი. სამივე სწორია, სამივე გავრცელებულია ხალხში. მწერალი ხომ სიტყვის შემგროვებელია, სიტყვის მომბრუნებელი, სიტყვის გადამრჩენი. მეც შევეცადე ეს მრავალფეროვნება მეჩვენებინა ჩემი გმირების საუბარში“. იგი თავისუფალ დამოკიდებულებას ამჟღავნებს დიალექტიზმისადმი: იგი არც საგანგებოდ ცდილობს, მეტყველების დიალექტურობა შეინარჩუნოს და არც იმის მცდელობას ამჟღავნებს, რომ თავი აარიდოს მათს გამოყენებას. მაგალითად, გუდამაყრული დიალექტისათვის დამახასიათებელია სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშნის გამოყენება

როგორც თანხმობანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან, რაც უხვად დასტურდება გოდერძი ჩოხელის ნაწერებშიც.

1. ღენჯაი ქისტებში იყო მეცხვარედ მორიგებული („ადამიანთა სევდა“, გვ. 177).

მიხაი მელოტი კაცი იყო („მთავარი როლის შემსრულებელი“, გვ. 14). კოლაი კინოშიც მარტიას როლს ასრულებს და თბილისშიც ეგ ჩამოგვიყვანე გასახმოვანებლად („მთავარი როლის შემსრულებელი“, გვ. 23).

აქ ერთია ის, რომ მწერალი ამ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანს ინარჩუნებს (ღენჯაი, კოლაი ...), რაც ერთგვარი ასახვაა რეალური ვითარებისა, მაგრამ მეორეა ის, რომ მწერალი სახელობითის ამ ფორმას ფაქტობრივ ფუძედ იღებს და მასზე ამყარებს სხვა ბრუნვებს, რაც სრულიად ხელოვნური წარმოებაა. მაგალითად, „გამიხარდაი ყური არ უგდო.... მეორე დილას წერილი მივწერე გამიხარდაის („თევზის წერილები“).

მწერლის ნაწერებში გვხვდება ემფატიკური „ა“-ს საკმაოდ ხშირი ხმარება. ხის თავგები რასა ჰქვია („თავგაობა“ გვ. 3). ლამის გულები გაუსკდათ მახარასა და ბუთულას („საზიარო ყვავი“, გვ. 10). შე კაი კაცო, შენა, ქალებზე მეტი ფილოსოფია სადა გინდა („ადამიანთა სევდა“, გვ. 179). შენა კიდევა განზე წასვლას თავი გაანებე („დავიწყების მდინარე“, გვ. 217).

მწერლის ნაწერებში ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის ზოგჯერ თანხმობანმოკვეცილად გვხვდება: წამომყევი მთაზე და ებალღი წამაიყვანე, – თქვა ღენჯამ.

სარჩო ხო გვინდა, ყუა ხო გვინდა, ე ფქვილიც ხო საყიდელია („ლუკას სახარება“, გვ. 283). სიმარტოვეში არ დაგვტოვონ – მეთქი ი მე და ი ჩემი ბებერი („პაპა ჩაღრიას სიზმარი“, გვ. 147).

მწერლის ნაწერებში ხშირია ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა. მაგ.:

ხმა ამაღე, რას გაშტერებულხარ („საზიარო ყვავი“, გვ. 9).

აბა, შამამხედე, რას ვგავარ („ღმერთის შვილები“, გვ. 57)

მამკლა კაცო კენჭის ტკივილმა („წერილი ნაძვებს“, გვ. 42).

ზმნაში გვხვდება „ს“ პრეფიქსის არამიზნობრივი ხმარება, მაგ.: შიგნით სულ ეგეთი მოთხრობები სწერია. არა სჩანს გამკითხავი („წერილი ნაძვებს“, გვ. 47) ამ ზმნებში - სწერია, სჩანს ობიექტი არაა, ხოლო მესამე სუბიექტური პირი სუფიქსითაა გამოხატული. ამიტომ პრეფიქსის (ს-ს ან ჰ-ს) ხმარება ზედმეტია და მათი ხმარება სალიტერატურო ენაში შეცდომად ითვლება. (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ. გვ. 128).

ასევე საყურადღებოა ისიც, რომ დან თანდებული შეცვლილია მისი სახესხვაობით დამ-ით. სოფლიდამ ხალხი გამოვიდა („ადამიანთა სევდა“, გვ. 179). დამ დართული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ იხმარება, იგი გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ კილოში (თუშურში, კახურში, ქართლულში, მთიულურ-გუდამაყრულში (ლ. კვაჭანტირაძე 1981, გვ. 159) და გოდერძი ჩოხელიც, როგორც მთიულურ-გუდამაყრული კილოს წარმომადგენელი, ხშირად მიმართავს დან თანდებულის სახესხვაობას დამ-ს.

მწერალი მიმართავს გამეორებას, როგორც პოეტური ფიგურის სახეობას და შთაბეჭდილებების გაძლიერების მიზნით იმეორებს სიტყვებსა და გამოთქმებს:

ვგრძნობდი განა არ ვგრძნობდი იმათი გულის ნაფიქრალს („ღმერთის შვილები“, გვ. 63).

გაიღვიძეთ ხალხო, გაიღვიძეთ, გათენდა გათენდა! („ხუთკუნჭულა“, გვ. 235).

ჭამე, ჭამე რამდენ ხინკალსაც შეჭამ ბებო („ხუთკუნჭულა“, გვ. 246).

წადი, ბებო წადი, დროზე არ დაგაგვიანდეს („ლუკას სახარება“, გვ. 275).

გოდერძი ჩოხელის პოეტურ ენას განსაკუთრებით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ხალხური თქმები, იდიომები, ლოცვისა და წყევლის ფორმულები, მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ბუნებრივად აქსოვს მათ თხრობაში.

„შენს თავს სავარცხელი არ უნდა როგორც ჩემ წისქვილს საკეტი.

გადადებული საქმე ეშმაკისაა, თუ მართლა რამეს აპირებ დროზე ქენი („პაპა ჩაღრიას სიზმარი“, გვ. 151).

განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ასევე კუთხურ ფრაზეოლოგიზმსა და გარკვეულ კოლორიტულ გამონათქვამებს, სიტყვიერი შემოქმედების ცოცხალ ხატებს:

- რა, რას მამადლი ჩემთან ყოფნას, რა ძალიან შენ გეყურება რო პირი გააწკერე და ხმას აღარ იღებ, შე ქალობა ჩამოსაბნელებლო, შენა, აგრიადარაა („კოტორაანთ ქალის საათი“).

აქ პირის გაწკერება ხმის გაკმენდას ნიშნავს.

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმოხეულია წყევლის ფორმულები, ისინი განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენს ნაწარმოებების ენას.

„რამდენჯერ გითხარი, შე არგასახარებლო, ცოცხალია და ნულარ მაიტან-მეთქი, ნულარა. ვერა ხედავს ეგ შენი დათხრილი თვალები, რომ ცოცხალია“.

ჩაღმა თქვენა და ჩაჰყევით ჩაღმართს („პაპა ჩაღრია სიზმარი“, გვ. 141).

ჩაღმა შენა და შენი ხმის გაცივება და გაწივება („პაპა ჩაღრის სიზმარი“, გვ. 141).

წყევლის ფორმულების საპირისპიროდ მწერლის ნაწარმოებებში გვხვდება ლოცვის ფორმულებიც. შენს პირს შაქარი ჩვენი ესე გალაღებისათვის („პაპა ჩაღრის სიზმარი“, გვ. 148).

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, თუ ეგ ჩემი ბაყდარი და შენი საპყარი დამეგობრდებიან, ვერც მტერი მოერევა ჩენს ქვეყანას და ვერც ეშმაკი („ღმერთის შვილები“, გვ. 55).

ია – ვარდითამც გაგელოს სულეთის ქვეყნებისაკენ მიმავალი ამ წუთისოფლის შარაგზა („გაცოცხლებული მიცვალებული“, გვ. 140).

მწერალმა ამგვარი მასალის თხრობაში ჩართვით გვიჩვენა ხალხური მასალის სიბრძნე და მოქნილობა.

მწერლის პოეტური ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. მაგ: „მთვარის მიერ დათოვლილი დილის ძილში ჩარიძული „დედამიწა“, „შემოდგომის ფერწასულ ძაფზე ყვითელი მძივით ასხმული მზიანი დღეები“. ეს ის სურათებია, რომლებსაც მხოლოდ გოდერძი ჩოხელის პოეტური ენა თუ აღწერს.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა გოდერძი ჩოხელის ენისა და სტილის საკითხები. მიგვაჩნია, რომ თავისებურად ასვია ბეჭედი გოდერძი ჩოხელის ენას. მისი ენობრივი სტილის გამორჩეულობა და თავისებურება გუდამაყრული დიალექტისა და სიღრმისეულად გათავისებული სალიტერატურო ენის სინთეზშია.

ლიტერატურა:

1. გ. ჩოხელი, ჩემი წიგნი, მოთხრობები, თბ., 2010.
2. გ. ჩოხელი, ადამიანთა სევდა, თბ., 2006.
3. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
4. გ. გოგოლაშვილი, „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელის შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2012.
5. ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
6. ვ. ახალაია, უიარაღოს თხზულებათა ენა და სტილი, წერილები, ინტერვიუები... თბ., 2004.
7. თ. ზვიადაძე, მწერლის ენის საკითხები, თბ., 2009.
8. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I. თბ., 1981.

მეტსახელების სტრუქტურა (სოფელ ხელთუბნის მასალების მიხედვით)

ნათია ტერტერაშვილი, ნათელა საზანდრიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მეტსახელი ანუ თიკუნი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ზოგჯერ პიროვნების მეტსახელი უფრო მეტ ცნობას გვაძლევს, ვიდრე ნამდვილი სახელი. საკუთარ სახელებს აქვს სხვადასხვაგვარი წარმოშობა, მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა და წარმოშობა არაქართულმა საჭიროებამ გახადა. ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. როგორც სოფელ ხელთუბნის მასალებზე დაყრდნობამ დაგვარწმუნა, მეტსახელების დარქმევას ხელს უწყობდა ცრურწმენა – ორი სახელის მატარებელ ადამიანს სულთამხუთავი ადვილად ვერ აგნებსო.

სოფელში დაფიქსირებული გვაქვს სახელები, რომლებიც დროთა განმავლობაში მეტსახელებად იქცა. ქართულმა ტრადიციულმა სახელებმა მეტსახელების სტრუქტურაში გადაინაცვლა. დღეს ირემა, კურდღელა, დათვია, ფოცხვერა და სხვები მეტსახელებია. ოდესღაც ჩვეულებრივ საკუთარ სახელებს

წარმოადგენდა. ამჟამად ასეთი რწმენა აღარ არსებობს, მაგრამ მეტსახელების დარქმევის ტრადიცია გრძელდება. პიროვნებას შერქმეული აქვს მეტსახელი რაიმე ფიზიკური ნიშნის, ხასიათის, საქმიანობის მიხედვით და სხვ.

სოფლის სახელები წარმოების მიხედვით ნაირფეროვანია. ყველაზე ხშირად მეტსახელთა საწარმოებლად გამოიყენება ა სუფიქსი, რომელიც დაერთვის როგორც არსებით სახელებს, ისე ზედსართავებს, მიმღებებს, საწყისებს. მაგალითად: ალიოპა, ანქია, აუა, აწია, აჯონა, ბაშმაკა, ბაცა, ბაჯა, ბოლქვა, გოლა, გუთა, დარა, დოჩია, შურხულა, კიჭა, მეშთა, წვერა, ჭრელა.

გვხვდება ია და უა სუფიქსებით ნაწარმოები მეტსახელები, როგორებიცა: ბაჭია, გელია, გუდამია, დოჩია, ვიკია, თუხლუხია, კლიმია, კუწია, ოქია, კოჩუა, პაწუა, ტუნგრუა და სხვ.

საკმაოდ ხშირია ო სუფიქსიანი მეტსახელები: სალო, ქაცო, ქეზო, ღლაჯო, წოწო, ხოხო, ჯიგარო, ჯიგო, ჯაყო, ცქვიტო ...

სოფელში მეტსახელთა საწარმოებლად გამოიყენება ე სუფიქსიც, თუმცა ძირეული სიტყვის მნიშვნელობა ყოველთვის ნათელი არ არის: ზენგე, კიჭე, კოშე, ლეთე, ნორიკე, ჩიე...

სოფლის მეტწილ გვარებს ძე და შვილი დაბოლოება ეკვეცებათ მაშინ, როცა - იან, - ან სუფიქსის დართვით იწარმოება მეტსახელებისგან ნაწარმოები კრებითი სახელი. აღნიშნული სუფიქსი მოქმედია მაშინაც, როცა ერთვის ანთროპონიმს - გვარს. მაგალითად, სოფელში მერებაშვილი იწარმოება, როგორც მერებაანი, ხოლო ამ გვარის მეტსახელისგან ბალალოდან - ბალალოანი. ტერტერაშვილის გვარიდან ტერტერაანი, ხოლო ზედმეტი სახელისგან - დარაანი, გუნტერაანი, კლიმიანი, კოშეანი, კურკანანი, სალარაანი, ფალელაშვილის გვარიდან - ფალელაანი, ზედმეტი სახელისაგან - ქეზოანი, ქატოანი, ხავილაანი, აბგარაანი, ბაშმაკაანი, დავაკეროანი, ბელოაანი და სხვ.

როცა ვიხილავთ სოფლის გვარისგან ზედმეტი სახელის წარმოშობას რომელიმე კონკრეტული პირის წარმოებისას - ან სუფიქსიან სახელს ბოლოს ერთვის კიდევ მრავლობითობის - თ სუფიქსი და ჩნდება ასეთი ფორმები: ბაზანდარაანთ კოტე, გაგნიძეაანთ კოროხა, კოჩუაანთ ამირანი, ბალამწარაანთ ნიკო, ლოლიჯაანთ პეტრე, ანესაანთ სკიპა, ანესაანთ კოტე, კიკრიაანთ ლეო, კიკრიაანთ კოტე, ჯავახიანთ მიხო და სხვები.

- იანთ სუფიქსიან ფორმას შეიძლება დაერთოს - ებ სუფიქსი მრავლობითობის აღსანიშნავად და მივიღოთ: იაშვილები, ჯავახიანთები, კობლიანთები, ბაზანდარაანთები, ჩალაბაანთები, ანსეაანთები, მერებაანთები, ლოლიჯაანთები, შიოაანთები, შავლობაანთები და მრავალი სხვა.

სოფელში ფიქსირებული ადამიანთა მეტსახელები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. აშკარად ჩანს, რომ ასეთი სახელების დარქმევას დიდი ხნის ისტორია აქვს, მეორე ნაწილი შედარებით გვიან არის წარმოქმნილი. ახალი სახელების შექმნა მუდმივი პროცესი ყოფილა. მაგალითად ერთსა და იმავე გვარს რამდენიმე ზედმეტი სახელი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად ავიღოთ გვარი ანესაშვილი. ამ გვარის ერთ-ერთ ახლო წინაპარს რქმევია ტოტია, დღეს დაფიქსირებული გვაქვს ზედმეტ გვარად ტოტიაანი. სკიპია ანესაშვილისაგან მივიღეთ გვარმეტი - სკიპიაანი, ქესტუმადან - ქესტუმიანი, ლისტადან - ლისტაანი. წოწო კიკრიაშვილიდან გვაქვს - წოწოანი, ჯღანიადან - ჯღანიაანი, ლეჭიადან - ლეჭიაანი, ფანჩოდან - ფანჩოანი და სხვები.

სოფელში ზემოთ ხსენებული მაწარმოებლების გარდა გვხვდება უკ, უნ, ალ, ილ, ოტ, იჩ, უჩ და სხვა მაწარმოებლები.

-იკ-ა წარმოებითი რთული მაკნინებელი სუფიქსია და ხშირი წარმოებით არ გამოირჩევა, მაგალითად: ბეჭია-ბეჭიკა, კოტე-კოტიკა, ლექსო-ლექსიკა, გრიშა-გრიშკა, ჟორა-ჟორიკა და სხვა.

-უნ-ა მოფერებით - დამცირებით ფორმებს აწარმოებს, მაგალითად: ბიჭო-ბიჭუნა, წალდუნა, ჩიტუნა, გვრიტუნა ...

საკუთარი სახელის ფუძეებისაგან: სერგო-სერგუნა-სერგია, ბაგრატი-ბაგრატა, ლევანი-ლევანა, სულხანი-სულხანა, მერაბი-მერაბა, ბასილი-ვასა, ივანე-ვანა, იასონი-იასონა, შალვა-შალია, სიმონი-სიმონა და სხვები.

-უნ-ა ერთ-ერთი გავრცელებული სუფიქსია ქართულში, იგი გამოიყენება როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელების საწარმოებლად.

ალ. ღლონტი აღნიშნავს, რომ - უნ-ა ფუნქციურად უკ-ას ელემენტის ტოლფარდია. ისინი უპირატესად ერთ ვარიანტადაა რეალიზებული (ალ. ღლონტი, გვ.27).

ალ. კობახიძე შენიშნავს, რომ - უნ-ა სუფიქსის გამოყენება შეზღუდულია, ვიდრე - უკ-ა სუფიქსისა. კერძოდ, უნა რთულ დიალექტებში იხმარება (ლ, მ, ნ, რ) შემდეგ. ზოგჯერ მის ადგილს -უკ-ა სუფიქსი იჭერს და სხვა შემთხვევაში რაიმე კანონზომიერება არ ჩანს მათ გამოყენებაში. ერთი და იმავე თანხმობის შემდეგ ერთიც იხმარება და მეორეც. მაგალითად: კატა-კატუნა, ბიჭი-ბიჭუნა (ალ. კობახიძე, 1962, გვ. 159). წყაროების მიხედვით - ალ სიტყვათმწარმოებელი სუფიქსი აღდგება საერთო ქართველურ დონეზე (ზ. სარჯველაძე, გვ. 82).

ანთროპონიმები, ისევე როგორც ტოპონიმები, ენის ლექსიკური ფონდის ნაწილია და მის სიმდიდრეს წარმოადგენს. აქ გამოიყოფა პიროვნული სახელები და მეტსახელები. ეს უკანასკნელი ყველგან არის გავრცელებული, მათ შორის სოფელ ხელთუბანშიც.

მოვიყვანოთ ერთ მაგალითს ისტორიიდან, რომელიც მოსახლეობის მიგრაციას ეხება სოფელ ხელთუბანში. საბუთი შედგენილია 1700-1719 წლებში და მისი სათაურია „თუმანანთ ყმების ნუსხა“, სადაც ჩამოთვლილია სოფელ ხელთუბნის ტოპონიმები და ზოგიერთი ანთროპონიმი. აქ ჩანს, რომ მიგრაციის შედეგად დასავლეთ საქართველოდან მოვიდა პიროვნება, რომელიც ნუსხაში მოხსენებულია, როგორც „მეგრელა ზოგანო“. აქ კარგად ჩანს, რომ სოფელში „მეგრელა“ ა სუფიქსი მაკნინებელი ფორმანტია, რომელიც პიროვნებას სოფელმა დაარქვა. დღეს წინაპრის შთამომავლობა გვარად მეგრელიშვილია, ხოლო მათი მეტსახელებია-ყეყეაანი და წარბაანი, მათ კარგად იციან თავიანთი წარმომავლობის შესახებ. სოფელ ხელთუბანში ფიქსირებულ ადამიანთა მეტსახელები საუკუნეების წინათ არის შექმნილი და მათი სიცოცხლისუნარიანობა დღესაც გრძელდება. სოფლის მეტსახელებზე დაკვირვება იმასაც გვიჩვენებს, რომ არაერთ გვარს აქ ფიქსირებული სახელები უდევს საფუძველად, რაც გვაფიქრებინებს ასეთი გვარ-სახელების საკმაოდ დიდი ხნის წინ წარმოქმნასაც. ჩვენი მიზანია, ლიახვის ეს მხარე გამოვამზეუროთ და მეცნიერების სამსახურში ჩავაყენოთ.

ლიტერატურა:

1. ვ. თოფურია, შრომები, III თბ., 1979.
2. ალ. კობახიძე, კნინობითის წარმოება რაჭულში, იკე, ტ. XIII, 1962.
3. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.
4. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
5. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1955.
6. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ., 1980.

ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ქართულ-უცხოური (ფრანგული და ამერიკული) რამდენიმე ზღაპრის ტიპოლოგიური ანალიზისათვის

ნათია ტერტერაშვილი, ნათელა საზანდრიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: ქეთევან ზარბაქაძე, ასოცირებული პროფესორი

ზღაპარი ხალხური პროზის წამყვანი ჟანრია. მასში ასახულია ხალხის სანუკვარი იდეალები. აქ, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი: კეთილი და ბოროტი. მათი ბრძოლის ფონზე ნაჩვენებია მთელი ცხოვრება და მისი რეალიები. ზღაპარი უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულია ხალხის ყოფაში და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. იგი მარადიული მშვენიერების, ნათელი მომავლის, სიცოცხლის, სიკეთის, თავისუფლების, სიყვარულის, შრომისა და ბრძოლის ჭეშმარიტი ქებათა ქებაა. ზღაპარი ერთ-ერთ იმ უმშვენიერეს სიტყვიერ ქმნილებათაგანია, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუქმნია. მის საფუძველში ძევს ფართო მხატვრული განზოგადების უნარი, რაც ზღაპარს წარუვალ ფასეულობათა რიგში აყენებს. „დრომ, ყველაფრის დამთრგუნველმა და ფერშემცვლელმა, ვერ მოახერხა ზღაპრის დაბერება. ზღაპარი უძველესი დროიდან მოდის და, მიუხედავად გარკვეული სიმყარისა და კონსერვატულობისა, კულტურის სხვა დანარჩენ მონაპოვართა მსგავსად ისტორიულ ცვალებადობას ექვემდებარება. ამიტომაცაა იგი მუდამ თანამედროვე, რომ ახალ ეპოქათა მოთხოვნილებების კვალობაზე შეივსება-გამდიდრდება ხოლმე ახალი ენერგიით“ (5: 3).

ზღაპარი ბავშვობიდან თანაცხოვრობს ადამიანებთან და ისეთი ხიბლი აქვს, მრავალგზის შეგვიძლია მოუწყენლად მოვისმინოთ. განუმეორებელია მისი სამყარო, პერსონაჟები, მაგრამ უფრო ფასეულია ის იდეალები, რომელთაც ზღაპარი ამკვიდრებს. ხალხის მორალურ-ესთეტიკური წარმოდგენებიდან, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება იდეათა გარკვეული შინაარსი, ყურადღებას იქცევს ქვეყნად სიკეთისა და მატერიალური კეთილდღეობის, სიმართლისა და სამართლიანობის, ადამიანურ ურთიერთობათა სილამაზისა და მათ შორის თანხმობის დამკვიდრება.

ზღაპარი ხალხის სულიერი კულტურის ნაწილია. მასში სიმბოლურ დონეზე მშვენიერი და ამაღლებული დაპირისპირებულია მახინჯსა და მდაბალთან. მშვენიერია ის ოცნებები, რომელთა ცხოვრებაში დამკვიდრებას ცდილობენ გმირები, ისინი, ვის სახეებშიც ჩაქსოვილია ხალხის სული და ხასიათი, მსოფლაღქმა და ფსიქოლოგია, უკვდავი ოპტიმიზმი. ზღაპარი მოწოდებულია ხალხის მასების ესთეტიკური და პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს განსაზღვრავს მის მნიშვნელობასა და ადგილს ერის კულტურაში. „ხალხის გამოცდილება და გარესამყაროზე დაკვირვების შედეგები აქცევს ზღაპარს ერის სულიერ საზრდოდ, მისი ისტორიის გათვალისწინების საშუალებად“ (5:4).

რაც შეეხება ზღაპრის გავრცელებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ადვილად გადადის კუთხიდან კუთხეში და ქვეყნიდან ქვეყანაში. მის მოძრაობას ხელს უწყობს ხალხთა შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი. ვარაუდობენ, რომ ამით აიხსნება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა შორის ერთნაირსიუჟეტისანი ზღაპრების დამკვიდრება, თუმცა, ქართული ზღაპრის ფორმა, სტრუქტურა ბევრ რამეში ენათესავება როგორც მეზობელ ხალხთა ეპოსს, ისე ისეთ ხალხთა ზეპირსიტყვიერებას, რომლებთანაც ქართველებს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამასთანავე, მკვლევრები იმასაც ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მსგავსებამ დამოუკიდებლად წარმოშვა მსგავსი სიუჟეტები. ყველა ხალხის ზღაპრებში ის თემები, მოტივები და იდეები წამოიწეული, რაც მისი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და ყოფისათვის არის დამახასიათებელი.

ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფრანგული და ამერიკული ხალხური ზღაპრების ურთიერთობის საკითხი ქართულ ხალხურ ზღაპრებთან.

ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარი „წიქარა“ შინაარსობრივად თითქმის მთლიანად ემთხვევა ფრანგულ ხალხურ ზღაპარს „ხელმწიფის ვაჟი და ცხენი ბაიარი“. „წიქარაში“ მოთხრობილია ცხოვრების ფრაგმენტი ობოლი ბიჭისა, რომელიც დედინაცვალს არ უყვარდა. დედინაცვალი გადაწყვეტს ბიჭის თავიდან მოშორებას, მოიავადმყოფებს თავს და მეუღლეს ეტყვის, შენი შვილის გულ-ღვიძლი მიშველისო. მეუღლე შვილის სიკვდილს აირჩევს. ბიჭი თავის გადარჩენის მიზნით თავის მეგობარ ხართან ერთად გაიქცევა. მას დაედევნება მამამისი. მამის გზიდან ჩამოშორების მიზნით კი ბიჭი ჯერ გადაღვრის წყალს და გაჩნდება მდინარე, შემდეგ გადააგდებს სავარცხელს და აღიმართება ხშირი და უღრანი ტყე, ბოლოს გადააგდებს სალესავს და აღიმართება სალი კლდე. ამ უკანასკნელი ნივთის წყალობით ბიჭი და წიქარა გადარჩებიან, ხოლო ღორი და ბიჭის მამა იღუპებიან. ფრანგულ ზღაპარში კი მოთხრობილია ხელმწიფის ვაჟის გაქცევის ისტორია ქვეყნიდან თავის რაშთან, ბაიართან, ერთად. მან მამამისის ნებართვის გარეშე შეიტყო მისი საიდუმლო, რის გამოც დაიმსახურა მშობლის წყრომა. გაქცევისას მას დაედევნა მამა. თავის გადარჩენის მიზნით ბიჭმა გადააგდო სამურველი და გაიკლაკნა მდინარე, შემდეგ გადააგდო ღრუბელი და გაუვალი ტყე აღიმართა მამამისის წინააღმდეგ, ბოლოს გადააგდო ქვა და თვალუწყდენელი მთა აღიმართა, სამართლებლით მოფენილი. ბოლო დაბრკოლება მამამისმა ვერ გადალახა წიქარას მამის მსგავსად, თუმცა არ დაღუპულა. ფრანგულ ზღაპარში მამა და შვილი საბოლოოდ შერიგდებიან. როგორც ვხედავთ, ამ ორ ზღაპარს შორის სიუჟეტური მსგავსებაა. ამ ზღაპრის მთავარი გმირები ჯადოსნური ნივთების გამოყენებით ცდილობენ მამებისაგან გაქცევას. ქართულ ხალხურ ზღაპარში ბიჭი იყენებს შემდეგ ჯადოსნურ ნივთებს - წყალს, სავარცხელს და სალესავს, ხოლო ფრანგულ ზღაპარში ხელმწიფის ვაჟი იყენებს შემდეგ ჯადოსნურ ნივთებს - სამურველს, ღრუბელს, ქვას. ნივთები განსხვავებულია, თუმცა დაბრკოლებები იდენტურია.

ქართული ჯადოსნური ზღაპრები ენათესავება ფრანგულ და ამერიკულ ჯადოსნურ ზღაპრებს. ჯადოსნურ ზღაპრებში რეალურ სინამდვილესთან ძნელად შესათვისებელი ამბებია გადმოცემული. მათში გამოხატულია ადამიანთა წარსული ცხოვრება სოციალური ურთიერთობითა და რელიგიური შეხედულებებით, უკეთეს მერმისზე ოცნებით. ზღაპარში დახატულია არაჩვეულებრივი სამყარო, მოქმედებენ სასწაულებრივი პერსონაჟები, გამოხატულია ცხოვრებაში სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრების მისწრაფება, ხდება ადამიანთა და ბუნების სახეცვლილება. განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ნიშან-თვისებით, ენათესავება ქართული, ფრანგული და ამერიკული ხალხური ზღაპრები ერთმანეთს. მაქციობა, სხვადასხვაობა ჩანს ქართულ ზღაპარში „ვაჟადქცეული ქალი“. აქ ვეზირის უმცროსი ქალიშვილი ვაჟად აქცია დედოფალმა. ამავე დედოფალმა მთელი ქალაქი აქცია ქვად. ზღაპრის დასასრულს დედოფალმა ყველაფერს პირვანდელი სახე დაუბრუნა, მას შემდეგ, რაც ვაჟადქცეულმა

ქალმა სძლია მას. მაქციობა ჩანს ასევე ამერიკულ ხალხურ ზღაპარში „პატარა ჯონი და დიდი თეთრი კატა“. აქ დიდი თეთრი კატა გადაიქცევა უმშვენიერეს ქალწულად, რომელსაც ცოლად შეირთავს ხელმწიფის ვაჟი ჯონი. ქართულ ზღაპრებთან შედარებით, უფრო ხშირად ამერიკულ ზღაპრებში ვხვდებით მაქციობის ფაქტებს. ზღაპარში „სიმართლის მთქმელი ჩიტი“ ერთ გოგონას ფერიის რჩევა დაავიწყდება და ამის გამო მარილის სვეტად გადაიქცევა. ზღაპარში „ინგლისი ხელმწიფე და მისი ნათლული“ ხელმწიფის ასული ვერცხლისფეხება დედოფალმა ლომად აქცია, ხოლო ზღაპარში „თეთრი მგელი“ ვაჟი მგლად იქცა. სამივე ზღაპარში პერსონაჟებმა შეძლეს პირვანდელი სახის დაბრუნება. კიდევ ერთ ამერიკულ ზღაპარში კი „კურტიონ-კურტიეტი“ ძალი, ორი ბიჭი და ერთი გოგონა თავისი ნებით, ემპაკისაგან თავის დაღწევის მიზნით, იცვლიან გარეგნობას. ისინი ხან მდინარედ, ხან მრეცხავებად, ხან მენახირედ, ხან ცხვრებად გადაიქცეოდნენ ხოლმე.

როგორც ქართულ, ისე ამერიკულ და ფრანგულ ხალხურ ზღაპრებში, ხშირად გვხვდება სამი ძმის უჩვეულო თავგადასავლის ამსახველი სიუჟეტები, სადაც მთავარი გმირი უმცროსი ძმია, რომელიც განსაკუთრებული საზრიანობით, ღონითა და სულგრძელობით გამოირჩევა. მაგალითად, ქართულში - „მძლეთამძლე“, ამერიკულში - „პატარა ჯონი და დიდი თეთრი კატა“, ფრანგულში კი - „კატის, მამლისა და ნამგლის ზღაპარი“. ზოგადად, სამი სიმბოლური რიცხვია ქართულ ხალხურ ზღაპრებში. მაგალითად, „სამი ძმისა“, სამი ძმა და მათი და“, „სამნი ძმანი“, „სამი ძმა და ქოსამატყუარა“, „სამი და“, „სამი ტყუილი“ და ა.შ.

ხალხურ ზღაპრებში ხშირია დედინაცვლისა და გერის ურთიერთობაზე აგებული სიუჟეტები, რომლებშიც ძირითადად დედინაცვალი არის ბოროტი, ავსული დედაკაცი, რომელსაც თავისი გერის დაღუპვა ან თავიდან მოშორება უნდა. ასეთია ქართული ზღაპრები: „წიქარა“, „კონკია“, „დედინაცვალი და გერი“ და ფრანგული ზღაპარი „პატარა ანეტა“. ფრანგულ ზღაპარში მოთხრობილია 15 წლის გოგონას ამბავი, რომელსაც დედა გარდაეცვალა და მამამ დედინაცვალი მოიყვანა. დედინაცვალს არ უყვარდა ანეტა და ყველანაირად ცდილობდა მის გამწარებას. გოგონა ფერიის დახმარებით გათხოვდა უფლისწულზე. ქართულ ზღაპარშიც „დედინაცვალი და გერი“ ობოლო გოგონა კეთილი დედაბრის დახმარებით დააღწევს თავს დედინაცვალს და ცოლად გაყვება უფლისწულს.

როგორც ვხედავთ, ქართულ ხალხურ ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებს ბევრი საერთო აქვთ ამერიკულ და ფრანგულ ზღაპრებთან. საერთო ნიშნები შეიძლება დაიძებნოს ასევე ცხოველთა ზღაპრებშიც. „ცხოველთა ზღაპრები ახლა საბავშვო აუდიტორიის საკუთრებაა, თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა. მან გვიან შეიძინა გართობის ფუნქციაც. ცხოველთა ზღაპრებში ჩვენი თანამედროვენი ალეგორიულად წარმოსახულ ჭკუის სასწავლებელ ამბებსაც ნახულობენ, რაც იგავის გავლენამ გამოიწვია“ (4: 156). რაც შეეხება მსგავსებას, ქართული და ფრანგული ზღაპრები მგელს მხოლოდ ბოროტ არსებად არ გვიხატავენ. მგელი ზოგიერთ ზღაპრებში გამოყვანილია უჭკუო, მიამიტ არსებად. მაგალითად, ქართულ ხალხურ ზღაპარში „დათვის, მგელისა და მელიის ამბავი“ და ფრანგულ ხალხურ ზღაპარში „მგელი და მელია“. მსგავსი შემთხვევები არ დაიძებნა ამერიკულ ხალხურ ზღაპრებში.

ქართული ხალხური ზღაპარი მსოფლიო ხალხთა ზღაპართა რიგში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ჩვენი მიზანი იყო, შეგვედარებინა იგი ფრანგულ და ამერიკულ ზღაპრებთან. ჩვენ საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ზღაპრებსა და ამერიკულ და ფრანგულ ზღაპრებს შორის არსებობს რამდენიმე სახის მსგავსება: სიუჟეტური, გმირის ხასიათის, მოტივების, ფაქტობრივი, იდეური.

ლიტერატურა:

1. ქართული ზღაპრები, თბ., 1974.
2. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ტ. IV, ფრანგული ზღაპრები, თბ., 2013.
3. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ტ. I, ამერიკული ზღაპრები, თბ., 2013.
4. თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2001.
5. თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ., 2002.

ტოტალიტარული გლობალიზაცია და ალეგორიული სიმბოლიკა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“

მარიამი ქელესაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ანა დათუაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

ტოტალიტარიზმი - ტერმინი პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელიც გამოიყენება ისეთი თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმების აღსაწერად, რომლებშიც სახელმწიფო არეგულირებს საზოგადოებრივი საქმეების თითქმის ყველა ასპექტს.

გლობალიზაცია საკმაოდ პოპულარული ტერმინია. მის შესახებ სხვადასხვა წარმოდგენებია და მისი სხვადასხვანაირი ახსნა არსებობს. ზოგადად ეს არის ღიაობის, ასევე გაერთიანების, საერთოობის პროცესი. სახელმწიფო. მხოლოდ ტოტალიტარული გლობალიზაცია შეიძლება იყოს საშიში. გლობალურია სამყარო, სადაც თავისუფალი ინფორმაციის და კაპიტალის მოძრაობა. გლობალიზაცია საშიშია პატარა ერებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მის ტოტალიზებას ცდილობს მეზობელი სახელმწიფო. საქართველოში მძვინვარებს ეს ტოტალიტარული გლობალიზაცია, რაც ადამიანებს არ აძლევს დამოუკიდებლად, თავისუფლად ცხოვრების საშუალებას.

სწორედ ეს ტოტალიტარული გლობალიზაციაა გადმოცემული გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“. რომანში შეინიშნება პოსტტოტალიტარული საფრთხეები. მასში ასახულია მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენები, გლობალიზაციის საფრთხე, რაც მცირე ერების გადაშენებაზე მიანიშნებს. ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ორ ზესახელმწიფოს შორის ბრძოლა და საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რომანში ზედმიწევნით ზუსტადაა განხილული და გაკრიტიკებული ტოტალიტარული პერიოდის მთელი სიმახინჯე მაშინდელ საქართველოში. ადამიანს ამ პერიოდში ფუნქცია აქვს დაკარგული და საითაც ხელისუფლება მიაბრუნებს, იქით მიბრუნდება, მას არ აქვს შეწინააღმდეგების არც უნარი, არც შესაძლებლობა, გონება აქვს დაბინდული და ზოგჯერ ვერც კი ხვდება, რა არის სიმართლე, რა ტყუილი, რა სწორი და რა არასწორი. მისი ფუნქციაა მხოლოდ იარსებოს და ემსახუროს ტოტალიტარულ სახელმწიფოს.

დიდ ხანს შემორჩა საქართველოს შიში იმ ეპოქისა, რომელშიც ომი, მონობა და უმეცრება იყო. კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის ადამიანი გამორკვეული, თუ რა ხდება მის თავს – ნამდვილად თავისუფალია იგი, თუ ეს, უბრალოდ, კეთილი სიზმარია. დამთავრდა კომუნისტების ეპოქა, თუმცა ადამიანი სრულიად უმწეო აღმოჩნდა თავისი აწმყოსა და მომავლის წინაშე. ისევ ეშინია იმ ეპოქისა, რომელშიც იგი აქამდე იყო, თითქოს რუტინად აქვს გადაქცეული ის მოქმედებები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ახორციელებდა. ადამიანს შინაგანი შიში აქვს იმისა, რომ მოვა დრო და ისევ დაბრუნდება იმ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა. ეშინია იმ ეპოქაში დაბრუნების, სადაც მტყუანს და მართალს არავინ არჩევდა, სადაც მხოლოდ ის იყო მართალი, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ემსახურებოდა.

სწორედ „სულეთის კიდობანშია“ აღწერილი ის სამყარო, რასაც საბჭოთა იმპერია და ტოტალიტარიზმი ჰქვია. მასში გადმოცემული უსულო საგნები ადამიანის თვისებებს იძენენ, თუმცა არა ჩვეულებრივი ადამიანის, არამედ ჩინოვნიკების, და ისევე ცდილობენ უბრალო ხალხის დაჩაგვრას, როგორც საბჭოთა ჩინოვნიკები, რომელთათვის არც სიყვარული არსებობს და არც რაიმე ადამიანური გრძნობა.

გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული სამყარო ხილულისა და უხილავის, სინამდვილისა და ზღაპრულის, რეალურისა და მითიურის შუა ამოიზარდა, როგორც გაცხადებული საიდუმლო. მას სამყარო გაენდო. ახლა მწერალი თავადვე ცდილობს ამ საიდუმლოს სხვებიც აზიაროს. საოცარი დანდობითა და უბრალოებით ამკვიდრებს ჩვენში შინაგან მზაობას, რათა ვირწმუნოთ უმცირესში უდიდესი, წარმავალში მარადიული ანუ ადამიანში - ღვთაებრივი.

სწორედ ხილული და რეალურია ის, რომ საფრთხის ქვეშ დგას გზა, რომელზეც ერთ დროს ვახტანგ გორგასალი დადიოდა თავისი ჯარით, ასევე თამარ მეფე და მეფე ერეკლე და რომლითაც კეტავდნენ დარიალის კარს. სწორედ ამ გზის შენარჩუნებას ცდილობს შულღიანთ სება. იგი გადაწყვეტს მუზეუმის აშენებას, რათა მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს თავისი წარსული, აწუხებს ის, რომ გუდამაყრიდან წასულები უკან აღარ ბრუნდებიან და ასე თუ გაგრძელდა, ხეობა დაიცლება და ისტორიას აღარაფერი

დარჩება: „ვერ ხედავთ, ხალხო, თვალსა და ხელს შუა გვეცლება წარსული. ვინც კი გუდამაყრიდან წავიდა, უკან აღარ ბრუნდებიან, ანდა თუ ბრუნდებიან დამცინავად უყურებენ მამა-პაპათა ადათ-წესებს. ესე თუ გაგრძელდა ისტორიას აღარ დარჩება სამახსოვროდ, თუ ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით, რა ყაიდის ხალხი ვართ, ესე თუ გაგრძელდა ჩვენი ცხოვრება, სულ მალე ისე წაიშლება ჩვენი კუთხე მიწის პირიდან, როგორც გაზაფხულის თოვლი. ხო იცით, აგეთია ეს ცხოვრება! მოდით, სანამ დროა, ერთი მუზეუმი ავაშენოთ იმათ მაინც დავრჩებით ქვეყანაზე“. [ჩოხელი „სულეთის კიდობანი“]

იმის მიუხედავად, რომ სებას არავინ მიეხმარება, იგი მაინც ააშენებს მუზეუმს და შეაგროვებს ისტორიულ ნივთებს: „აღმოსავლეთის კედელზე დიდი ფარდაგი ჩამოჰკიდა სებამ. ერდოებიდან ირიბად შემოჭრილ მზის სხივებში ნაირ-ნაირ ფერებად აელვარდა ძველებური ფარდაგი, რომელზედაც საქართველოს რუკა იყო ამოქარგული. ამ რუკაზე გამოკვეთილად ამოქარგნა მქსოველს გუდამაყრის ხეობა: მთები, ტყეები, ყანები. აქა-იქ ცხენებზე ამხედრებული გუდამაყრელები. კლდეებზე გადმომდგარი ჯიხვები და უზარმაზარ წიფლის ხეებს შორის თეთრად მოელვარე პირიმზის სალოცავი, წინ დიდი მინდორით, რომელზეც ამოქარგულია რუსული ბასტიონი, ბასტიონის შიგნით კი ლენინის თუ სტალინის ძეგლი. ხეობაში შავი ძაფით ამოქარგული შავი არაგვი“ (ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 88). თითქოს გაცოცხლდა ფარდაგზე ამოქარგული საქართველოს რუკა; მზის სხივებმა გააცოცხლეს იდუმალება და მარადიულობა შესძინეს ყოველ ფერს.

თუმცა სებას მიერ შეგროვებული ნივთები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ყველას პირველობა უნდა: „ერდოებიდან მთვარის შუქი შემოდიოდა და ამ მკრთალ შუქზე ჩანდა, თუ როგორ მიიწევდნენ აღმოსავლეთის კედლისაკენ სამუზეუმო ნივთები. აღარც კი ეტყობოდა ფარდაგზე ამოქარგული საქართველოს რუკა, ბარიდან და ნიჩბიდან დაწყებული, ყველაფერი ზედ იყო ახორხლილი. იყო ერთი გაუთავებელი ღრიანცელი და ლანძღვა-გინება. ექსპონატები ადამიანის ხმაზე ლანძღავდნენ ერთიმეორეს“ (ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 89). გადაწყვეტენ მელია აირჩიონ პრეზიდენტად, რათა ქვევრის თქმით მას აქვს ყველა ის თვისება, რომელიც პრეზიდენტს ესაჭიროება: „დღეს ჩვენს მუზეუმს ჭკვიანი ხელმძღვანელი სჭირდება. ამას თქვენ ყველანი გრძნობთ და კანდიდატურებსაც ღირსეულად ასახელებთ, მაგრამ ერთი რამ გავიწყდებათ: არწივსაც, ქორსაც, დათვსაც, სიემშაკე აკლიათ; ხელმძღვანელს კი ეშმაკობა ისევე ესაჭიროება, როგორც სიბრძნე. ჩვენი ხელმძღვანელი მოქნილი და მოხერხებული უნდა იყოს, როგორც შინაურ საქმეებში, ასევე საგარეოში. ისეთი პიროვნება უნდა ავირჩიოთ, რომელმაც იცის თითოეული ჩვენგანის გულში რა დევს, თითოეული მტრის გულში რა დევს, უნდა იცოდეს, რომელი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი, თორემ კარგა ხანს ვერ გავერთიანდებით და სულ იმის ცდაში ვიქნებით, რომელი დავიკავებთ ფარდაგზე ადგილს. ჩვენს ხელმძღვანელს ქვეყნის მართვის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ყველაფერთან ერთად“ (ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 93). ასეთი კი მელია აღმოჩნდა და იგი სიტყვით გამოვიდა ექსპონატების წინაშე: „-მეგობრებო! მე მოხარული ვარ, რომ დიდი ხნის განშორების შემდეგ ისევ თქვენს შორის მიწევს თანაცხოვრება. ჩემს ადამიანობას, ჩემს სინდისს ვფიცავ, რომ ცოდნასა და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა თქვენს ნდობა გავამართლო: პირობას გაძლევთ, რომ ერთი ექსპონატი არ დააკლდება ამ მუზეუმს და ერთ გოჯს არ მოაჭამენ ამ ფარდაგს ჩრჩილები“ ((ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 94). არ გასულა დიდი ხანი მისი ამ განცხადების შემდეგ, რომ ამ უკანასკნელმა კიდობანში გამოკეტა თავის მოწინააღმდეგე ნივთები. სულაც არ არის გასაკვირი მელიას ასეთი საქციელი, რადგან ყოველი ხელისუფალი მის მსგავსად იწყებს და ფინალსაც მელიას ქმედების მსგავსადვე ავითარებს.

„სულეთის კიდობანში“ აღწერილი სიტუაცია ყოველთვის იქნება, სანამ იქნება ქვეყანაზე მელა, სანამ იქნება კვერნა, იქნება სადგისი (რომელიც მელას ემსახურება და ყველა ნივთზე აწვდის ინფორმაციას), ზარფუმი, დათვი, დათვის ხასიათი... არჩევნებიც სულ იქნება ქვეყანაზე. სულ რაღაცის არჩევა მოუწევს ადამიანს, დათვს, მელას, თოფს...

ასევე არ შეასრულა მელამ დაპირება იმის შესახებ, რომ ერთ გოჯს არ მოაჭამდნენ ჩრდილები საქართველოს ფარდაგს. „ჩრდილები შესევნიან საქართველოს ფარდაგს, ვახტანგ მეფის ნახევარი ანდერძი უკვე შეუქამიათ, რაღაცა უნდა ვიღონო, რომ მოვსპო ეგ ჩრჩილები, თორემ ფარდაგს ნაფლეთებად აქცევენ“. იმდენად გადაიქცა მელიის ხელისუფლება დესპოტად, იმდენად გაეყინათ მარღვებში სისხლი, რომ სიყვარულიც კი დაკარგეს. ერთგან მისი ქვეშევრდომი სადგისი ეუბნება პრეზიდენტს: „პატივცემულო მელია - იქნებ არ გვჭირდება სიყვარული? პატივისცემით და მოწიწებით - სადგისი“ ((ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 115). აწუხებს ეს ამბავი სებას სახით გოდერძი ჩოხელს, მაგრამ ვერც მშვიდად ცხოვრებას განაგრძობს და ვერც ხელისუფლების მხარეს დაიჭერს. მას ისღა დარჩენია ქართველ ხალხს განუმტკიცოს რწმენა იმის შესახებ, რომ მოშორდებიან ეს ჩრჩილები საქართველოს და წვიმით გადარეცხილ ხალიჩას გაანათებს მზის შუქი.

„მზის სხივებში აელვარდა პირიმზის ეკლესია, რომლის თავზეც ცისარტყელა გამოისახა, რომელიც მთიდან რკალად წვდებოდა გუდამაყრის ვიწრო ხეობას, შუა რკალი ცის მოკრიალებულ გუმბათზე ჰქონდა მიბჯენილი, ხოლო შვიდფერი სვეტის ერთი ბოლო - პირიმზის ეკლესიის ეზოში დაფენილი წვიმით გარეცხილი ხალიჩა, რომელზეც საქართველო იყო ამოქარგული, ცისარტყელადან ჩამომდგარი შუქით უცნაურად გაბრწყინებულიყო“ (ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 180).

ხელისუფლებას ემინია ახალი იდეების და აზროვნების ამიტომ იმ კიდობანში, რომელიც გუდამაყრის მუზეუმში დგას, ჩაულაგებიათ თოფ-იარაღი, ვეფხისტყაოსანი და კიდევ სხვა უამრავი ნივთი, რითაც შეიძლება ხელი შეუშალონ ახალ აზროვნებას, რომელი აზროვნებაც წარმართავს სხვადასხვა მუზეუმებს.

ხალხი იმდენად არის ხელისუფლებისგან შეშინებული, რომ როცა თადეოზის მამა „სტრაჟნიკებმა“ სიკვდილის პირას მიიყვანეს, არავინ მიეშველა, პირიქით, ნიშნაც კი უგებდნენ და ერთუროს ეჩურჩულებოდნენ: „-ახია, ახი! ჩვენი წაქეზებაც უნდოდა, არ იცოდა, რომ რუსებს ვერ მოვერევით?“ (ჩოხელი „სულეთის კიდობანი“ გვ. 168). მეზადება კითხვა აქ გამოთქმული აზრის შესახებ, რადგან დღევანდელ საქართველოშიც აქტუალურია ეს ფრაზა: „რუსებს ვერ მოვერევით“. მაშ რა ვქნათ, ყოველთვის ვიდგეთ ჩაგვრულის პოზიციაში და რაკი რუსეთს ვერ მოვერევით თავი ძირს დავხაროთ, მივყვეთ დინების მიმართულებას, რომელსაც მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან და არცერთ თავში ჩარტყმაზე არ ამოვიღოთ ხმა?

სტალინი რომ მოკვდა, მის ტანს ლენინის თავი დაადგეს, ერთი ხელი გაწვდილი ჰქონდა, ბავშვები ამ ხელზე ეკიდებოდნენ და მერე იმათთან ერთად გორაობდა ძეგლი, როცა კომუნისტები გაიქცნენ პირიმზიდან ძეგლიც წაიქცა, მაგრამ ხალხს მაინც შიში ჰქონდა და იმ ძეგლის აღდგენას აპირებდა, რადგან როცა უკანასკნელად დაეკიდნენ ბავშვები ამ ძეგლს, იმათი მამები წაიყვანეს ჩეკისტებმა და აღარც ერთი უკან აღარ დაბრუნებულა.

რომანის ფინალი იმედიანია და ავტორი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სატანას მიეზღვება ის, რისი ღირსიც არის, საქართველო კი მარადიულად იქნება მზის შუქით გაბრწყინებული. სატანა ცდილობს ადამიანის წაბილწვას, თუმცა ადამიანი უნდა ეცადოს სწორი არჩევანი გააკეთოს. „ყველაზე წმინდა ჭურჭელი ამ ქვეყნად ადამიანია; რაკი ღმერთმა ინება და შიგ თავისი სული ჩაბერა, ამიტომაც ყველაზე მეტად ამ თიხის ჭურჭლის წაბილწვას ცდილობს სატანა და რაკი ამ ჭურჭელს საკუთარი ქმედების ნებაცა აქვს ნაბოძები, იმდენ ავ ქარსა და სიოს შეუშვებს თავის შიგნულში, მნელია მერე ამ ავი ქარისა და ავი სულებისაგან განწმენდა“.

ჩვენ ველოდებით არწივს, რომელსაც ღმერთი გამოგვიგზავნის, რათა თავი დავიცვათ ამ ავი ქარისა და ავი სულებისაგან, მაგრამ მარტო ლოდინით არ უნდა შემოვიფარგლოთ, უნდა ვებრძოლოთ სატანას, რომელიც ხელს უშლის ამ არწივის მოსვლას. სატანა სხვის ტახტზე ზის და მას, ვისაც ტახტი ეკუთვნის ნებით არ დაუთმობს, თუ ჩვენც არ შევეწიეთ ბრძოლაში.

დასკვნა:

1. რომანი ზედმიწევნით ზუსტად მიმოიხილავს და მთელი სიმწვავეთ აკრიტიკებს აღნიშნული პერიოდის საქართველოში განვითარებულ მოვლენებს;
2. კომუნისტების მმართველობის დროს ადამიანმა ფუნქცია დაკარგა და სამოვარზე საბალახოდ გაშვებულ ცხვარს დაემსგავსა;
3. კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ ქართველი ერი სრულიად უმწეო აღმოჩნდა თავისი აწმყოსა და მომავლის წინაშე;
4. „სულეთის კიდობანის“ პერსონაჟთა სამყარო მეტად სინტერესოა. მარტოობაში მყოფი საგნები ადამიანის თვისებებს იძენენ, თუმცა ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, არამედ თანამედროვე ჩინოვნიკები არიან.
5. გლობალიზაცია საშიშია პატარა ერებისთვის, თუ მის ტოტალიზებას ცდილობს მეზობელი სახელმწიფო.

ლიტერატურა:

1. გოდერძი ჩოხელი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი მესამე. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2010.
2. გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - გოდერძი ჩოხელის შემოქმედება საზღვრების გარეშე“, სამეცნიერო შრომები, თბილისი, 2012.
3. ლაურა სორდია, სიტყვით ნათლისმცემელი გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), თბილისი, 2009.

სიმონ ბერეჟიანი და ემიგრანტული მწერლობა

ანი ცაციაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მარინე ცერცვაძე, პროფესორი

სიმონ ბერეჟიანი გასული საუკუნის ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა საქართველოში, სამწუხაროდ, დღემდე ბევრისთვის თითქმის უცნობია. სიმონიკო ბერეჟიანის სიცოცხლეში არ გამოსულა მისი ლექსების კრებული. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა ორი კრებული: „ნაწერები“ (ბერლინი, 1943 წ.) და „ლექსები“ (პარიზი, 1982 წ.)

საჭიროა მისი შემოქმედების განხილვის პარალელურად ვისაუბროთ ბიოგრაფიულ ცნობებზე, რადგან მისი ლექსები, მისი ცხოვრებაცაა...

სიმონ ბერეჟიანის დაბადების თარიღი სადაოა, ისევე როგორც მისი ცხოვრება, მისი ტრაგიკული გაუჩინარების ამბავი. ყველაფერი ბურუსითაა მოცული ამ პიროვნების გარშემო. ერთი ბიოგრაფის ცნობით ის დაიბადა 1897 წელს, მეორე კი 1899 წელს ასახელებს მის დაბადების თარიღად. როგორც ცნობილია, სიმონიკო დაბადებით თაყაიშვილი იყო, შემდეგ უშვილო დეიდა იშვილა და ახალმა მამამ სახელიც და გვარიც გადაულოცა. ეს ამბავი სიმონ ბერეჟიანმაც იცოდა, ამ საკითხზე ნაკლებს საუბრობდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „1918-20 წლებში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში, ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებებით გულანთებულ მწერალს აქტიური მონაწილეობა მიუღია იმ ბრძოლებში, რომელთაც ქართული ჯარი აწარმოებდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად“ [4; 472] 1920 წელს კი სიმონიკო სასწავლებლად გერმანიაში მიდის. ამის შემდეგ ის სამშობლოში არ დაბრუნებულა.. ასე დაიწყო ემიგრანტული ცხოვრება. ბერლინში წერს ლექსს „სამშობლო უცხოეთში.“ რომელშიც პოეტმა პირველად იგრძნო სამშობლოს დაკარგვის რეალური საფრთხე. აი ამონარიდი ამ ლექსიდან.

„და ყოველ დილით მძიმე საყვირი
და ხმა მენავის მომიტანს ცრემლებს,
რომ შორს დავტოვე მწვანე ნაპირი,
რომ სამუდამოდ ვტოვებ ნაცნობებს.“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლექსი, რომელიც რ. ნიშნიანიძის ცნობით წითელი მეღვინით ნაწერია და აღმოჩენილია ემიგრანტი პოეტის არქივში, გახლავთ „პარმის იები - მაგრამ ემიგრანტების გულში იანვარია“:

„ელისეის მინდვრებზე
შვენიერი დარია,
ჰყვავის პარმის იები,
ჰყვავის ჩაის ვარდები,
მაგრამ ემიგრანტების
გულში იანვარია“

ემიგრანტების საერთო წუხილი და მონატრებაა აქ გადმოცემული. ჯერ სასოწარკვეთა არ ჩანს, თუმცა არც ისე შორსაა...

უცხო ქვეყნებში უსამშობლოდ დარჩენილმა ბევრმა ქართველმა დაიწყო ლექსების წერა, რათა გადმოეცა თავისი გულისტკივილი, თუმცა ცოტანი აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთა შემოქმედებაში იგრძნობოდა ნამდვილი პოეტის გული, პოეტური ნიჭი. ერთ-ერთი მათ შორის, ვისაც აღმოაჩნდა შემოქმედებითი უნარი, არის სიმონ ბერეჟიანი. ამის დასტურია ლექსი „მგოსანი“. რომლის უკანასკნელი სტროფი საქართველოში ბევრმა იცის:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს გავიხარო
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე მტვრად ქცეული დავინახო მთელი სამყარო.“

ამ სიტყვების ავტორად ბევრს, შეცდომით, დღესაც ნოე ჟორდანია ჰგონია. აღნიშნული სტროფი, და მთლიანად ლექსი, თითქოს ყიჟინაა, თითქოს გამწარებული, იმედაცრუებული, საკუთარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მისი ბედით გულდათუთქული ადამიანის გულიდან ამოსული სიტყვებია.

სიმონიკას მთელი შემოქმედება და მთელი მისი ცხოვრებაც ტრაგიზმითაა სავსე. ის სიტყვითაც და საქმითაც იცავდა თავის სამშობლოს, სიმონ ბერეჟიანს მებრძოლი სული ჰქონდა, თან ძალიან ფაქიზი. მეორე მსოფლიო ომის დროს ის საფრანგეთში ცხოვრობდა და მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. „ჯარში ყოფნის დროს, პირველ თვეებში, მას სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო. სექტემბერში კი ისე ცუდად შეიქმნა, რომ მისი საავადმყოფოში მოთავსება გახდა აუცილებელი. ეს რუმინეთში ყოფნის დროს მოხდა. სიმონიკა სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს და მას მერე კვალი იკარგება.“ ეს გახლავთ მისი ბიოგრაფის შ. ბერეჟიანის სიტყვები, რომლის ცნობითაც სიმონს მესამე გვარიც უტარებია. მის სამხედრო წიგნაკში ეწერა სიმონ ბერგერ.

ბევრი სხვა ემიგრანტისგან განსხვავებით სიმონი ემიგრაციაში წასვლამდეც და მერეც საქართველოს ინტერესებს იარაღითაც იცავდა, საფრანგეთში მისი ჩასვლის პირველივე წელს ქართულ ემიგრანტულ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი: 1924 წლის 24 ოქტომბერს, გენერალ ლეო კერესელიძის მეთაურობით პარიზში შეიქმნა ქართველ პატრიოტ ახალგაზრდათა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის აქტიური წევრი და დამფუძნებელი ს. ბერეჟიანიც გახლდათ.

რატომ შეიქმნა ეს ახალგაზრდული ორგანიზაცია?

ფაქტია, რომ ახალგაზრდა თაობა არ დაკმაყოფილდა უფროსი თაობის პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებით და მოქმედების ფორმებით, ამიტომ შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“. ამ ორგანიზაციამ თავის სახელად აირჩია ქართველთა ძველი, წარმართობისდროინდელი მთავარი ღვთაების - თეთრი გიორგის სახელი, ხოლო დევიზი იყო: „საქართველო უწინარე ყოველისა.“ თეთრი გიორგის სულიერი ბელადები იყვნენ: მთის არწივი“ - ალექსანდრე ბატონიშვილი და ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციას, ისევე როგორც სხვებსაც, ჰქონდა თავისი პერიოდული ბეჭდვითი ორგანო - გაზეთი „თეთრი გიორგი“, რომელსაც ჰქონდა თავისი ჰიმნი, ემბლემა. ასევე დაიწერა „თეთრი გიორგელთა“ სიმღერა, რომლის ავტორიც სიმონ ბერეჟიანია. აქვე მოვიყვანთ სიმღერის პირველ სტროფს, რათა დავინახოთ ახალგაზრდების ორგანიზაციის სულისკვეთება:

„ჩვენ მოვევლინეთ საქართველოს განწირულ დროში,
მიგვიღო ზეცამ, მაგრამ მიწა გვეძახის გერებს,
მივდივარ მწყობრივ ბნელ ღამეში გიორგის დროში
დავგმეთ წითელი და ვადიდებთ ფერებს.“

ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“, სიმონ ბერეჟიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქ დაიბეჭდა მისი ლექსები „სიზმარი“ და „პასუხი ორდენოსან მგოსანს ტიცინ ტაბიძეს.“ ასევე ბერეჟიანის პროზაული ნაწარმოები „Nicolas.“ ეს დაუმთავრებელი რომანი გაზეთში გაგრძელებებით იბეჭდებოდა, რედაქტორობიდან ვიქტორ ნოზაძის წასვლის შემდეგ „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე მისი ბეჭდვა შეწყდა. „ნიკოლას“ გაგრძელებები გამოჩნდა ვიქტორ ნოზაძის მიერ დაარსებულ გაზეთ „ქართლოსში“. რაც შეეხება თვითონ ნაწარმოებს... აქ ჩვენ ვხვდებით საქართველოდან გახიზნულ ორ ქართველს - „ნასწავლო“ აფრასიონს, რომელიც ქარხანაში მუშაობს, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი, პავლე, სოფელში ცხოვრობს და საქონელს უვლის ისე, როგორც ოდესღაც სამშობლოში. ეს მას მშობლიურ ქვეყანასთან აკავშირებს, ტანჯვას უადვილებს. აი, სწორედ პავლეს ათქმევინებს მწერალი შემდეგ სიტყვებს: „ჩვენი ქვეყნის მდინარე უფრო მხიარულია, ეგრე როდი დამუხჯდება ... ჰაი, რა შორსაა ზეცა! მთვარეც რა ჭირვეულად ანათებს. ვარსკვლავები სადღა გაქრა?! მაიცა!.. იჰ, მეხი კი დაგაყარეთ დახე, დახე როგორ ბუტავენ!“ [1; 448]. ამ რომანზე ერთი თვალის გადავლებითაც ვხვდებით თუ რა გულისტკივილითაა ის დაწერილი, თუ როგორ ენატრება ავტორს სამშობლოს ცა, ვარსკვლავები, მდინარე, რომელიც უფრო მხიარულად მოედინება.

სიმონ ბერეჟიანი რომ ნიჭიერი ადამიანი იყო ამის დასტურად გარდა ლექსებისა, შეგვიძლია მოვიყვანოთ მის მიერ შესრულებული კარიკატურებიც. როგორც ვიცით, გაზეთი „თეთრი გიორგი“ საგანგებო კუთხეს უთმობდა სატირას, იუმორსა და კარიკატურებს, რომელთა მუდმივი ავტორი გახლავთ სიმონ ბერეჟიანი. მისი ნამუშევრები უფრო პოლიტიკური სატირის ნიმუშებადაა მიჩნეული. იგი, როგორც „თეთრი გიორგი“, მწარედ დასცინის ქართველ სოციალ-დემოკრატებს. მაგ: ნ. ჟორდანის (ქართული ტანისამოსის განვითარება, №88-89, 1935 წ.).

სიმონ ბერეჟიანი, ასევე თანამშრომლობდა 1928 წელს გამოცემულ ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველთვიურ კრებულში „კავკასიონი“, რომლის პირველი ნომერიც იხსნება ს. ბერეჟიანის ლექსით „ნასახლარი“.

„ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა!
შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი,
ორ ნაწნავებად გადმოიკეცა
ფარჩის კაბაზე მტკვარი, რიონი!“

როგორც რუსუდან ნიშნიანიძე აღნიშნავს, ემიგრაციისთვის დამახასიათებელია „პოლიტიკური რომანტიკა“ და ხშირად ემიგრანტი პოეტების ლექსებში ფიგურირებენ ერთი და იგივე გმირები. თუმცა ეს გასაკვირი არცაა. ამ ადამიანებს აერთიანებთ ერთი წლებილი.

თუ გადავხედავთ სიმონ ბერეჟიანის, გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანის შემოქმედებას რუსუდან ნიშნიანიძის სიტყვების სისწორეშიც დავრწმუნდებით.

მიუხედავად უცხოეთში ხანგრძლივი დროის ცხოვრებისა, ვერც სიმონ ბერეჟიანი და ვერც მისი თანამედროვე ქართული ემიგრაციის სხვა წარმომადგენლები ბოლომდე ვერ შეეჩვივნენ იქაურ გარემოს და სიკვდილამდე დარჩნენ მშობლიური მიწის ფესვებთან სისხლხორცეულად დაკავშირებულ ქართულ მამულიშვილებად. მაგალითისათვის გავიხსენოთ ლექსი „სამშობლო უცხოეთში“, ემიგრანტული ცხოვრებით გულდამძიმებული ადამიანის სულიერი სასოწარკვეთილების გამომხატველ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი სიმონ ბერეჟიანის შემოქმედებაში. გავიხსენოთ ამ ლექსის რამდენიმე ხაზი:

„მე ხშირად ვფიქრობ: გაირბენს წლები

და მეც დავტოვებ ცივ დიასახლისს,

უცხოეთიდან გადვიმალები და დავაწვები სოფელში სახნისს.

სიმონ ბერეჟიანის შემოქმედებაში ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მან უდიდესი ფსიქოლოგიური ძალისხმევით გვიჩვენა ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა ტრაგიკულ-ცხოვრებისეული ხვედრი, მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომელსაც სამშობლოსთან ერთად ცოლ-შვილის დატოვებაც მოუწია. სიმონ ბერეჟიანმა დიდი მწერლური ოსტატობით წარმოსახა უთვისტომობით სულშემძრული კაცის პიროვნული ტკივილი. ამის ნათელი დასტურია ლექსი „ემლო“.

როგორც ვხედავთ, სიმონ ბერეჟიანის პოეზია მრავალფეროვანია. მასში ასახულია როგორც ყოველდღიური ყოფა, სიმწარე ემიგრაციის წევრების, ასევე სამშობლოზე ფიქრით და ოცნებით დაღლილი ადამიანების განცდები. მ. ტულუში სიმონიკას შემოქმედებას ასე შეაფასებს: „სიმონ ბერეჟიანის შემოქმედება არის მხოლოდ და მხოლოდ ერის პოლიტიკური უბედურების მძაფრი ანარეკლი“ [6.114]

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ემიგრანტული მწერლობის ნაფიქრ-ნააზრევი არსებითად ერთი და იმავე თემებისა და პრობლემების რკალშია მოქცეული, პოეტების ლექსები ერთმანეთს წააგავს, სიმონ ბერეჟიანის შემოქმედება მაინც სხვაგან, სხვა სიმაღლეზე დგას.

ლიტერატურა:

1. რუსუდან ნიშნიანიძე, საქართველო - სამანს აქეთ და სამანს იქით, II ტომი, თბ., 2005.
2. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა, I ტომი, თბ., 2001.
3. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა, III ტომი, თბ., 2003.
4. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, 2003.
5. რუსუდან ნიშნიანიძე, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2000.
6. სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებული, თბ., 2008.

მითის მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“

ეკა ხანიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ანა დათუაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

მითი (ბერძ. ნათქვამი, ამბავი, სიტყვა) ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სახეა. მასში ასახულია უძველეს ადამიანთა წარმოდგენები სამყაროზე, მის წარმოქმნაზე, ბუნებაზე, ღმერთებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, გმირებზე, ადამიანთა ურთიერთობებზე ღმერთებთან და სხვა. სხვადასხვა ხალხთა მითების სიუჟეტური სქემები და მოტივები ხშირად ერთმანეთს. ამ საკითხებს შედარებითი მითოლოგია სწავლობს. ეს თანხვედრები შესაძლოა ოთხმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობოს: საერთო ძირის, წყაროს არსებობა; ნასესხობა; ურთიერთზეგავლენა; ერთნაირი ან მსგავსი ბუნებრივი და სოციალ- კულტურული ფონი. მითი სინთეზური ფენომენია. იგი არც ისტორიაა, არც

ზღაპარი, არც ლეგენდა, მაგრამ ყველა მათგანის ელემენტს შეიცავს. მითი გამოირჩევა დრამატულობით, ზოგჯერ ტრაგიზმით, მკაცრი ლოგიკით, პოეტურობით. მასში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ღმერთები, დემონები, ორაკულები (ღმერთების ნების მაუწყებლები). მითში ადამიანი არ არის დამოუკიდებელი; აქ ყველაფერი ღმერთების ნებით წყდება, ყველაფერი წინასწარგანსაზღვრულია. ტრადიციულად, მითების რამდენიმე ჯგუფს გამოყოფენ, მათ შორის მნიშვნელოვანია: ისტორიული მითები, საგმირო მითები, სოციალური მითები, მორალური მითები და სხვა. ისტორიული მითები, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა ხალხის, ტომის, სახელმწიფოს, ქალაქის, ციხესიმაგრის ამბები (მაგ. მითების ციკლი ტროაზე, თებზე, ოქროს საწმისზე..).

მე-20 საუკუნეში მითი გამოიყენებოდა ხშირად სრულიად განსხვავებული ცნებების აღსანიშნავად, ისეთების, როგორცაა: ილუზია, სიცრუე, პირობითობა, ჩვეულება, სოციალური ჩვეულებისა და ფასეულობების საკრალიზებული და დოგმატური გამოხატვა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და მითოლოგიისადმი განსხვავებული დამოკიდებულებისა, მითი გახდა ერთ-ერთი ცენტრალური ცნება მე-20 საუკუნის სოციოლოგიასა და კულტურის თეორიაში. ამ საუკუნის დასაწყისში მწერლები მითს უფრო ხშირად იმ მიზნით მიმართავდნენ, რათა აესახათ კრიზისული კულტურულ ისტორიული სიტუაცია.

მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურის წინაშე დადგა როგორც ეროვნული ცნობიერებისა და კულტურულ-ფასეულობათა გადარჩენის აუცილებლობა, ასევე იმ ზოგადადამიანური მნიშვნელობის „წყველა-კრულვიანი საკითხების“ ასახვაც, რომლის წინაშეც კაცობრიობა აღმოჩნდა. ეს პრობლემები ფართოდ წარმოჩნდა ამ პერიოდის ლიტერატურაში (როგორც პროზაში, ისე პოეზიაში), თუმცა განსაკუთრებული სიღრმით მაინც ოთარ ჭილაძის რომანებში გამოიხატა.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მწერლის ოთარ ჭილაძის შეხედულება მითის შესახებ: „ჩემთვის მითი ჭეშმარიტების შეცნობის ერთ-ერთი საშუალებაა და მეტი არაფერი. მაგრამ მაინც უნდა გავარჩიოთ მითის შემქმნელი და მითის გამომყენებელი მწერლობა. ... ვინ იცის რამდენი ადამიანური სახე, ხასიათი, რამდენი ბუნების სურათი, ხუროთმოძღვრების ძეგლი თუ ადათ-წესი გადარჩენია სამუდამოდ გაქრობას მხოლოდ იმიტომ, რომანში, იმავე კიდობანში, ადგილი რომ მიუჩინა მათ მწერალმა ანუ მიწიერმა განსახიერებამ ბიბლიური ნოესი, რამდენადაც მწერლის მოწოდებაც სიცოცხლის გადარჩენაა. ... ზის და თავის კიდობანს აკოწიწებს“. აქედან გამომდინარე, ნათელია, რატომ მიმართა ქართულმა მწერლობამ მითოსს მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ასე ინტენსიურად.

ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის კალამს ეკუთვნის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელიც დაწერა 1972 წელს. ამ რომანში საქმე გვაქვს მითოლოგიის ახლებურად წაკითხვის ცდასთან.

ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ქართული მწერლობისათვის სრულიად უჩვეულო, თვისობრივად ახალი მოვლენაა და ფართო მასშტაბით თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია. პირველი შთაბეჭდილება, რასაც იგი იწვევს, ეს არის განცვიფრება. ამ გრძნობას ბევრი რამ ზადებს მკითხველში, მთლიანად კი - ის მხატვრული სამყარო, ოთარ ჭილაძის დაუმრეტელ ფანტაზიას რომ შეუქმნია. მხოლოდ ამის შემდეგ ცნობიერდება ჩვენში თანდათან და სულ უფრო დაბეჯითებით მწერლის ნაფიქრი და ნათქვამი, მათი სიღრმე და სიმწვავე.

ეს რომანი უაღრესად ეროვნულიცაა და ზოგადიც, მთლიანად ქართულ სამყაროზეცაა დაყრდნობილი, მეტიც, ქართული ნიადაგიდანაცაა აღმოცენებული და საერთო საკაცობრიო სათქმელსა და სატკივარსაც გამოხატავს, მარად თავსატეხ პრობლემებზეც გვაფიქრებს.

ოთარ ჭილაძის ამ რომანში შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი მეტაფორიზებულია, არაფერია ერთმნიშვნელოვანი, ეს ჩანს პირველივე ფრაზიდან: „ზღვამაც სწორედ იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას“. რაც ავბედილობის მაუწყებელი სიმპტომი გახდა, ვიდრე ფარნაოზის მრავალმნიშვნელოვან ხილვებამდე, რითაც რომანი სრულდება.

ნაწარმოებში თითქოს დროც და გარემოც დაკონკრეტებულია, მაგრამ ამავე დროს მწერალი განზრახ თვალსაჩინოდ არღვევს ერთსაც და მეორესაც. თუნდაც ის, რომ თუ ფრიქსე ზუსტად ოცდახუთ წელს ცხოვრობდა ვანში, სამაგიეროდ იქვე მის გვერდით არიან ბოჩია და ფოთოლა, ვისი ასაკიც არავინ იცის: „ეს უცნაური ცოლ-ქმარი დროს არ ეპუებოდა“ - გვეტყვის ავტორი და მართლაც მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა განუწყვეტლივ მრავლდებოდა: „იზადებოდნენ, ხანში შედიოდნენ, ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ. ბოჩია კი უცვლელი რჩებოდა.“ მწერალი ასე იმიტომ იქცევა, რომ არ შევცდეთ და მთელი ეს ტრაგედია რაიმე კერძო ისტორიულ შემთხვევად, წარსულის კუთვნილებად არ აღვიქვათ.

ოთარ ჭილაძემ მითს იმისთვის მიმართა, რომ დაპირისპირებოდა მას, მოეხსნა მისთვის ღვთაებრივი შარავანდედი, გაეშიშვლებინა და „დაემიწებინა“ იგი. სამრთლიანადაა მიჩნეული, რომ მითები თავისი დროს სწორედ ცოცხალი რეალობის საფუძველზე შეიქმნა, რათა მიწიერი განგების ნება-

სურვილად გამოეცხადებინა, ყველაფერი ბედისწერის ძალით აეხსნა. ოთარ ჭილაძე სამყაროს მითოსისეულ მოდელს ანგრევს, ყველაფრის მიზეზსა და შედეგს რეალობაში ეძიებს და პოულობს.

ვიქტორ შკლოვსკი იმასაც აღნიშნავს, რომ „მითები ადამიანის მეხსიერებაში ისე არიან, როგორც ხელსაწყოები სამჭედლოში: სამუშაოდ და არა შესანახად. მითები შეირჩევიან იმ პრინციპით, რომ ახალი ესთეტიკური სტრუქტურა შეიქმნას“. სწორედ ამ ახალი სტრუქტურის შექმნაა ოთარ ჭილაძის მიზანი.

აიეტის სიუხვითა და სიკეთით სავსე სამეფოს დაცემის დასაწყისად ის დღე იქცევა, როცა პირველი ბერძენი, ფრიქსე დაადგამს ფეხს მის მიწაზე და მორიდებულად ითხოვს თავშესაფარს. თუმცა ვანი ამის შემდეგაც კიდევ კარგა ხანს იცხოვრებს თავისი ჩვეული მშვიდი, ბედნიერი ცხოვრებით, ღვინის ვაჭარ ბახას სარდაფში ლხენით, შავთვალეზა მალალოსა და მისი ექვსი ქალიშვილის მომაჯადოებელი სიმღერით, ბოჩიას აკვნებით, ოქრომჭედლების უბნით, დარიაჩანგის ბაღის წალკოტით, ყველაფერი იმით, რაც ერთ თავბრუსდამხვევ სიზმრად ამახსოვრდება ყოველ მნახველს. კოლხთა მეფე აიეტი კარგად ხედავს ყოველ საკუთარ მცდარ ნაბიჯს, მან ისიც იცის: „ოჯახში შემოშვებული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცავს, რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია“, მაგრამ ყველაფერი ეს ჭკუის სასწავლებლად მაინც არ ყოფნის. აიეტი მხოლოდ მაშინ ჩასწვდება ჭეშმარიტებას, როცა თავად იწვინეს მის უღმობელ გარდღუვალობას, როცა საშველი აღარ არის. ეს ყველაფერი კეთილის მიმდობლობით, უნიათობით, გულაჩუყებით მოხდება.

„თუ სიკეთე გინდა, ბოროტებასაც უნდა დაუხუჭო თვალი, რადგან ერთ მეორე მოსდევს. ან ორივეს ზურგი უნდა შეაქციო, ან ორივე უნდა ჩაიხუტო, რადგან ორივენი თავხედი და უზრდელი ბავშვებივით არიან, მცირეოდენი ყურადღებაც საკმარისია ერთის მიმართ, ორივენი მაშინვე კალთაში რომ ჩაგისხდნენ, რადგან ერთმანეთს ხელს არ უშვებენ და წინასწარვე არიან შეთანხმებული - ყველაფერი ძმურად გავიყოთ“.

საგულისხმოა, ჯვარცმული ფარნაოზის მიერ სიკვდილის წინ დარიაჩანგის ბაღის ხილვაც კეთილის მაუწყებელი ზმანებაა. რომანიის მიხედვით კოლხეთის სამეფოს კვლავ სიკეთე უნდა დაეპატრონოს, ოღონდ არა ყველაფერს შეგუებული, არამედ ბოროტის დამთრგუნველი სიკეთე. მარადიული ცხოვრების გზაზე მიმავალი კაციც აქეთ ესწრაფვის.

მითსა და ოთარ ჭილაძის რომანს შორის განსხვავება და მსგავსება

მითის მიხედვით ფრიქსე ბერძენი უფლისწულია, დედინაცვლის საბედისწერო რისხვას რომ განარიდა ვერძმა და კოლხეთისაკენ გამოაფრინა: „ბეოტიის მეფისწულამ, ათამანტის ძემ ფრიქსემ თავისი დედინაცვლის ინოსაგან ბევრი სიმწარე იგემა... ღრუბელთა ქალღმერთმა ნეფელემ მოიტაცა ის და მისი და ჰელე, შესვა შვილები ოქროს ფრთოსან ცხვარზე... ამ საკვირველმა ცხოველმა და-ძმა სივრცეში ააფრინა. უეცრად გოგონას თავბრუ დაესხა და ვეღარ გაუძლო სივრცეში ქროლას და ღრმა ზღვაში ჩავარდა. შემდეგ ამ ზღვას მისი სახელის საპატივსაცემოდ ეწოდა ჰელესპონტი. ასე დაიბრძო ჰელე, ხოლო ფრიქსემ იმარჯვა, მსვიდობით მიაღწია კოლხეთის ქვეყანას, შავი ზღვის სანაპიროზე“.

ამ რომანით კი „ბიჭი ბოგანოს შთამომავალი აღმოჩნდა სახელად ფრიქსე ერქვა“. ფრიქსეს ბუდე და სამარე უნდა გაეჩინა კოლხეთში, რათა მის კვალს მიჰყოლოდნენ ავი განზრახვით. ფრიქსე მტრის ბანაკიდან დამრული პირველი ტალღა იყო, რომელსაც მერე ახალ-ახალი, სულ უფრო ძლიერი და წამლეკავი უნდა მოჰყოლოდა. ამ რომანში კარგად ჩანს, რომ არავითარი მფრინავი ვერძი არ ყოფილა, მსხვერპლი ხომალდით მოაყენეს უჩუმრად კოლხეთის ნაპირს და დამფრთხალი ვერძი მხოლოდ მას შემდეგ გადაეშვა ზღვაში ფრიქსესთან ერთად, როცა მუფუზალი ატაკეს.

განსხვავება ის არის, რომ საკუთარი სახელები შეცვლილია რომანში. პირველხარისხოვანი გმირები - აიეტი და მედეა ინარჩუნებენ სახელებს. სამაგიეროდ კირკე ხდება ყამარი, აფსირტე - აფრასიონი, ქალკიოპე - ქარის. ეს კარგად ჩანს რომანში, როდესაც აიეტი საკუთარ შვილებს მიმართავს: „მერე თავისი შვილები, ქარისა და აფრასიონი, მოუყვანიანება“, ხოლო მითში : „ერთში ცხოვრობდა მეფე აიეტი, მეორეში კი მისი შვილი აფსირტე“.

მოქმედება კვიტაიას ნაცვლად ვანში მიმდინარეობს: „მართალია, ვანის ყველა უბანს თავისებური, განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა“. ფრიქსე, რომელიც, მითის მიხედვით, სიბერემდე ვანში ცხოვრობს, ნაწარმოებში საკმაოდ ახალგაზრდა, ნოსტალგიით შეპყრობილი კვდება: „ამ სენს სამშობლოს მონატრება ჰქვია და მშობლიური ჰაერით გაბერილი ერთი ღორის ბუმტი მთელს ჩვენ წამლებს ასჯერ და ათასჯერ გადაამეტებსო. ... ფრიქსე ლოგინში ნახეს მკვდარი“. განსხვავება მითსა და რომანს შორის, მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად დასტურდება, ასევე სხვა განმასხვავებელი თვისებებიც შეიმჩნევა მათ შორის.

რომანის წყარო ერთ-ერთი ბერძნული მითია. თუკი პარალელურ რეჟიმში წავიკითხავთ მითის პირველწყაროსა და რომანს, ვნახავთ, რომ ავტორი არაფერ მნიშვნელოვანს არა ცვლის, ის, რაც შეცვლილია, მხოლოდ იმიტომ, რომ თხრობა დამაჯერებელი გახდეს, შესაბამისად, მითის სიუჟეტიც არ ზიანდება. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ თავიდან სიუჟეტურად საყოველთაო ცნობილსა და ლიტერატურულადაც არაერთგზის დამუშავებულ ბერძნულ მითს მისდევს და ავრცობს, იმ მითს,

არგონავტების ლაშქრობის ამბავს რომ მოგვითხრობს. ოღონდ აქ ამ ლაშქრობის პერიპეტიები დაცულია, თორემ მისი ტრადიციული მიზეზები და მიზნები სულ სხვაგვარად არის ინტერპრირებული.

მითის მკითხველს სჭირდება ახსნა, ვინაიდან უკლებლივ ყველა მითი ბუნდოვანია. არგონავტების მითის მკითხველსაც სჭირდება ახსნა. სწორედ ამ მისიას იღებს თავის თავზე ოთარ ჭილაძე და დიდი წარმატებითაც ძლევს მას.

ოთარ ჭილაძის რომანის მთავარი აზრია - თუკი ცხოვრების ხიფათებით სავსე გზაზე ადამიანობას ბოლომდე შეინარჩუნებ, მაშინ შენი არსება შეუერთდება მარადიულ ფენომეს - ხალხს.

საგულისხმო ის არის, რომ ალბათ ვერცერთი მემატანე ვერ შეძლებდა მხატვრული ხერხების ისე დიდოსტატურად შერწყმას, სინთეზირებას, კომბინირებას, როგორც ამას მწერალი ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ არის მითი „ოქროს საწმისის“ ახსნის მცდელობა.

ლიტერატურა:

1. ნ. გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2011.
2. ო. ჭილაძე, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, თბილისი, 1979.
3. გ. შვაბი, „ოქროს საწმისი“, თბილისი, 1979.

უცხო ენა და ლიტერატურა

გრაალისა და გრაალის მცველის სიმბოლური მნიშვნელობა დასავლეთევროპულსა და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში

თამარ გელაშვილი, რუსუდან ტატიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნინო ბაქრაძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

მისტერიათა შორის ერთ-ერთი უძველესი გრაალის მისტერიაა. ლეგენდებმა წმინდა გრაალის შესახებ ევოლუციის არაერთი ეტაპი გაიარა, რამაც ასახვა ჰპოვა ევროპის ხალხთა სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

წმინდა გრაალი ძიების ის ცნობილი ობიექტია, რომლის წარმომავლობაზე დღემდე დაობენ. თავის დროზე მან არაერთი მწერლის ფანტაზია გააღვივა. ზოგი მის კვალს ქრისტიანულ ლიტურგიაში ეძებს, ზოგისთვის კი აღიქმევა, როგორც ეროვნული ფასეულობების სიმბოლო.

თემის მიზანია, პარალელურად განიხილოს გრაალის იმაგინაციების ყველაზე უფრო ცნობილი სიუჟეტები, კერძოდ, კრეტენ დე ტრუას, ბერნარ დე ბორონის, ვოლფრამ ფონ ეშენბახისა და გრიგოლ რობაქიძის რომანები. აჩვენოს გრაალის სიმბოლოს შინაარსობრივ-მსოფლმხედველობრივი განსხვავება ქართულ და ევროპულ ანალოგიებს შორის და შესაბამისად, გრაალის მადიებელთა განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა.

გრაალის მისტერიები არაერთი მეცნიერის კვლევის ობიექტი გამხდარა. შექმნილია უამრავი ნაშრომი ამ თემაზე და მათ შორის ქართულ ენაზეც. შესაბამისად, ახლი სიტყვის თქმა ძნელია ამ კუთხით, ამიტომ ჩვენი ყურადღება მივაპყროთ გრაალის მადიებელთა თუ მცველთა მორალურ-ზნეობრივ სახეს და წარმოვადგენთ, თუ რა შინაგანი მორალური თვისებების მატარებელი არიან, ერთი მხრივ, ევროპელი და, მეორე მხრივ, ქართველი გრაალის მცველნი და რა მოტივაცია ამომრავებთ მათ, ეძიონ გრაალი.

„დაკარგული გრაალი სიმბოლურად ადამიანის დაკარგულ სულიერებაზე მიუთითებს, რომელიც მან სამოთხეში ყოფნის ოქროს ხანასთან ერთად გაფანტა. სწორედ ამ დაკარგული ბედნიერების კვლავ მოპოვების, გარკვეულწილად „შინ“, ანუ საკუთარ თავთან დაბრუნების ნოსტალგიას გამოხატავს გრაალის ძიება, რომელსაც აუცილებლად ფათერაკების გზით მიჰყავს ადამიანი სულიერი სრულყოფისაკენ“ (5).

ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევა, ბრძოლასა და წინსვლას აუცილებლად დასჭირდება სისხლი, მაგრამ არ იქნება იგი უფრო წმინდა და უფრო დიადი, ვიდრე ეს მაცხოვრის სისხლია. ეს სისხლი განსაკუთრებულ სხივსა და ძალას მატებს თასს, რომელშიც იგი ასხია და რომელსაც გრაალი ჰქვია. გრაალში ჩასხმულ სისხლს მოაქვს ცნობიერების განახლების, ფერისცვალების ძალები. გრაალში ღვთიური სიყვარულის იდეალია განსახიერებული და ამგვარად იგი უმაღლესი სიწმინდის სიმბოლოს წარმოადგენს.

ვინც გრაალთან მიახლებას შეძლებს, ცოდვები მიეტევება, ებოძება სამუდამო სიცოცხლე ზოგიერთი ვერსიით (ემენზახის რომანის მიხედვით), სხვადასხვა სახის სიკეთე საკვებისა და სასმელის სახით და სხვ.

პირველი მწერალი, რომელიც გრაალის თემას შეეხო, არის კრეტიენ დე ტრუა და მისი რომანი - „პარციფალი, ანუ თქმულება გრაალზე“. მთავარი პერსონაჟია პერსევალი, რომელიც სახლს ტოვებს და შემდგომში გრაალის მაძიებლად გვევლინება. შემთხვევით გრაალის მცველის, მეფე-მეთევზის სასახლეში ხვდება და ხდება მოწმე უცნაური პროცესის, სადაც მსახურებს შემოაქვთ სისხლიანი შუბი, ოქროს ორი შანდალი, რომელშიც ათი სანთელი ანთია და ძვირფასი თვლებით მოჭედული ოქროს თასი. სწორედ ამ სამი ნივთის სახითაა წარმოდგენილი კრეტიენ დე ტრუასთან გრაალის კომპლექსი.

მეცნიერები კრეტიენის გრაალის კომპლექსის წყაროდ მიიჩნევენ ბიზანტიურ ლიტურგიას. ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში დიაკვანს მოაქვს ფეშხუმი, მღვდელს - ზიარების ბარძიმი. დიაკვანს იმავდროულად საკმეველიც უჭირავს. მღვდლისა და დიაკვნის საზეიმო პროცესიას წინ ანთებული ლამპრებით მიუძღვიან. მსვლელობას ზიარების რიტუალი მოსდევს. შუა საუკუნეებში აგრეთვე მეტად გავრცელებული იყო ლონგინოზის შუბის ლეგენდა. უკვე იოანეს სახარება მოგვითხრობს მეომრის შესახებ, რომელმაც ჯვარცმულ მაცხოვარს შუბი უგმირა ფერდში (იოანე, 19, 13-37). მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ზიარების თასი და ლონგინოზის შუბი ქრისტიანი ხალხების ფანტაზიაში ერთმანეთთან დაკავშირებული რელიკვიებია. ლონგინოზის ლეგენდაში თვითონ შუბიდან სისხლის გადმოდინების მოტივს არ ვხვდებით. მაგრამ, ხალხური წარმოდგენების თანახმად, მაცხოვრის ფერდიდან წამოსული სისხლი შუბის ტარს მოყვება და ლონგინოზს ეწვეთება ხელეზზე. ამდენად, მეცნიერთა ვარაუდით, გრაალის კომპლექსს საფუძვლად დასდებია ბიზანტიური ლიტურგია და ლონგინოზის ლეგენდა (2; 49-50).

რობერ დე ბორონის რომანში „წმინდა გრაალის ისტორია“ გრაალი ის თასია, რომლიდანაც ზიარება მიიღეს საიდუმლო სერობის მონაწილეებმა. იოსებ არიმათიელმა ქრისტეს ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა, მისი ჭრილობიდან გადმოდენილი სისხლი ბარძიმიში შეაგროვა. მოგვიანებით იუდეველებმა მაცხოვრისადმი გამოჩენილი ერთგულების გამო იოსებ არიმათიელი დილეგში გამოკეტეს. მას ქრისტე გამოეცხადა და ის ბარძიმი გადასცა, რომელიც იოსებს დიდი ხნის დაკარგული ეგონა.

იოსები დილეგში მრავალ წელს გაატარებს, იუდეველებს მისი არსებობა სულაც დაავიწყდებათ, სასმელ-საჭმელის გარეშე დარჩენილს გრაალის თასი შეუნარჩუნებს სიცოცხლეს. გათავისუფლებული იოსები აყალიბებს გრაალის მაგიდის სამმოს. მაგიდასთან, სადაც გრაალის თასი ასვენია, მხოლოდ წმინდა ადამიანებს ძალუბთ დაჯდომა. გრაალის გარშემო იკრიბებიან მორწმუნეები ყოველდღიური მოკრძალებული ტრაპეზისათვის, რომელიც ემსახურება მათი ქრისტიანული სულით აღვსებას. ცოდვილნი გრაალის მაგიდასთან ადგილის დაკავებას ვერასოდეს შეძლებენ. ამ გზით ახერხებს იოსები გამოავლინოს უღირსი ადამიანები და განკვეთოს.

ვოლფრამ ფონ ემენზახის რომანში მოთხრობილი ამბავი იდუმალებით მოცულ გრაალსა და მის მცველ რაინდთა სამმოს შესახებ ჰგავს კრეტიენის ნაწარმოებს. თუმცა ემენზახთან გრაალი არა თასი, არამედ პატიოსანი ქვაა, რომელიც ასმევს და აპურებს ყველას სურვილისამებრ, ანიჭებს ადამიანს სულიერ ძალას, ახალგაზრდობასა და დღეგრძელობას. ემენზახისეული გრაალი - ძვირფასი ქვაა, რომელიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლით გაჟღინთა. ამგვარად, გერმანელ მწერალთან გამოყენებული სიმბოლოც უშუალოდ დაუკავშირდა ქრისტიანულ რელიგიას.

როგორც კრეტიენ დე ტრუასთან, ემენზახის რომანშიც პარციფალი შემთხვევით ხვდება გრაალის სასახლეში. აქაც მეორდება პროცესიის სცენა, შემოაქვთ შუბი, რომლიდანაც სისხლი მოწვეთავს, ოქროს შანდლები, ორი ვერცხლის დანა და ბოლოს მწვანე აბრეშუმზე დასვენებული გრაალის ქვა.

გრაალი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი სიმბოლოა. მისი რომანი „მცველნი გრაალისა“ ქართული მოდერნისტული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. აქ გრაალი წარმოდგენილია ვაზის ჯვრის მტევნებიდან გამოწურული წვენიტ სავსე თასის სახით. მტევანთა წვენი საკრალურ სისხლთან იგივედება, ხოლო გრაალის თასი საკუთარ თავში საქართველოსათვის ზეგარდმო მონიჭებულ მადლს ინახავს.

ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უძვირფასესი სიწმინდეა ვაზის ჯვარი, რომლითაც წმ. ნინომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა. ქრისტიანულ რელიგიაში ძე ღმერთი ვაზთან ასოცირდება, ამდენად, ეს მცენარე და მისგან მიღებული სასმელი წმინდაა და უშუალოდ უკავშირდება მაცხოვარს.

გრაალის სიმბოლიკაში მთავარია არა მისი ფორმა, არამედ შინაარსი. გრაალისკენ სწრაფვა არ ნიშნავს „ფიზიკური“ საგნის ძიებას. სინამდვილეში ეს პროცესი პირველწყაროსთან მიბრუნებაა. ეს არის განათლების, აღორძინების, საკუთარ თავში ღმერთის აღმოჩენის ცდა.

ეს, რაც შეეხებოდა გრაალის სიმბოლოს ვიზუალურ-შინაარსობრივ მხარეს განსახილველ ავტორთა შემოქმედებაში. ახლა შევეხებით გრაალის მცველის ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და მათ მიერ გრაალის ძიების მიზნებს.

გრაალის მცველი ყველა დროში ერთსა და იმავე პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს კეთილშობილი, ზნეობრივად სუფთა ადამიანი. გრაალის მიმდევარს მოეხოვება კეთილშობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ზნეობრივი სრულყოფა, ნათელი აზროვნება და სუფთა გული, ჭეშმარიტების სამსახური და თავმდაბლობა. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია გრაალის ღვთიურ საიდუმლოთა წვდომა. გრაალი თვით უხმობს მათ.

გრაალის მცველები განსაკუთრებული მისიით მოვლენილი ადამიანები არიან. მაღალ ღირებულებათა დაცვისათვის დაღვრილი სისხლი უტოლდება კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვისათვის მაცხოვრისაგან დაღვრილ სისხლს. რჩეულის გამოვლენასა და გრაალის მცველად ქცევას ეპოქა უწყობს ხელს. მცველი მაშინ ჩნდება, როდესაც ფასეულობებს დაცვა სჭირდება. უმთავრესი ფასეულობა კი, ეზოთერული გაგებით, სწორედ გრაალია (3; 9-10).

კრეტიენის პერსეველი მიეშურება გრაალის საძიებლად, მაგრამ მას დავიწყებული ჰყავს ღმერთი და ამიტომ მრავალ წელს კარგავს უშედეგო თავგადასავლებში. გრაალთან წარუმატებელი შეხვედრა მოწმობს მის არასაკმარის სიყვარულზე ღვთაების მიმართ.

ბოროტთან გრაალის მცველთა ძმობა უბრალოდ რჩეულთა ძმობა კი არაა, არამედ იდუმალი კავშირით შეკრულთა ერთობა. ეს არის ძმობა მცირე თანამოაზრეთა და არა ფართო რაინდული ერთობა. საგულისხმოა, რომ თვით საუკეთესო რაინდებსაც კი არ აქვთ უფლება, ჩასწვდნენ გრაალის საიდუმლოს. ამ საიდუმლოს იოსები გაანდობს მხოლოდ სიწმინდის მომავალ მცველს.

ახლა ვნახოთ, როგორია ეშენაბახის პარციფალი. გრაალის ძიებას მთელი ცხოვრება შესწირა მუდამ დაუმარცხებელმა და მტერთა მძლეველმა პარციფალმა. მისი შეცდომებითა და განსაცდელით საესე გზა - ღმერთის ძიების გზაა. სულიერი განვითარების ამ რთულ და ფათერაკებით საესე გზას პარციფალი ადგას, როგორც ადამიანი, მყოფი ფეოდალურ-რაინდული ეთიკის პირობებსა და უმაღლეს ადამიანურობას შორის. ეშენაბახთან გრაალის ძიებას „ადამიანი მიჰყავს შინაგანი სრულყოფილების მწვერვალებისაკენ. ცხოვრების ასეთი გზა განუყოფელია რელიგიური იდეალისაგან“ (3; 61). გრაალის „თვალისმომჭრელ შორეულ ნათებას შეიძლება თვალი მოჰკრას მხოლოდ უბიწო, უმანკო რაინდმა, ვისაც არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია, ვინც მხოლოდ კეთილის დამკვიდრებისთვის იბრძოდა და იღწვოდა“ (3; 62). ეშენაბახის რომანშივე ვიგებთ, რომ გრაალის მცველის ვინაობა ზეცაში წყდება.

კრეტიენის, დე ბორონისა და ეშენაბახის გმირები ინიციაციის რთულ გზას გადიან იმისათვის, რომ გახდნენ ღირსი, ეზიარონ წმინდა გრაალს. ღვთის სიყვარული, მათი ზნეობრივ-მორალური სრულყოფა გრაალის დაუფლების აუცილებელი წინაპირობაა. ისინი რჩეულთა შორის რჩეულნი არიან.

ამ კუთხით მათ ჩამოჰგავს ლევან ორბელი - გრ. რობაქიძის მთავარი გმირი რომანიდან „მცველნი გრაალისა“, მაგრამ, ამავდროულად, ივსება ახალი, ეროვნული შინაარსით, რაც განაპირობებს ქართველი გრაალის მცველის განსხვავებას დანარჩენი გმირებისგან და ამ კუთხით მის უნიკალურობას.

ჭეშმარიტად ზენაარის მიერ რჩეულია პოეტი ლევან ორბელი. განსაკუთრებული ზნეობრივი პრინციპები, ნატიფი, ფაქიზი სული იმთავითვე გამოარჩევს მას ყველასგან. წარმოსახულს რეალობად იღებს, რაც მის სევდას განაპირობებს. იგი ისეთ უბრალო ნივთებში შეიცნობს უზენაესს, როგორცაა: ქვა, ყვავილი და ა.შ. არ არის გასაკვირი, რომ სწორედ მისთვის ხილვის საშუალებით ხდება ცნობილი გრაალის შესახებ. პოეტური ალღო და ხსენებული ხილვა სამყაროს მთლიანობას განაცდევინებს ლევანს.

1921 წლის 25 თებერვლის ამბებით შეძრულ ლევან ორბელს ხილვა ჰქონია: საქართველოს მონღოლთა ურდოები შემოესივნენ, მთელი ქვეყანა დაიმონეს, მხოლოდ ნინოს ჯვრის მფლობელი ერთი მესხური გვარი არ ნებდებოდა იმ მოტივით, რომ ერთი ადამიანი მაინც უნდა დარჩენილიყო დაუმონებელი, რათა შენარჩუნებულიყო ეროვნულობა და მომავლის რწმენა.

თავადი კარდუ თავის თანამებრძოლებთან ერთად უფსკრულსა და მონღოლებს შორის იყო მოქცეული და თითქოს გამოსავალი აღარც ჩანდა. მოულოდნელად გაჩნდა პატარა გოგონა, თავისი უმანკო ხელით შეეხო ჯვარს, მოხდა სასწაული და ვახის ჯვარმა სამი ოქროს მტევანი გამოისხა. ქართული გრაალი ამ მტევნიდან მიღებული წვენიით სავსე თასია. თასში ინახებოდა საქართველოს მაღლი. იგი გახდა მისი სულიერი განახლების წყარო. ის იყო გული და მზე საქართველოსი.

რობაქიძის რომანში მოქმედება წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში ხდება, კონკრეტულად, 1924 წ. თავად-აზნაურთა აჯანყების პერიოდში. მოქმედ გმირებს რეალური პროტოტიპები ჰყავთ. ნაწარმოები პატრიოტული სულით არის გაჟღენთილი და ეროვნული იდეის

მატარებელია - საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი სახელმწიფოებრიობაა მთავარი მოტივი. ხსენებული ხილვიდან სამი წლის შემდეგ ლევანი არგვეთის თავადთან - გიორგისთან რეალურად ნახავს ქართულ გრაალს. პირველი შეხვედრისთანავე იხილება თავადი გიორგი ახალგაზრდა პოეტით, რომელიც საკუთარ თავში ჩაღრმავებული ადამიანია და მისგან საოცარი ძალა მომდინარეობს. თავადი გრაალის მცველად სწორედ ლევანს ირჩევს. „ლევან ორბელი განსაკუთრებულ გარემოებებში მოხვედრილი განსაკუთრებული ადამიანია. მისი მოვლენათა აღქმის უნარი ძალზე გამაფრებელია, ხოლო მისი წარმოსახვის უნარი განსაკუთრებული სიმდიერითაა განვითარებული. მისი, როგორც გრაალის მცველის მისია იმითაც არის გართულებული, რომ იგი იძულებულია დაუპირისპირდეს სიწმინდის დამანგრეველს, არა მხოლოდ როგორც პიროვნებას, არამედ ის გაცილებით უფრო დიდ ფენომენს ერკინება - მთელს სისტემას, რომელიც გრაალის და, მაშასადამე, თვით ლევანის წინააღმდეგ არის მიმართული; სისტემას, რომელიც ყველა სიწმინდეს ისეთივე გაშმაგებით ებრძვის, როგორც ადამიანის ინდივიდუალურობის ნებისმიერ, სულ მცირე გამოვლინებასაც კი, რაც ფსიქოლოგიურად სრულიად გამართლებული და სწორი ქმედებაა. ის სულიერი სიწმინდე, რასაც გრაალი განასახიერებს თავისი ნებისმიერი გამოვლინებით, იქნება ეს თასი, მასში ჩადებული გული, თუ ფილოსოფიური ქვა, უშუალო კავშირშია ადამიანის პიროვნულ სულიერ ძალებთან, ანუ მის ინდივიდუალურობასთან“ (5).

სწორედ ამიტომ არის, რომ სისხლიანი, ტოტალიტარული სისტემა ერთნაირი თავგამეტებით ებრძვის გრაალის მცველებსა და ქართული სახელმწიფოებრიობის მებრძოლთ. რწმენას და სულიერ სიმტკიცეს სამშობლოს დამცველთ გრაალი აძლევს. წმინდა რელიკვია იმ დროს ჩნდება, როცა რწმენა შესუსტებულია, ნებისყოფა მოდუნებული, ჩნდება, რათა განამტკიცოს შერყეული მრწამსი, ჩაუნერგოს იმედი ფიზიკურად დაუძლურებულ სამწყსოს. მაგრამ ადამიანი მას არა მარტო ძნელბედობის ჟამს უნდა ეძიებდეს. გრაალის მისია არ ამოიწურება რომელიმე კონკრეტულ ეპოქაში, ესაა ის გარდაუვალი სამიუბელი, რომელსაც სამყაროს დასასრულამდე მოიძიებს ადამიანის გონი. თუმცა იგი, ისე როგორც ყოველივე წმინდა და ღვთაებრივი, მისწვდომია მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში და განსაკუთრებული უნარების ფლობისას.

სწორედ განსაკუთრებულ პირობებში - საქართველოს ძნელბედობის ჟამს და განსაკუთრებული უნარის მქონე ადამიანს - ლევან ორბელს ეცხადება გრაალი. „რომანის დასაწყისში ლევან ორბელის სულიერი ძალები და გრძნობები სრული ძალით წარსულისკენ არის მიმართული. სწორედ იქ გრძნობს იგი თავს ყველაზე კარგად, მით უმეტეს, რომ აწმყო ძალზე მძიმე და ტრაგიკული მოვლენებითაა დატვირთული და სამომავლო იმედის არანაირ საფუძველს არ იძლევა. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ლევანის წარმოსახვის, მართლაც, სასწაულებრივი უნარი წარსულსა და აწმყოს გააერთიანებს. ეს შემაერთებელი წერტილი გრაალია. ეს გარდამტეხი მომენტია როგორც რომანში, ასევე ლევან ორბელის ცხოვრებაში. გრაალის ხელშეხახებ რეალობაში არსებობით ორბელისთვის ყველაფერი იცვლება“ (5).

ლევან ორბელის ცხოვრება, ეს არის მზადება წმინდა გრაალთან შესახვედრად და ბრძოლა გრაალის, იმავე სამშობლოს დასაცავად. ნაწარმოებში გრაალის თასისა და სამშობლოს გადარჩენისთვის ბრძოლა ერთმანეთშია გადახლართული. ხდება ამ ორი იდეის გაერთიანება-გაიგივება.

ამრიგად, განხილულ ტექსტებში გრაალის სიმბოლოსა და გრაალის მცველთა ანალიზმა აჩვენა, რომ ევროპელ ავტორთა ნაწარმოებებში გრაალის სიმბოლო, უპირველესად, რელიგიურ-ქრისტიანული შინაარსის მატარებელია, გრაალის მამიებელი კი ზნეობრივად ამაღლებული, განსაკუთრებული ხედვის მქონე ადამიანი, რადგან მხოლოდ ასკეტური ცხოვრების წესის მქონე ადამიანისთვის ხდებოდა ხილული გრაალი.

გრაალის სიმბოლო რობაქიძესთან, განსხვავებით კრეტინის, ბორონისა და ემენზახისგან, გარდა რელიგიურისა, ეროვნულ ფასეულობასაც წარმოადგენს და ამგვარად რელიგიურ-ეროვნულ მოტივებს აერთიანებს. შესაბამისად, რობაქიძის გრაალის მცველი ღმერთის მამიებელი პატრიოტია, რომელიც დგას ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვის სადარაჯოზე. ქართველი გრაალის მცველი იბრძვის არა საკუთარი სულის ხსნისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადო საქმეს ემსახურება.

გრ. რობაქიძემ გრაალის სიმბოლოს ქართული სული შთაბერა. აქამდე ცნობილ რელიგიურ-ქრისტიანულ ასპექტს ეროვნულ-პატრიოტულიც დაუმატა და შედეგად ბევრად უფრო ტევადი და ღირებული გახადა იგი.

ლიტერატურა:

1. დარსანია ვ., გრაალის იმპულსი ვოლფრამ ფონ ემენზახის „პარციფალში“. თბ.: „კარდუ“, 1995.
2. თვარაძე აღ., გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ ემენზახის „პარციფალის“ მიხედვით, თბ.: 2000.
3. ნემსაძე ლ., გრაალის იმაგინაციები, თბ.: „უნივერსალი“, 2005.
4. რობაქიძე გრ., მცველნი გრაალისა, თბ.: „არტანუჯი“, 2012.

5. წერეთელი ლ., გრაალის ძიება - გმირის ინიციაციის გზა გრ. რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“ (ელ. ჟურნალი: ინტელექტუალი 2010 №12 - <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10---4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-OutfZz-8-00-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL1.24&d=HASH905eb02e1b83604309dca0.2.4>)

ერნესტ ჰემინგუეის ნოველა „კატა წვიმაში“ და მისი თარგმანები ქართულ ენაზე

ვევლინა თარაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

თეონა შავლობაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე**, პროფესორი

„ჩვენს საუკუნეში არცერთ მწერალს, ალბათ, იმდენი მიმდევარი და წამბაძველი არა ჰყოლია, რამდენიც ერნესტ ჰემინგუეის გამოუჩნდა. შეიქმნა ტერმინი „ჰემინგუეის სტილი“, „ჰემინგუეისებრი წერა“ და, იქნებ გადაჭარბებულიც არ იყო თქმა, რომ თითქმის ყველა ახალბედა მწერალმა სცადა თავისი მწერლური ნიჭისა და შესაძლებლობისათვის მოერგო ეს სტილი. ასე მოხდა ყველგან, ყველა ქვეყანაში. „ჰემინგუეიმ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი, თავისი მეტად საინტერესო და დიდი შემოქმედებით იგი ათეული წლის განმავლობაში ტონს აძლევდა ლიტერატურის განვითარებას მთელ დასავლეთში და მაღალი მოქალაქეობრივი პატიოსნებით, დიდი ჰუმანური პათოსით ეხმაურებოდა ყველაზე მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ პრობლემებს, რაც კი მის თანამედროვე ადამიანებს აწუხებდა და აღელვებდა.“ [ჰემინგუეი 1965: 331]. ამერიკელი მწერალი, რომანისტი და ჟურნალისტი ერნესტ მილერ ჰემინგუეი დაიბადა 1899 წლის 21 ივლისს შტატ ილინოისში. მან აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, სხვა განათლება არც მიუღია. მამამისი - კლარენს ედმონდს ჰემინგუეი იყო ფსიქიატრი, ხოლო დედა - გრეის ჰოლ-ჰემინგუეი - მუსიკოსი. 18 წლის ასაკში ერნესტმა მიიღო პირველი სამუშაო ადგილი რეპორტიორის თანამდებობაზე, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ჰემინგუეიმ დაიწყო მუშაობა იტალიაში წითელი ჯვრის მძღოლის პოზიციაზე. 1918 წლის 8 ივლისს ის დაიჭრა ფეხში.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მწერალმა იმუშავა ცოტა ხანს გაზეთ „Toronto star“-ში. მომდევნო წლებში ჰემინგუეი მოგზაურობდა პარიზსა, იტალიასა და ინგლისში, ასევე ეწვია კუბას. ჰემინგუეის მიღებული აქვს პულიტცერის პრემია (1953 წ.) და ნობელის პრემია (1954 წ.) ნაწარმოებისთვის „მოხუცი და ზღვა“.

მწერალმა თავისი შემოქმედების მეტი ნაწილი ომის თემას მიუძღვნა. რომანები - „ადმოხდების მზე“ („ფიესტა“) (1926 წ.) და „მშვიდობით იარაღი“! (1929 წ.), რომლებშიც ღრმა ტრაგიზმით აგვიწერს ადამიანთა სულიერ დრამას, ომის დამლუპველ გავლენას მათ ბედზე.

ნოველა „კატა წვიმაში“ შევიდა მწერლის პირველ კრებულში „ჩვენს დროში“ („In our Time 1926“). ჰემინგუეი ოთხჯერ იყო დაქორწინებული და ამ ქორწინებიდან და სამი ვაჟი დარჩა შვილიშვილები და მათი შთამომავლები. 1959 წლიდან მოყოლებული ერნესტი იტანჯებოდა ციროზისაგან. ის ცდილობდა ებრძოლა ღვიძლის დაავადებასთან. 1961 წლის 2 ივლისს მწერალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე კუბაზე, საკუთარ სახლში. სანადირო თოფიდან გასროლილი ტყვია მოხვდა მას შუბლის არეში.

„მამაკაცს არა აქვს ლოგინში სიკვდილი უფლება.

ან ბრძოლაში უნდა მოკვდეს,

ანდა ტყვია იკრას შუბლში“ -

როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე... [www.biblusi.ge]

მწერალსა და მთარგმნელის ვახტანგ ჭელიძის აზრით, „პირველი თავისებურება ჰემინგუეის სტილისა ეს არის გამომსახველ საშუალებათა უდიდესი სიძუნწით ხმარება, იგი ცდილობს მინიშნებით გააცნოს მკითხველს ესა თუ ის სიტუაცია, უშუალოდ დაანახოს მას გმირი, კი არ მოგვითხროს თავისი

გმირების თავგადასავალი, არამედ გვიჩვენოს და ყოველგვარ მსჯელობას თუ ავტორისეულ რემარკებს თავი აარიდოს. იგი მკითხველს აქტიურ ჩარევას გულისხმობს, რომელმაც თავის წარმოდგენაში უნდა აღადგინოს ის, რაც ავტორმა განგებ გამოტოვა, გმირისა თუ მოვლენის დახასიათება, მისი ბიოგრაფია თუ მომავალი.

ჰემინგუეი აისბერგს ადარებს ლიტერატურას: მხოლოდ მერვედი ნაწილი ჩანს აისბერგისა წყალს ზემოთ, დანარჩენი წყალშია დაფარული. ლიტერატურაშიაც ასე უნდა: მერვედი ნაწილია დაიწეროს იმისა, რაც მწერალმა იცის და რაც ნაწარმოებში იგულისხმება. ჰემინგუეი ცდილობს არცერთი ზედმეტი ფრაზა არ იხმაროს, მაგრამ, სამაგიეროდ, შეარჩიოს ისეთი სიტყვა, რაც ზედმიწევნითი სისწორითა და სიმართლით გამოხატავს და შექმნის საჭირო განწყობილებას. ჰემინგუეი, მართლაც, მტკიცედ დგას დიდი, კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე, მთელი მისი შემოქმედება სწორედ ამ დიდ ლიტერატურის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენს, ოღონდ იგი ახლებურ ფორმას ეძებს, საკუთარ სტილს იმუშავებს და სწორედ ამას შეჰყავს შეცდომაში ბევრი მკვლევარი და მკითხველი. ჰემინგუეის შემოქმედება მაღალი ჰუმანიზმით არის გაჟღენთილი, ადამიანის ცხოვრებაში დამკვიდრებულ სიკეთის საწყისებს ეძებს და ბოროტების ძალებს ებრძვის“ [ჰემინგუეი 1965: 340, 341]. ჰემინგუეის სტილი სადა, მარტივი და ლაკონურია. თითქოს ეტყობა, ჟურნალისტიკაშიც რომ არის ნამოღვაწარი. მას „აისბერგივით წერა“ უყვარს - როგორც თვითონ თქვა... სიღრმის დანახვას მკითხველს ანდობს, ზედაპირულ თხრობას კი თვითონ ითავსებს. სწორედ ამიტომაც რომ ჰემინგუეის გენიალურად აღიარებენ... სწორედ ამიტომაც მისი მოთხრობები აისბერგივითაა შექმნილი... მკითხველს ის ხომ თავისუფლებას ანიჭებს. [pleasantt.wordpress.com]. სამწუხაროდ, ქართულ კულტურულ სივრცეში ნაკლებადაა მკვლევართა მიერ შესწავლილი ე. ჰემინგუეის ნაწარმოებები და განსაკუთრებით ნოველა „კატა წვიმაში“. მხოლოდ ლ. თაბუკაშვილის ინტერნეტში განთავსებულ თარგმანს წინ უძღვის მთარგმნელისეული შეფასება ამ ნოველისა: „შავი კატა ევროპული და ამერიკული ტრადიციებით ასოცირდება რაღაც უბედურებასთან. ეს ყოველდღიურობაშიც კარგად ჩანს, შავი კატა თუ წინ გადაურბენს, ზოგიერთი ადამიანი უკან ბრუნდება სახლში, ზოგი კი სხვას გაატარებს წინ და ისე გაივლის გზაზე. ერთი შეხედვით ეს შიში სასაცილოა, მაგრამ ... წარმოდგენა, რომ შავი კატები ეშმაკთან არიან კავშირში, ძველი ევროპული წარმოდგენაა...“

ნაწარმოების „კატა წვიმაში“ მოქმედება ძირითადად სასტუმრო ოთახში ვითარდება, თუმცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვითარების შესაბამისად როდი იქცევა. კიბეზე ასვლა-ჩამოსვლისას ნაცნობი არასოდეს შეხვედრიათ და, საფიქრებელია, სასტუმროს (საფიქრებელია, კეთილმოწყობილ ოთახში) ერთმანეთს უკეთესად გაიცნობენ. მესამე სართულზე ასვლა არცთუ ისე ძნელი უნდა იყოს... (წესით, მოხუც ცოლ-ქმარსაც არ უნდა გაუჭირდეს). ოთახიდან ხედიც მშვენიერია: დიდი პალმები, მწვანედშეღებელი მერხები; ხატვით გართული მხატვრებისა და ომში დაღუპულთა მონუმენტის სანახავად შორიდან მოსული, ბუნებით მხიარული იტალიელებიც არ უნდა არღვევდნენ ბაღის სიმშვიდესა და მყუდროებას. მშვენიერია! „წვიმდა“. – კვიტხულობ „It was raining.“ და იოსებ ნონეშვილის შედეგრი მახსენდება (მაქვს ასეთი სისუსტეები... და აღიარება ვერანაირი შევლა...). „წვიმს, იქნებ ეს შენა ხარ ცრემლებად დაღვრილი და გასურს არ გაიდარო...“ აშკარაა, (ჩემთვის!) აქ რაღაც არასასიამოვნოს მოსასმენად გვაშაადებენ“... - ასე აფასებენ ინტერნეტ ფორუმზე ე. ჰემინგუეის ნაწარმოებს მკითხველები.

არა მგონია წვიმა წარღვნის დასაწყისი იყოს...

მოთხრობაში ხომ გარკვევით წერია – “It was raining” - წერს ჰემინგუეი “It was raining.” და „ეგრევე“, თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევსო, აგრძელებს: „წვიმის წვეთები პალმის ფოთლებშიც ატანდა.“ პალმები დიდია, ანუ თუ ე.ი. თავს ვერაფერს შეაფარებ. მერე და მერე ნამდვილი შტორმია და რატომღაც მახსენდება, თუ ვიხსენებ: „ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს თითი, თვალთან მიტანილი!... ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!...“, არა, ჯერ არ ბნელა, ჯერ მხოლოდ წვიმს... და მე ცხვირში ღალატის სუნი მცემს... (და როგორც მოგიანებით აღმოჩნდება... სულ ტყუილად). არ დაგვავიწყდეს, ბაღში არც ერთი მანქანა აღარ დგას (აღიარეთ, რამდენჯერ გინატრიათ ცარიელ ქუჩაში (მასთან ერთად წვიმაში მანქანით სეირნობა). კაფეც (კაფეშიც არ მოიწყენდა კაცი) შორსაა და იქამდე მივბრუნებ არ უნდა იყოს ადვილი...

ასეა და მაინც ახალგაზრდა (?) ცოლ-ქმარისთვის წესითა და რიგით ყველაფერი იდეალურად უნდა იყოს! სასტუმროს (სასტუმროს კეთილმოწყობაზე საუბარი ახლა არ ღირს) მესამე სართულზე განთავსებული ოთახი პალმა როდია და არც ის მგონია, მაინცდამაინც დღეს მეზობელს ონკანი მოშვებული დარჩეს. ყველგან წყალია, ოღონდ ოთახს (?) გარეთ.

ჰო, როგორც ამბობენ სიცოცხლე წყლიდან წარმოიშვა...

იქნებ... წვიმაში ახალი სიცოცხლეც (ცხოვრება?) დაიწყოს...“ [taobebi.site.ge]. ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ მთარგმნელმა კარგად გაითავისა ნოველის არსი და მისი გააზრება ქართულ სივრცეში.

„კატებს თავიანთი გრძნობების

გამოხატვის საოცარი უნარი აქვთ,
ადამიანებსაც იგივე უნარი რომ
გვქონდეს, ყველაფერი ბევრად უფრო
გამარტივებული იქნებოდა“ - წერდა თავად ჰემინგუეი.

წარმოგიდგინთ ნოველის სიუჟეტს:

სასტუმროში მხოლოდ ორი ამერიკელი ცხოვრობდა. ისინი არავის იცნობდნენ. ამერიკელის ცოლი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა, როცა უცებ, ზუსტად მისი ფანჯრის ქვეშ, მწვანე მაგიდას კატამ შეაფარა თავი და ისე მოკალათდა, რომ არ დასველებულიყო. „ქვევით ჩავალ და კატას ამოვიყვან“ - თქვა ქალმა. „მე ამოვიყვან! - შესთავაზა ქმარმა, რომელიც იქვე საწოლზე იწვა. მაგრამ არც განძრეულა. ამიტომ ქალი თვითონ წავიდა კატის მოსაყვანად. ამერიკელის ცოლი კიბეს ჩაუყვია და, როდესაც მისაღები ოთახი გაიარა, სასტუმროს მეპატრონე, მაღალი, მოხუცი კაცი, თავის დაკვრით მიესალმა. ქალს მოსწონდა ის, მოსწონდა მისი ღირსეული შესახედაობა, მოსწონდა, როგორ ცდილობდა ესიამოვნებინა ქალისათვის. მოსწონდა მისი ხნიერი, მაგრამ ფართო სახე და დიდრონი ხელები. ქალმა ხრემიანი ბილიკი გაიარა და მსახურთან ერთად (რა თქმა უნდა ის, სასტუმროს მეპატრონემ გამოაგზავნა), რომელიც უკან ქოლგით მოყვებოდა, ზუსტად თავისი ფანჯრის ქვეშ გაჩერდა. მაგიდაც იქვე იყო, მაგრამ კატა იქ აღარ დახვდა. მსახურმა ქალს შეხედა, მისი სახეზე იმედგაცრუება ადვილი შესამჩნევი იყო. უკან იმავე ხრემით მოფენილი ბილიკით დაბრუნდნენ. როდესაც ამერიკელის ცოლმა მისაღები ოთახი გაიარა, სასტუმროს მფლობელი ისევე მიესალმა, რაღაც ნათელი გრძნობა ჩაიღვარა ქალში. ქალი კიბეს აუყვია და თავისი ოთახის კარი შეაღო. ჯორჯი ისევე იწვა და კითხულობდა. „მოიყვანე კატა?“ - წიგნი გვერდით გადადო ცოლს შეხედა. „იქ აღარ იყო“. ქალი ნაღვლიანი იყო მას ძალიან უნდოდა კატა. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. კართან მსახური ქალი იდგა. მჭიდროდ ყავდა ტანზე მიკრული დიდი, კოპლებიანი კატა. მოიბოდიშა მსახურმა: „სასტუმროს მეპატრონემ მიბრძანა ეს კატა ქალბატონისთვის მომეყვანა“.

თარგმნის საკითხი საერთოდ რთულია ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი მწერლის ნაწარმოების აღსაქმელად უცხოელი მკითხველისათვის. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე თავის წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდან „მემლილის“ თარგმანზედ“, აყალიბებდა ქართველი მთარგმნელისათვის აუცილებელ პრინციპებს, თუ რა უნდა ეთარგმნათ და როგორ? ინგლისურიდან შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანებმა ხელი შეუწყო გენიალური კლასიკოსის ახმიანებას ქართულ ენაზე. თარგმანის თეორეტიკოსი გივი გაჩეჩილაძე თვის ნაშრომში „მხატვრული თარგმანის შესავალი“ (1966 წ.), გამოკვეთს რა საბჭოურ პერიოდში ქართული თარგმანების შეფასებას, თვლის, რომ აუცილებელია მთარგმნელის მიერ ფორმისა და შინაარსის თანხვედრა თარგმანში. იგი მთავარ ამოცანად აყენებს ე.წ. „გასაღების“ პოვნას ნაწარმოებში მთარგმნელის შესასვლელად.

ეს არის „საიდუმლოება“, რომლის გახსნაც შეუძლია მთარგმნელი თავიდანვე დააყენოს სწორ გზაზე. მთარგმნელმა უნდა შეიცნოს დედნის რიტმი, ინტონაცია, აზრის გადმოცემის მანერა, მათი კავშირი ნაწარმოების ფაბულასა, სიუჟეტსა და კომპოზიციასთან, აგრეთვე ფორმის სხვა ელემენტებთან, რომლებიც ეხმაურება ნაწარმოების ერთიანი იდეის გახსნას. ნაწარმოების საერთო შინაარსი, ანუ იდეა და საერთო ფორმა მთარგმნელის წარმოდგენაში თანდათან უნდა დაიშალოს შემდგენელ ელემენტებად: საერთო იდეა იქნება ცალკეულ ლიტერატურულ ელემენტთა გააზრებისაგან, მათ ლოგიკურ კავშირსა და დიალექტურ ერთიანობაში. იგივე ითქმის საერთო სტილში და, ამ გაგებით, ყველა ზემოხსენებული ელემენტი სტილის შემადგენელი ელემენტია. ამიტომაც მართებული იქნებოდა ზემოაღნიშნული პირობითი „გასაღებისათვის,“ სტილისტური გასაღები გვეწოდებინა. [გაჩეჩილაძე 1966:229,230]. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვისწავლია თარგმნის თეორია, ამიტომ კვლევა ამ ეტაპზე მხოლოდ ჩვენეულ შედარებით შესწავლას ექვემდებარება. ივანე მაჩაბლის შემდგომ ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე მთარგმნელთა შორის ნაყოფიერი აღმოჩნდა გივი გაჩეჩილაძისა და ვახტანგ ჭელიძის საქმიანობა. ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედება ქართულ ენაზე დაკავშირებულია ვახტანგ ჭელიძის სახელთან, 1965 წელს მას გამოუცია ჰემინგუეის თხზულებანი 4 ტომად, რომელთა ნაწილის თარგმანიც მის მიერვეა შესრულებული. ვახტანგ ჭელიძე მწერალი, მთარგმნელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (დაიბადა 10 აპრილს 1917, სოფ. ბახვი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, - გარდაიცვალა 11 ივნისს, 2005 წ.). 1941 წელს ვ. ჭელიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით. 1948-52 წლებში იყო „საბლიტგამის“ მთავარი რედაქტორი, შემდგომ ჟურნალების: „ნიანგის“, „ცისკრის“ რედაქტორი, იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი. მწერლის პირველი თარგმანებია შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „ვენეციელი ვაჭარი“, პირველი ორიგინალური ნაწარმოები კი - ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა. ვახტანგ ჭელიძეს თარგმნილი აქვს ინგლისურენოვანი ლიტერატურის

წარმომადგენელთა თხზულებები. 1978 წელს სწორედ მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის მიენიჭა მას „ივანე მაჩაბლის სახელობის“ პრემია. [planeta.ge]

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ჭელიძეს ეკუთვნის ოთხტომეულში გამოქვეყნებული ბევრი თარგმანი, რატომღაც ნოველა „კატა წვიმაში“ ნანა ღამბაშიძის თარგმანით არის შესული. (ჰემინგუეი, თხზულებანი ოთხ ტომად, თბ., 1965, „ლიტერატურა და ხელოვნება“). 2007 წლის გამოცემა „მსოფლიო ლიტერატურის“ სერიით რჩეული მოთხრობები, რომლის პირველ ტომში შედის სწორედ ე. ჰემინგუეის ნოველა „კატა წვიმაში“ (ამჯერად ვახტანგ ჭელიძისეული თარგმანი). გარდა ამისა ჩვენთვის ცნობილი აღმოჩნდა ინტერნეტული ვერსია ამ ნოველისა, რომლის თარგმანიც ეკუთვნის ლიკა თაბუკაშვილს. ჰემინგუეის „კატა წვიმაში“ (Cat in the Rain by Ernest Hemingway) სამივე თარგმანი განსხვავდება ერთმანეთისაგან გრამატიკული სტილით, ლექსიკის თავისებური გადმოცემით ქართულ ენაზე და სხვ. მაგრამ შინაარსით სამივე უახლოვდება ორიგინალს. იმისთვის, რომ უფრო უკეთესად გავიგოთ, რა მსგავსებასა და განსხვავებაზეა ლაპარაკი, განვიხილავთ მათ. ჩვენს მიერ განხორციელდა სამივე თარგმანის შეჯერება ორიგინალთან, რაც წარმოდგენილია 90-ზე მეტი მაგალითის სახით წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითით.

E.H. There were onli two Americans stopping at the hotel. ლ.თ . სასტუმროში მხოლოდ ორი ამერიკელი ცხოვრობდა [lib.ge] ნ.დ . ვ.ჭ. „სასტუმროში მხოლოდ ორნი იყვნენ ამერიკელები“ .

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ლიკა თაბუკაშვილის თარგმანი უფრო უკეთესია, უფრო თანამედროვე და დახვეწილი. E.H. They did not know any of they people the passed on the stairs on their way to and from their room. ნ.დ. ისინი არავის არ იცნობდნენ, ვისაც თავის ოთახში მისვლისას ან წამოსვლისას ხვდებოდნენ კიბეზე [ერნესტ ჰემინგუეი 1965:349].

ვ.ჭ. არავის არ იცნობდნენ, ვისაც ოთახში შესვლისას ან გამოსვლისას კიბეზე ხვდებოდნენ. [2007:261]. ლ.თ. ისინი არავის იცნობდნენ, იმათაც კი, ვინც ყოველი დღე ოთახში ასვლა-ჩამოსვლის დროს კიბეზე ხვდებოდათ.[lib.ge].

ვფიქრობთ, მოყვანილ მაგალითში, ლიკა თაბუკაშვილის თარგმანი უფრო შეესაბამება ჰემინგუეის სტილს, ეს თარგმანი უფრო მეტადაა ორიგინალთან მიახლოებული.

შემდეგმა მაგალითმა ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგით. აქ ჩვენ გვანტერესებს როგორ არის ორიგინალში სასტუმროს სართულები წარმოდგენილი.

E.H.Their room was on the second floor facing the sea.

ნ.დ: „ამერიკელის ოთახი მესამე სართულზე იყო ზღვის მხარეს“ [ჰემინგუეი 1965:349].

ვ.ჭ: „ამერიკელების ოთახი მესამე სართულზე იყო, ზღვისკენ“ [2007:261]. ლ.თ. „მათი ოთახი მესამე სართულზე იყო ფანჯარა კი პირდაპირ ზღვას გადაჰყურებდა“[lib.ge]

ჩვენ წარმოვადგინეთ სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული თარგმანი. ვახტანგ ჭელიძის და ნანა ღამბაშიძის თარგმანები უფრო მეტად ჰგვანან ერთმანეთს, ორივე ერთი და იგივე შინაარსითაა დატვირთული, ხოლო, რაც შეეხება ლიკა თაბუკაშვილის თარგმანს, იგი განსხვავდება მათგან. ლ. თაბუკაშვილის თარგმანით თუ ვიმსჯელებთ second floor მეორე სართული უნდა იყოს. როგორც ვ. ჭელიძის და ნ. ღამბაშიძის თარგმანებშია, მესამე სართულს ნიშნავს. წმინდა ბრიტანული ენის პრინციპების გამოყენებით ჭელიძის და ღამბაშიძის თარგმანი ადეკვატურია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰემინგუეი ამერიკელი მწერალია და არა ბრიტანელი და ამ შემთხვევაში, ალბათ, უკეთესი იქნება ლ. თაბუკაშვილის თარგმანს მივცეთ უპირატესობა.

H.E. In the good weather there was always an artist with his easel.

ნ.დ. ვ.ჭ. „კარგ ამინდში ბაღში ყოველთვის იჯდა რომელიმე მხატვარი თავისი მოლბერტით“ [ჰემინგუეი 1965: 349, 2007:261].

ლ.თ: „კარგ ამინდში აქ ყოველთვის შეხვდებოდით მხატვარს მოლბერტით ხელში“ [lib.ge].

ამ შემთხვევაში ნ. ღამბაშიძის და ვ. ჭელიძის თარგმანი უფრო სწორია გრამატიკულად და ახლოა უფრო ორიგინალთან.

E.H.The American wife stand at the window looking out.

ნ.დ. ვ.ჭ: „ამერიკელის ცოლი ფანჯარაში იყურებოდა“ [ჰემინგუეი 1965:349, 2007: 261] ლ.თ. „ამერიკელის ცოლი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა“. [lib.ge]. ეს თარგმანები შინაარსით ერთი და იგივეა, მაგრამ გრამატიკული თვალსაზრისით ლ. თაბუკაშვილის თარგმანი უფრო სწორია და უკეთესია ამ თარგმანის გამოყენება.

განხილული თარგმანებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთესად განსაზღვრავს ჰემინგუეის სტილს ლიკა თაბუკაშვილის თარგმანი ის უფრო ახალი, დახვეწილი და თანამედროვეა საყურადღებოა, იმიტაც, რომ მისი ნათარგმნი წინადადებები კარგად ჯდება კონტექსტში და გამოხატავს ორიგინალის სათქმელს. ინგლისურენოვანი ტექსტი სიტყვასიტყვით რომ გადათარგმნო, ვერ ჩასწვდება ავტორის ნააზრევს.

ნაწარმოების შინაარსში არის ფრაზები, რასაც ისე უბრალოდ სიტყვასიტყვით ვერ გადათარგმნი და შეცვლა სჭირდება და, საერთოდ, ამ კუთხით მუშაობა რთული საქმეა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს.

George-ჯორჯი სამივეს თითქმის ერთნაირი სიძლიერით აქვს გადათარგმნილი ჰემინგუეი იტალიური სიტყვები იტალიურად გადმოგვცემს მაგ.: piove sis i signor, brutto tempo, Ha perduto qualche casa, signora? Si il gatto, Avanti. საინტერესოა რომ ასევე სამივე ქართულ თარგმანშიც. და ბოლოს, აი, როგორ ახასიათებს XXI საუკუნის მკითხველი ჰემინგუეის:

„ზოგჯერ ცხოვრებისეული სირთულეების მოძალებისას დგება მომენტები, როდესაც უზომო სულიერ სიცარიელეს განვიცდი და ყოველთვის, ამ დროს ვუბრუნდები ჩემს ჰემინგუეის.

უამრავჯერ წაკითხულიდან მაინც აღმოაჩენ რაღაც ახალს, მოგეძალება სევდა, რაღაც უცნაური სიხარულით სავსე, გაგიჩნდება ნატვრის, ფიქრის საბაზი და მოგიჩნდება ყოფილიყავი მისი თანამედროვე, შეგეგრძნო იმ ეპოქის სუნი. „ერთხელ პარიზში“ ასე წერდა: „ბედმა თუ გაგიღიმა და ახალგაზრდობისას მოხვდი პარიზში, მერე სადაც არ უნდა წახვიდე, იგი საკვდილის დღემდე შენთან იქნება, რადგან პარიზი განუყრელი დღესასწაულია, რომელიც მუდამ თან გახლავს“. ეს სიტყვები თავად მწერალზეც ითქმის. თუ ოდესმე წაიკითხავ და გაუგებ მის უცნაურ, მისეულად რომანტიკულ სტილს, იგი მუდამ შენთან იქნება და რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, განუყრელი დღესასწაულის განცდა მუდამ თან გექნება“. ამ გრძნობას გვიტოვებს მისი თუნდაც ერთი ნოველაც „კატა წვიმაში“.

ლიტერატურა:

1. ერნესტ ჰემინგუეი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965.
2. [www.biblusi.ge].
3. [pleasanntt.wordpress.com].
4. [taobebi.siti.ge].
5. გივი გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის თეორიის შესახებ“, „განათლება“, თბილისი, 1966.
6. [planeta.ge]

ПЕРЕВОДЫ М. Ю. ЛЕРМОНТОВА В ГРУЗИИ

Анна Тиникашвили

ст. 2 к. спец. рус. филология гуманитар. фак.

Руководитель: проф. **Н. Хинчагашвили**

Связи творчества Лермонтова с литературами народов мира многочисленны и многообразны. Они они по-разному претворялись и осуществлялись в отдельных литературах и возникали в разное время — в зависимости от истории развития той или иной национальной литературы. Для нас наибольший интерес представляют переводы произведений рус. поэта на грузинский язык, а также изучение и оценка этих переводов и историческая роль Лермонтова — художника в данной литературе. Предложенное исследование имеет в виду первоначальную систематизацию и обобщение имеющегося материала, но не претендует на исчерпывающую полноту — мы не ставили перед собой чисто библиографической задачи и стремимся наметить хотя бы общие линии, по которым в Грузии шло ознакомление с лермонтовским наследием..

Степень известности Лермонтова в той или иной стране во многом зависит от интенсивности культурных связей этой страны с Россией. Связи творчества Лермонтова с грузинской литературой многочисленны и многообразны. Имя поэта стало известно в Грузии в 1837, когда его сослали в эту «Южную Сибирь» за стихотворение «Смерть поэта». В это время начали возвращаться на родину грузинские литераторы, сосланные на Север за участие в антиправительственном заговоре 1832 года. Среди них был и А. Чавчавадзе.

В начале 1837 года Чавчавадзе находился в Петербурге и знал историю нашумевшего стихотворения Лермонтова. Известна ему была и постигшая поэта кара. Можно предположить, что А. И. Одоевский ввел Л. в дом Чавчавадзе в Тифлисе. Дом этот был центром сближения передовых людей Грузии и России; возможно, что здесь Л. познакомился с Н. Бараташвили и другими грузинскими поэтами. Со «Спором» и «Мцыри» Лермонтова переключаются «Кавказ» и «Краткий исторический очерк» А. Чавчавадзе, «Судьба Грузии» и «Могила царя Ираклия» Н. Бараташвили. На связь поэзии Лермонтова и грузинских романтиков, особенно

Бараташвили, лирика которого является исповедью поэта-гражданина, озабоченного судьбой родины и народа, неоднократно указывала грузинская прогрессивная критика XIX века.

С произведениями Лермонтова грузинская интеллигенция знакомилась в 30—50-е гг. XIX века в оригинале – переводов на грузинский язык не было. Грузинский журнал «Цискари», начавший выходить в 50-е гг., способствовал появлению переводов и популяризации произведений Лермонтова. Первый, очень слабый перевод из Лермонтова («Спеша на север из далека», переводчик Р. Эристави) был опубликован в «Цискари» в 1858 (№ 7). Но уже в № 11 за тот же год появился удачный перевод «Ветки Палестины», принадлежавший перу 18-летнего А. Церетели. Далее на страницах «Цискари» были опубликовано «Завещание» в переводе Р. Бараташвили (1859, № 10), «Хаджи Абрек» (1860) и «Пророк» (1861) в переводе И. Г. Цинамдзгвришвили, «Горные вершины» (1865) в переводе Гр. Орбелиани и др.

В 60-е гг. отношение к творчеству Лермонтова и переводам его произведений определялось позицией и общественным влиянием грузинских шестидесятников, т. н. «тергдалеулни» (дословно — «испившие воды из Терека», т. е. побывавшие в России). Среди них были деятели грузинской культуры И. Чавчавадзе, А. Церетели, Кир. Лордкипанидзе, Г. Церетели, Н. Николадзе. В 1863 выходил журнал «Сакартвелос моамбе» (редактор И. Чавчавадзе), популяризовавший наследие В. Г. Белинского, Н. А. Добролюбова, А. С. Грибоедова, а также Лермонтова. Чавчавадзе опубликовал в № 4 своё первое стихотворение «Сон». В журнале был помещен выполненный М. Кипиани перевод трех глав из «Героя нашего времени». В № 6 журнала «Кребули» за 1872 опубликован перевод «Демона», выполненный М. Фазели (М. Гуриели), который еще до публикации оживленно обсуждался в литературных кругах. 31 июля 1871 Н. Николадзе писал в газете «Дрозба»: «Господин Фазели прочел нам свой новый перевод лермонтовского «Демона». Решительно могу заявить, что для нашей бедной литературы это солидное приобретение». В 1883 в Тифлисе состоялись публичные лекции о «Демоне», следовавшие за постановкой одноименной оперы А. Г. Рубинштейна на тифлисской сцене в 1882. В 1881 Важа Пшавела сделал вольный перевод «Пророка»; Р. Алисубнели перевел «Беглеца» (журн. «Театри», 1886), эту же поэму перевел Ш. Мгвимели и опубликовал в журнале «Джеджили» в 1891.

В 1885 выходит газета «Иверия» под ред. И. Чавчавадзе, уделявшая большое внимание популяризации творчества Лермонтова. Публикуются переводы Г. Абашидзе («Дары Терека», «Выхожу один я на дорогу»), рецензии на лермонтовские спектакли, в частности на одноактный драматич. спектакль «Демон», пост. в Тифлисе по переводам М. Фазели. Абашидзе принадлежит и первый перевод «Мцыри», изданный отдельной книгой в Кутаиси в 1892. На этот перевод откликнулась в 1893 газ. «Квали» заметкой А. Церетели. В «Квали», ставшей органом социал-демократической группы «Месаме-даси», неоднократно публиковались переводы из Лермонтова: некоторые его стихи переводились по несколько раз (напр., «Парус» начиная с 1902 переведен был трижды). В 1895 В. Мхаргдзели издал отдельной книжкой свой перевод «Боярина Орши». В 1896 Важа Пшавела опубликовал в «Сакартвелос календари» перевод «Демона».

Грузинские критики и литературоведы начала XX века неоднократно обращались к творчеству поэта и переводам его произведений, например, Г. Туманишвили («Характеристики и воспоминания», 1900), И. Гомартели (статья «Основные моменты русской поэзии XIX века», «Квали», 1901, №№ 30–35).

Дореволюционная грузинская литература на каждой новой ступени своего развития по сравнению с предыдущим этапом воспринимала творчество Лермонтова всё глубже, однако лишь в советское время оно обрело всегрузинскую известность. Все основные произведения Лермонтова переведены на груз. язык. Некоторые – по несколько раз: «Демона» перевели К. Джапаридзе (1928), Р. Дзигвашвили (1939), К. Чичинадзе (1941), Р. Тварадзе (1957); «Мцыри» – А. Сичинава (1937), Д. Га-чечиладзе (1944), Б. Хоситашвили (1946); «Героя...» – Ш. Дадиани (1936), Д. Шенгелая («Тамань», 1941), Г. Кикодзе (1946). Большими тиражами изданы избранные сочинения Лермонтова (1944, 1948), лирика (1964).

В советское время творчеству Лермонтова посвятили исследования С. Данелиа, Г. Маргвелашвили, В. Шадури и другие. О грузинских связях Лермонтова написаны кандидатские диссертации (Н. Хачапуридзе, 1953; М. Барамидзе, 1965), много статей и глав в книгах. Стихи о поэте написаны поэтами В. Гаприндашвили, А. Кутатели, С. Эули и др.

Лермонтов сыграл большую роль в развитии грузинской художественной культуры. «Он не только горы «почувствовал» (то есть воспринял как свое родное и близкое, себе созвучное на Кавказе), – писал о Лермонтове в 1964 поэт Симон Чиковани, – но и народ, людей. Это то, что связывает автора «Мцыри» с создателем «Хаджи-Мурата». Это то чувство, которое не в последнюю очередь зажгло любовь к Лермонтову у Николоза Бараташвили, Акакия Церетели – великих ценителей лермонтовской лиры. Грузинская тема стала органической для Лермонтова, и новая русская поэзия в значительной степени унаследовала ее от него» («О Лермонтове», сб. «За хребтом Кавказа», 1957, с. 142).⁵

Начало переводам произведений Лермонтова на абхазский язык положил народный поэт Абхазии Д. Гулиа: в 1930-е гг. он перевел мн. стихи Л., в т. ч. «Гляжу на будущность с боязнью», «Завещание», «Кавказ», «Кинжал», «Парус», «Пророк», «Смерть поэта». В дальнейшем внимание абхазских поэтов-переводчиков в основном было обращено к лирике русского поэта: ее переводили начиная с конца 30-х гг. Л. Квициния («Казачья колыбельная песня», «Прощай, немытая Россия», «Нет, я не Байрон, я другой» и др.), Ч. Джонуа («Бородино», «Беглец»), К. Ломиа («Дума»), Г. Гублиа («Нищий») народный поэт Абхазии Б. Шинкуба («Отчего», «Узник», «Утес» и др.), М. Ласуриа («Мцыри»). Значительным событием явился выход в 1959

перевод «Героя нашего времени» (переводчик А. Амквоб). Лермонтовская тема отражена в стихах Д. Гулиа, П. Бебиа.

Таким образом, можно сказать, что Лермонтов пользуется большой популярностью на Кавказе, о чём свидетельствуют многочисленные переводы поэта.

Творчество Л. оказало значительное влияние на поэзию зачинателя осетинской литературы, революционера - демократа К. Хетагурова, писавшего на осетинском и русском языках. На открытии памятника Лермонтова в Пятигорске 16 авг. 1889 он выступил с речью и стихами как представитель осетинского народа и возложил венок «От сынов Кавказа». К 60-летию со дня смерти Лермонтова он написал еще одно стихотворное посвящение Лермонтову: «Зачем, поэт, зачем, великий гений» (газ. «Северный Кавказ», 1901, 2 авг.).

Первое произведение Лермонтова, переведенное на осетинский язык, – стихотворение «Тамара» (1902, пер. Б. Гуржибекова). В 1915 был издан «Ашик-Кериб» в переводе Ц. Амбалова. В том же году поэт Ц. Гадиев, с 1908 находившийся в сибирской ссылке, выступил с лекцией о Лермонтове и выразил в ней восхищение свободолобием русского поэта. Под несомненным влиянием Лермонтова развивалось творчество поэтов И. Джанаева, Г. Малиева и Г. Цаголова, одного из современников Хетагурова.

В советское время первым вкладом в осетинскую лермонтовяну явились переводы стихотворения «Парус» (Г. Плиев, журн. «Мах дуг», 1935, № 7), «Героя нашего времени» (Х. Цомаев, изд. 1936, переизд. 1941 и 1961) и «Ашик-Кериба» (А. Маккаев, изд. 1938). К юбилею в 1939 вышел в осетинский переведенный сборник «Избранные стихотворения и поэма», куда вошли стихи в переводе Х. Ардасенова и Х. Таболова и «Мицъри» в переводе Д. Мамсурова. В периодике публиковались переводы Г. Катукова («Беглец»; журн. «Мах дуг», 1939, № 10), Ардасенова («Каллы», 1939), А. Царукаева [«Романс» («Ты идешь на поле битвы»), 1939] и др.

Публикации переводов продолжались и в 1940–41 гг. Уже началась Великая Отечеств. война, когда был опубликован «Воздушный корабль» в переводе Кайтукова. Первый в послевоенный год перевод из Лермонтова напечатал Д. Дарчиев («Утес», 1945); затем в журн. «Фидиуаг» появились переводы «Песни про...купца Калашникова», выполненный Вл. Газзаевым (1946, № 6), и перевод «Демона», выполненный Гафезом (1946, № 7–8). В 1951 Я. Хозиев включил в свою книгу «Стихотворения» два перевода из Лермонтова: «Вверху одна горит звезда» и «Горные вершины».

Значительным событием в истории переводов из Лермонтова на осетинский язык были появившиеся в 1961 г. переводы Н. Джусойты – «Выхожу один я на дорогу», «Кавказ», «Родина». В 1962 г. был опубликован «Хаджи Абрек» в переводе Кайтукова, «Бородино» в переводе Гриса. Переведенная Г. Плиевым драма «Испанец» поставлена на сцене Сев.-Осет. муз.-драматического театра в мае 1962.

К юбилею Лермонтова в 1964 г. сделано много переводов из лирики поэта: «Есть речи – значение», «Не смейся над моей пророческой тоскою» и др. (А. Гулуев), «Сон» («В полдневный жар в долине Дагестана»), «Тамара» (Г. Баракова), «Пленный рыцарь» (Х. Алборов), «Утес» (Р. Тедеев), «Спор» (Кайтуков), «Узник» (Х. Плиев). Жизнь и творчество Лермонтова вызвали непосредственные отклики в стихах поэтов — Кайтукова, Х. Плиева, Р. Асаева, Гулуева, И. Дзахова, Баракова и др. Проблемы влияния Лермонтова на развитие осетинской литературы освещались в трудах осетинских литературоведов (6;8;10).

Семенов Л. П., Л. и Коста, в сб.: Коста Хетагуров, М., 1941; Тедтоева З., Русско-осетин. лит. связи в свете изучения творчества Л., «Фидиуаг», 1973, № 12 (на осет. яз.); Кусов Г., Поэт с поэтом говорит, «Сов. культура», 1979, 9 окт.

ЛИТЕРАТУРА:

1. Аккерман Н., Джапаридзе И., Лермонтов. Краткий список рекомендуемой литературы, Тб., 1964
2. Богомолов И. С., Из истории грузино-русских литературных связей, Тб., 1967
3. Гришашвили И., Лермонтов в груз. литературе (в сб.: Литературные очерки), Тб., 1952
4. Джибладзе Г. Н., Лермонтов и Бараташвили (в сб.: Критические этюды, т. 1), Тб., 1945
5. За хребтом Кавказа (сост. В. Шадури), Тб., 1977
6. Кусов Г., Поэт с поэтом говорит, «Советская культура», 1979, 9 окт.
7. Летопись дружбы грузинского и русских народов с древних времен до наших дней. (сост. В. С. Шадури), Тб., 1967,
8. Семенов Л. П., Л. и Коста (в сб.: Коста Хетагуров), М., 1941
9. Талиашвили Г. А., Русско-грузинские литературные взаимоотношения. Тб., 1967
10. Тедтоева З., Русско-осетинские литературные связи в свете изучения творчества Лермонтова. «Фидиуаг», 1973, № 12
11. Чхеидзе А. Н., Илья Чавчавадзе и Лермонтов (в сб.: Илья Чавчавадзе).Тб.,1939
12. Шадури В. С., Декабристская литература и грузинская общественность.Тб.,1958
13. Шадури В.С. Николадзе А., Русско-грузинские литературные связи.Тб.,1965

www.stihi-rus.ru/1/Lermontov

www.koob.ru/lermontov

lermontov135.narod.ru

ივანე მაჩაბლის თარგმანები

ნინო მარნაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხათუნა ხარხელი**, მოწვეული სპეციალისტი

მე-19 საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ივანე მაჩაბელი დაიბადა 1854 წლის 28 იანვარს სოფელ თამარაშენში, ძველი ფეოდალის იმ დროისათვის უკვე გაღარიბებულ ოჯახში. დაწყებითი განათლება ოჯახშივე მიიღო, საფუძვლიანად გაეცნო ქართულ ფოლკლორს და კლასიკურ მწერლობას.

1871-74 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1873 წელს იგი დაუახლოვდა სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე ჩასულ ილია ჭავჭავაძეს, მასთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულ ინტელიგენციამ.

1879 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. ამავე წლიდან ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები და თარგმანები.

ივანე მაჩაბელმა გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი: თარგმნა მოლიერის „ექვით ავადმყოფი“, სხვადასხვა ენებიდან გადმოაკეთა პიესები: „ადვოკატი მელაძე“, „ფრუ-ფრუ“, „ორ ცეცხლს შუა“. შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმანებმა მას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ (1886 წ.), „ოტელო“ (1888 წ.), „მაკბეტი“ (1892 წ.), „რიჩარდ III“ (1898 წ.), „იულიუს კეისარი“ (1896 წ.) და „კოროლიანოსი“ (1898 წ.) გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, დედნის პროზის შენარჩუნებითა და შექსპირული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით. ამ ლექსში, ისევე როგორც პროზაული ადგილების თარგმანში, ივ. მაჩაბელი ერთსა და იმავე დროს დაეყრდნო სალიტერატურო ენისა და ხალხური მეტყველების ტრადიციას, გენიალური დედნის შესაბამისად. ხალხურია მაჩაბლის ლექსიკა, ანდაზები, კალამბურები, მაჩაბლის სინტაქსი უაღრესად ბუნებრივია და ხასიათით ქართული. რამდენადაც ახალი ქართული სალიტერატურო ენა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, ივ. მაჩაბელმა მასში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა: ახალი სალიტერატურო ენის ფორმები წარმატებით გამოსცადა იმ დროისათვის სრულიად ახალ, დიდი მასშტაბისა და მრავალფეროვანი სამყაროს გამოხატვაში, მაგრამ იმგვარად, რომ არასოდეს მოქცეულა უცხო ენის ფორმათა გავლენის ქვეშ, კერძოდ, წინადადების წყობაში, რაც განსაკუთრებით საშიშია მთარგმნელისათვის.

ქართული ენის უმახვილესი ნიუანსების დიდი მცოდნე ივ. მაჩაბელი პოულობს ინგლისური სიტყვების და გამოთქმების, შექსპირის მოქნილი წინადადებების ბრწყინვალე შესატყვისებს. ამავე დროს მისი თარგმანი უაღრესად ნათელია და მიუხედავად აზრის სიღრმისა, იმდენად გასაგები, რომ თითქმის არ საჭიროებს ამხსნელ კომენტარს. შექსპირის ცხოველი და მდიდარი დიალოგი თარგმანში დედნის დინამიკურობით არის განმეორებული. კონგენიალურად არის ნაპოვნი შესატყვისები შექსპირისათვის დამახასიათებელი სიტყვების თამაშისა და ორაზროვანი გამოთქმების გადმოსაცემად. დედნის აზრი და მისი გამოხატვის ფორმა, მისი მხატვრული ძალა და ემოციური ზემოქმედების უნარი ივ. მაჩაბელს სიზუსტით გადმოუცია, თანაც იმგვარი არაჩვეულებრივი ლაკონურობით, რომ მხოლოდ სულ უმნიშვნელოდ გასცილებია დედნის სტრიქონთა საერთო რაოდენობას.

მხატვრულ თარგმანს ისევე, როგორც ორიგინალურ ზემოქმედებას, გააჩნია თავისი მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი, მისი თეორია ორგანულად დაკავშირებულია ლიტერატურის თეორიასთან და მისი ანალოგიურია თვით უმცირეს დეტალებშიც კი.

ივანე მაჩაბლის ვერსიფიკაცია თავისი დამახასიათებელი ზომით, ინტონაციით და შეფერილობით, შესაძლებელია, გამოსულია უმთავრესად ქართველი რომანტიკოსების, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის მედიტატიური პოეზიიდან უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა პოეტის შემოქმედებიდან. შექსპირის მრავალი მონოლოგის მასალა და განწყობილება ბედნიერად დაემთხვა ბარათაშვილის პოეტურ ტრადიციას. ივ. მაჩაბელმა თავისი შემოქმედებითი ინტუიციის წყალობით მიაგნო ამ შესაძლებლობას და გამოიყენება კიდევ თავის მოქნილ ლექსთა წყობაში. ამიტომაც ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილმა შექსპირის მონოლოგებმა შეიძლება ყველაზე უფრო ნ. ბარათაშვილის ღრმად ჩაფიქრებული პოეტური მსჯელობანი მოაგონოს ქართველ მკითხველს. თავის მხრივ, ივ. მაჩაბლის ლექსის ტრადიცია მიიღო და გააგრძელა შემდგომმა ქართულმა პოეზიამ.

შეიძლება ითქვას, ივ. მაჩაბელმა მიაღწია თავის მიზანს: აამალა ქართული კულტურა, შექმნა მტკიცე ტრადიცია არა მარტო შექსპირის, არამედ, საერთოდ, ქართული მხატვრული თარგმნის ხელოვნებისათვის. ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გრძელდება და ღრმავდება ეს ტრადიცია არა მაჩაბლისადმი ღრმა მიბაძვით, არამედ მისი პრინციპების, მის მიერ აღმოჩენილ შესაძლებლობათა შესწავლისა და რეალიზაციის გზით.

ივ. მაჩაბელი თავისი ეპოქის წარმომადგენელი იყო თავისი ლიტერატურული გემოვნებით, ენითა და სტილით, მაგრამ ეს ეპოქა დამთავრდა და როგორც მისი აღდგენაა შეუძლებელი, ასევე – მაჩაბლის განმეორება. მაგრამ როგორც ის ეპოქა იყო მომდევნო ეპოქის წინახიდი, ასევე მაჩაბელი იქცა მომდევნო ლიტერატურის წინახიდად.

ცნობილია, რომ რუსული პოეზიის მზის, პუშკინის უშუალო წინამორბედთა რიცხვში იყო დიდი მთარგმნელი, პოეტი ჟუკოვსკი. უკვე ჟუკოვსკის ხელში რუსული ლექსი მოქნილი და მრავლის შემძლე გახდა, ხოლო პუშკინმა იგი პოეზიის ჯადოქრულ იარაღად აქცია. შეიძლება, ითქვას, რომ ისევე, როგორც პუშკინი იმყოფებოდა გარკვეულ ვალში ჟუკოვსკის წინაშე, ასევე მაჩაბლის მომდევნო ქართული პოეზია იმყოფება ვალში მაჩაბლის წინაშე. შეიძლება სწორედ იმაშია დიდი მთარგმნელის, როგორც ლიტერატურის ნოვატორის, მნიშვნელობა მშობლიური ლიტერატურისათვის, რომ მისი ნაცადი იარაღით იხსნება ახალი სამყარო, რომელშიც იზრდება ძლიერი და ორიგინალური გენია.

ეპოქას თავისებური ნიშანი დაუჩენია მაჩაბლის თარგმანების ზოგიერთი მხარისთვის და არ შეიძლება მათ გვერდი ავუაროთ მაჩაბლის მემკვიდრეობის შესწავლისას. მით უფრო, რომ მაჩაბლის ზოგიერთი თარგმანი დღესაც დიდი წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე. აღვნიშნავთ ორიოდე მათგანს.

ერთ-ერთი ამგვარ თავისებურებათაგანია დღეისათვის ერთგვარად მოძველებული ქართული ენა. ძველი ან მოძველებული ქართულის ხმარება თანამედროვე მკითხველის თვალში ქმნის ერთგვარი ამაღლებული სტილის, პათეტიკური მეტყველების შთაბეჭდილებას. აქედან შეექმნა ზოგიერთს მცდარი აზრი მაჩაბლის სტილის ამაღლებულობისა და ე.წ. ყალბი პათოსის შესახებ, რომელსაც ზოგ შემთხვევაში დაუკავშირდა პრინციპულად ანალოგიური სცენური შესრულება მაჩაბლის თარგმანებისა. მართლაც, ივ. მაჩაბლის და ილ. ჭავჭავაძის ეპოქიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, გავიდა კოლოსალური ისტორიული გარდატეხებით აღსავსე დრო, რომელმაც გამოცვალა არა მარტო ქვეყნის სოციალური წყობა, არამედ ადამიანთა ხასიათიც და გემოვნებაც. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა ყალბსა და პათეტიკურ ძველ ქართულ სალიტერატურო მეტყველებას ებრძოდა. თუ ასეთი მწერლების სტილი სცენაზე ყალბ პათეტიკურ ხასიათს იღებს, ამკარაა, დავიწყებულა ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის ეპოქის თავისებურების ნიშანი, გამოხატული დინჯსა და ხატოვან სტილში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ყალბ პათოსთან.

შექსპირი ცნობილია, როგორც სახალხო შემოქმედი, რომელსაც კლასიციზტები ებრძოდნენ მისი ხალხური რეალიზმის, ჩვეულებრიობის, იმის გამო, რომ მისი მეფეები და გმირები ჩვეულებრივი მოკვდავების ენით ლაპარაკობენ და, რომ მაღალისა და ტრაგიკულის გვერდით შექსპირი ათავისებს მდაბალსა და კომიკურს. ასეთი მწერალი რომ მაჩაბელს ყალბი, პათეტიკური ტონით ეთარგმნა, ეს მართლაც კურიოზი იქნებოდა. მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, მას ავიწყდება, რომ მაჩაბლის ენა, ისევე როგორც ილიას ენა, უფრო ხალხური, ბუნებრივი ენაა, ვიდრე მწიგნობრულ-ხელოვნური და რომ იგი შეცდომაში შეჰყავს დროის მნიშვნელოვან მანძილს, რომელიც გვაშორებს მაჩაბლის ეპოქას.

ივ. მაჩაბელი არა მარტო თავისი მაღალი ინტელექტის წყალობით მისწვდა და უშუალოდ განიცადა შექსპირის შემოქმედების დიდი პრობლემები, არამედ შექმნა დიდი ორიგინალის რეალისტური თარგმანის სტილი. მაჩაბელი თარგმანს განგებ არსად ატკობს და არ ვარდება სენტიმენტალიზმში, არასოდეს არის ხელოვნური და შეფერადებული რომელიმე შეზღუდული გემოვნების მიხედვით, არ არის სუბიექტური, არამედ ზოგჯერ ხალხურად უხეში კონგენიალია „მთვრალი ველურისა“. ამიტომ მაჩაბლის ლექსი ხან ლირიკულად მდინარებს, ხან ობიექტურად გადმოსცემს მოვლენათა და ხასიათთა ნათელ და ჩრდილოვან მხარეებს, რომელთა კონკრეტული შეგრძნება თავის დაღს ასვამს სტილს. მაგალითისთვის ავიღოთ ტრაგედია „რიჩარდ III“, რომელშიც მთავარი გმირის მაკიაველისტური ხასიათი იმთავითვე მოცემულია დამთავრებული სახით და უცვლელია ტრაგედიის მთელ მანძილზე. მიუხედავად გმირის ხასიათის სტატეორიისა, ამ ტრაგედიაში გმირის მოქმედების შესაბამისად იცვლება მეტყველების სტილი. შექსპირი ობიექტურად გვაგრძნობინებს გმირის ხასიათის ერთ-ერთ ძირეულ თვისებას, სახის სწრაფი ცვალებადობის, თვალთმაქცობის ძირითად უნარს, რომლის უკან იმალება გარდაუვალი მისწრაფება ტირანული ხელისუფლებისადმი და პიროვნული ძალა, რომელიც უკან არ იხევს ადამიანთა სისხლის შემადრწუნებელი ნიაღვრის წინაშე. მაჩაბლის გენია ერთად სწვდება და გადმოსცემს რიჩარდის შემპარავ და ტკბილ მეტყველებას და მისსავე დაფარულ და სისხლისმსმელ მძვინვარებას, ადამიანთა და სახელმწიფოს მართვის მბრძანებლურ სტილს, ხოლო უკანასკნელ სცენებში – რიჩარდის მოქმედების მაღალ პათოსს, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გმირულ ხასიათს. სწორედ ეს უნარი შემოქმედებითი

ინტუიციისა და დიდი კულტურის ნაერთი აქცევს მაჩაბელს სრულფასოვან ლიტერატურულ მოვლენად, რომელიც მალღებდა საერთო საკაცობრიო მოტივების გაგებამდე.

ერთ-ერთ თავისებურებად, რომლის დაღიც მისმა ეპოქამ დაასვა მაჩაბლის თარგმანს, შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარი სიმძიმე, რომელიც, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს ხოლმე თავს ზოგჯერ პოეტურ ტექნიკაში, არასწორად დასმული ცენზურებითა და სხვა გზით ლექსიკაში სადღეისოდ ამოღებული არქაული სიტყვების სახით (მაგ., „სტოლი“, „პოლშა“, „პარიჟი“ და სხვ.)

შექსპირის ტრაგედიების თარგმანზე მუშაობის შესახებ ნათელი სურათი წარმოგვიდგება, თუ გავეცნობით ივ. მაჩაბლის არქივს. იმ უამრავი მინაწერის მიხედვით, რომლითაც აჭრელებულია მაჩაბლის კუთვნილი შექსპირის ინგლისური გამოცემები, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ივ. მაჩაბელი ჯერ მთლიანად კითხულობდა შექსპირის ნაწარმოების ინგლისურ დედანს და აკეთებდა შენიშვნებს (ფანქრით) წიგნის კიდევზე უმთავრესად ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამის შემდეგ იგი იწყებდა ამგვარად შესწავლილი და კომენტირებული ნაწარმოების თარგმნას. აღსანიშნავია, რომ „იულიუს კეისარი“ მას ორჯერ აქვს ამგვარად წინასწარ დამუშავებული: ერთხელ იმ გამოცემაში, რომლის მიხედვითაც მან თარგმნა „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“ და „ოტელო“, მეორედ იმ გამოცემაში, რომლითაც შეასრულა დანარჩენი თარგმანები.

ივანე მაჩაბელი უდიდესი კეთილსინდისიერებით ეპყრობოდა შექსპირის ტექსტის ამოხსნისა და ქართულ ენაზე მისი გადმოტანის ამოცანას. დიდი ცოდნისა და ღრმა ინტუიციის წყალობით მას სწორად ამოუკითხავს და უთარგმნია შექსპირის ტექსტის მრავალი ბუნდოვანი ადგილი, რომელიც დღესაც კი ძნელად ამოსახსნელად ითვლება.

ლიტერატურა:

1. უილიამ შექსპირი, „ტრაგედიები“, I, თბ., 1953.
2. www.burusi.wordpress.com/2009/09/12/machabeli/.

КАВКАЗСКИЕ ФОЛЬКЛОРНЫЕ МОТИВЫ В ТВОРЧЕСТВЕ М. Ю. ЛЕРМОНТОВА

Тамар Напишвили

ст. 3 к. спец. англ. филология гуманитар. фак.

Руководитель: **Е.Хирсели**, приглашенный специалист

До 20-х годов XIX в. интерес к Кавказу среди русских писателей был очень незначителен. Этот край многие годы был ареной ожесточенных войн. Туда, на верную смерть, отправляли политических ссыльных. Для юного Лермонтова, воспитанного на вольнолюбивых стихах Пушкина и декабристов, Кавказ был героической страной. Пушкин, и другие писатели помогли ему лучше познать ее, но уже в ранние творческие годы он находил новые темы. Чрезвычайно нравились ему легенды и песни самих народов Кавказа.

Первые поэтические произведения Лермонтова, посвященные Кавказу, относятся к 1828г. Кавказ был дорог Лермонтову еще по детским воспоминаниям. Прекрасная поэма Пушкина, повести Марлинского, произведения Полежаева – эти авторы способствовали поддержанию у молодого поэта интереса к кавказским мотивам.

Одним из источников лермонтовских произведений был грузинский фольклор. Задолго до высылки на юг, в 1829, на основе слышанных на Северном Кавказе преданий, 15-летний поэт написал «Грузинскую песню» – первый у Лермонтова опыт подражания народной песне. Богатая природа Грузии, памятники архитектуры в Тифлисе, Мцхета и др., знакомство с грузинской интеллигенцией, местный фольклор – все это оказало особое влияние на творчество Лермонтова.

С 1837 начинается новый этап освоения Лермонтовым фольклорной традиции; в первой кавказской ссылке он получает возможность слышать в живом исполнении песни казаков и ознакомиться в устном пересказе с грузинским и азербайджанским фольклором.

Кавказский фольклор интересует Лермонтова и как отражение национального характера и уклада; в поэме «Беглец», имеющей подзаголовок «горская легенда», ему важно воспроизвести этические представления горца, не совпадающие с европейскими (например, отношение к мести). При этом общий тон и колорит отличны от ранних «байронических» кавказских поэм. Лермонтов не стремится к точному воссозданию этнографического материала, давая лишь обобщенное представление о местном колорите.

В дальнейшем Лермонтов скуп и редко обращается к изображению быта и психологии горца на основе фольклорного материала: ни в «Мцыри», ни в «Демоне» он не ставит себе такой задачи, хотя обращается к ряду сюжетных мотивов грузинского фольклора (песня «Юноша и барс», легенды об Амирани и пр.).

В «Герое нашего времени» Лермонтов использует созданные им имитации горского фольклора (песня Казбича). В дальнейшем образ Амирани появляется в поэме «Демон» как горный дух, прикованный к скале (1, часть II, строфа 5).

Известно, что «Демон» является одним из сокровенных произведений поэта. Он работал над этой поэмой свыше десяти лет. В первоначальных очерках поэма совершенно абстрактна – никакого времени, никакого места действия, никаких имен.

В последующих редакциях действие поэмы переносится на Кавказ, в Грузию и здесь мы находим примеры воздействия национальной этнокультуры на замысел произведения.

Среди ингушей, выходцев из Кистинского ущелья, поселившихся в селении Гергеты на Военно-Грузинской дороге, поэт записал легенду: «Недалеке от Бешлама есть таинственная пещера, в которой лежит юноша, прикованный к скале за какое-то преступление. Он стонет от боли, потому что хищная птица клюет ему сердце». И вот в «Демоне» поэт упоминает о томлящемся в пещере духе, полюбившем молодую девушку.

Знал Лермонтов и осетинское поверье о ньюгах, происходящих на Кавказе и внушающих населению страх. Эту легенду отмечали многие лица, писавшие о Кавказе.

К поэме Лермонтова непосредственное отношение имеет самое древнее грузинское эпическое произведение – «Амираниани». В многочисленных преданиях о прикованных героях сам факт наказания передается по-разному.

Для грузинского сказания, подобно греческому, более характерно приковывание к скале, а не к железному колу, на который затем опрокидывается гора. Строго соблюдая тысячелетнюю традицию, грузинские сказители утверждают, что Амирани прикован к Кавказскому хребту. Северный щит Грузии, царство вечного снега и льда – горная цепь Кавкасиони – вот то место, где томится Амирани. Эта традиция такая же древняя, как и сам эпос об Амирани.

На протяжении многих веков Амирани представлял центральную фигуру в народной словесности всех грузинских племен. Поэт Лермонтов использовал свое знакомство с народным творчеством грузинского и кавказских народов и включил образ Амирани (Горного духа) в свою поэму.

Впечатления, полученные в Грузии, легли в основу многих произведений – новой редакции «Демона», поэмы «Мцыри», стихотворений «Тамара», «Свиданье», некоторых страниц повести «Бэла» и др.

Поэма «Мцыри» – одно из самых поразительных созданий Лермонтова. В русском и мировом искусстве не часто встречаются произведения, в которых воля к свободе, мечта о родине, прославление земной жизни и борьбы – «мира восторг беспредельный» – были бы доведены до такой остроты, до такого могучего напряжения, как в этой поэме.

Почти все современные исследователи, писавшие о «Мцыри», признают лермонтовскую поэму романтическим произведением. Это мнение вполне справедливо.

Почвой, сформировавшей романтическое искусство начала XIX в., явилось развитие личности, её неудовлетворенность историческим бытием и её стремление противопоставить враждебным силам действительности свою одинокую борющуюся волю и свою субъективность.

Поэма Лермонтова по своему содержанию, пафосу, по методу, по типу героя соответствует этим тенденциям. Правда, романтизм лермонтовской поэмы отличается от устоявшихся форм романтизма, выработанных и закреплённых в стихотворных повестях Байрона, Пушкина и их последователей и подражателей (Козлова, Подолинского), – традиция, на которую Лермонтов, создавая «Мцыри», несомненно опирался. Но существование отличительных особенностей романтизма «Мцыри» (о них будет сказано в дальнейшем) не даёт права исключить произведение из романтической литературы эпохи и вывести его за пределы лермонтовского романтизма.

Мцыри – «естественный человек» в большей степени, чем другие близкие ему персонажи Лермонтова. Мцыри – высокий мятежный герой, стремящийся уйти из своего заточения на родину, в мир цельного бытия, свободы, борьбы и любви.

Было бы неверным искать в воспоминании Мцыри о родине аналогии с популярным у романтиков платоновским анамнезисом (память о запредельном «дожизненном»): оно не содержит в себе мистического элемента. Воспоминания Мцыри о родине и духовная связь его с нею являются источником естественных человеческих чувств и представлений, которые составляют самую основу личности героя. Не случайно в строфе 4 сказано, что он «душой дитя», – видимо не только по поводу его юного возраста, но и с намеком на детскую чистоту его сознания, отразившего «духовное детство» его народа.

Родина для Мцыри – сфера дружелюбия, приязни, душевной легкости, сердечности, населенная «милыми ближними и родными», «мирный дом», где над колыбелью ребёнка поют песни его молодые сестры. И вместе с тем в поэме говорится о «могучем духе» отцов Мцыри, о их гордом и непреклонном взоре», о битвах чудных», которые они вели, и о «воле дикой» – поэтической основе их существования.

Показательно, что над сюжетом «Мцыри» и «Демона» Лермонтов работал почти всю свою творческую жизнь, но после пребывания в Грузии заново их переработал, придав им законченный художественно совершенный вид. Перенеся место действия «Мцыри» в Мцхету (монастырь Джвари), а «Демона» – на берег Арагуи, используя местные легенды, поэт создал новые редакции с новыми яркими образами.

Создавая свои «грузинские произведения», Лермонтов, по словам В.Г.Белинского, «... заплатил полную дань волшебной стране, поразившей лучшими, благодатнейшими впечатлениями его поэтическую душу» (8, IV, с.175).

ЛИТЕРАТУРА:

1. Лермонтов М.Ю. Сочинения в двух томах. Т. 1. М., 1988.
2. Белинский В.Г. Полн. собр. соч., М., 1955.
3. Висковатый П.А. Кавказская природа в творчестве М.Ю. Лермонтова. М., 1987.
4. Джагоднишвили Т.И. Грузино-русские фольклористические взаимоотношения в XIX веке. Тб., 1989
5. Джавахишвили Т.И. У истоков грузинской фольклористики. Тб., 1986.
6. Чиковани М.Я. Народный Грузинский эпос о прикованном Амირани. М., 1966.
7. Эйдельман Н.Я. «Быть может, за хребтом Кавказа». М., 1990.

НОВОЕ О ПРЕДКАХ МИХАИЛА ЛЕРМОНТОВА

Хатиа Гвინиашвили

Мери Кулиашвили

ст. 3 к. спец. англ. филология гуманитар. фак.

Руководитель: проф. **Н. Хинчагнашвили**

Цель нашей работы - исследовать происхождение, генеалогическое древо М.Ю.Лермонтова, рассмотреть ведущие версии исследователей, изучающих генеалогию Лермонтова.

Нынешний год – юбилейный. Большому российскому поэту М.Ю.Лермонтову исполнилось 200 лет со дня рождения. В 1981 году в РФ вышла "Лермонтовская энциклопедия", в которой помещена наиболее полная родословная Лермонтовых (сост. С. А. Панфилова). В её составлении участвовала целая группа авторов, разработавшая полную структурную схему родословия Лермонтовых, включающая в себя все четыре ветви рода Лермонтовых: Измайловскую (к которой принадлежал поэт), Острожниковскую, Кузнецовскую и Колотилловскую. В них Лермонтов значится под номером 92 в 8-м колене рода.

Лермонтовы – предки Михаила Юрьевича, всегда служили России. Они были воеводами, губернаторами, предводителями дворянства, адмиралы, генералы, дипломаты. Юлия Лермонтова (1812-1877) – первая женщина доктор химических наук, друг Софьи Ковалевской. Эта фамилия дала миру многих выдающихся людей: Андреев, Вербицкий, Воронцовы, Врангель, Гайдар, Катенин, Михалковы, Оболенские, Писемские, Трубецкие, Соловьёвы, Сумароков, Шаховские, Стюарты, Миллеры.

По составленной схеме, родословие Лермонтова содержит, кроме русской (Столыпины), также шотландскую (Лермоны), литовскую (Рыкачевы) и татарскую (Арсеньевы) ветви.

Происхождение фамилии лермонтоведы относят к 1057 году. С историей рода Лермонтовых связаны многие достопримечательные места Шотландии - Эрлстон, Бервик, Данбер, Дерси, Сент-Эндрюс, Балькоми. Род Лермонтовых восходит к средним векам и легендарен в своих истоках - он начинается с шотландского поэта Томаса Лермонта, прозванного рифмачом или Томасом Стихотворцем из Эрсильдауна. Вальтер Скотт посвятил этой легендарной личности поэму «Томас-певец». По словам писателя, "мало кто так прославлен в преданиях, как Томас из Эрсильдауна". Его творчество и жизнь окутаны завесой тайны, ибо в личности этого значительного человека своего времени соединились поэтический талант и дар предвидения. Он представлял собой нечто вроде тогдашнего Нострадамуса, ведун и прозорливца и предсказал трагическую и неожиданную смерть короля Александра III. Томас предрек союз Шотландии и Англии, который суждено было осуществить потомку из рода Брюсов:

Имя пророка - одно из первых в ряду поэтов, прославивших национальный шотландский эпос. Как пишет В.Скотт, "память о нем сохраняется и почитается. Деревянный Эйлон, под сенью которого он произносил свои предсказания, сейчас уже больше не существует, но это место помечено большим камнем. До сих пор сохранились развалины древней башни, известной как Башня Томаса».

Существует древняя мистическая шотландская легенда, повествующая о том, что в юном возрасте Томас был похищен Королевой Волшебной Страны в Эльфляндию, где он приобрел все свои знания, которые сделали его столь знаменитым. Спустя семь лет он был отпущен на землю, чтобы просветить и изумить шотландцев силой пророчеств, при условии, что вернется к своей повелительнице, как только она этого пожелает. Прошло много лет. И вот однажды, когда бард пировал с друзьями в замке Эрсильдаун, человек, испуганный и удивленный, вбежал в зал, заявляя, что из ближнего леса вышли олень и олениха и спокойно и медленно шествуют по улицам селения. Прорицатель поднялся, покинул свое жилище и последовал за удивительными

зверьями. Его больше никто и никогда не видел. Народное предание гласит, что он до сих пор "несет свою судьбу" и может опять вернуться на землю.

Замок Дерси, древняя резиденция могущественных и воинственных родов, был живописно и удобно расположен на вершине крутого склона в глубокой излучине реки Иден. Здесь решались государственные дела, проводились политические диспуты, и даже заседал Парламент Шотландии 1335 году. Лермонты появились в Дерси в середине XV века. Вполне вероятно, что род получил имение через церковь из-за своего политического влияния. На протяжении длительного времени они были мэрами Сент-Эндрюса. На гербе этого города девиз рода Лермонтов: "Dum spiro spero" ("Пока дышу - надеюсь"). В наши дни можно увидеть лишь руины древнего замка. В последние годы они стали привлекать внимание историков, архитекторов, археологов и просто патриотов своего края. Многовековая история замка Дерси продолжается.

Лермонты появились в Дерси в середине XV века, когда один из потомков семьи Лермонтов из Эрсильдауна женился на наследнице рода Дерси, Джанет де Дерси. Лермонты в это время были достаточно влиятельны и имели большой вес в церкви. На протяжении длительного времени они были мэрами Сент-Эндрюса. На гербе этого города тот же девиз, что и на гербе Лермонтов: "Dum spiro spero" ("Пока дышу - надеюсь").

По мнению современных исследователей истории, изучающих генеалогию Лермонтов, предок русского поэта М.Ю. Лермонтова - Георг Лермонт - произошел из Лермонтов Балькоми. В пятнадцати милях к юго-востоку от замка Дерси расположен замок Балькоми, принадлежавший другой ветви Лермонтов. Вальтер Скотт, исследуя архивные судебные дела, обнаружил материалы о Лермонтах из Балькоми, которые были известны в основном своей судебной и юридической деятельностью. В XVI веке здесь жил предок Джорджа Ноэла Гордона Байрона, королевский адвокат Гордон, женой которого была Маргарет Лермонт. Таким образом, Лермонтовы оказываются связанными родственными узами с родом Байрона. К сожалению, сам Лермонт не знал, что является дальним родственником своего кумира Байрона.

В конце XVI - начале XVII веков многие Лермонты из Балькоми стали "солдатами удачи" - военными наемниками. Судьба развела их по разным странам. Один из них, Георг Лермонт, воевал в составе польской армии против России в 1613г. и был взят в плен (по другим данным сам остался в России). Он поступил на службу, ему были пожалованы земли в Костромской губернии. Это и был родоначальник русских Лермонтовых. Хорошо известно, что Лермонтова с юных лет волновал вопрос его происхождения. Сведения о родословии были необходимы ему для самопознания и самовыражения. Особое внимание он уделял преданию об испанском граде графе Лерме, будто бы бежавшем от мавров в Шотландию и там положившем начало роду Лермонтов. Юная фантазия Лермонтова колеблется между этим чарующим преданием о родоначальнике-шотландце и другой, также пленительной для него мечтой - о родстве с испанским герцогом Лерма.

Большое внимание в ранних опытах Лермонтова привлекают работы, образующие "испанский цикл". Самое значительное в этом цикле - "Портрет герцога Лермы" (1832-1833), первое известное живописное произведение Лермонтова. Своему легендарному предку художник придал автопортретные черты. Резкий боковой свет подчеркивает напряженную скорбь в темных глазах, в складке плотно сомкнутого рта. "Испанская страсть", в соответствии с романтическим канонами, - потаенная, сдерживаемая усилием воли, подобно тому, как скрывается тело под глухим покровом одежды.

Влияние Лермы, который в качестве главного конюшего сопровождал инфанта на прогулках верхом и на охоте, начало сказываться, к мелочной ревности его коллег по двору, еще во время Филиппа II. После этого он был назначен вице-королем Валенсии (1595) и тем самым отстранен от двора, однако уже через два года возвратился в Мадрид.

На следующий день после вступления на престол Филипп III дает указание членам королевских советов о том, чтобы весь поток документов впредь проходил через руки его privado - герцога Лерму.

По мере сил Лерма старался очистить двор от нежелательных критиков. Среди бывших близких доверенных лиц Филиппа II немногим удалось сохранить видное положение при дворе. Само собой разумеется, он пользовался своей властью, чтобы поставить на важные государственные посты своих доверенных лиц. Лерма целенаправленно создавал свою группировку, где определяющую роль играли семейные и родственные связи. Чтобы в первом же году оградить молодого короля от влияния двора, опытный, почти в два раза старше его, сорокапятилетний Лерма организовывал для монарха поездки. Однако едва ли privado мог в полную силу использовать, таким образом, полученную свободу действий. Ему самому не доставало тех качеств, которые необходимы человеку, занимающему столь ответственное место. Его склонность к самообольщению не осталась незамеченной современниками. Он был столь же восприимчив к лести и похвалам, как нерасположен к изучению документов. Решения часто откладывались в долгий ящик. Господство Лермы сопровождалось бесконечными финансовыми скандалами.

В начале XVII века, когда Шотландия переживала смуту. Георг Лермонт с несколькими соотечественниками покинул родину и поступил на службу к польскому королю Сигизмунду. Ратная служба и привела Георга в составе наемного отряда в крепость Белую для защиты ее от наступающих русских войск.

В августе 1613 года полки князя Черкасского окружили крепость. Гарнизон оказался в безвыходном положении. Отряд шотландских добровольцев начал переговоры с русскими и перешел на службу к московскому царю. В их числе был и Георг Лермонт. "Шацкий" (шотландский) воин был принят с почестями и признанием дворянского достоинства. Георг стал именоваться Юрием.

В 1617 году он вновь в числе "бельских сидельников" защищает крепость. Теперь уже от поляков. Сохранилась челобитная Лермонта царю. "Мы холопы твои с выезда Бельского по се поры твоими царскими великопоместными окладами .и готовым денежным жалованием не верстаны"... К сей челобитной "руку приложил поручик роты Юшко Лермонт". Царь Михаил принял поручика Лермонта в русское подданство я "верстал его поместным и денежным окладом": в Галичском уезде он получил девять деревень с пустошами.

Георг Лермонт служил верой и правдой новому отечеству. Он сражался под Белым, Можайском и в Москве у Арбатских ворот, куда прорвались отряды королевича Владислава и погиб в сражении под Смоленском в 1634 году. После его смерти осталось трое сыновей. Средний из них - Петр окончательно обрусел, принял православную веру. У него было два сына - Евгений и Петр. Петр, впоследствии воевода Саранский, принял в 1653 году крещение в православную христианскую веру. От Георга (Юрия) Лермонта следуют по прямой линии: Петр Юрьевич, Евтихий Петрович, Петр Евтихиевич, Юрий Петрович, Петр Юрьевич, Юрий Петрович и, наконец, Михаил Юрьевич Лермонтов. Прапрадед Михаила Юрьевича Лермонтова служил при Петре I, выполнял его личные поручения.

Пришедшие в Россию представители этих иностранных фамилий женились на русских женщинах, перенимали язык и обычаи страны, переходили в православную веру. Они не за страх, а за совесть служили своему новому отечеству, за что верстались поместьями и награждались вотчинами, создавали на пожалованных им земельных угодьях очаги хозяйствования и культуры, способствуя тем самым процветанию России. В одном из таких очагов и вырос гений Лермонтова.

В заключении мы хотели бы привести слова Л. И. Савелова: "Редкий русский род древнего происхождения не имеет в основании своем какой-нибудь легенды (об иноземном предке), ни на чем не основанной и не могущей быть проверенной, но часто до того входящей в сознание представителей рода, что считается вполне достоверной".

Можно предположить, что интерес Лермонтова к легенде о графе Лерме являлся также выражением своеобразной психологической реакции "преодоления" суждений об относительной бедности и захудалости рода Лермонтовых, распространяемых его родственниками со стороны матери (Столыпинными и Арсеньевыми).

Работа над изучением рода великого русского поэта продолжается и сегодня. Функционирует Ассоциация «Лермонтовское Наследие», офис находится в Москве. Президентом Ассоциации является Михаил Юрьевич Лермонтов, сопредседателем - Татьяна Павловна Молчанова – канд. биол. наук, автор книг и публикаций о роде Лермонтовых. В оргкомитет "Ассоциации Лермонтовское Наследие" входит филиал в Мэриленде (США). С помощью Ассоциации удалось выявить новых членов большой лермонтовской семьи.

Некоторые фамильные истории – настоящая драма. В 1944 году на Балканах встретились два кузена – дети царских офицеров, разбросанные по миру революцией и Гражданской войной. Один Лермонтов штурмовал армию генерала Власова, другой - партизанил в Югославии; Лермонтовых нашли в Рио-де-Жанейро, США.

Нынешние члены фамилии поставили перед собой практическую задачу – восстановление усадьбы Средниково как музея-заповедника памяти Лермонтова-поэта. Взятая в долгосрочную аренду Средниково стало центром для сбора членов фамилии. Сюда ежегодно съезжаются Лермонты-Лермонтовы, чтобы семейному отметить важные события в истории рода.

В 2007 г. Ассоциация отметила празднование 950-летия фамилии. К юбилею у русских Лермонтовых нашелся особый подарок. Род получил шотландский символ клана – клетку-тартан. Тартан – это не просто клановый узор на шерстяной ткани, а одновременно герб и флаг, на основе которого изготавливают традиционные шапочки, шарфы и юбки-килты, символизирующие принадлежность к роду. Черные, желтые, красные и серые полосы на лермонтовском тартане повторяют цвета семейного герба шотландских Лермонтов. Голубая и белая полосы - цвета креста Святого Андрея, почитаемого и в Шотландии, и в России.

На международном торжестве собрались потомки Лермонтовых со всего мира: русские, английские, австралийские, канадские, американские, ново-зеландские. Род Лермонтов-Лермонтовых теперь един.

ЛИТЕРАТУРА:

1. Лермонтов М.Ю. Собр соч. в 4 тт.М., 1975, т.1., с. 86
2. В. И. Загорюлько "Лермонтовы". С–Пб, 1998, с.2
3. <http://lermontov.niv.ru/lermontov/family/>
4. <http://www.libfl.ru/?page=225464686>

ისტორია

რობერტ კერ პორტერის ცნობები ჩრდილო კავკასიელი ხალხების, ჩერქეზების შესახებ

მარიამ არხომაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: გიორგი სოსიაშვილი, პროფესორი

მხატვარი, მწერალი და დიპლომატი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტეინკირკი) დაიბადა ინგლისში, კერძოდ, დურამში 1777 წლის 26 აპრილს. რობერტი უძველესი ირლანდიური ოჯახის შთამომავალი იყო. მამამისი უილიამი დრაგუნთა მე-6 ბატალიონში ქირურგად მუშაობდა. მომავალი მოგზაურის დედა კი ჯეინ პორტერი გახლდათ¹.

რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა. ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობდა, მათ არმიამში მყოფი უილიამის მეგობრები ეხმარებოდნენ.

პორტერი ბავშვობიდანვე ხატვით იყო გატაცებული, ამიტომ 13 წლის ასაკში იგი სამეფო სამხატვრო აკადემიაში შეიყვანეს, სადაც მალევე მიიპყრო ხელოვანთა ყურადღება. 1792 წელს მას მხატვართა საზოგადოებისაგან ბიბლიური პერსონაჟის, ენდორის ალქაჯის შესრულებისათვის ვერცხლის პალიტრა გადაეცა.

1805 წელს პორტერმა მიიღო რუსეთის მეფის, ალექსანდრე I-ის მიწვევა, რათა მას სანკტ-პეტერბურგში ისტორიების ამსახველი ბატალიები შეექმნა. სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მისი და ერთ-ერთი არისტოკრატი ქალბატონის, მერის ურთიერთობა რომანში გადაიზარდა, რასაც ხელი შეეშალა მას შემდეგ, რაც რუსეთის მეფემ ხელი მოაწერა ტილზიტის² ხელშეკრულებას ნაპოლეონ ბონაპარტთან, რამაც რუსეთი დიდი ბრიტანეთის მტერთან დააკავშირა. საკუთარი უსაფრთხოების მიზნით პორტერმა რუსეთი დატოვა. თუმცა, 1811 წელს მან კვლავ მიიღო მეფის მოწვევა და უკან დაბრუნდა... 1812 წელს კი მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, ის მაინც დაქორწინდა მერიზე.

რობერტ კერ პორტერმა რუსეთში ყოფნის დროს აღწერა 1812–13 წლებში იქ არსებული მოვლენები ნაწარმოებში „რუსეთის სამხედრო კამპანიის აღწერა 1812 წელი“.

1817 წელს პორტერმა სანკტ-პეტერბურგიდან კავკასიის გავლით მოგზაურობა დაიწყო თეირანის მიმართულებით, სადაც მან შეისწავლა უძველესი ხელნაწერები, ლურსმული დამწერლობის ნიმუშები. გარკვეული დროის შემდეგ მან განაგრძო მოგზაურობა ეკვატორისა და ბალდადისაკენ³. აღნიშნული მოგზაურობისას მან გააკეთა ჩანაწერები და გამოსცა წიგნი სახელწოდებით: „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში“⁴. პორტერის თხზულებებში დიდი ადგილი უკავია ცნობებს საქართველოს შესახებ. 1817–20 წლებში ინფორმაციასთან ერთად პორტერმა მოახდინა ამ წიგნის ილუსტრაცია.

რობერტ კერ პორტერი მოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო და აგროვებდა ცნობებს სხვადასხვა წარმომავლობის ხალხთა შესახებ. მის კარგ დიპლომატიასა და გავლენაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ 1825 წელს იგი ვენესუელაში⁵ დიდი ბრიტანეთის კონსულად დაინიშნა. ამ ხნის განმავლობაში იგი კარაკასში ცხოვრობდა.

მოგზაურს ტრაგიკული ბედი თან სდევდა. 1826 წელს მისი საყვარელი მეუღლე ტიფის დაავადებით სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა. ამის შემდგომ მარტოდ დარჩენილმა მხატვარმა

¹ Dictionary of national Biography , 1885-1900 volume 46, Porter Robert Ker, by Thomas Segomblei; London, 1896 .P .26. . en wikisource.org/wiki/Porter-Robert-Ker (DNBOO).

² საფრანგეთსა და რუსეთს, საფრანგეთსა და პრუსიას შორის დადებული ხელშეკრულებები, რომელზეც ხელი მოაწერეს ტილზიტში 1807 წლის 25 ივნისს. 1806 –1807 წწ. რუსეთ-პრუსია-საფრანგეთის ომის დროს. ამ ზავით პრუსიამ დაკარგა ტერიტორიები და მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი.

³ www.Jstor.org/discover/ 10. 2307/4300461. Uid =z &uid =4& Gid=21104394515663 R.D Barnet , Sir Robaer Ker Porter-Regency Artist and traveler.

⁴ Travels in Georgia, Persia, Armania, Ancient Babylonia, By sir Robert Ker Porter, Volume I, London, 1821

⁵ The many-sidon world of sir robert ker porter-p.36-37;74 phi alpha thetawillia on M.armstrorg. The historian, November 1962, volume 25, issue-1 on tincl, Bravary wiley.com/doi/10-1111/lisn 1962.25.1.issue-1/issuetor

წერილი გაუგზავნა თავის ძმას, სადაც ატყობინებდა, რომ მეორე დღეს ინგლისში ბრუნდებოდა, მაგრამ შემდგომ პორტერი მოულოდნელად დამბლით გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ინგლისში, ბრისტოლის კათედრალის მონასტერში. პორტერთა ოჯახის უკვდავსაყოფად განთავსებულია მემორიალური დაფა.

XVIII-XIX საუკუნის განმავლობაში კავკასიაში პორტერის გარდა არაერთი უცხოელი მოგზაური იმყოფებოდა, რომლებმაც დაგვიტოვეს ძვირფასი ინფორმაცია კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების, მათ შორის, ჩერქეზების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. ის აღწერს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, მოსახლეობის დაყოფას და სხვა.¹ გეოგრაფიულად იგი ესაზღვრება აფხაზეთს და ოსეთს, დასავლეთით ქისტეთს, ამრიგად მასზე მიედინებიან ყუბანი, კუმა და თერგი. იგი კავკასიაში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა. მისი გადმოცემით, ჩერქეზები არის განსაკუთრებული ხალხი ენის თუ სხვა პირობების მიხედვით, ისინი არ ენათესაებიან სხვა ერს, გარდა მეზობელი აფხაზებისა. ორივე ხალხი ლაპარაკობს საერთო ძირის მქონე ენაზე, მაგრამ ისეთ განსაკუთრებულ დიალექტზე, რომ გაწაფვის გარეშე ერთმანეთისაგ კი არ ესმით.

ჩერქეზეთს არ ჰყავს ერთი საერთო მმართველი და მისი მხარეები არ არიან ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირში, თუმცა ქვეყნის წყობა რესპუბლიკურია. საერთოდ ქვეყანა, განსაკუთრებით კი ყაზარდო აღიარებს რუსეთის უზენაესობას და მთავრები მისადმი ერთგულების ფიცს დებენ, მეტიც, ისინი მშვიდობიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად წარჩინებული გვარებიდან მძევლებს გზავნიან ყიზლარში, თუმცა ზოგჯერ მაინც საჭირო ხდება სამხედრო ძალის გამოყენება².

გიულდენშტედტი გარკვეულ ადგილს უთმობს ჩერქეზთა გაერთიანებას. ქართველი და რუსი მღვდელმთავრების ძალისხმევით, უმთავრესად კი რუსეთის მეფის, ივან ვასილის ძის დროს, ჩერქეზები მართლმადიდებელი ქრისტიანები გახდნენ, რისი დამადასტურებელიც არის: ძველი ქვის ეკლესიები, საფლავის ჯვრები და სხვა. ამჟამად მეტი წილი დიდებულებისა მაჰმადიანია*, თუმცა მათ არ აქვთ მეჩეთები, არც წინამძღვრები ჰყავთ. ხალხი ცხოვრობს ურელიგიოდ, ზოგადად კი განათლების დონე ძალიან დაბალია.

გერმანელი მოგზაური საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ჩერქეზთა სამეურნეო ცხოვრებაზეც. მეურნეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მესაქონლეობა, უპირატესად კი მეცხვარეობა. მათი ცხვრები ევროპელი ცხვრის მსგავსია, მაგრამ მათ ძალიან კარგი მატყელი აქვთ, რომელსაც ისინი სავაჭროდაც იყენებენ³. მარცვლეულიდან ისინი მხოლოდ ფეტვს თესენ, რადგან ფეტვი მათთან პურის მაგივრობას სწევს.

გიულდენშტედტი აღწერს ჩერქეზთა საცხოვრებელ პირობებსაც: მათ არა აქვთ ქალაქები, ცხოვრობენ დიდ სოფლებში, რომელთა სახლები ერთმანეთთან მჭიდროდ არის აგებული, მსუბუქი საშენი მასალით. როცა მათ ახალი ადგილი მოეწონებათ ნიადაგის, სამოვრების, წყლის, ტყის გამო, ისინი ტოვებენ თავიანთ სოფლებს და ახალ ადგილას ძალიან მოკლე დროში აშენებენ ახალ სახლს. მომთაბარე ცხოვრება ჩერქეზების ცხოვრების თანმდევი ხასიათია.

ჩერქეზების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ავსტრიელი მოგზაური, ქალბატონი იდა პფაიფერი. იგი თავის დღიურში აღწერს კავკასიელი ხალხების ცხოვრებას, დასახლების ტიპებს, ცხოვრების წესს. მის ნაშრომში გარკვეული ადგილი უკავია ცნობებს საქართველოს შესახებ, იგი თბილისს ევროპულ ქალაქად თვლის და ერთ-ერთ ქალაქ ვალპარაისოს⁴ ადარებს. იდა აღწერს თბილისის ქუჩებს, გოგირდის აბანოებს, აქაურ მოსახლეობას, მათ ჩაცმულობას. თუმცა თბილისზე საუბრის შემდეგ ის ჩერქეზების აღწერაზე გადადის. იდა პფაიფერმა თბილისში ნახა ჩრდილოეთ კავკასიიდან სავაჭროდ ჩამოსული ჩერქეზები, რაც ადასტურებს იმას, რომ ჩერქეზებს აქტიური ურთიერთობა აკავშირებდათ ქართველებთან და ამიტომ გვაწვდის მათ შესახებ ცნობებს. პფაიფერი აღწერს ჩერქეზი მამაკაცებისა და მანდილოსნების აღნაგობას და სამოსს. მკვლევართა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომ საქართველოს დედაქალაქში მყოფი მოგზაური ქართველების ნაცვლად ჩერქეზებზე გვესაუბრება⁵.

ჩერქეზი ხალხის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს სხვა მოგზაურებმაც. ერთ-ერთი მათგანია ფრანგი მოგზაური ჟაჟ ფრანსუა გამბა, რომელმაც კავკასიაში 1820-1824 წლებში იმოგზაურა.

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გ. გედლაშვილი, თბილისი, 1964. გვ. 53

* აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის ბოლომდე ჩერქეზ ხალხში მაინც ისლამი დომინანტობდა, ამაზე მიუთითებს ფრანგი მოგზაური ბარონ დე ბაი საქართველოში. თბილისი 2011, გვ 116

² გიულდენშტედტი გვ. 55

³ გიულდენშტედტი გვ. 55

⁴ აღნიშნული ქალაქი თანამედროვე ვენესუელას ტერიტორიაზე მდებარეობს.

⁵ იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი ტექსტთან ერთდ გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა გიორგი სოსიშვილმა. თბილისი 2013. გვ.15-18

იგი თავის ნაშრომებში შენიშნავდა, რომ „ყუბანის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებ ჩერქეზთა მიერ რუსებზე ხშირი თავდასხმების ასალაგმავად“ იმპერატრიცა ეკატერინე II-მ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩასახლა კაზაკები, რომლებმაც ჩერქეზებისაგან გადაიღეს ტანსაცმელი, იარაღი, ჩვეულებანი და ბრძოლის წესები. მათში ჯერ კიდევ არსებული თარეშის ჟინი უბიძგებდათ ჩერქეზული სოფლების გაძარცვისაკენ და ამ მხრივ დიდად ავიწროებდნენ მათ.¹

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური მორიც ვანგერი, რომელმაც კავკასიაში 1843–1846 წლებში იმოგზაურა, 1850 წელს ქალაქ ლაიპციგში გამოცემულ თავის წიგნში „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე კოლონიებში“ წერდა: „ჩერქეზ მეომარს, რომელიც ტფილისში იშვიათად ჩნდება, ამ ხალხთა ჭყლეტაში რაინდული აღნაგობით, სახის კეთილშობილური პრიფილით, რომლის ხასიათი რბილ სინაზეს კი არ გადმოსცემს, არამედ მამაკაცურ სითამამესა. ამაყი მიხვრა-მოხვრით გაივლის ჩერქეზი და ყველა გზას უთმობს მას, კაზაკიც კი, მიუხედავად იმის, არის თუ არა იარაღით აღჭურვილი. ჩერქეზების უმრავლესობა, რომლებიც ტფილისში ვნახე, იყვნენ ბელადები, ან სულ მცირე გავლენიანი უზდენები“.

ქართველი და ჩერქეზი ხალხის შესახებ საინტერესო დახასიათება მოგვცა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ, რომელმაც კავკასიაში 1858–59 წლებში იმოგზაურა. თავის გახმაურებულ ნაშრომში „კავკასია“ ქართველი და ჩერქეზი ხალხის შესახებ იგი წერდა: „ამბობენ, ჩერქეზები დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი ხალხიაო. ეს შეიძლება ითქვას მამაკაცებზე, ქალების მიმართ კი სადავოა, ქართველს სრულიად თავისუფლად შეუძლია ჩერქეზს სილამაზეში შეედაროს.“³

რობერტ კერ პორტერი როგორც თავის ნაშრომებში აღწერს, კავკასიაში მოგზაურობის დროს შეხვდა ჩერქეზებს, მისი აღწერით ჩერქეზები გამოირჩევიან მაღალი, ახოვანი, შესანიშნავი ღია კანის ფერით, მუქი ფერის თვალებითა და თმით, წვერს მოკლედ ატარებდნენ, ხოლო სახეზე გულითადი გამომეტყველება აღბეჭდვოდათ, რითაც გამოირჩეოდნენ ისინი სასტიკ მეზობელთა აღნაგობისაგან, როგორებიცაა: ჩეჩნები და ოსები და კიდევ უფრო განსხვავდებიან მუქკანიანი ქართველების დახრილი თვალებისაგან. ამ ხალხის ჩაცმულობა სწორედ რომ შესაფერისი და შერწყმულია მათ აღნაგობასა და ხასიათთან, იგი სამხედრო ტიპისაა და ძალიან მოხდენილი. თავზე პატარა, ბეწვით გაწყობილი ქუდი ახურავთ, სადაც ისინი ფოლადის მუზარადს იმაგრებენ, მუზარადიდან კი ჩამოშვებულია აბჯარი, რომელიც მთელს სხეულს ფარავს, გარდა სახისა, ჯაჭვის პერანგის ზემოდან კი მოსასხამს იცვამდნენ. იმისდა მიხედვით, რა წოდება აქვს მფლობელს, მოსასხამი სხვადასხვა ქსოვილისგან იყო შეკერილი.

რაც შეეხება მათ შეიარაღებას: რევოლვერი, ხანჯალი და ხმალი მსუბუქ თოფთან ერთად მათ საბრძოლო იარაღებს წარმოადგენდა. მშვილდ-ისარს ისინი ომში იშვიათად მიმართავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი აღჭურვილობის ერთ-ერთ ინვენტარს წარმოადგენდა. პორტერის ცნობით, მათი აღკაზმულობა არაფრით განსხვავდებოდა იმ პერიოდის ინგლისელი ბარონების აღკაზმულობისაგან.

რობერტ კერ პორტერმა კარგად შეისწავლა ჩერქეზი ხალხის ისტორია. იგი წერს, რომ „ამ ქვეყნის უდიდესი ნაწილი გაშლილია კავკასიის ჩრდილოეთ მხარეს. ამ კუთხემ სახელი გაითქვა ქალების განსაკუთრებული სილამაზითა და მათი ტრაგიკული ხვედრით. მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩერქეზი ახალგაზრდა ქალების მთელი თაობები ხდებოდნენ მათ ქვეყანაში მუდმივი შემოსევების მიზეზი. მეზობელი, მტრულად განწყობილი ტომები იტაცებდნენ მათ, დაუფარავი სისასტიკით ან მალულად ყიდდნენ ისლამურ ჰარამხანებში. მაგრამ ჩერქეზი ერი ამ რომანტიკული, უიღბლო ბედისწერის გარდა, რაღა თქმა უნდა, სხვა მიზეზებითაც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ეს არის კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ხალხი და შედგება ბევრი ტომებისაგან, რომლებსაც აქვთ განსხვავებული გარეგნობა და ზოგ შემთხვევაში ღირსებაც... ნამდვილი ჩერქეზი წინაპრები სრულიად განსხვავდებიან იმ ჩერქეზებისგან, რომელთა სისხლიც ჩინგის ხანის თათრების სისხლს შეერია. მათ ვერ შეძლეს გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ“⁴.

პორტერი ჩერქეზებში რამდენიმე სოციალურ ფენას გამოყოფს. ჯერ კიდევ შემორჩენილი უძველესი მოდემის ჩერქეზები კი თავიანთ თავებს სამ კლასად ყოფდნენ – პრინცები, აზნაურები და ვასალები. ეს უკანასკნელნი, შოტლანდიის კლასების მსგავსად, იყვნენ თავიანთი ბელადების ერთგულნი. მათთვის პრინცის პიროვნება წმინდაა და აზნაურები მას ემორჩილებიან, მაგრამ ამ ყველაფერს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ბატონს ემსახურებოდნენ მისი ვაჟიშვილები და არა მონები. სხვა დიქტატორული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბატონებს არ ჰქონდათ არანაირი უფლებები მათი ქვეშევრდომების ქონებაზე და თავის

¹ ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. ნიკო ჯავახიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 50, 66-68

² იქვე გვ. 119, 34

³ გვ 207-138

⁴ Seccombe, Thomas (1885-1900). Porter Robert ker, Dictionary of National Biography. Sir Robert Ker Porter-regen.

მხრივ, აზნაურსაც არ შეეძლო მასზე დამოკიდებული პირის საკუთრების მიტაცება. მათ არ ჰქონდათ რაიმე დაწერილი კანონი, თუმცა ისინი ხელმძღვანელობდნენ საერთო უფლებით. მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ტომის ძირითადი მასა, რომელიც წმინდა ჩერქეზული წარმომობითა და ცივილიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა, თუმცა მთავარი პირი აქაც პრინცია. სწორედ მას შემოაქვს გარკვეული საკითხი, რაზეც შემდგომ მსჯელობს ტომის ელიტარული ფენა. როგორც წელიწადში აღვნიშნეთ, ისინი გამოხატავენ საკუთარ აზრს და თუ სამი ხმით დაეთანხმებიან შემოთავაზებულ წინადადებას, მაშინ ეს წინადადება დამტკიცებული იქნება. ეს შეკრებები წინამორბედა ამჟამინდელი პარლამენტის ფორმისა და საინტერესოა ამ ორი ეპოქის ხედვა კანონებსა და ზოგადსაკაცობრიო თემაზე.

ჩერქეზების განათლება ძირითადად საბრძოლო, ფიზიკური აღზრდით იფარგლებოდა. პრინცისა და აზნაურის განათლების დონე თითქმის ერთნაირი იყო. მხოლოდ პრინცს ასწავლიან რეგულარულად წერა-კითხვას. ამასთანავე მათ პატარაობიდან ზრდიდნენ ბელადები, ისინი სწავლობდნენ ცხენზე ჯდომას და ყველანაირი იარაღის ხმარებას. გარკვეულ ასაკში კი თან ახლდნენ თავიანთ მასწავლებლებსა და მომხრეებს პატარ-პატარა ურჩი მეზობლების დარბევის დროს, რათა თვიდანვე გაღვივებულიყო მათში სიმამაცის გრძნობა, აგრეთვე ითვისებდნენ იმ გზებსა და ბილიკებს, რომლებიც მათ მტრის ბანაკამდე მიიყვანდა.

საინტერესოა ჩერქეზი ქალების ცხოვრების ფაქტები, ისინიც პატარაობიდანვე ითვისებენ თავიანთ მოვალეობებს ოჯახის წინაშე, სწავლობენ ქსოვას, კერვას, ქარგვას, მათ დაბადებიდან მალევე წელზე შემოარტყამენ ქმარს, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად იცვლება და გათხოვების დღეს ქმარი ამ ქმარს ხმლით გაჭრის, რაც ცოტა სარისკოვანაა. მართალია, ქორწინების შემდგომ ისინი სულ ერთად არიან, მაგრამ ჩერქეზების წესია, რომ არასოდეს შეხვდნენ ისინი მესამე პირს ცოლის თანდასწრებით. ქორწინების დილას პატარძალი თავის საქმროს ხვდება ჯავშნით, მუზარადით და ყველა სხვა საომარი აღჭურვილობით. მისი მამა იმ დღითვე აძლევს მზითვეის მცირეოდენ ნაწილს, თვითონ კი სიძისგან იღებს გენეოლოგიის სიას, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია წინაპრების წმინდა სახელი და მათი დიდების საკითხი. ქორწინების შემდეგ კი სიძე იღებს მზითვეის დარჩენილ ნაწილსაც და აძლევს უფლებას, რომ ატაროს მისთვის გათხოვებამდე აკრძალული ნივთები, მაგალითად, გრძელი თეთრი ჩადრი. მნიშვნელოვანია ქალის სიტყვა ჩერქეზი მამაკაცისთვის, თუ ის ომში სისუსტეს გამოიჩინდა, მანამდე გახდებოდა ქალის დაცინვის საგანი, სანამ ამ სამარცხვინო ლაქას მტრის ან საკუთარი სისხლით არ ჩამოირეცხავდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძალიან დიდ პატივს სცემენ სტუმართმოყვარეობის საკითხს, თუმცა საკმაოდ უცნაურად. როდესაც მოგზაური მიუახლოვდება ერთ-ერთის სახლს, მასპინძელი თავის ერთ-ერთ ქალიშვილს უბრძანებს, რომ ყურადღებით მოუაროს მოგზავს, მის ცხენსა და მუზარადს. ბოლოს კი ღამეც დარჩეს მასთან. ასეთივე წეს-ჩვეულება აქვთ ლაპლანდიის ერთ-ერთ კუთხეშიც, რომელზეც უარის თქმა საკმაოდ დიდ შეურაცხყოფად ითვლება.

რელიგიით ამჟამად ეს ხალხი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ჩერქეზი ქალების გმირობა და გონების სიმტკიცე გვარწმუნებს, რომ ადრე ქრისტიანულმა რწმენამ მათ შორის გარკვეული პროგრესი მოახდინა.

ამრიგად, ინგლისელი მხატვრისა და მოგზაურის, რობერტ კერ პორტერის ცნობები ჩერქეზი ხალხის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია. მისი ცნობების ქართულ ენაზე გამოქვეყნება კავკასიელი ხალხების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს დიდ დახმარებას გაუწევს და ჩერქეზების შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნის თვალსაწიერს კიდევ უფრო გაზრდის.

ლიტერატურა:

1. გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2013.
2. გ. გელაშვილი, გიულდენშტედტის მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 1964.
3. ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005.
4. Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, By sir Robert Ker Porter, Volume I, London, 1821.

ქართველი ბაგრატიონები უკანასკნელ სეფიანთა კარზე (გიორგი XI)

ნინო ბუჭუხიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მამუკა ჯოღბორდი, პროფესორი

ქართლ-კახეთის გმირულმა ბრძოლებმა XVII საუკუნის 30-იან წლებში ირანის შაჰი აიძულა, ხელი აეღო ქართლ-კახეთის სამეფოების სრულ დაპყრობაზე და კომპრომისის გზას დასდგომოდა. ეს კომპრომისი გამოიხატა იმით, რომ შაჰი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას და ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობით და „ვალის“ ტიტულით, სწორედ ამ კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომის მეფობა ქართლში (1632-1658).

როსტომის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფობა ვახტანგ V-ს უბოძა. ვახტანგი საშინაო საქმეებში მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებდა, რაც ირანის ხელისუფლებას არ მოეწონა და ახსნა-განმარტებისათვის ირანში დაიბარეს. 1675 წელს ვახტანგ V გზაში გარდაიცვალა.

ვახტანგმა ირანში წასვლის წინ ქართლის გამგებლად თავისი მეორე ვაჟი – გიორგი დანიშნა. მალე იგი მეფედ დამტკიცების მიზნით ირანში გაიწვიეს, მაგრამ ეს საქმე შეაფერხა ვახტანგის ერთ-ერთმა ვაჟმა ალექსანდრემ, რომელიც ირანში აღიზარდა და ისპაანის მოურავი იყო. ალექსანდრეს ქართლში გამეფება სურდა. ამის საწინააღმდეგოდ, არჩილი ახალციხიდან გადმოვიდა, სადგერში დადგა და ქართლის შემომტკიცება დაიწყო. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა ირანის ხელისუფლებაზე. შაჰმა გიორგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მუსლიმანობა მიაღებინა, შაჰ-ნავაზ-ხანი უწოდა და საქართველოში გამოსიტუმრა. ეს მოხდა 1677 წელს [2, 350].

1688 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ IV. იმერეთის ფეოდალებმა ტახტზე აიყვანეს გიორგი გურიელი [4, 219]. ქართლის მეფე გიორგი XI ცდილობდა იმერეთში არჩილის გამეფებას. როდესაც ეს ცდები მარცხით დამთავრდა, გიორგიმ გადაწყვიტა, რომ იმერეთის ტახტზე აეყვანა ალექსანდრე ბაგრატის ძე, რომელიც 1678 წლიდან გიორგი XI-ის კარზე იმყოფებოდა. გიორგიმ ალექსანდრეს გამეფებისათვის შეწევნა სთხოვა ახალციხის ფაშას. ამ დროს გიორგი გურიელმა გაუგონარი საქციელი ჩაიდინა - ცოლს გაეყარა და სიდედრი – თამარი შეირთო. ამან იმერეთის ფეოდალური საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია [4, 219].

1683 წელს გურიელი ჩამოაგდეს ტახტიდან და ალექსანდრე IV გაამეფეს. გიორგი XI, როდესაც ხელს უწყობდა იმერეთში ალექსანდრეს IV-ის გამეფებას, ცხადია, ვარაუდობდა, რომ ალექსანდრეს სახით მას დასავლეთ საქართველოში ერთგული მოკავშირე ეყოლებოდა. მაგრამ გიორგის არ გაუმართლდა იმედი. მალე ურთიერთობა გიორგი XI-სა და ალექსანდრეს შორის გამწვავდა და ბოლოს აშკარა მტრობაში გადაიზარდა. როდესაც ალექსანდრე ებრძოდა რაჭის ერისთავს, პაპუნას, გიორგი XI ამ უკანასკნელს სამხედრო დახმარებას უწევდა. გიორგისა და იმერეთის მეფეს შორის მტრობის მიზეზის შესახებ ცნობა დაცულია „პარიზის ქრონიკაში“. ირკვევა, რომ ალექსანდრემ ირანში გაგზავნა ელჩი და აპირებდა შაჰისათვის კავშირი და სამსახური შეეთავაზებინა, საფიქრებელია, რომ ეს ნაბიჯი ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმერეთის მეფის ელჩმა ირანამდე ვერ ჩააღწია, ჩანს, იგი მოაკვლევინა გიორგი XI-მ. იმერეთის მეფის მიერ ჩაფიქრებული პოლიტიკური კომბინაცია მიუღებელი იყო გიორგისათვის - იგი ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდა და ვერ მოითმენდა ზურგში ერთგული მოკავშირის ნაცვლად ირანის შაჰის ვასალის მეფობას.

გიორგი XI ანტიირანულ პოლიტიკას დაადგა. მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით. გიორგი XI ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში. დახმარების მისაღებად დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. 1687 წლის 29 აპრილით დათარიღებულ წერილში თავისი და თავისი შვილის, ბაგრატის სახელით ერთგულებას უცხადებს რომის პაპ ინოკენტი XI-ს, თავს კათოლიკედ აცხადებს და პაპს სთხოვს, რომ ბრძანება გასცეს საქართველოს მხედრობისთვის. პაპის საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ იგი მას კათოლიკე მეფეთა სიაში მოიხსენიებს, თუმცა პრაქტიკულ დახმარებაზე არ არის საუბარი, რადგან, მართალია, ვენა ამ დროს ოსმალებისაგან ახალი განთავისუფლებულია (1683 წ), მაგრამ საფრანგეთი (ლუი XV) და გერმანია (ლეოპოლდ I) უკვე ერთმანეთში ომისთვის ემზადებიან და 1688 წელს დაიწყება კიდეც პფალცის ომი. ამას ემატებოდა ინოკენტი XI-ისა და ლუი XIV-ის დამაბული ურთიერთობა. ევროპასთან ურთიერთობის მომსწრეა არა მხოლოდ გიორგი XI-ის ძმა – ლევან ბატონიშვილი, არამედ მისი ბიძაშვილი – სულხან-საბა ორბელიანი, რომლის აღზრდაზეც გიორგის ზეგავლენა ჩანს. გიორგი XI

სათავეს უდებს ქართლის სამეფო შტოს ერთი ნაწილის პროვეროპულ პოლიტიკურ მიმართულებას საგანმანათლებლო და რელიგიური თვალსაზრისით. ინტენსიური ურთიერთობა მისიონერებთან, პაპებთან და ევროპელ მონარქებთან, რომელიც გიორგი XI-მ და მისმა მომხრეებმა, პირველ რიგში, მისმა ძმამ – ლევანმა და სულხან-საბა ორბელიანმა ერთად დაიწყეს და რომელიც მკაფიოდ გამოიხატა ლევანის შვილების, ქაიხოსრო მეფისა და ვახტანგ VI-ის პოლიტიკაში, გასტანს საუკუნეს და დასრულდება ლევანის შვილიშვილის, ანტონ I-ის სიკვდილით.

გიორგი XI-ის, ანუ შაჰნავაზ II-ის მეფობა (1677-1688) აღინიშნა ქართლში ფეოდალური ანარქიის რამდენადმე გაძლიერებით, თანაც გიორგი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას მამამისზე მეტად იჩენდა. ირანის მთავრობამ მალე გამოამყვანა თავისი უკმაყოფილება გიორგის პოლიტიკით. ირანის შაჰს არჩილის ახალციხის ფაშასთან ურთიერთობაც არ მოსწონდა. შაჰმა გიორგის არჩილის შეპყრობა და ირანში გაგზავნა დაავალა. გიორგიმ დავალება არ შეასრულა. უფრო მეტიც, გაანადგურა ქართლის სპარსოფილი თავადები, კახეთის დაკავებაც სცადა და სხვ. [2, 350].

გიორგი XI ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდა. იგი კახეთიდან ირანელთა მიერ დასმული რენეგატი ხანის გაძევებასაც აპირებდა. 1688 წელს გიორგი XI ჯანყდება ირანელების წინააღმდეგ. აჯანყება მარცხით დამთავრდა, რადგან გიორგის უღალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა და ვერც ოსმალეთიდან მიიღო დახმარება. შაჰმა გიორგი XI ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე კახეთის მეფე ერეკლე I დასვა (1688 წ.).

გიორგი XI იმერეთს გადავიდა და თავის პოლიტიკურ მოკავშირეს, პაპუნა რაჭის ერისთავს შეეხიზნა [5, 196].

ალექსანდრე იმერთა მეფემ რაჭის ერისთავ პაპუნას უბრძანა, არ შეეშვა გიორგი რაჭაში, მაგრამ პაპუნამ არ შეასრულა მეფის ბრძანება. ალექსანდრემ ილაშქრა რაჭაში, თუმცა გიორგი XI ხელთ ვერ იგდო. ალექსანდრემ მოაოხრა რაჭა და უკან გამობრუნდა [4, 221].

1691 წელს გიორგი ისევ გადმოვიდა ქართლში და 4 წლის განმავლობაში ებრძოდა ერეკლეს ქართლის ტახტისთვის. იმერეთიდან ხელახლა გამოძევებული არჩილიც გიორგისთან ერთად იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. მისი მიზანი კახეთის ტახტის დაჭერა იყო. ქართლისა და კახეთის მრავალი თავადი ეხმარებოდა გიორგისა და არჩილს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ. გიორგი ჯერ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, შემდეგ კი ირანში ჩავიდა [1, 211]. გიორგი ირანში ჩადის XVII საუკუნის მიწურულს. ამ დროს აქ იმყოფებიან მისი ძმები ლევან და ლუარსაბ ბატონიშვილები და მძისწული ქაიხოსრო ლევანის ძე [6, 113]. ეს ის პერიოდია, როცა დაცემის გზაზე მდგარი სეფიანთა ირანი ავღანელთა დაპყრობის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ავღანელ ტომებს შორის არ იყო ერთიანობა. ისინი ერთმანეთს პირველობისთვის ებრძოდნენ. ირანის შაჰმა ავღანელთა და ბელუჯთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი უფლისწულები გაგზავნა ქართველთა რაზმით. პირველი ლევან ბატონიშვილი გაიგზავნა, რომელმაც წარმატებით მიოგერია ბელუჯთა შემოსევები. მალე თავად გიორგი გაიგზავნა ქირმანში. გიორგიმ ბელუჯებისა და ავღანელების წინააღმდეგ მოპოვებული წარმატებებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის სიყვარული დაიმსახურა. ქირმანის მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა გამარჯვებულ მეფე გიორგის, ქებას ასხამდა და ლოცავდა: „კურთხეულ არს ღმერთი, თქვენ მაგისთანა კაცი დაუბადებიათ და ჩვენთვის გამოგარჩივათ.“

ქართველმა ბატონიშვილებმა ბელუჯთა და ავღანელთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლებით შაჰ სულთან ჰუსეინის ნდობა მოიპოვეს. შაჰმა ჯერ ლევან ბატონიშვილი, შემდეგ გიორგიც დაიბარა ისპაანში. ლევანს ირანის მდივანბეგობა უბოძა, ქაიხოსროს კი ისპაანის ტარულობა. და ვითარცა მივიდა ისპაანს ქაიხოსრო, განიხარა ყენმან და პატივ-სცა მამასაც მისსა და თვთ მასცა, ხოლო ერევენის ხანი და ქალბალიხან მოშურნე იყვნეს ურთიერთას და ამისთვს განიზრახა ერევენის ხანმან და მისწერა წიგნი მეფესა გიორგის, რათა პირობითა და თავდებობითა მისითა დაეგოს იგი ყაენსა, რამეთუ ეტყოდა, ვითარმედ: „არარა ბოროტი გიქმნიესო სპათა მისთა ყიზილბაშთა ზედა, ამისთვსცა მე ვიყო თავსმდები შენი, რათა არა გეყოს შენა ზღუევა, არამედ უფროსად სარგებელი და წყალობა და მრავალწილად კეთილის ყოფა ყაენის მიერ“ [3, 442]. 1703 წელს შაჰმა გიორგის ისევ მისცა ქართლის მეფობა, მაგრამ ირანში დატოვა. ქართლში კი ჯანიშინად გიორგისავე თხოვნით ვახტანგ VI დანიშნა. ამ დროს მეტად გააქტიურდნენ ღილზაის ავღანელები, რომლებიც ყანდაარსა და მის მიდამოებში ცხოვრობდნენ.

შაჰ სულთან ჰუსეინმა ამ ღილზაელების აჯანყების ჩასახშობად ქართლის მეფე გიორგი XI ანუ შაჰნავაზ II გაგზავნა, რომელიც ირანში გიორგინ ხანის სახელით იყო ცნობილი. გიორგი მეფე ყანდაარის ბეგლარბეგად დაინიშნა. მასვე მიეცა გირიშკის ციხე და ირანის სპასალარობაც ებოძა.

მალე იმ ხანად თბილისში მყოფმა ლევან ბატონიშვილმა გიორგი მეფისგან წერილი მიიღო. იგი ქართველთა ჯარის გამოგზავნას ითხოვდა. ლევანმა შეყარა ჯარი, უთავა ვახუშტი ყაფლანიშვილი და ათასამდე ქართველი მეომარი გაგზავნა ირანში.

1704 წლის დასაწყისში, ქართველთა რაზმის ჩასვლის შემდეგ, გიორგი მეფე ქირმანიდან ყანდაარში გაემგზავრა. ყანდაარში გიორგის ჩასვლამ თავზარი დასცა მეამბოხე ტომებს. გიორგიმ ბრძანება გასცა: „ყოველნი მორჩილნი ბრძანებისანი მოვიდნენ წინაშე ჩემსა და მივანიჭო ღირსნი პატივნი მათნი, უკეთუ არა ინებონ, მოვსრუნე მახვილითა უწყალოდა.“ ამის გამგონე ადგილობრივი ტომები დიდი პატივით ეახლნენ გიორგი ხანს, მორჩილება და ხარკი აღუთქვეს. მათ შორის იყო ღილზაის ტომის რაისი მირ ვეისი. მეფე გიორგიმ შაჰს გაუგზავნა ადგილობრივი მეამბოხე ტომთა მეთაურების მორჩილების წერილები. შაჰი მეტად კმაყოფილი დარჩა და გიორგის ურიცხვი საჩუქარი და პატივი მიაგო. გიორგის ქართველთა რაზმის გარდა თან ახლდა სპარსელთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელთა მეთაურები შურით შეპყრობდნენ მის წარმატებებს [6, 115].

კარგა ხნის შემდეგ ისევ განდგა ავღანთა ქვეყანა, არ ინებეს მეფის სამსახური. გიორგიმ თავისი ძმისწული იესე ლევანის ძე ქართველთა რაზმით გაგზავნა ამბოხებულთა დასასჯელად. ქართველებმა გაანადგურეს ამბოხებულები და გამარჯვებული მიბრუნდნენ.

სპარსელი ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ გიორგის ნიჭსა და ვაჟკაცობას, მაგრამ ამასთან ხაზს უსვამდნენ მის განსაკუთრებულ სისასტიკეს ადგილობრივი ღილზაების მიმართ. აბას ფარვიზი წერს, რომ გიორგინ ხანი მუდამ ძალის გამოყენებას არჩევდა. იგი ყანდაარის მცხოვრებლებს ცუდად ექცეოდა, ლაშქარს მათი ძარცვა უბრძანა.

გიორგინ ხანისაგან შევიწროებულმა რაისებმა შაჰთან იჩივეს, მაგრამ შაჰს უყვარდა იგი და საჩივარს ყური არ ათხოვა. გიორგინ ხანმა კიდევ უფრო მოუმატა ძალადობას, მრავალი ავღანი დიდებული დააპატიმრა და ამოხოცა.

ავღანეთში გიორგი მეფის ყველაზე ენერგიული მოწინააღმდეგე იყო ყანდაარის მმართველი მირ ვეისი, რომელიც ავღანელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური გახდა. როცა ქართველთა სამხედრო წარმატება დაინახა, მან ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა და გიორგის თავი დაუკრა. მაგრამ გიორგი მალე მიხვდა, რომ ყანდაარში მისი ყველაზე საშიში მეტოქე მირ ვეისი იყო. მირ ვეისის ერთგულების გამოსაცდელად გიორგი XI-მ იგი დამსჯელი ექსპედიციით გაგზავნა ერთი ურჩი ტომის დასასჯელად. მირ ვეისმა დავალება ჩინებულად შეასრულა, გაიმარჯვა და აჯანყების მეთაური მხარშეკრული მიჰგვარა გიორგის. გიორგი მაინც ეჭვით უყურებდა მირ ვეისს. მირ ვეისმა ხალხში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რაც გიორგის მეტად აშინებდა. გიორგიმ იგი ყანდაარს მოაშორა და ისპაანში გაისტუმრა.

თავდაპირველად მირ ვეისმა ვერ შეძლო შაჰამდე მიღწევა. ამირებთან გიორგი მეფეზე ჩიოდა, მაგრამ რამდენადაც ირანის კარის მოხელეთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მირ ვეისის სიტყვებს ანგარიშს არ უწევდნენ. ამის შემდეგ ის ირანში მიბრუნდა.

მირ ვეისს ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო არეული დახვდა. სწორედ ამ დროს რუსეთიდან ირანში დესპანად ჩამოვიდა ისრაელ ორი-სომხეთის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა გიორგი მეფესთან. მირ ვეისს მიეცა საშუალება, გიორგის წინააღმდეგ განეწყოს შაჰი. მან შაჰი დაარწმუნა, რომ რუსეთის მეფეს საქართველოსა და სომხეთის შეერთება სურდა და გიორგინ ხანი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად აღიარებს ისლამს, ამ საქმეში რუსეთის მოკავშირეა და იგი ავღანეთს ირანის შაჰის წინააღმდეგ აქეზებს. მირ ვეისმა შაჰს გონება მოუწამლა.

ამ შემთხვევაში მირ ვეისის მიერ გიორგი მეფისადმი წაყენებული „ბრალდება“, რა თქმა უნდა, სამართლიანი იყო. შაჰმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება გიორგისადმი და მირ ვეისი პატივით დააბრუნა ყანდაარში ქალანთარის თანამდებობაზე.

გიორგი მეფე მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ბოღმას გულში იკლავდა, აშკარად მირ ვეისის წინააღმდეგ ვერ მოქმედებდა. თავის მხრივ, მირ ვეისი კიდევ უფრო ფრთხილობდა, რომ არ გამჟღავნებულყო მისი მტრობა გიორგისადმი. იგი ნელ-ნელა ამზადებდა ნიადაგს გიორგის მოსაშორებლად.

როცა გიორგი მიხვდა, რომ მირ ვეისის დასჯას აშკარად ვერ შეძლებდა, ხერხს მიმართა, მასთან დანათესავება განიზრახა, მისი ქალიშვილის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. მირ ვეისმა კარგად გამოიყენა ეს წინადადება. მან გიორგი ნადიმზე მიიპატიჟა. მანამდე კი ერთ-ერთ ავღანელთა ტომის ბელადს შეუთანხმდა, რომ აჯანყებულიყვნენ. გიორგიმ აჯანყებულთა დასასჯელად გაგზავნა ქართველთა რაზმი ალექსანდრე ბატონიშვილის (გიორგის ძმა) ხელმძღვანელობით. ამით ისარგებლა მირ ვეისმა და ქართველთა მცირე რაზმით დარჩენილი გიორგი მიიწვია ნადიმზე, სადაც იგი და მთელი ამაღა ამოხოცეს. ამავე ღამეს მირ ვეისმა და მისმა ქვეშევრდომებმა სასწრაფოდ გადაიცივეს დახოცილ ქართველთა ტანსაცმელი და ყანდაარის ციხეს მიადგნენ. ციხის მცველებს ეგონათ, მეფე გიორგი მობრუნდაო სტუმრობიდან და ციხის კარები გაუღეს. მირ ვეისი თავისი რაზმით ასე შევიდა მოტყუებით ციხეში და ქართველთა დიდი ნაწილი აქაც ამოხოცეს [6, 120].

ეს ტრაგედია მოხდა 1709 წლის 21 აპრილს, დიდ ხუთშაბათს. მირ ვეისმა ქართველთა მეფეს ახსნა მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი, რომელსაც მაჰმადიანობას გარეგნულად ნაზიარები მეფე ყოველთვის თან ატარებდა და შაჰს გაუგზავნა, როგორც „საბუთი“ გიორგის ორგულობისა და გააგებინა – „გვრეთ გაცდუნებდათ მეფეო“.

ასე ტრაგიკულად აღესრულა ქართველი მეფე, რომლის ბოხოქარი მოღვაწეობა, სამწუხაროდ, ვერ აღმოჩნდა ბოლომდე წარმატებული თავისი ქვეყნის სამსახურში.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ნ., ჯამბურია გ., „საქართველოს ისტორია“, II ტომი, 2008.
2. დუმბაძე მ., „საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები)“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ IV ტომი, 1973 წ.
3. ეგნატაშვილი ბ., „ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი“, რედაქტორი სიმონ ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრება“, II ტომი, 1959.
4. კაჭარავა დ., „ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის II ნახევარში“ „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, II ნაწილი, 1998.
5. ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., „საქართველოს მეფეები“, 2000.
6. შენგელია ლ., „ქართველი ბაგრატიონები უკანასკნელ სეფიანთა კარზე“, „ქართული დიპლომატია წელიწდეული“, VII ტომი, 2000.
7. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98_XI

1924 წლის აჯანყება და სამეგრელო

სალომე გაგუა

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

1924 წლის აჯანყება საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელმაც გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესწავლისათვის ძალზე ფასეულია სოლომონ ზალდასტანიშვილის, ალექსანდრე სულხანიშვილის, სოლომონ გოგიბერიძის, შალვა ამირეჯიბისა და სხვათა მოგონებები. გამოცემულია 1924 წლის აჯანყების მეთაურთა სასამართლო პროცესის მასალები. ამ წყაროებში, მართალია, გვხვდება რიგი უზუსტობანი და სუბიექტური შეხედულებანი, მაგრამ ბოლო პერიოდში ხელმისაწვდომი გახდა ემიგრანტული პრესა, ასევე, საარქივო დოკუმენტები, რაც იძლევა ფაქტების შეჯერებისა და გაანალიზების მეტ შესაძლებლობას. საკითხის შესწავლაც ამ ფონზე უფრო წარმატებით მიმდინარეობს. შეგვიძლია დავასახელოთ მკვლევარების ნესტან კირთაძის, რევაზ გრძელიძის, ოთარ ჯანელიძის, გოგი ციციშვილის, თენგიზ ენდელაძისა და სხვ. ნაშრომები, რომლებშიც პრობლემის ისტორია ობიექტურადაა გაშუქებული. ჩვენთვის საინტერესო თემაზე რამდენიმე წლის წინ კიდევ ერთი დისერტაცია იქნა დაცული. მისი ავტორია ახალგაზრდა ისტორიკოსი ლევან ჯიქია.

წინამდებარე თემით ჩემი დაინტერესება განაპირობა სალექციო კურსმა საქართველოს ისტორიაში, რომელშიც ხსენებული საკითხის განზოგადებულ განხილვას ფართო ყურადღება დაეთმო. ჩემი ამ თემით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩემს სოფელში (მარტვილის რაიონ სოფელ აბედათში) 2012 წლის გაზაფხულზე გაიხსნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისათვის მიძღვნილი მემორიალი. გამიჩნდა სურვილი, უფრო კონკრეტულად გავცნობოდი მასალებს, თუ როგორ წარმართა აჯანყება ჩემს მშობლიურ კუთხეში - სამეგრელოში, გამერკვია, ვინ იღებდა

მასში მონაწილეობას, რამ განაპირობა აჯანყებულთა მარცხი და რა ბედი ეწიათ საბჭოთა რეჟიმთან იარაღით დაპირისპირებულ ადამიანებს.

დავიწყოთ თავიდან: როგორც ცნობილია, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავსმოხვეულ ომში დაამარცხა და დაიპყრო. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, თუმცა, ამის მიუხედავად, ანტისაბჭოთა განწყობა ქვეყანაში არ შენელებულა. ბოლშევიკური ოკუპაციიდან სამიოდე თვის შემდეგ სვანეთში აჯანყებამ იფეთქა, ცოტა ხანში აჯანყების დროშა ხევსურეთშიც აღიმართა, მაგრამ ორივე კუთხეში ხელისუფლებამ აღკვეთა გამოსვლები.

1922 წლის შუა ხანებისათვის ანტისაბჭოთა პარტიებმა მიაღწიეს შეთანხმებას – ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის კომიტეტი და ამავე წლის შემოდგომაზე შეიქმნა სამხედრო ცენტრი, რომლის უშუალო დანიშნულებას არა ლოკალური, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით აჯანყების მომზადება წარმოადგენდა.

საერთო-სახალხო აჯანყების დაწყების თარიღად დამკომმა თავდაპირველად ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების დრო, - 1924 წლის თებერვალი აირჩია. ამასთან, ემიგრირებულ მთავრობასთან აჯანყების საბოლოო თარიღის შესთანხმებლად ვასო ნოდია საფრანგეთში გაიგზავნა.

1924 წლის 6 აპრილს, პარიზში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად. ვ. ნოდია საქართველოში დაბრუნდა. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრები: ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე და სხვა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გარკვეულიყენენ არსებულ ვითრებაში და დახმარებოდნენ დამკომს აჯანყების მომზადებაში.

დამკომმა საყოველთაო გამოსვლის დღედ 17 აგვისტო განსაზღვრა, ხოლო აჯანყების მთავარსარდალად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაამტკიცა. აჯანყების თარიღის გადაწევა კიდევ ერთხელ გახდა საჭირო. ეს ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებამ გამოიწვია. ცნობილია, რომ ჯუღელმა ციხიდან წერილი მისწერა დამკომს, შეატყობინა, ხელისუფლებამ იცის აჯანყების სამზადისის შესახებო და ურჩია, თავი შეეკავებინათ გამოსვლისაგან.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა და მთავარსარდალმა რჩევა არ გაითვალისწინეს, შეცვალეს გამოსვლის დრო და დაადგინეს, დაეწყოთ აჯანყება 29 აგვისტოს.

აჯანყების გეგმით, გამოსვლა ყველა ქალაქსა და მაზრაში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ტონის მიმდგომი იქნებოდა თბილისი, რომლის აღება სხვადასხვა ძალებით შეესებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ შენაერთებსა და პოლკოვნიკ გ. ცაგურიას რაზმს ეკისრებოდა.¹

ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც აჯანყებისთვის პრაქტიკული მუშაობა 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად. დაინიშნენ რაიონების სამხედრო მეთაურები და მათი თანამშემწეები. საბრძოლო ერთეულებს შეადგენდნენ ხუთეულებად, ათეულებად და ასეულებად დაყოფილი მოსახლეობის ჯგუფები. გროვდებოდა იარაღი და ტყვია-წამალი, პარტიზანული რაზმები გადიოდნენ საველე წვრთნებს.

დამკომმა ადგილებზე სამხედრო შტაბის უკეთ ორგანიზებისა და რეგიონალური რწმუნებული კომიტეტის შესაქმნელად სამეგრელოში ეროვნულ-დემოკრატი აკაკი კალანდარიშვილი მიავლინა. კალანდარიშვილმა უფროს მმასთან, შალვასთან ერთად მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო ესვანჯიასთან დაკავშირება. სამხედრო შტაბში მის გარდა ასევე შედიოდნენ: ხარიტონ ლაშხია, აქვენტი შალამბერიძე და სპირიდონ სულუხია.²

ჩამოყალიბდა სამეგრელოს რეგიონალური სამხედრო შტაბი, რომლის შემადგენლობაში დამკომმა შეიყვანა: გენერალი თოფურია - მთავარ ხელმძღვანელად, პოლკოვნიკი კოდუა - შტაბის უფროსად, გენერალი ჯიჯიხია - ზურგის უფროსად, დავით მხეიძე - სამხედრო კავალერიის უფროსად³. სამხედრო შტაბს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში, ასევე ქალაქ ფოთში (ფოთი არცერთ მაზრას არ ეკუთვნოდა, ის ცალკე ქალაქს წარმოადგენდა) სამაზრო შტაბების ფორმირება დაევალა.

რეგიონის სამხედრო შტაბში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის შემდგომ (გენერალმა თოფურიამ და პოლკოვნიკმა ჯიჯიხიამ ბოლო მომენტში უარი თქვეს აჯანყებაში მონაწილეობაზე),

¹ ო. ჯანელიძე, ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 160.

² ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბ., 2012, გვ. 100.

³ ა. თოდუა, 1924 წლის აჯანყება სამეგრელოში <http://sovlab.ge/ka/blog/1924-wlis-ajanyeba-samegreloshi>

აჯანყების საერთო მეთაურად დაინიშნა დავით მხეიძე (მასვე უნდა ეხელმძღვანელა აჯანყებისათვის სენაკის მაზრაში), ზუგდიდის მაზრაში კი აჯანყებას ესტატე ლატარია ჩაუდგა სათავეში.¹

ძალზე საინტერესო ინფორმაციის შემცველია დავით მხეიძის მოხსენება აჯანყების თაობაზე, რომელიც მან 1925 წლის 15 თებერვალს პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს წარუდგინა. დ. მხეიძის სიტყვით: აჯანყებამდე დაახლოებით ხუთი დღით ადრე მას დაუკავშირდნენ დამკომის რწმუნებულები და გადასცეს, რომ საქართველოსთან ერთად აჯანყებას შეუერთდება აზერბაიჯანი და მთა (იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასია). რომ „ევროპიდან მიღებული გვაქვს 50 000 კაცის სრული შეიარაღება, რაც ოსმალეთში იმყოფება და საქართველოსკენ მოაქვთ. გადმოვლენ 1000-მდე მოხალისენი ევროპიდან, რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი უკვე მოსულია ბათუმში და სხვა.“²

დამკომის დავალებით თედო ესართიამ რეგიონში მოქმედ ყველა ძირითად რაზმს აჯანყების დაწყების ზუსტი თარიღი აცნობა. სენაკში აჯანყებულთა ძირითად ძალას წარმოადგენდა აქვე მოქმედი ორასკაციანი ორი შეიარაღებული რაზმი. ზუგდიდის მაზრაში დამკომის მთავარი დასაყრდენი ესტატე ლატარიას განკარგულებაში არსებული რაზმი იყო. შეიარაღებული შენაერთები იყვნენ ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის, აბაშის რაიონებშიც, თუმცა ისინი ადგილობრივ კომუნისტებს რიცხოვნობით მეტად ჩამორჩებოდნენ.

აჯანყებულთა პარალელურად ემზადებოდნენ კომუნისტებიც, მათ, ჩვეს მეშვეობით, უკვე გააჩნდათ ინფორმაცია მოსალოდნელი გამოსვლის თაობაზე.

აჯანყება დათქმულ დროზე ადრე, 28 აგვისტოს ღამით დაიწყო და არა ყველგან ერთდროულად, არამედ მხოლოდ ერთ ქალაქში - ჭიათურაში. ხელისუფლებამ მალევე შეძლო ჭიათურის გამოსვლის ლიკვიდაცია და მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, აჯანყება არ შეჩერებულა.

29 აგვისტოს ღამის პირველ საათზე ზუგდიდის მილიციის უფროსმა იოსებ ჯანაშიამ მიიღო ცნობა, რომ სენაკის მაზრაში უკვე დაიწყო გამოსვლები. ზუგდიდში აჯანყების ალი 29 აგვისტოს, გამთენიისას ავარდა. აჯანყებულთა შტაბი მაცხოვრის კარის გორაზე მდებარე ეკლესიაში იყო განლაგებული, რაც ცხადად მეტყველებს, რომ ეკლესია მხარს უჭერდა აჯანყების იდეას.

შეტევა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა. ბრძოლები მიმდინარეობდა საინფორმაციო პუნქტის შენობასთან, დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის საავადმყოფოსთან, ციხის მახლობლად. ადგილობრივმა მილიციამ ვერ გაუძლო აჯანყებულთა მასიურ შეტევებს. დაიწვა ინფორპუნქტის შენობა, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ადმსკომის შენობაში შენახული იარაღისა და ტყვია-წამლის მარაგი. შეტაკებისას დაიღუპა მილიციის უფროსის თანაშემწე გრიგოლ როგავა და წალენჯიხის ბიუროს უფროსი გოგია. დილით ზუგდიდის უდიდესი ნაწილი უკვე აჯანყებულთა ხელში იყო. მათ დაიწყეს პასუხისმგებელი კომუნისტების განიარაღება და დაპატიმრება. ჩამოაყალიბეს ქალაქის დროებითი მმართველობა.

30 აგვისტოს აჯანყებულებსა და მილიციელებს შორის შეტაკება მოხდა ზუგდიდის ციხის ტერიტორიაზე. შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად ორივე მხარემ დაკარგა რამდენიმე მებრძოლი, თუმცა გვიან ღამით ზუგდიდში სამურზაყანოდან გალის საოლქო კომიტეტის მდივნის ნიკოლოზ აქირთავას მეთაურობით კომუნისტების ახალი ძალები შემოვიდნენ. ისინი გამოცდილი მებრძოლები იყვნენ და რიცხოვნობადაც აღემატებოდნენ ამოხეზულებს. რაზმმა უკუაქცია მოწინააღმდეგე და მათ მიერ დაკავებული ყველა შენობა გაათავისუფლა.

40 მებრძოლის ამარა დარჩენილმა ესტატე ლატარიამ 30 აგვისტოს საღამოს ახალსენაკის მიმართულებით დაიხია, თუმცა სოფელ ცაიშთან კომუნისტების რაზმთან მარცხი განიცადა. რამდენიმე აჯანყებული, მათ შორის ესტატე ლატარია დააპატიმრეს, სხვები კი გაიფანტნენ.

აჯანყების გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ სამეგრელოსა და სვანეთის შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთი უნდა დაეკავებინათ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ რადიკალურ ზომებს მიმართა. ანაკლია-სოხუმში ზღვით რამდენიმე დესანტი გადმოსხეს, რომელიც შეიჭრა სამეგრელოში. მალე მათ თბილისიდან მოსული წითელი არმიის ნაწილებიც შეუერთდნენ.

ცხარე ბრძოლა გაიმართა აბაშის მისადგომებთან. აჯანყებულებმა შეაკავეს მოწინააღმდეგის მხრიდან დაძრული ჯავშნოსანი მატარებელი, მოკლეს მისი უფროსი და ათიოდე რუსი წითელარმიელი. აიღეს დაბა აბაშა და შეუტყეს სამტრედიის მიმართულებით. სძლიეს წითელარმიელთა შენაერთს, განაიარაღეს იგი, დაიკავეს ცხენისწყლის ხიდი და მიუახლოვდნენ სამტრედიას.

¹ იქვე.

² დავით მხეიძის მოხსენება 1924 წლის აჯანყების შესახებ სამეგრელოში, იხ. სპირიდონ კეცია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007, გვ.231.

აჯანყებულები, ბრძოლების პარალელურად, მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროკლამაციებსაც, შეახსენებდნენ ხალხს, როგორ დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველო, რომ უსამართლოდ წარსტაცა მას დამოუკიდებლობა და მოუწოდებდნენ აჯანყებაში მონაწილეობისაკენ. სამეგრელოში გავრცელებულ ერთ-ერთ ასეთ პროკლამაციაში აღნიშნული იყო: „მოქალაქეო! განვლო სამნახევარმა წელმა, წლებმა ტანჯვისამ, წამებისამ, რჩეულ პატრიოტთა სიკვდილით დასჯისამ, გადასახლებისამ, დამცირებისამ და შეურაცხყოფისა, ერის ნაოფლარის გაფლანგვისამ, მითვისებისამ. ამ პირობებში საქართველოს დარჩენა ნიშნავს _ საქართველოს დაღუპვას, ხოლო განთავისუფლება _ აღორძინებას. ამიტომ ქართველმა ერმა, მთიულეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, დაიწყო თავის განთავისუფლებისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა დილით, 29 აგვისტოს.

მოქალაქეო! ვისაც გინდათ ეროვნული თავისუფლება, ვისაც გინდათ პოლიტიკური თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლება, ვისაც გინდათ თქვენი ნაოფლარის პატრონი იყოთ _ იარაღს მოკიდეთ ხელი. ყველამ მიიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, ყველამ, ვისაც რითი შეგეძლება.

ამ ბრძოლაში ჩვენთანაა ევროპა და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ძირს საოკუპაციო მთავრობა! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!¹

მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი აჯანყებას ყველა რეგიონში სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლებს სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ. ზოგიერთ სოფელსა და ქალაქში ხანდაზმული ადამიანებიც კი ითხოვდნენ იარაღს, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში.²

დავით მხეიძე გადმოგვცემს ხალხის სულისკვეთებას აჯანყების დღეებში, აღნიშნავს, რომ მოსახლეობა ზემოთ, ეროვნული დროშებით იყო გამოფენილი, იგრძნობოდა „მებრძოლი სულის აღტკინება და იარაღის ასხმა ვისაც კი შეეძლო.“³

ხოზის რაიონში აჯანყებას სოციალ-დემოკრატი ბესარიონ ჯორჯიკია ხელმძღვანელობდა. მისმა მებრძოლებმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ხობი, შეტაკება მხოლოდ რამდენიმე სოფელში მოხდა. 31 აგვისტოს აჯანყებულთა მიმართულებით ფოთიდან მეზღვაურთა ასეული დაიძრა. აჯანყებულებმა ჯერ საზღვრის გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ ამის უაზრობას და პირველივე შეტაკებისას გაიფანტნენ.

გამოსვლა ჩხორწყუშიც 29 აგვისტოს, გამთენიისას დაიწყო. მთავარ რაზმს სპირიდონ შენგელია ხელმძღვანელობდა. აჯანყებულებმა ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ 30 აგვისტოს საღამომდე მოახერხეს. მათაც საბოლოოდ ვერ გაუძლეს მილიციელთა შემოტევას, გაიფანტნენ და წალენჯიხის გავლით სვანეთს შეაფარეს თავი.

აჯანყება წარუმატებელი გამოდგა წალენჯიხაშიც. ახალსენაკიდან უკანდახეული მებრძოლები სვანეთისაკენ დაიძრნენ. სოფელ ჭუბერში მათ დახვდათ სვანების 60-კაციანი რაზმი. მათ თავიდან ამბოხებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ აჯანყებამ ფაქტობრივად დამარცხებული იყო, ბრძოლაზე უარი განაცხადეს. აჯანყებულთა რაზმმა თავი ცხომარის ტყეს შეაფარა და საბოლოოდ დაიშალა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან აჯანყების ჩასახშობად სვანეთში ძალები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ ყარაჩაიდანაც გადმოიყვანეს და აჯანყებულები ალყაში მოექცნენ.

ამრიგად, აჯანყებულებმა სამეგრელოში მხოლოდ სამი დღით შეძლეს ძალაუფლების ხელში აღება, მეტი ვერ გაუძლეს კომუნისტების შემოტევას და საბოლოოდ დამარცხდნენ.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები აქტიურად განაგრძობდნენ აჯანყებაში მონაწილე პირთა ვინაობის დადგენას, დაპატიმრებას, გადასახლება-დახვრეტას. დავით მხეიძის ინფორმაციით, უშუალოდ ბრძოლებში აჯანყებულთა დანაკლისი დახოცილთა და დაჭრილთა სახით, არ აღემატებოდა 30 კაცს. მათ რიცხვში დაჭრილი იყო თვითონაც. საერთოდ, სამეგრელოში დახვრეტილთა რაოდენობას დ. მხეიძე 1000-ზე მეტი ადამიანი განსაზღვრავდა.⁴

მკვლევარ ლევან ჯიქიას გამოთვლით: სამეგრელოში აჯანყებაში მონაწილეობდა 8599 ადამიანი. აჯანყების დროს დაიღუპა 54, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებაში მონაწილეობისა თუ მასთან კავშირისათვის 200-ზე მეტი ადამიანი დახვრიტა.⁵

¹ ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბ., 2012, გვ. 149.

² იქვე, გვ. 5.

³ დავით მხეიძის მოხსენება 1924 წლის აჯანყების შესახებ სამეგრელოში, იხ. სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007, გვ. 232.

⁴ დავით მხეიძის მოხსენება 1924 წლის აჯანყების შესახებ სამეგრელოში, იხ. სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007, გვ. 233.

⁵ ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბ., 2012, გვ. 239.

საქართველო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში დაცული მონაცემების თანახმად, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის სასამართლო განაჩენით დაუხვრეტიათ ასეულობით ადამიანი, მათ შორის ზუგდიდში - 40, ფოთში - 8, ჩხოროწყეში - 17, სენაკის მაზრაში - 122. ათეულობით მეზობლი დაილუპა უშუალოდ აჯანყების მიმდინარეობისას.¹

ჩემი სოფლიდან (მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბედათი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 89 კაცმა. მათ შორის: პარმენ შელეგიამ, აკაკი შელეგიამ, ჭიჭიკო ანჯაფარიძემ, ილი ლომიამ, ალექსანდრე მიქავამ, ჯონდი მიქავამ, პარმენ ჩიქოვანმა, ანდრო ყურუამ, პეტრე ფაჩუაშვილმა და სხვებმა. დღესაც ახსოვთ ამ აჯანყების ისტორია ადგილობრივ მცხოვრებლებს (უხუცესებს). ერთ-ერთი მათგანის გადმოცემით, დასახელებული პიროვნებები აჯანყებას შეეწირნენ.² აჯანყებაში მონაწილე მიქავების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სოფელ აბედათში. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს დოკუმენტური მასალა.

დახვრეტებისა და დაპატიმრებების პარალელურად, მაზრებში ამოქმედდა „საკონფისკაციო კომისიები“, რომლებმაც ათეულობით მოქალაქეს ჩამოართვეს პირად საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ქონება.

ქვემოთ დამოწმებული მაქვს დოკუმენტური მასალა აჯანყებისა და მისი ჩახშობის შემდეგ სამეგრელოში რეპრესირებულთა სიების სახით, რომელიც დალაგებულია მაზრების მიხედვით:

საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1924 წ. სენაკის მაზრაში დახვრეტილთა სია:

- ნიკანდრო ათნასეს ძე ვაბილუა, 50 წლის, უპარტიო, ყოფილი პოლკოვნიკი, ყოფილი აზნაური (დახვრიტეს 3 სექტემბერს).
- პეტრე ანდროს ძე აბშილავა (დახვრიტეს 3 სექტემბერს).
- პორფირ თეოდორეს ძე ბოჭორიშვილი (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

ჩემი აზრით, 1924 წლის აჯანყების დამარცხებას ჰქონდა, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები: ორგანიზაციული თვალსაზრისით აჯანყება ვერ იყო მაღალ დონეზე მომზადებული; აჯანყების მონაწილეთაგან უმრავლესობას არ ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილეობის არანაირი გამოცდილება, აჯანყებულთა შეიარაღება დიდად ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგისას. როგორც თავის დროზე ნოე ჟორდანიას შენიშნავდა: აჯანყების „სიმძიმის ცენტრი შეიარაღებული გამოსვლიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში“.³ გამოსვლის ხელმძღვანელები მოსახლეობის გასამხნეველად და აჯანყებულებთან შეერთების მიზნით ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს აჯანყდა მთელი კავკასია და ევროპაც ჩვენს დასახმარებლად ირაზმებოდა. სამწუხაროდ, არც ერთი იყო მართალი. აჯანყებას არ ჰქონია მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე. დასავლეთის ქვეყნებმა ბედის ანაზარა მიატოვეს საქართველო.

1924 წლის აჯანყება საქართველოში მოკლებული იყო სოციალურ საფუძველს და იგი მთლიანად ეროვნული მოტივით იყო განპირობებული. ცნობილი ემიგრანტი მოღვაწის შალვა ამირეჯიბის სიტყვით, „აგვისტოს აჯანყებამ, მართალია ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, იგი დამარცხდა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“.⁴

აჯანყებას საბჭოური ისტორიოგრაფია „მენშევიკურ კონტრრევოლუციურ ავანტიურად“ მიიჩნევდა, რაც არასწორია. სინამდვილეში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო ქართველი ერის პასუხი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე და მიზნად ისახავდა წართმეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ლიტერატურა:

1. 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი: დოკუმენტები და მასალები (1925 წლის ივლისი-აგვისტო), თბ., 2012.
2. ბერიშვილი ტიერი, 1924 წლის ეროვნული აჯანყება საქართველოში, პარიზი-თბილისი, 2013.
3. ენდელაძე თენგიზ, ტრაგიკული 1924, თბ., 2004.
4. ზალდასტანიშვილი სოლომონ, 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
5. თოდუა არჩილი, 1924 წლის აჯანყება სამეგრელოში, <http://sovlab.ge/ka/blog/1924-wlis-ajanyeba-samegreloshi>
6. კირთაძე ნესტან, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
7. კედიასპირიძე, მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007.

¹ ა. თოდუა, 1924 წლის აჯანყება სამეგრელოში <http://sovlab.ge/ka/blog/1924-wlis-ajanyeba-samegreloshi>

² მთხრობელი ანზორ ზარქუა, 65 წლის, აბედათის საჯარო სკოლის დირექტორი

³ ნ. ჟორდანიას, რა მოხდა? პარიზი, 1925, გვ. 6.

⁴ ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბ., 2012, გვ. 24.

7. ციციშვილი გიორგი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო), თბ., 2004.
8. ჯანელიძე ოთარ, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
9. ჯიქია ლევან, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბ., 2011.

სოლომონ ლიონიძე - დიპლომატი

ინგა გალაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოღბორდი**, პროფესორი

სოლომონ ლიონიძე დიდი ქართველი მამულიშვილი და სახელმწიფო მოღვაწე, ამავე დროს, წარმატებული დიპლომატიც იყო. ქართლ-კახეთის სამეფოში მას ეკავა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობანი. თანამედროვეთა შორის ის ცნობილი იყო თავისი გამჭრიახი გონებით, ფართო განათლებითა და დიპლომატიური ნიჭით. როგორც დავით გიორგის ძე ბაგრატიონი სოლომონ ლიონიძეზე წერს: „იგი იყო ფრიად განსწავლული და გონიერ, ვითარცა ქართულისა აგრეთვე რუსულისაცა და გამოცდილ ფრიად საქმეთა შინა დროსა ირაკლი მეფისასა.“ [4; 507]

სოლომონ ლიონიძე დაიბადა კახეთის სოფელ კონდოლში. იგი კახელი ლიონიძეების შთამომავალი იყო. განათლება ს. ლიონიძემ ჯერ თელავის სამეფო კარის სკოლაში მიიღო, ხოლო შემდეგ თელავის სასულიერო სემინარიაში. მან შეისწავლა სომხური, სპარსული, თურქული, რუსული ენები (არსებობს ცნობა, რომ მან იცოდა ებრაული და კლასიკური ენებიც). იგი კარგად იცნობდა საბერძნეთ-რომის ისტორიას, ფილოსოფიას, საპოლიტიკო მეცნიერებას, ღვთისმეტყველებას [2; 844-859]. მისი მასწავლებლები ყოფილან დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოანე ღვთისმეტყველი, ფრანგი კათოლიკე პატრები და სხვ. [4; 509] 1778-1780 წწ. ლიონიძემ სახელმწიფო კარის მსაჯულობასა და ვიცე-კანცლერობას მიაღწია. 1779 წელს ერეკლე მეორეს მისთვის თავადობა უბოძებია, ასევე სამხედრო დამსახურებისთვის მეფისგან მიიღო პატივის სიგელი „ღერბი ვაჟკაცობისა-ღერკულეს აღჭურვილი ლახტითა და შემოხვეული ლომის ტყავითა და სათავადოთა გვირგვინითა“ [1; 380-381].

სოლომონს ებარა სამდივნო ბეჭედი, რომლითაც ამოწმებდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო თუ კერძო დოკუმენტებს. იგი მტკიცედ უჭერდა მხარს ერეკლეს კურსს და მასთან ერთად ცდილობდა, ქვეყანაში აღეკვეთა უწესრიგობა და ქაოსი, მონაწილეობდა სისხლის სამართლის კანონების შესწორებასა და უფრო ჰუმანური სასჯელების შემოღების პრაქტიკულ განხორციელებაში [4; 510].

სოლომონ ლიონიძის უშუალო მონაწილეობით განხორციელდა მრავალი დიპლომატიური მოლაპარაკება. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „ყველა საერთაშორისო თუ საშინაო აქტი, 1783 წლიდან მოკიდებული, ვიდრე 1804 წლამდე, ერთ წერტილში სცემს და ერთი პირის ნახელავი ჩანს. ყველა ეს მიზნად ისახავს ერთ რასმე: ქრისტიანული რუსეთის მფარველობის ქვეშ ძლიერი საქართველოს შექმნა... ესაა სოლომონის პროგრამა და გასაგებია, მისი პოლიტიკური სახე ბარათაშვილს რომ ჰყავს გაცოცხლებული.“ ს. ლიონიძემ თავისი მრწამსითა და იდეებით გაუსწრო თავის ეპოქას. მას ღრმად სწამდა, რომ ერის გადარჩენის პირობა და პოტენცია თვით ერის შინაგან ენერგიაში იყო განსხვავებული, რომ მაჰმადიანური გარემოცვისაგან თავდახსნა „ახალ ცასა და ახალ ქვეყანასთან ზიარება“ საქართველოს შინაგანი გაერთიანებული ძალებით შეიძლებოდა. სოლომონს მიაჩნდა, რომ იმ ისტორიულ ეტაპზე საქართველოს რუსეთის მფარველობა და დახმარება ესაჭიროებოდა, თუმცა ეს მომენტიც მას დროებით მოვლენად მიაჩნდა.

სოლომონ ლიონიძე 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ცხოვრებაში მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. „მე საქართველოს უმაღლესი კარისა მონა ვყოფილვარ და ვიქნები. საქართველოს რუსეთთან ტრაქტატით შეერთებაში მე ვიყავ მოქმედი... ეს ტრაქტატი მთელს საიმერეთოსაც მე გარდავუწვდინე“- სწერდა იგი 1801 წელს გენერალ-ლეიტენანტ კრორინგს [4; 511]. სოლომონს საქართველო აღელვებულ და ადუღებულ ზღვაში მოხვედრილ კაცს აგონებს, რომელიც „ნავში ზის ,“ მენავეც გაეცალა, ნიჩაბიც ხელიდან გაუვარდა და მარტო შემინებული ეჭიდება ზღვის ღელვას და აქეთ-იქით ეხეთქება“... შემდეგ

განმარტავს იგი: „ მცირე ნავი ხომ მწარედ, მუდამ მტრისაგან შეწუხებული ჩვენი ქვეყანა არის, კაცნი, მუდამ მწუხარებით ავსილნი და საწყალობელნი ხომ ჩვენა ვართ, მენავე ხომ ჩვენი სასოება ღვთისმშობელი არის, ნიჩაბი და საჭე, ღვთის ვედრება და მოქმედება.”

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო ხელშეკრულება ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს მფარველობაში უფრო სუსტი სახელმწიფოს შესვლის შესახებ. ლიონიდის აზრით, უნდა შენარჩუნებულიყო ფორმულა: „მფლობელი-მოთავე“ (რუსეთი) – „მფლობელი-მომხრე“ (საქართველო). ამ აქტით, სოლომონს მიაჩნდა, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიისაგან უნდა მიეღო ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების იურიდიული გარანტია და უზრუნველყო ქვეყნის უშიშროება გარეშე მტრების შემოსევებისაგან.

იგი აცნობიერებდა, რომ ტრაქტატის პირობები ყოველდღიურად ირღვეოდა, იგი თანდათან ვარატიანა ქაღალდად იქცეოდა. ლიონიდეს რუსეთის მფარველობაში შესვლა, თურქეთისა და ირანის ბატონობისაგან „გამოხსნის“ ხელსაყრელ დროებით ღონისძიებად მიაჩნდა. მომავალში კი რუსეთის ან სხვა ქვეყნის მფარველობაში დარჩენა საქართველოსთვის საზიანოდ მიაჩნდა, პოლიტიკური თუ ეროვნულ-ეთნიკური თვალსაზრისით. სოლომონ ლიონიდეს ეკუთვნის სიტყვები: „ერი დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა არის მარადის დამდაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე არის მონა და მონამზაკვარი, დაცინებული, მასხრად აგდებული ვითარცა დამკარგველი საკუთარი თავისა და ღირსებისა“ [4; 513-514].

1790 წლის ივნისში სოლომონის უშუალო ინიციატივით შედგა მეფე-მთავართა სამოკავშირეო „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“. ამ დოკუმენტით საქართველოს მეფე-მთავრები სამხედრო კავშირს ამყარებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოსთან და უერთდებოდნენ 1783 წლის ტრაქტატს. აღიარებული იყო მეფე ერეკლეს უზენაესი როლი ქვეყნის მართვა-გამგეობასა და რუსეთთან ურთიერთობაში. ეს დოკუმენტი იმ დროისათვის საქართველოს ეროვნული ერთობის უმაღლესი გამოხატულება იყო-ერთობა ერთ, მიწა-წყლით, სისხლით, სარწმუნოებით და ურთიერთსიყვარულით [4; 515]. ასეთი იყო ამ ტრაქტატის პათოსი. ტრაქტატის მნიშვნელობას ლიონიდე იმაშიც ხედავდა, რომ რუსეთის ყურადღების საგანი არა დაუძღვრებული, არამედ პოლიტიკურად გაძლიერებული საქართველო გამხდარიყო. რუსეთს კი ერთიანი და ძლიერი საქართველოს ნაცვლად პოლიტიკურად დაგრდომილი და დაქუცმაცებული ქვეყანა აინტერესებდა თავის მოკავშირედ. რუსეთის აგენტურამ კარგად იმუშავა, როცა ცალ-ცალკე მოაქცია საქართველოს ნაწილები თავის მფლობელობაში. სოლომონ ლიონიდემ და ერეკლე მეორემ ეკატერინე მეორისადმი გადასაცემ ტრაქტატის ტექსტს თან გააყოლეს პოლიტიკური განაცხადი, რომელშიც რუსეთს დახმარებას და მფარველობას სთხოვდნენ, თუმცა რუსეთს არ აინტერესებდა ერთიანი და ძლიერი საქართველო, ლიონიდის დიპლომატიასაც მიუღებლად თვლიდა. ს. ლიონიდე ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებდა საგარეო ორიენტაციის განსასაზღვრად, მაგრამ ამ გზას საქართველო მაინც დამპყრობელი რუსეთისაკენ მიჰყავდა. ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ სოლომონი პეტერბურგში წარუდგა პავლე I-ს. ნიჭიერი პოლიტიკოსი, მაგრამ ნახევრად სასოწარკვეთილი მამულიშვილი მოქნილი დიპლომატიით და მჭევრმეტყველებით მიმართავს რუსეთის ახალ იმპერატორს, რათა რაღაც მაინც დასტყუოს თავისი ქვეყნის გადასარჩენად.

საქართველოს მძიმე მდგომარეობამ ქვეყნის შიგნით რეაქციულ ძალებს ხელ-ფეხი გაუხსნა. ოპოზიციამ 1795 წელს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. წარჩინებული კარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შუღლით, შემდეგ, „ამკარა შურითა და მტრობით“ აღინიშნა. უთანხმოება სოლომონსა და ერეკლეს შორის 1796 წელს ჩამოვარდა, რასაც მათი გათიშვა და სოლომონის სახელმწიფო საქმეებიდან ჩამოშორება მოჰყვა. სოლომონ ლიონიდემ თავისი უფლებები გიორგი XII-ის დროს აღიდგინა. ამ წლებში სოლომონი კიდევ უფრო დაუახლოვდა დავით ბატონიშვილს, რომელსაც იგი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ მიიჩნევდა. გიორგი XII 1800 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. ამასობაში რუსეთის იმპერატორი პავლე არ ასრულებდა დაპირებას დავით ბაგრატიონის გამეფების შესახებ. იმის სურვილით, რომ საქართველოს შენარჩუნებინა საკუთარი სამეფო ტახტი და თვითმმართველობა, სოლომონი დაუახლოვდა დავით ბატონიშვილს, მაგრამ დავითი ამ დროს ხელფეხშეკრული იყო, პეტერბურგიდან ელოდა მეფედ დამტკიცების უმაღლეს ბრძანებას და თავს მეფედ არ აცხადებდა. ს. ლიონიდე კი დავითს დაჟინებით ურჩევდა, არ დალოდებოდა რუსეთიდან გამოგზავნილ უზენაეს რესკრიპტს და თავი მეფედ გამოეცხადებინა. სოლომონ ლიონიდის საქმიანობა თბილისში ხელს უშლიდა რუსეთის მთავრობის მზაკვრულ გეგმებს საქართველოში. ამიტომ იყო, რომ გენერალმა ლაზარევმა 1801 წლის 19 იანვარს დაპატიმრა იგი. არსებობს ცნობა, რომ ლიონიდის დაპატიმრების მიზეზი ისიც იყო, რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა გარსევან ჭავჭავაძეს, მის მეუღლეს მარიამ ავალიშვილს, ეგნატე თუმანიშვილს და სხვებს ქართლ-კახეთის „გაყიდვისა“ და რუსეთთან მომხრეობის გამო [4; 522].

პატიმრობაში მყოფი ლიონიძე მაინც ახერხებდა და მოქმედებდა ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნებისთვის. დავით ბაგრატიონის შუამდგომლობით სოლომონი გაათავისუფლეს და იგი ფარულად გადავიდა იმერეთის სამეფო კარზე, სოლომონ მეორის სამსახურში. მას იმერეთის მდივანბეგობა, მოგვიანებით კი – სახლთუხუცესობა უბოძეს. სოლომონ მეფე არაფერს წყვეტდა ლიონიძესთან თათბირის გარეშე. რუსი მოხელეები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ იგი მეფისგან. მისი მოსყიდვაც კი სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ იმერთა მეფე და ლიონიძე დააფიქრა. ცხადი იყო, რომ იმერეთის სამეფოსაც აღმოსავლეთ საქართველოს ბედი უნდა გაეზიარებინა. ლიონიძეს ხშირად უხდებოდა დიპლომატიური და პოლიტიკური ხერხებით ბრძოლა რუსი მოხელეებისა და ზოგიერთი ურწმუნო ქართველის წინააღმდეგ იმის თაობაზე, რომ საქართველო ავტონომიის შენარჩუნებით უნდა შესულიყო რუსეთის მფარველობაში, ამავე დროს სოლომონმა კარგად იცოდა, რომ რუსეთი ამაზე არ წავიდოდა, მას აღარ აწყობდა 1783 წლის ტრაქტატის ენით დიპლომატიური საუბარი. როცა რუსეთის პოლიტიკოს-მოხელეები „რუსთა ხელმწიფის სათნოებასა და უანგარობაზე“ ლაპარაკობდნენ, სინამდვილეში ცრუობდნენ, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სოლომონ ლიონიძის პასუხი, რომლითაც იგი ლაკონურად ახასიათებდა რუსეთის იმპერიულ ზრახვებს მცირერიცხოვანი ხალხების მიმართ: „რუსეთის ხელმწიფე ყველგან სპობს მცირე ხალხების სამეფოებს და თვითონვე ითვისებს მათ, ისე როგორც ეს ჩაიდინა მან პოლონეთში, ფინეთში, ყირიმში და ქართლ-კახეთში. ამასვე უნდა მოველოდეთ მისგან იმერეთში და მთელ დასავლეთ საქართველოში. მართებულად აღნიშნავენ მკვლევრები, რომ „ლიონიძის მოქნილი დიპლომატიური ტალანტი ემყარებოდა მოწინააღმდეგის საიდუმლო განზრახვათა გამოცნობის მეტად ორიგინალურ ხერხებს.“ ამის ნათელი მაგალითია XIX საუკუნის პირველი ათწლეული, როცა სოლომონი ოსტატურად ახერხებდა რუსი მოხელეების თითქმის ყველა საიდუმლო ხრიკისა და განზრახვათა გამოცნობას. ერთ დროს „მადლიერი“ და „მოსიყვარული“ ციციანოვი ცოფებს ყრიდა, ლიონიძეს „ხუთი მეფის მოღალატეს“ უწოდებდა [3; 844-859].

XIX საუკუნის დასაწყისში სოლომონ მეორე მთელი დასავლეთ საქართველოს ხელმწიფის პრეტენზიით გამოდიოდა. მთავართა არსებობას იგი ვასალობა-მორჩილების პირობით ურიგდებოდა. შექმნილი გამაფრებელი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, როცა უკვე აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოსპო რუსეთმა, სოლომონ ლიონიძე რუს დიპლომატებს და პოლიტიკოსებს არაერთგზის შეახსენებდა: „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე საქართველოს და იმერეთისა იყო, მასვე ეკუთვნოდა ფოთი და სამეგრელო.“ იმერეთის მეფე კი ქვეყნის გაერთიანებისა და ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა, ხოლო მეორე მხრივ, მთავრები მეფისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. ამავე დროს, იმერეთის მეფეცა და ს. ლიონიძეც გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ დიდ სახელმწიფოებს შორის მოსალოდნელ განხეთქილებაზე. მათ შორის ომი იძულებულს გახდიდა რუსეთს, თავი შეეკავებინა იმერეთის მიმართ ისეთივე აქტისაგან, როგორც მოხდა ქართლ-კახეთში. იმერეთის მეფის მიერ თბილისში მივლენილ ლიონიძეს დავალებული ჰქონდა იქ შექმნილი ვითარების დაზვერვა და კავშირის დამყარება სოლომონის მომხრეებთან. ამავე დროს ლიონიძემ საქართველოს მთავარსარდლობის წინაშე დასვა საკითხი იმერეთის რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ. მან კარგად იცოდა, რომ ეს საკითხი ასე ადვილად ვერ გადაწყდებოდა, მან ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერია ამ დროს ფარულად ამზადებდა სამეგრელოს შესვლას თავის მფარველობაში. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გააუქმა, დადიანს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, რომ იმერეთის მეფე, თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკით, რუსეთისათვის მიუღებელი იქნებოდა, ხოლო თვითონ იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლით რუსეთის ერთგულ კაცად გამოდიოდა და წარმოადგენდა მისი ხელისუფლების დამხმარე ძალას. 1803 წელს რუსეთმა თავის მფარველობაში ავტონომიის უფლებით აიყვანა სამეგრელო [4; 530], სამეგრელოს შეყვანა ნიშნავდა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას ცალკეულ ნაწილებად და თითოეული მათგანის დაპირისპირებას იმერეთის სამეფოსთან. ლიონიძემ პირველმა ამხილა ცარიზმის ნამდვილი ზრახვები დასავლეთ საქართველოს სამთავროთა ყალბი ავტონომიისა და თვითმმართველობის შენარჩუნების შესახებ. ეს იყო კონფლიქტი და ელოდა ხელსაყრელ დროს, როცა მთავართა ცალკეულ ავტონომიას უცერემონიოდ დაასამარებდა. ასეც მოხდა 40-50-იან წლებში, როცა რუსეთი „ავტონომიურ“ სამთავროებს უშუალოდ იპყრობდა და თან ცინიკურად აცხადებდა „ყოველ დროს თავისი აუცილებელი მოთხოვნილებანი გააჩნია, რომელთა წინაშე თავდაპირველი ხელშეკრულებანი და დაპირებანი ძალას კარგავენ... სამეგრელოსთვის ეს დრო უკვე დადგა. “ სოლომონ ლიონიძის თქმით, ასე „გააქრო“ რუსეთმა მომავალი ქართული „ავტონომიები“... [4; 528]

დადიანის დამორჩილების შემდეგ, სოლომონ ლიონიძის წინადადებაზე - იმერეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, იმპერიის პოლიტიკოსები „დიპლომატიური უარით“ პასუხობდნენ.

ისინი იმერეთის მეფისა და ლიონიძისაგან ისეთივე უყოყმანო მორჩილებას მოითხოვდნენ, როგორც დადიანმა იკისრა.

ლიონიძემ პეტერბურგში რუსეთის მთავრობას წარუდგინა ფართო „გეგმა - პუნქტები“, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატის მოწინავე ნაწილის განზრახვას, რუსეთის დახმარებითა და მფარველობით ისეთი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელიც საკუთარ ინტერესებსაც დაიცავდა და ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის განხორციელებასაც შეძლებდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის სახელმწიფო საბოლოოდ იყო დამდგარი ამიერკავკასიის სრული დაპყრობის, მისი სამხედრო ოკუპაციის გზაზე [2; 844-859].

ლიონიძეს განუცხადეს, რომ იმერეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანის საკითხი დაევალა ციციანოვს და ელჩს ებრძანა, „დაეტოვებინა პეტერბურგი.“ რუსეთის კანცლერი ამავე დროს მიმართავდა ციციანოვს, რომ ლიონიძე თბილისში დაეკავებინათ და არ გაეშვათ მანამდე, სანამ იმერეთის დაპყრობა არ დასრულდებოდა.. თბილისში ჩამოსულ ლიონიძეს და სოლომონ მეფეს ებრძანა რუსეთის მფარველობაში კი არა, პირდაპირ ქვეშევრდომობაში შესვლა. ეს იყო ადრინდელი პოლიტიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება. იმერთა მეფე იძულებული შეიქნა, რუსეთთან გაეფორმებინა არაფრისმთქმელი და ფაქტობრივად უპერსპექტივო ხელშეკრულება 1804 წლის 25 აპრილს. ს. ლიონიძის ცდა, შეკვროდა რუსეთს თავისთვის ხელსაყრელ პირობებში, სრული მარცხით დამთავრდა. 1810 წელს მოხდა იმერეთის ანექსია რუსეთის მიერ, სამთავროების „მფარველობა-ავტონომიის“ სტატუსით შემოერთება [6].

იმერეთის მეფის – სოლომონის შეპყრობისა და თურქეთში გადახვეწის შემდეგ ლიონიძე ახალციხეში გადავიდა და როცა დარწმუნდა, რომ იმერეთში სამეფო ხელისუფლება საბოლოოდ დაემხო, საქართველოში დაბრუნებისა და რუსთა სამსახურის სურვილს არ ამჟღავნებდა. 1811 წლის 11 აპრილს მთავარმართებელი გენერალ ორბელიანს სწერდა: „უმჯობესია ასეთი ავანაკი და ავკაცი გყავდეს ხელში, ვიდრე იყოს პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან.“ ასე უნდოდათ რუს მოხელეებს-მოფერებითა და დაყვავებით ბაგრატიონებთან ერთად კიდევ ერთი ქართველი გაეყენებინათ პეტერბურგის გზას, მაგრამ ლიონიძის ურყევმა პატრიოტულმა ნებამ ერთიანად დაჩრდილა და დაამარცხა გადამთიელთა ყალბი დაპირებანი და ყველაფერი ანაცვალა თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას [6].

ამდენად, სოლომონ ლიონიძე თავისი ეპოქის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე იყო. როცა პატარა საქართველო დიდ აგრესიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგობების სახიფათო კვანძში მოექცა, ლიონიძემ კვლავ გააცოცხლა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური მხარდაჭერით ამიერკავკასიაში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის ძველი გეგმა. მართალია, ლიონიძე დამოუკიდებელი საქართველოსათვის თავდადებული მებრძოლი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ ქვეყანას რუსეთის მფარველობა და დახმარება ესაჭიროებოდა. მან ყველაზე ადრე დაინახა, რომ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის ნასახივ არ დაუტოვა. მან პირველმა გამოიტანა უტყუარი დასკვნა 1801 წლის აქტზე და იმის თაობაზე, რომ რუსეთი ვერ შეურიგდებოდა იმერეთში მეფის ხელისუფლების არსებობას; ამის მიუხედავად, ლიონიძეს თავისი პოლიტიკური კურსი არ მიუმართავს ირან-ოსმალეთის ძალებზე ორიენტაციისკენ, რადგან მან კარგად იცოდა ამ სახელმწიფოთა უძლურება და ჩამორჩენილობა.

ასეთი იყო სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მრწამსი და მისწრაფებანი. ლიონიძე დამარცხდა ისტორიის უხეში ძალების წინაშე, მაგრამ არა მორალურად. მან გაუსწრო თავის ეპოქას, რადგან თავისი დროის ყველაზე პროგრესულ ტენდენციათა გამომხატველი იყო და ამიტომაც მისი პოლიტიკური იდეალი მომავალ თაობათა პროგრამის განუყოფელ ნაწილად იქცა. სოლომონ ლიონიძე 1811 წელს ახალციხეში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. [7]

ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, სოლომონ ლიონიძე, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, 1968, გვ. 380-381.
2. მ. დუმბაძე, „იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის პოლიტიკა საქართველოში - საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, 1973, გვ. 844-859
3. გ. იობაშვილი, ქართულ სამეფო-სამთავროთა დიპლომატიური აქტიურობა საერთო-ქართულ სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად XVIII ს-ის მიწურულს. „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, II, თბილისი 1998.
4. გ. იობაშვილი, სოლომონ ლიონიძე, „ქართული დიპლომატია, წელიწდეული“ II, 1995.
5. გ. ქიქოძე, „ერეკლე მეორე“, რჩეული თხზულებანი, III, თბილისი, 1965.
6. http://ka.wikipedia.org/wiki/სოლომონ_ლიონიძე
7. <http://qim.ge/solomon%20lionidze.html>

საქართველოს მთიანეთის პრობლემები და მათი გადაჭრის აუცილებლობა

ნიკოლოზ გიორგიშვილი, რომანი წიკლაური

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: იოსებ ალიმბარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

იმ მთავარ პრობლემათაგან, რომელიც დღეისათვის საქართველოს წინაშე დგას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მთის რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაცია.

მისი სირთულე იმითაა განპირობებული, რომ იგი ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება და მხოლოდ რომელიმეს მოგვარება პრობლემას მთლიანობაში ვერ გადაწყვეტს.

სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის დემოგრაფიული ვითარების შესახებ გასულ საუკუნეებში თითქმის არ შემოგვრჩა.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ხელისუფლების მიერ ტარდებოდა აღწერები, მაგრამ იგი სამხედრო მიზანს ატარებდა, მხოლოდ მამაკაცებს ეხებოდა და სრულყოფილ სურათს ვერ იძლევა. მაგ., 1689 წლის ერეკლე -I- ის (ნაზარალი ხანის) მიერ ბოძებული ერთი საბუთიდან დასტურდება, რომ სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს ევალებოდა შვიდ წელიწადში ერთხელ აეწერა თავისი სადროშოს მოსახლეობა¹. ვახტანგ VI მიერ „დასტურლამალით“ დაკანონებული იყო მოსახლეობის პერიოდული აღწერა იმავე ოთხი სადროშოს მიხედვით². მაგრამ, თუ ხელისუფლება დაინტერესებული იყო, სამხედრო ძალის ზუსტი რაოდენობა გაერკვია, საპირისპირო ტენდენციას ამჟღავნებდნენ დიდებულები. ისინი ცდილობდნენ, ყმების რაოდენობა ნაკლები ეჩვენებინათ, რათა რამდენადმე შეემსუბუქებინათ სამეფო კარის წინაშე თავისი სამხედრო თუ მატერიალური ვალდებულებანი.

ჩვენამდე მოღწეული აღწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის 1770 წლის 5 აპრილის ნუსხა. აღნიშნული საბუთი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიახლოებით რაოდენობაზე. თუმცა, მთიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ვერც ეს აღწერა იძლევა რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას, რადგან თუშ-ფშავ-ხევსურები და მოხვევები დავთრებში არ შეჰყავდათ. მათ ისედაც ევალებოდათ იმიერკავკასიელი მთიელების თავდასხმების შეკავება³.

თუმცა, ფშავმა და ხევსურებმა თავისი ისტორიის განმავლობაში უამრავი მტრის თავდასხმა განიცადეს. მათ შორის „ლეკიანობა“, შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები კახეთში და სხვ. ისინი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველ მეფეთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში. ბახტრიონის აჯანყება, ასპინძის, კრწანისის ბრძოლები და სხვ.

XIX საუკუნიდან ამ ადგილებში თანდათანობით იშლება თემის ტრადიციული მმართველობა თუმცა ხევსურების ინსტიტუტი მთაში დღემდეა შემორჩენილი⁴.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ურბანიზაციის პროცესი მთელ მთიანეთის რეგიონში გაძლიერდა. ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის გამო მთიანი რაიონები მეურნეობის განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ბარის რაიონებს, მთაში წარმოიშვა ჭარბი მუშახელი. ასეთ ვითარებაში მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა მთის სოფლები, რამაც გამოიწვია არაერთი სოფლის გაუკაცრიელება.

სოფლიდან ქალაქად მიგრაცია ფეოდალურ ეპოქაში ძალზე სუსტი იყო, სამაგიეროდ, ურბანიზაციის პროცესმა ჩვენს დროში გლობალური ხასიათი მიიღო, რასაც თან მოჰყვა მოსახლეობის მასიური გადასახლება სოფლებიდან ქალაქებში. წინათ, როდესაც საქართველო უცხო ძალის შემოსევას განიცდიდა, პირიქით, ხშირი იყო ბარის რაიონებიდან მოსახლეობის მთაში თავშესაფრის შემთხვევები, მაგრამ მიგრაციის ეს ფორმა უფრო დროებით ხასიათს ატარებდა. ფეოდალური კარაკეტილობის პირობებში მთიდან ბარში ჩასახლებას საკმაოდ სუსტი ხასიათი ჰქონდა. XIX საუკუნეში ეს პროცესი უკვე დაჩქარდა, 1890-იან წლებში და XX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა მასიური ჩასახლება

¹ ს. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 47.

² დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 483-493.

³ ს. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, გვ. 55, 64.

⁴ სერგი მაკალათია, თუშეთი. გვ. 16-35; ფშავი. გვ. 19-41; ხევი. გვ. 17-20.

ფშავიდან და თუშეთიდან კახეთში, რამაც მთის რეგიონის მოსახლეობა მეტისმეტად შეათხელა. მიგრაცია ყველაზე მეტად მთიულეთმა, ფშავმა, ხევსურეთმა, ხევმა და თუშეთმა განიცადეს. სტატისტიკური მონაცემებით, 1886 წელს დასახლებულ 5 მთიან რეგიონში ცხოვრობდა 32 300 ადამიანი, ხოლო 1970 წელს აღნიშნულ რეგიონში სულ 18 300 სულიდა იყო დარჩენილი, ანუ 84 წლის განმავლობაში მოსახლეობა 43%-ით შემცირდა. 1886 წელს აღრიცხული 286 სოფლიდან 1940 წელს 78 სოფელი უკვე აღარ არსებობდა, ხოლო ბევრ სოფელში თითო-ოროლა კომლია შემორჩა¹. მაგ., ფასანაურის რაიონის სოფ. დოლასქედში დღეისათვის მხოლოდ 7-10 კომლი ცხოვრობს, ისინიც მხოლოდ ზაფხულობით ადიან მთაში, იგივე ვითარებაა მის მეზობელ სოფლებში: ვაშლოვში, ჯულისსა და ერეთში. მიგრაციამ სოფლების გაუკაცრიელებასთან ერთად მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც დაარღვია, კერძოდ, ძალზე შემცირდა იმ ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი, რომლებზეც ქორწინება და ბუნებრივი გამრავლება მოდიოდა. ამის შედეგად მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია და ზოგიერთ რაიონში დაიწყო დეპოპულაცია.

საუკუნეთა განმავლობაში საომარ მოქმედებათა და მუდმივი რბევის გამო გაუკაცრიელებულ ქართულ პროვინციებს გარედან მოსული უცხო მოსახლეობა იკავებდა, ფეოდალურ ეპოქაში ჩრდილოეთ კავკასიიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა ოსების ჩამოსახლება. იმიერკავკასიიდან გადმოსული ოსები ჯერ სამხრეთ კავკასიონის მაღალმთიან ხეობებში, ისტორიულ მაღრან-დვალეთში სახლდებოდნენ, შემდეგ - დიდი და პატარა ლიახვის ზემოწელში, ხოლო მოგვიანებით შიდა ქართლის დაბლობში ჩამოინაცვლეს და ნაწილობრივ კახეთისა და ქვემო ქართლის სხვა ადგილებშიც დამკვიდრდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრე მიგრაცია საკუთარი სურვილითა და ქართველ მეფე-დიდებულთა ინიციატივითაც ხდებოდა, XIX საუკუნიდან რუსულმა ხელისუფლებამ ოსების სამხრეთით მიგრაციას იძულებითი ხასიათიც მისცა.² სამაგიეროდ, პანკისის ხეობაში ადგილი ჰქონდა დიდოელების, ვეინახების, ჩეჩნების გადმოსახლების შემთხვევებს.

2002 წლის მონაცემებით, საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელებული იყო, ხოლო 152 სოფელში 10 და 10-ზე ნაკლები კომლი ცხოვრობდა. ამ სოფლების უმეტესობა მთაშია, ასევე უმძიმესი მდგომარეობაა საზღვრისპირა ზოლში, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. დღეისათვის, ფაქტიურად, გუდამაყარში მოსახლეობა აღარ არსებობს. ხოლო მთელ ხევსურეთში მხოლოდ 91 კომლია დარჩენილი. მთის დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად გამოსავალს გვთავაზობს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II: „კარგი იქნება, თუ ამ ადგილებში დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობას მოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდა და რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტიურად, ქუჩაში წასვლა უწევთ. შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლ-კარი და ღვთის ანაზარად დარჩნენ. ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაზე.“³

საქართველოს მთის რეგიონის მოსახლეობისგან დაცლაში გადამწყვეტი როლი ბოლშევიკურმა რეჟიმმა ითამაშა. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისში ხევსურეთში დაახლოებით 6 500 ადამიანი ცხოვრობდა. ბოლშევიკების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, 1950-იანი წლებისთვის ხევსურეთის მოსახლეობა ხელოვნურად განადგურდა ჯერ რეპრესიების, შემდეგ კი იძულებითი გადასახლების მეშვეობით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლებულთა ნაწილი დაბრუნდა მთაში, მაგრამ XX ს-ის 90-იანი წლებიდან ხევსურეთი კვლავ იცლება.

ამ პროცესს კონკრეტული მიზეზები აქვს, რომელთაც ქვემოთ მიმოვიხილავთ. ხევსურეთის და თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მათი მოსახლეობისგან დაცლა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, რადგან ეს რეგიონი მოიცავს კავკასიონის მთავარ ქედზე ორ უღელტეხილს, რომლებზეც სამანქანო გზები გადის. ამას ემატება ისიც, რომ ხევსურეთის ნაწილი და თუშეთი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს, ანუ ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ისინი ჩრდილო კავკასიას ეკუთვნიან. თუ გავითვალისწინებთ ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ დამაბულ ვითარებას, ძალიან მნიშვნელოვანია საიმედო კონტროლი საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთებზე. მოსახლეობისგან დაცლილ რეგიონებში სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, მესაზღვრეების მუშაობა უაღრესად გართულებული იქნება. შესაძლოა, დღეს ეს

¹ დავით ბატაშვილი, „საქართველოს მთის დაცარიელება - რატომ არის ეს ცუდი“, ჟურნ. „ტაბულა“, # 22, 6-12 სექტემბერი, 2010 წ.

² ვახტანგ ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს. გვ. 201-210.

³ საქართველოს პატრიარქის მიმართვა ხელისუფლებას - „მთის გაუკაცრიელებულის სოფლები“, „ამბიონი“, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი.

საკითხი ვინმეს ნაკლებად აქტუალურად მოეჩვენოს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის პრობლემების ფონზე, მაგრამ იგი აუცილებლად იჩენს თავს და კიდევ ერთ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სასაზღვრო ზოლის დაცვის თვალსაზრისით, კონტროლი ხვესურეთის და თუშეთის მთიან გადასასვლელზე საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ რეგიონების სრული დაცვარელების შემთხვევაში, მომავალში იქ ადამიანთა დასახლების ნულიდან დაწყება ძალზე გართულდება.¹

2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ქალაქად 2 387,0 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, სოფლად კი - 2 096,8 ათასი. დადგენილი არ არის გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა. თუ 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებს დავყვართ, მაშინ ქვეყანაში სულ 3 668 სოფელი იყო, საიდანაც 164 სოფელში არავინ ცხოვრობდა, ხოლო, 152 სოფელში - 1-დან - 10 კაცამდე, ისიც მათი დიდი უმრავლესობა ხანდაზმული ასაკის იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სოფლებში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც 2002 წლის აღწერის შედეგად 1-დან 10 კაცამდე ცხოვრობდა, შეიძლება დღეისათვის აღარავინ იყოს ცოცხალი. შესაბამისად, როგორც დემოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ავთანდილ სულაბერიძე აცხადებს, დღეს ისეთი სოფლების რაოდენობა, რომლებიც მთლიანად გაუკაცრიელებულია, შესაძლოა, 300-საც კი აჭარბებდეს. იმის გამო, რომ „ბოლო 12 წლის განმავლობაში აღწერა არ ჩატარებულა, კონკრეტული ციფრის დადგენა, თუ რამდენი სოფელია გაუკაცრიელებული, რთულია. ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეს მთლიანად გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 200-ს ბევრად გადააჭარბებს. პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ მთიდან წამოსული ადამიანები უკანასკნელ ოცწლეულში საქართველოს ქალაქებში კი არ მოდიან საცხოვრებლად, არამედ - საზღვარგარეთ. ანუ, საქმე გვაქვს არა შიდა, არამედ გარე მიგრაციასთან.²

მთის რეგიონის დაცლა სხვა პრობლემებსაც წარმოშობს:

ჯერ ერთი, დაცლილ ტერიტორიებზე იმიერკავკასიიდან გადმოდის და სახლდება უცხო მოსახლეობა. თუ რა პრობლემა შექმნა ამ ფაქტორმა შიდა ქართლში, უცხო არავისთვის არის;

მეორე - დემოგრაფიული კრიზისის ფონზე, ტრადიციულად, სწორედ მთაში მაცხოვრებელი ოჯახები გამოირჩევიან მრავალშვილიანობით, ამიტომ მათი ადგილზე დამაგრება მნიშვნელოვანია;

მესამე - გლობალიზაცია, როგორც ცნობილია, მცირე ერების კულტურულ მემკვიდრეობას სერიოზულ საფრთხეებს უქმნის. სწორედ მთაა ის რეგიონი, რომელიც ინარჩუნებს ენას, ტრადიციებს, თვითმყოფადობას და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთის რეგიონიდან მიგრაციის შეჩერება უპირველეს ღონისძიებად მიგვაჩნია, მაგრამ საამისოდ აუცილებელია:

1) მთის სოფლებში შეიქმნას ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც ახალგაზრდებს დააინტერესებს და უბიძგებს იქ დარჩენისაკენ. ამ მხრივ, საჭიროა ადგილზე მათი დასაქმება და მუდმივი შემოსავლის გაჩენა;

2) ჩვენი აზრით, მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მასტიმულირებელი არის განათლების სფეროში არსებული პრობლემები. ერთფეროვანი სასწავლო პროცესი, კვალიფიცირებული მასწავლებლების დეფიციტი, ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის არქონა, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ადგილზე ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით;

3) უნდა მოწესრიგდეს საკომუნიკაციო (სატელეფონო) სისტემა;

4) საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია სატრანსპორტო გზები, სოფლების უმეტესობა ზამთარში გარე სამყაროსგან არის მოწყვეტილი.

5) მნიშვნელოვანი პრობლემაა სამედიცინო პუნქტების არქონა და სხვ.

შესაძლოა, საქართველოს ბიუჯეტი არ იყოს საკმარისი აღნიშნული პრობლემის ერთბაშად გადასაჭრელად, მაგრამ, თუ ზემოთქმული პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ მოგვარება სახელმწიფომ დღესვე არ დაიწყო, სამომავლოდ მისი გადაჭრა, გვეონია, რომ უფრო გამწვანდება.

ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი სოსო, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008.
2. ბატაშვილი დავით, „საქართველოს მთის დაცვარელება - რატომ არის ეს ცუდი“, ჟურნ. „ტაბულა“, # 22, 6-12 სექტემბერი, 2010.

¹ დავით ბატაშვილი, „საქართველოს მთის დაცვარელება - რატომ არის ეს ცუდი“. , ჟურნ. „ტაბულა“, # 22, 6-12 სექტემბერი, 2010.

² ავთანდილ სულაბერიძე, „მთის გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა“, ინტერნეტ-საიტი: kakhnetinews.ge/.../gaukacrielebuli-soflebis-raodenoba-...

3. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970.
4. ილია II. მთის გაუკაცრიელებული სოფლები, „ამბიონი“, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ-ჟურნალი.
5. მაკალათია სერგი, მთიულეთი, ტფ., 1935.
6. მაკალათია სერგი, ხევსურეთი, ტფ., 1935.
7. მაკალათია სერგი, ხევი, ტფ., 1934.
8. სულაბერიძე ავთანდილ, მთის გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა, ინტერნეტ-საიტი: kakhnews.ge/.../gaukacriebuli-soflebis-raodenoba-...
9. ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს., თბ., 1984.

**გვიან ანტიკური და ქრისტიანული სამარხები და დაკრძალვის წესი შიდა ქართლში
(ძვ.წ. V- ახ.წ. V-სს-ში)**

ნანი დანიელოვი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიორგი მინდიაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

დაკრძალვის რიტუალი და მასთან დაკავშირებული საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული წრმენა-წარმოდგენები ძველი საზოგადოებრივი იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილია. მასში ასახულია ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური თავისებურებანი, შრომითი საქმიანობის სპეციფიკა, სოციალური სტრათიფიკაციის დონე, კულტურათა გენეტიკური კავშირები, საზოგადოებაში მომხდარი რთული დემოგრაფიული პროცესები და მრავალი სხვა. არქეოლოგიური კვლევის ობიექტია ამ ურთულესი მოვლენის ნივთიერი გამოხატულება – სამარხი ნაგებობანი, სამარხეული ინვენტარი, მიცვალებულის მდგომარეობა, მისი ორიენტაცია და სხვა. [3 გვ.]¹

საქართველოში მიცვალებულის კულტის ძლიერი ტრადიცია გრძელდება ანტიკურ ხანაშიც.

ძვ.წ. V-ახ.წ.-V-სს-ის საქართველოში გვხვდება:

- 1) ორმოსამარხები ძვ.წ. VI-ახ.წ. V-სს-ში;
- 2) ქვის სამარხები ძვ.წ. VI-ახ.წ. V-სს-ში;
- 3) ქვევრსამარხები-ძვ.წ. V-I-სს.ახ.წ. I-III-სს-ში;
- 4) კრამიტსამარხები- ძვ.წ. I-ახ.წ. III-სს-ში;
- 5) აგურითა და თიხის ფილებით ნაშენი სამარხები-ახ.წ. I-III-სს-ში;
- 6) ქვის სარკოფაგები – ახ.წ. I-III-სს, რომელიც შესაძლოა კიდევ ორ ტიპად გამოვყოთ:
 - ა) ქვის სარკოფაგები, რომელიც მთლიანკვეთილი სარკოფაგებია ცხედრის ჩასასვენებლად;
 - ბ) მავზოლეუმის ტიპის აკლდამები. [683 გვ.]²

ანტიკურ ხანაში, ისევე, როგორც წინა საფეხურზე, გაბატონებულია მიცვალებულის დაკრძალვა-ინჰუმაცია, მაგრამ ზოგიერთ თემში ჩონჩხის დაწვის წესიც არის დადგენილი (დადასტურებული). ამასთანავე, შენიშნულია, რომ ინჰუმაცია და კრემაცია თანაარსებობენ არა საზოგადოდ, არამედ ერთ სამაროვანზეც კი. ასეთებია **ბრილისა** და გვიანანტიკური სამაროვანი **წებელდაში**. ბრილის სამაროვანზე კრემაცია ადრეანტიკურ ხანის პირველ საფეხურზე შეიმჩნევა, შემდეგ მას ცვლის ინჰუმაცია-ქვის სამარხებში დაკრძალვა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკვე გვიანანტიკურ ხანაში დაკრძალვის წესი მთლიანად ინჰუმაციურია. [683- 684 გვ.]³

ვანში 1961 და 1969 წწ. გათხრილი სამარხები, გარკვეული პირობით, შეიძლება ორმოსამარხებათ მივიჩნიოთ, თირში ამოკვეთილი ადრეანტიკური ხანისათვის უჩვეულო ზომის ორმოში (3 x 3x 1,5) და მასში დაფენილ ჭილოფზე აღმოჩნდა მეფური დიდებით დაკრძალული ახალგაზრდა (დაახლოებით 25 წლის) ქალი. ორმო ხით ყოფილა გადახურული, ხოლო მის ზემოთ მიწისა და რიყის ქვის ზვინული-გორა აღუმართავთ; სამარხში აღმოჩნდა ოქროს შუბლსამკაულები, ოთხი წყვილი საყურე, ოთხი სამაჯური, ოთხი ბეჭედი, საბეჭდავები, ყელსაბმები, ტანისამოსის ოქროსამკაულები ათას ცალამდე, ომფალოსით შემკული ფიალა, ფინიკური მინის (ფერად

ჭიქურაშემადგენლობის) ამფორისკები, სამტუჩა-ენოხოა ვერცხლისა, ბრინჯაოს ჭურჭლები და მრავალი სხვა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს იმდროინდელი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია; რომლებიც შემკულა ფანტასტიკური ცხოველების, ცხენების, ლომების, ხარების, ჯიხვების, ვერძების, თხების, ფრინველებისა და ადამიანების გამოსახულებებით.

საერთო იერით ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნივთები ე.წ. აქემენდური ხელოვნების წრეს მიეკუთვნება და ძვ.წ VI-V საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ აღმოჩენილ მასალაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლეც ჩანს. მაგ: მიუთითებენ ოქროს ძოდის აღმოჩენას, ეს კი შესაძლოა იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ოქროს ნივთები აქვე, ანუ ადგილობრივ იყო დამზადებული. როგორც ჩანს, ამ ნივთებს ქმნიდნენ, ე.წ. აქემენდური სამყაროს ხელოსნები, მათ შორის კავკასიელები და კერძოდ, ძვ. ქართველი ოქრომჭედლებიც. ამის გამო კიდევ უფრო დიდი ინტერესები ჩნდება ვანის გათხრების მიმართ.

საყურადღებო მასალას გვამლევს საქართველოს მთიანეთიც; კერძოდ: **ბრილი**, ადრეულ ფენებთან ერთად აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნამოსახლარიცა და სამარხებიც. აქ წარმოდგენილია ქვის სამარხები და ორმოსამარხები. სწორედ აქ შემორჩენილია ადრეული წესი მიცვალებულთა სრული თუ ნაწილობრივი კრემაცია. ამ დროს ბრილში წარჩინებულთა სამარხებიც გამოირჩევა, იქ ვხვდებით ოქროს სამკაულს, იარაღს (რკინის აკინას), ოქროს მონეტას, ბერძნულ შავ ლაკიან სკიფოსს და ფინკურ, ეგვიპტურ თუ სირიულჭიქადმოქმედთა ნაწარმს-მძივებს, ნელსაცხებლის შესანახ ჭურჭელს-ამფორისკებს, რომელთაგან ერთში ნელსაცხებელიც კი აღმოჩნდა და სხვა. [684, 685, 686, 687 გვ.]

ორმოსამარხებთან ერთად თანაარსებობდა ქვევრსამარხებიც (ძვ. VI-I), მათი სამარხეული ინვენტარიც თითქმის სავსებით ერთნაირია.

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეანტიკური სამარხიდან უნდა აღინიშნოს საქართველოში ფართოდ გავრცელებული წეს-ჩვეულება- მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვა, ასეთი წესი დასაფლავებისა ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ქვევრსამარხების სახელითაა ცნობილი. მართალია ეს ტერმინი რამდენადმე პირობითია, რადგან სამარხად ხშირად დერგს ან რაიმე სხვა მოზრდილ ჭურჭელს იყენებდნენ (უპირატესად ბავშვების დასაკრძალვად); მაგრამ ძირითადად სამარხად მაინც ქვევრია ნახმარი და ამდენად ეს ტერმინი სავსებით მისაღებად არის მიჩნეული.

ქვევრსამარხად განვიხილავთ დასაფლავების ისეთ წესს, რომლის დროსაც სამარხად გამოიყენებოდა ქვევრი, ან სხვა რაიმე თიხის ჭურჭელი და მიცვალებული შიგ იკრძალებოდა ინჰუმაციის (და არა კრემაციის) წესით.

როგორც უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, ქვევრში დაკრძალვა საკმაოდ გავრცელებული წესი ყოფილა ელინისტური ხანის, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მისი ცალკეული რეგიონისთვის კი თითქმის ერთადერთი. [3 გვ.]

ასეთი დაკრძალვის წესი 84 პუნქტშია დადასტურებული. რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროისთვის ასეთი სამარხები ძალზედ გავრცელებული ყოფილა. სტატისტიკურად კი ეს სამარხები გავრცელებული ყოფილა უფრო დასავლეთ საქართველოში (თარიღდება ძვ.წ. VI-V საუკუნეებით) [4-5 გვ.]

იმის კითხვა თუ რატომ ხდებოდა ქვევრსამარხებში დაკრძალვა, რა მიზეზი იყო ამისთვის? – ამ კითხვაზე პასუხი კი შემდეგნაირია; როგორც ჩანს ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესი დარგს წარმოადგენდა – მევენახეობა-მეღვინეობა, როდესაც მას სასაქონლო წარმოების მასშტაბები მოუპოვებია.

ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის შენიშნოს, რომ პირველად მ. ივამჩენკომ მიაქცია ყურადღება კარგად განახეხი (ტყავკორა) სამეურნეო ქვევრების გამოყენებას სამარხებად **მცხეთასა და ბორში**. საქმე ისაა, რომელინისტურ ხანამდეც ჰქონდა მიღებული იბერიაში მეღვინეობას სასაქონლო წარმოების ხასიათი. ამით უნდა იყოს შეპირობებული მცხეთაში მექვევრეობის განვითარებაც. ეს პირდაპირი მაჩვენებელია მევენახეობის კიდევ უფრო დაწინაურებისა ქართლის სამეფოში ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. ბუნებრივია, რომ საღვინედ უარგისი ქვევრები სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებინათ, მათ შორის სამარხებათაც. მექვევრეობის განვითარებას უფრო ხელმისაწვდომი უნდა გაეხადა ქვევრები; მით უფრო დაზიანებული, ღვინის შესანახად გამოუსადეგარი. სამარხად გამოიყენებული ქვევრთა ერთი ნაწილს მაინც კარგად ეტყობა ტყავკორას კვალი – ქვევრი შიგნიდან გახეხილია. ჯერ არც ერთი შემთხვევა არაა დადასტურებული როდესაც ქვევრი სრულებით ახალი და უხმარი იყოს გამოყენებული. გვხვდება ქვევრების ისეთი სამარხები რომლებიც შეწებებული არიან. სავარაუდოა რომ ეს ქვევრები სწორედ იმათ ეკუთვნით ვისაც მეღვინეობაში ედგათ ფეხი.

თუ ასეა, მაშინ საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ ვარაუდი, რომლის მიხედვით ქვევრსამარხებში დაკრძალულებად მევენახე-მეღვინეები იგულისხმებიან.

ქვევრსამარხების გავრცელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა; ძვ.წ VI-V საუკუნეებიდან (კოლხეთი); ძვ.წ. III-I საუკუნეებში (ქართლი) და ძვ.წ. II სკ-დან ახ.წ. I-III საუკუნეებამდე (ზერბაიჯანი). [691, 692, 693 გვ.].

რიგით მოსახლეობას ეკუთვნის მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ქვევრსამარხები. ივარაუდება, რომ ამ ტიპის სამარხები სამთავროს სამაროვანზე მხოლოდ ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება და არსებობს ძვ.წ. I ს-ის დასასრულამდე. ქვევრებში დამარხვის წესი ერთდროულად ფართოდ ვრცელდება იბერიის სხვა (განსაკუთრებით მის აღ-ში) ოლქებში.

სამთავროს სამაროვანზე ქვევრსამარხები ცალკეულ ჯგუფებადაა წარმოდგენილი ქვევრები ძირითადად ჰორიზონტალურადაა ჩადგმული. დაკრძალვა ინჰუმაციურია; მიცვალებული ქვევრში ძლიერ მოკრუნჩხულადაა ჩასვენებული მარცხენა ან მარჯვენა მხარეს. სამარხთა უმრავლესობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა ორიენტირებული; ე.ი. ყელით სამხრეთისკენ. ქვევრის პირზე ჩვეულებრივ ბრტყელი კრამიტია აფარებული, ხოლო იშვიათად აგრეთვე ქვაქვიშის ფილა ან დიდი ჭურჭლის ნატეხი. ქვევრებს ეტყობათ გამოყენების კვალი როგორც ზემოთ ითქვა. ასეთი ქვევრები ჩვეულებრივ დიდი ზომისაა. ბავშვები უფრო მცირე ზომის ქვევრებში არიან დაკრძალული, ხოლო ჩვილები სხვადასხვა ფორმის ჭურჭელში, უმეტესად ორყურა დერგებში.

სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხების ინვენტარი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აქ ჩვეულებრივ გვხვდება თიხის ჭურჭელი; ლითონის (ძირითადად ბრინჯაო) სამკაულები და მრავალფეროვანი მძივები (ქვის, ძვლის, მინის). სამარხთა გვიანდელ ჯგუფში გვხვდება აგრეთვე მონეტები – პართიული (არშაკიდების) დრაქმები. სრულებით არ გვხვდება საომარი იარაღი. სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან კი წარმოდგენილია მხოლოდ მოხრილი დანები. [255, 256, 257 გვ.]

ქვევრსამარხთა დაკრძალვის დროს ზოგჯერ შეცვლილია ორიენტაცია, და ზოგიერთ სამარხში გაცილებით მეტი ინვენტარია ჩატანებული. [14, 15, 16 გვ.]

ქვევრსამარხში დაკრძალვის წესი იბერიაში გავრცელდა ადრეელისტურ ხანიდან, დაახლოებით ძვ.წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედიდან ჩნდება – თეთრი წყარო, კავთისხევი (ციხია-გორა), აქედან იგი ვრცელდება შემდეგ ტერიტორიაზე: მცხეთა და მისი მიდამოები-სამთავრო, სვეტიცხოვლის უბანი, ქართლი, კარსამი, ზემო ავჭალა და სხვა.

განსხვავებით შიდა კოლხეთისგან, ელინისტურ ხანის იბერიაში ქვევრში დაკრძალვა არ არის ერთადერთი წესი მიცვალებულის დაკრძალვისა. აქ ერთმანეთის პარარელურად დაკრძალვის სხვადასხვა წესებს ვხვდებით, ხშირად ერთ სამაროვანზეც.

კავთისხევის ციხია-გორა. ციხია – გორა კავთისხევის სასოფლო საბჭოს სოფ. ჩოჩეთთან (კასპის რაიონი); მტკვრის მარჯვენა შენაკადის მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე.

1975-76 წწ. კავთისხევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნელი მ. ცქიტიშვილი) “ციხია-გორიდან” სამასიოდე მეტრის დაცილებით, მისგან ჩრდილოეთის მიმართულებით, ადგილ “დაჭირილებში” მიაკვლია და შეისწავლა ელინისტური ხანის სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებითაა წარმოდგენილი. სულ, მეტ-ნაკლები დაცულობის 25 ქვევრსამარხია გათხრილი.

სამარხად სამეურნეო დანიშნულების ქვევრებია გამოყენებული, ქვევრები დამზადებულია კარგად განლეპილი თიხისაგან, გამომწვარია წითლად ან აგურისფრად, თითქმის ყველა ქვევრის ყელისძირში ირიბი ნაჭდევების სარტყელები შემოუყვება. ერთი ქვევრი მოხატულია წითელი საღებავით – მხარს ირგვლივ წვეროებით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებისგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება.

სამარხი ქვევრების უმრავლესობა განლაგებულია ჰორიზონტალურად, ყელით აღ-კენ, ორ შემთხვევაში ქვევრი იდგა ვერტიკალურად (ქვევრსამარხი 1,8). სამარხი ქვევრების სიმაღლე მერყეობს 0,8 – 1,35 –მდე, პირის დმ-0,4-0,5 მ. სამარხები სამაროვნებზე განლაგებულია ცალკეულ ჯგუფებად. მათ უმრავლესობაში თითო მიცვალებულია ჩასვენებული, მაგრამ არის შემთხვევები წყვილის დაკრძალვისა. ორი სამარხი კოლექტიური აღმოჩნდა – ერთში სამი მიცვალებული იყო დაკრძალული, ხოლო მეორეში რვა. მიცვალებულებს კრძალავდნენ ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისკენ.

სამარხეული ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლისაგან და სამკაულებისგან, თიხის ჭურჭელი სამარხეული ინვენტარის აუცილებელი კომპონენტია, თითოში სამი და მეტი ჭურჭელია ჩატანებული; თიხის ჭურჭელი გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიური თვისებებით. იგი ძირითადად წარმოდგენილია დოქებითა და მრავალფეროვანი ჯამ-ფიალებით. იშვიათია ქოთნის ტიპის ჭურჭელი. ჭურჭლისთვის დამახასიათებელია მოწითალო და ჩალისფერი კეცი, იშვიათია ლეგად

გამომწვარი ჭურჭელი. ჭურჭლის შემკობის ხერხია მისი შეღებვა წითლად და აგრეთვე მოხატვა წითელი საღებავით.

დოქები ორი ტიპისაა: ეს დოქები მოხატულია წითლად მარტივი გეომეტრიული ფიგურებით.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ციხია-გორის ქვევრსამარხებიდან მომდინარე ჯამ-ჭურჭლები, წარმოდგენილია იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ფორმა.

მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, საკმაოდ მეტყველია ციხია-გორის სამარხეულებიდან მომდინარე ლითონის ნაკეთობა. იგი წარმოდგენილია ვერცხლის და რკინის ფარაკიანი ბეჭდებით, (ქვევრსამარხი 7, 9, 11, 25. ტაბ. XXXV, 7), ბრინჯაოს საკინძეებით (ქვევრსამარხი 11, 18. ტაბ. XXXVI, 5, 16), რამდენიმე ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურით (ქვევრსამარხი 8, 9, 11, ტაბ. XXXVI, 6-8), და საკინძეები.

სამარხთა ერთი ნაწილი რამდენადმე უფრო გვიანდელი უნდა იყოს. მათი თარიღი შეიძლება ძვ. წ. IV-III სს. მიჯნით ან სულაც ძვ.წ. III საუკუნით განისაზღვროს. ასეთია კერძოდ ჩვენს მიერ განხილული სამარხთა შორის 1, 8 და 25 ქვევრსამარხებით.

ციხია-გორის სამაროვანზე გამოვლენილი ქვევრსამარხების ქვედა ქრონოლოგიური მიჯნის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, საქართველოში ქვევრში დაკრძალვის წესის წარმოშობის სათავეების კვლევისათვის. ამ სამარხებმა ერთგვარად ექვის ქვეშ დააყენა ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ ქვევრში დაკრძალვის წესი ჯერ კოლხეთში ჩნდება, ხოლო შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ გვიან ელინისტურ ხანაში ვრცელდება იბერიაშიც.

დღესდღეობით ციხია-გორის სამაროვანზე გამოვლენილი ქვევრსამარხები ყველაზე ადრეულია საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებს შორის. საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია მათი ინვენტარი გარესამყაროსთან კონტაქტების გამოვლენის თვალსაზრისითაც. ციხია-გორას რთული არქეოლოგიური ძეგლია, მასთან დაკავშირებულია საქართველოს არქეოლოგიის რიგი კარდინალური საკითხები, რომელთა კვლევა მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ აქ გამოვლენილი ქვევრსამარხები ქრონოლოგიურ მიჯნათა განსაზღვრით შემოვიფარგლეთ.

სამარხეული კომპლექსები :

ქვევრსამარხი 7. ქვევრი ჩადგმული იყო ჰორიზონტალურად, პირზე აფარებული ჰქონდა ბრტყელი ქვა. მიცვალებული ესვენა ხელფეხაკეცილი, მარცხენა გვერდზე თავით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხეული ინვენტარი: 1. დოქი ჩალისფრად გამომწვარი თიხისა; 2. მძივები ოქროსი, გოფირებული, 5 ცალი; 3. საყურე რგოლები, ვერცხლის, წყვილი, 4. ბეჭდები რკინის, ბრტყელფარაკიანი; 5. გიშრის მძივი. ქვევრსამარხი 7 ძვ.წ. IV – ს უკანასკნელი მესამედით თარიღდება.

ქვევრსამარხი 9. ქვევრი ჩადგმული იყო ჰორიზონტალურად; მიცვალებული ჩაუსვენებიათ ხელფეხაკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხეული ინვენტარი: თიხის ჭურჭელი, საკინძეები, ბრინჯაოს მშვილდი, რკინის ბეჭედი და სამაჯურის ფრაგმენტები. სამარხი ძვ.წ. IV ს უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება.

ქვევრსამარხი 10. ქვევრსამარხი ჩადგმული იყო ჰორიზონტალურად. ქვევრში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული: ორი იწვა ხეკფეხაკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, მესამის მდგომარეობის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხეული ინვენტარი: 1. ორი დოქი ვარდისფრად და ჩალისფრად გამომწვარი, სხვადასხვა მოყვანილობისა, 2. საყურე რგოლები ვერცხლისა და ოქროსი, 3. მძივები პასტისა, სხვადასხვა ზომისა და ფერის, 10 ძვ.წ. IV ს უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება.

ქვევრსამარხი 11. სამარხი დაზიანებული იყო. მიცვალებულის მდგომარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხეული ინვენტარი შეადგენდა: 1. სხვადასხვა ფორმის თიხის ნაწარმი, ძირითადად ჩალისფრად და წითლად გამომწვარი; 2. ოქროს სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები ვერცხლის, ბრინჯაოს რკინის ლითონისაგან დამზადებული, 3. საკინძეები ბრინჯაოსი, ცილინდრულ თავიანი; 4. რკინის ბეჭდები. სამარხი მიეკუთვნება ძვ.წ. IV ს უკანასკნელ მესამედს.

ქვევრსამარხი 25. ქვევრსამარხი ჩადგმული იყო ჰორიზონტალურად, მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით აღ-კენ, სამარხეული ინვენტარი: 1. სხვადასხვა ფორმის თიხის ნაწარმი, ვერცხლის ბეჭედი, ბრინჯაოს საბეჭდავი, ვერცხლის საყურე რგოლები, ბრინჯაოს მშვილდის ფრაგმენტები, რკინის ბეჭედი, ეს სამარხი დაახლოებით ძვ.წ. III-ს დასაწყისით თარიღდება.

თეთრიწყარო. ძვ.წ. IV ს. ქვევრსამარხები დადასტურებულია თეთრიწყაროს მიდამოებშიც. სამარხად აქაც ჩვეულებრივ სამეურნეო დანიშნულების ბრტყელძირა ქვევრებია გამოყენებული. ყველა ქვევრი მოყვითალო ვარდისფრადაა გამომწვარი. ყველა ქვევრი დაფლულია ჰორიზონტალურად, ორიენტაციაში კანონზომიერება არ შეინიშნება.

სამარხეული ინვენტარი მეტად დარბულია; სამარხთა უმრავლესობაში არაფერი აღმოჩენილა (შესაძლოა ცუდი დაცულობის გამო), ინვენტარი შედგება თითოთოროლა თიხის ჭურჭლისა და მცირეოდენი სამკაულისაგან.

სამთავრო. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (1937-40 წ.წ.) სამთავროს სამაროვანზე 150-მდე ქვევრსამარხები იქნა გათხრილი. ქვევრსამარხები სამაროვნის ტერიტორიაზე ცალკეულ ბუდეებად ყოფილან განლაგებული სხვა ტიპის სამარხებს შორის, სამარხად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულების (საღვინე), ვარდისფრად გამომწვარი თიხის, ბრტყელძირა ქვევრები. ბავშვის სამარხად იყენებდნენ ასეთსავე პატარა ზომის ქვევრებს, ჩვილ ბავშვებს ასაფლავებდნენ ორყურა, დერგის ტიპის ჭურჭელში, ქვევრებს პირზე უმრავლეს შემთხვევაში კრამიტი ეფარა, იშვიათად იყენებდნენ ბრტყელ ქვევრს ან თიხის ჭურჭლის ნატეხს.

ქვევრსამარხთა უმრავლესობა ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდ-კენ, იშვიათად გვხვდება დას. – აღმ-კენ დამხრობილი სამარხები. ბავშვთა სამარხებში ორიენტაციის ეს წესი დაცული არაა.

როგორც წესი, ქვევრში თითო მიცვალებულს ასაფლავებდნენ, მაგრამ არის შემთხვევები წყვილის დაკრძალვისა (ტაბ. 1, 2, 4.) ქვევრსამარხთა დიდი უმრავლესობა მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაფლული, მაგრამ დადასტურებულია ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრებიც. ასეთია 19 შემთხვევა, მათგან 2 ნამდვილად სამარხია, დანარჩენები კი, ალ. კალანდაძის აზრით, კენოტაფები უნდა იყვეს. ამ ქვევრებში ცხოველის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები ეყარა ხოლმე, ამიტომ შესაძლოა მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არც ჰქონდათ დაკრძალვის რიტუალთან ყოფილიყვნენ დაკავშირებული. ასეთი შემთხვევები სხვაგანაცაა დადასტურებული. მიცვალებული ქვევრში ჩასვენებულია ხელფეხ-მოკეცილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე.

სამარხეული ინვენტარი პატარა ზომის თიხის ჭურჭლით და სამკაულებით არის წარმოდგენილი. სამარხთა უმრავლესობაში ორ-ორი ჭურჭელია ჩატანებული, რომლებიც ნაკეთებია სამეთუნეო ჩარხზე.

ლითონის სამკაულთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია რკინისა და ბრინჯაოსაგან ნაკეთები სამაჯურები.

სამთავროს ქვევრსამარხში სულ 5 მონეტაა აღმოჩენილი. ყველა ძვ.წ. I ს არმაკიდული დრაქმაა.

ლითონის ნაკეთობათაგან აღსანიშნავია რკინის დანები (ერთადერთი სამეურნეო დანიშნულების ნივთი), რომელიც ალბათ ვაზის სასხლავად გამოიყენებოდა. დანა სულ 5 სამარხშია აღმოჩენილი.

სამთავროს სამაროვანზე და საერთოდ მცხეთის მიდამოებში დაკრძალვის წესის გაჩენა ძვ. წ II-I სს სავარაუდოა და ახ.წ. I-III სს განაგრძობს არსებობას. ამრიგად, ქვევრსამარხთა გაჩენა ალ. საქართველოში თითქმის სამი საუკუნით უსწრებს წინ ასეთი სამარხების გაჩენას დასავლეთ აზერბაიჯანში. ეს ფაქტი თავისთავად გამორიცხავს ქვევრში დაკრძალვის წესის გავრცელებას აზერბაიჯანიდან საქართველოში.

ქვევრში დაკრძალვის წესის წარმოშობისა და გავრცელების საკითხის საბოლოოდ გადაჭრა სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით ძნელია.

ქვევრსამარხები ვრცელდებოდა: „ვანის ქვეყანა“, რიონ-სუფსის ორმდინარეთი და “ქუთაისის ქვეყანა”, ე.ი. ცენტრალური კოლხეთი.

სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით ქვევრსამარხები იბერიასა და კოლხეთში ერთდროულად, ძვ.წ. IV-ს ბოლოს ჩნდება, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, მით უმეტეს, რომ ამ სამარხებს, ზოგიერთ განსხვავებასთან ერთად (განსხვავებულია სამარხად გამოყენებული ქვევრები), ბევრი რამ აახლოვებს - სამარხეული ინვენტარი, მისი განლაგება, მიცვალებულის მდგომარეობა და დაკრძალვის რიტუალი. ეს კი იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ეს სამარხები წარმომავლობის თვალსაზრისით ერთ საერთო წყაროს დაუკავშიროთ [38-დან 67 გვ-მდე]¹.

სამთავროს სამაროვანი ყველაზე ვრცელია, სადაც გათხრილია IV-VIII სს 1600 სამარხი. ისინი ფილაქით არის ნაშენები და გადახურული. სამარხთა უმეტესობა წარმოადგენს საოჯახო განსასვენებელს. ეს ახალი წესი ქრისტიანობის დამკვიდრებას მოჰყვა და ალბათ ამის გამოც მომხდარა, რომ ხელი აუღიათ ადრე გავრცელებულ, კრამიტითა და აგურით ნაშენ სამარხებზე, რადგან ისინი ნაკლებ მოსახერხებელი იქნებოდნენ განმეორებითი დაკრძალვისთვის. ზოგჯერ ქვის სამარხებში ჩადგმულია თიხის კუბოები, ანუ სარკოფაგები, რომელთაც სხვაგან ცალკე სამარხებად ვხვდებით. ასეთ სამარხებში აღმოჩენილია ხისა და ლურსმნის ფრაგმენტები, რაც გვაპარაუდებინებს რომ ხის კუბოსაც დგამდნენ. დაკრძალვის წესი ყველგან ქრისტიანული ჩანს: მიცვალებულს თავი დასავლეთით უძევს, იგი დასვენებულია გულადმა, გამოტვით, ხელები გულზე მუცელზე ან

საზარდულოზე აქვს დაკრეფილი. (ა) აქ წარმოდგენილია იმთავითვე უინვენტარო სამარხებისა 25%, ბ) ღარიბული სამარხებისა, გ) შედარებით მდიდრული სამარხებისა. [56, 57, 58]³

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საისტორიო წყაროების ჩვენებით ირკვევა, რომ ქრისტიანობა ფართო გავრცელებით სარგებლობდა საქართველოში III სს-ში. თუმცა მეცნიერთა ნაწილი ქრისტიანობის გავრცელებად გულისხმობენ და ადასტურებენ ახ.წ. I საუკუნიდანვე, ამის გამოსარკვევად არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1978 წ. მცხეთაში, აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები, სადაც ორი თიხის ფილასამარხი იქნა აღმოჩენილი. ერთერთ მათგანში დაკრძალული იყო დედა-შვილი. ორივე მიცვალებული დაკრძალულია ქრისტიანული წესით. სამარხში აღმოჩნდა ერთადერთი სანეკე ბეჭედი ზრდასრული მიცვალებულისა. დაკრძალულთა პოზა, დამხრობა, ნივთიერი მასალის სიმცირე, სანეკე ბეჭედი, სარდიონის თვალი – ინტალიო, რომელზედაც ამოკვეთილია ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება, მიგვანიშნებს რომ სამარხი ქრისტიანთათვის გაუმართავთ. ეს სიმბოლოები გამოიყენებოდა ადრე ქრისტიანულ ხანაში.

1938-40 წ და 1976-83 წწ გათხრილი სამარხების ერთ ნაწილზე, მცხეთა-ქალაქში, სვეტიცხოვლის მიდამოებში შესწავლილი სამარხები განეკუთვნება ახ.წ II-III სს.

ამრიგად, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების შეჯერებით, ირკვევა, რომ დიდი მცხეთის მოსახლეობის ნაწილი ქრისტიანულ რელიგიას ეზიარა, ოფიციალურ აღიარებამდე 100-150 წლით ადრე. ამ ყოველივეს ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები. ქ. მცხეთაც ქრისტიანულ ორბიტაში მოქცეულა [186, 187 გვ.]⁴.

არმაზხევის სამაროვანი აღმოცენებულია გვიან ანტიკური ხანის ერისთავ-პიტიახშების საგვარეულო განსასვენებლის ირგვლივ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ფილაქვებით გულდაგულ ნაშენები რამდენიმე მდიდრული სამარხი, რომლებშიც ერთი წყვილადის გარდა, თითო მიცვალებულია დაკრძალული, რომელიც განეკუთვნება IV ს, დაკრძალვის ახალი წესიც საყოველთაოდ იკიდებს ფეხს სამთავროს მსგავსად. [56, 57, 58, 59 გვ.]⁵

ძვ.წ I ს – ახ.წ II სს. კრამიტსამარხები ვრცელდება. სამარხის ასაგებად ორი სახის კრამიტია გამოყენებული: ბრტყელი გვერდებოვანი და ღარისებული. ძვ.წ. I ს კრამიტსამარხში მიცვალებული ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაშია, უფრო გვიან კი გულადმა გამოტილი, აღნაგობის მიხედვით ეს სამარხი პატარა სახლს წარმოადგენს, რომელთაგან ნაწილი ოთხკედლიანია და ნაწილი ექვსიანი. სახურავი კი ან ბრტყელია ან ორფერდა. კრამიტსამარხები საერთოდ მდიდრულია, მაგრამ გვხვდება მცირე ინვენტარიანი სამარხებიც.

წყვილთა დასაფლავება კრამიტსამარხებშიაც დასტურდება. სიახლეა მიცვალებულის მდგომარეობაშიც. მიცვალებული პირადმა გამოტილი წევს. თავით დასავლეთისაკენ. ე.ი. პირველად კრამიტსამარხში იჩენს თავს მკაფიო ცვლილება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიცვალებულს გვერდზე და ხელფეხმოკეცილს კი აღარ კრძალავენ, არამედ პირადმა გამოტილს. ესეც ალბათ ქრისტიანობის ზეგავლენას უნდა მიეწეროს, რადგან ძვ.წ. I სს სამარხში მიცვალებული წარმართული წესით დაუკრძალავთ [693, 694 გვ.]⁶

ურბნისის ნაქალაქარზე 1953-63 წწ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა IV-V სს დათარიღებული თიხის სარკოფაგები, ორმოსამარხები, თითოთროლა კრამიტსამარხი და ალიზსამარხი, საკმაოდ ბევრი მათგანი შეიცავდა ინვენტარს [60, 61, 62 გვ.]⁷

ყველაზე დამახასიათებელი ანტიკური ხანის საქართველოსთვის ქვის სამარხებია. ქვის სამარხთა შორის გვხვდება: ქვის დიდი, ბრტყელი ლოდებისაგან შედგენილი ანუ ფილაქვით ნაგები მთლიანკვეთილი სარკოფაგები, მავზოლეუმის ტიპის აკლდამები. იგი კირქვის ან ქვიშაქვის მეტნაკლებად კარგად გათლილი ბრტყელი ნაგებობა, რომელსაც სახურავი აქვს ქვისგან გამოკვეთილი, ოდნავ ტლანქად გათლილი. იშვიათად ქვისსამარხის ფსკერი მოფენილია კერამიკული ფილებით ან ქვის ფიცრებით. ეს სამარხები გვხვდება ბრტყელსახურავიანი და ორფერდსახურავიანი, ამ ჯგუფში გვხვდება ე.წ. საოჯახო სამარხებიც, რომელშიაც მიცვალებულები სხვადასხვა დროს დაუკრძალავთ. ადრე დაკრძალული ჩონჩხი შევიწროვებულია, კედელთანაა მიხვეტილი ან პირველადვე კედელთან დაუსვენებიათ. ე.ი. შენახულია ადგილი სხვებისთვისაც.

მთლიანკვეთილი სარკოფაგები საერთოდ ცოტა საქართველოში აღმოჩენილი; სახელდობრივ 5 მცხეთაში, 1 დილოში და რამდენიმე ვანში.

სამარხ-სარკოფაგები ორი ნაწილისაგან არის შედგენილი. ქვედა ნაწილი მთლიანი ლოდისაგანაა გამოკვეთილი, ოთკუთხა მოყვანილობის მოგრძო და საკმაოდ მაღალი. სარკოფაგი დიდი არ არის, იმ შემთხვევაშიც კი როცა მასში ორი მიცვალებული უნდა ყოფილიყო ჩასვენებული; ასეთია არმაზხევის VI ს სამარხ სარკოფაგი. ასეთ სამარხებში გვხვდება დამტვრეული სხვადასხვა ნივთის ჩატანება, რაც გამოწვეულია სამარხის სიპატარავის გამო და არა წესის გამო.

ბაგინეთის აკლდამებიც მსგავსია არმაზხევის სამარხებისა რომელიც მიეკუთვნება ახ.წ I-III სს.

ასეთივე სამარხები 1964 წ აღმოჩენილი იქნა მდ. ძამას მარცხენა ნაპირზე ორმოსამარხები. ამ მხრივ ზღუდერში თითქოს იცავდნენ ადრე ანტიკურ წესს. ეს სამარხები მდიდრულია და ბევრი ინვენტარია აღმოჩენილი: ძვირფასი ლითონით ნაკეთი სამკაულები, მინის ჭურჭელი, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელიც მდიდრულ სამარხებადაა მიჩნეული. [696-დან 709-მდე]

ეს ყოველივე ცხადყოფს ამ პერიოდის განვითარებას და გარდამავლობას რწმენა წარმოდგენებში და სოციალურ მდგომარეობაში. რაც კარგად გამოიკვეთა ძვ.წ. V ს-დან მოყოლებული ახ.წ V ს ჩათვლით სამარხთა ტიპებში და დაკრძალვის წესში. აქ წარმოდგენილი ეპოქის დაკრძალვის წესი ნელ-ნელა ქრება და შედის უკვე ახალი რელიგია, კერძოდ ქრისტიანობა და მისი წესებით იკრძალება მოსახლეობის მაღალი და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. თუმცა არის საკრძალო ადგილები, სადაც ერთდროულად თანაარსებობდნენ სხვადასხვა ტიპის სამარხები, მაგ: ორმოსამარხები, ქვისსამარხები, ქვევრსამარხები და კრამიტსამარხები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ დროისთვის მაღალი ფენის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ თანამედროვე საკრძალოებში რომლის აშენებას მეტი ფინანსები დასჭირდებოდა, ხოლო ღარიბი მოსახლეობა კვლავ ძველი სამარხთა ტიპებით სარგებლობდნენ. თუმცა კი ერთი და იგივე საუკუნეში სხვადასხვა ტიპის სამარხში ერთი და იგივე დაკრძალვის წესია წარმოდგარი, სადაც ქრისტიანული რელიგიის რიტუალის წესები იჩენს თავს. ეს მოსაზრება შეიძლება გამყარდეს მნიშვნელოვანი დეტალით, ამ პერიოდში სამარხთა ზომა იცვლება, კერძოდ პატარა ზომის სამარხები სიგრძეშია გაზრდილი, ანუ მისი სიგრძე იმატებს იმიტომ, რომ წარმართული წესით მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზიშია დაკრძალული და მისთვის მოკლე სამარხი საკმარისი იყო, ხოლო როცა ქრისტიანული წესი შემოდის, სამარხი იმატებს სიგრძეში, რადგან მიცვალებული ზურგზე გამოტილი იკრძალება და ლოგიკურია სამარხი სიგრძეში იმატებს, ამავდროულად აღსანიშნავია, რომ იკლებს სამარხეული ინვენტარიც.

ლიტერატურა:

1. ვ. თოლორდავა, „დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.
2. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I ტ., რედაქტორი გ. მელიქიშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970.
3. გ. ლომთაძე, „საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1977.
4. ა. ნონეშვილი, „ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983.
5. „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002.
6. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, I-IV ტ., 2011.

დედოფალი მარიამ დადიანი

ანა კვირიკაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ელდარ მამისთვალიშვილი, პროფესორი

მარიამი, მანუჩარ I დადიანის ასული XVII-XVIII საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული პიროვნებაა, ქართულ კულტურაში შეტანილი თავისი დიდი ღვაწლით.

მარიამ დედოფლის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ...იყო შემკული ყოველი კეთილით, რომლის მსგავსი თამარ მეფეს შემდგომ აღარავინ ყოფილა...¹

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, 441

პირდაპირი ცნობები მარიამ დადიანის შესახებ უაღრესად მწირია, თუმცა იმ პერიოდის სხვადასხვა ქართული თუ უცხოური წყაროების შედარება-შეჯამების შედეგად შესაძლებელი ხდება მარიამის პიროვნების ზოგიერთი შტრიხის აღდგენა.

მარიამი იყო ოდიშის მთავრის მანუჩარ I დადიანის ასული. მანუჩარის პირველი ცოლი იყო კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ასული ნესტან-დარეჯანი. მანუჩარი ნესტან-დარეჯანზე დაქორწინებულა 1596 წელს, ხოლო მათი პირმშო ლევანი (ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი), მარიამის ნახევარ ძმა 1597 წელს დაბადებულა, როგორც ეს ილია ანთელავამ არქანჯელო ლამბერტის ცნობების მიხედვით დაადგინა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლევანის “შობადვე მოკვდა ნესტან-დარეჯანი”¹. როდესაც მორჩა გლოვას მანუჩარი, ცოლად შეირთო ვახტანგ გურიელის ქვრივი, ასული ათაბაგისა, რომელსაც ანონიმი ქართველი მემატეანის ცნობით თამარი რქმევია.

ბერი ეგნატაშვილის ცნობითაც, მარიამ დედოფალი იყო ასული ათაბაგის ქალისა. მარიამის დედა თამარ ჯაყელი უნდა ყოფილიყო. მანუჩარს და თამარს ოთხი შვილი ჰყავდათ და თუ მარიამი მათგან უფროსი იყო, მისი დაბადების წელი 1599 წელს არ გასცდება. მარიამის და სიმონ გურიელის ქორწინება, როგორც ვიცით, 1621 წელს შემდგარა და ვინაიდან ძველ საქართველოში 12 წელზე ნაკლები ასაკის გოგოს გათხოვება აკრძალული იყო, ამ წესის გათვალისწინებით მარიამ დადიანი 1609 წელზე გვიან არ დაბადებულა. ამრიგად, მარიამ დედოფალი 1599-1609 წლებს შორის უნდა დაბადებულიყო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარიამ დედოფალი იყო ქაიხოსრო I გურიელის ნახევარ და. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარიამ დედოფალი მიათხოვეს 1621 წელს სიმონ გურიელს, სიმონსა და მარიამს ეყოლათ ვაჟი ოტია.

მარიამისა და სიმონის დაშორების შესახებ სხვადასხვა ცნობებს გვაწვდის ქართლის ცხოვრება და თედო ჟორდანიას მიერ შეკრებილი ქრონიკები. ქართლის ცხოვრების მიხედვით: 1625 წელს სიმონმა თავისი მამა, მამია გურიელი ღალატით მოკლა, რითაც ისარგებლა ლევანმა, ეს მოიძო მიზეზად და სიმონს შეუთვალა: „...ვინაითგან ჰყავ საქმე ეგე ბოროტი, მე ჩემს დას შენ აღარ მოგცემ...”² ლევანს განზრახული ჰქონდა დის დაბრუნება, რომელიც უნდა მიეთხოვებინა როსტომ, იგივე ხოსრო-მირზასათვის. ქორწინება კი მიმართული იყო თეიმურაზ I-ისა და გიორგი III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კვლავაც „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ ლევანმა ჯარი შეჰყარა და ლანჩხუთთან დაუხვდა სიმონს, რომელიც იყო კაცი მხნე და გულადი. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ლევანმა, შეიპყრო სიმონი, თვალები დასთხარა და წაართვა თავისი და მარიამი, ხოლო გურიელად დასვა ქაიხოსრო, მარიამის ძმა დედით.

1621 წლის სიგელში ვკითხულობთ: „...მარიამ ქმრის (სიმონის) ბერად შედგომის შემდეგ (1625 წ.) შეირთო ცოლად ქართლის მეფემ როსტომ 1634 წელს...”³

მექორწილებმა პაემანი საჩხეიძეოში, ბაღდადთან, კაკას ხიდთან დანიშნეს, სადაც გიორგი იმერთა მეფეს ჯარი შეეყარა და მათკენ წასულა საბრძოლველად, რადგანაც კარგად ხვდებოდა გიორგი, თუ რა საფრთხეს შეუქმნიდა როსტომისა და ოდიშის მთავრის დამოყვრება, რომელსაც თვალი იმერეთზე ეჭირა. როდესაც გიორგიმ განზრახა ჯარის დათვალიერება, დადიანის ხალხმა შეიპყრო იგი, რომელიც შემდგომ ალექსანდრემ, მისმა მემკვიდრემ დაიხსნა.

საინტერესოა 1638 წლის სიგელი, რომლის მიხედვითაც: “როსტომ მეფემან მოიყვანა ლევან დადიანის დაი მარიამ და ქმნა ქორწილი”⁴ ამავე სიგელში ლექსად გადმოცემულია მარიამ დედოფლის ხოტბა: “ღმერთო მაღალო... შენ განანათლენ... გული მეფისა როსტომისანი, დადიანის მანუჩარის ქალი ვითხოვეთ ხელმწიფისანი.

ვიტყვი ფიცითა ღვთითა და ცითა სხვა ამათებრი არვინ ნახულა,

აღმოსავლეთით და დასავლეთით ქართლს სადედოფლოთ ეს მონახულა...

ვერ დავადარებ ნესტან-დარეჯანს, არცა ედრება ძილისანია...

არავის ეღირსოს მისთანა ხონთქარმან ძებნოს, მთა და ბარია...

სჯულიც ხელთა აქვს, სამოთხის ტახტი თურმე მისთვის გამოსახულა...”⁵

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, 823

² ქართლის ცხოვრება, II, 419

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წ. II, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტფილისი, 1897, 444

⁴ იქვე, 452

⁵ იქვე, 452

ქართულ ისტორიოგრაფიაში როსტომის თბილისს მოსვლა დათარიღებულია 1633 ან 1634 წლებით, ამავე წელს თეიმურაზ I იმერეთს წავიდა, ყიზილბაშებმა კი გორის ციხე ააშენეს.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, როსტომი ქართლში 1633 წელს ჩამოვიდა და ჩამოსვლისთანავე ცოლად შეირთო გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. როსტომის მომხრეებმა დაიწყეს დედოფლის შერჩევა, არჩევანი ლევან დადიანის დაზე, მარიამზე შეაჩერეს, რადგანაც როსტომს სურდა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის პოზიციები შეესუსტებინა და თეიმურაზისათვის იმერელი მომხრეები ჩამოეშორებინა. სწორედ ამიტომ როსტომმა გადაწყვიტა ოდიშის მთავართან, იმერეთის მეფის დაუძინებელ მტერთან დამოყვრება.

თვით როსტომი ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის დის მარიამის შერთვას, თეიმურაზ მეფის მიერ თავისი ასულის, დარეჯანის, იმერეთის ბატონიშვილზე, ალექსანდრეზე დაქორწინების საპასუხო ღონისძიებად აცხადებდა.

1648 წლის მცხეთის ნუსხაში მოთავსებული სიგელი გვამცნობს, რომ როსტომი პატარა იყო, როდესაც გიორგი სააკაძემ შაჰ აბას I-ს წარუდგინა. შაჰმა იგი ისე გაზარდა, როგორც ნათესავს შეეფერებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როსტომის ირანის სამეფო კარზე აღზევების საქმეში ლომის წილი ეკუთვნის გიორგი სააკაძეს, რომელიც ამ პერიოდში საქართველოდან ლტოლვილი ირანს აფარებდა თავს. სწორედ გიორგის ამოუყვანია გაჭირვებიდან ხოსრო-მირზა, რომელშიც იგი ისპაჰანის ერთ-ერთ ღარიბთა ქუჩაში ცხოვრობდა და წარუდგენია ირანის შაჰისათვის, როგორც ქართლის უფლისწული და შესაძლო მეფე. როსტომი იყო უკანონო შვილი ქართლის მეფის დავით XI-ის (დაუთ-ხანი). იგი ირანში იზრდებოდა და ხოსრო-მირზას სახელით იცნობდნენ. შაჰმა იგი ჯერ თავისი გვარდიის მთავარსარდლად – ყულარადასად დანიშნა, შემდეგ კი ისპაჰანის მოურავობაც უბოძა.

როსტომის სიგელით ვიგებთ, რომ ქართლში მეფობდა მისი ძმა ბაგრატი და როდესაც ბაგრატი მიიცვალა, სიმონი დაჯდა თბილისს. შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მსურველი მრავალი პრეტენდენტი გამოჩნდა, როსტომის (ხოსრო-მირზას) დიდი მონდომების შედეგად აბას I-ის უფროსი შვილიშვილი სეფი გამეფდა. „...გამოვიყუანე და ტახტზე დავსვი და მიულოცეთ ხელმწიფობა შაჰ სეფის ყაენსა...“¹ ამ პერიოდშივე სიმონმა თეიმურაზ I-ს წაართვა ქართლი, თუმცა სიმონი მალევე მოკლა თეიმურაზთან შეთქმულმა ზურაბ არაგვის ერისთავმა, ამით განრისხებულმა შაჰ სეფიმ ქართლში როსტომი გამოგზავნა ყიზილბაშთა დიდი ჯარით.

ამის შემდეგ ხდება ქორწილი როსტომისა და მარიამისა. როსტომისა და მარიამ დადიანის შესახებ საინტერესო და ამავდროულად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თავის რელაციონში კათოლიკე მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე.

დონ პიეტრო, რომის პაპის ურბანო VIII-ის მიერ წარმოგზავნილი მისიონერი იყო, რომლის მიზანი ქართველთა გაკათოლიკება და სარწმუნოებრივად რომის ეკლესიისადმი დამორჩილება გახლდათ. 1635 წლის 24 გოროგობისთვის გორიდან გაგზავნილ წერილში ავიტაბილე ალექსიდან ატყობინებს პროპაგანდა ფიდეს, რომ 1634 წლის 31 დეკემბერს გორში ჩამოიყვანეს ქართლის დედოფალი მარიამი, რომელმაც ისურვა თეათინელთა ეკლესიაში სადღესასწაულო წირვის მოსმენა. მისიონერებმა თადარიგი დაიჭირეს, რათა მაჰმადიან ჯარისკაცებს დედოფალი არ ენახათ, ამიტომ დანიშნეს საზეიმო მიღება და საეკლესიო ცერემონიალი სადამოს ხუთ საათზე, როცა ყველა ჯარისკაცი შიშინაობის გამო ყაზარმებსა და ციხე-სიმაგრეებში შელაგდებოდა.

ასეთ სიფრთხილეს როსტომ მეფის განკარგულებით იჩენდნენ, რადგან მაჰმადიან მეფეს არ შეეფერებოდა ქრისტიანი მეუღლე, ისიც, რომ დედოფალი ქრისტიანულ საეკლესიო ცერემონიებს ესწრებოდა, მაშინ, როცა ისლამის ხმლით დამხოზილი ქრისტიანული სახელმწიფო, მაჰმადიან ხელმწიფეს ემორჩილებოდა. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში საჭირო არ იყო სამხედრო პერსონალს ყველაფერი სცოდნოდა.

თეათინელების მისიონის პრეფექტს ფრიად განათლებულ დონ პიეტრო ავიტაბილეს შემჩნეული აქვს არა ერთი წერილმანი, რომლებშიც თვალსაჩინოდ გვიხატავს თავის თანამედროვე ქართლის ცხოვრებას. მაგალითად, მისი თქმით, მარიამ დედოფალი დიდის მონდომებით ცდილობდა მაჰმადიანობაში გაზრდილი თავისი მეუღლე როსტომ მეფე ქრისტიანულ რჯულზე დაებრუნებინა. თუ ეს ვერ შეძლო, ყოველ შემთხვევაში, როსტომ მეფე ანგარიშს უწევდა ქართულ საზოგადოებას და აშკარად არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული ეკლესიის საქმიანობას, პირიქით, დაზიანებული ტაძრები შეაკეთებინა, ხელს უწყობდა და მფარველობდა ქრისტიანებს. იგი მარიამ დედოფლის პატივსაცემად სჩადიოდა ყოველივე ამას.

¹ ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, 462

პიეტრო ავიტაბილე წერს, რომ როსტომ მეფე მარიამ დედოფალთან პირჯვარს იწერდა, მაგრამ არსებითად მაჰმადიანობდა. ავიტაბილეს თქმით, მარიამ დედოფალმა ადრე კატეგორიული უარი განაცხადა როსტომთან შეუღლებაზე, იმის გამო, რომ იგი მაჰმადიანი იყო. მიუხედავად ამისა, მარიამი თავისი თანხმობის გარეშე გაათხოვეს. საეკლესიო იერარქებმა მათ ქრისტიანული ქორწინების ინსცენირება მოუწყვეს: როსტომს ეკლესიაში თავი დაბანეს, ვითომდა ქრისტიანად კურთხევის ცერემონიალის შესასრულებლად. როგორც კი ხელსაყრელი გარემოება მიეცემოდა მარიამს მოვლენების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის, აქტიურად მოქმედებდა. მან კულტურულ სფეროში დიდი საქმიანობა გააჩადა. ამ დროს ქართლში რაც გაკეთებულა ეროვნული კულტურის დარგების აღდგენისა და განვითარებისათვის, ყველაფერი მარიამ დედოფლის უნარით და გულისწადილითაა შესრულებული.

მართლაცდა, მარიამის ამ აქტიურ მოქმედებას კულტურულ სფეროში არა მარტო უცხოური, არამედ ქართული წყაროებიც გადმოგვცემენ. ამის დამადასტურებელი არაერთი სიგელი არსებობს. მაგალითად: 1635 წლის “სიონის სიგელიდან” ვიგებთ, რომ, როდესაც მარიამ დედოფალი ავად გამხდარა, სიონის ღვთისმშობლისათვის უთხოვიათ როსტომსა და მარიამს შემწეობა და მარიამი გამოჯანმრთელებულა. ამის გამო, რაც კი “წინარეს”¹ საყდარის ყმა იყო, რომელთაც ჩვენი მიწის ხვნი და თივა ევალებოდეს, ამოგვკვეთეთ და სიონს შევწირეთო.

1643 წელს მარიამისა და სიმონ გურიელის შვილი ოტია, რომელიც მარიამთან და როსტომთან იზრდებოდა, გარდაიცვალა დაკრძალეს სვეტიცხოველში. 1668 წელს ოტიას სულის მოსახსენიებლად მარიამმა განაახლა ურბნისი.

1652 წლის სიგელით ვიგებთ, რომ როსტომ მეფესა და მის თანამეცხედრეს მარიამ დადიანის ასულს და მათ პირმშოს ლუარსაბს (შესაძლოა ეს ის ლუარსაბია, რომელიც როსტომმა იშვილა 1642 წელს მემკვიდრის არარსებობის გამო, ლუარსაბი იყო ლუარსაბ I ის შვილიშვილის შვილი, რომელიც ირანში იყო აღზრდილი), ლუარსაბის თანამეცხედრეს თამარს და მათ ძეს გიორგის შეუწირავს სოფელი ქორდი სვეტიცხოველისათვის. 1656 წელს დაქცეულა სვეტიცხოველის გუმბათი, რომელიც მარიამ დედოფალმა და როსტომმა აღადგინეს.

ცნობილია მარიამ დედოფლის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის გავრცელების საქმეში.

1633-1646 წლებს შორის მარიამ დადიანის ასულის ბრძანებით გადაწერეს “ქართლის ცხოვრება”. მარიამისეული “ქართლის ცხოვრების” კრებულში სხვა თხზულებების გარდა, მოთავსებულია თამარ მეფის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერელის შრომები, რომლებიც მანამდე ცალკე ნაწარმოებებად ყოფილა გავრცელებული და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში XVI-XVII საუკუნეებში შეუტანიათ.

1645 წელს მარიამ დედოფალმა თათრებისაგან იხსნა “ჟამის წიგნი”²

1658 წლის 17 ნოემბერს როსტომ მეფე გარდაიცვალა. იგი წაასვენეს და ყუმში დამარხეს. ამავე წელს ქართლის მეფე გახდა ვახტანგი, შაჰ-ნავაზად წოდებული, რომელიც იყო ბაგრატიონების გვერდითი შტოს – მუხრანბატონების წარმომადგენელი.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, როდესაც როსტომი გარდაიცვალა, მარიამ დედოფალი თბილისის ციხე-სიმაგრეში შეიყვანეს 1658 წელს, ხოლო როდესაც შაჰმა ქართლი შაჰ-ნავაზს უბოძა, იმავე დროს უბრძანა, რომ ცოლად შეერთო როსტომ მეფის ქვრივი მარიამ დადიანი. ვახტანგს სხვა გზა არ ჰქონდა და შაჰის ბრძანებას დაემორჩილა. საინტერესოა, რომ ამ დროს ვახტანგს უკვე ცოლად ჰყავდა როდამი, ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული და რვა შვილი. არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ შესაძლოა ეს ქორწინება სწორედ მარიამ დედოფლის ინიციატივით მომხდარიყო, რაც განპირობებული იქნებოდა იმ პრივილეგიების დაკარგვის შიშით, რაც ქართლის დედოფალს გააჩნდა.

მარიამი ვახტანგის მეფობაშიც აგრძელებს აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას. 1660 წლის სიგელით ვიგებთ, რომ მარიამ დედოფალი უბრუნებს მცხეთას სოფელ არაშენდას.

ასევე საინტერესოა არადეთის ეკლესიის კარის 1666 წლის წაწერა, რომელიც გვამცნობს, რომ მარიამ დადიანის ასულს აუშენებია ეს ეკლესია და შეუწირავს.

მარიამს ზრუნვა არ დაუკლია არც საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ქართული იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. ამას ადასტურებს ერთ-ერთი წერილი, რომელიც დოსითეოსს (იერუსალიმის პატრიარქს) გაუგზავნია, კოსტანტინოპოლიდან რუსეთს გადახვეწილი არჩილ II ისათვის 1682 წლის 23 სექტემბერს. მასში მოცემულია იმ შესაწირის შესახებ, რომლებიც

¹ ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, 450

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბილისი, 1979, 361

მარიამ დედოფალს ეკლესია-მონასტრების დახსნისათვის გაუღია: „მარიამ დედოფლის მარგალიტი და სხვა ნივთები, რომლებიც მან გადმოგვცა ჩვენ სამ ათას რუას ტალერად გავყიდეთ“¹, “კიდევ წყვილი ზურმუხტის საყურე, რომელიც მარიამ დედოფალმავე მოგვცა, შვიდასორმოცდაათ ტალერად გავყიდეთ...”²

იერუსალიმის მონასტრისათვის მარიამ დადიანი, რომ მნიშვნელოვანი პიროვნება ყოფილა, ამიტომაც გამოუსახავთ მისი ფრესკა იერუსალიმის მონასტრის სამხრეთის კედელზე, საკურთხეველის სვეტზე.

სამწუხაროდ, ამ ფრესკამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა ნ. ჩუბინაშვილისა და ა. ცაგარელის ჩანახატების მიხედვით ცნობილია, რომ მარიამ დედოფალი გამოსახული ყოფილა დაჩოქილი მაცხოვრის წინაშე. პორტრეტს ჰქონდა წარწერა: “ქართლის დედოფალი მარიამი, ასული დადიანისა, შეუძნენ ღმერთმან ამინ”³

როგორც წყაროებიდან ვიგებთ, ქართლის დედოფალი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, ქველმოქმედი, საკმაოდ ნიჭიერი პოლიტიკოსი, დადიანის ასული მარიამი სავარაუდოდ გარდაიცვალა 1682-1683 წლებს შორის. მ. ბროსეს აზრით კი, მარიამი გარდაიცვალა 1680 წელს. იგი დაკრძალულია მცხეთაში: “...ასული დადიანისა დედოფალი საქართველოსა მარიამ დავემკვიდრე მცირესა ამას (მცხეთას) საფლავსა...”⁴

აქვე შეუწირავს მას 1679 წელს ღვთისმშობლის ხატი, ოქროთი მოჭედილი, რომელზეც არის წარწერა: “ეჰა საყდარი... ღვთის მშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა მინდობილმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებე ხატისა ამის მოჭედეა და შევამკვეით ოქროთა და თვალ-მარგალიტთა და წმინდათა შენტა ნაწილებითა, ოდეს ინებო განყოფა სულთა და ხორცთა ჩუენთა, მომხედე წყალობითა... დაესვენოს საფლავისა ჩემისა თავსა ზედა ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად”⁵

როგორც ჩანს, მარიამი ორივე ქმრის სიკვდილს მოესწრო, რადგანაც მარიამის გარდაცვალებამდე 1676 წელს შაჰ-ნავაზ მეფე შაჰთან წავიდა და გზაში გარდაიცვალა “...მიიცვალა ტომკაროზს...”⁶ და ყუმში დაუკრძალავთ, ისევე, როგორც მისი მამობილი როსტომ მეფე.

სამწუხაროდ, ვახტანგსა და მარიამს შორის ურთიერთობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, განსხვავებით როსტომისა და მარიამის ურთიერთობისა. როსტომის დამოკიდებულებას მარიამის მიმართ კარგად ასახავს არაერთი წერილობითი წყარო.

როსტომის მიერ გაცემულ სიგელებს თუ დავაკვირდებით, როსტომ მეფესთან ერთად მოხსენიებულია მარიამ დედოფალიც, და ზოგიერთ შემთხვევაში მეფის ბეჭედთან ერთად, მარიამ დედოფლის ბეჭედიც არის გამოსახული. მაგალითად, 1637 წელს გაცემული სიგელი: “ყმისა და მამულის წყალობის წიგნი”, მიცემული როსტომ მეფის მიერ ზაქარია ავალიშვილისადმი: “ქმნებითა და შეწევნითა ღ[უ]თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფე[მა]ნ პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ...”⁷

მარიამ დედოფალი მოხსენიებულია ასევე 1638 წლის 27 აგვისტოს გაცემულ სიგელში: წყალობის წიგნი მიცემული როსტომ მეფის მიერ ბეჟან საგინაშვილისადმი: “ნებითა შეწევნითა ღუთისათა ჩუენ, მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ...”⁸

სიგელები, რომლებშიც მარიამია მოხსენიებული, არაერთი შემოუნახავს ჩვენს მემკვიდრეებს, სწორედ ამგვარი სიგელებით ხდება შესაძლებელი, გავიგოთ თუ რაოდენ დიდ პატივს სცემდა როსტომ მეფე თავის მეუღლეს და როგორ აქტიურად ერეოდა მარიამ დედოფალი, როსტომის დროინდელი ქართლის ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. ანთელავა ი., ლევან დადიანი, თბილისი, 1990.
2. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII სს.). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი, 1977.
3. მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2014.

¹ მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2014, 279

² მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 279

³ მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2014

⁴ ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, 496

⁵ ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, 494

⁶ ჟორდანიას თ., ქრონიკები, II, 491

⁷ ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბილისი, 1955, 146

⁸ ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 141

4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, თბილისი, 1979.
5. ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბილისი, 1955.
6. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
7. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
8. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წ. II, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტფილისი, 1897.

ტოპონიმ „ხაშურის“ წარმომავლობისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის

თინათინ მახათაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმზარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

მშობლიური კუთხის კვლევა ნებისმიერი პიროვნებისათვის ბუნებრივი პროცესია, მით უფრო, თუ მას პროფესიაც უწყობს და ისტორიულ დოკუმენტებზეც ხელი მიუწვდება. ჩემი ინტერესი ხაშურის მიმართ ჯერ კიდევ ბავშვობაში ყალიბდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის შესახებ ძველი დოკუმენტები ძალზე მწირია.

ხაშურის რაიონი ისტორიული შიდა ქართლისა და გვიანდელი ზემო ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი მოიცავს ისტორიულ საციციანოს მნიშვნელოვან ნაწილს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ წრომიდან დამჩხელამდე, მამის ხეობის ნაწილს, მდ. მტკვრის მარცხენა წყლის ხეობის ნაწილს (წაღვლი-ტკოცა-ფლევი), ქართლის სააბაშიოს (მდ. შოლის აუზი) და ბორჯომის ხეობის მცირე მონაკვეთს - სარმანიშვილის კარის წყლის ხეობას¹.

ხაშური, როგორც ქალაქი XIX ს. 70-იან წლებში ვითარდება. მისი განვითარება უკავშირდება ფოთი-თბილისის სარკინიგზო გზის მშენებლობას, რომელიც 1869 წ. დაიწყო. ქალაქად ქცევის შემდეგ, მისი უბნები გახდნენ წარსულში ცნობილი შინდარა, გორათი და ზემო ჭალა. 1872 წელს ხაშურს რუსეთის იმპერატორის ძმის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიაში მოღვაწეობის 10 წლისთავის აღსანიშნავად „მიხაილოვო“ ეწოდა . 1918 წლიდან მას კვლავ ძველი სახელწოდება - „ხაშური“ დაუბრუნდა, 1928-1934 წლებში ბელადის საპატივსაცემოდ „სტალინისი“ უწოდეს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ ხაშური².

ტერმინ „ხაშურს“ სულხან საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „ხაშური, მლაშე წყლის მარილი, გინა რაცა წყლისა და ტბორისაგანა მარილის მსგავსი რამ გამოვა; შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი მათ ნიშანს ეწოდების“³. ტოპონიმი „ხაშური“, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ზემოსერის, იგივე კაკალანთხევის ტერიტორიაზე არსებული მლაშე წყლებით, სადაც ღარიბაღელე მოედინება. მისი წყალიც მარილიანი, მლაშეა და გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით .

სავარაუდოდ, ტოპონიმის ფუძე სპარსულია. მაგალითად, სპარსულ ენაში არის სიტყვა „ხაქემურ“, რომელიც ძალზე წააგავს ქართულ ხაშურს და ითარგმნება, როგორც მლაშე მიწა⁴. სპარსული „ხაქემური“ და ქართული „ხაშური“ ერთმანეთის იდენტურია და ერთი შინაარსის მატარებელია .

აღსანიშნავია, რომ ხაშურის სახელწოდებით ცნობილი დასახლებული ადგილებია ბასკეთში (ესპანეთი), კაბადოკიაში (თურქეთი) და სხვაგან⁵ .

¹ თამაზ ლაცაბიძე. ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, ხაშური, 2010, გვ. 3.

² თამაზ ლაცაბიძე. ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, გვ. 148.

³ სულხან საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“ რედ: ს. იორდანიშვილი. თბ. 1949, გვ. 465.

⁴ М. А. Гаффаров, Персидско-Русский словарь, Москва 1927, стр. 276-277.

ვახუშტი ბატონიშვილი კარგად იცნობს ხაშურს და მის შემოგარენს. ხაშური ბატონიშვილს დატანილი აქვს რუკაზეც. იგი აღნიშნავს: „ოსიაურის ზეით, ხაშურს ერთვის სურამის წყალს ქემერტის წყალი (იგივე ქემფერი), აღმოსავლიდამ. გამოსდის ლიხის მთას“. ხაშურის გვერდით ბატონიშვილი ახსენებს „მცირე ქალაქებს“: სურამსა და ალს, რომელთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მიუთითებს, რომ „მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“².

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ხაშური პატარა და უმნიშვნელო დასახლება და კონკურენციას ვერ უწევს მეზობელ „მცირე ქალაქებს“ სურამსა და ალს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ისტორიულ წყაროებში ხაშური იშვიათად იხსენიება. საქართველოს იმდროინდელი გზების გათვალისწინებით, სურამსა და ალს უფრო ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა და ორივე ქალაქი აბრეშუმის გზის არსებობის მანძილზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდნენ. ხაშურის დაწინაურება და განვითარება, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოგვიანებით სარკინიგზო გზის გაყვანას უკავშირდება და, შესაბამისად, ალი და სურამი მას კონკურენციას ვეღარ უწევენ.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული დოკუმენტები ხაშურის შესახებ ძალზე მცირე რაოდენობით არის ჩვენამდე მოღწეული, შეიძლება ითქვას, რომ მისი ისტორია მინიმუმ 4-5 საუკუნეს მაინც ითვლის. მხედველობაში გვაქვს XVII საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დროინდელი ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, ელენე დედოფალი, მეფე ნაზარალიხანთან (იგულისხმება ქართლის მეფე ერეკლე I - 1688-1703 წწ. – თ. მ.) ერთად, ზაალ აბაზაძეს და მის შვილებს, ერთგულების სანაცვლოდ, სხვა ტერიტორიებთან: შინდარას, პაკვიურის მამულთან, ოძისთან, ცედანსა და ა.შ., ხაშურში უბოძებს ჩაჩანიძისეულ მამულს³. დოკუმენტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტში, დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე, არ აღნიშნება დაზიანებები და კარგად იკითხება. ჩვენამდე ორიგინალის სახით არის მოღწეული. იწყება ქართული ისტორიული საბუთებისათვის დამახასიათებელი ღვთის სადიდებლით. ჩვენ საბუთიდან მხოლოდ იმ ნაწილს მოვიტანთ, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ტოპონიმ „ხაშურის“ ქრონოლოგიაზე: „დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ნაზარალიხან თქვენ ჩვენსა ერთგულსა და წესისამებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს აბაზაძეს ზაალს, შვილსა შენსა დავითს, სეხნიასა, მძისწულსა შენს ქაიხოსროს, რომაქს და გიორგის შვილის შვილთა და მამავალთ სახისა თქვენისათა, ასე და ამა პირსა ზედან რომე, ბატონის დიდის გიორგის, მეფესგან ბატონის სვიმონისაგან, ბატონის ლევანისაგან, ბატონის თეიმურაზისაგან და მეფეს როსტომისაგან, თქვენის ერთგულებისა და დიდის ნამსახურისათვის წყალობა ექნათ, თქვენის მამულებისა ნასყიდისა, ნაწყალობევისა და თქვენის მამა პაპათა. სამკვდრო წიგნები გქონდათ და მათი ხმარებული სიგელები გინახეთ და ვითაცა იმათგანაც გიბრძანებიათ და წყალობა ექნათ, მოგუიდეგით კარსა ჩვენსა და სიგელების განახლებას დაგვაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, რაცა დიდი გიორგი მეფეს აქათ სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან წყალობა გჭირვებოდათ და ან გქონებოდათ: აღბეგაშვილი გოგინა შინდარას, კვახიაშვილი ბეჟუა და შიო, ნიქოზელი ბერუას შვილები და პარკაული მამული, ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული... ყოველი კაცის უცილებლად თქვენთვის გვიბოძებია... როგორც ბატონის თეიმურაზის ერთგულნი ყოფილხართ, აგრეთვე ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შიგან არასოდეს მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა შემდგომ სხვათა მეპატრონეთაგანო“. საბუთს ბოლოში უზის ხელრთვა და ქორონიკონის მიხედვით თარიღდება 1693 წლით (ქ-კი „ტპა“)⁴.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული სიგელით ხდება ძველი წყალობის განახლება. პირველი მწყალობელთა შორის საბუთში დასახელებულია „დიდი გიორგი“, „ბატონი სვიმონი“, „ბატონი ლევანი“, „ბატონი თეიმურაზი“ და „მეფე როსტომი“. უდავოა, რომ ჩამოთვლილ გვირგვინოსანთაგან, როსტომი იგივე როსტომ ხანია (1632-1658 წწ.). თეიმურაზი, ჩვენი აზრით, თეიმურაზ I უნდა იყოს (1606-1648 წწ.), „ბატონი ლევანი“ თეიმურაზის პაპა, კახეთის მეფე ლევანია (1520-1574 წწ.), ხოლო „ბატონ სვიმონი“ ქართლის მეფე სვიმონ I (1556-1600 წწ.) უნდა მოვიანო.

ძალზე საინტერესოა ვინ არის საბუთში მოხსენიებული მეფე „გიორგი“. ყველა დანარჩენი გვირგვინოსანისაგან განსხვავებით მას ეპითეტად წინსართი „დიდი“ აქვს დართული. ძნელი სათქმელია ვინ იგულისხმება მასში. შესაძლოა ეს იყოს გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფე გიორგი VIII (1466-1466), მაგრამ მას „დიდის“ ეპითეტით არასოდეს უსარგებლია. თუ იგი გიორგი V ბრწყინვალეა (1318-1346 წ.წ.), ექვს იწვევს ის ფაქტი, რომ საბუთის დაწერიდან (1693 წ.) გიორგი ბრწყინვალემდე ძალზე დიდი დროა გასული და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ 6 გიორგი ჰყავდა (ქართლის მეფეები:

¹ თამაზ ლავბიძე, ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, გვ. 147.

² ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 377.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. HD-1676.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. HD-1676.

გიორგი IX (1525-1527); გიორგი X (1600-1606); გიორგი XI (1676-1688, 1703-1709); კახეთის მეფეები: გიორგი I (1466-1476) და გიორგი II (1511-1513).

საბუთი რომ ნამდვილია და არა ყალბი, მრავალი არგუმენტით მტკიცდება. როგორც ითქვა, იგი დაწერილია, მოყვითალო უხეშ ქალაღზე. პალეოგრაფიულადაც XVII საუკუნისას ჰგავს. რაც შეეხება მასში მოხსენიებული პირების: აბაზაძე ზაალისა და მის ოჯახის წევრების არსებობა, ამავე ხანებში გაცემული არაერთი საბუთით დასტურდება. მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი საბუთის მიხედვით, აბაზაძე როშაქ, მმა ზაალ აბაზაძისა, მოწმედ ჩანს ზაზა აბაზაძის მიერ იასე მურვანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობისა 1691 წელს¹. სხვა საბუთით, აბაზაძე როშაქი მოწმეა აბაზაძე ზაალის მიერ იასე მურვანიშვილის მიწის ნასყიდობის წიგნის. კიდევ ერთი საბუთის მიხედვით, ზაალ და როშაქ (როშნა) აბაზაძეების მამას რამაზ აბაზაძეს თეიმურაზ I ერთგულების სანაცვლოდ უახლებს მამა-პაპისეული მამულების წყალობას² და სხვ.

აბაზაძეები იმ დროისათვის რეალური პიროვნებები და, შესაბამისად, საკმაოდ დაწინაურებულნი გვარის წარმომადგენლები არიან³. თვით ზაალის მამა - რამაზ აბაზაძე, თეიმურაზ მეფის ერთგული კაცია. როგორც ჩანს, ეს გვარი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს და სამეფო კარზე წარმატებებიც აქვთ.

როგორც ცნობილია, 1688 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI-ს ქართლი ჩამოართვა და კახეთის მეფეს ერეკლე ნაზარალი-ხანს გადასცა, რასაც მათ შორის დაპირისპირება მოჰყვა და ქართულ ისტორიოგრაფიაში „ორიანობის“ სახელითაა ცნობილი. გიორგი XI და ერეკლე I დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ქართლის თითოეული ციხისათვის და მათთვის თითოეული გავლენიანი პიროვნების მიმხრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ზემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანს, რომ მოცემული დროისათვის (1693 წ.) ხაშური და მისი მიმდებარე ციხეები, მათ შორის სურამიც, ერეკლე ნაზარალი-ხანის მფლობელობაშია. სიგელში ხაზგასმულია მოწოდება ერთგული მოხელეებისადმი, რომ აბაზაძეებს წყალობაში არავინ შეეცილოს: „აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ ვეზირნო და სურამის ციხისათა და ვინცავინ ჩვენი ბრძანების მორჩილნი იყვნეთ ასრე გაუთავეთ ბრძანება და ნიშანიო“⁴.

ზემოთქმულ საბუთებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ხაშური, როგორც დასახლებული პუნქტი, XV-XVI საუკუნეებშიც უნდა არსებულებო.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ხაშური ისტორიულ დოკუმენტებში უკვე ხშირად იხსენიება.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით, აქ 15 კომლი ცხოვრობს: ბუქუტაშვილი, ოღძელი, გივიშვილი (2), ქუზიაშვილი, აქიმაშვილი, ალექსიშვილი, ინდიშვილი (2), შოშიტაშვილი, აბიაშვილი (2), მალიძე⁵.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ნათქვამია, რომ „სოფელი ხაშური ახლოსაა სოფელ გორთან და ექვემდებარება ამილახვარს. აქ დაფიქსირებულია 15 კომლი მოსახლე“. მიუხედავად იმისა, რომ 15 წლის განმავლობაში (1715-1728 წწ.) ხაშურის მოსახლეობა გაზრდილი არ ჩანს, გორის გვერდით მისი მოხსენიება გავლენის ზრდაზე უნდა მიუთითებდეს.

1865 წლის აღწერით, ხაშურში უკვე 45 კომლი მოსახლეა, რომელთაგან სახელმწიფო გლეხია 26, საეკლესიო -2, ხოლო დანარჩენი -17 დროებით ვალდებულია⁷.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხაშურის შესახებ დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული უძველესი საბუთის XVII საუკუნის უკანასკნელი ათწლეულით დათარიღების მიუხედავად, მისი ისტორია, მინიმუმ XV-XVI საუკუნეებიდან უნდა დავიწყოთ.

დამოწმებანი:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 1676; 14927; 2106; ფ. SD, საბ. 501
2. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
3. თ. ლაცაბიძე, ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, ხაშური, 2010.
4. Гафаров, Мирза Абдулла. Персидско-русский словарь. Под ред. ак. Ф.Е. Корша, Москва 1927.
5. სულხან საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, რედ.: ს. ორდანიშვილი, თბ., 1949.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. HD-14927.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. SD-501.

³ იხ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. HD-14927; HD-2106; SD-501;

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. HD-1676.

⁵ რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარი, რედაქტორი ნიკოლოზ მროველი, თბ., 1983, გვ.99-100

⁶ თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დავთარი, წიგნი I, შესავლითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს სერგი ჯიქიამ და ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 266.

⁷ თამაზ ლაცაბიძე. ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, გვ. 149.

6. რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარი, რედაქტორი ნიკოლოზ მროველი, თბ., 1983.

7. თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დავთარი, წიგნი I, შესავლითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს სერგი ჯიქიამ და ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

„თურქი მესხების“ საკითხი, პრობლემატიკა და პერსპექტივები

მადონა მოსიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: იოსებ ალიმზარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი რეგიონი - მესხეთ-ჯავახეთი (მოგვიანებით - სამცხე-საათაბაგო) ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლების შემდგომ, ოსმალებმა XVI საუკუნის მეორე ნახევარში თანდათანობით მიიტაცეს და „გურჯისტანის ვილაიეთში“ გააერთიანეს. 1595 წელს ოსმალო მოხელეებმა შეადგინეს საქართველოს ამ ნაწილის აღწერის დავთარი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უწოდეს. ოსმალებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე 1160 ქართული სოფელი აღწერეს, მიწათმფლობელობისა და ადმინისტრაციული მმართველობის ტრადიციული ქართული სისტემა მოსპეს და მოსახლეობა მძიმე და მათთვის უცხო („ისფენჯი“, „დონუმი“, „სალარიე“, „ბეჰრე“, „უმური“ და სხვ.) გადასახადებით დაბეგრეს¹.

მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა ითქვას, რომ ამ ადგილებში დარჩენილ მოსახლეობას საქართველოსთან კავშირობა ბოლომდე არ გაუწყვეტია და ენა ბოლომდე შეინარჩუნა. ადმინისტრაციულადაც, ოსმალების ხელდასმით ამ ტერიტორიას ისევ ჯაყელები და ხიმშიაშვილები (ოღონდ გამაჰმადიანების პირობით) მართავდნენ და „de facto“ ძველი წოდებრიობაც შენარჩუნდა². თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნა. ოსმალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ ადგილების კოლონიზაციის მიზნით. სერიოზული საფრთხე შეექმნა ქართველთა ეთნიკურობას, ტრადიციებს, ზნეობას და რა თქმა უნდა, პირველ რიგში სარწმუნოებას. ოსმალებმა ეს ტერიტორია სანჯაყებად დაჰყვეს და ოთხ ვილაიეთში გააერთიანეს. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამ მოვლენის შესახებ წერდა: „არღარავინ იყო ქრისტიანე თვინიერ გლეხთა, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთისა, და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტაანს“³.

როგორც ითქვა, ქართულ საზოგადოებას კავშირი ამ კუთხესთან არასოდეს გაუწყვეტია. განსაკუთრებით გამლიერდა ურთიერთობა რუსეთ-თურქეთის (1806-1812; 1828-1829 წწ.) ომების დასრულებისა და ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთების შემდეგ.

XIX საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებელნი ძალზე მცირე რაოდენობით იყვნენ დარჩენილი. როგორც ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) წერდა: „აქა იქ ძლივსღა კივიკივბდა თითოთოროლა მართლმადიდებელი. მთელი მესხეთი, საქართველოს საუკეთესო ნახევარი, მაჰმადიანობამ სამუდამოდ მოჰკვეთა სამშობლოს. სამშობლოსთან ერთად მაჰმადიანობამ ქართველს სული და გული შეუცვალა. თითო-ოროლას შერჩა ნიშანი ქართველობისა - ენა, მაგრამ ამასაც კარგავენ ჩვენს თვალწინო“⁴.

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი II, თბ., 1941.

² კონსტიტუციური ცვლილებები ოსმალოს საქართველოში (ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX სს, თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნიაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2013 წ. გვ. 8.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, სიმ. ყაუხჩიშვილის კომენტარებითა და შენიშვნებით, თბ., 1973, გვ. 736.

⁴ ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი. გამომცემლობა „მარეხი“, თბ., 1991 წ. გვ. 32-41.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ამ რეგიონში ქართული მისწრაფებანი კვლავ გაძლიერდა, თუმცა, არც ოსმალეთის მთავრობა იჯდა „გულხელდაკრეფილი“. მათ სამცხე-ჯავახეთში აამოქმედეს სერვერ-ბეგ ათაბაგი, ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ავტონომიის სახით თურქეთის შემადგენლობაში გადასვლის მოთხოვნით და ე. წ. „რეფერენდუმიც“ კი ჩაატარეს, მაგრამ საქართველომ მოახერხა მისი შენარჩუნება.

საბჭოთა ხელისუფლება მაჰმადიან მესხებს ძალზე ავიწროებდა. მათ უარს ეუბნებოდნენ ქართული სკოლების გახსნაზე, ისტორიული გვარების აღდგენაზე და სხვ. ოშორის, მოგარეთის, გიორგიწმინდისა და სხვა სოფლების მოსახლეობის თხოვნაზე, მათი ბავშვებისთვის ქართული სკოლები გაეხსნათ, საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა მარიამ ორახელაშვილმა უპასუხა, რომ „თქვენ თათრები ხართ და თქვენს მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოთ.“ ხოლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მიმართ თურქეთის მტრული პოზიცია აშკარა გახდა, ილუზიები საბოლოოდ გაიფანტა და საბჭოთა ლიდერებმაც ძირეულად შეცვალეს მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულება. სამცხე-ჯავახეთში სწრაფად დაიწყო ქართული გვარების აღდგენის და ქართული სკოლების გახსნის პროცესი¹.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა მისთვის სხვადასხვა კუთხით „მიუღებელი“ მოსახლეობის (რელიგიური, ეთნიკური, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების) იძულებით გადასახლებას. განსაკუთრებით გაძლიერდა ხელისუფლების „შიში“ ამ კატეგორიის მოსახლეობის მიმართ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისას. ომის განმავლობაში მშობლიური ადგილებიდან შუა აზიაში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლეს დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი. მათ შორის 8 ეთნიკური ჯგუფი - მთლიანად. ამგვარი კოლექტიური დეპორტაციის მსხვერპლნი გახდნენ ვოლგისპირეთში მცხოვრები გერმანელები, ასევე კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებში მცხოვრები ბალყარელები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყირიმელი თათრები და მესხები². თურქეთის საზღვართან ახლოს მცხოვრები მესხების შესახებ სტალინი შიშობდა, რომ ომის შემთხვევაში, ისინი თურქეთს დაუჭერდნენ მხარს.

1944 წლის 15-17 ნოემბერს მესხეთში მცხოვრები მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა და მათთან ერთად მოსახლეობის უფრო მცირე ჯგუფები: მომთაბარე ყარა-ფაფახები, ქურთები, ბოშები და თურქები იძულებით აყარეს თავიანთი სახლებიდან და პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით გაუყენეს შუა აზიის გზას. 25-26 ნოემბერს დაიწყო კიდევ ერთი მასობრივი დეპორტაცია მეზობელი აჭარიდან, საიდანაც გადასახლეს მაჰმადიანთა ჯგუფები, რომელშიც შედიოდნენ ჰემშინები, მესხები, ქურთები. ოფიციალური მონაცემებით, ამ ორი რეგიონიდან, სულ 94 955 ადამიანი გადასახლეს. მოგვიანებით იმავე გზას გაუყენეს გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი საბჭოთა არმიის დაახლოებით 10 000 ჯარისკაცი. საბოლოო ჯამში უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადასახლებულთა რიცხვმა 100 000-ს გადააჭარბა. თითოეულ სატვირთო ვაგონში 90-90 ადამიანი შეჰყარეს და გაგზავნეს საბედისწერო მოგზაურობაში, რომელიც 18-22 დღე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში სიცივის, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაახლოებით 3000 ადამიანი გარდაიცვალა. უცნობ გარემოში ჩასვლის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში შიმშილით და ავადმყოფობით იტანჯებოდნენ. გადასახლებულები სპეციალურად იყვნენ გაფანტულნი შუა აზიის რესპუბლიკების 18 რეგიონში და მათ აიძულებდნენ ეცხოვრათ სპეციალურ დასახლებულ ზონებში, სადაც მუშაობდნენ მიწის მუშებად და მუდმივ გაჭირვებაში იყვნენ. მესხებს აკრძალული ჰქონდათ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილის დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელი ითვალისწინებდა 15-დან 20 წლამდე მძიმე შრომას გულაგის ბანაკში. ეს განაწესი უკრძალავდა ადამიანებს სპეციალური ნებართვის გარეშე მოენახულებინათ სხვა ზონებში მცხოვრები ოჯახის წევრები და ნათესავები³.

სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ახალმა ლიდერმა - ნიკიტა ხრუშოვმა გააუქმა დეპორტირებულ ხალხზე დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა. 1956 წელს კომპარტიის მე-20 ყრილობაზე გამოსვლისას მან რვა დეპორტირებული ხალხიდან ხუთს: ბალყარელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ყალმუხებს და ყარაჩაელებს უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება მისცა. რეპარტიაციის უფლება მხოლოდ მესხებს არ მიეცათ⁴.

¹ საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“. N1 (13) 2010, გვ. 12.

² ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კილიმნივი. „მესხები: გზა შინისაკენ...“ გამოცემული 2011 წელს უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის კავკასიის მიერ EMCI გვ. 1.

³ ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კილიმნივი. „მესხები: გზა შინისაკენ...“, გვ. 13-15.

⁴ ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კილიმნივი. „მესხები: გზა შინისაკენ...“, გვ. 21-22.

სხვა დეპორტირებულ ჯგუფთა უწინდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამ იმედი გაუღვიძა „თურქ მესხებს“ შეერჩათ წარმომადგენელი საბჭოთა მთავრობასთან საურთიერთოდ, რათა მათ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მოეპოვებინათ. მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, რეპატრაციის მოთხოვნა ხელისუფლებამ იმ ეტაპზე უპასუხოდ დატოვა¹.

თურქი მესხების პრობლემამ ხელახალი ძალით იჩინა თავი 1989 წლიდან, როდესაც უზბეკეთის ქალაქ ფერგანაში მოხდა შეიარაღებული შეტაკება „თურქ-მესხებსა“ და ადგილობრივ უზბეკ მოსახლეობას შორის და რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ანუ ფაქტობრივად შეიქმნა დამატებითი ეთნოკონფლიქტი. როგორც ჩანს, იგი ხელოვნურად იყო პროვოცირებული. სწორედ აქედან დაიწყო თურქი მესხების ხელახალი ტრაგედია. მათ დატოვეს უზბეკეთი და სხვა ადგილები. ნაწილი თურქი მესხებისა გადასახლდა რუსეთის ფედერაციაში - სტავროპოლის მხარეში, ნაწილი აზერბაიჯანში, ნაწილი კი საქართველოში ჩამოვიდა.

ხელისუფლების მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხური და ბერძნული ეთნიკური წარმომადგენლები შეადგენდნენ. კიდევ უფრო გაიზარდა მათი რიცხვი ამ ადგილებიდან „თურქი-მესხების“ გადასახლების შემდეგ, რომელთაც დაცლილი ტერიტორიები დაიკავეს. რა თქმა უნდა, თურქი-მესხების ამ ტერიტორიებზე ხელახალი ჩამოსახლება „ახალმოსახლეების“ მხრიდან რთულად აღიქმებოდა, განსაკუთრებით სომხური მოსახლეობის მიერ, რადგან იყო გარკვეული შიში, რომ თურქი მესხები თურქულ ორიენტაციას დაუჭერდნენ მხარს. ამას შეიძლება სომხების ხელახალი გენოციდი, ან დაპირისპირება მოჰყოლოდა, თუმცა, ეს განწყობა მოგვიანებით შერბილდა².

ე. წ. „თურქი მესხების“ ისტორია ისეთივე არაერთგვაროვანია, როგორც მათთვის შერქმეული სახელები. მათ უწოდებენ თურქ მესხებს, მაჰმადიან მესხებს, ახსიკა თურქებს (ე.ი ახალციხელ თურქებს). რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების (1806-1812; 1828-1829 წწ.) შემდეგ, „თურქი მესხები“ აღმოჩნდნენ ორი სახელმწიფოს (რუსეთისა და თურქეთის) ტერიტორიაზე ლოკალიზებულნი და გაყოფილნი. ამ მოსახლეობას თითქმის 500 წლის განმავლობაში საერთო ისტორია, ენა და კულტურა ჰქონდათ.

მესხი ხალხის ისტორია ნათლად ასახავს მათი იდენტობის ცვალებადობას, რომლის მიზეზი ხან საზოგადოების შიგნით აღმოცენებული, ხანაც გარედან თავს მოხვეული ცვლილებები იყო. „თურქი მესხების“ წარმომავლობასთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის, განსაკუთრებით კი ქართველ და თურქ ისტორიკოსებს შორის, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ქართველი მეცნიერების უმრავლესობის მტკიცებით, მესხეთის მუსლიმი მოსახლეობა თავდაპირველად ქრისტიანი იყო და უძველესი დროიდან ერთ-ერთ ძირძველ ქართულ ეთნიკურ ერთეულს - მესხებს შეადგენდნენ. თურქი მეცნიერები, ზოგიერთ მესხ ლიდერთან ერთად დღემდე ამტკიცებენ, რომ მესხეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავდაპირველად ეთნიკური თურქი იყო, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ქართული კულტურისა და ადათ-წესების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ. თუმცა, ისტორიული წყაროები ნათლად ცხადყოფენ, რომ ეს რეგიონი უძველესი პერიოდიდან ქართული მიწა-წყალი იყო და მხოლოდ 1578 წელს, ოსმალთა მიერ რეგიონის დაპყრობის შემდეგ დადგა მასობრივი გათურქებისა და ისლამიზაციის პერიოდი. ეს კულტურული ტრანსფორმაცია საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა და მესხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დეეთნიზაცია გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა, მესხთა რეპატრაციის საკითხი ხელისუფლების ოფიციალურ ვალდებულებად გადაიქცა. საქართველოს დაეკისრა პასუხისმგებლობა, შეექმნა ის სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მესხები შეძლებდნენ როგორც დაბრუნებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას, ისე მისი მოქალაქეობის მიღებას. 1999 წელს, როდესაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, ამ ორგანიზაციამ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას გარკვეული მოთხოვნა წაუყენა, რომელიც საქართველოს ავალბდა თურქი მესხების დაბრუნებას ისტორიულ სამშობლოში. საქართველომ ეს ვალდებულება აიღო, მაგრამ იმ პერიოდში ქვეყანაში სიტუაცია იყო საკმაოდ არასტაბილური და მათი ჩამოსახლება დამატებით სირთულეებს შეუქმნიდა. ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში ეს საკითხი კვლავ გახდა აქტუალური. მართლაც, ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი ჩამოსახლდა და დარჩა კიდევ საქართველოში. თურქი მესხების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს კრასნოდარის მხარეში. აზერბაიჯანში, ამერიკის მთავრობამაც გამოყო რამდენიმე პორტი, სადაც გადასახლდნენ „თურქი მესხები“³.

¹ ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კილიმნივი. „მესხები: გზა შინისაკენ...“, გვ. 26.

² პირადი ინტერვიუ ცნობილ პოლიტოლოგ ვახტანგ მაისაიასთან (23. 05. 2014).

³ პირადი ინტერვიუ ცნობილ პოლიტოლოგ ვახტანგ მაისაიასთან (23. 05. 2014).

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეპატრიაციის შესახებ, ამ ფაქტმა რუსეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ „თურქ მესხებში“ ოპტიმიზმი წარმოშვა, რომ რეპატრიაცია დაიწყებოდა, მაგრამ კანონის მიღებიდან რამდენიმე თვეში ოპტიმიზმი უკმაყოფილებამ შეცვალა. მესხების ნაწილს განცხადების წარდგენის პროცედურა ზედმეტად გართულებულ ფორმალობად მიაჩნდა, ხოლო სამართლებრივ ჩარჩოს დაბრკოლებად უფრო თვლიდა, ვიდრე მათი დაბრუნების რეალურ ხელშემწყობ საშუალებად. ამ მიზეზების გამო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ 158-180 მესხი, ძირითადად აზერბაიჯანიდან გადმოსახლდა საქართველოში და უმთავრესად ახალციხისა და ადიგენის რაიონში დასახლდა.

მესხები ლაპარაკობენ თურქული ენის დასავლეთ ანატოლიურ დიალექტზე, რომელიც ძალიან ჰგავს აზერბაიჯანულს. დეპორტაციამდე ისინი ფლობდნენ ქართულ ენას, თუმცა წლების განმავლობაში გადასახლებაში ყოფნისას ქართული ენა დავიწყებას მიეცა. რაც შეეხება მათ რელიგიას, მესხების უმრავლესობა სუნიტური ისლამის ჰანაფიტური წესის მიმდევარია¹.

საქართველოს მოსახლეობა განსხვავებული რელიგიებისა და ეთნოსის მიმართ, ტრადიციულად შემწყნარებლურია, მაგრამ საზოგადოების აზრი თურქი მესხების რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით მაინც არაერთგვაროვანია. მოსახლეობის უმრავლესობა რეპატრიაციას აღიქვამს, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ და დემოგრაფიულ საფრთხეს. მეტიც, ბევრი შიშობს, შეიძლება ამ ფაქტმა გამოიწვიოს დამაბულობა, დესტაბილიზაცია და კონფლიქტი ისედაც გართულებულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფონზე, რადგან მათი ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან:

1. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები;
2. თავისუფალი სავარგულების ნაკლებობა ქვეყანაში;
3. მოსალოდნელი კონფლიქტი ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასთან და დესტაბილიზაციის კიდევ ერთი კერის წარმოშობა;
4. დღემდე გაურკვეველია მათი წარმომავლობა, თუ ვინ არიან სინამდვილეში თურქი მესხები, მოგვიანებით გამაჰმადიანებული ქართველები ანუ მესხები, თუ არაქართული წარმომავლობის (თურქული) ეთნოსის წარმომადგენლები. ისიც საგულისხმოა, რომ მათ შექმნეს თავიანთი ეროვნული მოძრაობის ორგანიზაცია, რომელსაც დაარქვეს ვატანი, რაც თურქულად სამშობლოს ნიშნავს, ხოლო მისი ქმედებები საქართველოს ეროვნულ ინტერესებში მაინცდამაინც ვერ ჯდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი II, თბ., 1941.
3. საქართველოს ისტორია, II ტომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
4. თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი, კონსტიტუციური ცვლილებები ოსმალის საქართველოში (ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX სს), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013.
5. ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორესტ კილიმნიკი, „მესხები: გზა შინისაკენ...“, 2011.
6. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №1 (13, 2010).
7. ალექსანდრე ფრონელი, „დიდებული მესხეთი“, გამომცემლობა „მარიხი“, თბ., 1991.

¹ ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორესტ კილიმნიკი, მესხები... გზა შინისაკენ, გვ. 67-68

რაფიელ დანიბეგაშვილი - მოგზაური და დიპლომატი

ნინო ტატიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მამუკა ჯოლბორდი, პროფესორი

საქართველოსა და ინდოეთს შორის, მკვლევართა ვარაუდით, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობანი უხსოვარი დროიდან უნდა არსებულებოდა, თუმცა ამ ურთიერთობის შესახებ სანდო ისტორიული ცნობები მხოლოდ გვიანი პერიოდიდან მოგვეპოვება.

ინდოეთისადმი საქართველოში არსებული ინტერესის გამომხატველია „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ჯუანშერს მიეწერება - „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თვით დიდისა და ღვთის მოყვარისა მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (2; 3-4).

ცნობათა სიუხვით საქართველოს და ინდოეთის ურთიერთობათა შესახებ XVIII საუკუნის ცნობები გამოირჩევა, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში და მისი მოგზაურობის ამსახველი ტექსტები.

სამი ათეული წელი მოგზაურობა, ხუთგზის ჩასვლა ინდოეთსა და ბირმაში, 70 ათასი კილომეტრის გავლა, ათზე მეტი სახელმწიფოს აღწერა - ასეთია რაფიელ დანიბეგაშვილის ღვაწლი სამოგზაურო ისტორიაში. იგი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც აღწერა ინდოეთი და ბირმა, გადაკვეთა ყარაყორუმის მაღალი, მუდმივთოვლიანი მთაგრეხილი და მოინახულა რამდენიმე სახელმწიფო (5; 32).

მოგზაურის პირადი ცხოვრების შესახებ მეტად ძუნწი ცნობებია შემონახული, ჯერ კიდევ დაუდგენელია მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები, მხოლოდ ზოგიერთი საბუთით და მოგზაურობის აღწერილობით აღვადგენთ მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს; ამ ცნობების თანახმად, რაფიელ დანიბეგაშვილი თბილისში ცხოვრობდა. გიორგი XII-ის 1799 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული სიგელიდან ვგებულობთ, რომ რაფიელის მამა ერეკლე II- ის დავალებით ყოფილა ინდოეთში, აქვე მოხსენიებულია რაფიელის ძმა იოსები. სიგელიდან ჩანს, რომ რაფიელის მამა ინდოეთში რამდენჯერმე ჩასულა. ჯერჯერობით ცნობილია 1775 წლის ახლო პერიოდისა და 1786 წლის მოგზაურობა, რასაც გვიდასტურებს შამირ ადასათვის ლორეს ბოძება და თავადობა 1786 წელს. ეს ორივე სიგელი ინდოეთში სწორედ დანიბეგაშვილის მამას წაუღია (3; 67).

რაფიელის ძმა იოსები და დედა როზა მოხსენიებულები არიან 1803 წლის თბილისის აღწერაში. ინდოეთში გამგზავრებისას რაფიელ დანიბეგაშვილს გირაოდ დაუტოვებია მეფისაგან ნაბოძები ბაღი და სახნავი მიწები ლურჯ მონასტერთან.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე ცნობილი იყო რაფიელ დანიბეგაშვილის მხოლოდ ერთი მოგზაურობა, რაც დადასტურებულია მოსკოვში 1815 წლის რუსული გამოცემის ტექსტით. ვ. პლოსკინის მიერ აღმოჩენილი საბუთების მიხედვით, ასევე სიგელების თარიღების სწორად წაკითხვით დადგინდა, რომ დანიბეგაშვილი ინდოეთში ყოფილა ხუთჯერ.

რაფიელ დანიბეგაშვილი თავისი მოგზაურობის აღწერისას გვევლინება გამბედავ, თავაზიან, ცნობისმოყვარე და დაკვირვებულ პიროვნებად. მას ყურადღების გარეშე არ რჩება უცხო ქვეყნების შესახებ ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა სახის ცნობები. იგი არანაკლებ ყურადღებას აქცევს გზადგავლილი ქვეყნებისა და ქალაქების გეოგრაფიულ მდგომარეობას, ქვეყნების ისტორიულ წარსულს და სამხედრო საქმეს.

ასე მრავალჯერ ჩატარებული მოგზაურობის მიზნები სხვადასხვაა და დანიბეგაშვილს ამას ეპოქის გარკვეული პირობები უკარნახებდა; ჯერ ერთი, დანიბეგაშვილების საგვარეულო მიეკუთვნებოდა მოგზაურ-ვაჭართა იმ ჯგუფს, რომელიც არა მარტო ვაჭრობას ეწეოდა უცხოეთში, არამედ დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდა.

რაფიელ დანიბეგაშვილმა ინდოეთში პირველად იმოგზაურა 1795 წელს და 1797 წელს დაბრუნდა საქართველოში, ამას მოწმობს თამასუქი ფულის სესხების შესახებ. იმავე წელს იგი მეორედ გაემგზავრა ინდოეთში და დაბრუნდა 1795 წლის ბოლოს. 1795 წლის ბოლოს კი უკვე მესამედ მოუხდა გამგზავრება გიორგი XII-ის დავალებით.

ყველაზე ხანგრძლივი მესამე მოგზაურობა აღმოჩნდა: იგი 1813 წელს დაბრუნდა მოსკოვში. გარკვეულია, რომ რაფიელ დანიბეგაშვილს მეოთხედ უმოგზაურია 1815-1820 წლებში, ხოლო მეხუთედ 1822-1827 წლებში.

დანიბეგაშვილის მოგზაურობიდან დაწვრილებითაა ცნობილი მხოლოდ მესამე მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც აღწერილია მისსავე ნაშრომში.

იგი თავის მოგზაურობას ასე იწყებს: „1795 წლის მარტის 15 დღესა წარგზავნილი ვიყავი საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ ინდოეთს, შემდეგი გარემოების გამო მადრასში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი, რომელიც ერეკლეს ყოველწლიურად საჩუქრებს უგზავნიდა, მეფემ საპასუხო ჯილდოდ დიდი სოფელი ლორე უბოძა და მფლობელობის სიგელი ჩემს ხელით გაუგზავნა. მადრასში ჩასვლისას ის სომეხი ცოცხალი აღარ დამხვდა, იგი ჩემს მისვლამდე ერთი წლით ადრე გარდაცვლილიყო, ხსენებული სიგელი გადავეცი მის შვილს, რომელიც იმ დროს მადრასში იმყოფებოდა“ (4;11).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რაფიელის მოგზაურობა ინდოეთში დიპლომატიური მიზნებით იყო ნაკარნახევი. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა ერეკლე მეორის შამირ აღასთან დაახლოება? ცნობილია, რომ პაატა ბატონიშვილი კარგად იცნობდა ინგლისსა და საფრანგეთს: იგი ერეკლე მეორეს ურჩევდა ინგლისთან დაახლოებას აღმოსავლეთის (კალკუტის) გზით. ამავე დროს თბილისში მყოფი პატრები ევროპის გზით საფრანგეთთან დაახლოებას ითხოვდნენ. მეფე ერეკლე ვერ წყვეტდა ინგლისთან ურთიერთობის საკითხს, თუმცა იმ დროისათვის ბევრმა ქართველმა გააბა კავშირი ინდოეთში მყოფ ინგლისელებთან. ბოლოს ერეკლე მეფემ გადაწყვიტა ინგლისთან დაახლოება. ინგლისში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი ვაჭარი იაკობ სულთანუმიანი (იგივე შამირ ალა), იგი ჭაბუკობისას ჩასულა მადრასში და XVIII ს-ის II ნახევარში ინდოეთის ყველაზე მდიდარი ვაჭარი გამხდარა. იაკობის სურვილი ყოფილა, ქართველი მეფის დახმარებით აღედგინა სომხეთის სახელმწიფო. შამირ ალამ სომხეთში დააარსა სტამბა, სწორედ იქ დაბეჭდილი წიგნებით გაიცნო ერეკლემ იგი. 1775 წელს ერეკლეს დაუწყია მიმოწერა, ეს ის პერიოდია, როდესაც დანიბეგაშვილების ოჯახი ვაჭრობით იყო განთქმული, სწორედ იოსებ დანიბეგაშვილს უნდა წაეღო ეს წერილები ინდოეთში. შამირ ალას ერეკლე მიაჩნდა სომხების მფარველად და ამ მიზნით ერეკლეს შესთავაზა ინგლისელებთან დაახლოება და მისი მეშვეობით საქართველოსა და სომხეთის გაძლიერება. შამირ ალას მოლაპარაკება უწარმოებია ინგლისთან და სამომავლო გეგმებიც დაუსახავს, თუმცა მათი ეს ოცნება ვერ განხორციელდა, რადგან 1797 წელს ჯერ შამირ ალა, ხოლო მომდევნო წელს ერეკლე მეფე გარდაიცვალა. აი, სწორედ ასეთ დიპლომატიურ მისიას ასრულებდა დანიბეგაშვილების გვარი: ჯერ კიდევ რაფიელის მამა იოსები, ხოლო შემდგომ თვით რაფიელი. ამის შესახებ გიორგი XII-ის მიერ რაფიელისადმი ბოძებულ სიგელშია აღნიშნული: „სიგელი გიბოძეთ შენ, მამა-პაპით ჩვენს ერთგულსა და თავდადებით მრავალჯერად ნამსახურების კაცისშვილს, აზნაურს დანიბეგაშვილს, ხუთასის თავის ოსეფას შვილს რაფიელს, მმასა შენსა იოსებსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა... და შენ რაფიელ ამჟამად ინდოეთს გაგაგზავნეთ შამირ ალას შვილთანა, რადგანაც მამამენი კურთხეულის მამის ჩვენის სამსახურისთვის რამდენჯერმე წარგზავნილიყო შენც იმავე სამსახურად ინდოეთს გაგაგზავნეთ“ (4; 8)

რაფიელ დანიბეგაშვილმა მოგზაურობა თბილისიდან დაიწყო. ჩავიდა ახალციხეში, საიდანაც მალე გაემგზავრა. პირველად არზრუმში ჩავიდა, რომლის მისასვლელ გზას ასე ახასიათებს: „ახალციხე რომ დავტოვე, განვლე თურქთა სამფლობელოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ოცი დღის შემდეგ არზრუმს მივედი. ახალციხიდან ხსენებულ ქალაქამდე გზა გადის ფრიად მაღალ კლდოვან მთებსა და ამალღებულ ბორცვებს შორის, რომელთა სანახაობა ყოველ მოგზაურის თვალს იზიდავს“. ხოლო ქალაქ არზრუმის მდგომარეობა კი ასეა აღწერილი: „ქალაქი არზრუმის მდგომარეობა საკმაოდ კარგია, სივრცით იგი ახალციხეს აღემატება დამველებული ნაგებობანი სრულიად არ არის და არც შეიძლება იყოს, იმიტომ რომ მისი მცხოვრებნი ფრიად მშრომელნი და მდიდარნი არიან და ამას გარდა ცდილობენ ერთიმეორეზე უკეთესი სახლები იქონიონ, სწორედ ამიტომ არის ამ ქალაქში დიდებული შენობები“.

ამის გარდა, იგი ტიგრანაკერტში მისულა: „ძველად მთელ ქალაქს გარს ერტყა მაგარი ქვის გალავანი მაღალკოშკებით, რომელთაგანაც დღემდე მხოლოდ ნანგრევებია მოღწეული. მასში ძაღვზე ბევრია ხეხილი და ამიტომ მისი მცხოვრებნი ხილეულით ფრიად სასარგებლო ვაჭრობას ეწევიან, იქაური ჰავა ძაღვზე უწყობს ხელს ნაყოფიერებას, ამიტომ მიწათმოქმედთა შორის მას ყოველთვის უხვი მოსავალი ანაზღაურებს“.

რაფიელ დანიბეგაშვილი აქედან თხუთმეტი დღის მოგზაურობის შემდეგ მოსულში ჩავიდა, მოგზაური ქალაქ მოსულიდან ბაღდადისაკენ გაემგზავრა. იგი საკმაოდ დიდია და ლამაზი, შემოზღუდულია მაღალი და ლამაზად გაშენებული კედლებით, აქ მცხოვრებნი მეტად ამაყნი და მოუცლელნი არიან, თუმცა სტუმართმოყვარენი და კეთილმოსურნენი.

საკუთრივ ბაბილონელთა გარდა, ამ ქალაქში მრავალი სხვა ეროვნებაც ცხოვრობს, როგორცაა ინდო, სპარს-თურქი, სომეხი და ევროპელი. ამ ქალაქში არის ნავსადგური რომელსაც ინგლისელები ფლობენ. მათგან ამ ნავსადგურს მიჩნეული ჰყავს ზედამხედველი რომელსაც ბალიოზი ეწოდება. მას ამ თანამდებობის გარდა ევალება, როგორც მიღება სხვა ადგილიდან მოსული წერილებისა, ისე აქედან გაგზავნა სხვა ადგილას (4; 12).

ამის შემდგომ მოგზაურმა გაიარა სპარსეთის ყურე, შემდეგ მასკატიდან ზომბეში ჩავიდა. ზომბე მეტად განთქმული იყო ვაჭრებით, რომლებიც ძალზე მდიდრები იყვნენ. მისი თქმით, ქალაქის მცხოვრებნი კერპთაყვანისმცემლები არიან და თავისთავს კაბერს, ანუ ფარსს უწოდებენ.

ზომბეიდან ინდოსტანის დასავლეთ სანაპიროს შემოვლით კუნძულ ცეილონზე გადავიდა. ადრე ცეილონი ჰოლანდიას ეკუთვნოდა, დანიბეგაშვილის მოგზაურობის დროს კი ინგლისის საკუთრებაში ყოფილა. ცეილონიდან მოგზაური ინდოსტანის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში ჩავიდა. ჯერ ზონდოჩერის, შემდეგ თლაკბერში მივიდა, ხოლო აქედან ქალაქ მადრასში. აქ რაფიელ დანიბეგაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მიემგზავრება ბეკუში ან რანჰუნში, მეცნიერები დღეს სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ ამ ქალაქის მდებარეობაზე. სოლომონ იორდანიშვილი თვლიდა, რომ ეს ქალაქი არის თვით ინდოეთის ტერიტორიაზე. პროფესორ მარუაშვილის აზრით, ეს არის ბირმის ძველი დედაქალაქი ბეკუ, ამით, რა თქმა უნდა, მოგზაურის მარშრუტი უფრო გაიზარდა და შორს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაიწია. ბეკუდან კალკუტისაკენ მოგზაური ოკეანით გაემგზავრა, ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, გემი დაიშალა, რაფიელი სამ კაცთან ერთად ძლივს გადაარჩა. ამის შესახებ წერს: „ბევრჯერ შევეცადეთ ნაპირს მივდგომოდით, მაგრამ ნიანგების შიშით, რომლებიც აქ ძლიერ ბევრია და იმის გამო, რომ ოკეანის სანაპიროზე მდებარე ტყეებიდან შემზარავი ღრიალი მოგვესმოდა ვერაფრის გზით ვერ გავბედეთ ნაპირზე გასვლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბალახეული და ლერწმის ფესვები ჩვენს ერთადერთ საზრდოს შეადგენდა“.

როგორც იქნა, მიაღწიეს ჯერ კიკაის მდინარეს, შემდეგ ბაქარქანს. აქედან ქალაქ კალკადაში ჩავიდნენ, შემდეგ მდინარე განგის აღმა მიმართულებით მთელი რიგი ქალაქები გაიარეს და ინდოეთის ქალაქ დელის მიაღწიეს.

დანიბეგაშვილი გვაწვდის სხვადასხვა ცნობებს ქალაქების ისტორიული და მაშინდელი მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების შესახებ. დელიდან ფაიფურს გაემგზავრა, ჩავიდა ლაჰორში, აქედან ნორპორს, რომლის მახლობლად ყოფილა პატარა მთა, საიდანაც გამუდმებით ამოდიოდა ალი; ეს მთა (ნაპლასი) ცნობილია ბუნებრივი გაზით, რაფიელი აქედან ქაშმირში ჩავიდა. იგი ვრცლად ახასიათებს მის მიდამოებს - რელიეფს, ჰავას, მცენარეულობას, ზნე-ჩვეულებებს და სხვა.

მოგზაური შემდგომ იარკენტშია. იგი მხატვრულად აღწერს იქაურ ადგილებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ჩვენამდე მოღწეული თარგმნილი ტექსტის ზოგიერთი ადგილი: „ბუნება მთელი მისი სილამაზით ჩვენთვის მკვდარი იყო, არავითარ დიად სანახაობებს, არც ფრინველთა საამურ გალობას არ შეეძლო აღმოეფხვრა ჩვენი სულიდან განვლილი საშინელებანი, ყველგან შიში და ძრწოლა გვდევდა და ჩვენდა საუბედუროდ, არ მოჩანს ადამიანის არავითარი კვალი.“

დანიბეგაშვილი საკმაო ხანს გაჩერდა იარკენტში და შემდეგ ჩავიდა სემიპალატში, საიდანაც საბოლოოდ მოსკოვს გაემგზავრა.

რაფიელ დანიბეგაშვილის მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის შესახებ მასალები, როგორც აღვნიშნეთ, მოგვიანებით გახდა ცნობილი; ორენბურგისა და ომსკის არქივებში გამოვლენილი რაფიელ დანიბეგაშვილისა და სხვა პირთა ჩანაწერებით გაირკვა მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის ძირითადი მარშრუტები.

მეოთხე მოგზაურობის მარშრუტი ასეთი უნდა ყოფილიყო: სემიპალატინსკიდან -ქაშმირამდე, აქედან - მონგიპირამდე და უკან. მეხუთე მოგზაურობა, როგორც ჩანს, ასტრახანიდან დაიწყო, მან გადაკვეთა კასპიის ზღვა, სპარსეთის ტერიტორიისა და სპარსეთის უბის გავლით ზომბეში ჩავიდა. აქედან – ლაჰორში, ქაშმირში, შემდეგ ქაბულში, ბუხარისა და ომსკის გავლით ჩავიდა მოსკოვში.

ამრიგად, დანიბეგაშვილმა მოგზაურობაში გაატარა 28 წელი, გაიარა ორი ეკვატორის ტოლი მანძილი და აღწერა 10-ზე მეტი სახელმწიფო.

ლიტერატურა:

1. კარიშევო ო., რ. დანიბეგაშვილის მესამე მოგზაურობა, გაზეთი „კომუნისტი“, 30.07, 1964;
2. დანიბეგაშვილი რ., მოგზაურობა ინდოეთში, 1950.
3. ზარდალიშვილი გრ., რაფიელ დანიბეგაშვილი, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, 1958.
4. იორდანიშვილი ს., თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა, 1963.
5. ხარაძე კ., სამი ათეული წელი აზიის ქვეყნებში, XVIII-XIX საუკუნის ქართველი მოგზაურები, 1987.

ხარის კულტი სვანეთში

მეგი ფარჯიანი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე**, მოწვეული სპეციალისტი, პროფესორი

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ „ხარის კულტი“ ოდითგანვე არსებობდა როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, კერძოდ კი: წინა აზიაში, ხეთებში, ინდოევროპელებში, ფინიკიელებსა და სხვადასხვა ხალხებში, თუმცა ეს იყო ძვ. წ აღ-მდე. სწორედ იმის გამო, რომ ეს ხდებოდა შორეულ წარსულში, იგი დარჩა ისტორიად, ლეგენდებად და ზღაპრებად. ალბათ, მნელია წარმოვიდგინოთ, დღევანდელობაში რომ ხდებოდეს მსგავსი რამ. ვინაიდან მე სვანეთიდან ვარ, ხშირად ვარ მომსწრე იმისა, თუ დღესაც როგორაა შენარჩუნებული ის ტრადიციები, რაც ხართანაა დაკავშირებული. სანამ ამაზე ვისაუბრებდე, მინდა მცირე ისტორიული ექსკურსი გავაკეთო ზოგადად „ხარის კულტთან“ დაკავშირებით.

უმველეს დროში ადამიანები თავიანთს სცემდნენ ციურ სხეულებს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენებს. ქართველი კაცის ბუნებამ ადვილად შეითვისა ყველა ის წარმართული ღვთაება, რომელიც სიკეთის ქმნალობასა და მიწათმოქმედებასთან ასოცირდებოდა. უხვმოსავლიანობა და ნაყოფიერება ადამიანთა კეთილდღეობის საწინდარი იყო, ამიტომ სწორედ იმ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ ყველაზე მეტად, რომლებიც მოსავლიანობის მფარველად მიიჩნეოდა. ქართველებისათვის შვილივით ძვირფასი და სალოცავი იყო ხარი, ზოგადმითოლოგიურმა აზროვნებამ ხარის კულტი მთვარეს დაუკავშირა, როგორც მთვარისებრ რქებმორკალურისა, იგი გავრცელებული იყო ადრებრინჯაოს ხანიდან. ხშირია ხარის გამოსახულებები არქეოლოგიურ არტეფაქტებზე, გრაფიკულ ხელოვნებაში, კერამიკულ ჭურჭელზე, მისი სახეა მოცემული მრავალ ხალხურ ლექსსა თუ ზღაპარში: ერთი ქართული თქმულებების მიხედვით, ხარი და ირემი გაეჯობრნენ, ვინ უფრო ადრე მივიდოდა ღმერთთან. გამარჯვებული ხარი გამოვიდა, რომელმაც დინჯი და წყნარი სვლით მიაღწია ცის კაბადონს და უფლისგან ებრძანა, მუდამ ადამიანის სამსახურში ყოფილიყო, მასთან ერთად ეწია ჭაპანი და ერთგულად ემსახურა. ამ შეჯიბრებების დროს გაჩნდა ცაზე ირმის ნახტომი, რომელსაც „ხარის ნავალიც“ ეწოდება.

ხარის კულტის არსებობაზე არაპირდაპირი მითითება გვხვდება ძველ კოლხეთში ცნობილ მითში არგონავტების შესახებ, სადაც საუბარია რკინის გუთანში შებმული „სპილენძის ცეცხლისმფრქვეველი ხარების“ შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხარის გამოსახულებებს ვხვდებით კოლხური მონეტის ერთ ჯგუფზე [1: 128].

ჩვენ, ალბათ, მოგვაგონდება წიქარა, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მიაქვს მეგობრის გადასარჩენად. ეს ზღაპარი იმის დასტურია, რომ კაცი და ხარი სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც განუყრელნი იყვნენ. ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ პირველყოფილი „ტაძრები“ ძვ. წ. აღ-ის მე-7-6 ათასწლეულებში არსებობდა. თუ საქართველოში მიკვლეულ მასალას ამ ისტორიულ ფონზე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ქართულ სამყაროში ხარის კულტი ადრინდანვე დამკვიდრებულია. უკვე ენეოლითურ ნამოსახლარებზე (არუხლო, წოფი) ვხვდებით ხარის პატარა ქანდაკებებს [2: 10] და იმ ხანიდან მოყოლებული ხარს, როგორც ღვთაებას, საპატიო ადგილი აქვს რელიგიურ პანთეონში.

ახლა კი გადავინაცვლოთ სვანეთში. სანამ ქრისტიანულ ეპოქაზე გადავიდოდეთ, მინდა გავაკეთო მცირე ჩანართი ვერა ბარდაველიძის წიგნის შესახებ. მან გამოიკვლია რელიგიურ პანთეონში და ცერემონიალებში ხარის, როგორც საკულტო ცხოველისათვის მიჩენილი ადგილი. ქართული წარმართული რელიგია დიდ სიახლოვეს იჩენდა წინა აზიის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების რელიგიურ სამყაროსთან, კერძოდ, სვანური დღესასწაული უფლიშიერ შესრულებისა და ძირითადი შინაარსის მიხედვით თითქმის სრულ იგივეობას ამჟღავნებს ზევსის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულთან, რომელიც მაგნისიაში, მდინარე მეანდრეზეა დადასტურებული. თანაც, როგორც მკვლევარი ფიქრობდა, სვანური დღესასწაული უფრო არქაულ იერს ატარებს. ამავე დროს, სვანეთში საღვთო ხარების ბრძოლა და სხვა ქართულ თემებში დადასტურებული ბულების ბრძოლა უახლოეს ანალოგს ნახულობს კრეტა-მიკენის კულტურაში, სადაც ხარის კულტმა განსაკუთრებული განვითარება მიიღო. სვანურ გრაფიკულ საწესო ხელოვნებაში დადასტურებული ჯვარი, წრეში ჩახატული ჯვარი და ხარის თავის სქემატური გამოსახულება, როგორც ვერა ბარდაველიძე ფიქრობდა, დაკავშირებულია ციური ბატონის კულტთან და ამ ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა [3: 107; 4].

ახლა კი გადავიდეთ მომდევნო ეპოქაზე, რომელიც იწყება ქრ. შ-დან. ხარი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქრისტიანულ რელიგიაშიც კი შეაღწია. სვანეთზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ არსად ისეთი გრაციოზულობით და უდიდესი მნიშვნელობით ხართან დაკავშირებული მრავალი დღესასწაული არ შემორჩა, როგორც სვანეთში.

ხარის კულტი სვანეთში ოდითგანვე არსებობდა, მას დიდ დროს და ყურადღებას უთმობდა სვანი კაცი, იგი თანდათან გახდა რელიგიური წეს-ჩვეულებების და რიტუალების მონაწილე. თუ საიდან და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, ამაზე არ არსებობს წერილობითი წყაროები, მხოლოდ არსებობს უფროსი თაობებისგან გადმოცემული ისტორიები და სწორედ ამ მონათხრობების საფუძველზე გთავაზობთ მოკლე ისტორიებს.

სვანეთის ერთ-ერთი თემის წარმომადგენლებს, დადემქელიანებს ყოველთვის აინტერესებდათ და უნდოდათ „ჭალის“ ხევის დაპყრობა და გადაწყვიტეს მასზე გალაშქრება.

იმ დროს ჭალის ხეობაში ცხოვრობდა ერთი მოხუცებული მღვდელი თავის ოჯახთან ერთად. იქ იყო პატარა ეკლესია, რომლის მსახურიც იყო ეს მღვდელი. ერთ საღამოსაც ამ ოჯახს თავზე დაადგა „საბატონო სვანეთის ლაშქარი“. სახლს ალყა შემოარტყეს, ამასობაში მღვდელმა მოასწრო პატარა ბავშვის გაპარება და დაავალა შეეტყობინებინა ლატალელებისათვის. მღვდელს ხელში მისცეს ჭუნირი (სვანური საკრავი), რათა დაეკრა და გაერთო დაუპატიჟებელი სტუმრები.

ბავშვმა შეატყობინა ლატალის თემს. ისინი მაშინვე წამოვიდნენ დასახმარებლად. სამმა თემმა გამოილაშქრა, ვისაც კი იარაღი ჰქონდა და ქუდი ეხურა, ყველა წამოვიდა დასაცავად. ლატალის ჯარს უძღვოდა ფუთა გირგვლიანი. როცა გზაზე მოდიოდნენ, უეცრად გამოჩნდა დიდი, ლამაზი თეთრი ხარი. მან ცხრაჯერ დაიყვირა და მიწას რქებით თხრიდა. ფუთამ ეს გამარჯვების ნიშნად მიიღო და თქვა: „დაიმახსოვრეთ: ეს ხარი, იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და შემდეგ ამ ხარს შევწირავთ უფალს“. მართლაც, ლატალელებმა გაიმარჯვეს დადემქელიანებზე. შემდეგ ფუთამ გასცა ბრძანება, რომ ის ხარი დაეჭირათ. ხარი მიჰგვარე. მან რქაზე სამი ნიშანი გაუკეთა, „სიმბოლოდ სამი თემის გაერთიანების, ბრძოლისა და გამარჯვების ნიშნად“. ამის შემდეგ ტრადიციად დაწესდა ყოველ წელს ხარის შეწირვა. ის ადგილი, სადაც ეს ბრძოლა გაიმართა, დღესაცაა შემორჩენილია.

ხარს აღდგომიდან მეორე კვირას სწირავენ, თუმცა აქაც საინტერესო რამ ხდება - ხარის შერჩევა: ხარი, რომელსაც სწირავენ, უნდა იყოს უნაკლო, ლამაზი და კობტა რქებით. ამისთვის კი გამოიყოფა ლატალის ყველა გვარიდან ორ-ორი წარმომადგენელი, ვისაც ევალემა ხარის შერჩევა. შემდეგ ისინი ვალდებული არიან, სამჯერ შეამოწმონ ხარი, თუ როგორ უვლის მას პატრონი. მასპინძელი კი ვალდებულია, მოსულებს სამივეჯერ სცეს პატივი, კარგი მასპინძლობა გაუწიოს. ამ ხარს ყიდულობენ. ძველად მისი ყიდვა ხდებოდა ფეტვით და სხვადასხვა ეკვივალენტით, დღეს, რა თქმა უნდა, - ფულით. პატრონს შევაჭრების უფლება არ აქვს, რამდენსაც შესთავაზებენ, იმდენი უნდა აიღოს თანხა.

ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებთ: ადრე ერთ კაცს ჰყავდა საუკეთესო ხარი. იგი ერთ დღეს ძალიან შეწუხდა და თქვა: მალე ამ ხარს წამართმევენო.

-შეკითხვაზე: „რატომ ნერვიულობ?“ - მან უპასუხა:

- ხალხი მოვა და ამ ხარს შესაწირად წაიყვანს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადრეც და ახლაც პატრონს უარის თქმის უფლება არ აქვს, შერჩეული ხარი აუცილებლად უნდა გაატანოს მოსულებს. ამ ხარს კლავდნენ ლატალის მაცხოვრის ეკლესიაში. ეს არის მე-9-10 სს. ტაძარი, თუმცა მას შემდეგ, რაც აქ აღდგა წირვა-ლოცვა, ადგილობრივმა მღვდელმა აკრძალა ხარის ეკლესიის ეზოში დაკვლა, რადგან მისი თქმით, - არ შეიძლება უფლის სახლში სისხლის დაღვრა.

ამიტომ დღეს სვანები ხარს ეკლესიისგან მოშორებით, მინდორში კლავენ, შემდეგ ხორცს ხარშავენ და ანაწილებენ თითოეულ ოჯახზე, რადგან ის ყველას უნდა შეხვდეს. აკეთებენ ლემზირებს (სეფისკვერებს), ხორცს ჯოხზე აცვამენ. ეს ხორცი ყველას იმიტომ უნდა შეხვდეს, რომ ნათქვამია: „ჭალის ბრძოლაში მიიღო ეს ხორცი ხალხმა და ყველას ერგება, რადგან ეს ღმერთის სადიდებლად გაკეთდა“. ამ დღეს ხვდებიან სამი საგალობლით [მთხრობელი მალხაზ გვიჩიანი, 70 წლის].

1. „ო ქრისტემ“, რომელიც შემდეგ დაიკარგა, თუმცა მოგვიანებით აღადგინეს ეს საგალობელი;

2. „მაცხვარ ქრისტეში“;

3. „ბარბარდოს“ ანუ წმინდა ბარბარეს საპატივცემლოდ.

ამ დღესასწაულს ჰქვია „ფუსდხანლითვაალ“. ფუსტ - არის მაცხოვარი, ხან - ხარი, ლითვალ - დაბადება: ანუ „მაცხოვრის ხარის დაბადება“ [მთხრობელი შამილ ფარჯიანი, ისტორიკოსი, 62 წლის].

ხარის კულტთან დაკავშირებული არის მეორე ტრადიციული დღესასწაული „მაცხვარ-თახაშ“, რაც ნიშნავს მაცხოვრის სამშაბათ დღეს, რადგან ამ ხარს დაკვლა უწევს აღდგომიდან სამშაბათ დღეს. ამასთან დაკავშირებით, არსებობს პატარა ისტორია: ადრე სვანეთში იყო ასეთი შეხედულება - ვინც ძლიერი იყო, ის ჩაგრავდა სუსტს. სწორედ ასეთი რამ მოხდა მაშინაც, როცა გაუჭირდათ წვირმის, იელის და იფარს. მულახელებმა შეუტყეს ამ სამ თემს და წაართვეს ქონება, რაცკი რამ ებადათ - ძვირფასეულობა, იარაღი

და სხვა. მათ გადაწყვიტეს, დახმარებისათვის მიემართათ ლატალელებისათვის. ლატაში თეთრი ხარი ჩამოიყვანეს და მიაბეს ლატალის ეკლესიას. ამ ეკლესიის ყარაული ყოველთვის ამოწმებდა ტაძარს. ერთ დილასაც ყარაულმა დაინახა ეკლესიასთან მიბმული თეთრი ხარი. ეს ნიშანი იყო, რომ სვანეთის რომელიღაც თემს ძალიან უჭირდა და დახმარებას ითხოვდა, სანაცვლოდ კი ამ ხარს ჩუქნიდა ლატალს. ხარის მიცემა დიდ საჩუქარს ნიშნავდა. ყარაულმა მაშინვე სამრეკლოს დიდ ზარზე ჩამოკრა. როცა ამ ზარს რეკდნენ, ვალდებულნი იყვნენ, ყველა ოჯახიდან ოჯახის უფროსი ეკლესიასთან მისულიყო, რადგან ამით რაღაცას ატყობინებდნენ – ან ცუდს, ან კარგს. აქვე მივანიშნებ, ეს ზარი დღეს ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ადრე მისი ჩამოხსნა და წაღება უნდოდათ კომუნისტებს, მაგრამ ხალხმა არ დაანება და დატოვეს.

ეკლესიაში ყველა მამაკაცი ავიდა, მათ შორის გამოჩნდა ორი ადამიანი, წვირმელები. ისინი მეზობელ თემს სთხოვდნენ დახმარებას და სანაცვლოდ კი პირობას იძლეოდნენ, რომ ლატალს ხარს ყოველ წელს შესწირავდნენ.

ლატალი ამ დროს უბატონო სვანეთის ძლიერ თემს წარმოადგენდა. ლატალელები დაეხმარნენ მოსულებს. ყველამ გაილაშქრა, ვისაც კი ქუდი ეხურა თავზე და ვაჟკაცი იყო. ლატალელებმა ყველაფერი, რაც იელს და იფარს მულახელებმა წართვეს, უკანვე დააბრუნებინეს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად წვირმელები ყოველ წელს სწირავდნენ ლატალს ხარს. ეს გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ „მოხუცებულთა თემის“ გადაწყვეტილებით, წვირმელებს ეს უფლება ჩამოერთვათ და ისევ ლატალელებს დაუბრუნდათ. როგორც ჩანს, გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ წვირმი უფრო ღარიბი და შორს არსებული თემი იყო, საიდანაც ჭირდა ხარის წამოყვანა. ამის გამო ეს მოვალეობა კვლავ ლატალელებს აკისრიათ და ისინიც თავიანთ ტაძარს დღემდე სწირავენ ხარს.

„მაცხვარ-თახაში“ მაცხოვრის ეკლესიაში იმართება. ეს ეკლესია აშენდა მე-9-10 სს-ში, ხოლო ეს ამბები ხდებოდა მე-10-11 სს-ში [მთხრობელი გურამ ნასყანი, 65 წლის].

ხარს ასევე სწირავდნენ მხერის ანუ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაშიც. ეს ეკლესია ყველაზე მაღალ ადგილას მდებარეობს ევროპაში, - ზღვის დონიდან 2600 მეტრზე, გადაჰყურებს უშბას და თეთნულდის მწვერვალებს. იგი ძალიან ძნელ პირობებში აიგო, მშენებლობაში მონაწილეობდა მთელი ლატალი. თურმე, როცა ამ ეკლესიას აშენებდნენ, ხალხი მწკრივად ჩამდგარა და თავიდან ბოლომდე ქვები ისე აზიდეს. ესეც მე-9-12 სს აშენებული ეკლესიაა. მას ჰქონდა როგორც რელიგიური, ასევე სამხედრო დანიშნულებაც, როცა მტერი შემოესეოდა სვანეთს, ნიშანს ამ მთიდან აძლეოდნენ ლატალის თემს.

მხერის ეკლესიასთან დაკავშირებულია მრავალი სასწაული: ვინც უშვილო იყო, ისინი ფეხშიშველი ადიოდნენ: ძნელად სავალ ტყეში კილომეტრებს გაივლიდნენ, რათა ტაძარში ასულიყვნენ, შემდეგ მათ შვილები უჩნდებოდათ. ამის მაგალითები დღესაც არსებობს. იმ ადამიანმა, ვინც ეს ამბავი გვიამბო, აღნიშნა, რომ მის ახლობელს წლების განმავლობაში შვილი არ უჩნდებოდა, მაგრამ როცა მხერის ეკლესიაში ფეხშიშველი ავიდა, შვილი გაუჩნდა. იქ ასვლა სავალდებულოა სამჯერ მაინც. არსებობს თქმულება, რომ როცა თამარ მეფე სვანეთში მოხვდებოდა, მხერის ტაძარში ყოველთვის ფეხშიშველი ადიოდა მოსალოცად. აქ ტარდება დღესასწაული „ლიმხერი“ მიქაელ მთავარანგელოზის პატივსაცემად. თავიდან ეს დღესასწაული ზამთარში დაწესდა. დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ახალგაზრდა სვანები ტაძართან მიმავალ ბილიკს წმენდნენ და ეკლესიის სახურავსაც თოვლიდნენ, რათა არ ჩამონგრეულიყო. ერთხელაც მოხდა სამწუხარო ფაქტი: სწორედ მაშინ, როცა გზებს კვალავდნენ, ჩამოწვა ზვავი და დაიღუპა 20 ვაჟკაცი. სწორედ ამის გამო, ეს დღესასწაული ზაფხულში გადმოიტანეს, ივლისის თვეში. აქაც სწირავენ ხარს, ხარშავენ ხორცს, ხოლო ღვიძლი და გული იწვება. რიტუალისას სამი ლიტრა არაყი და 12 სეფისკვერი აუცილებლად უნდა იყოს. სიმბოლურად ეს 12 რიცხვი მაცხოვრის 12 მოციქულს უკავშირდება, ხოლო სეფისკვერს აქვს სამი ნიშანი, რომელიც უნდა განვმარტოთ, როგორც მამაღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა.

შეწირული ხარის ღვიძლი, გული, 12 ლემზირი და არაყი შეაქვთ ეკლესიაში მამაკაცებს და იქ ლოცულობენ. ლოცვას სვანურად ამბობენ, ისინი შეავედრებენ მთავარანგელოზს თავიანთ თავს და ლოცულობენ ხალხისთვის:

„ო დიდება ღმერთს, მხერის ტარინგმელს ფიშირ ესვაიშხან ხამზური ეჯი ლაზგა ლარდას“. (შეგვეწიოს მთავარ ანგელოზი და გაამრავლე ის ოჯახი, რომლისგანაც ვწირავთ ამ ძღვენს).

შემდეგ ხალხი იკრიბება დიდ მინდორში, წარმოთქვამენ სადღეგრძელოებს, რომელსაც თავისი წესი და რიგი აქვს: ჯერ უფლის სადღეგრძელოს სვამენ, შემდეგ მიქაელ მთავარანგელოზის, მესამე კი წმინდა გიორგის, რადგან სვანეთში წმინდა გიორგი ყველაზე ძლიერად სწამთ სვანებს. შემდეგ იწყება სვანური ცეკვა-სიმღერა, ასევე დოღი და ასე ილხენს სვანეთის საზოგადოება.

თავიდან ქალებს ეკლესიაში შესვლა აკრძალული ჰქონდათ, თუმცა დროთა განმავლობაში ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა და ახლა თავისუფლად შედიან.

ლატალი რეგულარულად სწირავს ხარს ეკლესიას წელიწადში სამჯერ: პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ფუსდხან ლითვალ, მეორე – მაცხოვარ თახაშ, მესამე – მხერი. ამ რიტუალს თავიდან ჰქონდა რელიგიური დატვირთვა, თუმცა დღეს ის მხოლოდ სახალხო დღესასწაულია, სადაც ხალხი ერთიანდება.

ადრე მღვდელმა ადგილობრივებს ურჩია, რომ აეკრძალათ ხარის შეწირვა, თუმცა მათ ეს რჩევა არ გაიზიარეს. სვანეთში მიაჩნიათ: „ჩვენ რომ ეს დღესასწაულები შევწყვიტოთ, ხალხის ერთიანობა დაირღვევა, რადგან ხალხი დღესასწაულზე ერთად არის, იკრიბება და ერთიანდება“ [მთხრობელი მირონ ფირცხელანი, 62 წლის].

ლიტერატურა:

1. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა, თბ.,1975.
2. ხიდაშელი მ., ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ.,1982.
3. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ.,1953.
4. ბერძენიშვილი დ., ხარის კულტი წარმართული ხანის საქართველოში. ინტერნეტ მისამართი:
<http://saunje.ge/index.php?id=1249&lang=ka>